

თფილისის უნივერსიტეტის

ბულეტენი

BULLETIN

DE L'UNIVERSITÉ DE TIFLIS

VIII



თბილისი 1928 TIFLIS

დაიბეჭდა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის  
განკარგულებით.

გამოვიდა 20. II. 1928.

ს. ს. ნ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეხანოვის პრ. № 91.

ლიტ. № 822.

შეკვ. № 891.

ტირაჟი 500.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.რი
1. საყვარელიძე, ს., ადამიანის კოლინჯის ეპითელიუმისა და კუნთოვანი გარსის მორფოლოგიისათვის	1
2. იოსელიანი, ნ., მასალები თუშური ცხერის ფენონალიზისათვის	78
3. კეკელიძე, კ., უცხო ავტორები ძველს ქართულ მწერლობაში .	99
4. გამყარელიძე, გ., სმითის საფინანსო მოძღვრება	203
5. ნათაძე, გ., ნაპოლეონ I-ის დაწინაურების მიზეზები	213
6. უზნაძე, ე., ჩვენებური რძის ქიმიური შედგენილობა	277
7. ყაფრიშვილი, ბ., თრიალეთის მხარისათვის	302
8. ბარამიძე, ა., რუსულადიანის ლიტერატურული წყაროები .	309
9. კაქარავა, ი., რაქის მესამეულის გეოლოგიური განაკვეთი სოფ. ამბროლაურთან	327
10. თოფურია, ვ., კვლავ ემლატისათვის სვანურში	337
11. † Schuchardt, Hugo, Mittheilungen aus georgischen Handschriften.	347
12. ნანეიშვილი, გ., იურიდიული სუბიექტი .	377
13. გოკიელი, ლ., სიმრავლეთა თეორიის წინააღმდეგობანი .	400

### SOMMAIRE.

	Pages
1. Sakvarélidzé, S., Sur la morphologie de l'épithélium et de la membrane musculaire du côion du foetus humain .	1
2. Iosséliani, N., Matériaux pour la phénoanalyse de la brebis de Thouchéthie	78
3. Kékélidzé, K., Auteurs étrangers dans l'ancienne littérature géorgienne	99
4. Gamkrélidzé, G., Doctrine financière d' A. Smith	203
5. Natadzé, G., Causes de l'avènement de Napoléon I .	213
6. Ouznadzé, V., Composition chimique du lait de la vache géorgienne	277
7. Kavrichvili, B., Étude géographique de la chaîne de Thrialéthie.	302
8. Baramidzé, A., Sources littéraires du „Roussoudaniani“	309
9. Katcharava, J., Une coupe géologique dans le tertiaire du Ratcha	327
10. Topouria, V., Encore de la modification des voyelles dans le Suanien.	337
11. † შუხართი, ჰუგო, შენიშენები ქართული ხელნაწერების შესახებ.	347
12. Nanéïchvili, G., Sujet juridique . . . . .	377
13. Gokiéli, L., Contradictions de la théorie des ensembles.	400



## ს. საყვარელიძე.

# ადამიანის ნაყოფის კოლინჯის ვაითელიუმისა და კუნ- თოვანი გარსის მოკვლოვანი სათვის

შ ე ს ა ვ ა ლ ი .

როგორც განვითარების ისტორია გვიჩვენებს, განვითარების პირველ საფე-  
ხურზე ყველა ხერხემლიანი ცხოველებისა და კერძო ადამიანების ნაწლავი მთელ  
მანძილზე, პირის ღრუდან დაწყებული ყითამდე, თანაბრად არის აგებული და  
მისი კედელი ერთნაირი პრტყელი ენტოდერმალური ეპითელიუმით არის წარ-  
მოდგენილი.

განვითარების შემდეგ სტადიაში, მიზან-შეწონილობის კანონის თანახმად  
ნაწლავის სხვადასხვა მიდამოში აგებულების მხრივ დიდი ცვლილებანი ხდება.

შედარებითი ანატომია, აგებულების განსხვავების მიხედვით, ნაწლავის  
ლულას სამ ნაწილად ჰყოფს: წინა ნაწლავი, შუა ნაწლავი და უკანა ნაწლავი.  
წინა ნაწლავს თავის რიგად სამ ნაწილად ჰყოფენ; ხახა, საყლაპავი მილი და  
კუჭი. წინა ნაწლავის დაყოფა აღნიშნულ სამ ნაწილად, არამც თუ მარტო მაკ-  
როსკოპიულ აგებულებაზეა დამყარებული, არამედ ჰისტოლოგიური აგებულების  
განსხვავებითაც მართლდება.

სახელი „წვრილი ნაწლავი“, რომელსაც მაკროსკოპიულ ანატომიაში ხმა-  
რობენ შუა ნაწლავისათვის და „მსხვილი ნაწლავი“ — უკანა ნაწლავისათვის, შე-  
დარებითი ანატომიის თვალსაზრისით ვერ უძღვებს კრიტიკას, ვინაიდან არის  
მთელი რიგი ცხოველებისა, რომელთა უკანა ნაწლავიც შუა ნაწლავთან შედა-  
რებით უფრო წვრილია.

წვრილი ნაწლავის დანაწილებას თორმეტგოჯა, მღივ და თეძოს ნაწლავზე,  
რომელსაც ჩვენ ადამიანის ანატომიაში ვხვდებით, შედარებითი ანატომიის თვალ-  
საზრისით გასამართლებელი ნიადაგი არა აქვს, ვინაიდან მათ შორის საზღვარი  
არავითარი არ არსებობს და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ეს დაყოფა არ არის  
დამყარებული აგებულების განსხვავებაზე, ვინაიდან ყოველგვარი ცვლილებანი აგე-  
ბულების მხრივ თანდათანობით ნაწლავის მთელ მანძილზე ხდება. ამისივე თქმა  
შეიძლება მსხვილი ნაწლავის სხვადასხვა ნაწილებად დაყოფაზე. მსხვილი და წვრი-  
ლი ნაწლავის ერთად აღსანიშნავად საყოველთაოდ სახელს ნაწლავს ხმარობენ.

ასაკში შესული ადამიანისა და საერთოდ ბუბმწოვართა ნაწლავის კედ-  
ლის შემადგენლობაში სამი მთავარი შრე შედის: ლორწოვანი გარსი, კუნთოვანი  
გარსი და სეროზული გარსი.

ლორწოიანი გარსი თავისთავად შემდეგი შრეებისაგან შედგება: ეპითელიური შრე, საკუთარი ლორწოიანი გარსის შრე (*str. proprium*), (*musc. mucosae*) და ლორწქვეშა გარსი (*str. submucos.*).

კუნთოვანი გარსი, შიგნითა ირგვლივი და გარეთა გასწვრივი გლუვი კუნთოვანი ქსოვილის ბოქლო-უჯრედებისაგან შემდგარი შრეებით არის წარმოდგენილი. კუნთოვანი შრეები ერთი-მეორისაგან ფაშარშემაერთებული ქსოვილით განსაზღვრებიან.

სეროზული გარსი კი ერთშირიანი პრტყელი პერიტონეალური ეპითელიუმით არის წარმოდგენილი. უკანასკნელსა და კუნთოვან გარსს შორის ფაშარშემაერთებული ქსოვილი (*str. subserosum*) არსებობს.

ამგვარად ნაწლავის კედლის შემადგენლობაში, თუ განვიხილავთ შიგნიდან გარეთ თანდათანობით, შემდეგი შრეები გვაქვს: ეპითელიური შრე, საკუთარი ლორწოიანი გარსის შრე, (*Str. proprium*), ლორწქვეშა გარსი, ირგვლივი შრე კუნთოვანი გარსისა, გასწვრივი შრე კუნთოვანი გარსისა, *Subserosa* და სეროზული გარსი.

როგორც ფიზიოლოგია გვასწავლის, ნაწლავს სეკრეციისა, რეზორბციისა და მოძრაობის უნარი შესწევს. ნახსენები ფუნქციების შესასრულებლად ნაწლავს განსაზღვრული ანატომიური აპარატები აქვს. უკანასკნელნი ნაწლავის მთელ მანძილზე თანაბრად არ არის განვითარებული, რაც უნდა ჩაითვალოს შრომის განაწილების შედეგად ნაწლავის სხვადასხვა მიდამოს შორის. წვრილი ნაწლავის მიდამოში კარგად განვითარებული არიან სპეციალი დამატებითი წარმოქმნები, რომელთა მეოხებითაც საჭმლის ნივთიერების შეწოვა უზრუნველყოფილია, როგორც მაგალითად ხაოები და კერკრინგის განივი ნაოკები, ვინაიდან უკანასკნელის არსებობის ხარჯზე ლორწოიანი გარსის ზედაპირი, რომელსაც უშუალოდ საჭმლის ნივთიერება ეხება, ძალიან გადიდებულია. მსხვილი ნაწლავის ლორწოიანი გარსი არამც თუ მოკლებულია დამატებით წარმოქმნებს, ხაოებს და ნაოკებს, რომლის საშუალებითაც შეწოვის პროცესის გაძლიერება უზრუნველყოფილდება, არამედ პირიქით ლორწოიანი გარსის თავისუფალი ზედაპირი ძლიერ დაპატარავებულია, ვინაიდან ჯირკვლების რაოდენობა ძლიერ ბევრია და მათი ყელბები, რომლითაც ისინი თავისუფალ ზედაპირზე იხსნიებიან, ერთი-მეორესთან ძლიერ ახლო მდებარეობენ. უკანასკნელი ფაქტის გამო ლორწოიანი გარსი ცხრილის კონფიგურაციას ღებულობს, რომლის შარყუშები პირდაპირ ჯირკვლების ყელბებით წარმოდგენილია.

ქიმიური გამოკვლევანი საჭმლის ნივთიერების შემადგენელი ნაწილებისა, რომელიც კუჭიდან ნაწლავში გადადის, ნაწლავის ზედა და ქვედა მიდამოში გვიჩვენებს, რომ წვრილი ნაწლავის ქვედა ნაწილებში, მსხვილი ნაწლავის ახლო, ნაწლავის შენაცავი საჭმლის ნივთიერების შემადგენელ ნაწილებს სრულიად აღარ შეიცავს, როგორც მაგალითად შაქარს, პეტრონს და ცხიმს და თავის შემადგენლობით ძლიერ წააგავს განავალს. ცხადია, რომ აღნიშნულ ნივთიერებებმა მრასწრეს სხეულში შეწოვა, სანამ ნაწლავის შენაცავი მსხვილ ნაწლავამდე მიახწევდა. გამომყოფი აპარატი — თავისუფალი და ჯირკვლოვანი ეპითელიუმი, ნაწლავის მთელ მანძილზე ერთისა და იმავე აგებულებისა არ არის. ეპითელიუმი

წარმოდგენილია ორგვარი უჯრედებით: ცილინდრულითა და ფიალისებრით. პირველის რიცხვი ბევრია წვირულ ნაწლავებში, მის ზემო მიდამოში, ფიალისებრი უჯრედების რაოდენობა პირიქით მსხვილ ნაწლავში და წვირილი ნაწლავის ქვემო მიდამოში ძლიერ ბევრია.

აღნიშნული განსხვავება ნაწლავის ეპითელიუმის აგებულების მხრივ გვაძლავს ვითქვამთ, რომ ნაწლავის ეპითელიუმის მიერ გამოყოფილი ნივთიერება (ნაწლავის წვენი) სხვადასხვა თვისების უნდა იყოს ნაწლავის სხვადასხვა მიდამოში, რასაც სავესებით ადასტურებს Tiryš ფისტულულების საშუალებით მიღებული ნაწლავის წვენის გამოკვლევა. მაგალითად ენტეროკინაზის გამოყოფის უნარი შესწევს მხოლოდ წვირულ ნაწლავს. მსხვილი ნაწლავის წვენი ენტეროკინაზას სრულიად არ შეიცავს. ერეპსინი მსხვილ ნაწლავში და წვირილი ნაწლავის ქვემო მიდამოში მეტია, ვიდრე წვირილი ნაწლავის ზემო მიდამოში.

სეკრეტის გარდა ნაწლავების ღრუში ჩვენ ექსკრეტსაც ეხვდებით, მაგ. ფეკალური მასების სახით. რომ ფეკალური მასა ექსკრეტია და რომ იგი მხოლოდ მოუნელებელი საქმლის ნაწილებს არ წარმოადგენს, ამას ადასტურებს განუწყვეტლივი მისი წარმოშობა ნაწლავის ღრუში იმ შემთხვევაშიც, როდესაც ცხოველი ხანგრძლივი დროს განმეკობაში საზრდო მასალას სრულიად არ ღებულობს.

ვინაიდან ფეკალური მასების რაოდენობა წვირილი ნაწლავის ქვემო ბოლოში და ნამეტნავად მსხვილ ნაწლავში შედარებით ბევრია, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ექსკრეტის უნარი ფიალისებრი უჯრედებს შესწევს, ვინაიდან, მსხვილი ნაწლავის ეპითელიუმი, როგორც უკვე ნათქვამია, თითქმის სავესებით ფიალისებრივი უჯრედებით არის წარმოდგენილი.

ნაწლავის ეპითელიუმის შესახებ დიდძალი ლიტერატურა არსებობს. ძლიერ ბევრი ჰისტოლოგიური გამოკვლევანი ფიალისებრი უჯრედების მორფოლოგიური აგებულებისა და ფუნქციის შესახებ მოიპოვება. ერთი ჯგუფი მკვლევართა იმ აზრისაა, რომ ფიალისებრი უჯრედები დამოუკიდებელი ერთუჯრედიანი ჯირკვლებია. ისინი მუდმივ მუცინოზურ ნივთიერებას წარმოშობენ, რომელიც მათ thecaში გროვდება და რომელსაც ნორმალურ პირობებში დროგამომშვებით ნაწლავის ლორწოიანი გარსის თავისუფალ ზედაპირზე გამოჰყოფენ. როდესაც უჯრედი ლორწოს გამოჰყოფს, მისი კედელი ეშვება. ამის შემდეგ უჯრედი კვლავ ლორწოს გამომშვებებას შეუდგება და ისევ ფიალისებრი უჯრედად იქცევა.

მეორე ჯგუფი ავტორებისა კი ამტკიცებს, რომ ფიალისებრი უჯრედები დამოუკიდებელ წარმოქმნას არ წარმოადგენენ, რომ იგინი ჩვეულებრივ ცილინდრული უჯრედებიდან წარმოიშობიან. ცილინდრული და ფიალისებრი უჯრედი ერთისა და იმავე ელემენტის ორ სხვადასხვა ფაზას წარმოადგენენ.

უკანასკნელი ავტორების აზრით ნაწლავის ეპითელიუმს საზოგადოდ ლორწოს წარმოშობის უნარი შესწევს, როდესაც უჯრედი ლორწოს წარმოშობს, მაშინ მას ფიალისებრი უჯრედის მოყვანილობა აქვს და როდესაც უჯრედი ლორწოს გამოჰყოფს, იგი კვლავ ჩვეულებრივ ცილინდრულ უჯრედად ხდება. მსხვილ ნაწლავში უმთავრესად ფიალისებრი უჯრედების არსებობასა და წვირულ

ნაწლავში, ნამეტურ მის ზემო მიდამოში, ცილინდრული ყავთანოვანი უჯრედების არსებობას ზოგი ავტორი იმ მოსაზრებით ხსნის, რომ წვირილ ნაწლავში, ვინაიდან მისი თავისუფალი ზედაპირი ხაოების არსებობით ძლიერ არის გადიდებული, უჯრედების დიდი რიცხვის მოვარდნას აქვს ადგილი. კრიპტებში მიტოზების საშუალებით წარმოშობილი ახალგაზრდა უჯრედები თავისუფალი ზედაპირისკენ სწრაფად მიისწრაფიან, და იქ მოვარდნილი უჯრედების ადგილს იკერენ, რის გამოც ისინი ლორწოს გამოიმუშავებას ვეღარ ასწრებენ. მსხვილ ნაწლავში პირიქით, ხაოების უქონლობის გამო, თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმის გაცვეთა და მოვარდნა ძლიერ ნელა ხდება და ამიტომ კრიპტებში წარმოშობილი უჯრედების ზევით ასვლა ნელა ხდება, რის გამოც უჯრედებს აქვთ დრო უკვე კრიპტებში ლორწო გამოიმუშაონ.

არა ნაკლებ სადაოდ ნაწლავის თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმის და ჯირკვლოვანი ეპითელიუმის ურთიერთ შორის დამოკიდებულების საკითხი ითვლება. მაშინ, როდესაც ერთი რიგი ავტორებისა თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმს მფარავი ეპითელიუმის დანიშნულებას აძლევს და ჯირკვლოვან ეპითელიუმს კი სეკრეტორულ და ექსკრეტორულ ფუნქციებს აწერს, მეორე ჯგუფი მკვლევართა სთვლის, რომ თავისუფალი და ჯირკვლოვანი ეპითელიუმი ერთსა და იმავე ფუნქციით არის აღჭურვილი, რომ თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმი ნაწლავის თავისუფალ ზედაპირზე გაშლილ ერთ დიდ ჯირკვალს წარმოადგენს.

არ არის გადაჭრით გადაწყვეტილი ე. წ. მოადგილე უჯრედების არსებობის საკითხი.

ესე იგი, არსებობს თუ არა ე. წ. მოადგილე უჯრედები, რომელნიც თავისუფალი ეპითელიუმის უჯრედების ადგილს იკერენ მათი მოვარდნის შემდეგ, რასაც ადგილი აქვს, როგორც ნორმალურ პირობებში გაცვეთის გამო, აგრეთვე სპეციალურ მანევრ ფაქტორთა ზეგავლენის დროს.

დიდი რიცხვი მკვლევართა ნაწლავის ეპითელიუმის აღდგენას ე. წ. მოადგილე უჯრედების ხარჯზე უარყოფენ. უკანასკნელს სთვლიან ლეეკოციტების ერთ-ერთ ფორმად და იცავენ დებულებას, რომ მოვარდნილი ეპითელიუმის რეგენერაცია მიტოზების საშუალებით ხდება. ვინაიდან უკანასკნელი ადგილი აქვთ ჯირკვლებში, ნამეტურ მათ ქვედა ბრმა ბოლოში და იმავე დროს თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმში კაროკინეზული მოვლენა სრულებით არ არსებობს, ამიტომ მკვლევართა იძულებული არიან მიიღონ, რომ მიტოზების საშუალებით ჯირკვლებში წარმოშობილი უჯრედები თანდათანობით ზევით იწევიან, თავისუფალ ზედაპირს ახწევენ და იქ ბინავდებიან. ამ გვარად, რადგანაც ნაწლავის ეპითელიუმს მოძრაობის უნარი შესწევს, ამიტომ მათ სთვლიან ერთგვარ თავისებურ მთვლემავ უჯრედებად, რომელნიც ჩვეულებრივ მთვლემავი უჯრედებისაგან განიჩევიან. ამას გარდა ავტორების აზრით ნაწლავის ლულისებრი ჯირკვლები სხვა ნამდვილი ჯირკვლებისაგან განსხვავდებიან, ვინაიდან უკანასკნელში ჯირკვლოვანი ელემენტები სპეციალურ დიფერენციაციას განიცდიან და სრულიად განსხვავდებიან აგრეთვე მფარავი ეპითელიური უჯრედებისაგანაც, რომელთაც იგინი მხოლოდ თავისი საღინარით არიან დაკავშირებული. ნაწლავის ჯირ-



კვლევანი ეპითელიუმში კი პირიქით თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმის უშუალო გაგარძელებას წარმოადგენს.

ერთი სიტყვით ნაწლავის ჯირკვლოვანი და საფარველი ეპითელიუმის ურთიერთშორის დამოკიდებულებისა და რეგენერაციის საკითხში იგივე დამოკიდებულება არსებობს, რასაც ჩვენ საშვილოსნოს ჯირკვლებისა და მისი თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმში ვხედავთ. ამისდა მიუხედავად Bizzozero ამბობს, რომ მისი თეორია ნაწლავის თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმის რეგენერაციის შესახებ სხვა ეპითელიუმზე არ შეიძლება გავაერკლოთ, ვინაიდან საშვილოსნოს ეპითელიუმშიც ხანდახან მრავალრიცხოვან მიტოზებს აღვილი აქვთ.

მკვლევართა მიერ მიღებული შედეგების სხვადასხვაობა აიხსნება ეპითელიუმის უჯრედოვანი ელემენტების ნაზი აგებულებით და დიდი გარძობიერებით რეაგენტების მიმართ.

ნაწლავის ეპითელიუმის სტრუქტურაზე გავლენას ახდენენ არა მხოლოდ რეაგენტები, რომელთაც მათზე უშუალოდ გამოქმედებთ ჰისტოლოგიური პრეპარატის გაკეთების დროს, არამედ შედარებით უმნიშვნელო ნორმალური ცხოველების პირობების დარღვევაც. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ სხვადასხვა ავტორის მიერ მიღებული შედეგები სხვადასხვა მეთოდის დროს, ნორმალური ცხოველების პირობების წინამორბედი არა ერთგვარი დარღვევის გამო ერთი მეორეს არ ესაბამებიან. ამიტომ ნაწლავის ეპითელიუმის ნორმალური ცხოველების დროს არსებული სტრუქტურის შენარჩუნება მაშინ უფრო ადვილად შესაძლებელია, როდესაც ნაწლავის ეპითელიუმის ნორმალური ცხოველების პირობები დაურღვეველია და საესებით თავისუფალია ყოველგვარი გარეზე ზეგავლენისაგან, რომელსაც როგორც ქიმიური, ისე ფიზიკური ფაქტორები ეკუთვნიან.

ჩენი აზრით საუკეთესო ობიექტს, რომელიც საესებით აკმაყოფილებს უკანასკნელ მოთხოვნილებას, წარმოადგენს ჩანასახის ნაწლავი intra uterina ცხოველების დროს ე. ი. ემბრიონებისა და ნაყოფების.

ამით ვხელმძღვანელობდი მე, როდესაც პატივეცემული პროფ. ალექსანდრე ნათიშვილის დავალებით ვაწარმოვე ჩემი გამოკვლევათა ადამიანის ემბრიონებისა და ნაყოფების ნაწლავზე. მით უფრო, რომ განვითარების ხანა ერთის მხრივ, საუკეთესო გზაა, რომლის საშუალებითაც ნათელ წარმოდგენას განსაზღვრული წარმოქმნის აგებულებისა და ფუნქციის შესახებ ვღებულობთ და მეორეს მხრივ, რიცხვი მკვლევართა, რომელთაც ეს გზა აქვთ არჩეული ნაწლავის ეპითელიუმის ხასიათის გამოკვლევის დროს, ძლიერ ცოტა არის. თემის მოცემისათვის, ხელმძღვანელობისა და დამხმარებისათვის ჩემს თავს მოვალედ ვრაცხ პატივეცემულ პროფესორს ალექსანდრე ნათიშვილს ღრმა მადლობა მოვახსენო.

## ლითერატურა.

სანამ მეთოდისა და ჩენი დაკვირვების აწერას შეუდგებოდეთ, საჭიროდ ვთვლით წინასწარ არსებული ლიტერატურული მასალის მოყვანას ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ. ამას გარდა საკითხში უკეთესად გარკვევისათვის საჭიროდ ვთვლით აგრეთვე ნაწლავის კედლის შემადგენელი ნაწილების განვითარების ისტორიის მოკლედ მოყვანას.

ნაწლავის კედლის საფუძვლის განვითარების შესახებ უადრესი სტადიის დროს ორი სკოლა არსებობს: R. Remak-ისა და Schenk-ისა.

R. Remak-ის აზრით (1855) ხერხემლოვანების ნაწლავის კედელი უადრეს სტადიაში ორი შრისაგან შესდგება: ნაწლავჯირკლეოვანი ფურცლისაგან და ნაწლავბოქვოვანი ფურცლისაგან. პირველი ფურცლისაგან ეპითელიუმი და ჯირკვლები ვითარდებიან და მეორე ფურცლისაგან კი სხვა დანარჩენი შრეები.

D-r Schenk-ი (1896) ნახულობს, რომ უპირველესი ნაწლავის კედელი სამი შრით არის წარმოდგენილი, რომ Remak-მა მესამე შრე ვერ შეამჩნია, რომელიც მეზოდერმალური საგმენტიდან ქვევით ნაწლავჯირკლეოვან და ნაწლავბოქვოვან ფურცლებს შორის ვითარდება. მან ნახა, რომ მესამე შრე სეგმენტებთან ნათლად არის შეერთებული და მოსაზღვრე შრეებიდან კი გამოყოფილია. ამ მესამე შრეს Schenk-მა სახელად ნაწლავის ფურცელი უწოდა. მისი აზრით Remak-ის ნაწლავბოქვოვანი შრიდან მხოლოდ პერიტონეუმის ეპითელი ვითარდება და დანარჩენი შრეები კი ნაწლავის ფურცლიდან ვითარდებიან.

Maurer-ი (1906) ამბობს, რომ პირველი საფუძველი ნაწლავთა სისტემისა ყველა ხერხემლოვნებს გასტრულის პროცესის დამთავრებისას ორ უპირველეს ჩანასახოვან ფურცლების სტადიის დროს ჩადგმული აქვთ და უპირველესი ნაწლავის სივრცე მთლიანად ნაწლავის ღრუდ არ იქცევა, ვინაიდან გასტრულის ენტოდერმას სხვა დანიშნულება აქვს: chordal და გასტრალური მეზოდერმის შექმნა. მუდმივი ნაწლავის განვითარება იმ მომენტს ხვდება, როდესაც chorda და გასტრალური მეზოდერმი პრიმიტიულ ენტოდერმს გამოეყოფიან და დახშულ უჯრედოვან წარმოქმნებს წარმოადგენენ seckundärული ენტოდერმის ცენტრალურად.

ამ სტადიის დროს არის ნახული, რომ ნაწლავი კედლის საფუძველი ორი შრისაგან არის შემდგარი: entoderმალური და mesoderმალური. Entoderმალური შრიდან მთელი ლორწოიანი გარსის ეპითელიუმი გარდა აგრეთვე ნაწლავის მთელი ჯირკლეოვანი აპარატი წარმოიშობა.

ნაწლავის კედლის გარეთა მეზოდერმალური შრე (ნაწლავბოქვოვანი ფურცელი) ცენტრალური მეზოდერმალური სივრცის მედიალური ფურცლით არის წარმოდგენილი. უკანასკნელი არის ანატომიური საფუძველი ნაწლავის ლულის სეროზული გარსისა და მათი ჯორჯოლისა იმ ადგილამდე, სადაც მედიალური ფურცელი პარაიტალურ (კანბოქვოვან) ფურცელში გადადის. შემდგომ ნაწლავბოქვოვანი ფურცლიდან ნაწლავის კუნთოვანი გარსი, შემაერთებული ქსოვილი, პერიტონეუმის ეპითელიუმი და აგრეთვე ლიმფის სისტემა ვითარდება.

Kölliker. ნაწლავის ლულის ეპითელიუმში ენტოდერმისაგან ან შიგნითა ჩანასახოვანი ფურცლიდან (Remakის ნაწლავჯირკვლოვანი ფურცლიდან) ეითარდება და პირველად პრტყელი ერთშრიანი ეპითელიუმით არის წარმოდგენილი. შემდეგ წვრილი და მსხვილი ნაწლავის მიდამოში პრტყელი ეპითელიუმში მრავალშრიან ეპითელიუმად იქცევა. უკანასკნელი კი ჯერ მრავალშრიან ცილინდრულად და ბოლოს ერთშრიან ცილინდრულ ეპითელიუმად იქცევა.

ნაწლავის კედლის სხვა დანარჩენი შრეები Remakის ნაწლავბოქვოვანი ფურცლისაგან წარმოიშობიან.

Köllikerმა თავისი გამოკვლევა ბაჭიების ემბრიონებზე მოახდინა და ნახა, რომ ნაწლავის გარეთა შრე უპირველესად სქელი თანაბარი შრით არის წარმოდგენილი, რომელიც მეზოდერმის მრგვალი და მოგრძო უჯრედებიდან შედგება. ათი დღის ემბრიონის ნაწლავის კედელში მხოლოდ ლორწოვანი გარსი გამოიყოფა, რომელშიც აორტიდან სისხლის მიღები შეიზრდება. კუნთოვანისა და სეროზული გარსის არსებობას ამ სტადიაში ნიშანი არავითარი ახლავს. შემდეგ, შედარებით უფრო ხნეირი ემბრიონების ნაწლავში გარეთა (მეზოდერმალური) შრე ჰისტოლოგიური დიფერენციაციის გამო გამოჰყოფს პერიტონეუმის ეპითელიუმის თხელ შრეს, რომელიც პოლიგონალური უჯრედებისაგან შესდგება. უკანასკნელის შემდგომ ჩნდება ჯერ ირგვლივი და მერმე გასწვრივი კუნთოვანი გარსის შრეები და მათ შემდეგ პერიტონეუმის შემეაერთებელი ქსოვილოვანი შრე.

მას შემდეგ რაც ჩვენ ზემოთ მოკლედ ემბრიონალური ნაწლავის კედლის აგებულების მასალას გავეცანით საჭიროდ ვთვლით აგრეთვე მოკლედ გავეცნოთ ლიტერატურულ მასალას ცვლილებათა შესახებ, რომელიც ხდება ემბრიონალური ნაწლავის ძირითად (ნაწლავჯირკვლოვან და ნაწლავბოქვოვან) ფურცლებში და რომლის მეოხებითაც ასაკში შესული ნაწლავის კედლის შემადგენელი ნაწილები ჩამოყალიბდებიან.

Frederic T. Lewis. ნაწლავის ლულის ორშრიანი სტადია 4 mm. სიგრძის Bremერის ემბრიონს აქვს. ეპითელიუმში გვიჩვენებს ბირთვების 3-4 შრეს. წინა, შუა და უკანა ნაწლავის ეპითელიუმის აგებულებაში განსხვავება არავითარი არსებობს.

6,5 mm. სიგრძის ემბრიონის თორმეტგოჯა ნაწლავს ნათლად გამოხატული მრგვალი ღრუ აქვს, რომელიც 2-3 შრიანი ეპითელიუმით გამოფენილი არის. შედარებით ოდნავ უფრო უფროსი ემბრიონის ეპითელიუმში მრავლდება და ერთი მეორეს მოპირდაპირე მხარეს უერთდება, რის გამოც თორმეტგოჯა ნაწლავის მთლიანი სანათური რამოდენიმე ხერელებად იყოფა. ნაწლავის ეპითელიური ლულის გარეთა ზედაპირი ამ სტადიაში საზოგადოდ თანაბარია. შედარებით ოდნავ უფროს სტადიაში კი ხშირად უჯრედოვანი ელემენტები, რომელნიც ხერელების გარშემო დალაგებულია, ბაზალური მემბრანის ადგილობრივ გამოდრეკას იწვევენ.

22,8 mm. სიგრძის ემბრიონის თორმეტგოჯა ნაწლავში გამოდრეკილი ადგილები ძლიერ ბევრია და ეპითელიუმში ნაოკებს ჰქმნის, რომელშიც მეზოდერმის შეზრდა ხდება.

30 mm. სიგრძის ემბრიონის თორმეტგოჯა ნაწლავის ხერელები ერთი მეორეს უერთდება და კვლავ აღდგება ერთი მთლიანი ცენტრალური ღრუ. ხერელებს შორის დარჩენილი წამოზრდილი ადგილები ნაწლავის ხაოების საფუძველს წარმოადგენენ.

ხაოების განვითარება წვრილ ნაწლავში პირველად მის ზედა ნაწილში იწყება და თანდათანობით ქვევითკენ ვრცელდება.

30 mm. სიგრძის ემბრიონს მხოლოდ ნაწლავის ზედა ნაწილებში აქვს ხაოები და თემოს ნაწლავი კი მათ არ შეიცავს. 42 mm. სიგრძის ემბრიონს თემოს ნაწლავის მხოლოდ პატარა დისტალური მარჯუში აქვს უხაო. Berry's აზრით 80 mm. სიგრძის ნაყოფის თემოს ნაწლავში ხაოების განვითარება მთლიანად კოლინჯამდე არ ახწვეს. 130 mm. სიგრძის ნაყოფის წვრილ ნაწლავში ხაოები მის მთელ მანძილზე არსებობს. ამასა და შემდეგ სტადიაში ხაოების ძლიერი ზრდა სიგრძეზე ხდება, მაშინ, როდესაც მათი განივი დიამეტრი თითქმის მუდმივი რჩება. უმაღლეს წარმოშობილ ხაოებს შორის ახალგაზრდა ხაოები ჩნდება: ჩადრეკილი ადგილებიდან ხაოებს შორის დამატებითი წარმოზრდილობანი შეიქმნებიან, რომელნიც ეპითელიური ლულის გაგანიერებასთან ერთად ძლიერ სწრაფად მალღებებიან და პროპორციონალური ზრდის გამო თვისი სიმაღლით უმაღლეს წარმოშობილ ხაოებს უდრიან. 55 mm. სიგრძის ნაყოფის წვრილი ნაწლავის შუა მიდამოს განივ ნაკვეთზე დაახლოებით თორმეტი ხაო ჩანს. 99 mm. სიგრძის ნაყოფის ნაწლავის განივ ნაკვეთზე დაახლოებით ოცდახუთი ხაო ჩანს. Berry's აზრით 80 mm. სიგრძის ნაყოფის ნაწლავის მთელ მანძილზე ხაოს რიცხვი 330,000 უდრის.

Tarssneris (1907) და Tanderis აზრით პირველად ეპითელიუმი უთანაბრო ზრდის გამო ნაოქებს ჰქმნის (ჩადრეკილ და ამოდრეკილ ადგილებს) და მეერ მეზენქიმის დვრილები ეპითელიუმის შედრეკილ ადგილებში შეიზრდებიან.

Kölliker (1861) კი პირიქით ნახულობს, რომ ჯერ მეზოდერმალური შრე წარმოშობს დვრილებისმაგვარ მორჩებს, რომელთაც ეპითელიუმი წინ თან მიაკვთ.

30 mm. სიგრძის ემბრიონის ნაწლავის ეპითელიუმი შცმალღებულ ადგილებზე შედარებით უფრო თხელი და გარკვევით უფრო ერთშრიანია, ვიდრე ჩადრეკილ ადგილებში. 55 mm. სიგრძის ნაყოფის ხაოების ეპითელიუმი ცილინდრულია და ნათლად გამობატული კედელი აქვთ. ბირთვი მრგვალი უჯრედის შუა ადგილის ქვემოთ არის მოთავსებული. პროტოპლაზმა კი გამსჭვირვალე ნამეტნავად თავის პერიფერულ ნაწილში.

ჩადრეკილი ადგილების მიდამოში, ხაოებს შორის, უჯრედები უფრო შეჯგუფებული. პროტოპლაზმა მარცვლოვანია; ბირთვი ოვალური. საერთოდ ეპითელიუმი ჩადრეკილი ადგილების მიდამოში ბევრად უფრო შექი არის, ვიდრე ხაოს ეპითელიუმი. ორივე ადგილას შემთხვევით სამ კუთხოვან და ფიალისებრ ბირთვებს ნახულობენ, რომელნიც ნათლად ფიალისებრ უჯრედებს ეკუთვნიან.

Frederic T. Lewis. Baginsky (1882) ხაოების გამსჭვირვალე უჯრედებს და ჩადრეკილი ადგილების გაუმჭვირვალე უჯრედებს სხვადასხვა დანიშნულებას

აძლევს და მიაჩნია ჩადრეკილი ადგილების უჯრედები ჯირკვლების განვითარების დასაწყისად.

ნაწლავის ჯირკვლები (Lieberkühnის ჯირკვლები) თანდათანობით ხაოებს შორის ჩადრეკილ ადგილებში მუქ ფერად მღებავი უჯრედებიდან ვითარდება და პირველად თორმეტგოჯა ნაწლავში ჩნდება. როდესაც ხაოების რიცხვი მრავლდება, მათ შორის შეიქმნება მრგვალი სივრცეები, რომლის ფუძიდან მოკლე ლულები ვითარდება ან მთლიანი ულრუო წარმოქმნები. 75 მმ. სიგრძის ნაყოფს მოკლე ლულისმაგვარი ჯირკვლები მხოლოდ პილორუსის მახლობლად აქვს. 91 მმ. სიგრძის ნაყოფს მხოლოდ თორმეტგოჯა ნაწლავის შუა ადგილამდე აქვს ჯირკვლები და იგინი ქვევით არ არსებობენ. წვრილი ნაწლავის შუა ნაწილში მხოლოდ 120 მმ. სიგრძის ნაყოფს აქვს ჯირკვლები.

ახალი ჯირკვლები წარმოიშობა უპირველესად, როგორც დამოუკიდებელი მთლიანი წარმოქმნები (კვირტები) ხაოების ფუძეზე. შემდეგ ჯირკვლები დიხოტომიურად ტოტიანდება და ბოლოს ჯირკვლების ტოტები დამოუკიდებელ ჯირკვლებად იქცევა. ჯირკვლების უჯრედები უფრო მუქ ფერად იღებება და ნორჩ სტადიაში უფრო მსხვილი არიან, ვიდრე ხაოების უჯრედები. მათ შორის არსებობს გარდამავალი უჯრედების ფორმებიც.

ჯირკვლების ფუძის მახლობლად ფიალისებრ უჯრედებს ნახულობენ; ხშირად კი ჯირკვლების ფუძე, მარცვლოვანი მუქად მღებავი უჯრედებისაგან შესდგება. ახალი დაბადებულის ჯირკვლის სიგრძე თითქმის ხუთჯერ ნაკლებია ხაოს სიგრძეზე. შესაძლებელია, რომ მუქად მღებავი მარცვლოვანი უჯრედები Panetის უჯრედები არიან.

Brand (1877). Lieberkühnის კრიპტების განვითარება წვრილ ნაწლავებში თექვსმეტი მილიმეტრი სიგრძის ღორის ემბრიონს იმ სახით ეწყება, რომ როგორც დიდი ისე პატარა ხაოები თვისი ფუძიდან ზევით განსაზღვრულ ადგილამდე გაგანივრებას იწყებენ, რის გამოც სივრცეები პატარა და დიდ ხაოებს შორის ვიწროვდება და ეპითელიუმი ყოველი ორი მოპირდაპირე მღებარე ხაოში ერთი მეორეს უახლოვდება. ამ შევიწროებულ ადგილებს ხაოებს შორის აეტორი ჯირკვლებად თვლის და ამბობს, რომ ფიქრიც არ შეიძლება ჯირკვლების ეპითელიუმის სიღრმეში ჩაზრდის ხარჯზე განვითარების შესახებ. აღამიანის ემბრიონებს Lieberkühnის ჯირკვლების განვითარება სამ ნახევარ თვეზე ეწყება წვრილი ნაწლავის ზედა მიდამოში, მაშინ როდესაც ხაოების ფუძე გაშივრდება. გაგანივრებული ფუძეების ვიწრო სივრცეები, რომლის კედელიც ეპითელიუმით გამოფენილია და ფუძემდე ნათლად სანათური აქვთ, ჯირკვლებს წარმოადგენენ.  $4\frac{1}{2}$  თვის ემბრიონის ნაწლავში თვალსაჩინო ცვლილებანი ჯირკვლების განვითარების მხრივ აეტორს არ შეუშინებია და 6 თვის ემბრიონის ნაწლავში კი რიცხვი ჯირკვლებისა გამრავლებულია და მათი სიგრძე 0,216 მმ უდრის; მსხვილ და სწორ ნაწლავში ჯირკვლების განვითარება, აგრეთვე ხაოების განვითარებით იწყება იმავე წესით, როგორც წვრილ ნაწლავში, მხოლოდ ხაოების გაგანივრება ფუძიდან დაწყებული თანდათანობით განუწყვეტლივ მთელ მანძილზე მათ მწვერვალამდე ხდება. ასე რომ ექვსი თვის ნაყოფს მსხვილ ნაწლავ-

ში ხაოების გაგანიერება მათ მწვერვალს ახწევს და ამიტომ ჯირკვლების განვითარება დამთავრებულია. მათი სიგრძე 0,315 mm უდრის. განი — 0,45-0,63 mm.

Frederic T. Lewis. ნაწლავის კედლის გარეთა შრეებს შორის ყველაზე უფრო ადრე ირგვლივი კუნთოვანი შრე ვითარდება გარშემო მდებარე მეზენქიმის ხარჯზე.

10 mm. სიგრძის ემბრიონს ირგვლივი კუნთოვანი შრე საყლაპავ მილში ნათლად აქვს გამოხატული. კუქში არ არსებობს. თორმეტგოჯა ნაწლავში მისი არსებობის აღმოჩენა შეიძლება. განვითარების შემდეგ სტადიაში ირგვლივი კუნთოვანი შრის განვითარება ქვევით ვრცელდება და 22,8 mm. სიგრძის ემბრიონს ირგვლივი კუნთოვანი შრის განვითარება კოლინჯთან შეერთების ადგილამდე ახწევს. მეზენქიმა ირგვლივი კუნთოვანი შრის შიგნით მეზენტერიუმის სისხლის ძარღვების მრავალ ტოტებს შეიცავს. ლიმფის. ძარღვები კი არ არსებობს.

გასწვრივი შრე 75 mm. სიგრძის ნაყოფს ნათლად აქვს განვითარებული. 134 mm. სიგრძის ნაყოფს muscularis mucosae არ აქვს. 137 mm. სიგრძის ნაყოფს muscularis mucosae უკვე განვითარებული აქვს. Muscularis mucosae ჯერ საყლაპავ მილში ვითარდება, მერმე კუქში და შემდეგ წვრილ ნაწლავში.

Mall (1897—1898) ფიქრობს, რომ 130 mm. სიგრძის ნაყოფების ნაწლავში პერიტალტიური მოძრაობა უკვე არსებობს, ვინაიდან მან ამ სტადიის ემბრიონის ნაწლავში meconium ბრმა ნაწლავამდე ჩადენილი ნახა. Tunica propriaს დიფერენციაცია muscularis mucosae განვითარებაზე უფრო მალე იწყება. 99 mm. სიგრძის ნაყოფის stratum proprium მქიდრო მეზენქიმის შრეს წარმოადგენს. 240 mm. სიგრძის ნაყოფის Stratum propriumში სოლიტარული და აგრეთვე აგრეგატული ლიმფური ჯირკვლები არსებობს. მათი დამოკიდებულება, გამოკვლეულ ობიექტებზე ლიმფის ძარღვებთან დამტკიცებული არ არის.

Stærn ადასტურებს, რომ ლიმფური ჯირკვლები ნაწლავის stratum propriumში და stratum submucosae-სთან მოსაზღვრე ნაწილებში იქ მყოფი მრავალი უჯრედების (ლეეკოციტების) მიტოტიური გაყოფის ხარჯზე წარმოიშობიან.

ირგვლივი ნაოკები (plicae coniventes) Delamerel აზრით (1903) სამი თვის ნაყოფის წვრილ ნაწლავის შუა ნაწილში უკვე გარკვევით არსებობს და წარმოადგენს submucosae მრავალრიცხოვან შემალღებებს, რომელშიც კუნთოვანი გარსი მონაწილეობას არ ღებულობს. იგინი იმდენად პატარა არიან, რომ მათზე მხოლოდ ხუთი ხაო თავსდება.

### მ ს ხ ე ი ლ ი ნ ა წ ლ ა ვ ი

Frederic T. Lewis-ის მიერ. 10 mm. სიგრძის ემბრიონის მსხვილი ნაწლავი ეპითელიური ლულისაგან, უდიფერენციაციო მეზენქიმისაგან და, გამონაკლისით მეზენტერიუმის მიმავარებისა და მისი ბოლოს მახლობ მენჯში, ერთშირიანი პერიტონეული ეპითელიუმისგან შესდგება. ენტოდერმალური ეპითელიუმი ორ შრედ დალაგებულ ბირთვებს გვიჩვენებს. მიტოზები მხოლოდ სანათურთან ახლო მდებარე შრეებში არსებობს.

კოლინჯის განივი დიამეტრი წვრილი ნაწლავის კაუდალურ დიამეტრს თითქმის უდრის და თორმეტგოჯა ნაწლავის განივ დიამეტრზე უფრო ნაკლებია. 42 mm. სიგრძის ემბრიონის განივი კოლინჯის ეპითელიუმში, მაღალი ზერელე მდებარე ბირთვიანი უჯრედებით არის წარმოდგენილი, რომელნიც კონებისმაგვარ ჯგუფებს ჰქმნიან და მათ შორის კი კონცენტრული ჯგუფები დაბალი უჯრედების ბაზალურად მდებარე ბირთვით მოთავსებული არის. მსხვილი ნაწლავის განვითარების დროს არ არსებობს სტადია მისი სანათურის მთლიანად ამოვსებისა უჯრედების გამრავლების ნიადაგზე, რასაც ადგილი აქვს თორმეტგოჯა ნაწლავში. ეპითელიური ლულის გაგანიერება ნელა ხდება. ასე რომ 37-42 mm. სიგრძის ემბრიონის მსხვილი ნაწლავი ბევრად უფრო წვრილია, ვიდრე მეზობელი მლივი და თემოს ნაწლავების გრეხილები, რომელშიც ხაოები ნათლად განვითარებულია. 55 mm. სიგრძის ნაყოფის განივი კოლინჯის ნაკვეთზე 5-6 მორჩები არსებობს.

99 mm. სიგრძის ნაყოფის განივი კოლინჯის მოდელი გვიჩვენებს, რომ ეს მორჩები ნამდვილი ხაოები არის. მათ ფუძეზე ეპითელიუმში უთანაბრო ნაპრალები და ჯიბეები არსებობენ, რომლის ხარჯზე ჯირკვლები წარმოაშობიან. ჯირკვლები ქვეითენ, სიღრმეში, იზრდება და მრავლდება ბიფურკაციის საშუალებით; უჯრედები ჩადრეკილი ადგილების მიდამოში მარცლოვანი და მუქი (უგამქვირვალა) არის. ხაოები კი მოთენილია განქვირვალე, მაღალი, უჯრედებით, რომელნიც ნათლად ლორწოს შეიცავენ.

Patzelმა ნახა 75 mm. სიგრძის ნაყოფის მსხვილ ნაწლავში შემთხვევით ფილისებური უჯრედები და შეამჩნია მათ ყათანი. დამოკიდებულება გამქვირვალე ზერელე უჯრედებსა და ღრმად მდებარე გაუმქვირვალა უჯრედთა შორის ისეთივეა, როგორც წვრილ ნაწლავში.

გართა შრეები: 14,5—16 mm. სიგრძის ემბრიონის მსხვილი ნაწლავის მეზენტიმა *arteria mesenterica inferioris* ტოტებს შეიცავს. ირგვლივი კუნთოვანი შრე, რომელიც თემოს ნაწლავში არსებობს, მსხვილ ნაწლავში ამ სტადიაში არ არსებობს. ირგვლივი კუნთოვანი შრე პირველად სწორ ნაწლავში ჩნდება და აქედან თანდათანობით კრანიალური მიმართულებით ვრცელდება. ასე რომ 22,8 mm. სიგრძის ემბრიონს ირგვლივი კუნთოვანი შრე მხოლოდ მსხვილი ნაწლავის ქვედა ნაწილებში აქვს. 42 mm. სიგრძის ემბრიონს, ირგვლივი კუნთოვანი შრე კოლინჯის მთელ მანძილზე აქვს. გასწვრივი კუნთოვანი შრე 75 mm. სიგრძის ემბრიონს უჩნდება, როგორც მცხრალი მთვარის მაგვარი შესქელება, განივი კოლინჯის ჯორჯლის მიმაგრების ადგილზე. 99 mm. სიგრძის ნაყოფის *taenia mesenterica* ზედმეტად უფრო კარგად განვითარებულია და ამას გარდა დანარჩენი ორი ზონარის განვითარებაც ემჩნევა. ზონარებს შორის სიერცეში უსათუოდ გასწვრივი კუნთის თხელი შრე არსებობს. სწორ ნაწლავში ამ სტადიის დროს გასწვრივი კუნთოვანი შრე კარგად არ არის გამოხატული. 178 mm, სიგრძის ნაყოფს *muscularis mucosae* სწორ ნაწლავში ნათლად აქვს. გარდიგარდმოში კი არ არის. 240 mm. სიგრძის ნაყოფს კოლინჯში *muscularis mucosae* განვითარებული აქვს.

*Plicae transversae* სწორ ნაწლავში 120 mm. სიგრძის ნაყოფს აქვს და კიდევც გასწვრივ ნაკეთზე მოჩანს.

გამობერილი ადგილები (ციცხვები) კოლინჯში, Meckelის გამოკვლევით მეხუთე თვის დასასრულზე ჩნდება და პირველად გარდიგარდმო კოლინჯში. 240 mm. სიგრძის ნაყოფის განივ კოლინჯს ციცხვები კარგად აქვს განვითარებული.

თანხმად გარეთა ნაქდევებისა, რომელნიც გამობერილ ადგილებს საზღვრავენ, შიგნიდან ლორწოიანი გარსის წამოწეული ნაოქები არსებობს.

Meckelმა (1817) მსხვილ ნაწლავში ხაოები მესამე თვეზე აღწერა, როგორც უფრო მდაბალი, ვიდრე წვრილ ნაწლავში, მაგრამ ისეთივე მრავალ რიცხოვანი. მეოთხე თვეზე ნახა მან იგინი არამც თუ თელსაჩინოდ დაპატარაებული, არამედ მათ ქინძისთავის მაგვარი მოყვანილობა იმდენად აღარ ჰქონდათ და უფრო იშვიათი იყო მათი რიცხვი. მერვე თვეზე ხაოების ადგილას ძლიერ დაბალი გასწვრივი ნიოქები გაჩნდა, რომლებიც კოლინჯის შიგნითა ზედაპირს უთანაბროდ ხდიდა.

Dr. H. K. Cornigის აზრით ხაოები ორგვარად წარმოიშობა: თორმეტჯოჯა, მღივ და თქოს ნაწლავის ზედა ნაწილებში ხაოები, როგორც ეპითელიური წარმოზრდილობანი წარმოიშობა და ნაწლავის დანარჩენ მიდამოებში, როგორც ლორწოიანი გარსის გასწვრივი ნაოქები, რომელნიც გარდიგარდმო მიმართულებით დანაოქების საშუალებით განცალკევებულ წარმოქმნებად დაიყოფიან. უკანასკნელიდან ხაოები წარმოიშობა.

„ათი მილიმეტრი სიგრძის ემბრიონის ნაწლავის მთელ მანძილზე არსებობს ხაოები, აგრეთვე მსხვილ ნაწლავში, სადაც იგინი მალე უკუ განვითარებას განიცდიან“.

Brand (1887) და Kölliker (1861) თელიან, რომ მეხუთე თვეზე ხაოები ფუძიდან დაწყებული თანდათანობით ზევით მწვერვალამდე მსხვილდება, მათ შორის მდებარე სივრცე ვიწროვდება და ჯირკვლების სადინარს უერთდება. აწერილი პროცესის დამთავრება მეშვიდე თვეზე თავდება.

Hiltonი (1902) კი ადასტურებს, რომ ხაოების დამოკლებას და მოსპობას ნაწლავის გადიდება იწვევს; ასე რომ ჯირკვლების შემადგენლობაში იგინი არ შედიან.

Bizzozzerმ ხერხემლოვანების სხედასხვა წარმომადგენელთა, როგორც რთულად აგებულზე ისე უპარტივესებზედაც, ნაწლავის ჯირკვლების გამოკვლევა აწარმოვა. შედეგად თვისი ურიცხვი გამოკვლევებისა მან დააარსა საკუთარი თეორია ჯირკვლოვანი და თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმის ურთიერთ შორის დამოკიდებულობის შესახებ ერთის მხრივ, და ცილინდრული და ფიალისებრი უჯრედების ურთიერთშორის დამოკიდებულების შესახებ მეორეს მხრივ. ძეშუშოვართა შორის ავტორმა ძალადინისა და თავების სწორი და თორმეტჯოჯა ნაწლავის ჯირკვლები გამოიკვლია.

თავების სწორი ნაწლავის ლორწოიან გარსში, ამბობს ავტორი, ლულის-მაგვარი ჯირკვლები არის მოთავსებული. ჯირკვლები ორგვარი უჯრედებით არის გამოფენილი: პროტოპლაზმატიური და ლორწოიანი. პროტოპლაზმატიუ



რი უჯრედების რიცხვი შედარებით უფრო ბევრია; მათი ფორმა და კონფიგურაცია ჯირკვლების სხვადასხვა მიდამოში სხვადასხვაობას განიცდის.

ჯირკვლების ბრმა ბოლოს მიდამოში მათ თავწაკვეთილი პირამიდის მოყვანილობა აქვთ და თვისი ფუძით *membrana propria*-ზე ძვეს. ბირთვი მრგვალი ანუ ოვალური უჯრედის ბაზალურ ნაწილშია მოთავსებული. ბრმა ბოლოს ოდნავ ზევით უჯრედების მოყვანილობა თანდათან იცვლება. უჯრედები ოდნავ ილუწნება და თვისი გამოდრეკილი კიდეით ლორწოვანი გარსისკენაა მიმართული და მასთან ერთად ისე ალაგია, რომ ისინი ოდნავ ირიბად ჯირკვლის ღერძთან აწყვიან. რის გამოც მათი თავისუფალი ბოლო უფრო მაღალ დონეზე ძვეს, ვიდრე ბაზალური *membrana propria*-ზე მდებარე ბოლო. ბირთვი თავის ოვალურ ან მრგვალ მოყვანილობას და მდებარეობას ინარჩუნებს.

უჯრედების მოყვანილობისა და დალაგების ცვლილებანი მით უფრო მკაფიოდ აღინიშნება, რაც უფრო უახლოვდებით მათ ზედა ბოლოს, რომლითაც ისინი თავისუფალ ზედაპირს ერთიან.

თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმში პირამიდისმაგვარი მოყვანილობისა არის და პირიქით, ჯირკვლების ღრმა ბოლოების პირამიდულ უჯრედებთან შედარებით, თვისი ფუძით ზევით არის მიმართული.

მოყვანილობის ცვლილებების გარდა პროტოპლაზმატიური უჯრედების პროტოპლაზმისა და მათი თავისუფალი ზედაპირის მხრივ მოდიფიკაცია არსებობს. ჯირკვლების ქვედა ორი მესამედის მიდამოში ეპითელიუმის პროტოპლაზმა საკმარისად ნათელი და დიდი გადიდების დროს ჰომოგენური სუბსტანციით არის წარმოდგენილი, რომელშიც ძლიერ წვრილი ძაფებისაგან შემდგარი ბადე გაფანტული არის. ჯირკვლის ზედა მესამედში პირიქით პროტოპლაზმა ყოველთვის მარცვლოვანია და ეს უკანასკნელი იმით არის გამოწვეული, რომ ბადე უფრო მჭიდროდ განვითარებული არის და ბადის მარჯუმებს შორის მდებარე ნივთიერება კი იშვიათად არის განვითარებული.

უჯრედის თავისუფალი ბოლო ჯირკვლის ორ ქვედა მიდამოში ძლიერ წვრილი ხაზით არის დაჩთული. ჯირკვლის ზედა მესამედში უჯრედის ზედა ბოლო ზოლიანი ყაენით არის დაჩთული, რომლის სისქე თანდათანობით მატულობს, სანამ მისი სისქე თავისუფალი ზედაპირის ზოლიანი ყაენის სისქეს არ გაუთანაბრდება.

ლორწოვანი უჯრედები აგრეთვე, მათი მდებარეობის მიხედვით, მოყვანილობისა და სტრუქტურის მხრივ საგრძნობ ცვლილებებს განიცდის.

ჯირკვლის ქვედა ბრმა ბოლოში, უჯრედებს აქვთ მოყვანილობა, რომელნიც მათ გარეშე მდებარე პროტოპლაზმური უჯრედებიდან ნაკლებად განიარჩევიან. იმ ადგილას, სადაც უჯრედები ლორწოს შეიცავენ, გაგანივრებული არი ბირთვი ფუძეში ჩაწეული და განივად ძვეს. რაც უფრო ზევით და ზევით ავიწევთ, მით უფრო მატულობს ლორწოს წვეთების რაოდენობა და უჯრედი მსხლის მაგვარ მოყვანილობას ღებულობს. ვანიერი ნაწილი თავისუფალი ზედაპირისკენ არის მიმართული. ვიწრო ნაწილი პირიქით ბირთვს შეიცავს და ნისკარტისმაგვარად წაზრდილი *membrana propria*-ზე თავდება. ნახსენები უჯრედები ისე, როგორც ცილინდრული გახრილი და თვისი გამოდრეკილი კიდეით

თავისუფალი ზედაპირისკენაა მიმართული. ამას გარდა უჯრედების მოყვანილობა თანდათანობით იცვლება, სანამ ლორწოიანი გარსის ეპითელიუმის ფიალისებრ უჯრედებად შეიქმნებოდეს.

არა ნაკლებ მნიშვნელოვან მოდიფიკაციას განიცდის ლორწოს გროვა, რომელსაც უჯრედი შეიცავს, როგორც სტრუქტურული, ისე რეაქციის მხრივ.

ჯირკვლის ბრმა ბოლოში მყოფ უჯრედებში ლორწო ჰომოგენური ნივთიერებით არის წარმოდგენილი, რომელშიც ძლიერ ნაზი ძაფებისგან შექმნილი ბადე არსებობს. ჰომოგენური ნივთიერება არ იღებება *wesuwinnit*, ბადე კი უკანასკნელით ოდნავ იღებება. ზევითა მიდამოში ბადე უფრო მსხვილია და უკეთესად იღებება *wesuwinnit*. ჯირკვლების ქვედა  $\frac{2}{3}$  მიდამოში მდებარე უჯრედებს შორის ძლიერ ხშირად მიტოტიური გაყოფის ფიგურები არსებობს, მაშინ როდესაც კარიოკინეზული მოვლენები ჯირკვლების ზედა მიდამოში და თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმში სრულიად არ არსებობს.

კარიოკინეზული გაყოფის მოვლენების არსებობა მხოლოდ ჯირკვლების ქვედა ბრმა ბოლოში და აგრეთვე უკვე აღნიშნული თანდათანობითი ანატომიური და ქიმიური მოდიფიკაციები, რომელთაც ორივე უჯრედოვანი ფორმები ჯირკვლის ბრმა ბოლოდან თავისუფალ ზედაპირისკენ განიცდის, Bizzozzerის აზრით, ჯირკვლოვანი ეპითელიუმის თანდათანობით თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმად გადაქცევას ამტკიცებს.

Bizzozzerიმ აგრეთვე ძაღლების სწორი ნაწლავის ჯირკვლებიც გამოიკვლია და ამბობს, რომ ძაღლების სწორი ნაწლავის ჯირკვლები ლულისმავარი მოყვანილობისა არის, რომელიც ორგვარი უჯრედებით გამოფენილია: ლორწოიანი უჯრედები და მათ შორის პროტოპლაზმატიური უჯრედები.

აეტორი ახდენდა ფიქსაციას Eiemmingისა, Hermannისა და Müllerის სითხესა და *alkohol*ში. ლებავდა *safranin*ით, *methylenblau*ით და *hämatoxylin*ით.

ჯირკვლის ქვედა ნახევარში და ნამეტურ ბრმა ბოლოს მიდამოში, ლორწოიანი უჯრედების რიცხვი სჭარბობს პროტოპლაზმატიური უჯრედების რიცხვს. ასე რომ ყოველ ორ ლორწოიან უჯრედს შორის მხოლოდ ერთი ან სულ ბევრი ორი პროტოპლაზმატიური უჯრედი არის. ჯირკვლის ზედა ნახევარში კი პირიქით პროტოპლაზმატიური უჯრედების რიცხვი სჭარბობს ლორწოიანი უჯრედების რიცხვს, ასე რომ ლორწოიანი უჯრედები რამდენიმე სხვაგვარი უჯრედებით ერთი მგორისაგან განშორებულია. თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმში კი მხოლოდ ცილინდრული უჯრედებით არის წარმოდგენილი.

პროტოპლაზმატიური უჯრედების მორფოლოგიური ნიშნები იგივე მოდიფიკაციას განიცდის, რომელიც ჩვენ უკვე თავის ნაწლავში შეგვხვდა. ბირთვი ოვალური უჯრედის ქვედა ბოლოშია მოთავსებული. თავისუფალი ზედაპირი ნაზი ყუთნითაა მოსილი. პროტოპლაზმა შედარებით თავისუფალ ზედაპირის უჯრედებთან უფრო ნაკლებად მარცვლოვანია. უჯრედების გვერდითი კონტურები მკაფიოდ არ არის გამოხატული.

ჯირკვლების ზედა ნაწილში უჯრედების სიგრძე და სიგანე თანდათანობით მატულობს და ამას გარდა თანდათანობით ასაკში შესული უჯრედის ნიშნებს ლებულობს: პროტოპლაზმა უფრო მარცვლოვანია; ბირთვი უფრო უჯრედის ცენტრ-

როს უახლოვდება; გვერდითი კონტური უფრო მკაფიოდ ემჩენება და ამას გარდა თავისუფალი ბოლო კარგად განვითარებული ზოლიანი ყეთონით არის შემოსილი.

ლორწოს გამომყოფი უჯრედები, რაც უფრო თავისუფალ ზედაპირს უახლოვდებიან, მით უფრო მეტ ლორწოს შეიცავენ.

ამგვარად ძალის სწორი ნაწლავის ჯირკვლოვანსა და თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმის შორის განსხვავება არსებობს, მაგრამ პირველსა და მეორეს შორის, ყველა გარდამავალი სტადიის ფორმები არსებობს და უკანასკნელი ჯირკვლის სხეულში საფეხურივით დალაგებული არის. „რომ ეს თანდათანობითი მოდიფიკაციები ორივე ეპითელიური უჯრედთა გვარში ნაწლავის ზედაპირის ეპითელიუმის წარმოშობას ჯირკვლებიდან უჩვენებს, აგრეთვე ძალღების სწორ-ნაწლავში მიტოზების სტადიებით მტკიცდება“.

მიტოზები ძალღების სწორი ნაწლავის ჯირკვლებში მრავალ რიცხოვანია, რაც დამოკიდებულია მუდმივ და ბევრი ეპითელიუმის მოვარდნაზე. უკანასკნელს ადასტურებს ის ფაქტი, რომ ლორწო, რომლითაც ნაწლავის ზედაპირი დაფარულია მოვარდნილი ეპითელიუმის უჯრედების დიდ რიცხვს შეიცავს. ლორწოიანი გარსის ნაკვეთზე სისქით 5—10-μ. და სიგრძით 7 mm. Bizzozzerის დათვლით მოვარდნილი უჯრედების რიცხვი 50 უდრის. ამას გარდა, როგორც Bizzozzerი ამბობს, მათი რიცხვის დანამდვილებით დათვლა შეუძლებელია, ვინაიდან მოვარდნილი უჯრედები თავის ფორმას კარგავს. ამას გარდა სხვაგვარის ცხოველის სხვადასხვა პირობების გამო მათი რიცხვი დიდ ცვლილებას განიცდის.

ძალღების თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმში აგრეთვე მიტოზები სრულიად არ არსებობს. უკანასკნელები ძლიერ მრავალრიცხოვანი ჯირკვლების ბრმა ბოლოში არის. ჯირკვლების შუა მესამედში მათი რიცხვი კლებულობს და ჯირკვლები ზედა მესამედში კი სრულიად არ არსებობს. ამგვარად ავტორის აზრით უჯრედების წარმოშობი ადგილი ჯირკვლების ბრმა ბოლოებია.

ჯირკვლებში მიტოზების მოვლენების არსებობასთან ერთად, ლორწოიანი უჯრედების წარმოშობის საკითხი დგება.

ავტორმა თავისი გამოკვლევის დროს შეამჩნია უჯრედები, რომელნიც მათი მოყვანილობის მიხედვით არც პროტოპლაზმატიურსა და არც ლორწოიან უჯრედებს დანამდვილებით არ ეკუთვნოდნენ და მათში მიტოტიური მოვლენების გარდა ლორწოს ნივთიერება არსებობდა. უკანასკნელი ნიშნის გამო აღწერილი უჯრედები ლორწოიანი უჯრედების წარმოშობა ელემენტს უნდა წარმოადგენდნენ.

უკანასკნელ ელემენტებს Bizzozzerი ყურადღება მიაქცია, როდესაც ჯირკვლების გასწვრივი ნაკვეთები alcoholში ფიქსაციის შემდგომ, გამოიკვლია და თავისი დაკვირვებანი სხვა საფიქსაციო სითხეებში (sublimat, picrin მჟავა) ფიქსაციის შემდეგ დაადასტურა.

უჯრედთა შორის, რომლითაც ჯირკვლოვანი ლულები გამოფენილია, მან შეამჩნია ტუპი უჯრედები, რომლებიც უფრო ვიწრო და დაბალი იყო, ვიდრე მეზობელი ჩვეულებრივი უჯრედები. მათი პროტოპლაზმა ნათელია და შიგ ძლიერ ნაზი ძაფებისაგან შექმნილი ბადე არსებობს. ამ დაკვირვების შემდეგ

Bizzozzerმ შენიშნა, რომ უჯრედები ყოველთვის ტყუპად არის და ერთმანეთს ძლიერ ჰკავს, რომ მკიდროდ ერთიმეორესთან ალაგია, მაშინ როდესაც ასაკში შესული ლორწოიანი უჯრედები ყოველთვის გაშორებულია მათ შორის მდებარე უჯრედებით; ლორწოიან უჯრედებთან შედარებით უფრო პიტარა არის; მათი ბირთვი, როგორც ლორწოიან უჯრედებში, membrana propriaზე მოთავსებული არ არის, არამედ მოთავსებულია გვერდით ნაწილზე, რომლითაც ნახსენები უჯრედები ერთი მეორეს ეხება.

ამას გარდა Bizzozzerმ საღებავი ნივთიერებით დაადსტურა, რომ უჯრედებში მყოფი ნივთიერება ლორწოს წარმოადგენს, ვინაიდან იგინი დანამდვილებით ისე, როგორც ლორწოიანი ნმდვილი უჯრედები იღებება: safraninით ყვითელ ფერად alcoholში ფიქსაციის შემდეგ; hæmatoxylinით ან methylenblauთი ნუჟი იისფრად ან ცისფრად ობიექტის Hermannისა ან Flemmingის სითხეებში ფიქსაციის შემდეგ.

რომ უჯრედების ფორმის სხვადასხვაობა მხოლოდ კარიოკინეზის სხვადასხვა სტადიის გამომხატველია, Bizzozzerმ ნათლად დაამტკიცა თავისი ორფრად შედეგის მეთოდით Safraninით და hæmatoxylinით. ლორწოიანი უჯრედები იისფრად იღებება და ეს უკანასკნელი იძლევა საშვალებას იგინი სხვა დანარჩენი ჩვეულებრივი მიტოზებისაგან გავარჩიოთ.

მაშინ როდესაც ჩვეულებრივი მიტოზები ჯირკვლების ქვედა მესამედში მთელ მანძილზე არსებობს, ლორწოიანი უჯრედების მიტოზები მხოლოდ ბრმა ბოლოს უჯრედთა შორის არსებობს.

ამგვარად ერთის მხრივ მიტოზების მხოლოდ ჯირკვლოვან ლულებში არსებობა და მეორეს მხრივ თანდათანობით გარდაქმნა, როგორც პროტოპლაზმატიური ისე ლორწოიანი უჯრედების ჯირკვლების ბრმა ბოლოდან დაწყებული მათ ყელამდე, დამამტკიცებელია, ავტორის აზრით, იმისა, რომ ძაღლების სწორ ნაწლავში თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმი ჯირკვლოვანი ეპითელიუმიდან წარმოიშობა.

ჩვეულებრივი მიტოზების გარდა, ისეთი მიტოზებიც არსებობს, რომლის სხეული უკვე ლორწოიან ნივთიერებას შეიცავენ და რომელიც უსათუოდ ფილისებური უჯრედების რეგენერაციისთვის არსებობს.

სწორი ნაწლავის გარდა Bizzozzerმ აგრეთვე თორმეტგოჯა ნაწლავის გამოკვლევაც აწარმოვა როგორც ძაღლებზე ისე თავგებზე.

ძაღლების თორმეტგოჯა ნაწლავის ჯირკვლოვან ლულებში აგრეთვე მრავალრიცხოვანი მიტოზები აღმოაჩინა. უკანასკნელის რიცხვი ძლიერ ბევრია ჯირკვლების ქვედა ბოლოებში და თანდათანობით უფრო იშვიათია ჯირკვლების ზედა ნახევარში. ჯირკვლოვანი ეპითელიუმი პროტოპლაზმატიური და ლორწოიანი უჯრედებით არის წარმოდგენილი, ჯირკვლოვანი და თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმის უჯრედებს შორის, როგორც ოდენობისა, ისე აგებულების მხრივ საკმარისი ვანსხვაება არსებობს, მაგრამ, ავტორი ამბობს, რომ თუ მოვახდენთ გამოკვლევას ქვედა ჯირკვლების ბოლოდან დაწყებული და თანდათანობით ზევით თავისუფალი ზედაპირისკენ ხაოებამდე შეჰყვებით, დავინახავთ, რომ ჯირკვლოვანსა და ხაოს ეპითელიუმს შორის ღრმა საზღვარი არავითარი არსებობს.

ეპითელიუმის მოყვანილობისა და სტრუქტურის შეცვლა თანდათანობით ხდება. ბრმა ბოლოში პროტოპლაზმატიურ უჯრედებს გრძელი თავწაწრილი პირამიდისებრი მოყვანილობა აქვსთ. ფუძე membrana propriaზე ძვეს. მწვერვალი ჯირკვლის სანათურისაკენ. ბირთვები ფუძის მახლობლად. ოდნავ ზევით მებობელ უჯრედებში თავისუფალი ბოლო უკვე განივრდება და ნაჩი ხაზით მოსაზღვრული არის. ზევით და ზევით ჯირკვლის ყელამდე უჯრედებში ცვლილებები თითქმის არავითარი არსებობს. გარდა იმისა, რომ თავისუფალი ზედაპირი უფრო სქელია ხაზით არის მოსაზღვრული, რომელიც მცირე გადიდების დროს ჰომოგენურია და დიდი გადიდების დროს კი უჯრედის გასწვრივი ლერძის თანასწვრივი ზოლები ეტყობა.

როდესაც ჯირკვლოვანი ეპითელიუმი ხაოს ფუძეზე მიახწევს, მასზე გადადის და თავის ნიშნებს თითქმის საყვებით ინარჩუნებს; გარდა იმისა, რომ უჯრედები უფრო მალალი და ვიწრო არის. ყაეთანა უფრო სქელი; ხაზები უფრო კარგად გამოხატული. ბირთვი უჯრედის ცენტროს უახლოვდება.

ლორწოიანი უჯრედებიც ადგილის მიხედვით სადაც იგინი არიან სხვადასხვა მოყვანილობისაა.

ბრმა ბოლოში ისინი თავწაწვეთილი პირამიდისმაგვარი არიან. მათი გარეთა ნახევარი პროტოპლაზმატიურია და ოვალურ ბირთვის შეიცავს. შიგნითა ნახევარი ლორწოს შეიცავს. თავისუფალ ბოლოზე ხერხელი არსებობს, რის საშუალებითაც სეკრეტი ჯირკვლის სანათურში გაშოდის. ოდნავ ზევით უჯრედის მოყვანილობა დაახლოვებით იგივეა. მაგრამ ბირთვის გარშემო პროტოპლაზმის რაოდენობა კლებულობს და ანას გარდა ბირთვის ბაზალური მდებარეობა აქვს. ზევით და ზევით უჯრედების ფორმა იცვლება, იგი თანდათანობით სქელდება და უფრო ფიალას მოყვანილობას ღებულობს: ბირთვი შეპრატყელებული და პერიფერიისკენ შეწეულია. დანარჩენი მთელი სივრცე, რომელიც უჯრედის გარსით არის შემოსაზღვრული, ლორწოთია გავსილი. პროტოპლაზმა სხოლოდ ბირთვის ქვეშით არსებობს და აქვს კონუსის მოყვანილობა, რომლის მწვერვალი membrana propriaსკენ იცქირება. ბირთვის მცბრალი მთეარის მოყვანილობა აქვს და ჩვეულებრივი ბირთვის საღებავებით ოდნავ ინტენსიურად იღებება და მარცვლებს შეიცავს. აღწერილი ნიშნების უჯრედები ჯირკვლის ყელამდე არსებობს, როდესაც ხაოებამდე მიახწევენ, მათი ფორმა უეცრივ იცვლება.

პროტოპლაზმატიური უჯრედები მაშინვე გრძელ და ვიწრო ფორმას ღებულობს; ნამეტურ ბაზალური ბოლოები ვიწროვდება, რომელიც კონუსისმაგვარ მოყვანილობას ღებულობს და თავის მწვერვალით membrana propriaსკენ იცქირება. კონუსის ფუძეში [ვიწრო ნაწილში] ბირთვია მოთავსებული. უკანასკნელს გაგრძელებული მოყვანილობა აქვს და მისი გასწვრივი ლერძი, უჯრედის გასწვრივი ლერძის პარალელურად ძვეს, მაგრამ თავის ძლიერი შეღების უნარს მანინც ინარჩუნებს.

Bizzozzeri აზრით ლორწოიანი უჯრედების ფორმის განსხვავება ჯირკვლის ბრმა ბოლოში მდებარე პირამიდისმაგვარი უჯრედების თანდათანობით მოდიფიკაციით არის გამოწვეული. უკანასკნელ აზრს აგრეთვე ის ფაქტი ადასტურებს, რომ უჯრედების მორფოლოგიურ ცვლილებასთან ერთად იმავე ნაბიჯით

მათ მიერ გამოშუქებული ლორწო ქიმიურად მოდიფიკაციას განიცდის. ავტორმა მის მიერ safranით შეღებილ ნაკეთებზე გამოკვლევის დროს შეამჩნია, რომ ლორწოს შეღებვის უნარის ინტენსიობა ცვლილებას განიცდის. ჯირკვლების ბრმა ბოლოებში წითურ-ყვითელი ფერისაა, მაშინ როდესაც ოდნავ მოშორებით ზემოთ წმინდა ყვითელი ფერის არის [ლორწო].

ამგვარი შეღებვის განსხვავებას არამც თუ უჯრედებში მყოფი, არამედ ჯირკვლის სანათურში და აგრეთვე თავისუფალ ზედაპირზე მყოფი ლორწოც განიცდის.

როგორც მსხვილ ნაწლავში, ისე თორმეტგოჯა ნაწლავშიც ლორწოიანი უჯრედების სეკრეტის მხრივ თანდათანობით ქიმიური მოდიფიკაცია არსებობს, რომელიც ჯირკვლის ღრმა ბოლოდან იწყება და თანდათანობით თავისუფალი ზედაპირისაკენ ვრცელდება.

ამგვარად ახალგაზრდა ლორწოიანი უჯრედები ჯირკვლის ბრმა ბოლოებში წარმოიშობა მრავალრიცხოვანი გაყოფის საშუალებით, რომელსაც აქ აქვს ადგილი. პირველად წარმოიშობა ცილინდრული და პირამიდისებრი უჯრედები, რომელთაც სხვადასხვა დანიშნულება აქვს: ერთი წილი პროტოპლაზმატურ უჯრედებად რჩება და მეორე კი ლორწოიან უჯრედებად იქცევა.

ავტორი ამბობს, რომ ახლად წარმოშობილი ლორწოიანი უჯრედების შენიშვნა ძნელია, ვინაიდან ახლად შექმნილი ძლიერ პატარა ლორწოს მარცვლებს მარცვლოვანი პროტოპლაზმა ემატება, რომელშიც იგინი დალაგებულია. მის შემდგომ, რაც უჯრედში ლორწოს რაოდენობა მატულობს ბირთვს და პროტოპლაზმას ფუძისკენ დევნის.

თავების თორმეტგოჯა ნაწლავის ჯირკვლოვანი ლულები, ამბობს ავტორი, ვინაიდან იგინი ძლიერ მოკლე არიან, საშუალებას იძლევიან, რომ ისინი მთლიანად იყვნენ გამოკვლეული მხედველობის არეში, დიდი გადიდებითაც, რაც ბუნებრივად აადვილებს შედარებას ერთიმეორესთან იმ ელემენტებისას, რომლითაც შიგნიდან ჯირკვლოვანი ლულა გამოფენილია.

თავების თორმეტგოჯა ნაწლავის ჯირკვლოვან ლულებში Bizzozzerის გამოკვლევით სამგვარი უჯრედები არსებობს: პროტოპლაზმატური, ლორწოიანი და ეგრეთფოლდებული Panetის უჯრედები.

პროტოპლაზმატურ უჯრედებს ჯირკვლის ბრმა ბოლოში ოვალური ბირთვი აქვთ დართული, რომელიც უჯრედის ქვედა ნაწილშია მოთავსებული. უჯრედების კონტური მკაფიოდ არის გამოხატული და მათი თავისუფალი ბოლო ძლიერ ნაზი ხაზით არის მოსაზღვრული. თანდათანობით ზევით, დაახლოებით უჯრედის შუა ნაწილზე თავისუფალ ბოლოზე უფრო მკაფიოდ დაბაზული ყავთანი ჩნდება, რომელიც სწრაფად სქელდება და უკვე ჯირკვლის ყელის მიდამოში თითქმის თავისუფალი ზედაპირის უჯრედის ყავთანს უთანაბრდება. ამგვარად დაბაზული ყავთანი, ამბობს ავტორი, განსხვავებით ნიშნად არ ჩაითვლება ხაოსა და ჯირკვლების ეპითელიუმს შორის. ბირთვი ჯირკვლის მთელ მანძილზე უჯრედის ბაზალურ ბოლოში ძვეს. მხოლოდ ხაოს ფუძიდან ბირთვი უჯრედის შუა ადგილის მიმართვას იწყებს; იმავე დროს იგი უფრო პატარა და მომრგვალო არის,

მისი ქრომატინი safranით უფრო ინტენსიურად იღებება. პროტოპლაზმის მხრით ავტორის აზრით თვალსაჩინო განსხვავება არ არსებობს.

ლორწოიანი ჯირკვლების რიცხვი შედარებით ძლიერ ცოტა არის. ბევრ ჯირკვალში მხოლოდ 2—3 ლორწოიანი უჯრედის დანახვა შეიძლება. ზოგიერთში სრულიად არ იხედება. ზოგიერთში კი, პირიქით, მათი რიცხვი 4-მდე ახწევს. რაც შეეხება მათ მდებარეობის ადგილს, ივინი ბრმა ბოლოში თითქმის არასოდეს არიან. ბრმა ბოლოდან განსაზღვრული მანძილის დაშორებით იწყებიან და აქედან თანდათანობით ჯირკვლის მთელ მანძილზე და ნაწლავის ლორწოიანი გარსის მთელ თავისუფალ ზედაპირზე ხაოების ბოლომდე ვრცელდებიან. მათ გაგრძელებული ფიალის მოყვანილობა აქვთ. უჯრედის ზედა ნაწილი ლორწოს შეიცავს და ქვედა კი ბირთვს. ბირთვი ჩვეულებრივად ოვალურია, ცოტა რაოდენობის პროტოპლაზმით გარშემორტყმული და თავისი მოყვანილობით და მდებარეობით ძლიერ ცოტად განიჩქევა მეზობელ პროტოპლაზმატური უჯრედებთან. ხაოების მიდამოშიც ლორწოიანი უჯრედები გრძელ მოყვანილობას ინარჩუნებენ, მხოლოდ ბირთვი კი უფრო ცენტრალურად არის მიწეული. პროტოპლაზმა, რომელიც ბირთვის გარშემო შემოვლებულია, უჯრედის ქვედა ბოლოში თავსდება.

ლორწოიანი ნივთიერება პირიქით მთლიან და სკელ გროვას წარმოადგენს, რომელიც უჯრედის გაგანივრებულ ბოლოშია დაგროვილი, სადაც გამოდის და ჯირკვლის სანათურში დაგროვილ ლორწოს უერთდება. ცოცხალ უჯრედში, თუ წინასწარ საფიქსაციო სითხეს ზედ არ უშოქმედია, მომრგვალო ოდნავ მკრთალი მარცვლების მოყვანილობა აქვს. უკანასკნელი სტრუქტურა საფიქსაციო ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ ადვილად იკარგება, მაგრამ მარცვლოვანი სტრუქტურის შენარჩუნება და მათი გამოკვლევა შეიძლება, თუ საფიქსაციო ნივთიერებად picrinის მკავას [Panet] და Hermannის სითხეს ვიხმართ.

ლორწოიანი ნივთიერება alkoholში ან picrinის მკავაში ფიქსაციის შემდეგ, safraninის ხსნარით წყალში ინტენსიურ ყვითელ ფრად იღებება.

Flemmingისა და Hermannის სითხეებში ფიქსაციის შემდეგ ლორწოიანი ნივთიერება მშვენივრად hämatoxylinით და Methylenblauთი იღებება, მაშინ როდესაც სხვა ყველა დანარჩენი ქსოვილები შეუღებავი რჩება.

1887 წ. Panetმა თავისა და ვირთავის ჯირკვლების ბრმა ბოლოებში უჯრედები აწერა, რომელნიც მსხვილ და პრიალა მარცვლებს შეიცავს და სხვა უჯრედთა შორის ალაგია. უკანასკნელი უჯრედები Panetის მიერ სეკრეტორულ ელემენტებად არის მიჩნეული. რაც შეეხება Panetის და ლორწოიანი უჯრედების ურთიერთ შორის დამოკიდებულების საკითხს, Panetმა სწო მის მიერ აწერილი მარცვლოვანი უჯრედები სრულიად ლორწოიანი უჯრედებიდან დამოუკიდებლად წარმოქმნად.

Panetი ამბობს: „ეს მარცვლებით ავსილი უჯრედები კრიპტების ბოლოებში ალაგია. მარცვლები [ანუ წვეთები], ახალ ცოცხალ პრეპარატზე საშუალო შექტებისა არიან, არა ისე მძლავრი, როგორც ცხიმი“. სხვადასხვა ოდენობის და უმთავრესად ბევრად უფრო დიდები, ვიდრე მარცვლები თავის ფიალისებრ უჯრედებში და ევრეთვე tritonისა. კრიპტებში ხანდახან ბევრი, ხანდახან ერთი-

დან ორამდე, ამ წვეთებით გავსებული უჯრედები არიან, ან, როგორც ეწინევა. ნბოლოდ ცოტა წვეთები უჯრედებში ალაგია“. რაც შეეხება მარცვლების შეღების უნარს, Paneti ამბობს: „იგინი ითვისებენ ყველა საღებავ ნივთიერებათ და ზამეტურ ძლიერ მაგრად იღებებიან: hämatoxylinით, safranით, methylenblauთი, eosinით. jodgrünით. ამავე საღებავებს იგინი ალკოჰოლში გარეცხის. დროს უფრო დიდხანს ინარჩუნებენ, ვიდრე ბირთვები. ამასთან ერთად ეს მარცვლები შეღებისთვის შეუკვლელად იღებებიან და ამით ფიალისებრი უჯრედების მარცვლებიდან განსხვავდებიან, რომელიც ამას გარდა ბევრად უფრო პატარანი არიან“. კერძოდ safranით შესახებ Paneti ამბობს: „იგინი საფრანგით ინტენსიურად იღებება, მაშინ როდესაც ფიალისებრი უჯრედები ან ჰომოგენური ან შეღებული ან წითელ ყვითელ მარცვლებით გავსილი არიან“.

Paneti დაკვირვებით ფიალისებრი უჯრედები ჯირკვლების ბრმა ბოლოში ძალიან იშვიათად არის და კიდევაც რომ შეგხედეს, მარცვლოვანი უჯრედებიდან ძლიერ განირჩევა. მისი აზრით მარცვლოვანი უჯრედებში წარმოშობილ სეკრეტს სხვა მორფოლოგიური და ქიმიური უნაი შესწევს, ვიდრე ფიალისებრი უჯრედების მარცვლებს. ამას გარდა Paneti არ ექვეება, რომ მარცვლოვანი უჯრედები ეპითელიური უჯრედებიდან წარმოიშობიან და მათი სეკრეტი ჯირკვლის სანათურში იქცევა.

Bizzozeroმ თვისი დაწვრილებითი დაკვირვებით აღმოაჩინა, რომ Panetისა და ფიალისებრი უჯრედებს შორის თანდათანობითი გარდამავალი სტრუქტურის უჯრედების ფორმები არსებობენ და დარწმუნდა, რომ Panetის უჯრედები ახალგაზრდა ჯორმის ფიალისებრი უჯრედებს წარმოადგენენ. უკანასკნელი თავისი დასკვნა Bizzozeroმ მრავალი მის მიერ ნახვარი მეთოდით დაამტკიცა.

Flemmingის სიტხეში ფიქსაციისა და safranით შეღებულ პრეპარატზე, ამბობს Bizzozero, პირველი დაკვირვების დროს გვეგონება თითქოს Panetისა და ლორწოვანი უჯრედებს შორის არაუვითარი საერთო არ არის. Panetის უჯრედებს პირამიდისმაგვარი მოყვანილობა აქვთ. ფუძე ძლიერ განიერი. ბირთვს უანივი მდებარეობა აქვს. პროტოპლაზმაში მრგვალი, წითლად შეღებილი მრავალრიცხოვანი და საკმარისად დიდი მარცვლები. ყველა მარცვლები ერთი და იმავე ოდენობის არ არის. მარცვლების რიცხვი უჯრედის ნაწილში, რომელიც ჯირკვლის სანათურისკენ იქცეება, უფრო იშვიათია, ვიდრე იმ ნაწილში, რომელიც ბირთვს შეიცავს. მარცვლებთა შორის უფრო გამჭვირვალე ნივთიერება არსებობს.

ლორწოვანი უჯრედებს კი კონუსის მოყვანილობა აქვთ; ბირთვი ოვალურია. კონუსი ლორწოვანია ამოვილი, რომელიც safranით ვარდისფრად შეღებულ მასას წარმოადგენს. არაუვითარი მარცვლები ლორწოში არ მოიპოვება. მიუხედავად ამანაირი ღრმა მკვეთრი განსხვავებისა ორ ნახსენებ უჯრედთა შორის Bizzozeroმ ხანგრძლივი დაკვირვებისა და გამოკვლევების შემდეგ შესძლო მათ შორის გარდამავალი ფორმების ნახვა. ჯერ ერთი მან Panetის უჯრედები არამც თუ ჯირკვლის ბრმა ბოლოში, არამედ მის შუა ადგილზე ზეითაც ნახა. უკანასკნელთ პირამიდის მოყვანილობა არ აქვსთ, არამედ ლორწოვანი უჯრედების ფორმას უახლოვდებიან, ე. ი. გრძელი და ვიწრო, ბირთვი უჯრედის გასწვრივი ლერძის თანასწერივ მდებარეობას ლებულობს. თუმცა პროტოპლაზმა კარგად



შეღებულ მარცვლებს ისევე შეიცავს, მაგრამ მათი ოდენობა შედერაბით უფრო ნაკლებია. შემდეგ უჯრედები იხედებიან, როგორც მათი safraninით შეღებულ მარცვლებით Panetის უჯრედებს ეკუთვნიან, მხოლოდ მარცვლების ოდენობა ძლიერ ცოტა არის. უჯრედის ბირთვი ლორწოიანი უჯრედების ბირთვის მოყვანილობას ლებულობს. ამას გარდა მარცვლებს შორის მდებარე ნივთიერების რაოდენობა ძლიერ მატულობს, safraninით იმავე ვარდისფერში შეღების უნარს ლებულობს. როგორც ლორწოიანი უჯრედების ლორწო. ამგვარად უკანასკნელი გარდამავალი ფორმა თითქმის ყველაფრად ლორწოიან უჯრედებს უთანაბრდება, რომელნიც მხოლოდ ლორწოში გაბნეულ და ნაზ ინტენსიურ წითელ ფრად შეღებულ მარცვლებს შეიცავენ, როგორც მათი პრიმიტული წარმოშობის ნიშანს. safraninის გარდა Bizzozeroმ გარდამავალი ფორმების აღმოჩენა აგრეთვე methylenblauის და hämatoxylinითაც შესძლო, რომელნიც, როგორც ვიცი, ლორწოს ძლიერ ინტენსიურად და ბირთვს მხოლოდ ოდნავ ლებავენ. უკანასკნელი საღებავებით შეღებითაც Bizzozeroმ Panetის უჯრედები მათთვის დამახასიათებელი პირამიდის მოყვანილობით და მარცვლებით ჯირკვლის ბრმა ბოლოშიც ნახა. შემდეგ ზევით ამავე გვარის უჯრედები, რომელნიც, ნამეტურ თავისუფალი ბოლოს მიდამოში, უფრო პატარა მარცვლებს შეიცავდნენ. უკანასკნელთა შორის მდებარე ნივთიერება კი ცისფრად არის შეღებული, რაც ლორწოსათვის დამახასიათებელია. კიდევ უფრო ზევით არსებობენ უჯრედები, რომელნიც ძლიერ პატარა მარცვლებს შეიცავენ და მათი მარცვლებს შორის მდებარე ნივთიერების შეღების უნ რისა და სტრუქტურის მიხედვით ნამდვილ ლორწოიან უჯრედებიდან არაფრით განსხვავდებიან.

ამას გარდა Bizzozeroმ თვისი პრეპარატის ფიქსაცია picrinის მეაით მოახდინა: მერმე safraninით შეღება და ასეთი შედეგი მიიღო: Panetის უჯრედების მარცვლები და ბირთვი წითელ ფრად შეიღება. მარცვლებს შორის მდებარე ნივთიერება კი ან მოყვითალო ფრად ან შეუღებელი დარჩა. ნამდვილი ლორწოს გამომწმუშავებელი უჯრედები ყვითლად შეღებული ლორწოიანი ნივთიერებით იყვნენ გავსილი. პირველსა და მეორე უჯრედებს შორის წარმოდგენილია გარდამავალი ფორმის უჯრედების მთელი რიგით. უკანასკნელის მარცვლები თანდათან პატარავდება და მარცვლებს შორის მდებარე ნივთიერების რაოდენობა კი თანდათან მატულობს და ამას გარდა ინტენსიურ ყვითელ ფრად იღებება.

ამგვარად Bizzozeroმ მოყვანილისა და სხვა მეთოდების საშუალებით Panetისა და ფილისეზერ უჯრედებს შორის გარდამავალი უჯრედების ფორმები აღმოაჩინა, რომლის სეკრეტი მარცვლებისაგან შესდგება და რომელნიც Panetის უჯრედების მარცვლების რეაქციას იძლევა და მოთავსებულია ნივთიერებაში, რომელიც პირიქით ლორწოიანი ნივთიერების რეაქციას იძლევა. მარცვლებს შორის მდებარე ნივთიერება, Bizzozeroს შემთხვევაში ყოველთვის ჰომოგენური ავებულებისა იყო და ნათლად გამოხატული გრანულოზური სტრუქტურა კი მათში. პიკრინის მეაევაში ფიქსაციის შემდეგ [რასაც ადგილი აქვს ლორწოიან უჯრედში picrinის მეაევაში ფიქსაციის დროს] ვერ შეამჩნია. როდესაც Bizzozeroმ სპილენძის სითხით Hermannის სითხე იხმარა და ძლიერ თხილი ნაყოფები 15 ა.1.

hämatoxylinით შელება და ჰომოგენური იმერსით გამოიკვლია, მან ნახა, რომ hämatoxylinით იისფრად შელებილი ლორწოიანი უჯრედების სეკრეტი მარცვლებისაგან შესდგებიან, რომლების კონტურიც სუსტად არის გამოხატული. ამას გარდა იისფრად შელება და მარცვლები უფრო ნათლად ჯირკვლების ლორწოიანი უჯრედებში ჩანან, ვიდრე ბაოების მიდამოში.

Hämatoxylinით შელებილ პრეპარატზე Panetის უჯრედების მარცვლები შეულებავი ოჩება. თუ ნაკვეთებს წინასწარ safranითა და შემდეგ hämatoxylinით შევლებავთ, მაშინ Panetის უჯრედების მარცვლები წითლად იღებება და ლორწოიანი უჯრედების ლორწოს მარცვლები კი იისფრად.

გარდამავალ უჯრედებში კი ორივე გვარის მარცვლები არსებობს: იისფრად შელებილი მარცვლები და წითელფრად შელებილი მარცვლები. უკანასკნელი დაკვირვების გამო Bizzozero მიღის იმ დასკვნამდე, რომ Panetის უჯრედები ახალგაზრდა ლორწოიანი უჯრედები არის.

დასაწყისში მათ დიდი პრიალა, safranით მღებავი მარცვლების სეკრეციის უნარი შესწევთ, რომელნიც ჯირკვლის სანათურში იქცევა. შემდეგ საფრანოფილური მარცვლების ოდენობა კლებულობს და იმავე დროს hämatoxylinით ინტენსიურად მღებავი მარცვლების წარმოშობის უნარს ღებულობენ. ბოლოს საფრანოფილური მარცვლების წარმოშობა მთლიანად ისპობა და უჯრედის სეკრეტი მთლიანად hämatoxylinით შემღებავი მარცვლებისაგან შესდგება.

ამავე დროს უჯრედი კონუსის მოყვანილობას ღებულობს და ჯირკვლის ბრმა ბოლოდან თანდათანობით მის ყელამდე და მერე თავისუფალ ზედაპირისკენ იწევს.

შემდეგად თავის გამოკვლევათა მთელი რიგისა, რომელიც Bizzozeroმ ხერხემლოვანთა სხვადასხვა წარმომადგენელზე აწარმოვა, როგორც უმარტივესზე ისე რთულად აგებულებზე, ავტორს დასკვნა გამოჰყავს: 1, ცილინდრული და ლორწოიანი უჯრედები ერთი-მეორისაგან სრულიად დამოუკიდებელი და სპეციალური ფუნქციით აღჭურვილი წარმოქმნანი არიან. 2, Panetის უჯრედები განვითარების ახალ საფეხველზე მღგარ ლორწოიანი უჯრედებს წარმოადგენენ. 3, ხერხემლოვანების ნაწლავის ეპითელიუმის რეგენერაცია მიტოზების საშუალებით ხდება, რომელსაც ჯირკვლებში და ნაშეტურ მათ ქვედა ბრმა ბოლოში ადგილი აქვთ. 4, გამრავლებული უჯრედები თანდათანობით თავისუფალი ზედაპირისკენ მიისწრაფის და იქ მოვარდნილ ეპითელიუმის ადგილს იკერს. 5, ნაწლავის ეპითელიური უჯრედის სიკვდილი და ცხოვრება მათ უპირველესად წარმოშობის ადგილზე არ ხდება. 6, ნაწლავის ლულისებრი ჯირკვლები [Lieberkühn-ისა] სხვა დანარჩენი ნამდვილი ჯირკვლებისაგან განირჩევა: უკანასკნელში ჯირკვლოვანი უჯრედები სპეციალ დიფერენციაციას განიცდის და მფარავი და სადინარის ეპითელიუმისაგან საყვებით განირჩევა. ნაწლავის ჯირკვლოვანი ეპითელიუმი, კი, პირიქითა; მფარავი ეპითელიუმის უშუალო გაგრძელება არის, იმავე ფუნქციას ასრულებს და განვითარების ახალ საფეხურზე მღგარ მფარავ ეპითელიუმს წარმოადგენს.

Bizzozero-ს შრომის ზოგიერთი შინაარსის მოყვანის შემდგომ, რომლებზედაც იგი თავის თეორიას აშყარებს, სპიროდ ვთვლით აგრეთვე J. Panetის მა-

საღების ცოტა დაწვრილებით მოყვანასაც, ვინაიდან აეტორი, თვისი მასალების მიხედვით სრულიად მოპირდაპირე აზრს იცავს.

Panetის გამოკვლევანი, რომელნიც მან ტრიტონისა და თავგების წერილ ნაწლავზე აწარმოვა, უმთავრესად ფიალისებრ უჯრედებს და Lieberkühnის ჯირკვლებს ეხება.

ფიალისებრი უჯრედების სტრუქტურისა და მათი ცილინდრული უჯრედების დამოუკიდებლობის გამოსაკვლევად Panetმა მოახდინა გამოკვლევა ცოცხალი მასალისა, რომელიც რეაგენტების ზეგავლენისგან სრულიად თავისუფალი იყო და შექმნა პირობები, რომლებიც უჯრედებს ნორმალურ აგებულებას უნარჩუნებდა. აეტორი ნაწლავის გაკეთის შემდგომ, სკალპელის საშუალებით ლორწოიანი გარსის ზედაპირს ფხეკდა და მოფხეკილ მასას შუშაზე ათავსებდა და რამდენადაც შესაძლებელი იყო, თანაბრივ თხელ შრედ ანაწილებდა და ნოტიო კამერაში ათავსებდა. ასე რომ პრეპარატის გამოკვლევა დაკიდებულ წვეთში ისე ხდებოდა, რომ ყოველგვარ გარე ზეგავლენისაგან (როგორც წნევა, გაშრობა, ინდენფერენტული სითხეების მოქმედება და სხვა) დაცული იყო.

ამგვარ პირობებში მოთავსებული ობიექტის გამოკვლევის დროს Panetმა თავიდანვე შენიშნა მრავალი რიცხვი ფიალისებრი უჯრედებისა და დარწმუნდა, რომ იგინი არ ჩნდებიან, მხოლოდ მერმე რაპოდენიმე ხანგრძლივი დროს გასვლის შემდეგ, მის მერე, რაც უჯრედები იხოცებიან რეაგენტების ზეგავლენის ქვეშ. ამას გარდა Paneti დარწმუნდა, რომ უჯრედების სეკრეტი ხან მარცვლოვანი და ხან ჰომოგენური აგებულებისა არის.

ცილინდრული უჯრედების ფიალისებრ უჯრედებად გარდაქმნა Panetმა ვერ შეამჩნია და ამას გარდა აეტორმა ფიალისებრი უჯრედების რიცხვის გადიდება დაინახა.

შემდეგ Panetმა თანაბრივ პირობებში მოთავსებული, გამძლარი და მშინერი თავგების პრეპარატი გამოიკვლია და ნახა: „განოუკლებლად ფიალისებრი უჯრედები იმ თავგებისა, რომელნიც დანშეულნი იყვნენ, ბევრად მრავალ-რიცხოვანი იყო იმისდა მიუხედავად, რომ იგინი აგრეთვე გამძლრებისაშიაც სრულიად მომსპარი იყო“. ანალოგიური შედეგები Panetმა ჩვეულებრივი წესით და, მუშავებულ ნაკვეთებზეც მიიღო და ამბობს: „ფიალისებრი უჯრედები არ არის წარმოქმნიანი sui generis, არამედ პირიქით intra vitam ჩვეულებრივი ცილინდრული ეპითელიური უჯრედებიდან წარმოიშობიან... thecal შენაცავი საქმლის მონელების დროს ბევრ ფიალისებრ უჯრედში ისპობა“.

რაც შეეხება კერძოდ ფიალისებრი უჯრედების არსებობას, Paneti ამბობს, რომ იგინი საფქსაციო ნივთიერების მიხედვით სხვადასხვა აგებულებისა არის; სეკრეტს, ფიალისებრი უჯრედების შენაცავს, ორ ნაწილად ჰყოფს: „thecal შენაცავი [ექსკრეტი] და პროტოპლაზმატური ნაწილი ბირთვთან ერთად“.

ფიალისებრი უჯრედების მოყვანილობა მუდმივი არ არის და ამ მარვი პირიქით დიდ ცვლილებას განიცდის. იგინი თვისი მრავალ მოყვანილობის მხრივ ნაწლავის ეპითელიუმის მრავალრიცხოვან ფორმებს იწერებენ. ამიტომ ფიალისებრი უჯრედების დამახასიათებელი ნიშანი მათი სეკრეტის ორ სხვადასხვა ნაწილად გაყოფა არის.

ფიალისებრი უჯრედების პროტოპლაზმატური ნაწილი და ბირთვი, რომელსაც Paneti ორივეს ერთ ნაწილად სთვლის, განსხვავდება გარშემო მდებარე პროტოპლაზმატური უჯრედების პროტოპლაზმიდან და ბირთვისაგან. ფიალისებრი უჯრედების პროტოპლაზმა შედარებით უფრო ინტენსიურად იღებება, ვიდრე პროტოპლაზმატური უჯრედები, თუმცა ორივე იმავე ფერში; ფიალისებრი უჯრედების პროტოპლაზმა უფრო ჰომოგენურია ე. ი. უფრო ნაკლებად მარცვლოვანია ვიდრე ცილინდრულ უჯრედებში. ფიალისებრი უჯრედების ბირთვი უფრო პატარა და უფრო ინტენსიურად იღებება, ვიდრე პროტოპლაზმატური უჯრედებისა. ფიალისებრი უჯრედების ბირთვი გაგრძელებულია, ჩხირისებრი მოყვანილობისა არის, როდესაც იგი ფიალისებრი უჯრედის გაგრძელებულ ფეხში ზის და თუ ფიალისებრი უჯრედი უფეხოა, მაშინ მას მცხრალი მთვარის მოყვანილობა აქვს და განივად უჯრედის გასწვრივი ლერძის მიმართ ძეცს. ეპითელიური უჯრედების ბირთვი პატარა ბუშტუკის მოყვანილობისა არის და ნათლად გამოხატული გარსი აქვს და მარცვლოვანია. ფიალისებრი უჯრედების ბირთვი უფრო ინტენსიურად იღებება, გარსი უფრო სუსტად აქვს გამოხატული და მოყვანილობა აქვს უფრო სოლიდარული სხეულაკისა, ვიდრე ბუშტუკისა.

პრეპარატის picrinის მეავით ფიქსაციისა და safranით შეღების შემდეგ ფიალისებრი უჯრედების thecal შენაკავს სხვადასხვა სტრუქტურა აქვს. მაგალითად ერთსა და იმავე ნაკვეთზე, რომელიც ნახსენები ნივთიერებით იყო დამუშავებული, ზოგიერთი ფიალისებრი უჯრედების სეკრეტი ყვივლურად შეღებილი მარცვლებისაგან, ზოგი წითელ ფრად შეღებილი მარცვლებისაგან შესდგებოდა და ზოგში კი სეკრეტი ჰომოგენურია. უკანასკნელი ფაქტი აიძულებს ავტორს უარი განაცხადოს მის მიერ გამოთქმულ აზოზე, რომ ეს განსხვავება უთანაბრო დამუშავებით არის გამოწვეული.

Panetiმა შეამჩნია უჯრედები, რომლებიც თავისი მოყვანილობით, ბირთვითა და ყავთნით ჩვეულებრივი ეპითელიური უჯრედებიდან არ განიჩიოდა და პროტოპლაზმა კი მათში, ბირთვისა და ყავთანს შორის, წარმოდგენილი იყო მასით, რომელიც თავისი თვისებებით ფიალისებრი უჯრედების სეკრეტს უახლოვდებოდა

Tritonის პრეპარატზე picrinის მეავის ფიქსაციის შემდგომ ავტორმა შენიშნა უჯრედები, რომლის სეკრეტი ბირთვისა და ყავთანს შორის ნათლად ძირითადი ნივთიერებით ინტენსიურად შეღებილ მარცვლებს შეიცავდა.

თავების პრეპარატში picrinის მეავით ფიქსაციის შემდეგ და Heidenhainის h̄matoxylinით შეღების შემდეგ, სეკრეტი უჯრედებში სუსტად შეღებილი წვეთების სახით არის წარმოდგენილი.

აწერილი სურათი Panetiმა tritonის პრეპარატზე Rabinს სითხეში ფიქსაციისა და safranით შეღებულ პრეპარატზე მიიღო და თავების პრეპარატზე Flemmingის სითხეში ფიქსაციისა და safranით შეღებით. ამას გარდა Panetiმა tritonის პრეპარატზე უჯრედები შეამჩნია, რომელშიც პროტოპლაზმის საკმარისი დიდი რაოდენობა ყავთნის ახლო სეკრეტად გადაქცეულიყო და ფიალისებრი უჯრედები, რომელზეც მოკლე ჩხირებით დახაზული ყავთანის იმყოფებოდა.

უკანასკნელ სურათებს ავტორი გარდამავალ სტადიად თვლის, რომელიც ფილისებრი უჯრედების ჩვეულებრივი ეპითელიური უჯრედებიდან წარმოშობას ადასტურებს

ფილისებრი უჯრედები, ამბობს ავტორი, ჩვეულებრივი ეპითელიური უჯრედებიდან ისე წარმოიშობა, რომ ცილინდრული უჯრედების პროტოპლაზმის ნაწილი სეკრეტად იქცევა.

ვინაიდან ნაწილი ლორწოიანი უჯრედისა, რომელშიც სეკრეტია მოთავსებული, გაგანიერებულია, უნდა მივიღოთ, რომ სეკრეტს გაბერვის უნარი შესწევს და განსხვავებულ პირობებში დიდი ოსმოტიური წნევის თვისება, ვიდრე სხვა მეზობელ უჯრედთა პროტოპლაზმას და ამიტომ ავიწროვებს მათ. რაც შეეხება ყუთთან, ის სეკრეტის წნევის ზღვარის ქვეშ ჯერ ზევით იწევს და მერე იგლიჯება, რასაც სეკრეტის საფათურში გამოსვლა მოჰყვება. Theca დაკლის შემდეგ რჩება. მისი კედლის კონტური მკაფიოდ გამოხატულია და ამ უკანასკნელით დაკლილი theca გავსილ thecasგან განსხვავდება. ფილისებრი უჯრედის სავსებით დაკლა ავტორს არასოდეს არ დაუნახავს. ბირთვი და პლაზმატური ნაწილი რჩება.

Tritonისა და თავგების პრეპარატებზე, სხვადასხვა რეაგენტების საშუალებით დამუშავებულზე, Panetiმა ეპითელიურ უჯრედებს შორის ვიწრო უჯრედები შეამჩნია, რომლის პროტოპლაზმაც სხვა ეპითელიური უჯრედების პროტოპლაზმიდან ფილისებრი უჯრედების პროტოპლაზმის ნიშნებით განირჩეოდა და ბირთვი კი ცილინდრული უჯრედების ბირთვსა და ფილისებრი უჯრედების ბირთვის გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა. ამ ვიწრო უჯრედებს ზოგჯერ დართული ჰქონდა ყუთანი და ზოგჯერ კი არა.

Paneti ამბობს, რომ ფილისებრი უჯრედების პროტოპლაზმატური ნაწილის ნახსენებ ვიწრო უჯრედებთან შედარება, იმისდამიუხედავად, სავსეა theca სეკრეტით, თუ იმისაგან დაკლილია, გვარწმუნებს, რომ ვიწრო უჯრედები ფილისებრი უჯრედების ნაშთები არიან.

მას გარდა ავტორი ფიქრობს, რომ thecal სეკრეტისაგან დაკლა მექანიკურად ხდება წნევის გამო, რომელსაც უჯრედები განიცდიან საკმლის მონელების პროცესის დროს და რომელნიც პერისტალტიური მოძრაობით არის გამოწვეული და აგრეთვე ნაწლავის ღრუში საკმლის ნივთიერების არსებობით. სანათურის თან theca გახსნილია, მას არ აქვს არც უჯრედის გარსი, არც ყუთანი და ამიტომ ნახსენებია მოძრაობა და წნევა მექანიკურად მის სეკრეტისგან დაკლას იწვევს.

მოყვანილი მოსაზრების გამო ავტორს გამოჰყავს ის დასკვნა, რომ ცარიელ ნაწლავში ფილისებრი უჯრედების რიცხვი უფრო ბევრი უნდა იყოს, ვიდრე ნაწლავში, რომელშიც საკმლის ნივთიერების მონელების პროცესი არსებობს. „თუ თავგებს ჯერ დაეამშვეთ, მერე ვაჭმევთ და დაეხოცავთ 2-5 საათის შემდეგ, ენახავთ, მათ ნაწლავში თვალსაჩინოდ ბევრ ფილისებრ უჯრედს პატარა theca-თი და ვიწრო უჯრედებს; პირაქით დიდ სავსე ფილისებრ უჯრედების ცოტა რიცხვს, რაც მასთან ერთად იმას გვიჩვენებს, რომ ვიწრო უჯრედები ფილისებრი უჯრედებიდან წარმოიშობიან... ვიწრო უჯრედებიდან ჩემის აზრით კვლავ

ჩვეულებრივი ეპითელიუმი შეიქმნება. ამაზე უპირველეს ყოვლისა ის გარემოება ლაპარაკობს, რომ მათ წერილი ნაწლავის ეპითელიუმისთვის დამახასიათებელი ნიშანი ყავთანი აქვთ დართული და აგრეთვე ყოველთვის გარდამავალი ფორმები არსებობს. ამრიგად ყოველი ეპითელიური უჯრედი დროგამოშვებით ფიალისებრ უჯრედად იქცევა.—თუ როგორ ხშირად, რა დროს განმავლობაში, ამის შესახებ მე არა ვიცი რა. იგინი გამოყოფენ თავის სეკრეტს უმთავრესად საკმლის მონჯლების დროს, და შემდეგ კვლავ ჩვეულებრივ ეპითელიურ უჯრედებად იქცევა. ეს პროცესი, მით რომ ერთი და იგივე უჯრედი ხან როგორც გამოყოფი, ხან როგორც შენწოვი ორგანო მოქმედებს, განუსაზღვრებლად ხშირად მეორდება, სანამ უჯრედები არსებობს\*.

Heidenhainმა აწარმოვა ბაქიებისა და ძაღლების ნაწლავის ჯირკვლების გამოკვლევა. მან მოახდინა თავისი კვლევა-ძიება, როგორც ცხოველის ნორმალურ პირობებში ცხოვრების დროს, ისე სხვადასხვა რეაგენტების შესხაპუნების დროს, რომელიც ნაწლავის ლორწოიანი გარსისა და კერძოდ ეპითელიურ უჯრედთა გაღიზიანებას იწვევს.

პირველ პირობებში ავტორის მიერ მიღებული შედეგები ჩვეულებრივ სურათს წარმოადგენს. მან ნახა, რომ ჯირკვლოვანი ლულა ორგვარი, (ცილინდრული და ფიალისებრი) უჯრედებით არის გამოფენილი. წერილი ნაწლავის მიდამოში ცილინდრული უჯრედების რიცხვი ბევრია და ფიალისებრი უჯრედები უფრო იშვიათ მოვლენას წარმოადგენს; მსხვილ ნაწლავში კი პირიქით ფიალისებრი უჯრედების რიცხვი ძლიერ ბევრია და ცილინდრული უჯრედები იშვიათად არსებობს.

Pilocarpinის ხსნარის სისხლში ინექციის შემდეგ Heidenhainმა მსხვილი ნაწლავის ჯირკვლებში ფიალისებრი უჯრედების სრული მოსპობა გამოიწვია. მათ მაგივრად ჯირკვლებში ადგილი დაიკავა ვიწრო, კარგად მღებავმა უჯრედებმა მრგვალი ან ოვალური ბირთვით დართულმა, რომლებიც საესებით წერილი ნაწლავის ჯირკვლების უჯრედოვან ელემენტებს ჰგვანან. ავტორის აზრით ლორწოიანმა უჯრედებმა მათში მყოფი ლორწო გამოყვეს და უქანასქნელის ადგილი პროტოპლაზმამ დაიკავა, რომლის რაოდენობამაც იმავე დროს მოიმატა და ამგვარად ჩვეულებრივ უჯრედებად გადაიქცენ. იმ შემთხვევაში, როდესაც ლორწოს გამოყოფა საესებით არ ხდება, მაშინ თანდათანობით გარდამავალი ფორმები არსებობს ნამდვილი ფიალისებრი და მათ ხარჯზე წარმოშობილ ცილინდრულ უჯრედებს შორის.

ძალის მსხვილი ნაწლავის ჯირკვლების ფიალისებრი უჯრედების რიცხვი pilocarpinის შესხაპუნების შემდეგ აგრეთვე კლებულობს, თუმცა საესებით, ნამეტურ ჯირკვლის ზედა მადამოში, არ ისპობა.

Heidenhainი ამბობს, რომ თუმცა მუდმივი გაღიზიანების საშუალებით შესაძლებელია მსხვილი ნაწლავის ჯირკვლის მიერ წერილი ნაწლავის ჯირკვლის თანაბრივი ფორმის მიღება, მაგრამ სამაგიეროდ ჩვეულებრივ პირობებში მყოფი წერილი ნაწლავის ჯირკვლის ისე გარდაქმნა, რომ მან დამშვიდებული მსხვილი ნაწლავის ჯირკვლის თანაბრივი მოყვანილობა მიიღოს ე. ი. რომ მისი უჯრედები მთლიანად ან მრავალი რიცხვი ფიალისებრ უჯრედებად გარდაიქცეს არ შეიძლება.

Heidenhaim-მა დაამუშია ძალები და ბაქიები რამოდენიმე დღით, მაგრამ წვრილი ნაწლავის ჯირკვლების ჩვეულებრივი აგებულება უცვლელი დარჩა. ამას გარდა ყოველიფერს ის გარემოება ემატება, რომ წვრილი ნაწლავის სეკრეტო თხელ, წყლისსაგვარ სითხეს წარმოადგენს, მაშინ როდესაც მსხვილი ნაწლავის სითხე კი—სქელ ლორწოს.

Kloseმ, Heidenhaim-ის მოწაფემ, აგრეთვე ძუძუმწოვართა ნაწლავის ჯირკვლების გამოკვლევა აწარმოვა იმავე ობიექტზე და იმავე პირობებში, როგორც Heidenhaim-მა. ჩვეულებრივ პირობებში მყოფი ცხოველების ნაწლავის პრეპარატებზე ავტორმა იგივე სურათი მიიღო, როგორც Heidenhaim-მა. ე. ი. წვრილი ნაწლავის მიდამოში ჯირკვლების ელემენტები პროტოპლაზმატური უჯრედებით არიან უმთავრესად წარმოდგენილი და მსხვილი ნაწლავის მიდამოში კი ფილი-სებრი უჯრედებით. ფაქტი ნახსენები ორგვარი ურჯრედების არა-თანხმრივად განაწილებისა წვრილისა და მსხვილი ნაწლავის ჯირკვლებში აიძულებს ავტორს მიიღოს, რომ წვრილი და მსხვილი ნაწლავის ჯირკვლების გათანაბრება მიუღებელია და საჭიროა მათი ერთმანეთისაგან რაციონალური გარჩევა, რაც როგორც ანატომიურ, ისე ფიზიოლოგიურ პრინციპებზე არის დამყარებული.

„სწორედ ისე როგორც სხვადასხვა ჯირკვლოვან ორგანოებს, რომელნიც თავის სეკრეტს პირის ღრუში გამოჰყოფენ, ორ დიდ ჯგუფად ჰყოფენ: «სეროზულად» და საკუთარ სეკრეტორული ლორწოვან ჯირკვლებად. მე მსურს აგრეთვე წვრილი ნაწლავის ჯირკვლებს სახელად მათი ფუნქციისათვის უფრო შესაფერად, ნაწლავის წვენის ჯირკვლები ვუწოდო, რომ გავარჩიოთ მსხვილი ნაწლავის ჯირკვლებიდან, რომელთაც მე როგორც ნაწლავის ლორწოვან ჯირკვლებად აღვნიშნავდი“.

ამგვარად ნაწლავის ჯირკვლების დაყოფას Klose ერთის მხრივ ჯირკვლების ბუნების სხვადასხვაობით და მეორეს მხრივ ორივე ჯგუფის ჯირკვლების სეკრეტის ქიმიური კონსტრუქციის სხვადასხვაობით ამართლებს.

მზიერი და მძაღარი ძალებიდან გაკეთებული ნაწლავის პრეპარატების გამოკვლევისა და ერთმანეთს შორის შედარების დროს Kloseმ ჯირკვლოვანი ელემენტების გარდაქენა ვერ დაამტკიცა, მხოლოდ მან ფილისებრი უჯრედების რიცხვის შემცირება აღმოაჩინა ნაკვეთი ძალების ჯირკვლებში, რომელნიც დახოცილ იქნენ კმევის 6-8 საათის გასვლის შემდეგ. ამის შემდეგ Kloseმ ნაწლავის ჯირკვლოვანი ელემენტების გალიზიანებას სხვადასხვა რეაგენტების საშუალებით მიმართა. მასთან ერთად ავტორმა ნაწლავის ჯირკვლოვანი ელემენტების გალიზიანება მოახდინა, როგორც უშუალოდ ნაწლავის ღრუში ნივთიერების შემზაპუნებით, ისე სისხლის ძარღვებში ნივთიერებად ხსნარების შემზაპუნებითაც. პირველ შემთხვევაში Kloseმ magnesia sulfuralis 30% ხსნარი იხმარა. ვინაიდან ფილისებრი უჯრედების რაოდენობა წვრილი ნაწლავის სხვადასხვა მიდამოებში და ნამეტურ მსხვილ ნაწლავთან შედარებით დიდ ცვლილებას განიცდის, ამიტომ მან ნაწლავის სხვადასხვა მიდამოს გრეხილები გადაკონის საშუალებით ერთი მეორისაგან გამოყო და ამის შემდეგ ნახსენები ნივთიერების ხსნარის შემზაპუნება ნაწლავის განსაზღვრული გრეხილების ღრუში აწარმოვა. Magnesia sulfuralis ხსნარის შემზაპუნების შემდეგ გაკეთებულ პრეპარატზე ნაწლავის ჯირკვლოვანი ელემენტები უცვლელი დარჩა. ნაწლავის გადაკონილი გრე-

ბილები სეროზული სითხით, როგორც წვრილი ისე მსხვილი ნაწლავის მიღამროში, გავსილი იყვნენ და ლორწოს რაოდენობა კი ცოტა იყო. უკანასკნელი ფაქტის გამო ავტორი ფიქრობს, რომ მეცდარი ნაწლავის ჯირკვლები საგრძნობ გარდაქმნას არ განიცდის და სეროზული სითხის არსებობას როგორც წვრილისა ისე მსხვილი ნაწლავის გრებილებში ხსნის სისხლის ძარღვებიდან ტრანსუდაციით, რომელიც განაწვეულია დიფუზური პროცესით ორ სხვადასხვა კონცენტრაციის სითხეებთან ნივთიერებას შორის, [სისხლი და მარილხსნარი].

Pilocarpinის ინექციამ, რომელიც მან აწარმოვა ცოცხალ ცხოველებზე საუფლე ვენის საშუალებით, გამოიწვია მთელი რიგი ცვლილებათა მსხვილი ნაწლავის ჯირკვლოვან ელემენტებში. უპირველესად ცვლილება ბირთვის მხოვ ხდება. უკანასკნელი მრავალ მოყვანილობას ღებულობს, უჯრედის ცენტრისაკენ იწეწს და უფო ბევრ მარცვლებს შეიცავს. თვითონ უჯრედი კი საერთოდ პატარავდება. მისი პროტოპლაზმატური პერიფერული ნაწილი კი განიერდება და უფრო ნათლად არის გამოხატული. ფილისებრი უჯრედების ოდენობა კლებულობს, მაშინ როდესაც ცილინდრული უჯრედები პროტოპლაზმის წარმოშობის ხარჯზე კი ოდნავ გადიდებული მოჩანს. შემდეგ ჯირკვლების ფილისებრი უჯრედების პროტოპლაზმაში მარცვლები ჩნდება და თანდათანობით ჯირკვლები მათ დამახასიათებელ აგებულებას მთლიანად იცვლიან და ნაწლავის წვეწვინის ჯირკვლების აგებულებას ღებულობენ.

ამგვარად ფილისებრი უჯრედი მათი ოდენობისა და მოყვანილობის მიხედვით ჩვეულებრივ ცილინდრულ უჯრედს წააგავს, შეიცავს მრავალ მარცვლოვან ბირთვს, რომელიც უჯრედის ცენტროშია მოაჯესებული. უჯრედის პროტოპლაზმა მარცვლოვანია და როგორც მიკრო-ქიმიური რეაქცია გვიჩვენებს, ყოველი ნიშანი ლორწოსი დაკარგული აქვს. უჯრედის შენაკავი ალბუმინით მდიდარ ნივთიერებით არის წარმოდგენილი, რომელიც კარმინით ინტენსიურ წითელ ფრად იღებება.

A. Maewskyმ ფილისებრი უჯრედების ცვლილებათა გამოკვლევა მოახდინა, რომელიც მათში ხელოვნურად გამოწვეული გაძლიერებული და დაჩქარებული სეკრეციის შემდეგ ჩნდება.

გადიდებულა სეკრეციის გამოსაწვევად ავტორმა [ბაქიებზე, ძალღებზე და კატებზე] სცადა საფალარათო ნივთიერების ხმარება, რომელიც ნაწლავის ლორწოიან გარსს ძლიერ არ აღიზიანებს [natrium sulfat. emuls. ol. ricin.]. ავტორმა ნახსენები ნივთიერების კუჭში ინექციის შემდეგ, ფილისებრი უჯრედების მხრივ მიკროსკოპიული ცვლილებანი ვერ აღმოაჩინა.

შემდეგ Maewskyმ უფრო გამოიზიანებელი ნივთიერების ხმარება სინჯა, როგორცაა მაგალითად pilocarpinის ხსნარი. pilocarpinის კანქვეშ ინექციას ავტორი ახდენდა ან რამოდენიმე საათის ან დღეების განსაზღვრული ინტერვალებით. ამას გარდა ზოგიერთ შემთხვევაში ინექციის შემდეგ რამოდენიმე დღის განმავლობაში [3 4] ავტორი ცხოველს წყლის გარდა საჭმელს არაფერს აძლევდა. ამგვარად ზონადებულ ცხოველებს pilocarpinის ინექციის შემდეგ ავტორი კლავდა და სხვადასხვა მიდამოდან აღებულ მასალას სულემის 5%/ხსნარში საცო-



ბის ფირფიტაზე გაქიმულს ფიქსაციისათვის სდებდა. ლებადა პრეპარატს carminით. hämatoxylinით და აგრეთვე Hoyerის მეთოდით [thionin].

ავტორმა ასეთი შედეგი მიიღო: ნორმალური ცხოველებიდან, რომელთაც pilocarpinის ინექცია გაკეთებული არ ჰქონდათ, დაშლადებულ პრეპარატზე ფილისებრი უჯრედების რიცხვი ნაწლავის შიგნითა თავისუფალ ზედაპირზე დიდ ცვალებადობას განიცდიდნენ და შედარებით ცოტა იყვნენ. წვრილი ნაწლავის Lieberkühnის ჯირკვლებში ფილისებრი უჯრედების რიცხვი ძლიერ იშვიათ მოვლენას წარმოადგენდნენ. პირიქით მსხვილი ნაწლავის ჯირკვლებში და ნაშეტურ სწორი ნაწლავის ჯირკვლებში მათი რიცხვი დიდია.

Thioninით შეღებილ პრეპარატებზე ავტორმა შემდეგი სურათი აღწერა: „ცილინდრული უჯრედების სხეული ღია ცისფერი, რომელიც უფრო ინტენსიურ ცისფრად იღებება. მუცინი ფილისებრი უჯრედებში წითურ იისფრად ბადის მაგვარი ნიშანით. ბირთვი და დანაოჩენი პროტოპლაზმა უკანასკნელში ხშირად უფრო მუქად შეღებილია, ვიდრე ცილინდრულ უჯრედებში. მუცინი ფილისებრი უჯრედებში კრიპტების ძირში ან ღრმა ნიღამოებში უჯრედის სხეულის უმეტეს ნაწილს ავსებს, ასე რომ მხოლოდ ძლიერ ვიწრო სარტყელი რჩება პროტოპლაზმის ბირთვთან ერთად უჯრედის ფუქეზე. მუცინის შეღება აქ უფრო სუსტია, ვიდრე კრიპტების ძირში და ღრმა ნიღამოებში. კრიპტების შუა ნიღამოებში მუცინი დიდი ბელტების მაგვარად დაგროვილი და ნათლად გარშემომდებარე პროტოპლაზმისგან გამოყოფილი მასით არის წარმოდგენილი.

უჯრედის ფართედ გახსნილი თავისუფალ ბოლოდან მუცინი ჯირკვლების სანათურში გამოდის. შიგნითა, ესე იგი, ლორწოვანი გარსის თავისუფალი ზედაპირის ან ნაწლავის ღრუს მახლობლად მდებარე კრიპტების ნიღამოში ფილისებრი უჯრედების უმეტეს ნაწილად უკვე დაკლილია და მათი მოცულობა ძლიერ დაპატარავებულია. უჯრედის სხეულის უდიდესი ნაწილი ბირთვით და პროტოპლაზმით არის დაქერილი. ამ ადგილებზე აგრეთვე განცალკევებულ, ევრეთწოდებულ ვიწრო უჯრედებს უმუცინოდ და უყავთნოდ ნახულობენ, რომელნიც მუქ ცისფრად იღებებიან და უეჭველად ფილისებრი უჯრედებს ესაბამებიან, რომელთაც თავისი მთელი მუცინოზური სეკრეტი გამოაყვებს. წვრილი და მსხვილი ნაწლავის შიგნითა თავისუფალ ზედაპირზე ყველა ცილინდრული უჯრედები დახაზული ყავთნით (boursalet) შემოსილია და აგრეთვე კრიპტების განსაზღვრულ სიღრმემდე ქვევით ეშვება. კრიპტების ღრმა ნიღამოში ყავთანი მე ვერა ენახე“.

Pilocarpinის ხსნარის ინექციის შემდეგ მიღებულ შედეგებზე Maewsky ამბობს: „მე თითონ ვერც ბაქიებზე და წყლის ღორებზე, ვერც კატებზე და ძაღლებზე ვერ შეეძელი, გამომეწვია ყველა ფილისებრი უჯრედებიდან მუცინოზური შენაცავის მთლიანად გამოყოფა, და სწორედ კიდევაც განმეორებითი ინექციით თანაბრივი pilocarpinის დოზებით ექვსი საათის გასვლის შემდეგ ან ერთი ყოველდღიური ინექციით რამოდენიმე დღის განმავლობაში. თუმცა უკანასკნელ შემთხვევაში მუცინის რაოდენობა შემცირებულია, ვიდრე ნივთიერების ერთხელ ინექციის შემდეგ, მაგრამ მუდმივ შეიძლება ფილისებრი უჯრედების უდიდეს ნაწილში ბევრად შემცირებული და თვალსაჩინოდ უფრო სუს-

ტად შეღებილი მუცინის რაოდენობის დამტკიცება. უკანასკნელის მთლიანი გამოყოფა კრიპტების უღრმესი ადგილებისა და ძირის უჯრედებში ხდება... ამას გარდა უჯრედის ღრუ თვალსაჩინოდ დაპატარავებულია, ასე რომ მას კუბური ან კიდეცაა ოდნავ შებრტყელებული ფორმა აქვს. აქა-იქ მათ თავისუფალ ზედაპირზე კიდეც მუცინის პატარა თხელი შრე ემჩნევათ. . . სხვადასხვანაირი დამოკიდებულებაა იმ ადგილებზე, რომელზედაც ფიალისებრი უჯრედები უფრო იშვიათად ცილინდრულ უჯრედებს შორის გაბნეულია, როგორც ეს კრიპტების ყელში და ლორწოიანი გარსის თავისუფალ ზედაპირზე ხდება. ლორწოიანი გარსის სეკრეციის გადიდების დროს ცილინდრული უჯრედები შენაცავს უფრო ნაკლებად ჰეარგავენ, ვიდრე ფიალისებრი უჯრედები. მათი გასწვრივი დიამეტრი თითქმის არ არის შემცირებული; აგრეთვე განივი დიამეტრიც. უკანასკნელი მიმართულებით უჯრედები ერთი-მეორეზე მოპირდაპირე გვერდით წნევას ახდენენ და მასთან ერთად ცილინდრულ უჯრედებს შორის გაბნეულ ფიალისებრი უჯრედებზე, რომლის შენაცავი გამოყოფილია. უკანასკნელნი ამ გვერდითი წნევის გამო გასწვრივი დიამეტრის მიმართ კონტრაქციას არ განიცდიან, უფრო მეტად გარდიგარდმო მიმართულებით ვიწროვდებიან და ამ მდგომარეობაში სურათს ეგრეთწოდებული ვიწრო უჯრედისას წარმოადგენენ... შესქელებული პროტოპლაზმა და შევიწროებული და სიგრძეზე გაგრძელებული ბირთვი უფრო ინტენსიურად არის შეღებილი, ვიდრე მეზობელი ცილინდრული უჯრედებისა“.

აღწერილი ცვლილებათა შესწავლის გარდა, რომელსაც ფიალისებრი უჯრედები pilocarpinის ინექციის ზეგავლენის ქვეშ განიცდიან, Maewskyმ აგრეთვე გამოიკვლია საკითხი, თუ როგორი სახით და რამდენი ხნის განმავლობაში წარმოიშობა კვლავ მუცინი ლორწოდან დაკლილ უჯრედში და ამბობს, რომ ორი დღის შემდეგ ფიალისებრი უჯრედები კვლავ ლორწოთი გავსებას იწყებს და მესამე დღეზე კი უხვად არის მითი დატვირთული. უჯრედების გამრავლების ნიშანი ავტორმა ვერ შეამჩნია და ამბობს: „ექვს გარეშეა, რომ ლორწო იმავე უჯრედში ახლად ჩნდება, რომელიც მას უწინ შეიცავდა და პილიკარპინის ზეგავლენის ქვეშ გამოყო“.

იმ ცხოველებიდან მიღებულ პრეპარატებზე, რომელნიც pilocarpinის ინექციის შემდეგ რამოდენიმე დღე საქმელს არ ღებულობდენ, Maewskyმ ფიალისებრი უჯრედების გადიდება შეამჩნია, როგორც მსხვილ ნაწლავში, ისე, რაც უფრო მნიშვნელოვანია, წვრილი ნაწლავის მიდამოშიც, რის გამოც ავტორი ფიქრობს, რომ pilocarpinის ინექციის შემდეგ პირველ დღესვე ფიალისებრი უჯრედების წარმოქმნის არა ჩვეულებრივ დიდ რიცხვს აქვს ადგილი: „რომ ეს ახალი ლორწოიანი უჯრედები ჩვეულებრივი ცილინდრული უჯრედებიდან წარმოიშობა, უკვე წინასწარ უსათუოა, მით უმეტეს, რომ ნამდვილი გამრავლება მიტოზების საშუალებით არ არსებობს, აგრეთვე კიდეც ნათელი დამტკიცება ამ აღმოჩენისა ჩემს პრეპარატებზე ვნახე“.

Heidenhainისა და მისი მოწაფის Kloesel მიერ ნაწარმოები ცდები pilocarpinის ინექციისა განმეორებულ იქნა Bizzozerol მიერ.

Bizzozero (1889) Pilocarpinის ხსნარის ბაქიების კანკვეშ შეშხაუნება აწარმოვა და ცხოველის სიკვდილის შემდეგ წერილი ნაწლავის ლორწოიანი გარსის ფიქსაცია alcoholში და Flemmingის სითხეში მოახდინა. ამგვარად დამუშავებული ობიექტიდან მიღებულ ნაკვეთებზე ავტორმა შემდეგი თვისებანი აღმოაჩინა: ლორწოიანი უჯრედები სეკრეტისგან ან მთლიანად ან ნაწილობრივ დაკლილი, უჯრედის სხეული მხოლოდ დაპატარავებული. ბირთვი ლეპულობს მრგვალ მოყვანილობას და უჯრედის შუა ადგილას თავსდება. ავტორი ამბობს, რომ თუმცა ზერელე გამოკვლევის დროს მართლაც ლორწოს გაქრობის შემდეგ ისეთს შთაბეჭდილებას ვლენებლობთ, რომ ორივეგვარ უჯრედებს შორის განსხვავება არ არის, მაგრამ (ქრომოტოფილური) ლორწოიანი უჯრედების სხეული alcoholში და Flemmingის სითხეში ფიქსაციის შემდეგ vesuvium და saf-raninით დიფუზურად იღებება, მაშინ როდესაც მეორე გვარის უჯრედები კი შეუღებავი რჩება. ეს განსხვავება შეღებვაში უფრო ნათლად ჯირკვლის შუა მიდამოში არის გამოხატული და ჯირკვლის ბრმა ბოლოში კი პირიქით ნაკლებად ნათლად. ამას გარდა ლორწოიანი უჯრედები თავის პირველდელ მოყვანილობას ინარჩუნებენ, მაშინ როდესაც შეუღებავ უჯრედებს უთანაბრო მოყვანილობა აქვს.

რაც შეეხება ორივეგვარის უჯრედების ცვლილებებს ლორწოიანი გარსის თავისუფალი ზედაპირის მიდამოში, ავტორი ამბობს, რომ ცილინდრულ პროტოპლაზმატურ უჯრედებს დართული აქვს ნათელი, ოდნავ გაბერილი და ნათლად გამოხატული პრილა ყაეთანი და ამავე დროს თითქოს სეროზული სითხით ინფილტრაციას განიცდის. მათი ბირთვი თავისუფალ ბოლოსკენ არის წამოწყული, ასე რომ ხანდახან თითქმის პრილა ყაეთანს ეხება.

რაც შეეხება ლორწოიან უჯრედებს, Bizzozero არ ეთანხმება Kloseს, რომ ფილისებრი უჯრედები pilocarpinის ინექციის შემდეგ საესებით ქრებოდეს. ავტორი ამბობს, რომ მათი ძლიერ ცოტა რიცხვი ძლიერ ცოტა ლორწოს წვეთებს შეიცავს და თავის დამახასიათებელ ფილისებრ მოყვანილობას ინარჩუნებს. უდიდეს რიცხვში კი ლორწოს წვეთები საესებით გამქრალია და უჯრედის სხეული შეკუმშული და გაპრტყელებული. ასე რომ წინიდან მკრთალი და განიერი მოყვანილობა აქვთ და პროფილში კი ვიწრო და მაგრად შეღებილი არის და თითქოს ეაკუოლებისგან შემდგარი ნივთიერებით იყოს წარმოდგენილი. ბირთვი ძლიერ გაპრტყელებული და ცილინდრული უჯრედების ბირთვიდან განირჩევა, როგორც თავისი მოყვანილობით და შეღების უნარით, აგრეთვე იმით, რომ ის უჯრედის ქვედა ბოლოში არის მოთავსებული. ამგვარად თვისი ცდების შედეგად Bizzozero ამბობს: „თუ ლორწოს გამომშუშავებელი უჯრედები მაშინაც, როდესაც ივინი თავის ლორწოს წვეთებს საესებით ჰკარგავენ, სრულიად მათ შორის მდებარე უჯრედებს არ ჰგვანან, ჩვენ გვაქვს ახალი დადასტურება ხელში იმის მისაღებად, რომ ორივე უჯრედოვანი ფორმა ნამდვილად სხვადასხვა გვარისა და არა მხოლოდ ერთისა და იმავე ელემენტის ორ სხვადასხვა ფუნქციონალურ სტადიას წარმოადგენენ. ეს ეკუთვნის იმ ელემენტებს, რომელთაც თვისი ზრდა დაამთავრეს, ესე იგი მათ, რომელთაც ჩვენ ჯირკვლების შუა მიდამოში ენახულობთ“.

რაც შეეხება ჯირკვლების ღრმა ბოლოებში მყოფ ელემენტებს, Bizzozero ანბობს, რომ ლორწოს გამომყოფი უჯრედების დამახასიათებელი ნიშნები უფრო ნაკლებ ნათლადა გამოხატული; იგინი უფრო ნაკლებ ლორწოს შეიცავენ, მათი საღებავების შეთვისების უნარი ძლიერ სუსტია და ერთი სიტყვით ძლიერ ნათელ უჯრედებსა ჰგვანან, რომელნიც მათ გარეშე მო არის.

ავტორი ფიქრობს, რომ ზოგიერთი ჯირკვლის ბრმა ბოლოს ელემენტები თითქოს ინდიფერენტულ ელემენტებს წარმოადგენენ, რომელნიც შემდეგ განვითარების მსვლელობის დროს ორი სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება და ერთის მხრივ ლორწოს გამონღუშავებელი უჯრედები და მეორეს მხრივ ცილინდრული უჯრედები წარმოიშობა.

C. Sacerdoti-მ ფილისებრი უჯრედების განვითარება ძუძუმწოვართა სხვადასხვა ცხოველების ნაყოფებზე გამოიკვლია. მან თვისი კვლევა-ძიება უფრო Rindsfoetusის ნაწლავებზე აწარმოვა. ავტორი ნაწლავის განსაჯღვრულ მიდამოს გამოკვლევით არ დაქმავიფილებულა. მან ნაწლავის ყველა მიდამო გამოიკვლია: თორმეტგოჯა, მღივი და მსხვილი ნაწლავი. თავისი გამოკვლევაანი მან Bizzozero-ს ნახმარი მეთოდით აწარმოვა: ფიქსაცია Hermann-ის სითხით, შეღებვა safranin-ითა და hämatoxylin-ით. 7 cm. სიგრძის Rindsfoetus-ის თორმეტგოჯა ნაწლავის ეპითელიუმში მან დიდ-ძალი მიტოზები და აგრეთვე ლორწოიანი უჯრედები შეამჩნია; თუმცა უკანასკნელის რიცხვი ბევრი არ იყო, მაგრამ საკმარისად დიდ ლორწოს რაოდენობას მარცვლების სახით შეიცავდა. ლორწოიანი უჯრედები სხვა უჯრედებს შორის უწესრიგოდ იყო გაბნეული და, რასაც ავტორი უფრო დიდს ყურადღებას აქცევს, ზოგიერთ ლორწოს მარცვლებიანი უჯრედები შემეარტებელი ქსოვილის მეზობლად მყოფ შრეებში არსებობდა. უკანასკნელი ფაქტი აიძულებს ავტორს მიიღოს, რომ ლორწოიანი უჯრედების დიფერენციაცია ღრმა შრეებში ხდება, რის შემდეგაც იგინი ზევით თავისუფალი ზედაპირისაკენ თანდათანობით იწევენ და ამავე დროს მათში ლორწო წარმოიშობა. 8 cm. სიგრძის Rindsfoetus-ის თორმეტგოჯა ნაწლავში ეპითელიუმის დალაგების მხრივ უკვე ერთგვარი წესი არსებობს. ხაოების მიდამოების ეპითელიუმში უფრო გრძელია, ზედა ნახევარი განიერია და ბიროტს შეიცავს; ქვედა ნახევარი კი ვიწროა. ზოგიერთი მათგანი კი ლორწოს ბელტებს შეიცავს. ლორწოიანი და ნათელ უჯრედებში ორივეში კარიოკინეზული ფიგურები არსებობს. ხაოებს შორის ჩადრეკილ ადგილებში მყოფ უჯრედებს თავწაკვეთილი პირაზიდის მოყვანილობა აქვთ და სანათურისკენ მიმართულ ბოლოზე ლორწოს მარცვლებს შეიცავს და ამას გარდა მათში კარიოკინეზული ფიგურები ხშირ მოვლენას წარმოადგენს. შედარებით უფრო ხნიერი (10—14 cm. სიგრძის ნაყოფის) ფილისებრი უჯრედების რიცხვი გამრავლებულია და აგრეთვე გადიდებულია მათში ლორწოს რაოდენობაც ნამეტნავად ხაოებს შორის ჩადრეკილ ადგილებში მყოფ ელემენტებში. ორ მეზობელ ხაოს ფუძის შორის ჩადრეკილ ადგილებში, რომელნიც ჯირკვლების საფუძველს წარმოადგენენ, ლორწოს რაოდენობა უფრო ღრმად მდებარე უჯრედებში სჭარბობს, ასე რომ უფრო ახალგაზრდა უჯრედები ყელის მიდამოში არის. ხაოების ეპითელიუმში ცილინდრულია და თავისუფალი ზედაბოლოს ყაეთანი აქვს დართული. მათ შორის ლორ-

წოიანი უჯრედები არსებობს, რომელნიც ხაოს მწვერვალზე უფრო ზედმეტად განვითარებულია, მაშინ როდესაც ხაოს მწვერვალსა და ჯირკვლის ყელის შორის უფრო ახალგაზრდა ფიალისებრი უჯრედები არის. ახალგაზრდა და ჯირკვლის ბრმა ბოლოში მდებარე ლორწოიანი უჯრედთა შორის განსხვავებაა როგორც გარეგნული მოყვანილობისა, აგრეთვე მათში მყოფი ლორწოს მხრივ. ამ პერიოდში კარიოკინეზული მოვლენები მხოლოდ ხაოების ქვედა მიდამოში არსებობს, მაშინ როდესაც ხაოს მწვერვალსა და შუა მიდამოში მიტოზები არ მოიპოვება. 26 cm. სიგრძის rindfoetusს უკვე ჯირკვლები ნათლად განვითარებული აქვს, რომლებიც ხაოების ფუძის შორის თავისუფალ ზედაპირზე არსებობს და რომლის ყელის მიდამოშიც მიტოზები და ახლად წარმოშობილი უჯრედები არსებობს. უქანასქნელი ხაოს და ჯირკვლის ბოლოს ეპითელიუმშია არამც თუ მოყვანილობით, არამედ აგრეთვე თავისი სეკრეტის აგებულებითა და შებენის უნარით განსხვავდება. ანალოგიურ მოვლენებს აგრეთვე თეძოსა და მლივ ნაწლავში აქვს ადგილი.

რაც შეეხება მსხვილ (სწორ) ნაწლავს, აეტორმა 8-10 cm. სიგრძის rindfoetusის ნაყოფს უკვე ნათლად განვითარებული ლორწოიანი უჯრედები შეამჩნია, რომელშიც კარიოკინეზული მოვლენები არსებობდა. შედარებით უფრო ხნიერი ნაყოფის სწორ ნაწლავში ლორწოიანი უჯრედების რიცხვი თანდათან გამრავლებული იყო.

თავის გამოკვლევის დასასრულს აეტორი ამბობს: „ამგვარად ჩემი ცდებიდან გამომდინარე, რომ ემბრიონალური ცხოვრების დროს ლორწოიანი უჯრედების სხვა უჯრედებიდან დიფერენციაცია ძლიერ ადრე ხდება, როგორც Bizzozzerმ ეს ასაკში შესულ ცხოველებზე შენიშნა; ნაყოფების ლორწოიანი უჯრედების გამრავლება აგრეთვე მიტოზების საშუალებით ხდება მაშინაც კი, როდესაც მათში სეკრეტია და ამგვარად ივინი ფუნქციონალურ მოქმედებაში არიან.

ლორწოიანი უჯრედებს წარმოშობის ცენტრო, როგორც ვხედავთ, ხაოების ფუძეზე აქვთ, მაშინ როდესაც მათი ზრდის დასრულებული ფორმები ხაოების მწვერვალზე არის. ძლიერ მალე პროტოპლაზმატური და ლორწოიანი უჯრედების რეპროდუქციის ლოკალიზაცია ხაოებს შორის არსებულ თალებში ხდება, რაც ადასტურებს Bizzozzerის შეხედულებას.

თუ ლორწოიანი უჯრედები დანამდვილებით, როგორც Patzeltი ადასტურებს ემბრიონების შესახებ და ზოგიერთი ასაკში შესული ცხოველების შესახებაც, თვისი სეკრეტის გამოყოფის შემდეგ კვლავ პროტოპლაზმატური უჯრედების შეხედულებას ღებულობს, მაშინ უნდა ნახოს ხაოების მწვერვალზე, სადაც უფრო ხნიერი ფორმებია, გარდამავალი სტადიები ლორწოიანსა და პროტოპლაზმატურ უჯრედებს შორის, როგორც ივინი მაგალითად მხოლოდ უქანასქნელად Maewskyს მიერ ასაკში შესულ ცხოველებზე pilocarpinის ინექციის შემდეგ აღწერილი იყვნენ. მე ივინი ვერასდროს შევნიშნე, იმისდა მიუხედავად, რომ ჩემ მიერ გამოკვლეული პრეპარატების რიცხვი ძლიერ დიდი იყო“.

Patzeltმა მსხვილი ნაწლავის კედლის განვითარების გამოსაკვლევად ადამიანისა, კატებისა და ღორების ემბრიონებით ისარგებლა. განსაკუთრებული ყურადღება აეტორმა Lieberkühnის ჯირკვლებისა და ხაოების წარმოშობას მიაქცია.

მასალის ფიქსაციას Müllerის სითხეში ახდენდა, რის შემდეგაც in toto hæmatoxylinის გაზაზებულ ხსნარში შეღებვას ახდენდა. შეიღ ნახევარი სანტიმეტრის სიგრძის ადამიანის ემბრიონის მსხვილი ნაწლავის ღრუს განივ ნაკვეთზე პოლიგონალური მოყვანილობა აქვს. უკანასკნელი ეპითელიური შრის უთანაბრო სისქით არის გამოწვეული და არა ხაოების ან ნაოქების არსებობით. ნაწლავის მთელ შეგნითა ზედაპირზე ეპითელიუმის ხარჯზე სქელი და თხელი შრეები არსებობს. პოლიგონის გორაკებზე ანუ სქელ ადგილებზე ეპითელიური უჯრედები გრძელი და ვიწრო მოყვანილობისა არის. ბირთვის მოგრძო ოვალური მოყვანილობა აქვს; ხან ბაზალური და ხან უჯრედის თავისუფალ ბოლოსთან ახლო მდებარეობა აქვს; უჯრედების კონტური მკაფიოდ გამოხატული. ყათანი მკაფიოდ გამოხატული. აღწერილ უჯრედთა შორის აქა-იქ ფიალისებრი უჯრედები არსებობს.

პოლიგონის კუთხეებში უჯრედები უფრო დაბალია და მოკლე ოვალურ ბირთვს შეიცავს. ხაოების წარმოშობის შესახებ ამ სტადიაში ნიშნები არაერთა-რი არსებობს. 8,8 cm. სიგრძის ემბრიონის მსხვილი ნაწლავის კედლის აგებულების მხრივ საგრძნობი ცვლილებანი არ ემჩნევა.

ათ ნახევარი სანტიმეტრის სიგრძის ემბრიონის მსხვილ ნაწლავში ხაოები უკვე არის. ხაოებზე მრავალრიცხოვანი ფიალისებრი უჯრედები სხედან. ბირთვი ხაოების ეპითელიუმში ცენტრალურად არის შეწყული. პოლიგონის კუთხეში მყოფ უჯრედებში ბირთვს ბაზალური მდებარეობა აქვს. ავტორის აზრით უჯრედების ხარჯზე, რომელნიც პოლიგონის კუთხეებში ძეგს, Lieberkühnის ჯირკვლები ვითარდება, მაშინ როდესაც ეპითელიური უჯრედების მთელი დანარჩენი მარაგი სწრაფად გაზრდილი ხაოების ზედაპირზე ლაგდება. ჯირკვლოვანისა და თავისუფალი ზედაპირს (ხაოების) ეპითელიუმის ურთიერთშორის დამოკიდებულებისა და წარმოშობის შესახებ ავტორი Bizzozzerის თეორიას იზიარებს.

რაც შეეხება ფიალისებრი უჯრედების წარმოშობას, ავტორი ნახულობს, რომ მსხვილ ნაწლავში ისინი ეპითელიური უჯრედებიდან იმ სახით წარმოიშობა, რომ უკანასკნელში ბირთვსა და თავისუფალ კიდეს შორის ლორწოს წვეთებს წარმოშობენ, რომლის ოდენობა თანდათან მატულობს და დასასრულს ყათანს ხევს და ნაწლავის ღრუში იქცევა. უკანასკნელი პროცესის შემდეგ უჯრედის კედელი, ვინაიდან მასზე მეზობელი უჯრედები წნევა ახდენს, ეშვება. უჯრედში მყოფი პროტოპლაზმის რეგენერაციის ხარჯზე კვლავ ფიალის წარმოშობა იმავე წესით ხდება. ეს პროცესი უჯრედში მანამდე მეორდება, სანამდის იგი არ მოკვდება.

D-R Lypsky მუშაობის შედეგების ნაწლავის ეპითელიუმისა და მათი ყათინის გამოკვლევა აწარმოებ.

როდესაც ავტორმა ახლად მოკლული კატის ნაწლავიდან აღებული მასალა ორ-ჰრომ-მეავა კალიუმის ხსნარში ჩასდო, თითქმის ყველა უჯრედი, როგორც წერილი, ისე მსვილი, ნაწლავის ფიალისებრ უჯრედებად გადაიქცა. უკანასკნელი ფაქტის გამო ავტორი ამბობს, რომ „თითქმის შეუძლებელია უფრო მაგარი კრიტერიუმის აღმოჩენა უჯრედების გარის ბუნებისა ნაწლავში საზოგადოდ და იმ ფაქტების უსაფუძვლობისა, რომელნიც ორგვარ უჯრედებზე, ხაოებზე ან განსაკუთრებულ რეზორბციის ორგანოებზე ლაპარაკობენ“.

ამგვარად Lypsky აზრით ფიალისებრი უჯრედები ხელოვნურ პროდუქტს წარმოადგენენ.

ბაქიის ნაწლავში კი ანალოგიური სურათი ავტორმა ვერ მიიღო; სამაგიეროდ ავტორი ამბობს, რომ Strikerის მიერ თანაბრივი შედეგები ბაქიების ნაწლავზე იყო მიღებული მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ნახსენები ორგანოები არა ნორმალური გალიზიანებით ანთებად მდგომარეობამდე დაყვანილი იყო.

რაც შეეხება ყაეთნის აგებულებას, ავტორი ფიქრობს, რომ ის ჩხირებისგან და არა ხერელებისაგან შეიქმნება. უკანასკნელში ავტორი მით უფრო რწმუნდება, რომ ჩხირებს უთანაბრო სიმაღლე აქვთ, რაც ძნელი წარმოსადგენია ყაეთანში ხერელების არსებობის მიღებით. როდესაც ფიალისებრი უჯრედებიდან სეკრეტი გამოდის, ამბობს ავტორი, მასთან ერთად ყაეთნის მოვარდნაც ხდება და ამიტომ უჯრედის გარსში ხერელი ჩნდება. კატების ნაწლავიდან მიღებულ ნაყვეთებზე Lypsky შენიშნა, რომ ფიალისებრი უჯრედის ორთავე კედელზე ნათლად დახაზული ყაეთნის ნაწილები დაჩენილი იყო. მსხვილ ნაწლავში კი თანაბრივი დაზიანება ყაეთნის და აკრეთვე მისი დახაზულობის არსებობა ვერ შეამჩნია.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხაოების პარენქიმა თითონ უჯრედებიდან შედგება, საზღვარი ღრმად მდებარე უჯრედებსა და პარენქიმის შორის მკაფიოდ გამოხატული არ იყო, რაც ავტორს აფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ეპითელიური უჯრედების მორჩები ხაოს პარენქიმაში უშუალოდ გადადიოდეს.

ამას გარდა შესაძლებლად თვის ეპითელიური უჯრედების გარსის ქვედა ბოლო გახსნილი იყოს, მაგრამ დანახვა კი შეუძლებელია, ვინაიდან ეპითელიური უჯრედის სეკრეტიდან მთლიანი დაცლა ძლიერ იშვიათ შემთხვევაში ხდება და ამიტომ მუდმივ ფიალის ფუძეზე პროტოპლაზმის ნაშთი რჩება. პირიქით როგორც კი პროტოპლაზმის ზერელე ნაწილების გამოყოფა ხდება, მაშინვე მკაფიოდ გამოხატულ ხერელს ვხედავთ.

Stöhr: „ფიალისებრი უჯრედები ჩვეულებრივი ნაწლავის ეპითელიური უჯრედებიდან წარმოიშობა; სათანადო პირობების დროს ყოველ ახალგაზრდა ეპითელიუმის უჯრედს ფიალისებრი უჯრედად გადაქცევა შეუძლია“. ეპითელიუმის რეგენერაცია, ამბობს ავტორი, ნაწლავის ჯირკვლებში მიტოტიური გაყოფის საშუალებით ხდება.

ახლად წარმოშობილი უჯრედები თანდათანობით თავისუფალი ზედაპირისაკენ მიისწრაფიან, რომ იქ მოვარდნილი უჯრედების ადგილი დაიკავონ. ამიტომ ჯირკვლების ეპითელიუმი ახალგაზრდა უჯრედებით არის წარმოდგენილი, მაშინ როდესაც თავისუფალი ზედაპირი უფრო ხნიერი უჯრედებითაა მოფენილი.

ცილინდრულ უჯრედებში ავტორი მარცვლოვან პროტოპლაზმასა და ბირთვის არჩევს. უჯრედის თავისუფალ ბოლოს ყაეთანი აქვს დართული, რომელსაც ხან ჰოპოგენური და ხან დახაზული აგებულება აქვს.

ფიალისებრი უჯრედების ზედა თავისუფალი ზედაპირისკენ მიმართული ნაწილი გაგანიერებულია და ლორწოდ გადაქცეული პროტოპლაზმით დაკავებული. ბირთვები და დანარჩენი პროტოპლაზმა უჯრედის ფუძეზე ძეხს. ყაეთანი ფიალისებრი უჯრედებს არ აქვთ. მათ ადგილას მკაფიოდ გამოხატული ხერელია, რომლის საშუალებითაც მათი სეკრეტი ნაწლავის ზედაპირზე გამოდის. მსხვილი

ნაწლავის მიდამოში ფიალისებრი უჯრედების დიდი რიცხვის არსებობის ფაქტს ავტორი იმით ხსნის, რომ წერილი ნაწლავის ჯირკვლებში წარმოშობილი უჯრედები უფრო სწრაფად მიიმართება თავისუფალი ზედაპირისაკენ, ვინაიდან ხალების გამო ნაწლავის თავისუფალი ზედაპირი ძლიერ გადიდებულია და მოვარდნილი უჯრედების აღსადგენად უჯრედების დიდი რიცხვი არის საჭირო. ამიტომ ჯირკვლებში უჯრედების პროტოპლაზმა ვერ ასწრებს ლორწოდ გადაქცევას. მსხვილ ნაწლავში პირიქით, სადაც ხაოები არ არის, უჯრედების თავისუფალი ზედაპირისკენ მისწრაფება ნელა ხდება, უჯრედებს აქვსთ დრო ისევე ჯირკვლების მიდამოში არსებობის დროს ლორწო წარმოშონ.

„აქედან შემცდარი წარმოდგენა წარმოიშვა, რომ წერილი ნაწლავის ჯირკვლები სეროზულ სითხეს იძლევიან („ნაწლავ-სეროზული ჯირკვლები“) მსხვილი ნაწლავის ჯირკვლები კი ლორწოს („ნაწლავ-ლორწოვანი ჯირკვლები“).

ავტორი ამბობს, რომ ეპითელიურ უჯრედში ლორწოს წარმოშობა და გამოყოფა ერთსა და იმავე დროს ხდება. დასაწყისში ლორწოს წარმოშობა მის გამოყოფას სქარბობს, რის გამოც უჯრედებში დაგროვილი სეკრეტის რაოდენობა მატულობს; ბოლოს პირიქით გამოყოფის პროცესი სქარბობს. უჯრედი მთლიანად თანდათანობით იცლება და კვდება. ამგვარად Stöhr-ის აზრით სეკრეტის შემდეგ ფიალისებური უჯრედი კვდება. მას განმეორებითი სეკრეტის უნარი არ შესწევს.

J. H. Listი ამბობს, რომ ფიალისებრი უჯრედები მოყვანილობის მხრივ დიდ სხვადასხვაობას განიცდიან. საერთოდ იგი ორ ძირითად ფორმას არჩევს: ფეხიანსა და უფეხო ფიალისებრი უჯრედებს. ფეხიანი ფიალისებრი უჯრედები, რომელნიც უმთავრესად ხერხემლოვანთა წერილი ნაწლავის ეპითელიუმში გვხვდებიან, მითი ხასიათდებიან, რომ ფეხი thecal უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს და შეიცავს ბირთვს. უფეხო ფიალისებრი უჯრედებს კარგად გამოხატული გარსი აქვთ, რომელიც, როგორც განცალკევებულ უჯრედებზე იზოლაციის შემდეგ, ისე ნაკვეთებზედაც მკაფიოდ ჩანს. უჯრედის თავისუფალი ბოლოს შესქელება ავტორმა ვერ შეამჩნია. ამას გარდა, ავტორის აზრით, ფიალისებრი უჯრედების გარსი მაგარი და ელასტიურია, ვინაიდან იგი დაუზიანებლად იტანს ბევრგვარ წნევას, რომელსაც საოპერაციო ნემსით ვაყენებთ, თუმცა დაზიანებული ფორმებიც გვხვდება. Thecal შენაცავში, როგორც ფეხიან ისე უფეხო ფიალისებრი უჯრედში, ორ ნივთიერებას არჩევს: filarmasse და interfilarmasse. Filarmasse ძაფების მაგვარ ნივთიერებას წარმოადგენს, რომელნიც მრავალ მარყუშებს ქმნის და ხიდაკებისმაგვარად მთლიანად thecal მიდამოში დალაგებული არის და მარბად იღებებიან განსაზღვრული საღებავებით. Interfilarmasse კი filarmasselს მარყუშების შორის მოთავსებულია და წარმოდგენილია ჰომოგენური ნივთიერებით, რომელიც გაცილებით უფრო ნაკლებად იღებება საღებავებით. ზოგიერთი ორფერი შეღების მეთოდით filarmasse და interfilarmasse სხვადასხვაფერად იღებებიან. მაგალითად bismarkbraun—methylengrünით შეღებილ ნაკვეთებზე filarmasse ინტენსიურ წაბლის ფრად არის შეღებილი და interfilarmasse—მომწვანო ფრად. ფეხის შენაცავი ეგრეთვე, როგორც thecal ორი ნივთიერებით filar-და interfilarmasseთი არის წარმოდგენილი. Filarmasse ფეხის



ზედა მიდამოში thecal ახლო ძაფებისაგან მკიდროდ შემდგარი ბალით არის წარმოდგენილი, რომელიც ფეხის ბოლოსკენ უფრო ნაკლებ ნათლად არის გამოხატული და გრანულარულ მოყვანილობას ლებულობს. ფეხის filarmasse thecal filarmasselთან შეერთებული არის და ამგვარად მის გაგრძელებას წარმოადგენს.

Hämatoxylin-glycerin-eosinით შელებით ნაკვეთებზე ავტორმა შეამჩნია, რომ thecal filarmasse და interfilar-masse ცისფრად იღებება, მაშინ როდესაც ფეხის შენაკავი შედაჭებით წითლად და ოდნავ ცისფრად. უკანასკნელ ფერად ფეხის thecal ახლო მდებარე ნაწილები იღებება. ქვევითკენ ცისფრად შეღებვა თანდათანობით წითელ ფერში გადადის.

Thecal და ფეხის შენაკავის შელეების უნარის სხვადასხვაობა. ავტორის აზრით, ფილისებრი უჯრედის ნახსენები ორი ნაწილის ქიმიური სხვადასხვაობით არის გამოწვეული. ამას გარდა ავტორს უეჭველად მიაჩნია, რომ ფეხის შენაკავის ლიფერენტიატია თანდათანობით ხდება და thecal შენაკავის ანალოგიურ კონსტრუქციას ლებულობს.

ბირთვის მდგომარეობა ფეხიანი ფილისებრი უჯრედის ფეხში მუდმივი არ არის. ხან ზედა, ხან შუა და ხან ქვედა ნაწილში ძვეს. მოყვანილობა სფეროსმაგვარი ან ელიფსოიდური. ოსმიუმით დანუშავებულ პრეპარატზე ბირთვში მის გარსის ქვეშ ძაფებისაგან გაბმული ხიდაკები და ბირთვაკი მუდმივ არსებობს. Thecal filarmassel, და ბირთვის ხიდაკებს შორის, ავტორს კავშირის არსებობა არ შეუშინებია. შესწევს თუ არა ფილისებრი უჯრედების ბირთვს გამრავლების უნარი, ავტორს გადაწყვეტა არ შეუძლია, ვინაიდან მის მიერ გამოკლულ პრეპარატებზე მას კარიოკინეზული ფორმები არასოდეს შეუშინებია. არასოდეს შეხვედრია აგრეთვე ორ ან მრავალბირთვიანი უჯრედი.

„ფილისებრი უჯრედების სეკრეტული მოქმედება იზოლოდ მაშინ იწყება, როდესაც იგი თავისუფალ ზედაპირზე აიწევა და stomas ლებულობს. ყველა ღრმა შრეში მყოფი ფორმები დახშულია. ფილისებრი უჯრედის კედელს თავისუფალი ზედაპირისკენ მიმართულ მხარეზე მრგვალი, დასაწყისში ძლივს შესამჩნევი ხერელი stoma აქვს დართული, რომელიც თანდათანობით შემდეგ დიდდება და რომლიდანაც thecal შენაკავი გამოდის... მხოლოდ შედარებით იშვიათად თავისუფალ ზედაპირამდე ასული და კიდევ გაუხსნელი ფორმების ნახვა შეიძლება“.

სეკრეტია, ავტორის აზრით. ერთგვარ გაბერვით პროცესზე არის დამყარებული, რომელიც უმთავრესად interfilar-massel ეხება და ზედა, stomas ახლო მდებარე ნაწილში იწყება. Interfilar-massel გაბერვა stomas წარმოშობაზე ადრე იწყება. მისი მოცულობის გადიდების შედეგად ტურგორი უჯრედში მატულობს და უჯრედის შენაკავის ნაწილი, როგორც filar-ისე interfilar-masse stomas საშუალებით გამოდის და ნაწილობრივ ზეზობელ უჯრედებზე ძვეს; ნაწილობრივ კი საცობისმაგივრად იმავე უჯრედის stomaშია მოთავსებული.

უჯრედის შენაკავის გაბერვითი პროცესი, რომელიც უპირველესად მის ზედა ნაწილში დაიწყო, თანდათანობით ქვევით გრძელდება და thecal ფეხამდე ახწევს, რის შემდეგაც thecal მთელი შენაკავი მთლიანად გამოძყოფ ნივთიერებად იქცევა.

„ჩემთვის უქვეელია, რომ მერმე გაბერვის ზრდასთან ერთად ფილარული მასის უდიდესი ნაწილი თანდათანობით გამოიყოფა“.

Interfilarmassel გაბერვის პროცესის დროს მათ შორის მდებარე filarmassel მარყუშების გაქიშვა ხდება, რის გამოც იგინი იგლიჯება და ნაწილობრივ interfilarmasselთან ერთად stomის საშუალებით გარეთ გამოდის. ცოცხალ ფილისებრ უჯრედებზე ძმრის მეჯვის მოქმედების დროს Listმა thecal გაბერვა შეამჩნია, მაშინვე stomის წარმოშობა და thecal შენაცავის უმეტესი ნაწილის ჰომოგენურ და ღვრიე ნივთიერებად გარდაქმნა, რომელშიც მხოლოდ ძლიერ ცოტა filarmassel ნაშთი იყო. ამას გარდა გახსნილი ფილისებიერი უჯრედებიდან, რომელთაც stomas საშუალებით სეკრეტის გამოსვლა არ ემჩნეოდათ, ძმრის მეჯვის მიმტების შემდეგ უმთავრესად interfilarmasseდან შემდგარი ნივთიერების გამოსვლა შეამჩნია. იმ შემთხვევაში, როდესაც უჯრედს ვიწრო stoma აქვს დარჩული, უჯრედიდან გამოსული პატარა სეკრეტი საცობის მაგვარად ფილისებრი უჯრედის ყელზე ძვეს, მაშინ როდესაც განიერი stomით დართული უჯრედიდან გამოსული სეკრეტი აგრეთვე მეზობელ უჯრედებზეც ძვეს. უჯრედიდან გამოსული სეკრეტი იმავე ორი ნივთიერებიდან შედგება, როგორც უჯრედის thecal შიგნით, რომელშიც interfilarmassel ნივთიერება სჭარბობს. უკანასკნელი, ავტორის აზრით, ეთანხმება მას, რომ სეკრეციის დროს interfilarmassel მოცულობის გადიდებას აქვს ადგილი. Filarmasse გამოყოფილ სეკრეტში დაუზიანებელი მარყუშების სახით ძლიერ იშვიათად გვხვდება. ჩვეულებრივად მარყუშები დაწყვეტილია და ცალკე ძაფები უწყსრიგოდ ურთიერთშორის ალაგია. ავტორი ამბობს, რომ თუ დაწვრილებით გამოვიკვლევთ გამოყოფილი სეკრეტის ფორმას, მაშინ ხშირად დიდ საცობებზე შეგვიძლია შევამჩნიოთ, რომ საცობების წარმოშობა ფილისებრი უჯრედის მხრივ ერთხელ მომხდარი სეკრეციის აქვად არ ჩაითვლება, არამედ იგინი განმეორებით სეკრეციის აქტის გაძლიერების საშუალებით თანდათან გაგანიერებულ stomaზე ერთი-მეორეზე ეწყობიან. „იმ აზრს, რომ ფილისებრი უჯრედები თავის შენაცავს ერთხელ არ გამოყოფენ, არამედ უფრო ხშირად შეუძლიათ თავისი შენაცავი გამოყონ, ეთანხმება არამც თუ უფრო წინად აღწერილი დაკვირვება, რომ გაბერვითი პროცესი თანდათანობით იწყება, არამედ ფაქტები, რომ გამოყოფილი სეკრეტის ოდენობა ძლიერ ხშირად stomas სიდიდებზე არის დამოკიდებული. აღწერილი სახით გამოყოფილი სეკრეტი გარშემო მდებარე ეპითელიურ უჯრედებზე თავსდება“.

რომ ფილისებრი უჯრედები ერთ უჯრედოვან ჯირკვლებს წარმოადგენენ, რომელნიც დროგამოშვებით, თვის სეკრეტს გამოყოფენ, ავტორის აზრით ეს უქვეელია. ხლო რაც შეეხება მათ დამოკიდებულებას ეპითელიურ უჯრედებთან და საკითხს, არიან ფილისებრი უჯრედები დამოკიდებული წარმოქმნანი თუ არა, ავტორი ფიქრობს, რომ ფილისებრი უჯრედები ჩვეულებრივი ეპითელიური უჯრედებიდან წარმოიშობა, როგორც ცილინდრულ ეპითელიუმში, მაგალითად ნაწლავი, ისე მრავალშრიან ეპითელიუმში. „ჩვეულებრივი ეპითელიური უჯრედებიდან წარმოშობა არ იქნება როგორც კრიტერიუმი ნახმარი, რომელიც ფილისებრ უჯრედებს მათ დამოუკიდებლობას ართმევს, ვინაიდან

metamorphosesთან ერთად არამც თუ მორფოლოგიური, არამედ აგრეთვე ღრმა ფიზიოლოგიური ცვლილებანი ხდება.

C. Arnstein. „ნაწლავის ეპითელიუმს გარსი არ აქვს, არც ბაზალურ ნაწილებში, არც გვერდით ნაწილებში; იგინი გზავნიან გრძელ, ვიწრო მორჩებს ლორწოიანი გარსის ქსოვილებში.

ფილისებრი უჯრედები წარმოიშობა ცილინდრული უჯრედებიდან უკანასკნელის ფორმის შეცვლის საშუალებით. ეს ფორმის შეცვლა სეკრეციისაგან არის დამოკიდებული.

Lankowsky წვრილი ნაწლავის ფილისებრ უჯრედებში გარსს, thecal, პროტოპლაზმას და ბირთვს არჩევს. გარსში თავისუფალ ბოლოზე ხერეელი—stoma-- არსებობს, რომელსაც სხვადასხვა მოყვანილობა და მკაფიოდ გამოხატული კიდე აქვს.

Theca სეკრეტით (ლორწოთი) არის საესე, რომელსაც საფიქსაციოდ ნახმარი ნვთიერების მიხედვით ხან ჰომოგენური და ხან მარცვლოვანი და ხან ბადებრივი მოყვანილობა აქვს. ბირთვი ფენშია მოთავსებული; ცილინდრული უჯრედების ბირთვზე უფრო პატარა არის, ოვალური მოყვანილობა აქვს და უფრო ინტენსიურად იღებდა. ფილისებრი უჯრედი ახალგაზრდა ეპითელიური უჯრედებიდან წარმოიშობა და ასაკში შესული ცილინდრული უჯრედის გარდაქმნას არ წარმოადგენს. ყათანი არ აქვს. ფილისებრი უჯრედის ფუნქცია (სეკრეტის გამოყოფა) მაშინ იწყება, როდესაც იგი თავის ზედა ნაწილით თავისუფალ ზედაპირს მიახწევს და stomal ლებულობს. სეკრეტის გამოყოფა ერთად არ ხდება, არამედ თანდათანობით. სეკრეტის გამოყოფას, ავტორის აზრით, ფილისებრი უჯრედების გარშემო მდებარე უჯრედების წნევა და ნაწლავის ლორწოიან გარსზე შენაცავის მოძრაობა იწყებს. როდესაც ფილისებრი უჯრედი მთლიანად სეკრეტისაგან დაიცლება, იგი კვდება.

„ლორწოიანი უჯრედი მხოლოდ ერთხელ ცხოვრობს; გადასვლა ეპითელიუმში, რომლიდანაც იგი წარმოიშვა, მას არ შეუძლია“.

C. Erdmannი ფილისებრ უჯრედებს ხელოვნურ პროდუქტად თვლის, რომელნიც ქრომ-მეაისა ან ორქრომ-მეაის. კალიუმის ზეგავლენის ქვეშ ცილინდრული უჯრედებიდან წარმოიშობიან.

J. Sachsი ფილისებრ უჯრედებს ნაწლავში ხელოვნურ პროდუქტად თვლის. ძალეების ნაწლავის ახალ მასალაზე მან ფილისებრი უჯრედები ვერ იპოვა, მაშინ როდესაც ვერცხლით დამუშავებულ პრეპარატებზე ნახსენები უჯრედები იყო.

Th. Eimerი ფილისებრ უჯრედებს დამოუკიდებელ წარმოქმნად თვლის, რომელთაც ცილინდრულ უჯრედებთან, რომელთა შორისაც იგინი ალაგვიან, საერთო არაერთარი აქვთ და რეზორბციასთან დამოკიდებულებაც არაერთარი აქვთ.

Thecaში ფილის მუცელს და ფილის კელს არჩევს. ფილა ქვევით გრძელ და ღრუიან ზორჩში გრძელდება, რომელიც პირდაპირ ადენოიდურ ქსოვილში გადადის. დაძველებულ ფილისებრ უჯრედში ხშირად აღარც შენაცავი და აღარც ბირთვი ემჩნევა და მარტივ, უჯრედთა შორის მდებარე ლულას წარმოადგენს, რომელნიც ხერელების (stomata) საშუალებით ლორწოიანი გარსის თავისუფალ

ზედაპირს უშუალოდ პარენქიმასთან აერთებს. ფიალისებრ უჯრედებს ავტორი ექსკრეციის დანიშნულებას აძლევს.

E. Friesმა ნაწლავის ეპითელიუმზე გაზაფხული ძმრის მკაფის მოქმედების შემდეგ შეამჩნია, რომ ფიალისებრი უჯრედების ზერელებიდან ამოსული საცობები კონცენტრულად დალაგებული შრეებისაგან შედგებიან. ზერელიანი ფიალისებრი უჯრედების გარდა, ავტორმა ღრმა შრეებში აგრეთვე დახშული ფიალისებრი უჯრედები დაინახა და მათ ახალგაზრდა ფორმებად თვლის. უკანასკნელის შენაცავს მარცვლოვანი ან ჰოპოგენური მოყვანილობა ჰქონდა.

Friesი ფიალისებრ უჯრედებს დამოუკიდებელ და სეკრეტორულ წარმოქმნებად თვლის. უკანასკნელის სასარგებლოდ ავტორის აზრით, მათ მიერ მუცინის-მაგვარი მასის გამოყოფა ლაპარაკობს, მაშინ როდესაც მათი დამოუკიდებლობის ნიშნად ყუთნის უქონლობას თვლის. Friesი ფიქრობს, რომ ფიალისებრი უჯრედი სეკრეტის გამოყოფის შემდეგ კვდება.

C. Partschi სხვადასხვა amphibების ნაწლავის ეპითელიუმის გამოკვლევის შემდეგ, ამბობს, რომ ფიალისებრი უჯრედები ცილინდრული უჯრედების mucin. metamorphosen პროდუქტს წარმოადგენენ. ავტორმა ცილინდრულსა და ფიალისებრ უჯრედებს შორის მრავალრიცხოვანი გარდამავალი საფეხურის ფორმები შეამჩნია, რაც მას აიძულებს მიიღოს, რომ ეს ორი უჯრედოვანი ფორმა, ცილინდრული და ფიალისებრი, არამც თუ ორ სხვადასხვა წარმოქმნას, არამედ ერთისა და იმავე უჯრედის ორ ცხოველობით სტადიას წარმოადგენს.

როდესაც ცილინდრული უჯრედის mucin. metamorphosis პროცესი მთლიანად თავდება, მათი ბიოლოგიური ფუნქცია შესრულებული არის და მათ ადგილს ეპითელიური უჯრედების ბაზალურ ბოლოში მოთავსებული თითისტარა უჯრედები იჭერს.

Prof. L. Szymonowicz და Prof. R. Krause. „სეკრეტორული ფუნქცია არამც თუ მხოლოდ და განსაკუთრებით ჯირკვლების განვითარებასთან არის დაკავშირებული, არამედ იგი თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმსაც შესწევს, როგორც მაგალითად კუჭისა და ნაწლავის ეპითელიურ უჯრედებს, სადაც ჯირკვლოვანი უჯრედები თვითთულად სხვა უჯრედთა შორის არის გაბნეული. ამ უჯრედებს აღნიშნავენ აგრეთვე ცოტათი შეუფერებელი სახელით, როგორც ერთ-უჯრედოვან ჯირკვლებს. მაგალითად ერთ-უჯრედოვანი ჯირკვლების მაგალითს ფიალისებრი უჯრედი წარმოადგენს, როგორც ისინი ფართედ ნაწლავისა და სასუნთქავი ორგანოების ცილინდრული ეპითელიუმის უჯრედთა შორის გავრცელებული არიან. იგინი საესე მდგომარეობის დროს, ორი სხვადასხვა ნაწილისგან შესდგებიან: ერთი ქვედა, მახვილად წაზრდილი პროტოპლაზმატური სხეული და მეორე ზედა მუცლისმაგვარად გაგანიერებული ლორწოთი გავსილი ნაწილი; როდესაც უჯრედში ლორწოს წარმოშობა მის მაქსიმუმს მიახწევს, მაშინ თავისუფალი ზედაპირი გკვება და ლორწო ნაწლავის სანათურში იქცევა. მასთან ერთად უჯრედი ძლიერ ეშვება, პროტოპლაზმა უჯრედის მთელ სხეულში ვრცელდება და უჯრედი თითქმის არაფრით აღარ განირჩევა ჩვეულებრივის ცილინდრული უჯრედებიდან. პროტოპლაზმის ლორწოდ გარდაქმნის პირველი ნიშანი ბირთვის ახლო სხეულაკების, მუცინის მარცვლების წარმოშობით აღინიშნება. მათი რაოდენობა შემ-

დეგ უჯრედებში თანდათანობით მატულობს, ერთდებიან ერთი-მეორესთან დიდი მრგვალი მარცვლების სახით, რომელნიც ფიალისებრ უჯრედს მთლიანად მჭიდროდ აესებენ. წყლის შეთვისების საშუალებით გაბერვა და ლორწოდ გარდაქმნა ხდება, რომლითაც ფიალისებრი უჯრედი როგორც საცობით (theca) ამოვსილია, სანამ საბოლოოდ გამყოფილი არ იქნება. მუცინის მარცვლების წარმოსაშობ დედეულ სუბსტანციის მიტოხონდრიები იძლევა“.

ცილინდრული და ფიალისებრი უჯრედების ურთიერთ შორის დამოკიდებულობის შესახებ ნახსენები ავტორები ამბობენ:

„საკითხი, წარმოადგენენ ფიალისებრი უჯრედები განსაკუთრებულ უჯრედოვან ფორმას, თუ ცილინდრული ეპითელიუმის გარდაქმნილ უჯრედებს. დღემდე საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. ზოგიერთი მკვლევარი სწორედ ადასტურებს, რომ ყოველ ახალგაზრდა ცილინდრულ ეპითელიურ უჯრედს შესწევს უნარი ფიალისებრ უჯრედად გადაიქცეს, ასე რომ ცილინდრული და ფიალისებრი უჯრედები ერთისა და იმავე ელემენტის ორი სხვადასხვა ფაზა არის (Patzelt, List, Biedermann, Panet). მეორე რიგი მკვლევართა, პირიქით, იმ აზრისა არის, რომ ფიალისებრი უჯრედი და ცილინდრული უჯრედი ორი განცალკევებული, სპეციალური სხვადასხვა ფორმაა (Bizzozero, Monti), და რომ ფიალისებრი უჯრედი დამშვიდებული მდგომარეობის დროს ნამდვილ ცილინდრულ უჯრედს მხოლოდ ჰგავს. ლორწოს წარმოშობა ერთსა და იმავე უჯრედში შესაძლებელია განმეორებით მოხდეს“.

M. Clarab (1926) ფიალისებრი უჯრედების გამოკვლევა ფრინველთა სხვადასხვა წარმომადგენლების ნაწლავებზე აწარმოვა. თავისი კვლევა-ძიების დროს მან შენიშნა, რომ იმ ფრინველების ნაწლავის Lieberkühnის კრიპტებში, რომელნიც მოკლე და სწორ ლულებს წარმოადგენენ, ფიალისებრი უჯრედების რიცხვი, ნამეტურ კრიპტების მიდამოში, სხვა დანარჩენ ნაწლავის ჩვეულებრივ უჯრედების რიცხვს სჭარბობს. იმ კრიპტების ფუძეებში, რომელნიც გრძელ და კლაკილ ლულას წარმოადგენენ, ლორწოს მარცვლებიანი უჯრედების რიცხვი ცოტა იყო და თითონ ლორწოს მარცვლები კი ძლიერ პატარაა. ფიალისებრი უჯრედები უმთავრესად კრიპტების შუა და ზედა მესამედში იმყოფებოდა. ამას გარდა იმისთანა გვარის ფრინველების ნაწლავიც განიხილა, რომელთა კრიპტების ბრმა ბოლოები ფიალისებრ უჯრედებს სრულიად არ შეიცავდა და თავისუფალ ზედაპირზე კი ეს უჯრედები იყო. ამ სამი მთავარი ტიპის წარმომადგენელთ შორის, ავტორმა გარდამავალ საფეხურზე მდგარი ფორმებიც გამოიკვლია. მიუხედავად ამისა M. Clarab თავისი მასალის მიხედვით შენიშნა, რომ ფრინველების კრიპტების ფუძეში ფიალისებრი უჯრედების რაოდენობა კლებულობს, როდესაც კრიპტების განვითარება მატულობს. ფიალისებრი უჯრედების მოყვანილობის შესახებ ავტორი ამბობს, რომ თავისუფალი ზედაპირის მიდამოში და მის მახლობლად მათ პრიზმული ცილინდრული მოყვანილობა აქვთ და კრიპტების მიდამოში კი კონუსისმაგვარი.

ზემო მოყვანილ განსხვავებას ფიალისებრი უჯრედების მხრივ ავტორი ხსნის მით, რომ კრიპტების მიდამოში უჯრედები, კარიოკინეზის მოვლენების გამო ერთი-მეორესთან ძლიერ ვიწროდ ალაგია და ამიტომ მათ არ აქვთ საშუა-

ლება ადგილის სიეწროვის გამო, ფიალისებრი უჯრედების მოყვანილობა მიიღონ. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, ავტორს კრიპტების მიდამოში ტიპიური ფიალისებრი უჯრედებიც შეჰხვდა.

ფრინველების ნაწლავის ეპითელიუმში ავტორმა, ისე როგორც დანარჩენმა ძველმა ავტორებმა ძუძუმწოვართა ნაწლავის ეპითელიუმში შენიშნა, რომ ფიალისებრი უჯრედების რიცხვი ნაწლავის სხვადასხვა მიდამოში სხვადასხვაობას განიცდის. უკანა ნაწლავში ფიალისებრი უჯრედების რიცხვი მეტად გაძლიერებულია, რასაც ავტორი მიზანშეწონილად თვლის, ვინაიდან უკანა ნაწლავში ლორწოს არსებობა მასში მაგარი და მშრალი ექსკრეტების მოძრაობას აადვილებს.

ფიალისებრი უჯრედის სხეულში ავტორი, ისე როგორც ძველი მკვლევრები, ორ ნაწილს არჩევს: დისტალურ ანუ სუპრანუკლეალურს, რომელიც სეკრეციის მდგომარეობის მიხედვით არა თანაბრიე რაოდენობის მუცინოზური მარცვლებით არის ამოვსილი და სახელად ფიალას უწოდებს, და ბაზალურ პროტოპლაზმატურ ნაწილს, რომელიც აგრეთვე ბირთვის შეიცავს, ეგრეთწოდებული ფეხი ანუ ჩხირი. პროტოპლაზმატური ნაწილი, ამბობს ავტორი, ფრინველებს მკაფიოდ აქვთ გამოხატული და მისი სხვადასხვა მოყვანილობა და ოდენობა უჯრედის ფუნქციონალურ მდგომარეობაზე არის დამოკიდებული. ბირთვის მოყვანილობასა და მდებარეობას ავტორი აგრეთვე უჯრედის სეკრეციული მდგომარეობით ხსნის; როდესაც უჯრედის ფეხი მკაფიოდ არის გამოხატული, მაშინ ფიალისებრი უჯრედების ბირთვი მეზობელ უჯრედების ბირთვის ძლიერ წააგავს; როდესაც ლორწოს რაოდენობა უჯრედში ძლიერ ბევრია, მაშინ ბირთვი ლორწოს ზეგავლენის ქვეშ დეფორმაციას განიცდის, და როგორც მუქი, მცხრალი მთვარის მაგვარი უჯრედის ფუძეზე დადენილ წარმოქმნას წარმოადგენს.

ფიალისებრი უჯრედის ბირთვის უფრო ინტენსიურად შეღების უნარს ავტორი ფიალისებრი უჯრედის ბირთვის უფრო სიპატარავით და, ჩვეულებრივ უჯრედების ბირთვთან შედარებით, ქრომატინით უფრო სიმდიდრით ხსნის. ასე რომ ქრომატინის რაოდენობა მათში, უფრო პატარა მიდამოში არის შეგროვილი, რაც ფიალისებრი უჯრედების ბირთვის უფრო მუქ შეღებვას იწვევს. მასთან ერთად ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ეს განსხვავება ზოგიერთ შემთხვევაში ნათლად არ არის გამოხატული და კრიპტების მიდამოში კი სრულიად არ არსებობს. ბირთვის მდებარეობა თავისუფალი ზედაპირის მიდამოში, ფიალისებრი უჯრედებში უფრო ბაზალურია მთავარი უჯრედების ბირთვთან შედარებით. ეს მდებარეობა, ამბობს ავტორი, მხოლოდ ლორწოს წნევით არ არის გამოწვეული, არამედ ფიალისებრი უჯრედების განსხვავებით ნიშნად უნდა ჩითვალოს, ვინაიდან კუბურ უჯრედებში, რომელშიც ლორწოს რაოდენობა ცოტა არის, თანაბარი დამოკიდებულება არსებობს კრიპტების მიდამოში ყველა უჯრედში, როგორც მთავარში, ისე ფიალისებრში, ბირთვს ბაზალური მდებარეობა აქვს, ასე რომ განსხვავება აღარავითარია.

უჯრედის ბაზალური ნაწილის პროტოპლაზმა, ავტორის დაკვირვებით, დისტალურ, ლორწოს შენაცავ ფიალაზე ვრცელდება და მასში ბადეს, intergranulარულ, რეტიკულარულ ნივთიერებას ქმნის, რომელსაც Listისა და Schie-

ferdeckerის filarmassესთან საერთო არაეითარი აქვს. ფიალაში ბადე ანუ intergranulარული ნივთიერება, ავტორის აზრით, mucingranulal შორის მდებარე შევიწროვებული პროტოპლაზმით არის წარმოდგენილი. ფიქსაციის შემდეგ ბადე მხოლოდ იშვიათად ემჩნევა.

ძლიერ ხშირად, პირიქით, ამბობს ავტორი, ფიალისებრ უჯრედებში ლორწოს მარცვლები არ მოჩანს და ბადე კი სამაგიეროდ მკაფიოდ არის გამოხატული, რომელიც მშვენიერად ლორწოს მღებავი ნივთიერებით იღებება.

ვინაიდან კარგი ფიქსაციის დროს, ამბობს M. Clara, ლორწოს მარცვლები უმეტეს შემთხვევაში არსებობს, უნდა ვიფიქროთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საფიქსაციო ნივთიერების შემდეგ ბადის წარმოშობა, მუცინის მარცვლების დაშლით, საფიქსაციო ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ ხდება, რომელიც ან ძაფებს ქმნის, ან პროტოპლაზმის მარცვლებს შორის დაილეკება.

ლორწოს სტრუქტურის სხვადასხვაობას ფიალისებრ უჯრედებში ავტორი მხოლოდ საფიქსაციო ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ წარმოშობად მოვლენად არა თვლის, არამედ, უმთავრესად, თვითონ ლორწოს განვითარების სხვადასხვა სტადიაში არსებობით ხსნის. M. Clara Gurwitsch-თან და სხვა ავტორებთან ერთად იმ აზრს იზიარებს, რომ ნაწლავის ეპითელიური ფიალისებრი უჯრედები „თავის ლორწოს მარცვლების სახით წარმოშობს, რომელნიც წყლის შეთვისებასთან ერთად მწიფდება და intra vitam ერთი მეორეს უერთდება და ეგრეთწოდებულ ლორწოს წვეთებს ქმნიან“. ამიტომ ავტორი ფიალისებრ უჯრედებს, რომელნიც ნათლად ლორწოს მარცვლებს შეიცავენ, შედარებით მათთან, რომელშიც ლორწოს მარცვლები ნათლად არ არის გამოხატული, ან ბადის სტრუქტურას წარმოადგენენ, უფრო ახალგაზრდა უჯრედებად თვლის. ვინაიდან ნათლად ლორწოს მარცვლებიანი ფიალისებრი უჯრედები კრიპტებში არსებობს, M. Clara ამბობს, რომ მას არ შეუძლია Bizzozzer-ის აზრი არ გაიზიაროს და არ იცნოს კრიპტების ლორწოს მარცვლებიან უჯრედში მხოლოდ ახალგაზრდა ფორმები თავისუფალი ზედაპირის ფიალისებრი უჯრედებისა.

ლორწოს წარმოშობის პროცესისა და ადგილის დასაწყისის შესახებ M. Clara Gurwitsch-ის აზრს იზიარებს, რომელიც ამბობს: „თუ ჩვენ სეკრეტიდან მთლიანად ცარიელ უჯრედს ავიღებთ, შესაძლებელია ცოტად თუ ბევრად ჰომოგენურ უჯრედში პლაზმის სიღრმეში an der Grenze der Sichtbarkeit stehende ნაზის დიდი უქტების მარცვლების შენიშვნა, როგორც პროცესის პირველი სტადიისა“.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, ამბობს ავტორი. მარცვლები, როგორც პრიმარული დანამდვილებით შეგვიძლია ჩათვალოთ, თუ მათი აღმოჩენა ლორწოს მღებავი ნივთიერებით არის შესაძლებელი.

მარცვლების წარმოშობა ბირთვის ძლიერ ახლო ხდება და ის ახასიათებს, რომ ლორწოს მღებავ ნივთიერებათ ძლიერ ითვისებენ. პირველად ბირთვის ძლიერ ახლო წარმოშობილი სეკრეტი შემდეგ უჯრედის დისტალურ ნაწილში თანდათან გადასახლდება; უკანასკნელი დაკვირვება აგრეთვე სხვა ავტორების დაკვირვებასა (Heidenhain, Nassonow, Mathews) ესაბამება.

ფრინველების მასალაზე ავტორმა ლორწოს მარცვლები არამც თუ ფიალაში, არამედ უჯრედის ბაზალურ ვიწრო ნაწილში შეამჩნია, როგორც კრიბტებში, ისე-თავისუფალი ზედაპირის მიდამოში. ბირთვის ახლო, ზოგიერთ შემთხვევაში, ავტორმა ისეთი მარცვლების გროვები შეამჩნია, რომელნიც ძლიერ ინტენსიურად, ლორწოს საღებავით იღებებიან და ამგვარად თავის სიახალგაზრდავეს აღიარებენ. უკანასკნელი ფაქტის გამო ავტორი დამტკიცებულად თვლის, რომ ლორწოს მარცვლები ფიალაში არ წარმოიშობა, არამედ უჯრედის supranuclearურ ნაწილში ბირთვის ახლო ვითარდება.

M. Clara მისეთი უჯრედების ფორმებიც შენაშნა, რომელნიც დისტალურ ნაწილში ლორწოს მარცვლებს არ შეიცავდა, ფიალისებრი უჯრედების ნიშანი მათში არ იყო, მაგრამ ბირთვის ახლო ლორწოს მღებავი ნივთიერებით მღებავ მარცვლებს შეიცავდა. უკანასკნელ უჯრედებს, ავტორი, ლორწოიანი უჯრედების პირველ სერკეციულ სტადიად თვლის. ავტორი აღნიშნავს, რომ ლორწოს მარცვლები თვისი მომწიფების დროს სხვადასხვა ცვლილებას განიცდის, რომლითაც მწიფე და უმწიფო მარცვლები, ერთი მეორისგან განირჩევიან.

განსხვავება, ამბობს M. Clara, აგრეთვე პლაზმის მხრიაყ არის, მწიფე და უმწიფო ლორწოიან უჯრედებში, სანამ ტიპიური ფიალისებრი უჯრედები განვითარდებოდეს. სტრუქტურა და შეღებვა მთავარს და ფიალისებრ უჯრედებს შორის ერთი და იგივეა. როდესაც ფიალა განვითარდება, იმისთანა მემენტს დგება, რომლიდანაც ფიალისებრი უჯრედის პლაზმა მუქ ფრად იღებება. „—მდგომარეობა. რომლის ძალით ფიალისებრი უჯრედები, რამდენადაც მათი გენეზი, როგორც ისინი ზემოთ იყვნენ აწლერილნი, არ იციან, ადვილად შესაძლოა ჩაითვალოს დამოუკიდებელ უჯრედებად, უჯრედებად sui generis“. ფიალისებრი უჯრედების მუქ ფრად შეღებვას, ავტორი უჯრედის განსაკუთრებული მოლეკულების გამოშვებულ ნიშნად თვლის და არა განსაკუთრებულის უჯრედთა გვარის წარმოქმნით.

„ეს ფიალისებრი უჯრედების მუქი შეღებვა კიდევ უფრო მატულობს, თუ უჯრედებმა მათი სერკეციის პროდუქტი ცოტად თუ ბევრად გამოყვეს... ხანდახან დგება მომენტი, რომ მთელი ლორწო გამოიყოფა და ფიალისებრი უჯრედი განსაზღვრულ რიგად ეშვება: ეგრეთწოდებული მუქი, ვიწრო უჯრედები წარმოიშობა“. უკანასკნელი, ავტორის დაკვირვებით, მთავარი უჯრედებიდან მითი განირჩევიან, რომ მათი პლაზმა უფრო მუქ ფრად იღებება. მასთან ერთად, ყველა ვიწრო უჯრედი ნაწლაგის ეპითელიუმში, ამბობს M. Clara, ერთი და იმავე მიზეზებით წარმოშობილნი და თანაბარი ჩამომავლობისა არ არის. ავტორი არჩევს ვიწრო უჯრედების სამ ჯგუფს, რომელთა შორისაც ყოველ თვითეულს სრულიად სხვადასხვა წარმოშობა აქვთ. ნახსენები უჯრედების პირველი ჯგუფი ჩვეულებრივი ცილინდრული უჯრედებია, რომელნიც მექანიური წნევის გამო შეცვლილ მოყვანილობას ღებულობენ. მათი მოყვანილობა ჩვეულებრივი უჯრედების მოყვანილობას ესაბამება და მხოლოდ ხშირი და მუქფრად მღებავი პროტოპლაზმით განსხვავდება მათგან. ჩხირისებრი ყაითანი აქვთ. მეორე ჯგუფი ფიალისებრი უჯრედებიდან არის წარმოშობილი, რომელთაც



თვისი სეკრეტი მთლიანად გამოყვეს. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ამბობს ავტორი ფიალისებრი უჯრედების უახალგაზრდავეს ფორმას წარმოადგენს.

ვიწრო უჯრედების მესამე ჯგუფი მომაკვდავ ან მკვდარ ეპითელიურ უჯრედებს წარმოადგენს. უკანასკნელისთვის ავტორი უჯრედის მთლიანად ჰომოგენურად შეღებვას თვლის, რომელშიც დიფერენციაციის ნიშანი აღარავითარია არის. ფიალისებრი უჯრედებიდან „ვიწრო უჯრედების“ წარმოშობა, ავტორის აზრით, ძლიერ ბუნდოვანია. ბუნდოვანობას ის გარემოება იწვევს, რომ არ ვიცით, მხოლოდ ერთხელ გამოყოფს სეკრეტს ფიალისებრი უჯრედები და მის მერე კვდება, თუ მათ რამოდენიმეჯერ განმეორებით სეკრეციის უნარი შესწევთ. ამას გარდა, ამბობს ავტორი, არ ვიცით დამოუკიდებელი წარმოქმნა არის ფიალისებრი უჯრედები თუ არა. ესე იგი ფიალისებრი უჯრედები თავისი სეკრეტის გამოყოფის შემდეგ ჩვეულებრივ უჯრედად იქცევა, თუ ისევ ფიალისებრი უჯრედად.

ფიალისებრი უჯრედების უკანასკნელ სტადიას, ამბობს ავტორი; ის ახასიათებს, რომ დისტალური ლორწოს გროვები ფიალაში იბერება და ერთიმეორესთან შეერთებას იწყებს. ამავე დროს ბირთვის ახლო ლორწოს მარცვლები მოჩანს, რომლებიც თვისი შეღებვის ინტენსივობითა და შეღების რეაქციით დისტალურად მდებარე გაბერილი ლორწოსგან განსხვავდება.

ბირთვის ახლო მდებარე მარცვლებს ავტორი სეკრეციის ახალ დასაწყის პერიოდად თვლის და მასთან ერთად იმ ავტორების შეხედულობას იზიარებს, რომლებიც ერთ და იმავე ფიალისებრი უჯრედს რამოდენიმეჯერ განმეორებით სეკრეციის უნარს აწერს.

როდესაც ფიალისებრი უჯრედები თავისი სეკრეციის ციკლის დროს დამშვიდებულ პაუზას განიცდიან, მაშინ „ვიწრო უჯრედები“ ნათლად მოჩანს. უმეტეს შემთხვევაში, ამბობს M. Clara, „ვიწრო უჯრედები“ კვლავ ფიალისებრი უჯრედებად იქცევა, თუმცა ეს აუცილებელ პირობას არ წარმოადგენს. შესაძლებელია იგინი დეგენერაციას განიცდიან და იხოცებოდნენ.

ხშირად ერთ და იმავე უჯრედში შესაძლებელია პირველი სეკრეციის დამთავრება და მეორე სეკრეციის დასაწყისის შემჩნევა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი პროცესი ერთიმეორესთან ძლიერ მჭიდროდ არის დაკავშირებული. ამ შემთხვევაში გარდამავალი საფეხურის „ვიწრო უჯრედების“ წარმოშობას ბუნებრივად ნათლად ვეღარ ვამჩნევთ, ვინაიდან ფიალისებრი უჯრედებს დრო აღარ აქვთ, რომ ეს სტადია შექმნან.

ფიალისებრი უჯრედები M. Claraს აზრით, არ წარმოადგენენ უჯრედებს *sui generis*, არამედ იგინი მთავარ უჯრედებთან ძლიერ ახლო ნათესაობრივ დამოკიდებულებაში არიან, და ყველა ფიალისებრი უჯრედს მთავარი უჯრედიდან წარმოშობა შეუძლია. უკანასკნელ დებულებას ავტორი ერთის მხრივ იმ ფაქტებზე ამყარებს, რომ როგორც კრიპტების, ისე თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმში ლორწოს მარცვლები უჯრედებში ვითარდება. რომელნიც მთელი თვისი ჰაბიტუსით მეზობელ მთავარ უჯრედებიდან სრულიად არ განირჩევიან; მეორეს მხრივ უკანა ნაწლავში, განსაკუთრებით კლოაკაში, უდიდესი რიცხვი უჯრედებისა ლორწოს მარცვლებს შეიცავს, რომელნიც ტიპიურ ფიალისებრი

უჯრედებს სრულიად არ წარმოადგენს და ლორწოიან უჯრედებად უნდა აღნიშნული იყოს.

ამას გარდა ლორწოს მარცვლების წარმოშობა მხოლოდ ერთშიან ცილინდრულ ეპითელიურ უჯრედებზე განსაზღვრული არ არის, არამედ კლოაკას მრავალშიან ეპითელიუმის ზერელე შრეებშიც არსებობს.

თავის მასალაზე მიღებული შედეგების მიხედვით ავტორი თვლის, რომ ლორწოს მარცვლებს ნაწლავის ლორწოიანი გარის ჩვეულებრივ ეპითელიუმშიც შეუძლიათ წარმოშობა, ასე რომ ლორწოს შენაცავი უჯრედებისათვის უმთავრესი მათი ფორმა კი არ არის, არამედ მათი შენაცავი.

ხელმისაწვდომ და ანგარიშ გასაწევი ლიტერატურის მასალის მოყვანის დასასრულ საკიროდ ვსთვლით Dr. H. Schridde-ს შრომის მოყვანას ადამიანის საყლაპავი მილის ეპითელიუმის განვითარების შესახებ.

H. Schridde თავის შრომის დასაწყისში ამბობს, რომ 1871 წ. Virchow-მა თვისი გამოკვლევის შედეგად, რომელიც მან შემაერთებელ ქსოვილზე აწარმოვა, მეტაპლაზიის მოძღვრება დააარსა. ნახსენები თეორიის თანახმად ყოველ უჯრედს პირდაპირ მეორე სტრუქტურის უჯრედად გადაქცევა შეუძლია. Virchow-ის შეხედულების საბუთს ფიბრილარული შემაერთებელი ქსოვილოვანი უჯრედის ძვლისა და ლრტილოვან ქსოვილში გარდაქმნას წარმოადგენს. ავტორი ამბობს, რომ ამგვარი პირდაპირი metaplasia-ით იყო ახსნილი აგრეთვე ძვალოვანი და ლრტილოვანი ქსოვილების არსებობა იმ ადგილებშიც, სადაც ნორმალურად ნახსენები ორი ქსოვილი არ მოიპოვება. Schridde ამბობს, რომ metaplasia-ური თეორია შემაერთებელ ქსოვილზე მიღებული და სათანადო ფაქტებით დასაბუთებული გადატანილი იყო შემდეგ ადამიანის სხეულის ეპითელიურ ქსოვილზეც. შემდეგ E. Neumann-მა თვისი გამორკვევით ადამიანის საყლაპავ მილზე კიდევ უფრო დაადასტურა ეპითელიურ ქსოვილში მეტაპლაზიური პროცესის არსებობა. E. Neumann-ის აზრით, ამბობს Schridde, საყლაპავ მილს განვითარების პირველ ხანაში მოციმციმე ეპითელიუმით გამოფენილი ლორწოიანი გარსი აქვს და ეს მოციმციმე უჯრედები პირდაპირ საყლაპავი მილის პრატყელ გამომფენ ეპითელიუმად იქცევა.

იმისდა მიუხედავად, რომ R. Virchow-ის და E. Neumann-ის შეხედულებას ძლიერ ბევრი მკვლევარი იზიარებს, მასთან ერთად სხვადასხვა წხრიდან metaplasia-ის თეორიის საწინააღმდეგოდ ექვიც არსებობს, მაგრამ უკანასკნელი საბუთებზე არ არის დამყარებული. „პირდაპირ გასაკვირველია, რომ არავის გადუდგამს ნაბიჯი, E. Neumann-ის დაკვირვებანი დაწვრილებით გაესინჯა და მით გამოეკვლია, შეიძლება თუ არა მოძღვრება ეპითელიუმის metaplasia-ის შესახებ. დანამდვილებით ემბრიონალური ფაქტების წარმოშობით დასაბუთდეს ან აიხსნას“.

მეტაპლაზიის საკითხის გამოსაკვლევ მასალად Schridde-მ ადამიანის ემბრიონალური საყლაპავი მილი აირჩია.

საყლაპავი მილის ეპითელიუმის თანდათანობით ცვლილებათა განხილვის შემდეგ უპირველესი ერთშიანი ენტოდერმალური სტადიიდან დაწყებული დაბადების ხანამდე ავტორი შემდეგ ცვლილებათ აღნიშნავს განვითარების სხვა-

დასხვა სტადიაში: ენტოდერმალური ერთშირიანი სტადიის შემდეგ საყლაპავი შილის ეპითელიუმის განვითარების მეორე სტადია ორშირიანი მალალი და ნათელი ცილინდრული ეპითელიური უჯრედების წარმოშობით აღინიშნება, რაც ავტორმა 13 მო. ემბრიონს შენიშნა. შემდეგ ცვლილებებს ეპითელიუმის განვითარების მხრივ ავტორი მოციმციმე უჯრედების გაჩენით აღნიშნავს, რომელნიც პირველად 44 მო. სიგრძის ემბრიონის საყლაპავ მილზე შეჭვდა. მოციმციმე შექმნად შეღებოლი უჯრედები, რომლის ფეხიც უშუალოდ ბაზალურ ფირფიტაზე ახწევს, აქა-იქ ხან თითოულად, ხან ორ სამ-სამი ერთად ცილინდრულ უჯრედთა შორის არის გაბნეული. მოციმციმე უჯრედების ბაზალურ ფირფიტებზე დაწვეის ფაქტს ავტორი დიდ მნიშვნელობას აძლევს და ფიქრობს, რომ იგინი ზერელე მდებარე უჯრედებიდან კი არა, არამედ ბაზალურად მდებარე უჯრედებიდან არიან წარმოშობილნი. გარდა ცილინდრულსა და მოციმციმე უჯრედებისა ავტორმა ამ სტადიაში აგრეთვე ერთშირიანი კუბური უჯრედებიდან შემდგარი ეპითელიუმი შეამჩნია და თვლის მათ როგორც ენტოდერმალური ეპითელიუმის ნაშთს.

62 მო. სიგრძის ემბრიონის საყლაპავი მილი უკვე სამ-ოთხ-შირიანი უჯრედებისაგან შესდგება, რომლის ზერელე უჯრედებს ლურსმნისმაგვარი და უთანაბრო მოყვანილება აქვს. აქა-იქ ადგილობრივ ნახსენებ უჯრედებს შორის მოციმციმე უჯრედები არსებობს, იმავე ნიშნებით, როგორც ზემო აღწერილ 44 მო. სიგრძის ემბრიონის საყლაპავ მილში და თავისი ვიწრო ბაზალური ბოლოთი, უჯრედებს შორის, ბაზალურ ფირფიტამდე ახწევს.

80-100 მო. სიგრძის ემბრიონის საყლაპავი მილის ეპითელიუმი 4-5 შრედ დალაგებული უჯრედებით არის წარმოდგენილი. ბაზალური უჯრედებ ცილინდრული მოყვანილებისა არიან. დანარჩენი კი უთანაბრო მოყვანილების არის. ოდნობა წინანდელ სტადიასთან შედარებით გადიდებულია. ამ სტადიაში მოციმციმე უჯრედების ბუდე გვხვდება. მათი ბაზალური ვიწრო ფეხის მწვერვალი ბაზალურ ფირფიტას ახწევს. ამას გარდა მათ შორის ვიწრო და მოვარდნილი ფორმები გვხვდება, რომელნიც დანარჩენ მოვარდნილ ეპითელიურ უჯრედებთან ერთად საყლაპავი მილის სანათურში არიან. ავტორი ამბობს, რომ მოციმციმე უჯრედების მოვარდნასთან ერთად საყლაპავი მილის ეპითელიუმში მნიშვნელოვანი სტადიის დაწყებას აქვს ადგილი, რომელსაც ის ახასიათებს, რომ ბაზალური უჯრედების პროტოპლაზმაში „ბოქკოები“ ჩნდება, რომელნიც ურთიერთშორის იხლართვიან და ჯვარედინდებიან. განვითარების შემდეგ სტადიაში ბაზალური უჯრედების გროვებიდან „ბოქკოვანი“ უჯრედების პროოდექტია უფრო მატულობს თანდათან კვევიდან ზევით, თანდათან ნათელ და მოციმციმე უჯრედებს ავიწროვებენ და მათ ადგილს იკავებენ. 105 მო. სიგრძის ემბრიონის საყლაპავ მილში „ბოქკოიანი უჯრედები“, თუ კვეიდან ზევით ავითვლით, მეორე რიგში გვხვდება და 139 მო. სიგრძის ემბრიონის საყლაპავ მილში უკვე მესამე რიგში არის. 195 მო. სიგრძის ემბრიონის საყლაპავი მილის ეპითელიუმის ყველა შრეები „ბოქკოვანი“ უჯრედებით არის დაკავებული. „ბოქკოვანი“ უჯრედების რაოდენობის განვითარებასთან ერთად მოციმციმე და ნათელი უჯრედების რიცხვი თანდათან კლებულობს და ბოლოს საყ-







სებით ქრება. ავტორის დაკვირვებით მოციმციმე უჯრედების არსებობა 300 მმ. სიგრძის ემბრიონის საყლაპავ მილში თავდება და ნათელი უჯრედების ნიშანი კი დაბადების ხანამდე აქა-იქ კიდევ არსებობს. 300 მმ. სიგრძის ემბრიონის საყლაპავი მილის ეპითელიუმი ბოქკოვანი მრავალშრიანი უჯრედებით არის წარმოდგენილი, რომელთა შორის უჯრედთა ხიდაკები და უჯრედთაშორის სივრცეები არსებობს. შემდეგი განვითარება ნათელი უჯრედების მოსპობით აღინიშნება, რომლის ნიშანიც ახალ დაბადებულ სამი დღის ბავშვს ავტორმა კიდევ შეჰნიშნა.

დაბადების დროს საყლაპავი მილის ეპითელიუმი ავტორის მასალის მიხედვით 9-10 შრიანი არის, რომლის რიცხვიც დაბადების შემდეგ თანდათან მატულობს და მასთან ერთად მის ზერელე შრეებში კერატოჰიალინის განვითარება ხდება. ასაკში შესული ადამიანის საყლაპავი მილის ეპითელიუმის შრეების რიცხვი ოცდამთხმედ ახწვეს.






ამგვარად Schriddeლ გამოკვლევით საყლაპავი მილი უპირველესად უდიფერენციაციო კუბური ანუ დაბალი ცილინდრული ენტოდერმალური უჯრედებით არის გამოფენილი, რომელსაც ის „ძირითადი უჯრედების“ სახელს უწოდებს და რომლის მორფოლოგიური უნარიც დიდი ხნის განმავლობაში უცვლელად რჩება. განვითარების პირველ ხანაში მათგან მალალი ცილინდრული უჯრედები წარმოიშობა, რომლებიც მოკლე ხნის განმავლობაში ეპითელიურ შრიდან კვლავ ქრება. განვითარების მეორე ფაზაში ენტოდერმალური უჯრედების ცოტა თუ ბევრი რიცხვი მოციმციმე უჯრედებით წარმოიშობა, რომელთა პროტოპლაზმაც სრულიად სხვა სტრუქტურისა არის. რომ მოციმციმე უჯრედების წარმოშობა ენტოდერმალური უჯრედების დიფერენციაციის ხარჯზე ხდება, ამას, Schriddeლ აზრით, მათი ბაზალურ ფირფიტამდე ჩაწევა ადასტურებს. მალე მოციმციმე უჯრედების წარმოშობის შემდეგ ნათელი უჯრედები ჩნდებიან. მე-16 ემბრიონალურ კვირაში ბაზალურად მდებარე უდიფერენციაციო ენტოდერმალური სტრუქტურა იცვლება და ახალ მორფოლოგიურ უნარს იჩენს. ენტოდერმალური უჯრედებიდან „ბოქკოვანი უჯრედები“ კი მთელი intra-და extrauterina ცხოვრების დროს უცვლელი რჩება.

ავტორი ამბობს, რომ პირველი სამი, ენტოდერმალური უჯრედებიდან წარმოშობილი ცილინდრული, მოციმციმე და ნათელი უჯრედების გვარი მხოლოდ დროებითი წარმოქმნა არის, რომელიც შემდეგ აღარავითარ მორფოლოგიურ დიფერენციაციას არ განიცდის, რომ ეს დროებითი წარმოქმნები ყველა მათ სპეციფიურ ხასიათს წარმოშობის დროს ღებულობენ და რომელთაც ისინი უცვლელად მათ გაქრობამდე ინახავენ. „ბოქკოვანი უჯრედებს“ კი მუდმივ წარმოქმნად თვლის, რომელთა დიფერენციაცია intra-და extrauterina ცხოვრების პირველ ხანაში მორფოლოგიურად და ფიზიოლოგიურად გრძელდება.

გარდაქმნა ერთგვარი უჯრედისა მეორე გვარის უჯრედად Schriddeლ თვის მასალაზე ვერასოდეს შეამჩნია ვერც ერთ ემბრიონალურ სტადიაში, მაშინ როდესაც Neumannის შრომის მიხედვით საყლაპავი მილის ეპითელიუმი მოციმციმე უჯრედების „ბოქკოვან უჯრედებად“ გარდაქმნით წარმოიშობა.





















































თავისი მასალისა და მიღებული შედეგების ზეგავლენის ქვეშ Schridde ამბობს, რომ არსებული შეხედულება ემბრიონალური, ფიზიოლოგიური metaplasias პროცესის არსებობის შესახებ ადამიანის საყლაპავ მილში შემცდარ აზრად უნდა ჩაითვალოს. დროებითი უჯრედების წარმოშობას და გაქრობას ავტორი საყლაპავი მილის უსაქმობით სათანადო სტადიაში თვლის. რაც შეეხება „ბოქკოიანი უჯრედების“ ენტოდერმალური უჯრედებიდან წარმოშობას, Schridde ამბობს, რომ მათი წარმოშობის დროს არასოდეს აქვს ადგილი გარდაქმნას, პირდაპირ metaplasias, Virchowის აზრით, არაშეუძლებელია დიფერენციაციას აქვს ადგილი, რომელიც უკვე დასაწყისში ენტოდერმალურ უჯრედებს თავისებური პოტენციით აქვს თანდაყოლილი. დიფერენციაცია „ბოქკოიან უჯრედებად“ ყოველთვის ბაზალურად მდებარე ენტოდერმალურ უჯრედებში ხდება და სხვა დანარჩენ შრეებში თანაბრივი პროცესის შემთხვევა ავტორს არასოდეს შეჰხვედრია. უკანასკნელი ფაქტით ავტორი სარგებლობს ნათელი უჯრედებისა და ბაზალურად მდებარე ენტოდერმალური უჯრედების ურთიერთ შორის დამოკიდებულების საკითხის გადასაწყვეტად და ამბობს, რომ ნათელი უჯრედები მათი ჰისტოლოგიური ხასიათის თანაბრივობის მიუხედავად, ძირითადი თავისი მორფოლოგიური და ბიოლოგიური უნარით განირჩევიან მათვე მსგავსი ენტოდერმალური უჯრედებიდან. რომ ნახსენები უჯრედები თანაბარი წარმოქმნის იყვნენ, მაშინ „ბოქკოიანი უჯრედების“ დიფერენციაცია ნათელი უჯრედებიდან უნდა ხდებოდეს. ვინაიდან ნათელი უჯრედების „ბოქკოიან უჯრედებად“ დიფერენციაცია არ ხდება, ამიტომ იგინი ინდიფერენტულ, ენტოდერმალურ უჯრედების თანაბრივ შეიღებულ უჯრედებად არ ჩაითვლება.

ამგვარად, ავტორის აზრით, ემბრიონალური საყლაპავი მილის ყველა ნახსენები უჯრედთა ფორმა ენტოდერმალური უჯრედების დიფერენციაციის ხარჯზე წარმოიშობა. ენტოდერმალური უჯრედების დიფერენციაციის პროცესს Schridde ნორმალურ მოვლენად თვლის და მას სახელად „Normoplasia“ უწოდა. უკანასკნელი, ავტორის აზრით, ყველა სხვა ეპითელიუმისათვის მისაღებია.

„Metaplasia დიფერენციული უჯრედებისა Virchowის აზრით, ე. ი. პირდაპირი გარდაქმნა უჯრედისა წინასწარ მთლიანად იმისი ავებულების დაუქარგავად სხვანაირად ავებულ უჯრედად, არც ემბრიონალურ და არც extraterina ცხოვრების დროს არ შეგვხვედრია და ამიტომ უსაფუძვლოა“.

## მეთოდისა და მასალა.

როგორც უკვე შესავალში ვთქვით, ჩენი გამოკვლევანი ადამიანის ემბრიონებზე და ნაყოფებზე ვაწარმოვეთ. ადამიანის მასალით სარგებლობა იმ მიზნით ვაპგობინეთ, რომ გამოკვლევანი ადამიანის ნაწლავის ცოცხალ მასალაზე, რომელიც თავისი ნორმალური აგებულებისა და ფუნქციის შეუცვლელობის მხრივ ექვს არ იწვევს, ხელმისაწვდომ ლიტერატურაში თითქმის არ არსებობს.

კერძოდ ემბრიონებისა და ნაყოფების მასალით სარგებლობა იმ მიზნით ვამჯობინეთ, რომ intrauterina ცხოვრების დროს, ნამეტურ ემბრიონების ნაწლავი, სავებით თავისუფალია ნაწლავის შენაცავიდან და ამას გარდა მათში (ნამეტურ ემბრიონების ნაწლავში) პერისტალტიურ მოძრაობას აღგილი არა აქვს. უკანასკნელ ორ ფაქტს კი ზოგიერთი ავტორი ფილისებრი უჯრედების მიერ სეკრეტის გამოყოფის პროცესს უკავშირებს, ვინაიდან, მათი აზრით, ლორწოვანი გარსზე ნაწლავის შენაცავის მოძრაობა და პერისტალტიური მოძრაობა მექანიკურად ფილისებრი უჯრედების სეკრეტისგან დაცლას იწვევს.

კუქ-ნაწლავის ტრაქტში საკმლის სახით მიღებული მასალა ეპითელიუმზე სხედასხვა ინტენსიობის გალიზიანებას ახდენს, რომელზედაც უკანასკნელი, თანხმად ცოცხალი უჯრედის თვისებისა, სტრუქტურისა და ფუნქციის სათანადო ინტენსიური ცვლილებით უპასუხებს. ამას გარდა, როდესაც ჩვენ ასაკში შესული ცხოველის ნაწლავის მასალასთან გვაქვს საქმე, სრულიად არა ვართ დარწმუნებული, რომ მის კუქ-ნაწლავის ტრაქტს ანთებითი მოვლენები არ გადაეჩანოს, რის შემდეგაც ნორმალური აგებულების აღდგენამ ან ვერ მოასწრო, ან ვერ შესძლო. ამიტომ თუ შედარებით ნორმალური ცხოვრების პირობებში ცოცხალი ცხოველიდან აღებულსა და გამოკვლეულ მასალაზე მიღებული შედეგები ერთგვარ ექვს ბადებს ნაწლავის ეპითელიუმის ნორმალური სტრუქტურის შესახებ, მით უმეტესად ვერ უძლებს კრიტიკას ის შედეგები, რომლებიც მიღებული იყო ავტორთა მთელი რიგის მიერ (Heidenhain, Klose, Maewsky) განსაზღვრული ნივთიერებისა და კერძოდ pilocarpinის ინექციის შემდეგ. ჩენის აზრით pilocarpinის ინექციის შემდეგ აღებულსა და გამოკვლეულ მასალაზე მიღებული შედეგები უფრო ფილისებრი უჯრედების ცვლილებებს ეკუთვნის ნახსენებ ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ, ვიდრე მათი წარმოშობისა, ნორმალური აგებულებისა და ფუნქციის საკითხს. კუქ-ნაწლავით დაავადებული ბავშვების გვაშზე აღებული მასალა და აგრეთვე სექციის დროს აღებული მასალა სრულიად გამოუდევარია, ვინაიდან ნაწლავის ეპითელიუმის ნაზი აგებულება ნაწლავში ძლიერ სწრაფად იცვლება გახრწნითი პროცესების გამო, რომლებიც სიკვდილის შემდეგ მატულობს.

ამატომ ნაწლავის ეპითელიუმის ნორმალური აგებულებისა და ფუნქციის გამოსაკვლევად მხოლოდ ის მასალა შეიძლება უტყუარად ჩაითვალოს, რომელიც თავისუფალია არამც თუ სპეციალური გამლიზიანებელი ნივთიერების ზეგავლენისაგან, არამედ საზრდო მასალასთან ერთად შემთხვევით მიღებული გამლიზიანებული ნივთიერებისა და მის მიერ გამოწვეულ ანთებით მოვლენათაგან და ამ უქანასკნელზე დამოკიდებულ ცვლილებათაგან. ყველა აქ ჩამოთვლილ პირობათ intrauterina ცხოვრების დროს ნაწლავიდან მიღებული მასალა აკმაყოფილებს.

სათქსაციო ნივთიერებად ვხმარობდით ფორმალინის 10% ხსნარს, Zenkerის სითხეს, Hellis სითხესა, alkoholl, Carnoyს სითხეს და alcohol-trichloro-მდრის-მჟავას.

ვინაიდან ნაწლავის ეპითელიუმის გარდა აგრეთვე კუნთოვანი გარსისა და საზოგადოდ ნაწლავის კედლის ყველა შემადგენელი ნაწილების განვითარება და ურთიერთშორის მათი ტრაპოგრაფიული დამოკიდებულება გვაინტერესებდა, ჩვენ ვცდილობდით, რამდენათაც შესაძლებელი იყო, ნაწლავი აგვეშორებინა ყოველგვარი მექანიკური მომენტების ზეგავლენისაგან (გაქიმვა, გაბერვა). ამისთვის ემბრიონების მასალის ფიქსაციის დროს ნაწლავს მუცლის ღრუდან არ ვიღებდით, არამედ თვითონ ემბრიონს (in toto) საფიქსაციო სითხეში ვდებდით. რაც შეეხება ნაყოფების მასალას, ნამეტნავად უქანასკნელი თევებისას, ამ შემთხვევაში მუცლის წინა კედლის გაკვეთის შემდეგ, ნაწლავის ჯორჯლის ამოკვეთის საშუალებით ნაწლავს მთლიანად, ხანდახან კუქიანად ერთად, მუცლის ღრუდან ვიღებდით და in toto საფიქსაციო სითხეში ვათავსებდით. შენაკავისაგან ნაწლავს არ ვრეცხდით, ვინაიდან გაუკვეთელი ნაწლავის კედელი წყლის ნაკადის ზეგავლენის ქვეშ მექანიკურ გაბერვასა და გაქიმვას განიცდის. ამას გარდა ნაყოფის ნაწლავის ლორწოიანი გარსიდან შენაკავის მთლიანად ამოშორება გარეცხის საშუალებით შეუძლებელია და, რაიცა უფრო მნიშვნელოვანია, გარეცხის დროს, წყლის ნაკადი ნაზ ლორწოიან გარსს თითქმის სავსებით შლის. ნაწლავის კედლის გაკვეთას არ ვაწარმოებდით ვინაიდან გაკვეთის შემდეგ, ნამეტნავად საფიქსაციო სითხეში, კუნთოვანი გარსი შეკუმშვას განიცდის, ნაწლავის კედელი მოპირდაპირე მხარეზე ტრიალდება, რის გამოც კუნთოვანი გარსი შიგნიდან და ლორწოიანი გარედან ექცევა.

ფიქსაციის შემდეგ მასალას ზრდითი სიმბგრის სპირტების საშუალებით წყლისგან ვათავისუფლებდით და საერთო წესით პარაფინით და, უმეტეს შემთხვევაში, ცელოიდინით ველენტავდით. ცელოიდინში გაელენტავის უმეტეს შემთხვევაში ერთის მხრით იმით ვამართლებთ, რომ ძნელია ნაწლავის კედლის პარაფინით გაელენტავა, როგორც საყოველთაოდ ყველა ღრუიანი ორგანოს, როდესაც მისი კედელი დიდარლეველია და ამას გარდა შენაკავისგან განთავისუფლებული არ არის, ვინაიდან ნაწლავის შენაკავი და მასთან ერთად კუნთოვანი გარსი პარაფინით გაელენტავის პროცესს ძლიერ აძნელებს და აგრძელებს. მეორე მხრივ პარაფინით გაელენტავილ მასალაზე თანაბარი შედეგები მივიღეთ, როგორც ცელოიდინით გაელენტავით.

ნაკეთების შეღებვას ვაწარმოებდით Bömerის hämatoxylinით და eosinით, Heidenhainის hämataxylinით, Mayerის mucikarminით, Biondiის საღებავით, Weigertის hämatoxylinით და picro-luchsინით (van Gison).

Bömerის hämatoxylinით შეღებვით ერთის მხრივ დიფერენციაციას ფილისებრ და ცილინდრულ უჯრედებს შორის ვახწვევდით და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, თითონ ფილისებრი უჯრედების შემადგენელი ნაწილების დიფერენციაციას, პროტოპლაზმატიური ნაწილისას thecalგან, ვლებულობდით. Van Gisonით შეღებვას კი კუნთოვანი და შემაერთებელ ქსოვილოვანი შრეების დიფერენციაციისთვის ვახდენდით, ვინაიდან ემბრიონების ნაწლავში, ნახსენები შრეები განვითარების დაუსრულებლობის გამო, ერთი მეორესაგან ნათლად გამოსაზღვრულნი არ არის და თავისი ერთი მეორესაგან მკაფიოდ გამოყოფისთვის კონტრასტულ შეღებვას თხოულობს. ნახსენები საღებავებით შეღებვის შემდეგ, ცელიდინიანი ნაკვეთი შევეე საღებავიდან უშუალოდ 70% სპირტში გადაგვექონდა და ზრდითი. სიმავრის სპირტებში გატარებით მხოლოდ 90% სპირტამდე მიგვეყვავდა, რის შემდეგაც, carbol-xyloში და მერე xyloში ვამპვირვალვდით და კანადის ბალზამში ვინახავდით.

აღწერილი მეთოდის საშუალებით ჩემ მიერ გამოკვლეული იყო 32 ნაწლავის მასალა სხვადასხვა განვითარების სტადიისა. მხოლოდ ასაკის გამოსარკვევად თხემ-ფეხის მანძილის გაზომის მეთოდს ვაწარმოებდით და მიღებული ზომის საშუალების მიხედვით ნაყოფის და ემბრიონის ასაკს დაახლოვებით ეიკვლევდით. იმ სტადიის მასალის შოვნა, როდესაც ნაწლავი მხოლოდ ერთშრიან ენტოდერმალურ ლულას წარმოადგენს, ვერ მოვახერხებთ. ჩემ მიერ 32 ნაწლავის გამოკვლეულ მასალაში უახალგაზრდავეს მასალას 6 ცმ. სიგრძის ემბრიონის ნაწლავი წარმოადგენს და იქიდან შეუღებები ჩემი პრეპარატების აღწერას.

### პ რ ე პ ა რ ა ტ ი ბ ი ს ა ლ ფ ი ტ ა

1) 6 ცმ. სიგრძის ემბრიონის კოლინჯი.

(სურათი 1—2)

ნაწლავის განივი ნაკვეთის სანათურს ვარსკვლავისებრი მოყვანილობა აქვს, რომლის სხივები კარგად განვითარებული ხაოებით არის წარმოდგენილი.

კედლის სისქე ხაოს მწვერვალსა და სეროზულ გარსს შორის 380  $\mu$ . ლორწოვანი გარსის სისქე, ე. ი. მანძილი ხაოს მწვერვალსა და ირგვლივ კუნთოვან შრეს შორის 290  $\mu$ . შემაერთებელქსოვილოვანი შრის სისქე, რომლის ხარჯზე შეიღვე str. proprium და st. submucos. ვითარდება, 100  $\mu$ . ხაოს სიმაღლე 190  $\mu$ . მანძილი ხაოს ფუძეთა შორის უჯრედთა გროვების და ირგვლივი კუნთოვანი შრეს შორის 50-90  $\mu$ . სისქე კუნთოვანი და სეროზული გარსისა, ე. ი. მანძილი ირგვლივი კუნთოვანი შრისა და სეროზული გარსის შრის 90  $\mu$ . ირგვლივი კუნთოვანი შრის სისქე 30  $\mu$ . გასწერივი კუნთოვანი შრისა და სეროზული გარსის სისქე ერთად 50  $\mu$ .



ეპითელიუმში ხაოების მწვერვალსა და ფერდობების მიდამოში მაღალი ცი-  
ლინდრული უჯრედებით არის წარმოდგენილი. უჯრედების კონტური მკაფიოდ  
არის გამოხატული; მათი დისტალური ნაწილი განიერი და ნათელი; ბაზალური  
ნაწილი კი პირიქით უფრო ვიწრო მარცვლოვანი და მუქი. ნახსენები ორი ნა-  
წილი უმჩვენლად გადადის ერთი-მეორეში და ამას გარდა უმეტეს შემთხვევაში  
უჯრედი გახრილია რის გამოც უჯრედი ყანწის მოყვანილობას ღებულობს.

ბირთვი გაგრძელებული, უჯრედის გასწვრივი ღერძის მიმართ, უჯრედის  
ქვედა ნაწილში არის მოთავსებული, რომელიც *hämatoxylin*-ით ძლიერ მუქ ფრად  
იღებება.

აღწერილი ყანწისმაგვარ უჯრედთა შორის ტიპური ფიალისებრი უჯრე-  
დები არსებობს, ე. ი. მათი დისტალური ნაწილები ფიალისმაგვარად ძლიერ  
გაგანიერებულია და თავისუფალ კიდეში ხერვლს შეიცავს, რომელშიც ფიალი-  
დან გამოსული სეკრეტი საცობისმაგვარად ზის. ქვედა ბაზალური ნაწილი კი  
პირიქით ძლიერ ვიწროა. ფიალისებრ უჯრედებში ბირთვს ახალი მთვარის ნო-  
ყვანილობა აქვს და ფიალის ძირზე ძვეს, იღებება ძირითადი საღებავით ისე  
ძლიერ, როგორც სხვა დანარჩენი მეზობელი ყანწისმაგვარი უჯრედების ბირთვი.

ხაოების ფუძეთა შორის ეპითელიუმში, შედარებით უფრო მუქი უჯრედე-  
ბით არის წარმოდგენილი. მათი საზღვარი მკაფიოდ არ არის გამოხატული. პი-  
რიქით მკაფიოდ არის გამოხატული, კონტური ბირთვებისა, რომლებიც რამო-  
დენიმე შრედ ალაგან.

ფიალის შენაკავი *hämatoxylin*-ით ლურჯ ფრად იღებება და ჰომოგენური  
იმერსით გასინჯვის დროს შედგება მარცვლოვანისა და მარცვლებს შორის  
მდებარე, წვრილი ძაფებისაგან აგებული, ბადებრივი ნივთიერებისაგან. მარცვლე-  
ბის რაოდენობა ფიალის ქვედა მესამედში, ბირთვის გარშემო და ნამეტურ ქვე-  
და ვიწრო ბაზალურ ნაწილში (ფეხში) გაცილებით მეტია, ვიდრე ფიალის შუა  
და ზედა ნაწილში; მარცვლების ოდენობა კი ფიალას შუა და ზედა მესამედში  
ქარბობს.

ფიალისებრი და დანარჩენი მეზობელი ეპითელიური უჯრედების განაწი-  
ლების მზრივ განსაზღვრული დამოკიდებულება არ არსებობს. ალაგობრივ ორ  
ყანწისმაგვარ ეპითელიურ უჯრედთა შორის მხოლოდ ერთი ფიალისებრი უჯ-  
რედი მოიპოვება. ალაგობრივ კი, ორ ეპითელიურ უჯრედთა შორის სამი ფია-  
ლისებრი უჯრედი ზის და ალაგობრივ კი ორ ფიალისებრ უჯრედთა შორის  
ერთი ეპითელიური უჯრედი არსებობს.

ამას გარდა ისეთი უჯრედების ფორმებიც არსებობს, რომლებიც ფიალი-  
სებრ და მეზობელ ყანწისმაგვარ ეპითელიურ უჯრედთა შორის გარდამავალ სა-  
ფეხურს წარმოადგენს. ფიალისებრ უჯრედებს შორის მხოლოდ გახსნილი ფორ-  
მები გვხვდება. უკანასკნელთ ის ახასიათებს, რომ მათ თავისუფალ ბოლოს კიდე-  
ში ხვრელია. რომლის კიდეც სწორი არ არის, არამედ დაკბილულია და რო-  
მელშიც ფიალიდან გამოსული სეკრეტი საცობისმაგვარად ზის და იმავე ლურჯ  
ფრად, როგორც ფიალის შენაკავი *Eosin*-ის *hämatoxylin*-ით იღებება.

მეზობელი ეპითელიური უჯრედები კი ყველა დახშულია, მათ თავისუფალ  
კიდეზე ხვრელის არსებობის ნიშანი არ ემჩნევა.

ირველივი კუნთოვანი შრე მკაფიოდ გამოხატული, განუწყვეტლივ და მთელ მანძილზე თანაბრივად განვითარებულ შრეს წარმოადგენს.

გასწვრივი კუნთოვანი შრე, ირველივ შრესთან შედარებით, უფრო სუსტად არის განვითარებული. ჯორჯლის მიმაგრებ-ს მხარეზე კი უფრო სქელია, ვიდრე დანარჩენ თავის ნაწილებში. ორივე კუნთოვანი შრე ნათლად მათ შორის არსებული შემაერთებელქსოვილოვანი შრით და სისხლის ძარღვებით ერთი პეორესგან არის განსახლდებული.

## 2) 9 cm. სიგრძის ემბრიონის კოლინჯი.

(სურათი 3—4)

ნაწლავის განივი ნაკვეთის სანათურს, როგორც ორ ნახევარი თვის ემბრიონის მსხვილ ნაწლავში, ვარსკლავისებრი მოყვანილობა აქვს. ზოგიერთ ნაკვეთზე კი, პოლაგონალური მოყვანილობა. ხაოები მშვენიერად არის განვითარებული.

კედლის სისქე ხაოს მწვერვალოდან სეროზულ გარსამდე 270  $\mu$ . ლორწოვანი გარსის სისქე 220  $\mu$ . შემაერთებელქსოვილოვანი შრის სისქე 70  $\mu$ . ხაოს სიმაღლე 150  $\mu$ . ხაოების ფუძეთა შორის უჯრედთა გროვებისა და ირველივი კუნთოვანი შრეს შორის მანძილი 50-70  $\mu$ . კუნთოვანი გარსის სისქე 50  $\mu$ . ირველივი კუნთოვანი შრის სისქე 30  $\mu$ . გასწვრივი კუნთოვანი შრის სისქე 20  $\mu$ .

ეპითელიუმი, ხაოების მიდამოში მაღალი, ნათელი, ყანწისმაგვარი. ცილინდრული უჯრედებით არის წარმოდგენილი. მათი ბირთვი გაგრძელებული, უჯრედის გასწვრივი ღერძის მიმართ მის ქვედა ვიწრო ნაწილში არის მოთავსებული. უჯრედების საზღვრები მკაფიოდ არის გამოხატული. ყათათანი არ აქვთ.

ხაოების ფუძეთა შორის ეპითელიუმი მუქი უჯრედებით არის წარმოდგენილი. მათი კონტური არ არის მკაფიოდ გამოხატული. ბირთვები რამოდენიმე შრედ არის დალაგებული. აღწერილ ეპითელიურ უჯრედთა შორის აქა-იქ ტიპური ფილისებრი უჯრედები მოიპოვება. ამას გარდა ფილისებრ და დანარჩენ ყანწისმაგვარ ეპითელიურ უჯრედთა შორის გარდამავალ საფეხურზე მდგარი ფორმები მოიპოვებიან. ირველივი და გასწვრივი შრე ორივე, თუმცა სუსტად, არის განვითარებული. ორთავე შრეთა შორის შემაერთებელქსოვილოვანი შრე არსებობს, რომელიც დიდძალ სისხლის ძარღვებს შეიცავს.

## 3) 9 cm. სიგრძის ემბრიონის წვრილი ნაწლავი.

(სურათი. 5 - 6).

კედლის სისქე ხაოს მწვერვალოდან სეროზულ გარსამდე 360  $\mu$ . ლორწოვანი გარსის სისქე 315  $\mu$ . ხაოს სიმაღლე 185  $\mu$ . შემაერთებელქსოვილოვანი შრის სისქე 130  $\mu$ . მანძილი ხაოების ფუძეთა შორის უჯრედთა გროვებსა და ირველივი კუნთოვან გარსს შორის 65—120  $\mu$ . კუნთოვანი და სეროზული გარ-

სის სისქე 45  $\mu$ . ირგვლივი კუნთოვანი შრის სისქე 20  $\mu$ . გასწვრივი კუნთოვანი შრის სისქე 10  $\mu$ . სეროზული გარსისა და subserosal სისქე ერთად 15  $\mu$ . ს. უდრის.

ეპითელიუმში ხაოს მიდამოში ნაშვლი ცილინდრული უჯრედებით არის წარმოდგენილი, ბირთვი მრგვალი, რომელიც უჯრედის ცენტრში ძვეს; უჯრედების საზღვრები მკაფიოდ გამოხატული. თავისუფალი ბოლოს ყეთანი აქვს დართული.

ხაოს მწვერვალის მიდამოში უჯრედები უფრო მაღალია, ვიდრე მის ფერდობში. აღწერილ ნაშვლ ცილინდრულ ეპითელურ უჯრედთა შორის აქა-იქ ფიალისებრი უჯრედები არსებობს. უკანასკნელები გახსნილ ფორმებს წარმოადგენს.

ხაოების ფუძეთა შორის უჯრედთა გროვები უფრო მეტი უჯრედებით არის წარმოდგენილი. უჯრედების კონტური ნათლად არის გამოხატული. ბირთვი მრგვალი, უფრო ინტენსიურად შეღებილი, ვიდრე ხაოს მიდამოს უჯრედების ბირთვი.

კუნთოვანი გარსის ორივე, ირგვლივი და გასწვრივი, შრე მთელ მანძილზე განვითარებული.

გასწვრივი შრე უფრო ხელია, ვიდრე ირგვლივი. ნახსენებ შრეთა შორის შემავრთებელქსოვილოვანი შრე არსებობს, რომელიც სისხლის ძარღვეს შეიცავს.

#### 4) 12 cm. ხიგრძის ემბრიონის კოლინჯი.

(სურათი 7 8—9).

ნაწლავის განივი ნაკვეთის სანათურს ვარსკვლავისებრი მოყვანილობა აქვს, რაც ხაოთა განვითარებით არის გამოწვეული.

კედლის სისქე ხაოს მწვერვალოდან სეროზულ გარსამდე 350  $\mu$ . ლორწოვანი გარსის სისქე 250  $\mu$ . შემავრთებელქსოვილოვანი შრის სისქე 90  $\mu$ . ხაოს სიმაღლე 160  $\mu$ . ხაოების ფუძეთა შორის უჯრედთა გროვას და ირგვლივ კუნთოვანი შრეს შორის მანძილი 80—120  $\mu$ .

კუნთოვანი და სეროზული გარსის სისქე 90  $\mu$ . ირგვლივი შრის სისქე 35  $\mu$ . გასწვრივი კუნთოვანი შრის სისქე 20  $\mu$ . დანარჩენი 35  $\mu$  serosal subserosal და კუნთოვან შრეებს შორის შემავრთებელქსოვილოვანი შრის სისქეს ეკუთვნის.

ეპითელიუმში ხაოების მიდამოში (იხ. სურათი № 8) მხოლოდ ფიალისებრი უჯრედებით არის წარმოდგენილი. ბირთვი გაგრძელებული ან ოვალური უჯრედის გასწვრივი ღერძის მიმართ უჯრედის ქვედა ვიწრო ნაწილში არის მოთავსებული. ყველა ფიალისებრი უჯრედი თავის თავისუფალ ბოლოს კედლში ხვრულ-დართულია, რომლის კიდეც დაკბილული არის და რომელშიაც ფიალისის შენაკავი საცობისმაგვარად ზის. დისტალურ ნაწილს ზოგიერთ უჯრედში

• ბოთლისმაგვარი მოყვანილობა აქვს ე. ი. შედგება ყელისაგან თვისი ხერხელით და ქვედა გაგანივრებული ნაწილისაგან, მუცლისაგან. უჯრედების საზღვარი მკაფიოდ არის გამოხატული.

ხაობის ფუძეთა შორის ეპითელიურ უჯრედთა საზღვარი მკირე გადიდებული ღროს ისე მკაფიოდ გამოხატული არ არის, როგორც ხაოს მიდამოში. ეპითელიური უჯრედები (იხ. სურათი № 9) შედგება ბაზალური ვიწრო. მუქი, მარცვლოვანი ნაწილისაგან ანუ ფეხისაგან და დისტალური გაგანივრებული ნაწილისაგან. უკანასკნელს უმეტეს შემთხვევაში, უფრო ბოთლისმაგვარი მოყვანილობა აქვს. ბოთლის თავისუფალი ბოლოს კიდეს დაკბილული ხერხელი აქვს დართული.

აღწერილი ფილისებრი უჯრედების გარდა ვიწრო, მუქი უჯრედები არსებობს, ოვალურ ანუ მოგრძო ბირთვდართული. ბირთვი უჯრედების ქვედა ვიწრო ნაწილში, უჯრედის გასწვრივი ღერძის მიმართ არის მოთავსებული. თავისუფალი ბოლოს კიდე ხერხელს არ შეიცავს. უკანასკნელზე მეზობელი ფილისებრი უჯრედებიდან გამოსული სეკრეტი ძვეს.

კუნთოვანი გარსის შრეები, ირგვლივი და გასწვრივი, ორივე თანაბრად განვითარებული შრეებით არის წარმოდგენილი. გასწვრივი კუთხოვანი შრე ძლიერ სუსტად არის განვითარებული.

6) 12 ცმ. ხიგრძის ნაყოფის წვრილი ნაწლავი. .

(სურათი 10—11).

კელის სისქე ხაოს მწვერვალთან სეროზულ გარსამდე 615  $\mu$ . ლორწოიანი გარსის სისქე 550  $\mu$ . შემეგრებელქსოვილოვანი შრის სისქე 120  $\mu$ . ხაოს სიმბლლე 430  $\mu$ . მანძილი ხაობის ფუძეთა უჯრედების გროვასა და ირგვლივი კუნთოვანი შრის შორის 70—80  $\mu$ . კუნთოვანი და სეროზული გარსის სისქე 65  $\mu$ . ირგვლივი კუნთოვანი შრის სისქე 25  $\mu$ . გასწვრივი კუნთოვანი შრის სისქე 15  $\mu$ . Serosalis და subserosalis სისქე ერთად 25  $\mu$ .

ეპითელიუმი ხაობის და აგრეთვე ხაობის ფუძეთა შორის უჯრედების გროვებში ნამდვილი ცილინდრული უჯრედებით არის წარმოდგენილი, რომელთაც ყვეთან აქვს დართული თავიანთ თავისუფალ ბოლოზე. ბირთვი მრგვალია.

ცილინდრული უჯრედების გარდა მათ შორის ფილისებრი უჯრედებიც მოიპოვება. უკანასკნელნი, როგორც ხაოს ეპითელიუმში, ისე ხაობის ფუძეთა შორის უჯრედთა გროვებშიც არსებობს (იხ. სურ. 10—11).

ჯირკვლების განვითარება ალაგობრივ უკვე ნათლად არის აღნიშნული. უკანასკნელები ხაობის ფუძეთა შორის უჯრედთა გროვების უშუალო გაგრძელებას (ჩაზრდას) წარმოადგენს ქვემდებარე შემეგრებელქსოვილოვან შრეში. ზოგი ნათვანი მთლიან მასას წარმოადგენს და ზოგიერთში კი სანათურია.

კუნთოვანი გარსი ორი, ირგვლივი და გასწვრივი შრით არის წარმოდგენილი. გასწვრივი შრე ირგვლივ შრესთან შედარებით უფრო სუსტად არის გამოხატული.

6). 22 cm. სიგრძის ნაყოფის კოლინჯი.

(სურათი 12—13).

ნაწლავის კედლის შემადგენელ შრეთა ურთიერთშორის დამოკიდებულ-ბანი განივ ნაკვეთზე შემდეგია:

კედლის სისქე ხაოს მწვერვალოდან სეროზულ გარსამდე 540  $\mu$ . ლორწოიანი გარსის სისქე 450  $\mu$ . შემაერთებელქსოვილოვანი შრის სისქე 70  $\mu$ . ხაოს სიმაღლე 380  $\mu$ . მანძილი ხაოების ფუძეთა შორის ეპითელიურ უჯრედთა გროვებსა და ირგვლივ კუნთოვან გარსს შორის 50—70  $\mu$ .

კუნთოვანი და სეროზული გარსის სისქე 90  $\mu$ . ირგვლივი კუნთოვანი შრის სისქე 40  $\mu$ . გასწვრივი კუნთოვანი შრის სისქე ზონარების შორის 30  $\mu$ . ზონარების სისქე 50  $\mu$ . უღრის. სეროზული გარსის subserosal და კუნთოვან შრეებს შორის შემაერთებელქსოვილოვან შრის სისქე 20  $\mu$ .

ხაოების ეპითელიუმში გამოუკლებლივ მხოლოდ ტიპიური ფიალისებრი უჯრედებით არის წარმოდგენილი. ფიალისებრი უჯრედების ორივე ნაწილი, ე. ი. ფიალა და ფეხი, მკაფიოდ არის გამოხატული. ბირთვი ახალი მთვარისმაგვარი ფიალის ფუძეზე ძვეს. ფიალისებრი უჯრედების თავისუფალ ბოლოს დაკბილული კიდიანი ხერელი აქვს დართული, რომელშიც საცობისმაგვარად ფიალადან გამოსული სეკრეტი ზის. მათ შორის მუქი, ვიწრო, უბირთვო უჯრედებია დართული. ხაოების ფუძეთა შორის მდებარე უჯრედებიც მხოლოდ ფიალისებრი უჯრედებით არის წარმოდგენილი, რომელნიც ხაოს ფიალისებრ უჯრედებთან შედარებით უფრო მუქია და მათი საზღვრები ვერ არის მკაფიოდ გამოხატული. ამას გარდა ნახსენებ უჯრედთა გროვებში ინტენსიურად შეღებულ ბირთვებს ვხვდებით, რომელნიც რამოდენიმე შრედ ალაგან.

მშენიერად გამოხატული და განვითარებული ხაოები თავისი მოპირდაპირე მხარეთი ალაგ-ალაგ ძლიერ დაახლოვებულია ერთმანეთთან, რის გამოც იგი-ნი თავისი მოყვანილობით ასაკში შესული მსხვილი ნაწლავის Lieberkühnის ჯირკვლების შთაბეჭდილებას ახდენენ. ირგვლივი და გასწვრივი კუნთოვანი შრეები სისხლის ძარღვებით მდიდარი შემაერთებელქსოვილოვანი შრით ერთი მეორესაგან არის განსაზღვრული. გასწვრივ კუნთოვან შრეში უკვე 3 ზონარი არის განვითარებული.

7). 22 cm. სიგრძის ნაყოფის წვრილი ნაწლავი.

(სურათი 14—15).

ნაწლავის კედლის შემადგენელი შრეების ურთიერთშორის დამოკიდებულ-ლება შემდეგია:

კედლის სისქე ხაოს მწვერვალსა და სეროზულ გარსს შორის 770  $\mu$ . ლორწოიანი გარსის სისქე 670  $\mu$ . შემაერთებელქსოვილოვანი შრის სისქე 180  $\mu$ . ხაოს სიმაღლე 490  $\mu$ . მანძილი Lieberkühnის ჯირკვლების ფუძეთა და ირგვლივ კუნთოვან გარსს შორის 60—110  $\mu$ .

კუნთოვანისა და სეროზული გარსის სისქე 100  $\mu$ . ირგვლივი კუნთოვანი გარსის სისქე 50  $\mu$ . გასწვრივი კუნთოვანი შრის სისქე 25  $\mu$ . სეროზული გარსის subserosal და კუნთოვან შრეებს შორის შემაერთებელქსოვილოვანი შრის სისქე ერთად 25  $\mu$ s. უდრის.

Lieberkühn-ის ჯირკვლები ნათლად განვითარებულნი, მთლიან უჯრედოვან მასას წარმოადგენს, რომელიც ხაოების ფუძეთა შორის არსებული უჯრედთა ბუდეების უშუალო ჩაზრდას ქვეშდებარე შემაერთებელ შრეში წარმოადგენს.

ეპითელიუმი ხაოების მიდამოში ნამდვილი ცილინდრული, მრგვალი ბირთვით დართული უჯრედებით არის წარმოდგენილი. ცილინდრულ უჯრედთა შორის ფიალისებური უჯრედები არსებობს, რომლებიც მხოლოდ გახსნილ ფორმებს წარმოადგენს და რომლის თავისუფალ ბოლოს კიდებე არსებული ხერხელის კიდებები დაკბილულია.

ფიალის ძირზე უმეტეს შემთხვევაში ახალ მთვარისმაგვარი ბირთვი ძვეს. ხაოების ფუძეთა შორის უჯრედთა ბუდეებისა და Lieberkühn-ის ჯირკვლების ეპითელიუმი კი შედარებით უფრო მუქი უჯრედებით არის წარმოდგენილი, რომლის საზღვრები არ არის მკაფიოდ გამოხატული, რის გამოც მცირე გადიდების დროს მხოლოდ ბირთვების მრავალ რიგების არსებობის შთაბეჭდილებას ვლენბულობთ.

#### მ. 25 cm. სიგრძის ნაყოფის კოლინჯი.

(სურათი 16—17).

კედლის შემადგენლობის შრეთა ურთიერთ შორის დამოკიდებულება განვიხილავთ:

კედლის სისქე ხაოს მწვერვალსა და სეროზულ გარსს შორის 530  $\mu$ . ლორწოვანი გარსის სისქე 590  $\mu$ . მანძილი ხაოების ფუძეთა უჯრედების გროვას და ირგვლივი კუნთოვანი შრეს შორის 70—90  $\mu$ .

კუნთოვანი და სეროზული გარსის სისქე 150 ირგვლივი კუნთოვანი შრის სისქე 60  $\mu$ . გასწვრივი კუნთოვანი შრის სისქე ზონარებს შორის 30  $\mu$ . ზონარების სისქე 50  $\mu$ .

სეროზული გარსის subserosal და კუნთოვან შრეებს შორის შემაერთებელქსოვილოვანი შრის სისქე 60  $\mu$ .

ნეზობელ ხაოთა მოპირდაპირე კიდენი ალაგობრივ ხაოს გაგანიერების ხარჯზე ერთი მეორესთან ძლიერ მიახლოვებული არის, რის გამოც იგინი ასაკში შესულ მსხვილი ნაწლავის Lieberkühn-ის ჯირკვლების მოყვანილობას ლებულობენ. ხაოებსა და ხაოთა ფუძეებს შორის ეპითელიუმი ფიალისებრი უჯრედებით არის წარმოდგენილი, რომელიც უკვე მცირე გადიდებითაც ნათლად ჩანან (სურათი № 16). დიდი გადიდების საშუალებით, ჰომოგენური იმერსიით, ფიალისებრი უჯრედები ფიალისაგან და ფეხისაგან შედგება. ბირთვი ახალი მთვარისნაგვარი ფიალის ძირშია მოთავსებული თავისუფალ ბოლოს კიდეს დაკბილული ხერხელი აქვს დართული, რომელშიც ფიალის შენაცავეი საცობის მაგვარად ზის.

10). 22 cm. სიგრძის ნაყოფის წვრილი ნაწლავი.

(სურათი 18).

კედლის სისქე განივ ნაკვეთებზე ხაოს მწვერვალსა და სეროზულ გარსს შორის 710  $\mu$ . ლორწოიანი გარსის სისქე 590  $\mu$ . შემაერთებულქსოვილოვანი შრის სისქე 190  $\mu$ . ხაოს სიმაღლე 400  $\mu$ . მანძილი Lieberkühn-ის ჯირკვლებსა და ირგვლივ კუნთოვან შრეს შორის 120—190  $\mu$ .

კუნთოვანისა და სეროზული გარსის სისქე 120  $\mu$ . ირგვლივი კუნთოვანი შრის სისქე 50  $\mu$ . გასწვრივი კუნთოვანი შრის სისქე 40  $\mu$ . სეროზული გარსის subserosal და კუნთოვან შრეებს შორის შემაერთებულქსოვილოვანი შრის სისქე 30  $\mu$ .

ხაოს ეპითელიუმი, ცილინდრული, ყათნოვანი უჯრედებით არის წარმოდგენილი. უჯრედების საზღვარი მკაფიოდ არის გამოხატული. მათ შორის ფიალისებრი უჯრედებიც არსებობს. უკანასკნელთ თავისუფალ ბოლოზე ხერეული აქვს დართული, რომლის კიდევ დაკბილულია. ბირთვი ახალ მთვარისნაგავაოი, ფიალის ფუძეზე მოთავსებული. ხაოებს შორის უჯრედთა ბუდეების გროვა მუქი უჯრედებით არის წარმოდგენილი. მათი საზღვარი არ არის მკაფიოდ გამოხატული და მათ შორის აგრეთვე ფიალისებრი უჯრედებიც არსებობს.

კუნთოვანი გარსის შრეები ირგვლივი და გასწვრივი შემაერთებული ქსოვილოვანი შრით, მდიდარი, სისხლის ძარღვებით, ერთი მეორისაგან არის განსახლდებული. Lieberkühn-ის ჯირკვლების განვითარება მთლიანი უჯრედოვანი ნასების შემაერთებულქსოვილოვან შრეში ჩაზრდით, ხაოების ფუძეთა შორის უჯრედოვანი გროვების ხარჯზე, მკაფიოდ არის გამოხატული.

10). 30 cm. სიგრძის ნაყოფის კოლინჯი.

(სურათი. 19—20).

კედლის სისქე განივ ნაკვეთზე ხაოს მწვერვალსა და სეროზულ გარსს შორის 700  $\mu$ . ლორწოიანი გარსის სისქე 480  $\mu$ . შემაერთებულიქსოვილოვანი შრის სისქე 250  $\mu$ . ხაოს სიმაღლე 230  $\mu$ . მანძილი ხაოების ფუძეთა შორის უჯრედთა გროვებსა და ირგვლივ კუნთოვან გარსს შორის 100—140—190

კუნთოვანი და სეროზული გარსის სისქე 220  $\mu$ . ირგვლივი კუნთოვანი შრის სისქე 70  $\mu$ . გასწვრივი კუნთოვანი შრის სისქე 55  $\mu$ . ზონარების სისქე 110—130  $\mu$ . serosal, subserosal და კუნთოვან შრეებს შორის შემაერთებულქსოვილოვანი შრის სისქე 95  $\mu$ .

შემაერთებულქსოვილოვან შრის დიფერენციალია str. propriumად და str. submucosae უკვე არსებობს. mus. mucosae ნახსენებ ორ შრეს შორის ნათლად არის განვითარებული Lieberkühn-ის ჯირკვლები ალაგობრივ მთლიანი უჯრედოვანი მასის სახით, რომელნიც ხაოთა შორის უჯრედთა გროვების უშუალო გა-

გრძელებას წარმოადგენს, str. propriumში არის ჩაზრდილი. მეზობელი ხაოების კედლები, ზოგიერთ ალაგას, ურთიერთშორის ძლიერ დაახლოებულია, რის გამოც ხაოს ადვილას, ლულისმაგვარი ჯირკვლები არის განვითარებული. ეპითელიუმი, როგორც ხაოებისა, ისე მათ ფუძეთა შორის უჯრედთა გროვებში და უკანასკნელიდან str. propriumში ჩაზრდილი Lieberkühnის ჯირკვლებისა, ფიალისებრი უჯრედებით არის წარმოდგენილი, რაც უკვე მცირე გადიდებითაც ნათლად ჩანს. მხოლოდ ხაოს ეპითელიუმის უჯრედების საზღვრები უფრო მკაფიოდ არის გამოხატული, ვიდრე ხაოების ფუძეთა შორის და Lieberkühnის ჯირკვლების უჯრედთა შორის, რომელნიც უფრო მუქი ფერისა არიან. ჰომოგენური ინერსიით გამოკვლევის დროს ფიალისებრი უჯრედები ფიალისაგან და ფეხისაგან შედგება. ბირთვი ახალ მთვარისმაგვარი ფიალის ფუძეზე ძვეს. ფიალას თავის თავისუფალ ბოლოს კიდებზე ხეველი აქვს დართული, რომლიდანაც ფიალის წენაცავი გამოდის და ზოგიერთ შემთხვევაში ორ მოპირდაპირე ხაოს უჯრედებიდან გამოსული სეკრეტის ერთიმეორესთან შეერთება არსებობს (სურათი 20).

ირველივე კუნთოვანი შრე გარდიგარდმო ნაკვეთზე დაახლოებით მთელ მანძილზე თანაბარი სისქის შრით არის წარმოდგენილი. გასწვრივი კუნთოვანი შრის (ზრივ სამგან ადგილობრივი შესქელებანი არსებობს, რომელნიც ასაკში შესული ნაწლავის ზონარებს ესაბამებიან.

### 11). 30 cm. ხიგრძის ნაყოფის წვრილი ნაწლავი.

(სურათი 21—22).

კედლის სისქე განივ ნაკვეთზე 980  $\mu$ . ლორწოიანი გარსის სისქე 850  $\mu$ . შემეართებელქსოვილოვანი შრის სისქე 250  $\mu$ . ხაოს სიმაღლე 600  $\mu$ . მანძილი Lieberkühnის ჯირკვლების ფუძეთა და ირველივე კუნთოვან შრეს შორის 100-160  $\mu$  ს უდრის.

კუნთოვანი და სეროზული გარსის სისქე 130  $\mu$ . ირველივე კუნთოვანი შრის სისქე 50  $\mu$ . გასწვრივი კუნთოვანი შრის სისქე 50  $\mu$ . სეროზული გარსისა და subserosal სისქე ერთად 30  $\mu$ .

Lieberkühnის ჯირკვლები წარმოადგენს ხაოების ფუძეთა შორის უჯრედთა გროვების ქვეშეშედარე შემეართებელ ქსოვილში უშუალო ჩაზრდას, მთლიანი უჯრედოვან მასის სახით. ეპითელიუმი ხაოებისა და ჯირკვლებისა უმთავრესად ყაეთნოვანი ცილინდრული უჯრედებით არის წარმოდგენილი, რომელთა შორისაც ფიალისებრი უჯრედებიც ურევია.

კუნთოვანი გარსი ორი შრით, ირველივეითა და გასწვრივით, არის წარმოდგენილი, რომლებიც ერთიმეორისაგან სისხლ-ძარღოვანი შემეართებელქსოვილოვანი შრით არის განსაზღვრული.

ცილინდრული და ფიალისებრი უჯრედების ურთიერთშორის განაწილების მხრივ, როგორც უკვე ზემოთ აღწერილი 5 თვის ნაყოფის წვრილი ნაწლავის ეპითელიუმში, განსაზღვრული წესი არ არსებობს.



ალაგობრივ ორ ფიალისებრ უჯრედთა შორის ერთი ცილინდრული უჯრედი არის. ალაგობრივ კი 3 ცილინდრულ უჯრედთა შორის ერთი ფიალისებრი უჯრედი არსებობს.

ხაოების ფუძეთა და Lieberkühn-ის ჯირკვლების მიდამოში უჯრედების კონტურები შედარებით უფრო ნაკლებად არის გამოხატული. ხაოს მიდამოში კი პირიქით უჯრედების საზღვრები მკაფიოდ არის გამოხატული.

12). 40 cm. სიგარძის ნაყოფის კოლინჯი.

(სურათი 23).

კედლის სისქე განივ ნაკვეთზე 790  $\mu$ . ლორწოიანი გარსის სისქე 590  $\mu$ . შემაერთებელქსოვილოვანი შრის სისქე 160  $\mu$ . ხაოს სიმაღლე 430  $\mu$ . ჯირკვლების ფუძეებიდან ირგვლივ კუნთოვან შრემდე ნანძილი 100—110  $\mu$ ს უდრის. კუნთოვანი და სეროზული გარსის სისქე 200  $\mu$ . ირგვლივი კუნთოვანი შრე 80  $\mu$ . გასწვრივ კუნთოვანი შრის სისქე ზონარებს შორის 50  $\mu$ . ზონარების სისქე 130  $\mu$ . სეროზული გარსის subserosal და კუნთოვანი შრეებს შორის შემაერთებელი ქსოვილოვან შრის სისქე 70 მიკრონს უდრის.

ეპითელიუმში ხაოებისა და Lieberkühn-ის ჯირკვლების გამოუყვებლად ფიალისებრი უჯრედებით არის წარმოდგენილი, რომელნიც უკვე მცირე გადილების დროს ფიალასაგან და ფეხისაგან შედგება. ფიალის თავისუფალ ბოლოში დაკბილული კიდიანი ხერეღია, რომლიდანაც ფიალასაგან გამოსული სეკრეტი საკობისმაგვარად გამოიყურება. ზირთვი ახალი მთეარისმაგვარი ფიალის ფუძეზე ძვეს. ერთი სიტყვით ეპითელიუმის ავებულების მხრივ ჰომოგენური იმერსიით გასანჯვის დროს სავსებით იმავე სურათს ვიღებთ, როგორც 5-6 თვის კოლინჯის ეპითელიუმის მხრივ. Lieberkühn-ის ჯირკვლები, რომელნიც ხაოების ფუძეთა უჯრედების გროვების გაგრძელებას წარმოადგენს, სანათურს წეიკავს; უმეტეს შეუთხვევაში მეზობელი ხაოების კედლები ძლიერ არის ერთმანეთთან დაახლოებული, რის გამოც მათ შორის არსებული სივრცე Lieberkühn-ის ჯირკვლების სანათურის კალიბრს ახწევს.

უქანასკნელის გამო ხაოსა და ჯირკვალს შორის საზღვარი უმჩნევლად ისპობა.

მხოლოდ აქა-იქ. ძლიერ იშვიათად, რვა თვის ნაყოფის მსხვილ ნაწლავში ხაოს ეხვებით. შემაერთებელქსოვილოვანი შრე str. proprium-ისაგან და str. submucosals-გან შედგება. გასწვრივ კუნთოვანი შრეს სანძივ ზონარი მკაფიოდ აქვს გამოხატული. ამას გარდა ლორწოიანი გარსი მშვენივრად განვითარებული გასწვრივი ნაოკებით არას დართული, რომლის სიმაღლე 1200  $\mu$ . უდრის.

13). 40 cm. სიგარძის ნაყოფის წვრილი ნაწლავი.

(სურათი 24).

კედლის სისქე განივ ნაკვეთზე 1080  $\mu$ . ლორწოიანი გარსის სისქე 930  $\mu$ . შემაერთებელქსოვილოვანი შრის სისქე 240  $\mu$ . ხაოს სიმაღლე 740  $\mu$ . მანძილი

Lieberkühnის ჯირკვლების ფუძეთა და ირგვლივი კუნთოვანი შრის შორის 120—140  $\mu$ ს უდრის.

კუნთოვანი და სეროზული გარსის სისქე 100  $\mu$ . ირგვლივი კუნთოვანი გარსის სისქე 50  $\mu$ . გასწვრივი კუნთოვანი გარსის სისქე 40  $\mu$ . დანარჩენი 10  $\mu$  სეროზული გარსსა და კუნთოვან შრეთა შორის შემეერთებელქსოვილოვან შრეს ეკუთვნის.

ეპითელიუმი ხაოებისა და აგრეთვე ხაოების ფუძეთა შორის უჯრედთა გროვებისა უნთავრესად ცილინდრული, ყათხოვანი, შრგვალი ბირთვით დართული უჯრედებით არის წარმოდგენილი, რომელშიც ფიალისებრი უჯრედები ურევია.

Lieberkühnის ჯირკვლები განვითარებულია და მთლიანი უჯრედოვანი მასის საბით ხაოების ფუქიდან ქვეშმდებარე შემეერთებელ ქსოვილში არის ჩაზრდილი.

შემეერთებელქსოვილოვანი შრე ნათლად დიფერენციაციას განიცდის str. proprium და str. submucosale.

#### 14). 52 cm. ხიგრძის ნაყოფის კოლინჯი.

(სურათი 25).

ნაწლავის სანათურს განივ ნაკვეთზე ვარსკვლავისებრი მოყვანილობა აქვს, რომლის სხივებიც განივად გადაკვეთილი მშვენიერად განვითარებული გასწვრივი ნაოჭებით არის გამოხატული (სურათი 26). კედლის სისქე, ნაოჭებს შორის, ხაოს მწვერვალთან სეროზულ გარსამდე 850  $\mu$ . ლორწოიანი გარსის სისქე 520  $\mu$ . ხაოს სიმაღლე 310  $\mu$ . მანძილი ჯირკვლების ბრმა ბოლოებსა და ირგვლივ კუნთოვან შრეს შორის 200-210  $\mu$ .

კუნთოვანი და სეროზული გარსის სისქე 330  $\mu$ . ირგვლივი კუნთოვანი შრის სისქე 230  $\mu$ . გასწვრივი კუნთოვანი შრის სისქე 90  $\mu$ .

ეპითელიუმი როგორც ხაოსი, ისე ჯირკვლებისა მხოლოდ ფიალისებრი უჯრედებით არის წარმოდგენილი. ფიალისებრი უჯრედები მათი მოყვანილობითა და აგებულებით 5-ნ თვის ნაყოფის მსხვილი ნაწლავის ფიალისებრი უჯრედებიდან არ განირჩევა. ირგვლივი კუნთოვანი შრე თვალსაჩინოდ გასქელებულია წთელს მის მანძილზე და ნამეტნავად ციცხვებს შორის. გასწვრივი კუნთოვანი შრის სისქე ზონარების მიდამოში 190. გასწვრივი ნაოჭების სიმაღლე 1400  $\mu$ .

ხაოებს მხოლოდ ძლიერ იშვიათად ვხვდებით. უმეტეს შემთხვევაში კი მეზობელი ხაოების მოპირდაპირე კედლები ძლიერ არის დაახლოებული ერთმეორესთან ხაოს გაგანიერების ხარჯზე, რის გამოც ჯირკვლის სანათურსა და ხაოს შორის არსებული სივრცით საზღვარი ისპობა და ამიტომ მთლიანი ლულისებრი ჯირკვლები წარმოიშობა.

ცხრილი აღმამიანის ნაყოფის კოლონიების და წვერილი ნაწლავის კედლისა და მისი შემავალი შრეების თანდათანობითი ზრდისა (მეკრონობით).

სიღრმე ისტანცი	იქვე		სველი სველი	სველი სველი		სველი სველი	სველი სველი		სველი სველი	სველი სველი		სველი სველი	სველი სველი		სველი სველი	სველი სველი		სველი სველი	
	სველი	სველი		სველი	სველი		სველი	სველი		სველი	სველი		სველი	სველი		სველი	სველი		სველი
6 სმ.	—	380	—	210	—	110	—	190	—	30	—	30	—	30	—	—	—	—	—
9 სმ.	340	270	315	220	170	70	185	150	45	50	40	20	10	20	—	—	—	—	—
12 სმ.	615	350	550	250	130	90	430	160	65	90	65	15	15	20	—	—	—	—	—
22 სმ.	770	510	670	450	180	70	490	190	100	90	50	40	25	30	—	—	—	—	—
25 სმ.	710	530	530	380	190	100	400	280	120	150	50	60	40	30	—	—	—	—	—
30 სმ.	1180	710	850	480	230	250	600	230	130	220	50	70	50	65	—	—	—	—	—
35 სმ.	—	740	—	510	—	70	—	520	—	160	—	80	—	50	—	—	—	—	—
40 სმ.	1180	710	980	530	240	160	740	430	100	200	30	80	40	50	—	—	—	—	—
52 სმ.	—	850	—	520	—	210	—	910	—	330	—	230	—	90	—	—	—	—	—

პრეპარატების აღწერისა და შესწავლის შემდეგ ჩვენს მასალაზე მიღებული შედეგები შეიძლება, მოკლედ, ასე ჩამოყალიბდეს: intrauterina ცხოვრების დროს, 6 cm. სიგრძის ემბრიონს ნაწლავის კედლის უმთავრესი შემადგენელი ნაწილები უკვე განვითარებული აქვს. განვითარება აქვს Lieberkühnის ჯირკვლებს, muskular. mucosას, ლორწოვანი გარსის განვი (Kerkringის) ნაოქებს, გასწვრივ კუნთოვან ზონარებს, ციცივებს და შემავერთებელქსოვილოვან შრის strat. propriumად და strat. submucosად დიფერენციაციას.

კოლინჯის კედლის სისქე მთელ intrauterina ცხოვრების დროს განვითარების პირველი საფეხურიდან დაწყებული დბადების ხანამდე, გაცილებით უფრო ნაკლებია ვიდრე წვრილი ნაწლავის კედლის სისქე (იხ. ცხრილი).

ლორწოვანი გარსის სისქე წვრილ ნაწლავში კოლინჯის ლორწოვანი გარსის სისქესთან შედარებით გაცილებით მეტია.

კუნთოვანი და სეროზული გარსის სისქე კი კოლინჯში სქარბობს. პირველ ექვს თვის კოლინჯის და წვრილი ნაწლავის კუნთოვან გარსს შორის დიდი განსხვავება არ არის. ექვსი თვის შემდეგ კი განსხვავება თვალსაჩინო ხდება. კოლინჯის ირგვლივ კუნთოვანი შრე პირველი ექვსი თვის განავლობაში სისქით სქარბობს, მაგრამ მათ შორის ამ მხრივ დიდი განსხვავება არ არის (იხ. ცხრილი). ექვსი თვის შემდეგ კოლინჯის ირგვლივ შრე წვრილი ნაწლავის ირგვლივ შრეზე გაცილებით სქელია (იხილეთ ცხრილი).

გასწვრივი კუნთოვანი შრე ზონარებს შორის კოლინჯში წვრილი ნაწლავის გასწვრივ კუნთოვან შრეს თუმცა აღემატება, მაგრამ განსხვავება კი მათ შორის შედარებით დიდი არ არის (იხ. ცხრილი).

ირგვლივი და გასწვრივი კუნთოვანი შრეები ოთხ ნახევარ თვეშივე intrauterina ცხოვრების დროს თანაბარს და მთლიან შრეს წარმოადგენს, რომლებიც ერთი-მეორისაგან, შემავრთებელქსოვილოვანი შრით არის განსაზღვრული. ოთხ ნახევარი თვის ნაყოფის კოლინჯის გასწვრივ შრეში უკვე სამ ადგილას ადგილობრივი გასქელება არსებობს, რომლებიც ასაკში შესული კოლინჯის სამ ზონარს ესაბამება. მათ შორის ჯორჯლის ზონარი ორ დანარჩენ ზონართან შედარებით, უფრო მეტად არის განვითარებული.

ზონარების სისქე ოთხ ნახევარი თვიდან დაწყებული თანდათანობით მატულობს და მათი სისქე არამც თუ მათ შორის მდებარე გასწვრივი კუნთოვანი შრის სისქეს, არამედ ირგვლივი კუნთოვანი შრის სისქესაც სქარბობს. განვითარების ჩებუთე თვეზე ადგილობრივ გასქელებას აგრეთვე ირგვლივ კუნთოვან შრეში აქვს ადგილი და ესაბამება ციცივებს შორის მდებარე შედრეკილ ადგილებს.

ექვსი თვის ნაყოფის წვრილ ნაწლავში განვი (Kerkringის) ნაოქები ნააღად არის განვითარებული, მაშინ როდესაც კოლინჯის ლორწოვანი გარსი ნაოქებს არ შეიცავს. უკანასკნელი კოლინჯში მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ ვითარდება. შეიდი თვის ნაყოფის კოლინჯში უკვე მშვენივრად განვითარებული ნაოქები არსებობს, მხოლოდ მათი მიმართულება გასწვრივი და ურთიერაშორის თანასწვრივი არის. მხოლოდ ძლიერ იშვიათად მათ შორის სუსტად განოხატული ირიბი ლორწოვანი გარსის ხიდაკები არსებობს.

შვიდი თვის ნაყოფის კოლინჯში მათი სიმაღლე 1150  $\mu$ s უდრის. განვითარების შემდეგ სტადიაში მათი სიმაღლე თანდათან მატულობს და მეთექვსმეტე თვეზე დაახლოებით 1400  $\mu$ s უდრის (იხ. სურათი № 25). დიდ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ *plicae semilunares* მიდამო აღნიშნული გასწვრივი ნაოქებიდან თავისუფალი არ არის; *plicae semilunares* გასწვრივი ნაოქებით პერპენდიკულარულად გადაღობილი არიან. *Plicae semilunares* მათ მთლიანობას არ არღვევს.

დაბადების შემდეგ და მეტადრე ასაკში შესულ კოლინჯში აღწერილი გასწვრივი ნაოქები ისპობა და *plicae semilunares* კი საბუნდამოდ რჩება. უკანასკნელები არც ნაწლავის დაშვებისა და არც მისი გაბერვის დროს არ ქრება. პირიქით რაც უფრო მეტად არის ნაწლავი გაბერილი, იმდენად უფრო მკაფიოდ გამოიხატება და ნამდვილი ნამგლისებრი მოყვანილობა აქვთ.

გასწვრივი ნაოქების მოსპობა დაბადების შემდეგ, როდესაც ნაწლავი გაბერვას განიცდის გაზებით, ხრწნის პროცესის ნიადაგზე მასში და შენაცავის წნევის გამო, გვაძლავს მივიღოთ, რომ ისინი ლორწოიანი გარსის წინასწარ გათვალისწინებულ მარაგს წარმოადგენენ, რომლის ხარჯზედაც ნაწლავის გაბერვის დროს ლორწოიანი გარსის ზედაპირის გაქიმვა ხდება.

*Plicae semilunares* გამოკვლევა გასწვრივ ნაკეთებზე გვიჩვენებს (იხ. სურათი № 26), რომ ისინი მხოლოდ ლორწოიანი გარსის ნაოქს არ წარმოადგენენ, არამედ მათ შემადგენლობაში აგრეთვე ნაწლავის კედლის ყველა შემადგენელი ნაწილები შედის.

ამას გარდა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ირგვლივ კუნთოვანი შრის ადგილობრივი გასქელება, რომელიც ციციხეებს შორის შედრეკილ ადგილებს ესაბამება, მეხუთე თვეზე უკვე მკაფიოდ არის განზრახული და *plicae semilunares* კი მხოლოდ მეექვსე თვეზე ვითარდება, იძულებული ვართ მივიღოთ, რომ *plicae semilun.* წარმოშობა და არსებობა ირგვლივ კუნთოვანი შრის არსებული ადგილობრივი გასქელებით არის გამოწვეული. გასქელებული ირგვლივი შრე ციციხეებს შორის. სხვა დანარჩენი შრეების შედრეკას იწვევს, როგორც მის შიგნით მდებარე ლორწოიანი გარსისას ისე შედარებით სუსტად განვითარებულის მის გარეთ მდებარე კუნთოვანი შრისას.

რაც შეეხება ნაწლავის ეპითელის ცილინდრულისა და ფიალისებრი უჯრედების ურთიერთშორის დამოკიდებულების საკითხს, ერთის მხრივ, და თავისუფალი და ჯირკვლოვანი ეპითელიუმის დამოკიდებულების საკითხს, მეორეს მხრივ, ჩვენი მასალისა და ნახმარი მეთოდის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკვე განვითარების პირველ სტადიაში (სურათი 1-6) კოლინჯისა და წვრილი ნაწლავის ეპითელიუმის მორფოლოგიურ აგებულებაში დიდი განსხვავება არსებობს.

კოლინჯში ეპითელიუმი (იხ. სურათი № 2 და 4) ჰალალი ცილინდრული (ყანწისმაგვარი) უჯრედებით არის წარმოდგენილი, რომელთა კონტურები მკაფიოდ არის გამოხატული. მათი ბირთვი გაგრძელებული უჯრედის გასწვრივი ლერძის მიმართ ქვედა ეიწრო ნაწილში არის მოთავსებული. მათ შორის, თუმცა იშვიათად, ტიპიური ფიალისებრი უჯრედებაც არსებობს (იხ. სურათი № 2). წვრილი ნაწლავის ეპითელიუმი კი ნამდვილი ცილინდრული უჯრედ-

ბით არის წარმოდგენილი; მათ თავისუფალ ნაპირს ყავთანი აქვს დართული ბირთვი მრგვალი უჯრედის ცენტრშია მოთავსებული.

აღნიშნული აგებულების განსხვავება კილინჯის და წვრილი ნაწლავის ეპითელიური უჯრედების მხრივ არსებობს, როგორც ხაოების მიდამოში, ისე მათ ფუძეთა შორის უჯრედთა გროვებშიაც.

სამ ნახევარი თვიდან დაწყებული დაბადების ხანამდე კოლინჯის ყველა ეპითელიური უჯრედი ტიპურ ფილისებრ უჯრედებს წარმოადგენს; წვრილ ნაწლავში კი უმთავრესად ცილინდრულ ყავთონვან უჯრედებს. აღნიშნული მორფოლოგიური განსხვავებანი წვრილი ნაწლავისა და კოლინჯის ეპითელიუმში გვაძლევს მივიღოთ, რომ ენტოდერმალური ეპითელიუმში, პრატყელი მრავალზრიანი სტადიის შემდეგ, უშუალოდ ორ სხვადასხვა მორფოლოგიურ დიფერენციაციას განიცდის: ყანწისმაგვარი ფორმა და ნამდვილი ცილინდრული უჯრედების ფორმა. ვინაიდან 6-9 cm. სიგრძის ემბრიონების კოლინჯის ეპითელიუმში მთლიანად ყანწისმაგვარი ეპითელიური უჯრედებით არის წარმოდგენილი და 12 cm. სიგრძის ნაყოფიდან დაწყებული კი მხოლოდ ტიპური ფილისებრი უჯრედებით, უნდა მივიღოთ, რომ ყანწისმაგვარი უჯრედები ახალგაზრდა მოუწიფებელ ფილისებრ უჯრედებს წარმოადგენს, რომელთაც ჯერ კიდევ არ დაუწყიათ სეკრეტის გამოშვებების პროცესი, ესე იგი ლორწოს წარმოშობა.

ლორწოს წარმოშობა ლორწოიან უჯრედებში, ჩვენი მასალის მიხედვით უჯრედის ბაზალურ ნაწილში, მუქი მარცვლების სახით ხდება. რომელნიც მომწიფებასთან ერთად თანდათან დისტალური ნაწილისაკენ მიისწრაფიან და ერთიმეორესთან შეერთების შემდეგ ლორწოს წვეთებს ქმნიან. ეს წვეთები Böhmerის hæmatoxylinით ლურჯ ფრად იღებება.

ლორწოს წვეთების ოდენობის და რაოდენობის გადიდების გამო დისტალური ნაწილი უჯრედისა განივრდება და ფილისის მოყვანილობას ლებულობს. როდესაც სეკრეტის რაოდენობა მის მაქსიმუმს ახწევს ფილისის კედელი გვება და სეკრეტი უჯრედიდან გარეთ გამოდის. რომ სეკრეტის გამოსვლა ფილისის თავისუფალი კიდის გაგლეჯის საშუალებით ხდება, ამას ყანწის მაგვარი უჯრედების თავისუფალ კიდზე ხერხელის უქონლობა და ფილისებრი უჯრედების თავისუფალი ბოლოს კიდეში დაკბილული ხერხელის არსებობა ადასტურებს.

ამას გარდა კოლინჯის ყველა ფილისებრი უჯრედების ნივთიერება 12 cm. სიგრძის ნაყოფიდან დაწყებული Böhmerის hæmatoxylinით ლურჯ ფრად იღებება. ყველა ფილისებრი უჯრედი გახსნილ ფორმას წარმოადგენს, ე. ი. თავისუფალი ბოლოს კიდე ხერხელს შეიცავს, რომელშიდაც გამომავალი სეკრეტი საცობის-ნაგვარად ზის და ერთის მხრივ ფილისის შენაცავს და მეორეს მხრივ, ნაწლავის ღრუსა და ჯირკვლის სანათურში უკვე გამოსულ სეკრეტს უერთდება.

სეკრეტისაგან სავსებით დაცლილი ფილისებრი უჯრედი, რომელიც ტიპურ ცილინდრულ ყავთონვან უჯრედს წარმოადგენს, კოლინჯის ფილისებრ უჯრედთა შორის ჩვენს მასალაზე არ შეგვხვედრია.

რაც ნეებება აქა-იქ, ძლიერ იშვიათად, ტიპურ ფილისებრ უჯრედთა შორის მაღალი, ვიწრო, მუქი უჯრედების არსებობას (იხ. სურათი 9 და 13), რომელნიც თავისი შეხედულებით ძლიერ მოგვაგონებს იმ უჯრედებს, რომლებიც

მიღებული იყო Majewsky's მიერ pilocarpin-ის ინექციის საშუალებით ფიალისებრი უჯრედებიდან, მათი სეკრეტიდან დაკლის შემდგომ. უნდა მივიღოთ, რომ მაღალი, ვიწრო უჯრედები, გაცვეთილ, მომაცდევ, მოვარდნის გზაზე მდგარ ფიალისებრი უჯრედებს წარმოადგენს. ამას ადასტურებს (იხ. სურათი 13) საერთოდ უჯრედისა და ნამეტურ ბაზალური ნაწილის ზედმეტი სიფიწროვე და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ზოგიერთ შემთხვევაში, ბირთვის უქონლობა.

ამგვარად, როდესაც ფიალისებრი უჯრედის სეკრეცია წყდება, ე. ი. როდესაც ის ცვდება, მაშინ ის მაღალ, ვიწრო, მუქ უჯრედად იქცევა და არა ჩვეულებრივ ცილინდრულ ყათნოვან უჯრედად.

უკანასკნელი ფაქტი ფრიალ საინტერესოა, ეინაიდან ყველა ავტორი ერთსულოვნად იზიარებს იმ აზრს, რომ სეკრეციას ფიალისებრი უჯრედების მხრივ ტრანზიტალური ხასიათი აქვს ე. ი. ფიალისებრი უჯრედის სეკრეტის გამოყოფა და წარმოშობა პერიოდულად ხდება, რომ ფიალისებრი უჯრედის კედელი სეკრეტის გამოყოფის შემდეგ ეშვება და სეკრეტის გამოშვების შემდეგ კვლავ ფიალისებრი უჯრედად ხდება. ზოგიერთი კი უფრო შორს მიდის და თიქობს, რომ სეკრეტის გამოყოფის შემდეგ ფიალისებრი უჯრედის კედელი ეშვება, რის შემდეგაც ის ცილინდრული ყათნოვანი უჯრედისაგან აღარაფრით არ განიჩევა.

ჩვენი მასალა კი გვაიძულებს მივიღოთ, რომ ფიალისებრი უჯრედის სეკრეცია ე. ი. მის მიერ ლორწოს გამოშვებება და გამოყოფა მუდმივ პროცესს წარმოადგენს. უკვე ერთხელ დაწვებული სეკრეცია განუწყვეტლივ გრძელდება ფიალისებრი უჯრედის მთელ სიციცხლეში. ამ დებულების მიღების შემდეგ თავის თავად წყდება საკითხი, რომ ფიალისებრი უჯრედი დამოუკიდებელი წარმოქმნა არის, რომ ფიალისებრი და ცილინდრული უჯრედები ერთისა და იმავე ელემენტის სხვადასხვა ფაზას არ წარმოადგენს.

ჩვენი პრეპარატები ნათლად გვიჩვენებს, რომ ენტოდერმალური ეპითელიუმში უკვე განვითარების პირველ სტადიაში. დიფერენციაციის გზით, აგებულებისა და ფუნქციის მიხედვით, ორ სხვადასხვა უჯრედად ხდება: ფიალისებრიად და ცილინდრულად. ჩვენი მასალის მიხედვით არამც თუ ფიალისებრი უჯრედების დამოუკიდებლობისა და მათი სეკრეციის განუწყვეტელი არსებობის საკითხი გადაჭრით წყდება, არამედ აგრეთვე იძულებული ვართ მივიღოთ, რომ მათ სეკრეციაზე მექანიკურ ფაქტორებს, როგორც მაგალითად პერისტალტიულ მოძრაობასა და ლორწოიან გარსზე საკმლის მასალის წნევას, არავითარი გავლენა არა აქვს. უკანასკნელ მექანიკურ ფაქტორებს, როგორც არა ერთხელ აღნიშნული იყო, მრავალ ავტორთა აზრით დიდი მნიშვნელობა აქვს ფიალისებრი უჯრედის სეკრეტისაგან დაკლაში.

ნაყოფის კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ეპითელიუმში დამშვიდებულსა და მოღვაწე მდგომარეობას საკმლის მასალის მიღებისა ან მიუღებლობის ზეგავლენის ქვეშ, არ განიცდის, ეინაიდან 'intrauterinal' ცხოვრების დროს კუჭ-ნაწლავი საკმლის ნივთიერებას არ შეიცავს. რომ ნაწლავის ეპითელიუმის სტრუქტურაზე და ფუნქციაზე საკვებ მასალის არსებობას ან არ არსებობას ნაწლავში გავლენა ჰქონდეს, მაშინ ნაყოფის ნაწლავის ეპითელიუმს ნაწლავის მთელ მანძილზე ერთი და

რკვევ სტრუქტურა უნდა ჰქონდეს და ან ერთსა და იმავე ფუნქციას უნდა ეწეოდეს ან არა და, სრულიად არავითარ ფუნქციას არ უნდა ეწეოდეს. მაშინ როდესაც, ჩვენი ნასალის მიხედვით, ნაწლავის ეპითელიუმში ფილისებრი და ცილინდრული უჯრედებით არის წარმოდგენილი, რომლის განაწილებაც ნაწლავის განსაზღვრულ მიდამოში განსაზღვრულ კანონს ემორჩილება და მათ მიერ გამომწვევებული და გაზოყოფილი ნივთიერება ქიმიური და ფიზიკური თვისებით ერთი მეორისაგან განირჩევა. რაც შეეხება მექანიკურ ფაქტორებს, პერისტალტიურ მოძრაობასა და საკმლის ნივთიერების ლორწოვანი გარსზე მოძრაობას. ნაწლავის ეპითელიუმის სეკრეციის გამოწვევის პროცესში, რა თქმა უნდა, მათი პნიშენლობაც ნორმალურ პირობებში უარყოფილი უნდა იქნეს, ვინაიდან 6 cm. სიგრძის ემბრიონის ნაწლავში, რომელშიაც ფილისებრი უჯრედები უკვე არსებობენ, საკმლის მასალა არ არსებობს და პერისტალტიური მოძრაობა მიზანშეუწონელია.

ვინაიდან ჩვენ მიერ შეკრებილი მასალა ნათლად გვიჩვენებს, რომ ფილისებრი უჯრედის მიერ სეკრეციის გამომწვევა და გამოყოფა განვითარების პირველი სტადიიდან დაწყებული განუწყვეტლივ ხდება, იძულებული ვართ მივიღოთ, რომ ფილისებრი უჯრედების ფუნქცია, *intrauterinal* ცხოვრების დროს და დაბადების შემდეგაც უმთავრესად ექსკრეტორულია.

პლაცენტარული სისხლის მიმოქცევის საშუალებით ნაყოფის მიერ საყვებო ნასალის მკვებისა და ასიმილაციის შემდეგ, ნაყოფის ორგანიზმიდან უვარგისი და ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებანი გამოყოფილი უნდა იქმნენ, რასაც იგი ფილისებრი უჯრედების საშუალებით ახდენს თირკმლის ეპითელიუმთან ერთად; უკანასკნელის ექსკრეტორული ფუნქცია *intrauterinal* ცხოვრების დროს უდაოა.

ცილინდრული და ფილისებრი ეპითელიუმის ურთიერთშორის დამოკიდებულების საკითხის განხილვის შემდეგ საკმლოდ მიგვაჩნია დასასრულ ჯირკვლოვანი და თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმის ურთიერთშორის დამოკიდებულობის საკითხს შევეხოთ. უკანასკნელი საკითხის გაშუქება დამოკიდებულა, ერთის მხრივ, Lieberkühn-ის ჯირკვლების განვითარების პროცესთან და მეორეს მხრივ, ხაოების განვითარების პროცესთან და უკანასკნელთა ასაკში შესულ კოლინჯში უქონლობასთან.

ჩვენის აზრით, ამ სამა საკითხის განხილვა საკმარის მასალას იძლევა ჯირკვლოვანი და თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმის ურთიერთშორისი დამოკიდებულების შესახებ.

თუ გადავავლებთ თვალს ჩვენს მასალაზე 6 cm. სიგრძის ემბრიონიდან დაწყებული დაბადების ხანამდე, როგორც ჯირკვლებისა და ხაოების განვითარების პროცესს, ისე უკანასკნელთა გაქრობის პროცესს კოლინჯში, ენახავთ, რომ განვითარების პირველ სტადიაში (პირველი 4 თვე) ჯირკვლები არ არის განვითარებული, მაშინ როდესაც ხაოები განვითარებულია, როგორც წერილ ნაწლავში ისე კოლინჯში. ხალსა და მათ ფუძეთა შორის ეპითელიუმის სტრუქტურას მხრივ, კოლინჯის და წერილი ნაწლავის მიდამოში, თითქმის ისეთივე დამოკიდებულებანი არსებობენ, როგორც განვითარების შემდეგ სტადიაში



გვაქვს, როდესაც Lieberkühnის ჯირკვლები უკვე განვითარებულია, ე. ი. კოლინჯის ხაოს და ხაოს ფუძეთა შორის უჯრედების მასსა ფილისებრი უჯრედებით არის წარმოდგენილი, რომლის თავისუფალი ბოლოს კიდე ხვრელს შეიცავს და რომლისაგანაც განუწყვეტლივ ფილისის შენაცავი გამოყოფნავს. სხვანაირად რომ ვთქვათ, განვითარების პირველ სტადიაში. როდესაც Lieberkühnის ჯირკვლები ჯერ არ არის განვითარებული, თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმში ასრულებს იმავე როლს, რა როლსაც ასრულებს ნაწლავის ეპითელიუმში განვითარების შემდეგ სტადიაში, როდესაც Lieberkühnის ჯირკვლები განვითარებულია.

აღნიშნული ფაქტი გვაძლევს<sup>1</sup> მივიღოთ, რომ თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმისა და ჯირკვლოვანი ეპითელიუმის ფუნქცია ერთი და იგივეა, ე. ი. ნაწლავის თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმის ფუნქცია არის სეკრეტორული, რეზორბციული და არა მხოლოდ მფარველი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ნაწლავის ეპითელიუმში დიდ ჯირკველს წარმოადგენს, რომლითაც არამც თუ ნაწლავის ღრუ არის გამოფენილი მთელ მის მანძილზე, არამედ აგრეთვე str. propriumში ჩაზრდილია ლულისებრი ჯირკვლების სახით. ნაწლავის ეპითელიუმის დაყოფა თავისუფალი ზედაპირისა (ნფარველ) და ჯირკვლოვან ეპითელიუმად სრულიად მიუღებელია.

ადამიანის ნაწლავში სამი თვის შემდეგ აღნიშნული ლულების განვითარება აღინიშნება ხაოების ფუძეებს შორის უჯრედოვანი გროვების ქვეშმდებარე შემკრთებელ ქსოვილოვან შრეში უშუალოდ ჩაზრდით. მასთან ერთად წერტილურ ნაწლავის მიდამოში Lieberkühnის ჯირკვლების განვითარება სოლიდარული უჯრედოვანი ბაგირაკების წარმოქმნას წარმოადგენს, რომლის რიცხვი გაორკაპების საშუალებით მრავლდება და მხოლოდ შემდეგ პოულობენ სანათურს. კოლინჯის მიდამოში კი Lieberkühnის ჯირკვლებს განვითარებისთანავე სანათური აქვთ დართული, რომლებიც ხაოებს შორის არსებული სივრცის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენენ და რომელთა კალიბრიც ხაოებს შორის არსებულ სივრცეზე უფრო ვიწროა. მასთან ერთად ჯირკვლის სანათურის გვერდით კედელი ერთი ან ორი შრით ფილისებრი უჯრედით არის გამოფენილი, მაშინ როდესაც ჯირკვლის ბრმა ბოლოზე ფილისებრი უჯრედები რამოდენიმე შრით არის წარმოდგენილი.

Lieberkühnის ჯირკვლების განვითარების პროცესი გვაძლევს მივიღოთ, რომ ისინი მხოლოდ ლორწოვანი გარსის ჩაღრმავებულ ადგილებს ანუ კრიპტებს წარმოადგენენ და თავისი ფუნქციით თავისუფალი ეპითელიუმის ფუნქციისაგან არ განიჩევიან

ხაოები 6 cm. სიგრძის ემბრიონის კოლინჯის და წერტილი ნაწლავის მიდამოში საესებით განვითარებული არის. მასთან ერთად მათი სინალღე წერტილი ნაწლავის მიდამოში ვაცილებით მეტია. განვითარების შემდეგ სტადიაში დაბადების ხანამდე ხაოს სიმაღლე ნაწლავის ორსავე ნახსენებ მიდამოში განუწყვეტლივ მატულობს; სიმაღლეზე ზრდასთან ერთად, ნამეტნავად კოლინჯის მიდამოში, მათი ვასქელებაც ხდება. უკანასკნელი პროცესის ხარჯზე, კოლინჯის მიდამოში, ორი მეზობელი ხაოს მოპირდაპირე კედლების ერთმანეთთან დაახლოვება ხდება და მათ შორის არსებული სივრცე Lieberkühnის ჯირკვლების სივრცის ოდენო-

ბამდე ვიწროვდება, რის შემდეგაც საზღვარი ხაოსა და Lieberkühnის ჯირკვალს შორის ისპობა და ორი უკანასკნელი წარმოქმნის ხარჯზე ერთი მთლიანი ეპითელიური ლულა წარმოიშობა. აღწერილი ხაოს მოსპობის პროცესი, ჩვენი მასალის მიხედვით, ოთხი თვის შემდეგ იწყება და მთელი ჩანასახოვანი ცხოვრების პერიოდში გრძელდება. ასე რომ დაბადების დროს 10 თვის ნაყოფს ნხსვილი ნაწლავის ლორწოიან გარსზე, ალაგ-ალაგ, ხაოების არსებობას კიდევ აქვს ადგილი.

ამგვარად განვითარების პირველ სტადიაში (პირველი სამი თვე) ნაწლავის ეპითელიუმი, კოლინჯის და წვრილი ნაწლავის მიდამოში, თავისუფალ ზედაპირზე, ხაოებზე არის მოთავსებული. განვითარების შემდეგ სტადიაში და ნამეტნავად დაბადების შემდეგ კოლინჯის ეპითელიუმში სავსებით ქვეშმდებარე ქსოვილში, str. proprium-ში, არის მოთავსებული ლულისებრი (Lieberkühnის) ჯირკვლების სახით, რომელნიც თავისი ყელებით თავისუფალ ზედაპირზე იხსნება. უკანასკნელი ფაქტის გამო, როგორც უკვე შესავალში ვთქვით, კოლინჯის თავისუფალი ზედაპირი დაცხრილული და დაპატარავებულია. უკანასკნელი ფაქტისა და ეპითელიუმის str. proprium-ში ჯირკვლოვანი ლულების სახით მოთავსებით, კოლინჯში შექმნილია პირობები, რომლის მეოხებითაც ნაწლავის შენაცავისა და ეპითელიუმის ურთიერთ-შორის შეხება ad minimum არის შემცირებული. უკანასკნელი ფაქტი კი ამცირებს ორგანიზმში მავნე პროდუქტების შეწოვას, რომელნიც ნაწლავის შენაცავში გახრწნით პროცესების ნიადაგზე წარმოიშობიან და განსაზღვრული ანატომიური ფაქტორების გამო კოლინჯში გროვდებიან. აღნიშნული პირობების გამო რეზორბციის პროცესი კოლინჯში თერხდება. სამაგიეროდ სავსებით უზრუნველყოფილია ექსკრეციის პირობები, ვინაიდან Lieberkühnის ჯირკვლების მიერ გამოყოფილი ექსკრეტის ნაწლავის ღრუში გამოსვლა თავისუფლად და განუწყვეტილად ხდება.

ნაწლავის ეპითელიუმის str. proprium-ში ჩაზრდით, რეზორბციის პროცესის შემცირებასთან ერთად, მისი ელემენტების დაცვა უზრუნველყოფილია მავნე ნივთიერებათა ზეგავლენისაგან, რომელნიც ან ჩვეულებრივად საქმლის მასალის სახით ან შემთხვევით, მავნე შხამების სახით კუჭ-ნაწლავის ტრაქტში შედიან. აღნიშნულ ნივთიერებათა ზეგავლენით თავისუფალი ზედაპირის ეპითელიუმი ძლიერ ადვილად ზიანდება, მაგრამ იგი კვლავ Lieberkühnის ჯირკვლის ეპითელიუმის გამრავლების ხარჯზე აღდგება ისე, როგორც საშვილოსნოს ღრუს ეპითელიუმის აღდგენა საშვილოსნოს ჯირკვლების ეპითელიუმის გამრავლების ხარჯზე ხდება ხოლმე.

## დ ე ზ უ ლ ე მ ა ნ ი.

1. ნაწლავის ეპითელიუმი ერთ დიდ ჯირკველს წარმოადგენს, რომელიც არანც თუ ნაწლავის თავისუფალ ზედაპირზე არის გაშლილი, არამედ აგრეთვე ლორწოიან გარსში ლულისებრი ჯირკვლების სახით არის ჩაზრდილი.
2. მისი ელემენტები ორი ერთი-მეორისგან დამოუკიდებელი, ლორწოიან და ცილინდრული უჯრედებით არის წარმოდგენილი.

3. ლორწოიანი უჯრედების არსებობა უმთავრესად კოლინჯში და წჭრილი ნაწლავის ქვედა ნაწილებში და ცილინდრული ყათნოვანი უჯრედების არსებობა წერილი ნაწლავის ზედა ნაწილებში ნაწლავის ნახსენები მიდამოს შორის შრომის განაწილების შედეგად უნდა ჩაითვალოს.

4. ლორწოიანი (ფილისებრი) უჯრედები არის უჯრედები *sui generis*.

5. მათში სეკრეცია განუწყვეტლივ ხდება, სანამ უჯრედი არ გაცთვება.

6. ლორწოიანი უჯრედის სეკრეციაზე მექანიკურ ფაქტორებს, პერიტალტიურ მოძრაობას და ნაწლავის ლორწოიან გარსზე საკმლის მასალის მოძრაობას გავლენა არ აქვს.

7. ლორწოიან უჯრედს ფილისის მოყვინილობა აქვს, როდესაც მასში სეკრეცია სავსებით არის გაჩაღებული. ბოთლისმავარი მოყვანილობა ლორწოიანი უჯრედის დისტალური ნაწილის მხრივ ადგილის სივიწროვის გამო არის გამოწვეული.

8. მალალი, ვიწრო, მუქი უჯრედი გამკეთარ, მოვარდნის გზაზე მდგარ ფილისებრ უჯრედს წარმოადგენს.

9. თავისუფალი ზედაპირისა და ჯირკვლოვანი ეპითელიუმში ერთისა და იმავე ფუნქციით არის აღჭურვილი.

10. დაყოფა ნაწლავისა ეპითელიუმის მფარველ და ჯირკვლოვან ეპითელიუმად კრიტიკას ვერ უძლებს.

11. Lieberkühnის ჯირკვლები ლორწოიანი გარსის ჩაღრმავებული ადგილები ანუ კრიპტები არის.

12. მსხვილ ნაწლავში ხაოს უქონლობის და ეპითელიუმის უმთავრესად *strat. proprium*ში ლულისებრი ჯირკვლების სახით ჩაზრდის გამო ნაწლავის ეპითელიუმისა და ნაწლავის შენაცავის ერთიმეორესთან შეხება მცირდება *ad minimum*, რაც მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან მსხვილი ნაწლავის ეპითელიუმის ფუნქცია, რამდენადაც მისი ეპითელიუმში ფილისებრი უჯრედებით არის წარმოდგენილი, უმთავრესად ექსკრეციულია.

---

### ლიტერატურა.

Arnstein C. Ueber Becherzellen und ihre Beziehung zur Fettresorption und Secretion.

— Archiv für pathologische Anatomie und Physiologie. Bd. 39. S. 527—547 Jahrg. 1867.

Dr. Barth. Beitrag zur Entwicklung der Darmwand.

— Sitzungsberichte der K. Akademie der Wissen. zu Wien. Bd. 58. S. 129—136. 1868.

Baginsky Adolf. Untersuchungen über den Darmkanal des menschlichen Kindes.

— Archiv für Pathologische Anatomie und Physiologie und für Klinische Medizin. Bd. 89. S. 64—94. Jahrg. 1882.

Brand Emil. Beiträge zur Entwicklung der Magen- und Darmwand.

— Verhandlungen der physikal. medizinischen Gesellschaft in Würzburg. Bd. XI—XII. S. 243—256. Jahrg. 1877—78.

Bizzozero G. Ueber die Regeneration der Elemente der schlauchförmigen Drüsen und des Epithels des Magendarmkanals.

— Anatomischer Anzeiger. Bd. 3. S. 781—784. Jhrg. 1868.

Bizzozero G. Ueber die schlauchförmigen Drüsen des Magendarmkanals und die Beziehungen ihres Epithels zu dem Oberflächenepithel der Schleimhaut.

— Archiv für mikroskopische Anatomie. Bd. 42. S. 82—152. Jahrg. 1893.

Bizzozero G. Ueber die schlauchförmigen Drüsen des Magendarmkanals u. die Beziehungen ihres Epithels zu dem Oberflächenepithel der Schleimhaut.

— Archiv für mikroskopische Anatomie. Bd. 33. S. 216 - 246. Jahrg. 1889.

Cornig W. K. Entwicklungsgeschichte des Menschen. 1921.

Clara M. Beiträge zur Kenntnis des Vogeldarmes. I Teil. Mikroskopische Anatomie.

— Zeitschrift für mikrosk.-anatom. Forschung. Bd. VI. H. 1. Leipzig 1925.

Clara M. Beiträge zur Kenntnis des Vogeldarmes. II Teil. Die Hauptzellen des Darmepithels.

— Zeitschrift für mikrosk.-anatom. Forschung. Bd. VI. H. 1. Leipzig 1926.

Clara M. Beiträge zur Kenntnis des Vogeldarmes. III Teil. Die basalgekörrnten Zellen im Darmepithel.

Zeitschrift für mikroskop. anatom. Fopschung.-Bd. VI. H. 1. Leipzig 1926.

Clara M. Beiträge zur Kenntnis des Vogeldarmes. IV. Teil Ueber das Vorkommen von Körnerzellen vom Typus der Panethschen Zellen bei den Vögeln.

— Zeitschrift für mikroskop. anatom. Foschung. Bd. VI. H. 1. Leipzig 1926.

Clara M. Belträge zur Kenntnis des Vogeldarmes. V Teil. Die Schleimbildung im Darmepithel mit besonderer Berücksichtigung der Becherzellenfrage.

— Zeitschrift für mikrosk. anatom. Forschung. Bd. VI. H. 2. Leipzig 1926.

Clara M. Beiträge zur Kenntnis des Vogeldarmes. VI Teil. Das lymphoretikuläre Gewebe im Darmrohre mit besonderer Berücksichtigung der leukozytären Zellen.

— Zeitschrift für mikroskop.—anatom. Forschung, Bd. VI. H. 2. Leipzig 1926.

Eimer. Th. Zur Geschichte der Becherzellen, insbesondere derjenigen des Darmkanals.

Dissertation Berlin. 1867.

Eimer. Th. Zur Fettresorption und zur Entstehung der Schleim und Eiterkörperchen.

— Virchows Archiv. Bd. XXXVIII. 1867.

Eilenberger W. Grundriss der vergleichenden Histologie der Haustiere Bd. III. 1911.

Eklöf Harald. Chondriosomenstudien an den Epithel und Drüsenzellen des Magen, Darmkanals u. den Oesophagusdrüsenzellen bei Säugetieren.

-- Anatomische Hefte. Bd. 51. S. 5—222. H. 1. Abt. 1. Wiesbaden. 1914.

Fries E. Ueber die Fettresorption u. die Entwicklung der Becherzellen im Dünndarm.

Virchows Archiv. Bd. XI. 1867.

Fries E. Ueber die Fettresorption und die Entstehung der Becherzellen.

— Virchows Archiv. Bd. 40. 1895.

Gegenbaur G. Lehrbuch der Anatomie des Menschen. Leipzig. 1899.

Gurwitsch A. Vorlesungen über allgemeine Histologie. Jena 1913.

Heidenhain R. Physiologie der Absonderungsvorgänge. Handb. der Physiologie von S. Hermann. Bd. 6. I, S. 91—172, 1883.

Heidenhain M. Plasma und Zelle. Jena 1907.

Hock. L. Untersuchungen über den Uebergang des Magens in die Darmschleimhaut, mit besonderer Berücksichtigung der Lieberkühnschen Krypten und Brunnerschen Drüsen bei den Haussäugetieren. Inaug.-Diss. Giessen 1899.

Hoyer H. Ueber den Nachweis des Mucins in Geweben mittels der Färbemethode

— Archiv für mikroskopische Anatomie. Bd. 36. 1890.

Keibel und Mall. Handbuch der Entwicklungsgeschichte des Menschen. B. II. Leipzig 1911.

Krause R. Vergleichende mikroskopische Anatomie der Wirbeltiere. Bd. I—IV. Leipzig 1921.

Klose D. Beitrag zur Kenntnis der tubulösen Darmdrüsen.

— Inaugural-Dissertation S. 1—30. 1880. Breslau.

Kölliker A. Entwicklungsgeschichte des Menschen und der höheren Tieren. 2 Aufl. Leipzig 1872.

List. Ueber Becherzellen.

— Archiv für Mikroskop. Anatomie. B. 27. S. 481—588. Jahrg. 1886.

Lipsky A. Beitrag zur Kenntnis des feineren Baues des Darmkanals.

-- Sitzungsberichte der K. Akademie der Wissen. Wien. B. 55. I S. 183—192. Jahrg. 1867.

Laskowsky. Ueber die Magenwand.

— Sitzungsberichte der K. Akademie d. Wessen. zu Wien. 1868. Bd. 58. S. 137.

List L. H. Ueber den feineren Bau schleimsezernierenden Drüsenzellen nebst Bemerkungen über den Sekretionsprozess.

Anatomischer Anzeiger. Bd. 4. 1889.

Leyer E. Ueber die Schleimzone des menschlichen Magen und Darmepithels vor und nach Geburt.

— Archiv für pathologische Anatomie u. Physiologie. Bd. 180. S. 99—107 Jahrg. 1905.

Lewis F. T. and Thyng F. W., The regular occurrence of intestinal diverticula in embryos of the pig, rabbit and man. Amer. Journ. of Anat. Vol. 7. p. 505 - 519. 1908.

Lewis F. T. The gross anatomy of a 12 m. n. pig. Amer. Journ. of Anat. Vol. 2. p. 211—225. 1903. The question of sinusoids. Anat. Anz. Bd. 25. S. 261--279. J. 1904.

Martin F. Die Histologie des Oberflächen- u. Drüsenepithel der Darmschleimhaut.

— Inaugural-Diss. Leipzig 1910.

Möller W. Anatomische Beiträge zur Frage von der Sekretion u. Resorption in der Darmschleimhaut.

— Zeitschrift für wiss. Zoologie. Bd. 66. 1899.

Majewsky A. Ueber die Veränderungen der Becherzellen im Darmkanal während der Sekretion.

— Monatsschrift für Anatomie u. Physiologie. Bd. II. S. 176—192. J. 1894.

Martin. F. Vergleichende Histologische Untersuchungen über das Oberflächen—u. Drüsenepithel der Darmschleimhaut der Haussäugetiere.

Veterinär—mediz. Dissertation. Dresden 1910. S. 1—130.

Maurer F. Die Entwicklung des Darmsystems.

— Handbuch der vergl. u. exp. Entwicklung der Wirbeltiere. Herausg. v. Hertwig. 1906. Bd. 2. T. 1. S. 109 -259.

Nassonow D. Das Golgische Binnennetz u. seine Beziehungen zur Sekretion.

— Archiv für mikr. Anatomie. Bd. 97. 1923.

Oppel A. Lehrbuch der vergleichenden mikroskop. Anatomie. B. II. Schlund u. Darm. Jena 1897.

Paneth J. Ueber die secernirenden Zellen des Dünndarmepithels.

— Archiv für mikroskopische Anatomie. Bd. 31. S. 113—191. J. 1888.

Paneth J. Beitrag zur Kenntnis der Lieberkühnschen Krypten.

— Centralblatt für Physiologie Bd. I. 255—256. 1887.

Patzelt V. Ueber die Entwicklung der Darmschleimhaut.

— Sitzungsberichte d. k. Akademie der Wissen. Wien. Bd. 85. S.145—172. 1882.

Partsch C. Beiträge zur Kenntnis des Vorderdarms einiger Amphibien und Reptilien.

Archiv für mikroskopische Anatomie. B. XVI. 1887.

Reyher D. Ueber die Ausdehnung der Schleimbildung in den Mageneithelien des Menschen vor und nach Geburt.

Jahrbuch für Kinderheilkunde. B. 60. S. 16---28. 1904.

Remak R. Untersuchungen über die Entwicklung der Wirbeltiere. Berlin. 1855.

Schultze F. Das Drüsenepithel der schlauchförmigen Drüsen des Dünn u. des Dickdarmes und die Becherzellen. Vorl. Mitt. Med. Zentralblatt. 1866.

Schultze F. Epithel und Drüsenzellen.

— Archiv für mikr. Anatomie. Bd. 3. 1867.

Schumann P. Beiträge zur vergleichend. Histologie des Enddarms und des Ueberganges des Mitteldarms in den Enddarm der Haussäugetiere. Inaug. Diss. Zürich. 1907.

Stöhr P. Ueber das Darmepithel.

— Ergebnisse der Anatomie u. Entwicklungsgesch. Bd. I. 1892.

Schenk S. Beitrag zur Lehre von den Organlagen im motorischen Keimblatte.

— Sitzungsberichte der K. Akademie der Wissen zu Wien. Bd. 57. S. 189—202. Jahrg. 1868.

Schridde H. Die Entwicklungsgeschichte des Menschlichen Speiseröhrenepithels und ihre Bedeutung für die Metaplasielehre. 1907.

Sachs J. Zur Kenntniss der sogenannten Vacuolen oder Becherzellen im Dünndarm..

— Virchows Archiv. Bd. XXXIX. J. 1867.

Stöhr P. Lehrbuch der Histologie S. 64. 251—259. 1910.

Sacerdotti C. Ueber die Entwicklung der Schleimzellen des Magenvarmkans.

— Monatsschrift für Anatomie u. Physiologie. Bd. II. S. 501—514. J. 1894.

Prof. L. Szymonowicz u. Prof. R. K'rause. Lehrbuch der Histologie und mikrosk. Anatomie. 5. Auflage. Leipzig 1924.

Schneider K. Lehrbuch der vergleichender Histologie der Tiere. Jena 1902.

Voigt F. Beitrag zur Entwicklung der Darmschleimhaut.

— Anatomische Hefte. Bd. 12. S. 51—69. Jahrg. 1889.

## სურათების ახსნა<sup>1</sup>.

### ტაბულა I.

სურათი 1. ნ. ცი. სივრძის ემბრიონის კოლინჯის განვი ნაკვეთის ნაწილი. აღნიშვნა: a ლორწოვანი გარსი, d კუნთოვანი და სეროზული გარსი, b ხაო, c შემაერთებელქსოვილოვანი შრე, e ირგვლი კი კუნთოვანი შრე, f გასწვრივი კუნთოვანი შრე, x seros. და subser. h სისხლის ძარღვები. სურათი 2. პირველი სურათის ხაოს ეპითელი დიდად გადიდებული<sup>2</sup>. აღ-

<sup>1</sup>) სურათები დახატულია მხატვრის Fräulein M. von Bassewitzის მიერ, რისთვისაც სასიამოვნო მოვალეობად ვთვლი, მას ჩემი გულითადი მადლობა მოვასხუნო.

<sup>2</sup>) Leitzის მიკროსკოპი შტატიეი c. ჰომოგენური იმერსია 1 $\frac{1}{2}$ . კომპენსატორული ოკულარი № 5.

ნიშნა: ა ფიალისებრი უჯრედიდან გამომავალი ლორწო. ხ ფიალისებრი უჯრედის ფეხი. ც ფიალისებრი უჯრედის ბირთვი. ძ ყანწისმაგვარი ეპითელიური უჯრედი. წ შემავრთებელქსოვილოვანი ბირთვები. ს უ რ ა თ ი 3. 9 ცი. სიგრძის გმბრიონის კოლინჯის გასწვრივი ნაკვეთის ნაწილი. აღნიშვნა: ა, ბ, ც, ძ, ე, წ, ი იგივეა, რაც I სურათში. გ ჯორჯალი. ს უ რ ა თ ი 4. მესამე სურათის ხაოს ეპითელი დიდად გადიდებული. აღნიშვნები: ა ყანწისმაგვარი ეპითელიური უჯრედი. ბ მისი ბირთვი. ც შემავრთებელქსოვილოვანი ბირთვები. ს უ რ ა თ ი 5. 9 ცი. სიგრძის ემბრიონის წერილი ნაწლავის განივი ნაკვეთის ნაწილი. აღნიშვნები იგივეა, რაც I სურათში. ს უ რ ა თ ი 6. მეხუთე სურათის ხაოს ეპითელიური დიდად გადიდებული. აღნიშვნა: ა ფიალისებრი უჯრედი. ბ ცილინდრული ეპითელიური უჯრედი. ს მისი ბირთვი. ძ მისი ყავთანი. ხ შემავრთებელქსოვილოვანი ბირთვები.

### ტაბულა II.

ს უ რ ა თ ი 7. 12 ცი. სიგრძის ნაყოფის კოლინჯის განივი ნაკვეთის ნაწილი. აღნიშვნა ა ლორწოვანი გარსი. ძ კუნთოვანი და სეროზული გარსი. ხ ხაო. ი სისხლის ძარღვები. ს უ რ ა თ ი 8. მეხუთე სურათის ხაოს მწვერვალის ეპითელიუმში დიდად გადიდებული. აღნიშვნა: ა ფიალისებრი უჯრედი. ბ ფიალისებრი უჯრედიდან გამომავალი ლორწო. ც ფიალისებრი უჯრედის ხერხეღოს დაბალი კიდე. ძ ფიალისებრი უჯრედის ბირთვი. ე ფიალისებრი უჯრედის ფეხი. წ შემავრთებელქსოვილოვანი ბირთვები. ს უ რ ა თ ი 9. მეხუთე სურათის ხაოვანი ფუძის შორის უჯრედების გროვის ეპითელიუმში დიდად გადიდებული. აღნიშვნა: ა ლორწოვანი უჯრედი, რომლის დისტალური ნაწილი ბოთლის მოყვანილობისაა. ბ მაღალი, ვიწრო, მუქი უჯრედი. ც უჯრედების თავისუფალ კიდეზე მდებარე ლორწო. ძ ეპითელიური უჯრედების ბირთვები. ე ფიალისებრი უჯრედის ბირთვი. ს უ რ ა თ ი 10. 12 ცი. სიგრძის ნაყოფის წერილი ნაწლავის განივი ნაკვეთის ნაწილი. აღნიშვნა: ა ლორწოვანი გარსი. ბ კუნთოვანი და სეროზული გარსი. ს ხაო. ც შემავრთებელქსოვილოვანი შრე. ე ირგვლივი კუნთოვანი შრე. წ გასწვრივი კუნთოვანი შრე. გ სეროზული გარსი. ხ ხელოვნური პროდუქტი. ს უ რ ა თ ი 11. მეათე სურათის ხაოს ეპითელიუმში დიდად გადიდებული. აღნიშვნა: ა ფიალისებრი უჯრედი. ბ ცილინდრული ეპითელიური უჯრედი. ც მისი ყავთანი. ძ მისი ბირთვი. ე შემავრთებელქსოვილოვანი ბირთვები. ხ ხელოვნური პროდუქტი.

### ტაბულა III.

ს უ რ ა თ ი 12. 22 ცი. სიგრძის ნაყოფის კოლინჯის განივი ნაკვეთის ნაწილი. აღნიშვნა: ა ლორწოვანი გარსი. ძ კუნთოვანი და სეროზული გარსი. ხ ხაო. ც შემავრთებელქსოვილოვანი შრე. ე ირგვლივი კუნთოვანი შრე. წ გასწვრივი კუნთოვანი შრე. ხ სისხლის ძარღვები. კ ხელოვნური პროდუქტი. ს უ რ ა თ ი 13. მეორამეტე სურათის ხაოს ეპითელიუმში დიდად გადიდებული. აღნიშვნა: ა ფიალისებრი უჯრედი. ბ მაღალი, მუქი, ვიწრო უჯრედი. ს უ რ ა თ ი 14. 22 ცი. სიგრძის ნაყოფის წერილი ნაწლავის განივი ნაკვეთის ნაწილი. აღნიშვნა: ა ლორწოვანი გარსი. ბ კუნთოვანი და სეროზული გარსი. ხ ხაო. ც შემავრთებელქსოვილოვანი შრე. ე ირგვლივი კუნთოვანი შრე. წ გასწვრივი კუნთოვანი შრე. გ სეროზული გარსი. ხ სისხლის ძარღვი: 1 სიხარისხის ჯირკვლების საფუძველი. კ ხელოვნური პროდუქტი. ს უ რ ა თ ი 15. მეორამეტე სურათის ხაოს ეპითელიუმში დიდად გადიდებული. აღნიშვნა: ა ფიალისებრი უჯრედი. ბ ცილინდრული ყავთნოვანი უჯრედი.

### ტაბულა IV.

ს უ რ ა თ ი 16. 28 ცი. სიგრძის ნაყოფის კოლინჯის განივი ნაკვეთის ნაწილი. აღნიშვნა: ა ლორწოვანი გარსი. ძ კუნთოვანი და სეროზული გარსი. ხ ხაო. ც შემავრთებელქსოვილოვანი შრე. ე ირგვლივი კუნთოვანი შრე. წ გასწვრივი კუნთოვანი შრე. ხ სისხლის ძარღვი. ჯ სეროზული გარსი. ს უ რ ა თ ი 17. მეექვსმეტე სურათის ხაოს ეპითელიუმში დიდად გადიდებული. აღნიშვნა: ა ფიალისებრი უჯრედები. ბ ფიალისებრი უჯრედებიდან გამომავალი სეროზული. ც შემავრთებელქსოვილოვანი შრის ბირთვები. ს უ რ ა თ ი 18. 28 ცი. სიგრძის ნაყოფის წერილი (თემის) ნაწლავის განივი ნაკვეთის ნაწილი. აღნიშვნა: ა, ბ, ც, ე, წ, ი იგივეა, რაც მე-15-ტე სურათში. 1 Lieberkühnის ჯირკვლების განვითარების დასაწყისი.



### ტაბულა V.

სურათი 19. 30 ცმ-სიგრძის ნაყოფის კოლინჯის განივი ნაკვეთის ნაწილი. აღნიშვნა a ლორწოვანი გარსი, ძ კენტოვანი გარსი, c შემეერთებელქსოვილოვანი შრე, e ირგვლივი კენტოვანი შრე, f გასწვრივი კენტოვანი შრე, h სისხლის ძარღვები, k სეროზული გარსი. სურათი 20. ორი მეზობელი ხაოს მოპირდაპირე კედლის ეპითელიუმში დიდად გადიდებული მე-11 სერათზე ხ აღნიშნული ადგილი. აღნიშვნა: a ფილისებრი უჯრედი, b მოპირდაპირე ფილისებრი უჯრედებიდან გამომავალი ლორწოს ერთი მეორესთან შეერთება. სურათი 21. 30 ცმ. სიგრძის ნაყოფის წერილი ნაწლავის განივი ნაკვეთის ნაწილი. აღნიშვნა: a ლორწოვანი გარსი, ძ კენტოვანი გარსი, ხ ხაო, c შემეერთებელქსოვილოვანი შრე, e ირგვლივი კენტოვანი შრე, f გასწვრივი კენტოვანი შრე, g სეროზული გარსი, h სისხლის ძარღვი. Lieberkühnის ჯირკვლების განვითარების დასაწყისი, სურათი 22. ოცდაათი სურათის ხაოს ფერდობის ეპითელიუმში დიდად გადიდებული, აღნიშვნა: a ფილისებრი უჯრედი, b ფილისებრი უჯრედიდან გამომავალი ლორწო, c ცილინდრული ეპითელიური უჯრედი, e შემეერთებელქსოვილოვანი ბირთვები, ძ ხელოვნური პროდუქტი.

### ტაბულა VI.

სურათი 23. 40 ცმ. სიგრძის ნაყოფის კოლინჯის განივი ნაკვეთის ნაწილი. სურათი 24. 52 ცმ. სიგრძის ნაყოფის კოლინჯის განივი ნაკვეთის ნაწილი. სურათი 24. 40 ცმ. სიგრძის ნაყოფის წერილი ნაწლავის განივი ნაკვეთის ნაწილი. აღნიშვნა: a ლორწოვანი გარსი, ძ კენტოვანი და სეროზული გარსი, ხ ხაო, c შემეერთებელქსოვილოვანი შრე, e ირგვლივი კენტოვანი შრე, f გასწვრივი კენტოვანი შრე, h სისხლის ძარღვები, g სეროზული გარსი, Lieberkühnის ჯირკვლების ჩაზრდა ხაოების ფუძიდან ქვემდებარე შემეერთებელქსოვილოვან შრეში, g 24 სურათში str. submucos. ხ 25 სურათში Lieberkühnის ჯირკვლის სანათკრი. i და o 24 სურათში serosa და subserosa.

### ტაბულა VII.

სურათი 26. 45 ცმ. სიგრძის ნაყოფის კოლინჯის გასწვრივი ნაკვეთი plicae semilunares მიდამოში. აღნიშვნა: p plicae semilunaris. k სისხლის ძარღვები, e ირგვლივი კენტოვანი შრე, f გასწვრივი კენტოვანი შრე, ხ serosa და subserosa. c str. submucos. l Lieberkühnის ჯირკვლი.

### ტაბულა VIII.

სურათი 27. 45 ცმ. სიგრძის ნაყოფის კოლინჯის განივი ნაკვეთის ნაწილი გასწვრივი ნაკვეთის მიდამოში. აღნიშვნა: n გასწვრივი ნაკვეთის განივი ნაკვეთი, m. musc. musca. ხ ხაოები, a აღმთატილი ფოლაკული, k სისხლის ძარღვები, c. str. submuc. e ირგვლივი კენტოვანი შრე, f გასწვრივი კენტოვანი შრე, g seros. და subser. ძ კენტოვანი გარსი და serosa.

## ნ. იოსელიანი.

### მასალეგი თუშური ცხვრის ფენოანალიზისათვის.

#### 1. რასული ანალიზის მიზანი და მეთოდი.

ცხოველთა სახისა, რასისა თუ სხვა სისტემატური ჯგუფების ნიშნები და თვისებანი ძირითადად იმ ერთეული ფაქტორებისაგან არის დამოკიდებული, რომელსაც თანამედროვე ბიოლოგიის ენით მემკვიდრეობის ფაქტორებს ანუ გენებს (Johannsen) უწოდებენ.

ამ რიგად ცოცხალი არსების ყოველი ცალკე მემკვიდრეობითი ნიშნის პირველმიზეზი ჩანასახის პლანზმაში გენისა ანუ გენთა მთელი ჯგუფის სახით არის მოცემული. ამიტომაც რასული ანალიზის ერთ უპირველეს ამოცანას რასულ ნიშანთა ამ პირველმიზეზის — გენის — განსაზღვრა უნდა შეადგენდეს.

ამ თვალსაზრისით ცხოველის გენოტიპური (Johannsen) სტრუქტურის სრული განსაზღვრა და დადგენა მხოლოდ ჰიბრიდების მენდელისტური ანალიზით შეიძლება მოხდეს.

გენი (Gen) თანამედროვე ბიოლოგიის შემეცნების თეორიული წარმოდგენით ქიმიური სხეული უნდა იყოს (Morgan, Tower, Schmalluss). ამიტომ ყოველ ცოცხალ არსებას ამისდამიხედვით უნდა ახასიათებდეს გენთა სტრუქტურით განსაზღვრული eine spezifische Art der Reaktionen auf die Aussenbedingungen <sup>1</sup>.

ხოლო ცხოველის ყოველი ცალკე ნიშანი, ის, რასაც ჩვენ als äussere Eigenschaften mit unseren Sinnen wahrnehmen, ist nur das Resultat dieser Reaktionen auf die Aussenbedingungen, unter denen das untersuchte Individuum sich gerade entwickelt hat <sup>2</sup>.

ამიტომ რასული ანალიზის მიზნებისათვის ამათივე ჯიშის ფარგლებში მოქმედ A, B, C... n გენთა განსაზღვრა და ამ გენთა მიზეზით წარმომდგარი a, b, c... n ჯიშური ნიშნების აღნუსხვა საკმარისი არ არის. რასული ანალიზის ამოცანები უფრო შორს მიდის: ჰიპოთეზურ გენსა და მზამზარეულ ნიშანს შორის დიდი მანძილია; მიზეზსა და შედეგს შორის კომპლექს მოვლენათა რთული პროცესებია ჩართული. ამიტომ რასული ანალიზი ცდილობს გენსა და მზამზარეულ ნიშანს შორის არსებული მიზეზობრივი დამოკიდებულება შესაძლო

<sup>1</sup>) Baur, Erw., Einführung in die Vererbungslehre, Berlin 1919, p. 8.

<sup>2</sup>) Baur, Erw., l. c. p. 8.

ზედმიწვენილობით დაადგინოს. ამ მიზნით კი გენთა ბუნებისა და მოქმედების ნორმები ზედმიწვენივით უნდა განისაზღვროს. მაშასადამე, ზოგადად რომ აღვნიშნოთ, რასული ანალიზის ამოცანას ისიც უნდა შეადგენდეს, რომ გენთა პოტენციულ თვისებათა ცხოველის თვალსაზრისით ნიშნად გადაშლისა და ხორცასხმის მსვლელობის მექანიზმი განსაზღვროს და ცხადყოს. რასული ანალიზის ამ პრობლემების გადაწყვეტა კი ფენოგენეტიკის გზით უნდა მოხერხდეს<sup>1</sup>.

ფენოგენეტიკა რასულ ანალიზს იწყებს ჯიშის ნიშნების ყოველნხრივი შესწავლით ანუ ფენონალიზით.

მას შემდეგ, რაც ამ გზით ცხოველის მზამზარეული ნიშანი ზედმიწვენივით შესწავლილია, საჭიროა ამ ნიშნის განვითარების რეტროგრესიულ-ისტორიული ანალიზის საშუალებით შესწავლა (retrogressiv-entwicklungsgeschichtliche Eigenschaftsanalyse). ასეთი ანალიზის ამოცანას აღებული ნიშნის ყველა განვითარების სტადიაში, ყველა შესაძლო ვარიანტის სახეობაში შესწავლა და განსაზღვრა შეადგენს. ამ მიზნით საანალიზო ნიშანი, სახესრული მდგომარეობიდან დაწყებული ფენოკრიტიკულ ფაზამდის დესკრიპტულად ან ექსპერიმენტის საშუალებით ზედმიწვენივით აღწერილ უნდა იყოს. როქელიმე ნიშნის ფენოკრიტიკულ ფაზას, ამ ნიშნის განვითარების იმ ფაზას უწოდებენ, რომელშიაც mit Hilfe der jetzigen Methoden erstmals eine Divergenz in der Entwicklung der Varianten zu beobachten ist<sup>2</sup>.

ასეთი ანალიზით გზადგზა ის ურთიერთობაც გამოირკვევა, რომელიც არსებობს გენსა და გარესქნელის პირობებს შორის, დაწყებული ნიშნის პირველ ცხადყოფიდან (ფენოკრიტიკული ფაზა) და გაიავებული ნიშნის დასრულებული მდგომარეობით.

ამ რიგად, მოკლედ რომ აღვნიშნოთ, ფენოგენეტიკა 1. რასულ ანალიზს ობიექტის ფენონალიზით იწყებს, 2. ფენონალიზის საშუალებით რასული ნიშნის სრულ აღწერასა და განსაზღვრას აწარმოებს, 3. ნიშანს იკვლევს არამარტო მზამზარეულ, მწიფე მდგომარეობაში, არამედ განვითარების ყველა სტადიაში, ყველა ვარიანტში, 4. უქანასკნელ, ერთის მხრივ აღებული ნიშნის მორფოლოგიისა, ჰისტოლოგიისა და ფიზოლოგიისა და მეორეს მხრივ გარესქნელის პირობათა შორის არსებულ ურთიერთობასა და დამოკიდებულებას განსაზღვრავს.

ფენოგენეტიკის ასეთი მუშაობა ჰიბრიდების მენდელისტურ ანალიზთან დაკავშირებით საშუალებას მოგვცემს, ერთის მხრივ მემკვიდრეობის ფაქტორები განვსაზღვროთ, ამ ფაქტორთა რეაქციის ნორმები დაეადგინოთ, ამ ნორმათა და გარესქნელის პირობათა შორის არსებული საურთიერთო დამოკიდებულება ცხადყოფით და მეორეს მხრივ ცოცხალი არსის ჯიშური ნიშნები ზედმიწვენივით აღვწეროთ.

<sup>1</sup>) Haecker, V., Entwicklungsgeschichtliche Eigenschaftsanalyse, Jena 1918.

Haecker, V., Aufgaben u. Ergebnisse der Phänogenetik. Bibliographia genetica, I., 1925.

<sup>2</sup>) Haecker, V., l. c. p. 98.

ყველა ზენოთ ოქნულის მიხედვით ჩვენ შემდეგი დასკვნები უნდა გავაკეთოთ:

1—შინაური ცხოველების რასული ანალიზის ამოცანას უნდა შეადგენდეს:

ა) ცხოველის გენოტიპური სტრუქტურის სრული ანალიზი.

ბ) ჯიშის ფარგლებში მოქმედ ცალკაღვე გენთა რეაქციის ნორმების დადგენა.

გ) აწესრუმებისა და გარესენელის პირობათა ურთიერთობის ცხადყოფა, და ბოლოს.

დ) ჯიშურ ნიშანთა სრული დიფერენცული ანალიზი.

2—ამ მიზნების განხორციელებისათვის, ჰიბრიდების მენდელისტური ანალიზი დაკავშირებული ფენოგენეტიკის მეთოდებთან ერთადერთ სამუშაო გზას წარმოადგენს.

### რასული ანალიზის ჩვენი ობიექტი.

ზევით მოკლედ მოყვანილი თვალსაზრისით და გეგმით არის დაწყებული ის მუშაობა, რომელსაც მე ზოგიერთი მოდგმის ცხვრებზე რასული ანალიზის მიზნით ვაწარმოებ. ტფილისის უნივერსიტეტის ცხოველთ მომშენებლობისა და მეწყვიდრობის მეცნიერების კათედრასთან დაარსებულ საცდელ ფარგებში მე თავი მოუყარე სხვადასხვა მოდგმის ცხვრის ტიპურ წარმომადგენელთ და ამ ეამად დაკვირვებისა და ექსპერიმენტის ქვეშ შემდეგი ჯიშები არის:

კარაკულისა, ყარაჩაული, იპერული, თუშური, ყარაბახული, ბოზახისა, ჰისარისა, მერინოსი, ეოლოვისა, და მათი სხვადასხვა ჰიბრიდული ფორმები. ამ მასალიდან ყველა წმინდა ჯიში შარშან 1926 წლის ზამთარში იყო შექმნილი ხოლო ჰიბრიდები საცდელ ფარგებშია მიღებული და ყველა 1927 წლის გაზაფხულის დოლს ეკუთვნის.

ამ რიგად ზემოთ მოხსენებული ჯიშები თითქმის ერთი წელიწადია დაკვირვებისა და ექსპერიმენტის ქვეშ იძყოფება. ამ მუშაობის ტექნიკურ მხარეს ასისტენტი ევგ. ყიფიანი ხელმძღვანელობს. ჩემ სასაიამოვნო მოვალეობად ვთლი აღვნიშნო, რომ თუ არა მისი და მასთან ერთად საცდელი ფარგების უფროსი მწყემსის ალექსი გაბათაშვილის თავგამოდებული და საქმის ღრმა სიყვარულით აღსავსე მუშაობა, ამ მეტად მძიმე საქმის წარმოება ყოველგვარ შესაძლებლობის გარეშე იქნებოდა.

ასეთი მუშაობის ერთი წლის განმავლობაში ცხოველთ მომშენებლობისა და მეწყვიდრობის მეცნიერების ლაბორატორიაში იმდენი მასალა დაგროვდა, რომ მისი დალაგება და ნაწილობრივი გამოქვეყნება მე უკვე დროულ საქმედ მიმაჩნია.

პირველ ყოვლისა აქ თუშური ცხვრის ფენოანალიზის მასალები უნდა გამოქვეყნდეს, რადგან ამ ცხვარს ჩვენთვის არა მარტო სამეცნიერო ობიექტის ინტერესი აქვს, არამედ მასთან კიდევ ჩვენი სოფლისა და სახალხო მეურნეობის პრაქტიკოთაც უშუალოდ ვართ დაკავშირებული.

თუშური ცხვრის ფენოანალიზი ჩვენ მისი მატყლის თვისებების შესწავლით დაიწყო. მატყლის თვისებათა შორის მატყლის ბეწვის სიმსხოს მატყლის

დახასიათებისათვის მთავარი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ აქ უწინარეს ყოვლისა თუშური ცხვრის მატყლის ამ ნიშნის შესახებ იქნება მოხსენებული.

### 3. მატყლის ბეწვის სიმსხოს გამოკვლევის მეოდიკა.

თუშური მატყლის ბეწვის სიმსხოს გამოკვლევის საკითხი პირველ პირველად სათანადო მეთოდის შერჩევის საკითხია და ამიტომ თავიდანვე ჩვენ: ლაბო-ტორიას ამ საკითხის გადაჭრა მოუხდა. საკითხის შესწავლის დაწყებისთანავე ჩემთვის ერთი აშკარა იყო: დღენდის ხმარებაში კიდევ აქამდე დარჩენილი ბეწვის სიმსხოს საკვლევი სპეციალი აპარატები ჩემი მუშაობის მიზნებისათვის არ გამოდგებოდა, რადგანაც ყველა ეს აპარატი დიდის ცდომილებით მუშაობს. ამის გამო მე არც მიცდია ამ აპარატების გამოყენება. მე თავიდანვე მიკროსკოპს მივმართე, რადგანაც ცნობილია კარადე, სხვა აპარატებთან შედარებით, მიკროსკოპის საშუალებით მიღებული შედეგები უფრო ზედმიწევნითი და ობიექტურია.

ამ ბოლო წლებში მატყლის მიკროსკოპიის დარგში ბევრი ახალი შრომა გამოვიდა. მაგრამ თითქმის ყველა ეს შრომა მეჩინოსისებური მატყლის შესწავლას ეხება და მათი ავტორები ობიექტის შესაფერი მეთოდების შემუშავებას ცდილობენ (Völtz, Kronacher, Herbst, Henseler).

საქმე ის არის, რომ თუშური და დანარჩენი ყველა ჩვენებური ცხვარი არა ერთნაირი ლეროებისაგან შემდგარ მატყლს ატარებ, არამედ მათი გარე მსუსელი სულ სხვადასხვა გვარი ბეწვისაგან არის შემდგარი. ეს ნაირბეწვიანი ცხვრის ჯიშები არსებითად განსხვავდებიან მერინოს ცხვრებისაგან, რომელიც მხოლოდ ერთგვარს, წმინდა მატყლს ატარებენ. ამის გამო მათი მატყლის გამოკვლევა ერთიდაიმავე მეთოდით ყოველად შეუძლებელი აღმოჩნდა.

Rodiszky'მ,<sup>1</sup> Gündenpfennig'მა<sup>2</sup> და ზოგიერთმა სხვებმაც, რომელთაც პირველად ასეთი ჯიშების შესწავლა სცადეს, მატყლის წმინდა ბეწვი მსხვილისაგან გამოარჩიეს და მათი ურთიერთ შორის პროცენტული შეფარდების დადგენით მატყლის დახასიათება მოგვცეს. ასეთივე მეთოდით მუშაობენ რუსის მკვლევარნიც და ის მეტად უმნიშვნელო ცნობები, რომელიც რუსულ ლიტერატურაში ჩვენებური მატყლის შესახებ მოიპოვება, სწორედ ამ თვალსაზრისით არის მიღებული.

მაგალითად ასეთი ცნობების მიხედვით თუშური ცხვრის მატყლში 48% „წმინდა“ (чух) და 52% „მსხვილი“ (ость) ბეწვი უნდა იყოს იმერული ცხვრის მატყლში პირველი 42,4% და მეორე 57,6% უნდა იყოს.<sup>3</sup>

<sup>1</sup>) Rodiszky, E. v., Das ungarische Flachlandzackelschat, W. I. Zeitg., 1913.

„ „ „ Das Kupreser Zackelschat, 1913.

„ „ „ Das Zigayaschat, 1913.

<sup>2</sup>) Gündenpfennig, K., Studien über die Beschaffenheit der Wolle von reinblutigen Schafen u Somalikkreuzungen, Halle 1914.

<sup>3</sup>) Чирвинский и Елагин, Разводимые в России породы овец, Киев 1915.

აი ყველაფერი ის, რაც ჩვენებური მატკლის შესახებ რუსის მკვლევრებმა აციან. როგორც დაეინახათ ქვევით, ეს ცოდნაც საკლებით მცდარი და სრულად დაუსაბუთებელი მეთოდით მიღებული ცნობებია. და აი რატომ.

მატკლის ბეწვის წარმოშობის პროცესი მეტად რთული და ხანგრძლივი გარდაქმნების პროცესია. გარეულ ცხვრებს გარკვეულად ორგვარი ბეწვი ახასიათებს: ერთი მეტად წვრილი, მოკლე და უგულო; იგი ბეწვი ბუსუსისებრია, ძალთან ხშირი აღმოცენება აქვს და ცხოველის ტყავის უახლოესსა და მეტად ხშირ საბურავს შეადგენს. მას შეიძლება ბუსუსნაირი ბეწვი ეწოდოს (Flaumhaar). მეორე, გულიანი უფრო მსხვილია და ტლანქი; ეს ბეწვი ცხოველის გარესამოსელს ჰქმნის და პირველ შრეს. ზვიდან აქვს გადაკრული. ამ ბეწვს შეიძლება ბალანი (Stichelhaar) ეწოდოს.

მაგრამ ცხვრის მოშინაუბების შემდეგ, მის გარე სამოსლის შედგენილობაში დიდი ცვლილება ხდება: მათ შორის ბეწვის ისეთი ფორმებიც ჩნდება, რომელნიც ერთის მხრივ ბალანის ნიშნებს შესუსტებისა და მეორეს მხრივ ჰუსუსნაირი ბეწვის გაძლიერების საფეხურებს წარმოადგენენ. ბალანის თვისებათა პირველი შესუსტების საფეხურს თივთიკი ეწოდება (Grannenhaar, ость). იგი ბალანზე უფო გრძელი, წვრილი და მკვრივია; უფრო წვრილი გული აქვს. ზოგჯერ წყვეტილგულიანია ან სულ უგულოც შეიძლება იყოს. ბუსუსნაირი ბეწვის თვისებათა გაძლიერების საფეხურს წმინდა მატკლის ბეწვი ეწოდება (Wollhaar); ამას გული, ზოგიერთ იშვიათ გამონაკლისს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, არ აქვს; იგი თივთიკზე ბევრად უფრო წვრილი, ხოლო ბუსუსნაირ ბეწვზე უფრო მსხვილია; მეტისმეტად მკვრივია, დაკლანძობილია, გაწვლვისა და ჯაგრების დიდი უნარი აქვს.

აი ის მთავარი ტენდენციები, რომელნიც გარეული ცხვრის ბეწვის გარდაქმნის პროცესს ახასიათებს, რომლის მთავარ გენოვარიაციულ საფეხურებს წმ. მატკლისა და თივთიკის მუტაციური ფორმები წარმოადგენს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს განსაკუთრებით, რომ ეს საფეხურები — ბალანი, თივთიკი, წმ. მატკლი და ბუსუსმაგვარი ბეწვი — ყველა გარდამავალი თვისებით ურთიერთშორის ისე მქიდროდ არის დაკავშირებული, რომ მათ შორის რაიმე მტკიცე საზღვრის გაელება ყოველად შეუძლებელია. ზოგჯერ ერთი ჯიშის ფარგლებში, ერთსა და იმავე დროს ამ ფორმათა ისეთი პატარა განსხვავების ვარიანტებია მოცემული, რომ არავითარი ობიექტური შესატყვისობა არ არსებობს, რომელიმეც მათი განსაზღვრა შეიძლებოდეს. ამას ალბათ ისიც უწყობს ხელს, რომ როგორც ბოლო ხანებში გამოირკვა, ბეწვის თვისება პოლიმერულ ფაქტორთა მოქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს (Adametz, Kronacher, Baur, Spötli).

მატკლის ბეწვის სელექციას ადამიანი ერთის მიმართულებით აწარმოებდა: ის ცდილობდა ერთგვაროვანი, ტექნიკურად უფრო გამოსადეგი მასალა მიეღო და ამიტომ იქ, სადაც ამას შესაფერი პირობები ხელს უწყობდა, წმინდა მატკლის ბეწვიანი (მურინოსი) ანუ თივთიკბეწვიანი (ზოგიერთი ინგლისური) ჯიშების სელექცია მოხდა. მაგრამ მრავალი აწინდელი ჯიში არა ასეთ სელექციურ ფორმებს წარმოადგენს, არაჲდ ბეწვის ყველა მუტაციურ ფორმებს შერეულად ატარებს.

ამას ემატება ისიც, რომ ჯიშთა არევის გამო ზოგიერთი ჯიში კიდევ უფრო მეტად ნაირბუნევიან მოდგმებს წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში მატული მრავალი სხვადასხვა კატეგორიის ბუნებისაგან შედგება და ყველა ეს კატეგორია წარმოადგენს, უმნიშვნელო განსხვავებით, თანდათანობით ერთიმეორეში გარდამავალ ფორმებს. მათი ყველასი ცალკე განსაზღვრა და შესწავლა თუნდაც მხოლოდ მათი თივითიკისა და წმინდა მატულის კატეგორიაში მოთავსების თვალსაზრისით ყოველად შეუძლებელია. ეს პირველად Tänzer<sup>1</sup> მა და Spöttel<sup>2</sup> მა აღნიშნეს<sup>1</sup>. ხოლო ამათ შემდეგ, რაკი მე ჩვენებურ მასალებს მოვკიდებ ხელი, მეტისმეტად მდიდარი საბუთების მიხედვით იმ დასკვნამდის მივდი, რომ „თივითიკისა“ და „წმ. მატულის“ ერთმანერთისაგან განსაზღვრა არა მარტო მიკროსკოპულად (Rodiszky, Güldenplennig, Чирвинский), არამედ მიკროსკოპულად შეუძლებელია, რადგანაც არ არსებობს არც ერთი მტკიცე ობიექტური ნიშანი, რომელიც მათ გასამიჯნავად გამოდგებოდეს.

ამის ცხადსაყოფად რამოდენიმე მაგალითიც იქმარებს. „თივითიკისა“ და „წმ. მატულის“ ერთმანერთისაგან განსაზღვრა უშთაერესად მათი სხვადასხვა სიმსხოს მიხედვით ხდებოდა. შედარებით წერილ ბუნეს წმ. მატულის კატეგორიაში, ხოლო შედარებით მსხვილს თივითიკისაში ავ აესებდენ. მაგრამ თითქმის ყველა ჩვენებური ჯიშის მატულის მიკროსკოპულმა გამოკვლევამ დაგვარწმუნა, რომ მათი მატულის შედგენილობაში არა მარტო ორთან, არამედ მრავალ სხვადასხვა სიმსხოს კატეგორიასთან გვაქვს საქმე და, რაც მთავარია, ეს კატეგორიები ერთმანერთთან ყველა გარდამავალი სიმსხოს ბუნით არის დაკავშირებული. მაგალითისათვის ავიღოთ ლეკური ცხერის ნიმუშები<sup>2</sup>.

ბუნის სიმსხო μ-ობით	16	19	22	25	28	31	34	37	40	43	46	49	52	55	58
P pro/100	1	1	34	10	8	13	3	2	6	1	4	5	6	3	3

როგორც ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, ყოველად შეუძლებელია აქ მხოლოდ ჩარი კატეგორიის სიმსხოს ბუნეზე ლაპარაკი. ასეთს შედეგს იძლევა იმერული ცხერის ნიმუშებიც:

V	11	14	17	20	23	26	29	32	35	39	41	44	47	50	53	56	59	62	65	68	71	74	77	80	83	86	89	92	95	98	101	104	107			
P pro 100	3.33	6.16	17.3	18.3	1.16	13.33	3.5	3.83	3.16	3.33	6.5	1.83	2.0	1.16	0.33	0.66	0.16	0.16	0.16	0.33	0.19	0.13	0.33	0.33	0.6	0.1	0.1	0.1	0.1	0.1	0.1	0.1	0.1	0.1	0.1	0.1

აქაც ჩვენ რამოდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებულ კატეგორიასთან გვაქვს საქმე და არა ორ განსაზღვრულ, („თივითიკისა“ და „წმ. მატულის“) ჯგუფთან. ამ რიგად თუ მიკროსკოპის საშუალებით მიღებული განაზომების მი-

1) Tänzer, Fern. u Spöttel, W., Das Zackschaf, Leipzig 1922.  
 2) ლეკური მატულის ნიმუშები, ისე როგორც ზოგიერთი სხვებისაც ჩემმა ლაბორატორიამ აგრ. -გ. ოქროპირიძისაგან მიიღო, რისთვისაც მას უღრმეს პატივს ვცდი.

ხედვით შეუძლებელია „თიეთიკისა“ და „წმ. მატყლის“ განსაზღვრა, მით უფრო შეუძლებელია იგი თვალით, ამ უღარესად სუბიექტური აპარატის საშეალებით: ის, რასაც ერთის თვალი წმ. მატყლის ყუთში გადაისვრის, მეორის თვალმა შეიძლება თიეთიკის პარკში მოათავსოს და პირიქით. მეტადრე ისეთ შემთხვევებში. როცა საქმე გვაქვს მრავალ პატარა საფეხურებით განსხვავებულს, გარდამავალი ფორმისა და სისხოს ბეწვისაგან შემდგარ მატყლთან, როგორც ჩვენი თუშური მატყლი აღმოჩნდა. ამიტომ ეს მეთოდი ჩვენებური მატყლის საკვლევად ყოვლად გამოუსადეგი არის.

მაგრამ თუნდაც რომ მოხერხდეს „თიეთიკისა“ და „წმ. მატყლის“ ერთმანეთისაგან განსაზღვრა და მათი პროცენტული შეფარდების დადგენა, ისე როგორც ეს ზოგიერთ გარეულ ცხოველებშია შესაძლებელი, მატყლის რაგავარობის შესატყვისად ეს ცნობები საკმარისი მაინც არ იქნება, რადგანაც თვით ამ ორი ჯგუფის დამახასიათებელი თვისებანი მაინც გამოსარკვევი დარჩება. ჩვენ ვიცით მაგალითად, რომ მერინოსის ცხვარს ყველა 100%-ით მხოლოდ ერთგვარი. ერთი კატეგორიის „წმ. მატყლის“ ბეწვისაგან შემდგარი მატყლი აქვს, მაგრამ არ ვიცით თვით ამ კატეგორიის ბეწვების თვისება და ამიტომ მკვლევარი მის შესწავლასა და განსაზღვრას ცდილობს, ვინაიდან „თიეთიკისა“, „წმანდა მატყლისა“ და „ბალნის“ ცნება თავისთავად არაფერს გვეუბნება. ესენი არიან არა მტკიცედ განსაზღვრული, თუნდაც სიმსხოს მიხედვით შემოფარგლული კატეგორიები, არამედ განვითარების ყველა გარდამავალ საფეხურებით ერთმანერთთან დაკავშირებული ერთს გენეტურ სისტემას წარმოადგენენ და მათ შორის ობიექტური საზღვრის დადება ყოვლად შეუძლებელია. ამგვარად ჩვენებური ჯიშების მატყლში არც სხვა რომელიმე შესატყვისობით შეიძლება „თიეთიკისა“ და „მატყლის“ კატეგორიების განსაზღვრა. მაგალითისათვის ავიღოთ ბეწვის გულიანობა. საზოგადოთ მიღებული იყო, რომ თიეთიკი, ისე როგორც ბალანი და სხვა ამ სახის ბეწვი, გულიანია. მაგრამ საქმის არსებითმა შესწავლამ ეს დებულება არ გაამართლა. ჯერ კიდევ Sticker<sup>1</sup> მაინცაა, რომ გულიანი ბეწვი, არა მარტო თიეთიკთა შორის, არამედ მერინოსის „წმ. მატყლის ბეწვებ“ შორისაც გვხვდება. მის შემდეგ Spöttel<sup>2</sup> მა და Tänzer<sup>2</sup> უღარესად წმინდა ხარისხის (AAAAA) მატყლიდან დაწყებული და E ხარისხის მატყლით გათავებული, ყველგან იპოვეს გულიანი ბეწვი და ზოგიერთ შემთხვევაში sogar ein typisch ausgeprägter Markkanal. როგორც ჩანს პრინციპულად სრულიად მიუღებელია ის დებულება, რომ თითქოს ყველა გულიანი ბეწვი თიეთიკი იყოს.

რაც ჩვენებურ მატყლს შეეხება, უნდა აღინიშნოს, რომ ჩემს განკარგულებაში აუარებული მასალა არის თავმოყრილი, საიდანაც ცხადად ჩანს, რომ ძალიან ბევრ შემთხვევაში, მაგალითად თუშურ მატყლში, სრულიად უგულო „თიე-

<sup>1</sup>) Sticker, A., Ueber die Entwicklung und d. Bau des Wollhaares beim Schafe, Berlin 1887.


<sup>2</sup>) Spöttel und Tänzer, Ueber Eigenschaften und Vererbung der Wolle bei Leicester-Merino Kreuzungen, D. L. Tierzucht 1921, გვ. 519.



თიკიც გვხვდება: ზოგჯერ ერთისა და იმავე სიმსხოს ბეწვია, ერთისა და იმავე უჯრედული სტრუქტურისა ერთ შემთხვევაში უგულოა, მეორე შემთხვევაში გულიანი. ასეთია მაგალითად ის სურათი. რომელიც აქვე მოგვეავს:



სურ. 1.



სურ. 2.

ამას გარდა ჩვენებური მატყლის გამოკვლევის დროს ისეთი ნიმუშებიც გვხვდება, სადაც არც ერთი გულიანი ბეწვი არ ურევია. მაგალითად № 76 თუშური ცხვის არც ერთ (ბ. ფ. თ) ნიმუშში გულიანი ბეწვი არ აღმოჩენილა. აქედან განა ის დასკვნა უნდა გავიკეთებინათ, რომ ამ ცხვის მატყლი ყველა 100%-ით მხოლოდ წმ. მატყლის ბეწვებისაგან შედგება? ასეთი დასკვნა, რატომ უნდა დიდი შეკდომა იქნება.

ამ რიგად არც ეს შესატყვისობა ვარგა მატყლის ბეწვის კატეგორიების შესაქმნელად.

თუ ბეწვის სიმსხოსა და გულიანობის მიხედვით, ჩვენებურ მატყლში „თივთიკისა“ და „წმ. მატყლის“ კატეგორიების განსაზღვრა შეუძლებელია, მით უფრო შეუძლებელია ეს ბეწვის სხვა რომელიმე ნიშნის მიხედვით.

ამიტომ ჩვენებური მატყლის შესწავლის ამოცანას უნდა შეადგენდეს არა „თივთიკისა“ და სხვა კატეგორიების განსაზღვრა მათი ჰაროცენტრული შეფარდების დადგენის მიზნით, არამედ მატყლის ბეწვის ყველა ნიშნის შესწავლა (სიმსხო, გულიანობა და სხვა), რომელიმე ობიექტური შესატყვისობით მათი აღნუსხვა, ამ ნიშნების ვარიაციული ტიპის მანძილის დადგენა და ბოლოს ამ მანძილის ფარგლებში ვარიანტთა გავრცელებისა და დალაგების სრული სურათის აღდგენა.

ამ თვალსაზრისისა და ამასთან ერთად ჩვენებური მატყლის თავისებურებით გამოწვეულ კვლევის ტექნიკური საკითხების მხედველობაში მიღების შე-

დეკად, ნე იმ დასკვნამდის მივედი, რომ ჩვენი მასალისა და მიზნებისათვის ყველა არსებულ მეთოდთა შორის უფრო მისაღებია Spötte!-ისა და Tänzer-ის მიერ შემუშავებული ჰალეს მეთოდი. მაგრამ ზოგიერთი დამატების შეტანა აქაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ჩვენებური მატულის რაგვარობის მიხედვით აუცილებელია გამოკვლევა იმისა, თუ რამდენ  $\%$ -ს შეადგენს გულიანი ბეწვი ჩვენებურ მატულში. ამიტომ ჩემს ლაბორატორიაში, ბეწვის სიმსხოსთან ერთად უველა გულიანი ბეწვი ცალკე აღინიშნება და შემდეგ მათი  $\%$ -ული შეფარდების გამოანგარიშება სწარმოებს. გულიანი ბეწვი 3 კატეგორიად მაქვს გაყოფილი: პირველ ჯგუფს ისეთები ეკუთვნიან, რომელთაც უწყვეტი, მთლიანი გული აქვთ; მეორე ჯგუფში ისეთი ბეწვი შედის, რომელსაც წყვეტილი გული აქვს და მესამე კატეგორიას ისეთი ბეწვი მიეკუთვნება, რომელსაც მძიმეგვარი გული ახასიათებს. ზოგიერთ შემთხვევაში ჯერ გული წყვეტილია და შემდეგ მძიმეგვარში გადადის ან პირიქით. ასეთ შემთხვევებში, თუ გული უშთავრესად წყვეტილებისაგან შედგება, წყვეტილგულიან ჯგუფში ვათავსებთ, თუ კი წერტილები სჭარბობს, მაშინ მძიმეგულიანებში.

ამ რიგად სიმსხოს კატეგორიებთან ერთად თვით გულიანი თმების  $\%$ -ული რაოდენობის გაგებაც შეიძლება.

დასასრულ, მატულის საკვლევი მეთოდის შესახებ ნათქვამს რომ თავი მოუყაროთ, შემდეგ დასკვნებს მივიღებთ:

1. ჩვენებური ცხვრის ჯიშები, გარდა ბალნისა (Stichelhaar) და ბუსუსნაირი (Flaumhaar) ბეწვისა კიდევ წმ. მატულისა (Wollhaar) და თიეთის (Grannenhaar) ბეწვსაც ატარებენ.

2. მატულის ამ კატეგორიების ერთი მეორისაგან მკაფიოდ განსაზღვრა არც ბეწვის სიმსხოთი, არც გულიანობით, არც ბეწვის სიგრძითა და არც სხვა რომელიმე შესატყვისობით არ შეიძლება; ისინი განვითარების ფორმების ყველა გარდამავალი საფეხურით ერთმანეთთან დაკავშირებულ ერთს გენეტურ სისტემას წარმოადგენენ.

3. ამიტომ ჩვენებური ჯიშების მატულის შესწავლის ამოცანას მატულის ბეწვის სიმსხოს, გულიანობისა და სხვა ნიშნების რაიმე შესატყვისობით ობიექტური აღნუსხვა, ამ ნიშნების ვარიაბილიტეტის მანძილის დადგენა და მის ფარგლებში ვარიანტთა გავრცელებისა და დალაგების სრული სურათის აღდგენა უნდა შეადგენდეს.

4. ამ მიზნით Spötte!-ისა და Tänzer-ის მიერ შემუშავებული ჰალეს მეთოდი უველაზე უფრო მისაღები მეთოდია, იმ დამატებით, რომ გულიანი თმების პროცენტული რაოდენობა და თვით გულის რაგვარობაც უნდა განისაზღვროს.

#### 4. თუშური მატული.

##### ა) მასალა.

მატულის მასალა, რომელიც ამ გამოკვლევას საფუძვლად დაედო, კათედრის საცდელი ფარგის ცხვრებიდან არის აღებული. თუშური ცხვრების ჯგუფი, რომელიც ჩემთან ცდის ქვეშ იმყოფება, შირაქში არის შექმნილი. ეს მასალა ფა-

რებში 1926 წლის დასაწყისში ჩამოვიდა. ცხვრები სხვადასხვა ნეცხვარეთაგან არის შექმნილი და ამით, რამდენადაც შესაძლებელი იყო, რომელიმე ერთი ფარის ინდივიდუალობა გადალახულია.

ანას გარდა დაკვირვების ობიექტად აღებული ცხვრები უქვეყლად ტიპური წარმომადგენლებია თუშური ჯიშისა და არა ზედმიწევნით გადარჩეული პლუს ვარიანტები. საცდელ ფარებში ჩამოსვლისთანავე 4 თუშურ დედას ყვავილი აღმოაჩნდა. ორი მათგანი ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად ამ სენის მსხვერპლი გახდა, ხოლო დანარჩენები სასწრაფოდ მიღებული ზომების გამო სრულიად უვნებლად გადარჩა. საერთოდ აკრის საშუალებით ყვავილის გავრცელება თავიდანვე შეჩერებული იქნა. სხვა ავადმყოფობა მათ მთელი ამ ხნის განმავლობაში არაფერი ჰქონიათ. 1926 წლის ზამთარი მათ შირაქის შემდეგ დამპალის საძოვრებზე გაატარეს (მუხრანთან). მათი კვება საესებრთ ჩვეულებრივია: ზამთარში დღე საძოვრებზე დადიან და ღამეს ფარებში ატარებენ. თივას ნხოლოდ იმ ზამთრის დღეებში ვაძლევთ, როცა გარეთ თოვლის გამო ძოვა შეუძლებელია. გაზაფხულზე, გაკრეკის შემდეგ, მთელი საცდელი ფარა და მასთან ერთად საცდელი თუშური ცხვრებიც მთაში გაიჩეკა. ზაფხული ცხრაწუაროს საძოვრებზე დაჰყვეს. იქაც მათი კვება ჩვეულებრივი იყო: მათი ზაფხულის საკვები მალაღლი მთის ბალახი იყო, და მთის ფერდი ღია ცის ქვეშ ღამის თავშესაფრო. ასეთია ჩვეულებრივი ყოფაცხოვრება თუშური ცხვრისა საერთოდ. ასეთია ჩვენ ფარებში არსებული საცხოვრებელი პირობებიც.

საცდელი ცხვრებიდან ნხოლოდ 36 დედაცხვრის მატყლის ნიმუშები იყო გამოსაკვლევად აღებული. აქვე მოგვყავს ამ ცხვრების ასაკი, მათი წონა და წონა კანძისა ნიმუშების აღების დღეს დადგენილი (იხ. ტაბ. A).

ნიმუშები, რომელიც აქ გამოკვლეულია, წარმოადგენს გაზაფხულზე მთაში გარეკის წინ (მუხრანში) გაკრეკისა და შემოდგომაზე მთიდან დაბრუნების წინ (ბაკურიანში) გაკრეკის დროს აღებულ მასალას. ყოველ ცხვარს, როგორც მ აღებულია, 3 ნიმუშს ვართმევდით: ბექზე (ბ ნიმუში) ფერღზე (ფ ნიმუში) და თეძოზე (თ ნიმუში).

მატყლის თვის სინსხოს გაზომვა სწარმოებდა ოკულარმიკრომეტრით. ლაბარატორიაში თავიდანვე ორგვარ მიკრომეტრლირებულებით სწარმოებდა მუშაობა. ერთის მიკრომეტრლირებულება უდრიდა 2-ს და მეორისა 10-ს.

მაგრამ ბოლოს იმ დასკვამდის მიკედი, რომ მუშაობა 2 მიკრომეტრლირებულობით ბევრად ხელსაყრელია და ჩვენი ლაბარატორიაც ამ მიკრომეტრლირებულებით მუშაობაზე გადავიდა. მიკროსკოპის ოპტიკური სისტემა, რომლითაც ეხლა მუშაობა სწარმოებს, შემდეგია: Leitzის მიკროსკოპი; Leitzის Stufenmikrometer 2 და 165 ტუბუსის სიგრთე.

მატყლის გარეცხა ეთერით სწარმოებდა. პრეპარატი ჩვეულებრივ გლაცერინში მზადდებოდა. თითო პრეპარატიდან 200 თმა იზომებოდა.

მთელი მიკროსკოპული მუშაობა, რომელსაც აქ მასალის სახით ვაქვეყნებთ, ნაყოფია ჩემს გამგებლობაში მყოფი კათედრის ლაბორანტის აგრ. ნინო ჩიგოჯიძის ლებრო მუშაობისა.

გამოკვლეულია სულ 43.200 თმა. აქედან ნახევარი გაზაფხულისა და ნახევარიც შემოდგომის მატყლის ნიმუშებიდან.

### ბ) ბეწვის სიმსხო.

გაზაფხულისა და შემოდგომის მატყლის ბეწვის სინსხოს განაზომთა 2ჟ-ის საფეხურად დალაგება № 1 ტაბულაშია (გვ. 89) მოცემული

ამ ტაბულის მასალის განხილვის გაადვილებისათვის აგებულია მრუდე № 1. აქ, ერთ პოლიგონში მოთავსებულია, როგორც გაზაფხულისა, ისე შემოდგომის მატყლის მრუდე. მრუდის აგების დროს 0.05—0,09 ლირებულება 0,1-ად არის მიღებული, ხოლო 0,01—0,04 ლირებულება სულ ჩაუთვლელად არის შეკეცილი. მრუდის აბცისზე დალაგებულია ბეწვის სინსხოს კლასები 2ჟ-ის საფეხურით, ხოლო ორდინატზე კლასთა სიხშირის პროცენტებია მოთავსებული.


როგორც ტაბ. № 1 გვიჩვენებს გაზაფხულის მატყლის ბეწვის ვარიაციის მანძილი 8—126 ჟ შორის არის მოთავსებული; შემოდგომის მატყლის ბეწვის სინსხო კი 10—126 ჟ შორის არის მოქცეული. როგორც ჩანს, ვარიაციის გავრცელება ორსავე მატყლს თითქმის ერთიდაიგივე აქვს; მხოლოდ შემოდგომის მატყლში არ გვხვდება 8 ჟ სიმსხოს ბეწვები და ამით ტენდენცია შემოდგომის მატყლის უფრო მსხვილი კატეგორიებისაკენ გადახრისა თავიდანვე აშკარად მოკემულია. ეს მრუდიდან უფრო ნათლად ჩანს: გაზაფხულის მატყლის მრუდეში პირველი დიდი (15,5%) შემალება 16 ჟ-ზე არის მოცემული, ხოლო შემოდგომის მატყლს 20 ჟ-ზე ჯერ კიდევ სრულიად უნძიშენლო წვერო აქვს გაკეთებული და, თუ გაზაფხულის მატყლის მრუდეს უმაღლესი წვერო 16 ჟ-ზე აქვს გაკეთებული, შემოდგომის მატყლს სამ-გიეოოდ უმაღლესი წვერო მხოლოდ 30 ჟ-ზე აქვს მოთავსებული. ამრიგად ვარიანტთა უმრავლესობის ცენტრი გაზაფხულის მატყლის მრუდეში დასაწყისისავე არის მოცემული და იგი საკმარისად პატარა მანძილზე (10—22 ჟ) მკაფიოდ შემოსაზღვრულია, ხოლო შემოდგომის მატყლში ეს ცენტრი მრუდის შემდეგ ნაწილშია მოთავსებული და ისიც საკმარისად ფართე გავრცელებით (18—42 ჟ) არის დახასიათებული.

გაზაფხულის მატყლის მრუდეში უმაღლესი (15.5%) წვერო 16 ჟ-ზეა მოთავსებული, ხოლო იმავე კლასის შემალება შემოდგომის მატყლში უსუსტესი (0,5%) წვეროთი არის წარმოდგენილი. შემდეგი უმაღლესი (15.1%) წვერო პირველ მრუდეს 20 ჟ-ზე აქვს გაკეთებული, მეორე მრუდეს კი აქ პირველი სუსტი (4.9%) წვერო ახასიათებს. იქ, სადაც პირველი მრუდის პირველი დაცემის (7.5%) წვერო (26 ჟ-ზე) იწყება, მეორე მრუდეს პირველი მაღალი (8.6%) წვერო აქვს გაკეთებული. მეორე მრუდეს უმაღლესი წვერო (10%) 30 ჟ-ზე აქვს ამარ-

თული, ხოლო აქ პირველ მრუდეს მეორე დაცემის წვერო (5,3%) ახასიათებს. როგორც ჩანს, გაზაფხულსა და შემოდგომის მატყლის თმების სიმსხოს კატეგორიები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდება.

ტაბულა № 1.

სტრუქტურული ერთეული №	კლასთა სიხშირის %/100		სტრუქტურული ერთეული №	კლასთა სიხშირის %/100		სტრუქტურული ერთეული №	კლასთა სიხშირის %/100		სტრუქტურული ერთეული №	კლასთა სიხშირის %/100	
	საპირველი	მეორე		საპირველი	მეორე		საპირველი	მეორე		საპირველი	მეორე
8	0.01	-	86	0.91	3.02	86	0.91	3.02	86	0.91	3.02
10	2.41	0.01	88	0.25	1.10	88	0.25	1.10	88	0.25	1.10
12	3.87	0.01	90	0.27	1.17	90	0.27	1.17	90	0.27	1.17
14	5.83	0.01	92	0.11	2.44	92	0.11	2.44	92	0.11	2.44
16	15.49	0.51	94	0.10	0.83	94	0.10	0.83	94	0.10	0.83
18	4.85	0.62	96	0.27	2.71	96	0.27	2.71	96	0.27	2.71
20	15.06	4.9	98	0.07	0.80	98	0.07	0.80	98	0.07	0.80
22	4.65	3.65	100	0.07	0.70	100	0.07	0.70	100	0.07	0.70
24	4.34	3.8	102	0.09	1.37	102	0.09	1.37	102	0.09	1.37
26	7.45	8.61	104	0.03	0.30	104	0.03	0.30	104	0.03	0.30
28	2.00	3.8	106	0.05	0.86	106	0.05	0.86	106	0.05	0.86
30	6.34	9.65	108	0.004	0.24	108	0.004	0.24	108	0.004	0.24
32	2.11	4.46	110	0.004	0.17	110	0.004	0.17	110	0.004	0.17



პრეზენტაცია № 1. მატერიალის გეგმის სიმართლა.

ამის უფრო თვალსაჩინოდ ცხადყოფის მიზნით ჩვენი მასალა მატყლის ხარისხების მიხედვით არის დალაგებული. — ამ გზით მატყლის რაგვარობის დახასიათება უფრო გაადვილდება. ხარისხების კლასიფიკაციის საფუძველად მე Lehmann-ის კლასიფიკაცია მაქვს ალებული <sup>1</sup> ზოგიერთი უმნიშვნელო დამატებებით.

ამისდამიხედვით ჩვენი მატყლის მასალა შემდეგს სიმსხოს კლასებშია მოთავსებული:


18 μ	და უფრო წვრილი ბეწვი	შეადგენს	AAAAA	ხარისხის მატყლს
18 — 20 μ	(ე. ი. 19 და 20 μ)		AAAA	
20 — 22 μ	(ე. ი. 21 და 22 μ)		AAA	
22 — 24 μ			AA	
24 — 25 μ			A <sub>1</sub>	
25 — 26 μ			A <sub>2</sub>	
26 — 28 μ			B <sub>1</sub>	
28 — 30 μ			B <sub>2</sub>	
30 — 37 μ			C	
37 — 45 μ			D	
45 — 60 μ			E	
60 — 75 μ			F	
75 — 100 μ			G	
100 — 130 μ			H	
130 μ-ზე უფრო მსხვილი ბეწვი			I	

ამ ხარისხების მიხედვით მთელი ჩვენი მასალის დალაგება იძლევა B ტაბულას.

ამ ტაბულის მიხედვით აგებულია მრუდე № 2 (იხ. გვ. 92).

აღნიშნული მრუდე ურიად საინტერესო სურათს იძლევა. პირველ ყოვლისა ირკვევა, რომ გაზაფხულის მატყლის მთავარ ხარისხს (32,5% — 15,1%) 5 A და 4 A მატყლი შეადგენს, ხოლო შემოდგომის მატყლში C-D-E ხარისხებია (169 — 16.8 — 16.1) გაბატონებული. საერთოდ გაზაფხულის მატყლში ყველა A ხარისხი 63.96%-ს უდრის, ხოლო შემოდგომის მატყლის იმავე ხარისხები 22.43%-ს შეადგენს (ტაბ. B VI, VII). მაშასადამე გაზაფხულის მატყლში წმინდა ხარისხები უფრო მეტია, ვიდრე შემოდგომისაში, სადაც უფრო მსხვილი ბეწვი არის გაბატონებული: გაზაფხულის მატყლში მრუდის უმაღლესი წვერო (32.5%) 5 A ხარისხზეა მოთავსებული; შემოდგომის მატყლი მრუდის უმაღლეს გადაჭრილ წვეროს C-D-E ხარისხზე (49.81%) იკეთებს. ხოლო ეს ხარისხები გაზაფხულის მატყლში მეორე დაბალი (9.2 — 9.1 — 7,7) წვეროთი არის წარმოდგენილი.


<sup>1</sup>) Lehmann, C., Gesammelte Schriften, Bd. 2., Berlin 1920.



მრუდე № 2. მატყლის ხარისხები.

როგორც აქედან გამოიკვება, ძალიან დიდი განსხვავება არსებობს შემოდგომისა და გაზაფხულის მატყლის ბეწვთა სიმსხოში. უწინარეს ყოვლისა ამ განსხვავების მიზეზი ის უნდა იყოს, რომ თუშურ ცხვარს, ისე როგორც ზოგიერთ სხვა ჯიშებსაც, ჯერ კიდევ ბეწვის პერიოდული ზრდა ახასიათებს: გაზაფხულზე ზამთრის სამოსელს იცვლიან და მის ნაცვლად ახალი ბეწვი ამოსდის. გაზაფხულის მატყლში, რომელიც ზამთრის სამოსელს წარმოადგენს, წვრილი ბეწვი შედარებით უფრო მეტია. რადგან ის სითბოს უფრო ცუდი გამტარია. ასევე ეს გარეულ ცხოველებში და ასე ყოფილა ეს ჩვენს თუშურ ცხვარშიც. ხოლო ადრე გაზაფხულზე მათ წვრილი, ბუსუსნაირი ბეწვი ყველაზე ადრე გასცივდა და კვლავ მხოლოდ შემოდგომისათვის ამოსდის. ამრიგად შემოდგომის მატყლში, რომელიც ზაფხულის სამოსელს წარმოადგენს წვრილი ბეწვის ხარისხები მეტის მეტად უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს. უფრო მეტიც: ზოგიერთი ხარისხი სრულიად არ მოიპოვება შემოდგომის მატყლში: 8  $\mu$  ბეწვი (ტაბ. № A) გაზაფხულის მატყლში 0,01%-ია, შემოდგომის მატყლში-კი არც ერთი არ შეგვხვდება; 10  $\mu$  ბეწვი. გაზაფხულის მატყლში 2,41%-ია, შემოდგომისაში კი მხოლოდ 0,01% უდრის და ასე კიდევ უფრო მეტი განსხვავება არის 16  $\mu$  ბეწვთა შეფარდებაში: ასეთ ბეწვს გაზაფხულის მატყლი 15,49%-ს შეიცავს, ხოლო შემოდგომის მატყლში მხოლოდ 0,54%-ს ვპოულობთ.





მრუდე № 3. ბექისა, ფერდისა და თქმის გაზაფხულის მატყლის ბეწვის სიმსხო.

ამ რიგად გასაგები ხდება ჩვენთვის, რომ გაზაფხულის მატყლი შემოდგომის მატყლთან შედარებით უფრო წვრილი, ბუსუსნაირი ბეწვით არის მდიდარი.

მეორე მიზეზი გაზაფხულის მატყლის წვრილი ბეწვით სიმდიდრისა შეიძლება ცხერის კვებაც იყოს. როგორც ვიცით, თუშურ ცხვარს ზამთარში, ზაფხულთან შედარებით მეტის მეტად ღარიბი კვება აქვს. ხოლო როგორც ზოგიერთებისაგან აღნიშნულია ცუდი კვების პირობებში მატყლის თმები საერთოდ უფრო წვრილი უნდა იყოს. თუ ეს მართალი აღმოჩნდა<sup>1</sup>, მაშინ თუშური ცხერის გაზაფხულის მატყლის მეტი სინაზე, ნაწილობრივად ზამთრისა და ზაფხულის სხვადასხვა გვარი კვებითაც უნდა აიხსნას.


რაც შეეხება თუშური მატყლის გათანაბრებებს (Ausgeglichenheit), ამის შესახებ პირველ ყოვლისა B ტაბულა გვაძლევს სათანადო ცნობებს.

ამ ტაბულიდან აშკარად ჩანს, თუ რამდენად დიდია თუშურ ცხვარში ინდივიდუალი სხვაობა და თუ რამდენად მკვიდრი და ჩამაგრებულია მისი ჯიშური თვისებები. ასე მაგალითად გაზაფხულის მატყლში 5A ხარისხი ყველაზე მეტი № 68 ცხვარს აღმოაჩნდა: 54.33%, იგივე ხარისხი № 94 ცხვარს მხოლოდ 9.17% აქვს. ვარიაციის მანძილი (45.16) მაქსიმუმის (54.33) პროცენტებში აღრიცხული 83.12%-ს უდრის (ტაბ. B—V).


ასეთი პროცენტები ზოგიერთი ხარისხისათვის, როგორც შემოდგომისა, აგრეთვე გაზაფხულის მატყლში ზოგჯერ 100-საც კი უდრის (ტაბ. B—V).

<sup>1</sup>) ამ საკითხს ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით სათანადო ექსპერიმენტის მასალის გამოკვევებით.


როგორც ჩანს, თუშური ცხერის ჯიშის ფარგლებში ინდივიდუალი განსხვავება იმდენად დიდია, რომ ამ ნიშნის მიხედვით ჯიშურ გათანასწორებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.



მზღვე № 4. ბეკისა, ფერდისა და თედის შემოდგომის მატყლის ბეჭეის სიხშირე.



მზღვე № 5. ბეკისა, ფერდისა და თედის გაზაფხულის მატყლის ხარისხები.



შრუდე № 6. ბევისა, ფურფისა და თეძის შემოდგომის მატყლის ხარისხები.

ახლა განვიხილოთ ბეწვის გათანასწოების საკითხი ცხერის სხეულის სხვადასხვა ნაწილში. ამისათვის ბეკისა, ფერდისა და თეძის ნიმუშების ცალცალკე ანალიზი სათანადო მრუდეების სახით ერთ პოლიგონშია მოთავსებული. გაზაფხულის მატყლისათვის აგებულია მრუდე № 3 (გვ. 93) და შემოდგომის მატყლისათვის მრუდე № 4 (გვ. 94). ყოველი ცალკე (ბ. ფ. თ.) ნიმუშის მრუდე 7.200 ბეწვის განაზომთა საშუალოს წარმოადგენს. ამას გარდა გაზაფხულის (მრ. № 5) და შემოდგომის (მრ. 6) მატყლის ხარისხები ცალცალკე ნიმუშების (ბ, ფ, თ.) მიხედვით არის დალაგებული და სათანადო მრუდეების სახით შედარებული. როგორც ამ შედარებიდან (მრუდე № 3, 4, 5 და 6) აშკარად ჩანს, თუშური ცხერის მატყლი, სხეულის სხვადასხვა ნაწილში, ერთმანეთისაგან ბევრად არ განსხვავდება და ამ რიგად თუშური ცხერის მატყლი საკმაოდ თანასწორია. ამ მრუდეების ანალიზის შედეგად ზოგი რამ მაინც უნდა აღინიშნოს, როგორც მეტისმეტად საყურადღებო მოვლენა.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს საერთოდ, რომ, როგორც გაზაფხულისა ისე აგრეთვე შემოდგომის მატყლის ნიმუშებში თ ნიმუში უფრო მსხვილი კატეგორიის ბეწვისაგან შედგება, ვიდრე დანარჩენი (ბ და ფ) ნიმუშები. ეს კარგად ჩანს, როგორც ბეწვის სიმსხოს განაწილებისა (№ 3 და 4), ისე აგრეთვე მატყლის ხარისხების (№ 5 და 6) მრუდეთა შედარებიდან.

რაც ბ ნიმუშს შეეხება, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნიმუში გაზაფხულის მატყლში ფ ნიმუშთან შედარებით უფრო მსხვილი, ხოლო შემოდგომის მატყლში პირიქით: ბ ნიმუში უფრო წვრილი კატეგორიის ბეწვისაგან არის შემდგარი.

ბოლოს, თუშური მატყლის ბეწვის სიმსხოს შესახებ ნათქვამს თავი რომ მოეყაროს, შემდეგი დასკვნები უნდა გავაკეთოთ:

1. თუშური ცხერის მატყლი ერთმანეთში გარდამავალი სიმსხოს ბეწვისაგან არის შემდგარი და ამიტომ მისი „თივთივისა“ და „წმინდა მატყლისა“ კატეგორიებად დახასიათება, როგორც ამას ზოგიერთები ჩაიღიან, ყოველად შეუძლებელია.

2. თუშურ ცხვარს ბეწვის პერიოდული ზრდა ახასიათებს და ზამთარსა და ზაფხულში სხვადასხვა კვების პირობებში ცხოვრობენ. ამიტომ გაზაფხულისა და შემოდგომის მატყლში ბეწვის სიმსხოს სხვადასხვა ხარისხების პროცენტული შეფარდება სულ სხვადასხვა არის.

3. გაზაფხულის მატყლში A ხარისხების მატყლია მთავარი (63.96%) და მათ შორის 5 A მატყლი გაბატონებულ (32.46%) ხარისხს წარმოადგენს.

4. 5A ხარისხის მატყლი ამ შემთხვევაში უმთავრესად უწვრილესი (16 მ და უფრო წვრილი) ბუსუსნაირი ბეწვისაგან არის შემდგარი და ამიტომ მას ის ღარებულება არ აქვს, რაც წმინდა მატყლის ბეწვისაგან შემდგარს იმავე ხარისხის მატყლს ახასიათებს (მაგ. მერინოსის 5 A მატყლი).

5. შემოდგომის მატყლში ყველა A ხარისხი მხოლოდ 22.43%-ს შეადგენს და მათ შორის არა 5 A მატყლია გაბატონებული, არამედ A ბეწვები ჰქმნიან მთავარ (6.25%) ხარისხს.

6. შემოდგომის მატყლის მთავარ ხარისხს C, D და E მატყლი ქმნის (49.81%).

7. მატყლის ხარისხების რაგვარობის მხრივ, ჯიშის ფარგლებში ინდივიდუალური სხვაობა ძალიან დიდია. ამიტომ თუშური ცხვრის ჯიშური თვისება მატყლის ამ ნიშნის მიხედვით ჩამაგრებულად არ შეიძლება ჩაითვალოს.

8. როგორც ჩანს (მუხლი 5 და 6), თუშური ცხვრის ბეწვის პერიოდული ცვლის მსვლელობა შემდეგია: მატყლის უწვრილესი კატეგორიები თუშურ ცხვარს გაზაფხულზე გაკრეპის შემდეგ სცივია და შემოდგომაზე გაკრეპის შემდეგ ამო-სლის.

9. გაზაფხულის მატყლის ბეჭის ნიმუშები უფრო მსხვილი ბეწვისაგან არის შემდგარი, ვიდრე ფერდისა. ხოლო შემოდგომის მატყლში ბეჭის ნიმუშები ფერდის ნიმუშებთან შედარებით საშუალოდ უფრო წვრილი კატეგორიის ბეწვისაგან არის შემდგარი.

10. როგორც გაზაფხულისა, ისე შემოდგომის მატყლში თქმის ნიმუშები ბეჭისა და ფერდის ნიმუშებთან შედარებით, უფრო მსხვილი ბეწვისაგან არის შემდგარი.

### გ) გულიანი ბეწვი.

როგორც ვიცით, თუშურ მატყლში გულიანი ბეწვიც გვხვდება. არსებითად თუშური მატყლის გულიანი ბეწვისა და თვით გულის შესახებ ჩვენ მაშინ გვექნება ლაპარაკი, როდესაც თუშური მატყლის ბეწვის ჰისტოლოგიის მასალებს გამოვამკვეყნებთ. ამ შემთხვევისათვის კი მხოლოდ გულიანი ბეწვის პროცენტული შეფარდების შესახებ იქნება მოხსენებული.

თუშურ მატყლში სხვადასხვა გვარი გულიანი ბეწვი გვხვდება; არის ბეწვი, რომელთაც:

1. მთლიანი, უწყვეტი გული აქვთ,

5. წყვეტილი გული ახასიათებთ,

3. გული მხოლოდ მძივების მსგავსად აქვთ შერჩენილი და ბოლოს ისეთებიც გვხვდება, რომელთაც წყვეტილის და მძივების მზგავს გულს შერეულად აჩარებენ.

ამ კატეგორიებიდან, ჯერჯერობით, სანამ გულიანი ბეწვის ბუნება არც-ბითად არ შეგვისწავლია, ჩვენ პირველი 3 ფორმის აღნუსხვას ვაწარმოებდით. მეოთხე ფორმის ბეწვი ხან მძივეგულიანთან და ხანაც წყვეტილგულიან ბეწვებთან აღინიშნებოდა.

ამ თვალსაზრისით გაშინჯული იყო მიკროსკოპის ქვეშ, როგორც გაზაფხულისა (21.600 ბეწვი) ისე შემოდგომის (21.600 ბეწვი) მატყლის ნიმუშები. აღნუსხვის შედეგები დალაგებულია C ტაბულის სახით.

როგორც ეს ტაბულა გვიჩვენებს, გაზაფხულის მატყლში საშუალოდ ყოველგვარი კატეგორიის გულიანი ბეწვი 4.38%-ს შეადგენს; ხოლო შემოდგომის მატყლში 16.91% გულიანი ბეწვი გვხვდება. მაშასადამე შემოდგომის მატყლში გულიანი ბეწვი, გაზაფხულის მატყლთან შედარებით დაახლოებით 25.84%-ით უფრო მეტია.

გულიანი ბეწვის ასეთი დიდი რაოდენობა შემოდგომის მატყლში, გაზაფხულის მატყლთან შედარებით იმით უნდა ავსნათ, რომ შემოდგომის მატყლში მსხვილი კატეგორიის ბეწვი უფრო მეტია, ვიდრე გაზაფხულისაში, ხოლო ბეწვის გულიანობა როგორც ვიცით ბეწვის სიმსხოსთან კორელატურად დაკავშირებული თვისებაა.

გაზაფხულის მატყლის ბეჭის ნიმუში 3.42% გულიან ბეწვს შეიცავს, ხოლო ფერდისა 3.14%-ს. მაშასადამე ბეჭის ნიმუშებში უფრო მეტია გულიანი ბეწვი, ვიდრე ფერდისაში.

ეს ასე უნდა ყოფილიყო, რადგანაც ჩვენ ზევით დავადგინეთ, რომ ბეჭის ნიმუში გაზაფხულის მატყლში უფრო მსხვილი ბეწვისაგან არის შემდგარი. შემოდგომის მატყლში ჩვენ პირიქით მოვლენასთან გვაქვს საქმე: ბეჭის ნიმუში 15.32%-ს, ხოლო ფერდის ნიმუში 15,96% გულიან ბეწვს შეიცავს. მაშასადამე ფერდის ნიმუში უფრო მსხვილი ბეწვისგან უნდა იყოს შემდგარი. ეს ჩვენ მიკრომეტრულ განაზომთა მიხედვითაც აღინიშნეთ ზემოთ.

რაც შეეხება თქმის ნიმუშს, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც გაზაფხულისა ისე შემოდგომის მატყლში ამ ნიმუშში გულიანი ბეწვი გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე ბეჭისა და ფერდის ნიმუშებში; მაშასადამე გულიანი ბეწვის რაოდენობის მიხედვითაც მტკიცდება, რომ თქმის ნიმუშები, სხვებთან შედარებით, უფრო მსხვილი ბეწვის კატეგორიებისაგან არის შემდგარი.

სხვადასხვა ფორმის გულიანი ბეწვის განაწილებაც ნიმუშების მიხედვით სხვადასხვაგვარია: ბეჭის ნიმუშებში მძივეგულიანი ბეწვი სხვა კატეგორიებს სჭარბობს. დანარჩენ შემთხვევაში წყვეტილგულიანი ბეწვი ყველა ნიმუშში უმცირესი %-ით არის წარმოდგენილი; მძივეგულიანი ბეწვი წყვეტილგულიანებზე უფრო ხშირია, ხოლო ყველაზე უფრო ხშირად მთელგულიანი ბეწვი აღმოჩნდა.

გაზაფხულის მატყლის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ნიმუშში გულიანი ბეწვი სრულიად არ არის ნაპოვნი. მაგალითად № 68 ცხვის ბ და ფ ნიმუშებში, № 69 ცხვის ბ ნიმუშში არც ერთი გულიანი ბეწვი არ არის ნაპოვნი. უფრო მეტიც: № 76 ცხვის ნიმუში მთლიანად უგულო ბეწვისაგან არის შემ-

დგარი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ცხვარი საკმარისად მსხვილ ხარისხის მატყლს იძლევა.

ეს ფაქტი თავის დროზე ზოგიერთი თვალსაზრისის განვითარებისათვის დიდ სამსახურს გაგიწევს. ჯერ კი მხოლოდ ფაქტების აღნუსხვით დაგკმაყოფილდეთ.

დასასრულ გულიანი ბეწვის შესახებ შეიძლება შემდეგი ითქვას:

1. თუშურ მატყლში სხვადასხვაგვარგულიანი ბეწვი გვხვდება: მძივგულიანი, წყვეტილგულიანი, მთელგულიანი და მათი ნარევი ფორმები.

2. გაზაფხულის მატყლი საერთოდ უფრო ღარიბია გულიანი ბეწვით (4.38%), ვიდრე შემოდგომისა (16.91%).

3. გაზაფხულის მატყლის ბეჭის ნიმუშები უფრო მდიდარია გულიანი ბეწვით, ვიდრე ფერდის ნიმუშები. შემოდგომის მატყლში კი პირიქით: ფერდის ნიმუშებში უფრო მეტია გულიანი ბეწვი, ვიდრე ბეჭისაში.

4. თქმის ნიმუშები ორთავე შემთხვევაში უფრო მდიდარია გულიანი ბეწვით, ვიდრე ბეჭისა და ფერდის ნიმუშები.

5. აშკარად ირკვევა, რომ რამდენადაც უფრო მსხვილი ბეწვისგან შედგება მატყლი, იმდენად უფრო ხშირია გულიანი ბეწვის პროცენტული შეფარდებაც.

6. ზოგიერთ შემთხვევაში თუშური ცხვრის გაზაფხულის მატყლის ზოგიერთ ნიმუშში არც ერთი გულიანი ბეწვი არ გვხვდება.

7. ბეჭის ნიმუშების მძივგულიანი ბეწვი სხვაგვარგულიან ბეწვს სჭარბობს. დანარჩენ შემთხვევაში ყველა ნიმუშში ყველაზე მცირე რიცხოვანი წყვეტილგულიანი ბეწვია, ხოლო ყველაზე მეტი კი—მთელგულიანები.

## ქ. ქექელიძე.

### უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში.

ძველი ქართული ნათარგმნი ლიტერატურა, რომელიც ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიზანტიური წყაროებიდან მომდინარეობს, მეტად მდიდარსა და მრავალფეროვან მასალას იძლევა. სამწუხაროდ, გარკვევა ამ მასალაში ძნელია არა თუ მოყვარულთათვის, ხშირად სპეციალისტებისთვისაც კი. რომ მონდომით გათვალისწინება იმისა, რომელი უცხო ავტორია ქართულად ნათარგმნი ან რა არის გადმოღებული ამათუიმ ავტორის თხზულებათაგან, უნდა ან ყველა ხელნაწერები გადაჩხრიკოთ, რაიცა ფაქტიურად შეუძლებელია, ანდა მიჰმართოთ არსებულ კატალოგებსა და აღწერილობათ, რაც არც ისე ადვილია. გათვალისწინება კი ამისა სასურველი და საჭიროა როგორც ძველი ქართული კულტურის მოკულობისა და გზების გასარკვევად, ისე მეცნიერული კვლევა-ძიების პრაქტიკულად გაადვილებინათვის.

ამ მოსაზრებითაა გამოწვეული წინამდებარე შრომა, რომელსაც მიზნად აქვს დასახული გადაგვიშალოს თვალწინ ქართულად ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლები იმდენად, რამდენადაც მათი ავტორები ცნობილი არიან ან თვით ძეგლებით, ანდა მეცნიერული კვლევა-ძიების წყალობით. საჭირო ცნობები ამოღებულია თითქმის ყველა დღესდღეობით ცნობილი ხელნაწერებიდან, ზოგს შემთხვევაში უშუალოდ, ზოგი კი, როდესაც ეს შეუძლებელი იყო, სხვადასხვა აღწერილობათა და კატალოგების დახმარებით. ავტორები დალაგებულია ქართული ანბანის რიგზე და ნაჩვენებია: 1) სათაური მათი თხზულებისა და დასაწყისი ამათუიმ ნაწარმოებისა; 2) ხელნაწერები, თუ ყველა არა, მნიშვნელოვანი მაინც, რომლებშიაც ესათუის თხზულება შენახულა; 3) მთარგმნელი ამათუიმ თხზულებისა, თუ ის ცნობილია; 4) გამოცემა როგორც ქართული ტექსტისა, თუ ასეთი გამოცემა არსებობს, ისე მისი დედნისა, რამდენადაც ეს ჩვენს სინამდვილეში შესაძლებელია.

საჭიროდა ესთვლით მოვიყვანოთ აქვე განმარტება ზოგიერთი ნიშნისა: სიძვ. მუზ. = ხელნაწერები „უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმისა“ რომელსაც საფუძვლად დაედვა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ფონდი.

წერა-კითხვ. მუზ. = ხელნაწერები ყოფილი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმისა“, რომელიც დღეს „უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის“ ერთერთ ფონდს შეადგენს.

საისტ. - საეთნოგრაფი = ხელნაწერები საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისა ტფილისში.

გელაჰ. = ხელნაწერები გელათის მონასტრისა, ჩენი, ჯერ გამოუქვეყნებელი, აღწერილობით; ეს ხელნაწერები დღეს „ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში“ ინახება.

იერუსალ. = ხელნაწერები ჯუარის მონასტრისა პალესტინაში, რომელნიც დღეს იერუსალიმის საპატრიარქო წიგნთსაცავის კუთვნილებას შეადგენს. ნომრები ამ ხელნაწერებისა, 44-მდე, ნაჩვენებია R. P. Blake-ის აღწერილობით, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque Patriarcale grecque à Jérusalem, Paris 1924, სხვები კი ა. ცაგარლის კატალოგით.

სინ. = ხელნაწერები ეკატერინეს მონასტრისა სინას მთაზე ა. ცაგარლის კატალოგით: ამასთანავე ჩვენ შეძლება გვექონდა გვესარგებლნა, ავტორთა თავაზიანი ნებართვით, ამ ხელნაწერთა ჯერ გამოუქვეყნებული აღწერილობით, რომელიც ეკუთვნის პროფესორებს ნ. მარარს და ი. ჯავახიშვილს.

ათონ. = ხელნაწერები ათონის ივერიის მონასტრისა ა. ცაგარლის აღწერილობით და ნ. მარარის Агиографические материалы по груз. рукописям Ивера.

### 1. აბრაამ მონაზონი.

(Abraham monachus)

1. „თქმული: არა ჯერ არს ჩუენდა მონაზონთა რათამცა მივსცენით თავნი თვსნი ნებასა კორცთა ჩუენთასა“.... ათონ. 69, 570-574; სინ. 82, 210-212.

2. სწავლანი. სინ. 80.

### 2. ავგარნი,

რომელსაც ნამდვილად ერქუა უარი, ეყო მსახური თეოდორესა († 316 წ.)

(Abgarus, Theodori servus)

თა ივნისსა შ: წამებაა წმიდისა და დიდებულისა თეოდორე სტრატილასა: „ვა მზე განანათლებს მხილველთა მისთა“.... სიძვ. მუზ. 1103, 243-255, Analecta Bollandiana, t. II, 359-67. ნათარგმნია ექვთიმე ათონელის მიერ 1013 წ.

### 3. ათანასე ალექსანდრიელი († 373)

(Athanasius Alexandrinus)

1. აღსარებაა წმიდისა და უბიწოესა ქრისტეანთა სარწმუნოებისა: „უკუეთუ ვისმე ჰნებაეს ცხოვრებაა პირველ ყოვლისა ჯერ არს რათა აქუნდეს მართალი სარწმუნობა“.... სიძვ. მუზ. 584, 244-246, 627, 3-6, 65, 332-334, 67, 48-50; Migne PG. t. 28, 1582-1583; თარგმნილი გიორგი მთაწმიდელის მიერ.

2. „ქალწულებისათვის: „პირველ ყოვლისა გრწმენინ ერთი ღმერთი მამა ყოვლისა მპყრობელი და ხილულთა და უხილავთა ყოველთა შემქმნელი“.... სიძვ. მუზ. 584, 246-247, Migne, t. 28, 281-282; გიორგი მთაწმ. თარგმანი.



3. ცხორებაა წმიდისა მამისა ჩუენისა ანტონისი (Migne t. 26, 838-976)

ა) ძველი: „კეთილსა ბაძეასა მისწუდებოდეთ და მათვს რომელნი იგი ეგვპტეს მონაზონებდეს ცხორებისათს“... სიძე. მუზ. 19, 433-451, Britisch. Mus. Addit. 11281, 1-55, სიძე. მუზ. 1109, 10-25.

ბ) მეტაფრასტული: „კეთილი თანაბრძოლობაა აჩუენეთ თქვენ ეგვპტისა მონაზონთა მიმართ გინა თუ შესწორებად ანუ წარმატებადცა მათ“... სიძე. მუზ. 79, 268-365, 689, 178-301, გელათ. 13, 167-211.

4. წამებაა წმიდისა მინაასი და ეროგინე და ევლრაფოასი: „ქრისტეს მადლთა მოფენასა და ეკლესიათა აღორძინებასა სიკუდილი განკვრდა და აღდგომა გააძინა“.... სიძე. მუზ. 70, 446-454 [ბოლო აკლია; აქ ეკითხულობთ: „მე საწყალობელი ათანასე აღექსანდრიისა ეპისკოპოზი ღირს ვიქმენ მითხრობად კათოლიკე ეკლესიათა.] *Analecta Bollandiana* 18, 406.

5. თარგმანებაა ფსალმუნთაჲ, ექსცერპტები, რომელნიც, სხვებთან ერთად, შეუტრანია ეფრემ მცირეს თავის თხზულებაში „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲჲ პეტრბ. სააზიო მუზ. Georg. 137, გელ. 29. სიძე. მუზ. 14, მარტვილისა, ჯრუქისა, იერუს. 1.

6. გაპოქულეეაჲ ძალისა ფსალმუნთაჲსაჲ, სიძე. მუზ. 38 [მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა 1, 144-151], Migne t. 27, 11-46.

7. ფსალმუნთათს, სიძე. მუზ. 38, 2-31.

8. ვითარ კაც იქმნა უფალი ჩუენი ივ ქრისტე და რამეთუ ღთისმშობელი არს წმიდაჲ ქალწული მარიამ და რომელი იგი იშვა მისგან ღმერთი და იგივე კაცი: „საიდუმლოსა უცხოსა და დიდებულსა ეხედავ“.... სიძე. მუზ. 19, 41-52, 95, 46-59, სინ. 83, 30-40.

9. კითხვა-მიგებანი: „კითხვა: რათამე უკუე შეენდობის ქრისტეს უარის-მყოფელსა და სულისა წმიდისა მგმობარსა? მიგება: სამი ნათლისღებაჲ მოანიკა ღმერთმან“.... სიძე. მუზ. 55, 431-434, 67, 40-43.

10. საკითხავი ღლისა მისთს მეერგასისა და მოსლვისათს სულისა წმიდისა: „მადლმან რომელმან განუყვნა ღლეს ენანი არა უტევებს შიშად“... სიძე. 144, 269-274.

11. თქუმული სასწაულისა მისთს რომელი იქმნა პატიოსნისა ხატისა მიერ უფლისა ჩუენისა ივ ქრისტესა ბიერითე ქალაქსა შინა: „ალიხილენით თუალნი გონებათა თქუენთანი ქრისტეს სამწყსონო... სიძე. მუზ. 55, 342-494, Migne, 82. 797-805.

12. საკითხავი თქუმული ქეშმარიტებისათს ჯუარისა რომელსა ზედა ივნო ქრისტემან: „ისმინეთ სიტყუანი ქეშმარიტებისანი და იგავნი სწავლათანი“.... სიძე. მუზ. 144, 398-406.

13. აღდგომისათს უფლისა ჩუენისა ივ ქრისტესა: „აღდგა უფალი ჩუენი ივ ქრისტე მესამესა ღლესა და ცხორებაჲ სოფელსა მოჰმადლა“... სიძე. მუზ. 691, 229-238.

14. სიტყუაჲ შობისათს წინამორბედისა და ელისაბედისათს და წმიდისა ღთისმშობელისა: „ავარაქსა ვიდრემ განყამირებულსა და ველის ვირთა დასათარგნეველად დატეეებულსა“.... გელათ. 3, 245-249.

15. სიტყუა აღწერისათვის ყოვლადწმიდისა ქალწულისა და ღთისმშობელისა მარიამისა და იოსებისთვის რომელმან მიითხოვა იგი: „ვითარცა მუშაკნი რომელნი აღმოკუეთდნან მიწასა გასაღობელსა ოქროასასა“.... გელათ. 5, 412-418, სიძ. მუზ. 162, 182, 511, 518, იერუს. 23, 74-78.

16. სიტყუა მელქისედეკისათვის: „მეფესა მექილს ვითარცა თქუმულ არს უვიდოდა ორნი ძენი“.... წერ.-კითხ. 1479, 63-87, თარგმნილია რუსულიდან მოსკოვს გიორგი წინამძღვრის მიერ 1782 წ.

17. მიცემისათვის უფლისა ჩუენისა ი-ვ ქრისტესა იუდაასგან ჰურიათა მო-შურნეობისათვის: „მაცხოვრისა ჩუენისა ენება საყუარელნო“.... ათონ. 80, 80-82.

[ქადაგებანი ათანასესნი Migne t. 28, 133-250, 501-1114].

18. ეპისტოლე ეპიკტიტოს მიმართ კორინთელისა: „მე უკუე ვგონებდ, ვითარმედ შემდგომად ნიკიისა კრებისა ყოველი ამაოდ მომზარახობა ყოველთა მწვალბებულთა“... სიძ. მუზ. 266, გვ. 16-19, თარგ. ანტონ კათოლ. და ფილიპე ყაიფმაზაშვილისა სომხურით 1776 წ.

#### 4. ათანასე მალმეწარალი

(Athanasius stenographus).

ცხორებაა წმიდისა ეკატერინასი: „წელსა ლმ მეფობასა უღმრთოასა მაქსინტიანესა იყო დიდი საუკრებაა კერპთაა რომლისათვისცა დაჯდა მეფე მაქსენტი“.... სიძ. მუზ. 95, 585-607, სინ. 77. J. Viteau, Passions des saints Ekaterine et Pierre d' Alexandrie, Barbara et Anynsia, Paris 1897, 5-39.

#### 5. აკაკი მელიტიენალი

(Acacius Melitena).

სიტყუა კრებასა შინა ეფესოსა: „ძმანო საყუარელნო, ოდეს იგი სახარულეანსა ამას და სულიერსა შემოკრებასა ჩუენისა კრებისასა ესკურეტ“.... სიძ. მუზ. 266, გვ. 145-147.

#### 6. ალექსანდრა

ბქეთმწიგნობარი გორდიანე მეფისა (238 - 244 წ.)

(Alexander, Gordiani regis secretarius)

წამებაა წმიდისა თილეკტიმონისაა, —K. Kekelidze, Monumenta hagiographica Georgica t. I, p. 133-160.

#### 7. ალექსანდრა

კპარელი, მონაზონი ქალაქისა ამათონტისაა.

(Alexander, monachus Amathuensis)

საკითხავი პონისათვის ცხოველსყოფელისა პატიოსნისა ჯუარისაა: „ვიანათვან მოვილე ვედრებისა თქუენისა ბრძანებაა წმიდანო მამანო ფრიად დამიკვრდა“.... ბოლღ. წიგნთსაც. ხელნ. ფ. 390-419, სიძ. მუზ. 518. Conf BHG, 2-410, Gretser, De Cruce t. c. 1-52, Migne, t. 87, 4016-76.

**8. ამბროსი მედიოლანელი (+397 წ.)**

(Ambrosius Mediolanus)

მისი თხუზულებანი, რუსულიდან ნათარგმნი, კერძოდ „ნოვატიანთა მიმართ“, მოთავსებულია სიძვ. მუზ. 796, წერ.-კითხ. 378. ერთის შესახებ — „სიტყუა თქუ-მული შემდგომად გარდაცვალებისა მეორმოცესა დღესა იმპერატორისა თეოდოსისა“, თეიმურაზი ბატონიშვილი შენიშნავს, რომ ის „თარგმნილია საკვრეველითა ენაშუგობითა ჩუენთა წმიდათა მამათა ქართველთა მთარგმნელთა მიერ ბერძნულითო“ (sic).

**9. ამონა, მონაზონი ეგვიპტისა (+ 357 წ.)**

(Ammon monachus).

სიტყუანი: „ოთხი საქმენი არიან უკუეთუ ამათვანი ერთიცა იყოს კაცისა თანა ვერ შემძლებელ არს იგი კეთილისა რაჲსამე საქმელ და არცა შეიწირავს ლმერთი ლოცვასა მისსა“.... ათონ. 69, 550-558, სინ. 82, ფ. 171-173. Архиеп. Филарет, Историческое учение об отцах церкви, II, 30, 1882 г.

**10. ამონიოსი (IV ს.)**

(Ammonius Sinaita).

ცხორებაა წმიდათა და ნეტართა მამათა რომელნი მოისრნეს მთასა წმიდასა სინასა და რაჲთს, K. Kekelidze, Monumenta hagiographica Georgica, t. 1. p. 28-47, XL-XLI; F. Combefis, Illustrium Christi martyrum.... p. 88-132, Parisiis 1660.

**11. ამფილოქი იკონიელი (+ 395)**

(Amphilochius Ikonienensis)

1. ცხორება ვასილი დიდისა, შენახულია სამი რედაქციით:

A) სიძვ. მუზ. 19, 266-306 „საყუარელნო არა უცხო არს ერთგულთა შეილთა მამისათვს წუხილი ცხორებისაგან განსლვასა“.... აქ შემდეგი სასწაულებია: 1) „და იყო მათ დღეთა შინა აღძრვაჲ მწვალებელთა მართლმორწმუნეთა ზედა“... 2) „იყო ვინმე პურიაჲ მაცილობელი რომელი მარადის წინააღდეგებოდა ქრისტიანეთა“... 3) „კუჲლად სხუაჲ ვინმე იყო პურიაჲ მკურნალი კესარია ქალაქსა“.... 4) „იყო ვინმე დედაკაცი ფრიად ცოდვილი“... 5) „ეფრემისათვს: ცხენთა მათ მალეთა აღძრნეს წყალნი მრავალნი“... 6) „პეტრჲსათვს ძმისა მისისა: კეთილად იქადა წმიდამან დავით“... 7) „ხუკისა მისთვს და გონჯისა: იტყოდა წმიდაჲ დავით“.... (სინ. მთის 864 წ. „მრავალთაჲში“ 83 არის მხოლოდ 1 და 2 სასწაულები, ფ. 67—70).

B) სიძვ. მუზ. 95, გვ. 185-212. იწყება პირველი რედაქციის 1 და 2 სასწაულებით, რომელთა შემდეგ ვკითხულობთ: „თქმული ღირსისა მამისა ჩუენისა ელადიოჲსი მთავარეპისკოპოზისა კესარია კაპადუკიისა“; აქ მოყვანილია 6 სასწაული (იხ. ელადიოსი), რომელთაგან

- მეოთხე ადგილზე (გვ. 198-206) მოთავსებულია: „ყრმისათვის რომელმან უვარყო უფალი ჩუენი იჲვ ქრისტე და მსწრათლ ლოცვითა ღირსისა მამისა და მოძღვრისა ბასილისითა მოიქცა: „საყუარელნო არა საკვრველ არს მეცნიერისა შვილისათვის წუხილი მამისაჲ ოდეს განვიდეს კორცთაგან“, ესე იგი—დასაწყისი პირველი რედაქციისა.
- C) სიძვ. მუზ. 1103, რომელიც ექვთიმე ათონელს უთარგმნია, შეიცავს მხოლოდ პირველი რედაქციის დასაწყისს, საკუთრივ ბიოგრაფიას (№ 19, გვ. 266-290), რომელშიაც პირველთან შედარებით შეცვლილია, გამოტოვებული ან ჩამატებული მხოლოდ ცალცალკე სიტყვები და თითო-ოროლა ფრაზები; სასწაულები აქ მოყვანილი არაა, ისინი მხოლოდ ჩამოთვლილია ბოლოში.
- [F. Combelis, SS. patrum Amphiloicii Iconiensis.... opera omnia, p. 155-225, Parisiis. 1644; Conf. BHG<sup>2</sup>, 247].

2. მიგებებად საკითხავი თქმული ყოვლად წმიდისა ლტისმშობლისათვის რომელსა შინა მოიქსენების სკვიონიცა და ანნა: „მრავალთა უკვრს ქალწულებაჲ დიდთაცა კაცთა“.... ათონ. ილიას სკიტის ხელნ. 5, ფ. 2-20. ეს „ძველი“ რედაქციაა, მეორე: ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი: სიტყუაჲ“ მიგებებისათვის უფლისა ჩუენისა იჲვ ქრისტესა: მრავალნი დიდთა მათ სახელოვანთა კაცთაგანნი საკვრველ ჰყოფენ ქალწულებასა და არსცა ქეშმარიტად საკვრველ“.... სიძვ. მუზ. 162, ფ. 74-78; გულ. 1, ფ. 30-36; სიძვ. მუზ. 182, 186. Migne, t. 39, 36-94.

3. იამბიკო სელევკეს მიმართ, გულ. 22, ფ. 224-225, წ.-კით. 379, 1-2. Migne, t. 37, 1577-1600.

## 12. წმ. ანასტასი.

(S. Anastasius)

თქმული კაცისათვის ცოდვილისა უწყებაჲ და უფროჲს ხოლო ცოდვისათვის: „ჟამთა ნიკიტა ერისმთავრისათა რომელი იყო კანჯინს ქალაქსა შინა აფრიკისასა იყო მუნ კაცი ვინმე ფრიად ცოდვილი უფროჲს ხოლო სიძვითა. და მოიწია მათ ჟამთა სიკუდილი კაცთა ზედა და შეუქდა კაცსა მას შიში და განვიდა ქალაქით იგი და ცოლი მისი მეოტნი სიკუდილისაგან“... სიძვ. მუზ. 116, 326-334.

## 13. ანასტასი ანტიოქელი (VI ს.)

(Anastasius Antiochenus)

1. კითხვა-მიგებაჲ ვიეთმე მორწმუნეთა კაცთა მიმართ რომელთა ჰკითხეს ქუენოწერილთა სიტყუათათვის: „რამ არს სასწაული ქეშმარიტი ქრისტეანისაჲ? მიგება: სარწმუნოება მართალი და საქმენი კეთილნი ვითარცა სხუამან ღირსმან ზამამან თქუა...“ [სულ 16 კითხვა-მიგებაჲ] სიძვ. მუზ. 128, 828-850. Compendiaria orthodoxe fidei explicatio, Migne t. 89, 1399-4018.

2. სიტყუაჲ კითხვა-მიგებითი საღმრთოჲსა გულის ხმის ყოფისათვის: კითხვა: ვინ დაგბადა შენ? მიგება: ღმერთმან დაგბადა მე. კითხვა: ვინ არს ღმერ-

თი? მიგება: ესე არს ღმერთი ჩუენი დამბადებელი რომელმან შექმნა ცანი და ქუეყანა და არს მფარველი და მეურნე ვითარცა თვთ უფალი და მპყრობელი არსთა...“ წერ.-კითხ. 2406, 121-171 [ხელნაწერში შენიშვნაა: „წიგნი ესე კონსტანტინოპოლის ქართველმან ვინჟე მეცნიერმან ბერძენთა ენისამან სთარგმნა ქართულად ლიტონად“ და მერმე საქართველოას სომეხმან სომხურად და თავის თარგმანში ბევრი თავისებურება შეიტანაო].

14. ანასტასი სინაილი (†687 წ.)  
(Anastasio Sinaita)

1. შემოსლვისათვის მარხვათასა და მეექუსისათვის ფსალმუნისა: „შემსგავსებული მარხვათა დაწყებისა და ჯეროვანისა სინანულისა მიზეზი მრულებიეს ეკლესიასა მეექუსე ფსალმუნთა...“, თარგმნილი თეოფილეს მიერ, სიძვ. მუხ. 5, 98-120, 182, 650-585, 129, 152-161, გელათ. 8, 29-40, Migne t. 80, 1077-1144

2. შაბათსა კორცითა აღებისასა, თქმული ქრისტეს მიერ შესუენებულთათვის და სარწმუნოებით დაძინებულთა: „რაჲ არს ესე დღეს ზ საყურაელნო ვითარ მოსწრათებით და ლირსებით შემოკრებულ ვართ...“, თარგმნილი ეფრემ მკირის მიერ, სიძვ. მუხ. 182, 549-567, 162, 87-92, 129, 140-177, გელ. 8, 940-943.

3. მრავალთა და საქიროთა ძიებათათვის საღმრთოთა წერილთა შინა: უცხადოთათვის და ყოველთა ქრისტიანეთა მიერ შესწავებად საქიროთათვის: რომელნი ამას წიგნსა შინა მდებარე არიან საკითხაენი თავნი რ ლ P: „მრწმუნებელნი და ნათლისმღებელნი სამებისა ერთარსებისა მიმართ და მეტყუელნი ღმერთად ყოფასა მამისა... [კითხვა-მიგების სახით], სიძვ. მუხ. 67, 32-37, 691, 306-325.

4. ლოცვაჲ თხოვისაჲ ნებისთჳ სიტყვითა: „უფალო ნუ გულისწყრომითა შენითა მამხილებ მე, ნუცა რისხვითა შენითა მსწავლი მე. უწყი უფალო რამეთუ ულხინებელი პატიჲი წინა ძეს“... სიძვ. მუხ. 249, 26-45.

5. „წინამძღუარი“, იწყება თავით: „წინაგანხილვაჲ მიზეზისა განსახლერებათა ამის წიგნისათა რომლისა სახელი ითქუმის წინამძღუარად“; თავდება თავით: „ხოლო შევჰმოსო ვითარცა გვრგვნი რამემ ძღვეისაჲ სიძესა წიგნსა ამას ესეცა“; თარგმნილი არსენ იყალთოელის მიერ, სიძვ. მუხ. 84, 65, 205. წერ.-კითხ. 1463 და სხვ. Migne t. 89, 35-310.

15. ანდრია იერუსალიმელი, კრიტალი მთავარაპისკოპოსი († 720).  
(Andreas Hierosolimitanus).

1. სიტყუანი შობისათვის ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა:

ა) „სხუანი უკუე სხუებრსა დღესასწაულთა მიზეზებსა მნებებელთა მიუტევებდელ“... გელათ. 4 36-96, Migne, t. 97, 820-844.

ბ) „დასაბამი უკუე ჩუენთა დღესასწაულთაჲ არს მოწვეული ესე დღესასწაული“... სიძვ. მუხ. 70, 398-406, იერუს. 23, 12-17, Migne t. 97, 805-820.

გ) „კულად დღესასწაული და კულად კრება“... გელ. 4, 96-140 Migne, t. 97, 843-861.

დ) „განიზომოს თუ ქუეყანა მტკაელითა და შეიწეროს ზღუა საბ-  
ლებითა“... გელ. 4, 104-113, სიძვ. მუზ. 182, 43-66, Migne,  
t. 97, 861-881.

2. სიტყუა ყოვლად შსოვლიოსათვს ამალეებისა პატიოსნისა და ცხო-  
ველსყოფელისა ჯუარისა: ა) „ჯუარისა კრებასა აღვასრულებთ და ყოველივე  
ეკლესიისა განბრწყინდების საესება“... იერუს. 23, 32-36, გელ. 4, 177-183,  
სიძვ. მუზ. 182, 122-137, ბოდლ. წიგნთსაც. ფურ. 419-425 (აქ ეს მიწერილი  
აქვს ბასილ კესარიელს), Migne, t. 97, 1017-1036.

ბ) „აღვძრნეთ დღეს საყუარელნო ბაგენი სახედ ბობნისა“... იერუს. 23,  
36-39. გელ. 4, 185-188, სიძვ. მუზ. 182, 138-152. Migne t. 97, 1036-1046.

3. ავეგისტოსა ძმ, თავისკუეთისათვს წმიდისა და დიდებულისა წინამორ-  
ბედისა და ნათლისმცემლისა იოანესა: „ჰკრთების სიბერე ვითარცა მრავალსა-  
ხედ მორთხული ძარღვებითა გულსმოდგინებისათა და სიტყუა უძღური გან-  
ძლიერდების“... სიძვ. მუზ. 272, 304-305, Migne t. 97, 1110-1142.

4. თთუესა აპრილსა კვ: შესხმა წმიდისა და დიდისა მოწამისა გეორგი-  
სი: „მარადის უკუე ბრწყინვალე და ყოვლად საქებელ წმიდათა მოწამეთა სა-  
კსენებელი“... გელ. 7, 340-360: Migne t. 97, 1169-1192.

5. სიტყუა ფერისცვალებისათვს: „რაოდენთა სიტყვსა დაცარიელები-  
თა...“ გელ. 1, 309-313.

6. სიტყუა ხარებისათვს ყოვლად წმიდისა: „წარმოვეიდგა დღეს ყოველ-  
თა სიხარული...“ გელ. 2, 321-333, 8, 179-189.

7. თთუესა იენისსა ივ: ლუაწლი წმიდისა და კეთილადმძლისა ქრისტეს მო-  
წამისა აკულინისი: „დღედათა შორის პატიოსან შუენიერება რომლისა კსენება-  
სა დღესასწაულობად ვიღირსენით დღეს...“ გელ. 3, 134-140.

8. სიტყუა ლაზარესთვს ოთხდღე მომკუდარისა რომელი აღადგინა  
უფალმან: „ლაზარე შემოკრიბა აწინდელი ესე შესაკრებელი და ეგულების სე-  
რობისა ყოფად...“ სიძვ. მუზ. 5, 293-317, 162, 163-170, 129, 186. გელ.  
№ 8. 189-202. იერუს. 4, 30-42, 18, Migne t. 97, c. 960-85.

9. სიტყუა ბზობისათვს და იერუსალიმად შესღვისა უფლისა ჩუენისა ივ  
ქრისტესა: „გუშინ მეუფისა თანა ლაზარე მისტუმრნა ჩუენ...“, ეფრემ მცოი-  
რის თარგმანი, სიძვ. მუზ. 162, 170-177, გელ. 8, 202-214. იერუს. 4, 42-55,  
18, Migne t. 97 col. 985-1017.

10. დეკემბერსა ვ - ცხორება და ნოელაქობა და შესხმა ნიკოლოზ მი-  
რონ ლუკისა: „ცხორებანი და მოქალაქობანი ღმერთშემოსილთა და წმიდათა  
მამათანი მსგავს არიან მაგალითსა მხატვართასა...“ სიძვ. მუზ. 140, 245-302.  
134, 593-664, 161, 187-209 (აქ მარტო შესხმა), 1103, 180-218 (აქაც  
მარტო შესხმა), თარგმანი ექვთიმე ათონელისა

11. თქუმული ამოებისათვს კაცობრივთა საქმეთა და შესუენებულთათვს.  
ქეს საკითხავი იკითხვების პანაშვტთა ყველიერისა სულთასა და ზატიეთა შდგდ  
სულთასა და თუ გინდეს ოდესცა სულისა კსენებასა ჰყოფდე: „ქეშმარიტებით

არარაა არს საქმეთაგან კაცობრიეთა მტკიცე და შეურყეველი...“, თარგმანი ექვთიმე ათონელისა, იერუს. 2, 229-237, სიძვ. მუზ. 1101, 154-167, ათონ. ილიას სკიტის 5, 294-305.


1. სიტყუა შობისათვის უფლისა ჩუენისა ივჭრისტესა რომელი ესე აღწოთქუა დიდსა ეკლესიასა შინა სოფია წმიდას სასმენელად ნესტორ მწვალებელისა ჯდა რაა იგი მუნ: „ქალწულისა კრებაა დღეს ძანო ენასა ჩემსა შესხმად მოუწყეს...“ სიძვ. მუზ. 182, 363-373, 266, 22-26. გელაფ. 5, 480-473.

2. ნათლისღებისათვის უფლისა: „დღეს ქრისტე სოფელსა გამოუჩნდა და სოფელი უშუერი განაჲუნა და განაკეთა...“ სიძვ. მუზ. 19, 356-360, 95, 245-249, ათონ. 80, 36 37.

3. თქუმული ხარებისათვის: „ქალწულისა კრებაა დღეს მოუწყეს ენასა ჩუენსა ძანო ქებად...“ ათონ. 80, 12-14, სინ. 83, 40-45 [ეს იგივე უნდა იყო, რაც შობის დღეს არის დადებული]; Migne t. 65, 679-850, Lehner, Die Marienverehrung in den ersten Jahrhunderten 1886, 81, 213-217.

## 150. პროხორი,

მარწაფე იონე ღვთისმეტყუელისა, ერთი შვილთაგანი, ძმისწული სტეფანე პირველმოწამისა.

(Prochorus, Johannis Theologi discipulus)

ცხორებაა და ქადაგებაა წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა და ნახარებელისა იოანე ღმრთისმეტყუელისა: „ესე კაცი ღმერთშემოსილი, უზემთაესი ანგელოსთადაცა, შეყუარებული ყოყელთა მეუფისაა...“ ათონ. კრებული, გვ. 111-175, იერუსალ. 18, 120-153, თარგმნილი ექვთიმე მთაწმიდლის მიერ.

## 151. საბუშელ რაბინი (XV ს.)

(Samuel Rabbin)

„ოქროს აღნაქესი“, სიძვ. მუზ. № 1011, გადმოთარგმნილი რუსულიდან დიმიტრი ბაგრატიონის მიერ 1786 წ.

## 152. საბინე ეპისკოპოსი

(Sabinus Episcopus)

ეპისტოლე ჰოლიბიესა ეპისკოპოსისადმი ქალაქად რინოკორარად: „ეკმადლობ ღმერთსა შენითა გულსჰოდგინებითა მონაო ღმრთისაო... ლოცვა ყაე ჩემკის ღირსო მღდელმობღოუარო წმიდაო მამაო“, იერუს. ხელ. № 3. BHG<sup>7</sup>, 598-9



153. სევერიანე გაბალონელი (+ 408 წ.)

(Severianus Gabalensis)

1. საკითხავი მოციქულთა: „გუშინდელი იგი სიტყუაა თუალსადა გუამი. სასა სანთლად იტყოდა და მაკვრეა ჩუენ შუენებასა მას ბუნებისასა გვთხრობდა და მეციწინებასა კელთა...“ სიძვ. მუხ. 144, 316-325 (აკლია ერთი ფურცელი)

2. საკითხავი მარტკლიისათვის: „დღს ესე მარტკლიისა დღს არს სიხარულისა მრავალსადიდებელი დღს არს დღესასწაულისა რომელ არს ერთი სამთა მათ დღესასწაულთაგანი ბრწყინვალეთაა. წერილ არს ძველსა შჯულსა და ახალსა რომელსა შინა ქრისტე იქადაგების...“ სიძვ. მუხ. 144, 260-269.

3. საკითხავი ბზობისანი „შესხმისათვის ყრმათასა და დაჯდომისათვის უფლისა კიცხვა ზედა შესლვასა მას მისსა იერუსალმად“, სინ. მთის ხელნ. 86. 43-52: „პირველსა მას სიტყუასა დაღაეცადოთ ძნანო და ამას მოვიდეთ რა რეს ვნებად ეგულებოდა იქს რეს შეეახლნეს იქმდ მოვიდეს ბეთბაგედ მათასა მას ზეთისხილთასა...“

154. სერაპიონი,

რომელი იყო მოწაფე მამისა ანტონისი (V ს.)

(Serapion, Antonii Magni discipulus)

1. ცხორება და მოქალაქობა ნეტარისა მამისა ჩუენისა მარკოზ განშორებულისა: „გვთხრობდა ჩუენ მამა სერაპიონ. ესე სერაპიონ წმიდა იყო კაცი ღმრთისა. რომელი ვიდოდა ყოველთა დღეთა ცხორებისა მისისათა უდაბნოთა მათა და კურგლთა ქუეყანისათა და მონასტერთა და ქალაქთა. და მრავალნი წმიდანი და სათნონი ღმრთისანა კაცნი იხილნა და აღწერნა საქმენი მათნი. ამანე ნეტარმან მამამან ჩუენმან სერაპიონ მოგვთხრა წმიდისა და საკრეელისა, მარკოზ განშორებულისათვის და. იტყოდა: ვიყავე ემსა ერთსა სკიტეს რომელ არს შინაგან ეგვიპტისა და მისტუმრა მე დიდმან მამამან ჩუენმან ანბა იოანე...“ სიძვ. მუხ. 199, 137-148, 691. 373-377, სინ. მთის 82, 266. Confer. BHG<sup>2</sup>, №№ 1039-1041.

2. ცხორება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუენისა მაკარი მეგვიპტელისა: „უკუეთუ მრავალგზის კსენებულ არს და სჯულადცა დადებულ მოღუაწებისათვის კორცთაჲსა მოპოვნებულისა მას შინა მკურნალობისა კელოვნებასა...“ სიძვ. მუხ. 79, 419-506, იერუს. 17, 370-363.

155. სერგი პატრიარქი (610-638)

(Sergius Constantinopolitanus)

„თხრობდა მარგებელი ძველთა თხრობათაგან შეკრებული მაუწყებელად საკსენებელსა საკვრელებით ქმნილისა სასწაულისა რაემს სპარსნი და ბარბაროზნი დედოფალსა ამას ქალაქთასა ბრძოლად მოადგეს და წარტყუნეს საღმრთოჲთა ბქოებითა განშვილნი. ხოლო ქალაქი ესე უწინებლად დატული მეოხებითა ღმრთისმშობელისათა მიერთგან წლითი წლადსა გალობასა შესწირავს სამადლობელსა „დაუჯდომელად“ სახელმდებელი დღისა ამის“. სიძვ. მუხ.

№ № 5, 140, 162, 272, გელათ. № № 2, 8. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მოკლე რედაქცია კონსტანტინოპოლის სვეითთა და არაბთა მიერ მოცვის ისტორიისა (626 წ.), რომელიც ქართულად სტეფანე სანანოას ძეს უთარგმნია; არის „უმოკლესი“ რედაქციაც ამ ისტორიისა (სიძე. მუზ. № 347) და აგრეთვე „ერტელი“, გიორგი მთაწმიდლის მიერ გადმოთარგმნილი (სიძე. მუზ. № № 500, 568, 674, ათონის ილას სკიტის № 5, ფ 124-137). იხ. М. Джанашивили, Сказания об осадах Константинополя персами, скифами—русскими и арабами (Материалы по истории и древностям Грузии и России. Тифлис 1912 г. стр. 107—145). Migne t. 106, 1335-1354. Christ et Parauikas, Anthologia graeca, 140-147, Pitra, Analecta sacra I, 250-262.

### 156. სიმეონ მსხვებე ანტიოქელი (+ 596)

(Symeon Stylita Junior)

„სწავლამ რაემს ევეღრებოდეს მას მამანი რათა რქუა მათ სიტყუამ ცბორებისაჲ. ხოლო მან სულითა მით წმიდითა რომელი დამკვდრებულ იყო მის თანა მიუგო ძმათა: ზ მამანო და ძმამო, ისმინეთ სიტყუამ ჩემი და ნუ შეურაქსპყოფთ თქმულთა ჩემთა...“ K. Kekelidze, Monumenta hagiographica georgica, t. I, 228-230.

### 157. სიმეონ მესოპოტამიელი

(Symeon Mesopotamiensis)

სწავლამ სიკუდილისათვის: „ნანუ არა უწყითა ძმანო...“ სიძველ. მუზ. 1101, 167-170, თარგმნილი ექვთიმე ათონელის მიერ. Cozza—Luzi, Nova patr. biblioth. 8 (Rom. 1871), 3, 1-3.

### 158. სიმეონ თესალონიკელი (1410-1429 წ.)

(Symeon Thessalonicensis)

საიდულოებითი განმარტება ლიტურჯიისაჲ. სიძე. მუზ. 642, 329-441. გადმოთარგმნილია ორ პარალელურ სვეტად: ერთში სლოვენურიდან, სიტყუასიტყვით, მეორეში—პარაფრასული წმიდა როსიული, რომელიც გადმოღებულ არს ელინ-ბერძელისაგან ტექსტისა, Cozza-ის ევქოლოგიონში დაბეჭდილიდან. აქვე არის (გვ. 1-328) „საღმრთოასა ლიტურჯიისა განმარტება ისტორიული“ Migne t. 155.

### 159. სიმეონ მებაფრასტი (X-XI ს.)

(Symeon Metaphrasta)

ცნობები ამის შესახებ, ბიოგრაფიული და ისტორიულ-ლიტერატურული, იხ. ჩვენს შრომებში: 1) Симеон Метафраст по грузин. источникам (Труды Киевской Духов. Академии, 1910 г. февраль); 2) Исани Ксифилин, продол-

жатель Симеона Метафраста (Христианский Восток, т. I, вып. 3); 3) Monumenta hagiographica georgica, t. I, p. XVI-XXV.

160. სოფრონე იერუსალიმელი (634-638).  
(Sophronius Hierosolymitanus)

1. სიტყუაჲ მიგებებისათჳს უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იჲჳ ქრისტესა: „სხუაჲ არს ესე საიდუმლოჲ ქრისტესი. სხუაჲ არს ესე დიდებულეჲა მოქმედებისა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისაჲ...“ სიძე. მუხ. 129, 116, 162, 56-64, გელათ. 1, 1-13, თარგმანი ეფრემ მცირისა.

2. სიტყუაჲ ხარებისათჳს: „ხარება არს მმანო. ხარებაჲ. და კუალად ვთქუა ხარებაჲ...“ სიძე. მუხ. 162, 2-4, გელათ. 2, 288-312, 8, 151-172.

3. სიტყუაჲ ნათლისღებისათჳს და ზედააღდგომისათჳს სარკინოზთასა:

ა) „პირველ ჩუენ ბეთლემმან ზეკიერმან საღმრთოდ სერობად მოგვწოდა...“ სიძე. მუხ. 182, 403-478, წერ.-კითხ. 1276, 178-197, გელათ. 13, 1-25, იერუს. 23, 122-131.

ბ) „კუალად ნათელი გამოგვჩნდების და კუალად მე განენათლდები...“ სიძე. მუხ. 182, 438-467, წერ.-კითხ. 1276, 197-212, გელათ. 13, 25-39, იერუსალ. 23, 132-140.

4. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა მარიამ მეგვკტელისაჲ: „საიდუმლოთა მეფისათა დაფარვაჲ კეთილ არს ხოლო საქმეთა ღმრთისათა ქადაგებაჲ დიდებულ...“ სიძე. მუხ. 272, 91-105, 643, გელათ. 8, 118-133, თარგმანი ექვთიმე მთაწმიდელისა.

4. შესხმაჲ წმიდისა სტეფანე პირველმოწამისა და პირველდიაკონისაჲ:

ა) „მოვიდა ჩუენდა სტეფანე და ყოველთა სათნოებათა გვრგვნი ზეღამდე-ბარე...“ გელათ. 5, 493-499.

ბ) სიტყუაჲ პირველდიაკონისა და პირველმოწამისა სტეფანესთჳს აღსრულებასა კრებისა მისისასა წმიდასა სიონსა შინა მიშისაგან ავარიანთასა: „ჯეო იყო შენდგომად სამეუფოასა მაცხოვრისა კრებისა ქალწულისაგან შობითა...“ გელათ. 5, 499-503.

6. ზეცად ამალღებისათჳს უფლისა. ითქუა ესე ადგილსა თხემისასა შიშისათჳს უღმრთოთა სარკინოზთასა სადა იგი აღასრულებდეს დღესასწაულსა ამალღებისასა, გელათ. 8, 336-369, თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ.

7. სიტყუაჲ შესხმაჲ წმიდისათჳს და დიდებულისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა: „საყვრი დიდი და ზეცისაჲ ღმრთისმეტყუელისათა ქუხს ქადაგებათა ზეცით ჩუენდა მოიწია დღეს...“ იერუს. 13, 240-277, წერ. კითხ. 1276, 213 239; უნდა იყოს თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ.

8. „შესხმაჲ წმიდისა მოციქულისა იოანე მახარებელისაჲ“, სიძე. მუხ. ხელთნ. № 322, გვ. 305, კვითხულობთ: „ხოლო სოფრონ იერუსალიმელ პატრიარქმან დაწერა შესხმაჲ ამის წმიდის მოციქულისაჲ და იტყუს ვითარმედ მამა მახარებელისაჲ ზებედე იყო და დედაჲ სალომე ასული იოსებისი რომლისადა მითხოვილი იყო წმიდაჲ ღმრთისმშობელი მარიამ“.

9. შობისათვის იოანე ნათლისმცემელისა: „მომეცინ ო კმაო...“ იერუს. 38. 307-327, Migne t. 87, col. 3321-53.

### 161. სტეფანე მკოვარი

საბაწმიდელი, რომელი ზღუასა ვიდოდა  
(Stephanus, Boskos Sabbaita)

„სწავლანი: „იგულე სული შენი შეილო ჩემო იგულე და ნუ უღებ ხარ ცხორებისათვის მისისა...“ სინ. მთის ხელნ. № 81 (979 წ.) და 71, (982 წ.), ფურ. 220-223.

### 162. სტეფანე მანსური, დამასკელი, საბაწმიდელი († 807)

(Stephanus Mansur, Sabbaita)

1. თხრობაა წამებისა წმიდათა მამათაა რომელნი მოისრნეს ბარბაროს-თაგან. რომელ არიან სარკინოზნი. ლაერასა შინა წმიდისა მამისა ჩუენისა საბაესა: „ჯერ არს უკუე და ღირს და შეჰგავს მათთვის რომელთა ერთვე პირველად არა განიწმიდნეს თაენი მათნი...“ სიძვ. მუზ. 95. 846-920, ბოდლ. წიგნთ-საც. გვერ. 20-58, სიძვ. მუზ. 188 (ნაწყვეტი).

2. წამებაა წმიდისა რომანოს ახლისა მოწამისაა რომელი იწამა მეფობასა ეშმაკთმსახურისა მეფისა მაჰდისსა: „წელთა კოსტანტინე მეფისა უშჯულოა სათა რომელ იგი აღძრვითა ეშმაკისაათა აღადგინა ბრძოლაა და შეურაცხებაა ხატთა ზედა წმიდათა...“ A. Хаханов, Материалы по грузин. агриологии (Труды по востоковедению, Москва 1910 г. XXXI); K. Кекелидзе, Ново открытый агриологический памятник иконоборческой эпохи (Труды Киевской Духовной Академии, 1910 г. июнь, 201-238); P. Peeters, S. Roman le néomartyr d'après un document géorgien (Analecta Bollandiana, t. XXX, 393-427); H. Март, Записки Восточн. Отделен. русского Археолог. Общества, т. XXI, 093-0103.

ორივე თხზულება არაბულიდანაა გადმოთარგმნილი:

### 163. თიმოთე ღრამატიკოსი ღაჯელი

(Timotheus Grammaticos Gazensis)

თვთმპყრობელისა ანასტასის მიმართ «ცხოველთათვის»: „ვითარმედ კუ-რიტთაგან არიან ლომნი რამეთუ ესენი იყვანდეს მარადის რეას ეტლითა და ქმნეს დაფარვაა დიოსს რაა შობდა, ხოლო კრონოს მსწავლეულმან ლომად გარდასცულნა ივინი. არამედ ზეეს მეფე ყენა ივინი მეკეთა ზედა და მერმეკა რეაას ეტლისაა ყვანებაა პატივისა ძლით უბრძანა...“ სიძვ. მუზ. 433, 21-22. Krumbacher, Geschichte der byzantin. Liter.<sup>2</sup>, S. 631.

### 164. თიმოთე ხუცესი იერუსალიმისა

(Timotheus, Presbyter Hierosolymitanus)

თქუწული უფლისა ჩუენისა იჲ ქრისტესთვის შემდგომად შობისა მეორემ-ოცისა დღისათვის ვითარ იგი მოიყვანეს ტაძრად მარიამ დედამან და ჰალწულ-მან და იოსებ რაემს იგი აკურთხევედა მას წმიდაა სუმეონ: „მხოლოა კაცთა

შორის სრული კაცი სიმატლისაჲ რომელი მრავალთაგან იპოვების საქმით რომელთა იგი მარადის განანათლებს რომელნი იგი ელენან გზასა ქეშმარიტსა ვითარცა იტყვს წერილი: ნათელი მართალთა ზედა...“ სიძვ. მუხ. 95, 405-411, ათონ. 80, 41-43, სიძვ. მუხ. 1147, 38-41, სინას მთის 863 წლის ძმრავალთა ვი» 86, 1-9 (აქ დეფექტურადაა შეხახული).

#### 165. ტიტა ბოსტონისი [პოსტრელი? IV ს.]

(Titus Bostrensis)

თქმული ბზობასა შესლვისათჳს უფლი! ა ჩუენისა იერუსალიმად: -ვიტარცა სახედ აურაცხელი სიღრმე...“ ათონ. 80, 64-69. Migne t. 18, 1263-1278

#### 166. უ რ ბ ა ნ ი

(Urbanus)

წამება წმიდათა მოწამეთაჲ სპეესიპსი, ელასიპსი და ნელასიპსი სო. ეგლთა კაზადრუკიელთასა, სიძვ. № 95, ათონ. № 57, ბოდლ. წიგნთსაცაეი, გვ. 59-64. გამოცემულია ნ. მარტის მიერ: Acta Iberica Sanctorum Tergeminorum: Martyrum Speusippi, Eleusippi, Meleusippi (Записки Восточ. Отдел. Русского Археологичес. Общества, т. XVII).

#### 167 ფიბუსი, მოწაფე კლიმენტი პაპისა

(Phibeus, Clementis Papae discipulus)

წამება წმიდისა კლემენტოს პაპისა და პეტრე მოციქულისა მოწაფისაჲ: „ესე წიგნი არს საესე ზეცისა სიბრძნითა სულიერითა რომელი აღწერა სანატრელმან კლემენტოს საქმეთათჳს და ქადაგებათა წმიდისა მოციქულისა პეტრესთა. ხოლო ჩანს ამას შინა ვითარცა ხატი გამოწერილი. მისცა თავადისა ნეტარისა კლემენტოსის ცხორებაჲ და სიწრფობება მისი და სახიერებაჲ და უმანკობება ყოველთა მიმართ კეთილისა მის მწვეწმისსაჲ..“, თარგმანი ექვთიმე ათონელისა, სიძვ. მუხ. 70, 83-94, 518, 382-388, ათონ. 50, 250-261. სინ. 87, Migne t. 2, 580.

#### 168. ფილაკინანოზი, კამპანელი ეპისკოპოსი

(Philacianus, Episcopus Prepeniensis)

პეტროსის მიმართ ეპისკოპოზისა ანტიოქელისა თუ ვითარ ჯერ არს უარისყოფაჲ არიოზისი წმიდისა სამებისა ერთსწორებისა და უკუდავი იგი სიტყუაჲ თქუმად ჯუარცმულად და არცა ორთა ბუნებათაგან ერთი ბუნებაჲ ქრისტესი: „რამეთუ მონადირენი მკეცთანი არა შეძრწუნდიან გულისწყრომისაგან მკეცთასა...“ სიძვ. მუხ. 735, 30-34.

#### 169. ფილიპე

(Philippus)

„ალსარებაჲ თეოდოსისი, ჰორითა მთავრისაჲ. განკაცებისათჳს ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა და ვითარ იქმნა იგი მლდელ“, სიძვ. მუხ. 19, 318-350. A Vasilieff, Anecdota graeco-byzantina, p. 58-72; Н. Тихонравов, Памятники отреченной русской литературы II, 164-171.

170. ფლაბიანე, ანტიოქელი პატრიარქი (381-404)  
(Flabianus Antiochenus)

სიტყუა სავებრებელი დიდისა თეოდოსი იმპერატორის წინაშე წარაქმულ ლი შუამდგომელად ანტიოქელთა ერისა, რომელთაცა ჰყვეს აღშფოთებაა ახალსა ხარკის დადებანსა ზედა და შეურაცხებით დააკვეთეს ანდრიანტი სახისა მისისაა წელსა ქრისტესით 387: „ქრისტესმოყუარეო კელმწიფევე, უბადრუქსა ქალაქსა ჩუენსა ბრავალი აქვს ნიშანი კეთილისყოფათა შენთაჲ...“ სიძე. მუხ. 663, 2-3, გადმოთარგმნილია რუსულიდან მე-18 საუკუნის გასულს.

171. ფოტი პატრიარქი († 891)  
(Photius Constantinopolitanus)

1. აღსარებამ მართლისა სარწმუნოებისაჲ: „ესრეთ მრწამს და აღვიარებ კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიასა შინა დაფუძნებულსა და ქადაგებულსა სარწმუნოებასა. შევიწყნარებ წმიდათა და მსოფლიოთა შვდთა კრებათა და ყოველსა მათ მიერ ქადაგებულსა...“, სიძე. მუხ. 124; 602-603, 584, 230, 1040, 2-4, გადმოთარგმნილია გიორგი მთაწმიდლის მიერ. ეს სიმბოლო წაავაგეს მეზუთე თავს იმ ეპისტოლისას, რომელიც ფოტის მიუწერია პაპის ნიკოლოზ I-ისათვის [Παχλῆνα, 140-142, Fabricii, Biblioth. graec. ed. Harles, XII, 349-351].

2. შველსიკანონი (Νόμοις) თოთხმეტრიტლოვანი, ფოტის რედაქციისა, გადმოთარგმნილი არსენ იყალთოელის მიერ.

172. ძურაი, კუშმთელი მღვდელი (=ქრიზპო, იერუსალიმელი მღვდელი)  
(Qurus=Xrisippus, Presbyter Hierosolymitanus)

საკრეელებათაჲს რომელ ქმნა ქრისტეს მოწაფემან და მკენემან წმიდამან თეოდორე შემდგომად აღსრულებისა. იმ თავი: თავი ა: „უბრწყინვალესი შორის მარტულთა ქებული ესე რომელ ამთა ჟამთა იქმნა მამანო საყუარელნო და ძმანო ჩემნო...“ საქართ. საისტ.-საეთნოგრ. საზოგ. სელნაწ. 341, 89-96 (Conl. Acta Sanctorum, Nov. t. IV, p. 55 sq.

173. გენადი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქი  
(Gennadius Constantinopolitanus)

კანონი ქრისტიანებრივისა სარწმუნოებისა და ცხოვრებისათჲს: „ქონებამ მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა საფუძველი არს კეთილთა საქმეთაჲ. ამისათჲს სარწმუნოებისაგან დაიწყების სიტყუაჲ. თავი ა: გრწმენენინ მამა და ძე და სული წმიდაჲ სამებაჲ განუყოფელი და შეურწყმელი...“ [ასი მოკლე თავი ან დებულებაა დოღმატიურ-ზნებობრივი და დისციპლინარული ხასიათისა], სიძველ. მუხ. 323, 17-24 [ნათარგმნი უნდა იყოს რუსულიდან ტარასი არქიმანდრიტის მიერ].

## გიორგი გამყრელიძე.

### ა. სმითის საზინანსო მოძღვრება.

(„Wealth of Nations“-ის 150 წლის თავის გაშლ.)

1. ა. სმითის მოძღვრება ფინანსების შესახებ გადმოცემულია მისი განოცელება „ხალხთა სიძლიერის ბუნებისა და მიზეზთა შესახებ“ თხზულების მეხუთე ეტიონში. მართალია, საფინანსო მეცნიერების საფუძვლებს, თანანედროვე ვაგ ბ. ი. აქ წიგნში ვერ ვპოულობთ, და სმითს ნახვარცი არა აქვს გამოთქმები: „ფინანსები“, „საფინანსო მეურნეობა“, — მაგრამ სახელმწიფოს ფუნქციების განხილვასთან ერთად ის გვაცნობს საფინანსო მეურნეობის ელემენტარულ საფუძვლებს: საჯარო ხასიათის მოთხოვნები და მათ დასაკმაყოფილებელ საშუალებათა წყაროებს.

სმითი იკვლევს სახელმწიფოს საქმიანობას და მის ამოცანათა მთელ რიგს აკუთვნებს, რომელიც არა მარტო უარყოფითი ხასიათისაა, როგორც მაგ., საზოგადოებრივი თავდაცვა და მართლმსაჯულება, არამედ მის ამოცანადვე მიჩნია განათლება და იმ საერთო სასარგებლო სარწაოთა შენახვაც, რომელიც საკმაოდ ხელსაყრელი არაა კერძო პირთათვის.

სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა, სმითის აზრით, მდგომარეობს საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დაცვაში ძალმომრეობისა და უცხო საზოგადოებათა თავდასხვისაგან. რა მიზნითაც სახელმწიფოს სანედრო ძალა ესაქიროება; ამ ძალის მოსამზადებლად და გამოსაყენებლად, განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, სხვადასხვა ოდენობის ხარჯებია საჭირო, რომელიც საზოგადოების განვითარებასთან ერთად იზრდება.

სახელმწიფოს მეორე ვალდებულებაა, დაიცვას საზოგადოების ყოველი წევრი შევიწროებისა და უსამართლობისგან, ე. ი. დაამყაროს მართლმსაჯულება, რაც სახელმწიფოსგან ხარჯებს მოითხოვს.

სახელმწიფოს მესამე ვალდებულებას წარმოადგენს ისეთ საზოგადოებრივ სარწაოთა და დაწესებულებათა შენახვას, რომელთაც საზოგადოებისათვის დიდი სარგებლობა მოაქვთ, მაგრამ მათი შენახვა კერძო პირთათვის, ეკონომიური მოსაზრების გამო, შეუძლებელია ამგვარ ვალდებულებათაგან პირველ რიგში ისეთი ღონისძიებანი უნდა იქნეს აღნიშნული, რომელნიც აადვილებენ საეკონომიურ თიერობას საზოგადოებაში; ასეთ ღონისძიებებს ეკუთვნის: საფოსტო გზები, ხიდები, სანაოსნო არხები, ნავთსადგურები და სხ., რომელთა ასაგები და შესახანი ხარჯები თანდათან იზრდება. რასაკვირველია, აუცილებელი არაა, რათა ეს

ბარჯები სახელმწიფოს საერთო შემოსავლიდან იქნეს გაღებული; საეცებით დასაშვებია, რომ მათ დასაფარავად ამავე ღონისძიებათაგან მიღებულმა შემოსავალმა იკმაროს.

ბარჯებს მოსახლეობის განათლებაზე სმითი ორ ნაწილად ჰყოფს: ბარჯი, რომელიც ახალგაზდობის აღსაზრდელად არის დანიშნული და ბარჯი, რომელიც სხვადასხვა ჰასაქის პირთა აღზრდა-განათლებისთვისაა დანიშნული. ახალგაზდობისათვის დანიშნულ სასწავლო დაწესებულებებს შესაძლებელია თვითვე ექნეთ საკმაო შემოსავალი ბარჯების დასაფარავად, ან ეს ბარჯი შეიძლება იფარებოდეს ადგილობრივი (პროვინციალური) შემოსავლით. ანდა ვისმე მიერ შეწირული მიწის რენტით ან კაპიტალის სარგებლით. მთავრობის მზრუნველობის საგანს კი უფრო მეტად მოსახლეობის დაბალ კლასთა აღზრდა უნდა წარმოადგენდეს, ვიდრე მაღალი კლასებისა, რისთვისაც სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მასს ელემენტარული განათლების შეძენაში.

დასასრულ, მოხსენებულ უნდა იქნეს აგრეთვე სახელმწიფოს მეთაურის ღირსების დაცვისათვის დანიშნული ბარჯი.

გასავლის აღნიშნულ სახეთაგან თავდაცვისა და სახელმწიფოს მეთაურისათვის დანიშნული ბარჯი საზოგადოების საერთო შემოსავლიდან უნდა იქნეს დაფარული, ვინაიდან ის მთელი საზოგადოების სარგებლიანობას ექსახურება. დანარჩენი ბარჯები კი, თუმცა შესაძლებელია საერთო შემოსავლიდანაც დაიფაროს, მაგრამ უფრო მისაღები და სასარგებლო იქნებოდა, რომ საზოგადოების იმ წრეებს დაეკისროს, რომელნიც უშუალო სარგებლობას იღებენ ამ ღონისძიებათაგან, ე. ი. თუ გამოყენებული იქნება სასაფასურო პრინციპი; ასე მაგ., სასამართლოს ბარჯი შესაძლებელია დაეკისროს იმ პირთ, რომელნიც სასამართლო სამსახურს მიმართავენ; მიმოსვლის საშუალებათა ბარჯი -- მათ, ვინც ამ საშუალებით სარგებლობს, და სხ. თუ ასეთი გზით მიღებული თანხა ვერ დაფარავს რომელსაღმე ღონისძიებაზე გაწეულ ხარჯს, მაშინ დეფიციტი მთელი საზოგადოების საერთო შემოსავლიდან უნდა იქნეს დაფარული.

2. აღნიშნულ ბარჯთა დასაფარავად სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს შემოსავალი: ა) საკუთარი ქონებიდან და შემოსავლის წყაროდან (სამეურნეო შემოსავალი) ან ბ) მოსახლეობის შემოსავლიდან (გადასახადები).

სახელმწიფოს შემოსავლიან წყაროს შესაძლებელია წარმოადგენდეს კაპიტალი ან მიწის საკუთრება. კაპიტალიდან მიღებული შემოსავალი შეიძლება იყოს როგება, როდესაც სახელმწიფო თვითვე მოიხმარს კაპიტალს, ანდა სარგებელი, როდესაც ის ამ კაპიტალს სხვას მიასესხებს. მაგრამ კაპიტალი, მისი არა მუდმივი ხასიათისა გამო, სმითის აზრით, შეუძლებელია მიჩნეულ იქნეს მტკიცე და ურყევი შემოსავლის საფუძვლად. ამ მხრივ უფრო მტკიცე საფუძველს წარმოადგენს მიწის საკუთრება, თუმცა სახელმწიფოს ხელში ის გაცილებით უფრო მცირე შემოსავალს იძლევა, ვიდრე კერძო მესაკუთრეთა ხელში. ამიტომ, სმითის აზრით, უმჯობესია სახელმწიფო მიწები კერძო პირთა მფლობელობაში გადავიდეს, ხოლო, სამაგიეროდ, შემოსავლის ეს სახე რომელიმე სხვით შეიცვალოს.

ვინაიდან კაპიტალისა და მიწის შემოსავალი სახელმწიფო ბარჯების დასაფარავად არაა საკმაო, ამიტომ ამ ბარჯების დაფარვაში მონაწილეობას იღებს



მოსახლეობაც თავისი შემოსავლით. ასეთი მონაწილეობა გამოიხატება ხარკების გადახდაში. ვანიდან ყოველი ადამიანის შემოსავალი სამი წყაროდან მიიღება: მიწის რენტრიდან, მოგებიდან და სამუშაო ხელფასიდან, ამიტომ ხარკიც ერთ-ერთ ამ შემოსავლიდან, ან ყველადაც გადაიხდება.

ხარკის შეწერისა და აკრეფის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ოთხი ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი:

ა. მოსახლეობა მოვალეა მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს შენახვაში იმ შემოსავლის შესაფერად, რომელსაც ის სახელმწიფოს მფარველობით იღებს, ე. ი. ხარკის შეწერის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხარკეულდებულის გადამხდელიობითი უნარი და დატული იქნეს პრინციპი თანასწორობისა.

ბ. ხარკი მტკიცედ უნდა იქნეს განსაზღვრული და არ უნდა იცვლებოდეს: როგორც ხარკის გადახდელისა, ისე გარეშეთათვის, გარკვეული უნდა იყოს ხარკის ოდენობა, მისი გადახდის წესი და დრო. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსახლეობა შევიწროებული იქნება ხარკის ამკრეფთა თვითნებობისაგან, რომელთაც საშუალება ექნებათ საკუთარი შეხედულებისა და სარგებლიანობის მიხედვით შეცვალონ ხარკის ოდენობა.

გ. ხარკის ასაკრეფად ისეთი დრო უნდა იქნეს შერჩეული, რომ გადახდელმა ადვილად შეიძლოს მისი გადახდა; მაგ., მიწის რენტრს ხარკი ისეთ დროს უნდა აიკრიფოს, როდესაც ჩვეულებრივ ამ რენტრს იღებენ; ეს დრო ხარკის გადამხდელისათვის ყველაზე ხელსაყრელი დრო იქნება.

დ. ხარკების ასაკრეფად საჭირო ხარჯი მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი და ხარკის აკრეფა ძვირი არ უნდა ჯდებოდეს; ხარკის აკრეფის სიძვირე კი შესაძლებელია ოთხი გარემოებით იქნეს გამოწვეული: 1) როდესაც ხარკის აკრეფა მრავალრიცხოვან მოხელეთა შენახვას მოითხოვს; 2) როდესაც ხარკი აბრკოლებს მრეწველობას და ზღუდავს ისეთ საქმიანობას, რომელსაც შეეძლო მრავალთათვის მიეცა სამუშაო. ამით ხარკი სპობს იმ ფონდს, რომლიდანაც მოსახლეობას ყველაზე ადვილად შეუძლია ხარკის გაღება; 3) როდესაც შემოღებულია ჯარიმა და სხვა სახის სასჯელი იმ პირებზე, რომელთაც ჰსურთ ვევრდი აუხვიონ ხარკის გადახდას კანონიერი გზით; ასეთი სასჯელი ხშირად სრულიად ანადგურებს მათ და ამით იმ სარგებლობასაც სპობს, რომლის მიღებაც სახელმწიფოს მათი კაპიტალის გამოყენებით შეეძლო; 4) ხარკმა შესაძლებელია გამოიწვიოს ხშირი გამოკითხვა და შემოწმება გადამხდელებისა; ამით გადამხდელებს ზედმეტი უსიამოვნებისა, ძალდატანებისა და შევიწროების ატანა უხდებათ. თუმცა ეს გარემოება ხარჯს არ იწვევს, მაგრამ არსებითად, სმითის აზრით, ეს იგივე ხარჯია, რომელსაც თითოეული გადამხდელი დიდი სიამოვნებით გაიღებდა, ოღონდ ყოველივე ამისაგან თავი დაეღწია.

აღნიშნულ პრინციპთა განხორციელებას, სმითის აზრით, ყველა ხალხი ცდილობს, თუმცა არა თანაბარი წარმატებით.

სმითი არჩევს ოთხგვარ ხარკს, იმ წყაროს მიხედვით, რომლიდანაც უნდა იქნეს ის გადახდილი: 1) მიწის რენტრისა და საბინაო ქირის ხარკი, 2) მოგების ხარკი, 3) სამუშაო ხელფასის ხარკი და 4) ხარკი განურჩევლად შემოსავლის სასხავე წყაროზე.

მიწის შემოსავალზე შესაძლებელია დაწესდეს ერთხელ მტკიცედ განსაზღვრული ხარკი, ან ცვალებადი ხარკი; ეს უკანასკნელი მერყეობს იმ ცვალებადობის მიხედვით, რომელსაც მიწის ნამდვილი შემოსავალი განიცდის. მიწების უცვლელი შეფასება ხარკის დასაწესებლად უზერხულობას ქმნის როგორც გადაწადელებისა, ისე ხაზინისათვის; ამიტომ მიწის ხარკი უნდა იცვლებოდეს შემოსავლის ცვალებადობასთან ერთად. ასეთი ხარკი არა თუ შეასუსტებს მიწების გაუმჯობესებას, არამედ, პირიქით, გააძლიერებს კიდევაც. ცვალებადი ხარკი საზოგადოებრივი მდგომარეობის ყოველგვარი ცვლილებისა, მიწათმოქმედების წარმატებისა ან დაცემის დროს ანდა ფულის ფასეულობის მერყეობის დროს, ოაგისთავად ეგუება სხვადასხვა ცვალებად პირობას.

მიწის ნაწარმოების ხარკი არსებითად წარმოადგენს რენტისა და საიჯარო ქირის ხარკს; საბოლოოდ ის მიწის მესაკუთრეს ეკისრება.

შენობის გაქირავებით მიღებული შემოსავალი ორ ნაწილად იყოფა: ბინის ქირად და მიწის ქირად ან მიწის რენტად. ბინის ქირა წარმოადგენს იმ კაპიტალის მოგებას, რომელიც შენობის ასაგებად არის დახარჯული. რათა სახლის აშენებაზე დახარჯული კაპიტალი თანაბარ დონეზე იყოს, კაპიტალის გამოყენების სხვა სახეებთან შედარებით, საჭიროა, რომ ბინის ქირა საკმაოდ იყოს იმ ნორმის სარგებლის მისაღებად, რომლის მიღებაც შეიძლება კაპიტალის სხვაგვარად გამოყენების დროს და სახლის ნგრევისაგან დასაცავად, ან, — რაც იგივეა, — შენობაზე დახარჯული კაპიტალის მისაღებად. ამიტომ ბინის ქირა ანუ სახლის შენებაზე დახარჯული კაპიტალის მოგება განისაზღვრება ფულადი სარგებლის ჩვეულებრივი ოდენობით.

შენობათაგან ხარკი უნდა დაედვას მხოლოდ საცხოვრებელ ბინებს; წინააღმდეგ შემთხვევაში ხარკი მთლიანად დაეკისრებათ სახლის მფლობელებს, რომელნიც თავიანთი ქონებიდან სარგებლობას ვერ პოულობენ.

მიწის საიჯარო ქირაზე დაწესებული ხარკი ბინის ქირას არ ზრდის და მთლიანად მიწის მესაკუთრეს ეკისრება; ეს უკანასკნელი, მონოპოლისტის მსგავსად, ყოველთვის მალად ქირას მოითხოვს. შენობათა ქვეშ მდებარე მიწის საიჯარო ქირა, ისევე როგორც ჩვეულებრივი საიჯარო ქირა მიწისა, ისეთ შემოსავალს წარმოადგენს, რომელიც ყველაზე იოლად იხდის ხარკს.

კაპიტალის მოგება ორ ნაწილად იყოფა: ნაწილი, რომელიც შედგება სარგებლისაგან და კაპიტალის მფლობელს ეკუთვნის, და ნაწილი, რომელიც სარგებლის გადახდის შედეგად რჩება. მოგების ამ უკანასკნელი ნაწილის დაბეგვრა პირდაპირი ხარკით შეუძლებელია; ის წარმოადგენს ჯილდოს კაპიტალის გამოყენებით გამოწვეული შრომისა და რისკისათვის. თუ ის პირდაპირი ხარკით იქნა დაბეგრილი, მაშინ კაპიტალის გამოყენებელი იძულებული გახდება ან გადაიდოს თავისი მოგება, ანდა — ხარკი სარგებელს გადააქისროს, ე. ი. — კაპიტალის გამოყენებისათვის ნაკლები გადაიხადოს: ასე თუ ისე, ის შეეცდება ამ ხარკიდან თავი გაინთავისუფლოს.

ფულადი სარგებლის დაბეგვრა, მიწის შემოსავალთან შედარებით, ორნაირად შეიძლება სინდელს: 1) ვისმე მფლობელობაში არსებულ ყველა კაპიტალთა ოდნავ მაინც ზედმიწევნითი გამოკვევა შეუძლებელია, მაშინ როდესაც მი-

წის საკუთრების ოდენობისა და ფასეულობის განსაზღვრა ყოველთვისაა შესაძლებელი; 2) კაპიტალის ზღობელს ყოველთვის აქვს საშუალება გადაანაცვლოს კაპიტალის გამოყენების ადგილი, მაშინ როდესაც მიწა ერთდროიანვე ადგილას რჩება, და მიწათმფლობელიც, ძალაუვნებურად, ამავე ადგილთანაა დაკავშირებული. ამ გარემოებათა გამო კაპიტალის დაბეგვრა ზერელედ ხდება და კმაყოფილდებიან თავისუფალი შეფასებით, ვარაუდით, რის გამოც ხარკი მეტად არათანაბარი და გაურკვეველია.

ზოგჯერ, კაპიტალის მოგების დასაბეგვრად, ვაქრობის ზოგიერთ დარგსა და მიწათმოქმედებაში საგანგებო ხარკებს მიმართავენ; მაგრამ ვაქრობის რომელ დარგსაც უნდა ეხებოდეს ხარკი, საბოლოოდ ვაქარს ის არავითარ შეძთხვევაში არ ეკისრება, ვინაიდან მან აუცილებლად უნდა მიიღოს თავისი საქმიანობიდან ნამდვილა მოგება. ასეთი ხარკი აუცილებლად მომხმარებელს ეკისრება, რომელიც ფასში იმ ხარკსაც იხდის, რომელიც ვაქარზეა შეწერილი.

მიწაში გამოყენებული კაპიტალის მოგებაზე დაწესებული ხარკის დროს იჯარადრისათვის ხელსაყრელი არ იქნება წარმოების შემცირება, ვინაიდან ამით მას არ გაუადვილდება ხარკისა და რენტის გადახდა; ამიტომ მისთვის საჭირო არ იქნება ნაკლები პროდუქტების დანზადება და ფასების აწევა, რის გამოც ხარკს ის მომხმარებელს ვერ გადააკისრებს. ამავე დროს მისთვის აუცილებელია ზომიერი მოგების მიღება, რის შესაძლებლობაც მას იმ შემთხვევაში ექნება, თუ მიწათმფლობელს ნაკლებ რენტას გადაუხდის; რაც უფრო მეტი ხარკი დაეკისრება მას, მით უფრო ნაკლები რენტის გადახდას შესძლებს; ასე რომ, საბოლოოდ, ეს ხარკი მიწათმფლობელს დააწევა.

გარდა მოხსენებულისა, აღნიშნულ უნდა იქნეს ხარკი, რომელიც წესდება ქონების ხელიდან ხელში გადასვლაზე; ვიდრე საკუთრება ერთისადაიმავე პირის ხელში რჩება, ხარკი ამ ქონების შემოსავალს ეკისრება და მიზნად არა აქვს მისი ღირებულების ნაწილის მითვისება; მაგრამ საკუთრების ხელიდან ხელში გადასვლაზე დაწესებულ ხარკს ის ახასიათებს, რომ ქონებიდან ის ღირებულების ერთ ნაწილს გამოჰყოფს. ამ მხრივ, უძრავი ქონების დაბეგვრა პირდაპირი ხარკით უფრო ადვილია, ვიდრე მოძრავისა, ვინაიდან პირველის გადაცემა შეუძლებელია დიდი ხნით იქნეს დაფარული, ხოლო ამ უკანასკნელის დაქალაქა უფრო ადვილადაა შესაძლებელი. ამიტომ მათ მიმართ არაპირდაპირ ხარკებს იყენებენ: ვალდებულებას ან ხელშეკრულებას ნამდვილად სთვლიან იმ შემთხვევაში, თუ ის დაწერილია საფასურ-გადახდილ ქალაქზე და სავალდებულოდ სთვლიან ასეთ გარიგებათა საგანგებო დავთრებში შეტანას. ქონების მოქცევის ხარკი ეკისრება იმ პირს, რომელსაც ქონება გადაეცემა. მიწის გაყიდვის დროს კი ხარკი გამყიდველს ეკისრება, ვინაიდან ის ყოველთვის იძულებით ჰყიდის თავის ქონებას; ვაჭირების გამო და მცირე ფასზეც კი თანახმაა, მაშინ როდესაც მყიდველი, რამდენადაც მეტ ხარკს იხდის, მით უფრო ნაკლებ ფასს აძლევს მიწაში.

ქონების მიმოქცევის ხარკი, სმითვის აზრით, ხელს უწყობს კაპიტალების შემცირებას და გამანადგურებელია, ვინაიდან კაპიტალს ხელიდან აკლის ისეთ

პირთ, რომელნიც მწარმოებელ მომუშავეებს ინახავენ, ხოლო მთავრობის შემოსავალს ზრდის.

სამუშაო ხელფასის ხარკს, თუ შრომის მოთხოვნა და სურსათის საშუალო ფასი უცვლელი რჩება, საბოლოოდ მომუშავე არ იხდის; ის მოსახლეობის სხვადასხვა კლასებს ეკისრება, სხვადასხვა გარემოების მიხედვით. სამრეწველო მუშების სამუშაო ხელფასის აწვევა ხარკის დაწესების გამო, საბოლოოდ, დამზადებული საქონლის ფასის აწვევას, გამოიწვევს; ასე რომ, მომატებული სამუშაო ხელფასი ნაწილობრივ მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს. ხოლო თუ ხარკი სოფლის მეურნეობის მუშათა სამუშაო ხელფასს ედება და ამ უკანასკნელს ზრდის, ნაწინ მომატებულ ხელფასს საბოლოოდ მიწათმფლობელი იხდის, ვინაიდან ის შემცირებულ მიწის რენტას მიიღებს. რაც შეეხება თავისუფალი პროფესიის პირთ, აქაც ხარკი ხელფასის გაზრდას იწვევს.

აღნიშნულ სამ მთავარ ხარკს გარდა, არსებობს ხარკი, რომელიც განურჩევლად შემოსავლის ყველა წყაროს ეხება. ასეთი ხარკია: თითოეულ სულზე დაწესებული ხარკი და მოსახმარ საგანთა ხარკი. პირველი ამათვანი დიდად შემავიწროებელია მოსახლეობისთვის და სახელმწიფოსაც მცირე შემოსავალს აძლევს სამაგიეროდ სახელმწიფო მიმართავს არაპირდაპირი ხარკების დაწესებას გასავალზე, იმ მოსაზრებით, რომ მოსახლეობის გასავალი თითქმის სავსებით შეესაბამება მის შემოსავალს, გასავლის დაბეგვრა კი მოსახმარ საგანთა დაბეგვრის საშუალებით ხდება.

მოსახმარ საგანი შესაძლებელია იყოს საარსებო ან ფუფუნების საგანი. საარსებო საგნებზე დაწესებული ხარკი ზრდის ასეთ საგანთა ფასს და სამუშაო ხელფასს, პირველი საქაროების საგანთა ფასების ზრდასთან ერთად. სამუშაო ხელფასის ზრდა კი მრეწველს საქონლის ფასზე გადააქვს და ამრიგად მას მომწარმოებლისაგან ინახლავს. თუ მესარეწე მიწის იჯარადარია, მაშინ ხარკს საბოლოოდ მიწათმფლობელი იხდის საიჯარო კირიდან.

ფუფუნების საგანთა დაბეგვრა კი სამუშაო ხელფასის გადიდებას არ იწვევს; ფუფუნების საგანთა წალალი ფასი არა თუ ამცირებს ლარობი ხალხის საარსებო საშუალებებს, არამედ პირიქით, იძულებითი მომპირნეობის გამო, ხშირად ზრდის კიდევაც.

მოსახმარ საგანთა დაბეგვრა ორი საშუალებითაა შესაძლებელი: 1) შესაძლებელია მომხმარებელმა ყოველწლიურად იხადოს განსაზღვრული თანხა განსაზღვრულ საგანთა მოხმარებისა და სარგებლობისათვის, ან 2) შესაძლებელია დაბეგრულ იქნეს თვით საგნები, ვიდრე ისინი მომხმარებლის განკარგულებაში გადავიდოდნენ. პირველგვარი დაბეგვრა უფრო ისეთ მოსახმარ საგანთა მიმართ გამოიყენება, რომელნიც მტკიცე და მყარი ბუნების არიან (მაგ., ეტლის ხარკი ან ვერცხლის ჭურჭლისა), ხოლო მეორე სახისა -- ისეთ საგანთა მიმართ, რომელნიც დაუყოვნებლივ მოიხმარებიან (სააქციო და საბაჟო ხარკები).

3. დასასრულ, სმითი ეხება სახელმწიფო კრედიტის საკითხს. მისი აზრით, საზოგადოების ჯერ კიდევ პირველყოფილ მდგომარეობაში თავს იჩენს მისწრაფება მომპირნეობისა და ფულის დაგროვებისადმი. მაგრამ ვაჭრობის განვითარება იწვევს შემოსავლის დიდი ნაწილის ხარჯვას ფუფუნებაზე, რაც მომპირ-

ნეობას სპობს და ჩვეულებრივი შემოსავალი მხოლოდ ჩვეულებრივ გასავალს და ფარავს. ამიჯომ როდესაც წარმოიშობა არაჩვეულებრივი ხარჯების საჭიროება (მაგ., ომიანობის დროს), სახელმწიფო იძულებულია სესხს მიჰმართოს. სახელმწიფოსათვის სესხის მიწოდებას ადვილად შესძლებს ისეთი მოსახლეობა, რომელშიც ვაქარ-მრეწველნი ბლომად მოიპოვებიან, თუ, რასაკვირველია, სესხის პირობები მათთვის ხელსაყრელი იქნება. სესხის მიცემით ისინი სრულიადაც არ ამცირებენ იმ კაპიტალს, რომელიც საქმიანობის გასაგრძელებლად არის საჭირო; პირიქით. ზრდიან კიდევაც მას, ვინაიდან მთავრობის მიერ გაცემული ვალდებულება ბირჯაზე ზრუნავს და ხშირად უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე მასში გადახდილი ფასი.

სახელმწიფო რაკი დაიმედებულია იმით, რომ გაკვირების დროს სესხს იშოვის, საჭიროდ აღარ სთვლის სიმდიდრის მარაგის შემონახვას; როდესაც ასეთი გაკვირება დგება, ის პირად კრედიტს მიმართავს და არაეთიარ ფონდით არ უზრუნველყოფს ვალებს; მაგრამ როდესაც ასეთი საშუალებით სესხის მიღება შეუძლებელი ხდება, ის მიმართავს რაიმე ფონდით უზრუნველყოფილ სესხებს. ფონდით უზრუნველყოფის შექთხვევებში შემდეგ საშუალებებს მიმართავენ: 1) სახელმწიფო აგროვებს თავისი შემოსავლის ერთ ნაწილს განსაჯღრუთული ვადით; ეს ნაწილი საკმაოდ ითვლება აღნიშნულ ვადაში როგორც თავნი ვალისა, ისე სარგებლის გასანაღდებლად; ანდა 2) შემოსავლის ნაწილს განუსაზღვრელი ვადით აგირავენ და ეს ფონდი საკმაოდ ითვლება მხოლოდ სარგებლის ზისაკმამად, ხოლო მთავრობა უულებას იტოვებს, შესათფერი შემთხვევის დროს, გამოიყიდოს ეს ფონდი. შუა ადგილი ამათ შორის უქირავს სესხს ვადიანი წლიური შემოსავლით და სესხს სიცოცხლის ხანგრძლივობის წლიური შემოსავლით. ეს უკანასკნელი გრძელდება ან ცალკე პირის სიცოცხლის ხანგრძლივობამდე ან რამოდენიმე მეეალის სიცოცხლია ხანგრძლივობამდე (ტონტინი).

სესხის აღების საშუალებით სახელმწიფოს შესაძლებლობა ეძლევა მხოლოდ რამდენიმედ გაზარდოს ხარჯები ომიანობის დროს და დააკმაყოფილოს არაჩვეულებრივი საჭიროებანი. მაგრამ გადიღებული ხარჯები ომის შემდეგაც რჩება და აღებული ვალის სარგებლის დასათარავად მოიხზარება. სარგებლის გადახდის შემდეგ დარჩენილი გარდამეტი შეიძლება ვალის დასაწრეუ ფონდში გადაირიცხოს აგრამ ხშირად ამ ფონდს სხვა დანიშნულებას აძლევენ და, ამას გარდა, ის არცაა საკმაო ომის დროს გაწეული ხარჯების დასათარავად.

სესხის აღება მუდმივ ასუსტებს სახელმწიფოს; სესხით გამოწვეული ხარჯები, სმითის აზრით, იწვევენ მიწათმოქმედების და ვაჭრობა-მრეწველობის დაღემას. როდესაც სახელმწიფოს დავლიანება დიდი ფარგლებით ხდება, ძნელდება სახელმწიფო შემოსავლის ვალებსგან განტვირთვა; იქ, სადაც აქას ახერხებენ— ეს ყოველთვის აშკარა ან ფარული გაკოტრებით ხდება. ერთადერთი საშუალება ვალებისგან თავის დასაღწევად არის მშვიდობიან წლებში საბიუჯეტო გარდამეტების მოხმარება მთლიანად ვალების დასაწრეტად. ამისათვის კი საგრძნობლად უნდა იქნეს გადიღებული სახელმწიფოს შემოსავალი, ან, —ასევე საგრძნობლად უნდა შემცირდეს ხარჯები.

4. ასეთია ა. სმითის ძირითადი შეხედულებანი საფინანსო საკითხების შესახებ. საფინანსო მოძღვრებას, როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებას, მის სისტემაში ვერ ვპოულობთ, — იგი მხოლოდ ერთი ნაწილია ეკონომიური მეცნიერებისა და ამ უკანასკნელთან ისეთსავე მჭიდრო კავშირშია, როგორც საფინანსო მეურნეობა და კავშირებული სახალხო მეურნეობასთან. თავის საფინანსო მოძღვრებას სმითი სამ მთავარ ნაწილად ჰყოფს: ა) საჯარო ვასავალი (ხარჯები), ბ) საჯარო შემოსავალი და გ) საჯარო კრედიტი, — დანაწილება, რომელიც მის შემდეგ მტკიცედ დამკვიდრდა საფინანსო მეცნიერებაში.

წინააღმდეგ მერკანტილისტური შეხედულებისა სახელმწიფოს ფართო სამეურნეო ფუნქციების შესახებ, სმითი ზღუდავს სახელმწიფოს ამოცანებს. სამეურნეო საქმიანობა სახელმწიფოს ჩამოცილებული აქვს და ასეთი უფლება მას მხოლოდ მაშინ ენიჭება, როდესაც საერთო სასარგებლო ღონისძიების განხორციელება, რაიმე მიზეზის გამო, კერძო ინციტივას არ ძალუძს. ის უარყოფითადაა განწყობილი ღომეწებისა და სხვა სახელმწიფო სამეურნეო სარეწაოებისადმი; სახელმწიფო, ის მოითხოვს მიწების, როგორც სახელმწიფოსათვის არა ხელსაყრელი სარეწაოების, კერძო პირთა მფლობელობაში გადასვლას, ხოლო, სამაგიეროდ, შემოსავლის სხვა წყაროს გამოიხატავს.

სმითისა და აგრეთვე ლიბერალური მიმართულების სხვა წარმომადგენელთა ასეთმა მოთხოვნებამ, რომელიც მე-19 საუკუნის ნახევრამდე გაისმოდა, მართლაც იქონია თავისი შედეგი და საჯარო კავშირთა მიწათმფლობელობა თანდათან წმინდად. მაგრამ შემდეგში, როდესაც საკუთარი მეურნეობის წარმოების ნაცვლად იჯარით გაცემა იქნა შეზღუდული, საყოველთაოდ აღიარეს, რომ სახელმწიფო მიწათმფლობელობას დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს კოლონიზატორულსა და სოციალ-პოლიტიკური მიზნებისათვის და ნაწილობრივ აგრეთვე ხარკის გადამხდელთა ტვირთის შესამსუბუქებლადაცო.

სახელმწიფოს პირდაპირ დანიშნულებად მიაჩნია სმითს, ხარჯი გასწიოს თავდაცვისა და სახელმწიფოს მეთაურისათვის, ხოლო სამართლის წარმოებისა, გზების გაყვანისა და სხვა მსგავსი ხარჯები უფრო სასურველია სპეციალი ნაცვალგების პრინციპის თანახმად იქნეს დაფარული საფასურებისა და გამოსაღებების ფორმით არსებითად. სმითის მიერ დასახელებული სახელმწიფო ამოცანები, ანუ ამადაც საჯარო უფლებრივი კავშირების ძირითად მოთხოვნებებად არის მიჩნეული. მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საჯარო კავშირთა განვითარებამ სმითის მიერ შემოფარგლული ამოცანების წრე საგრძობლად გააფართოვა. — სახელმწიფომ და სხვა საჯარო კავშირებმა უფრო და უფრო ახალი ამოცანები იკისრეს სულიერ და სამეურნეო კულტურის ხელის შესაწყობად და სოციალ-პოლიტიკურ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

მთავარი ადგილი სმითის საფინანსო მოძღვრებაში უჭირავს ხარკებს. სახარკო სისტემას ის დოვლათთა განაწილების ეკონომიურ თეორიას უდებს საფუძვლად. სახალხო სიმდიდრის სამი წყაროს: მიწისა, შრომისა და კაპიტალის მიხედვით, ის განაჩნევს დაბეგვრის სხვადასხვა სახეს, რომელიც ორი მთავარი ჯგუფისაგან შეესდგება: ხარკები, რომელაც შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს ენება და ხარკები, რომელიც განურჩევლად ყველა შათგანს ენება.

ხარკების დასაბუთების მხრივ სმითი უფრო დაზღვევის თეორიას ემხრობა. „ყოველი სახელმწიფოს ქვეშევრდომი,—ამბობს იგი—მოვალეა მონაწილეობა მიიღოს მთავრობის შენახვაში საკუთარი სასარის მიხედვით, ე. ი. იმ შემოსავლის შესაფერად. რომელსაც ის სახელმწიფოს მფარველობით იღებს“. ამით ის ხარკს სახელმწიფოს ჯილდოდ სთვლის ქვეშევრდომთა სიცოცხლისა და ქონების მფარველობისათვის და მის საზომ საფუძვლად პროპორციულ დაბეგრას ღებულობს. სმითის აზრით, სახელწიფო ხარჯებს ქვეშევრდომთათვის იგივე მნიშვნელობა აქვთ, როგორც კერძო მფლობელთათვის—ქონების მართველობისათვის გაწეულ ხარჯებს: ორსავე შემთხვევაში საჭიროა ხარჯები იქნეს გაწეული იმ შემოსავლის შესაფერად, რომელსაც თითოეული მათგანი ღებულობს.

ამრიგად, ხარკების დასაბუთების დროს სმითი კერძო-უფლებრივ თვალსაზრისზე დგას და არ სცნობს სახელმწიფოს უნივერსალურ მნიშვნელობას მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობისათვის. საფინანსო მეურნეობის განვითარება კი, პირიქით, იმ გარემოებას მოწმობს, რომ სახელმწიფოს მიერ ქვეშევრდომთაგან შემოსავლის მიღების დროს არსებითი მნიშვნელობა კერძო-უფლებრივ საფუძველს კი არა აქვს, არამედ საჯარო-უფლებრივ კავშირთა იძულებითი შექმნის უფლებას, ე. ი., კერძო მეურნეობათაგან საფინანსო მეურნეობის წარმართვისათვის საჭირო სახსართა, გადასახადების (ხარკებისა და საფასურების) სახით, იძულებით აღების უფლებას.

სმითის ოთხი პრინციპი დაბეგრისა, რომელთაგანაც პირველი ორი სახარკო სამართლიანობასა და ხარკის საზომ საფუძველს ეხება, ხოლო დანარჩენი ორი—ხარკის აკრეფის ტექნიკას, სახარკო პოლიტიკის სახელმძღვანელო დებულებებს წარმოადგენს ამეამადაც,--ა. ვაგნერისა და სხვების მიერ შემდეგში აღიარებულ დაბეგრის პრინციპთა შორის ისინი თითქმის მთლიანადაა შესული. რასაკვირველია, საფინანსო მეცნიერების შემდეგი განვითარება სმითის პრინციპებით არ დაკმაყოფილებულა; ისინი უფრო მკვეთრად იქნა გამოსახული, შეესებოდა და სახელმწიფოსა და სამეურნეო ცხოვრების ახალ პირობებთან შეგუებულა.

ამ პრინციპებს გარდა, სმითი გამოსთქვამს ზოგად მოსაზრებებსაც ხარკების შესახებ: ასეთია, მაგ., მისი შეხედულება ხარკების გადაკისრების შესახებ; უმრავლეს შემთხვევაში, სმითის აზრით, ხარკის მზიდველია მიწისმფლობელი, ანდა მომხმარებელი. სმითი ვერ არჩევს საკმაოდ კანონმდებლის მიერ გათვალისწინებულსა და გაუთვალისწინებულ გადაკისრებას, თუმცა ის დიდ მნიშვნელობას აძლევს სახალხო მეურნეობის წყევრებს შორის სახარკო ტვირთის გადასანაწილებლად წარმოებულ სამეურნეო ბრძოლას და ხარკების გაუტუნას საქონლის ფასებზე. გარდა ამისა, აღსანიშნავია სმითის შეხედულება კაპიტალის დაბეგრისა და მიმოქცევის ხარკის უარყოფითი მხარეების შესახებ, ხარკების აკრეფის იჯარით გაცემის წესისა და მონოპოლიის უფარგისობის შესახებ და სხ..

სმითი, მსგავსად ფიზიოკრატებისა და იუმისა, უარყოფითადაა განწყობილი საჯარო კრედიტისადმი, რომელიც არანორმალურ საფინანსო საშუალებად მიაჩნია; სესხის საჭიროებას ომიანობის დროს ის იმით ხსნის, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობა საკმაო მოქირნობას ვერ ეწევა და ბედოვლათობა მშვიდობიან-

ნობის დროს სესხის საკურობებს იწვევს ომიანობის წლებში. ნორმალურად, სმითის აზრით, მხოლოდ ისეთი მდგომარეობაა მისაჩნვეი, როდესაც სახელმწიფო ვალის აულებლად ახერხებს ხარჯების დაფარვას. უკვე დავალიანებული სახელმწიფოსათვის კი ის აიჩევს ვალების დაშრეტას ბიუჯეტის გარდამეტრიდან და სახელმწიფო მიწების გაყიდვით მიღებული შემოსავლიდან.

სმითის შეხედულება საჯარო კრედიტის შესახებ საფინანსო მეცნიერებისა და პოლიტიკის შემდეგმა განვითარებამ არ გაამართლა; საჯარო კრედიტმა მხურვალე დამცველები ჰპოვა როგორც საფინანსო მეცნიერებაში (როგორც მაგ., კ. დიტცელი, ლ. შტანი, ად. ვაგნერი), აგრეთვე საფინანსო პოლიტიკაში, რა გარემოებასაც უმთავრესად ხელი შეუწყო საჯარო-უფლებრივ კავშირთა ამოცანების გაფართოებამ. საჯარო კავშირთა მარადისობის იდეის განვითარებამ, მოსახლეობის გადამხდელობითი უნარის გაზრდამა და საკრედიტო დაწესებულებათა გაფართოებამ შესაძლებლობა მისცა ყოველ ეკონომიურად მოწესრიგებულ სახელმწიფოს, ვალი აიღოს ისეთი არაჩვეულებრივი ხარჯების დასაფარავად, რომელთა ზომა აწინდელი თაობის გადამხდელობით უნარს აღემატება.

სმითის მნიშვნელობა საფინანსო მეცნიერებისათვის, როგორც ამას ა. ვაგნერი აღნიშნავს, მის ორიგინალობაში კი არ მდგომარეობს, არამედ უმთავრესად დალაგების ფორმასა, მრავალმხრივი მასალის შეერთებასა და თეორიულ და პრაქტიკულ შეხედულებათა სწორ დაკავშირებაში; მან თავი დააღწია წინამორბედთა დოქტრინერულ ცალმხრივობას და ამით დიდი გავლენა იქონია პრაქტიკაზე.

სმითის საფინანსო მოძღვრების უფრო ფართო განვითარებას კი ის უშლიდა ხელს, რომ, როგორც აღნიშნეთ, საფინანსო მეცნიერება და საფინანსო მეურნეობა მას განოყოფილი არა აქვს ეკონომიური მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობიდან.

### ლიტერატურა:

1. A. Smith, Eine Untersuchung über Natur und Ursachen des Volkswohlstandes. Bd. III. Jena 1923.
2. K. Jentsch, Adam Smith, Leben und Lehre. Berlin 1905.
3. W. Lotz, Adam Smith, ein Jubiläum („Schmollers Jahrbuch für Gesetzgebung, Verwaltung und Volkswirtschaft im Deutschen Reich“, Bd. 51, Heft 1, Feber 1927).
4. — — Finanzwissenschaft, Tübingen 1917.
5. A. Wagner, Finanzwissenschaft, I Theil. Leipzig 1883.
6. K. Th. v. Eheberg, Grundriss der Finanzwissenschaft. Berlin 1926.
7. — — Art. Finanzwissenschaft, Handwörterbuch der Staatswissenschaften IV Bd. Jena.
8. M. v. Heckel, Lehrbuch der Finanzwissenschaft, I Bd. Leipzig 1907.
9. F. Meisel, Art. Geschichte der deutschen Finanzwissenschaft im 19 Jahrhundert bis zur Gegenwart, Handbuch der Finanzwissenschaft Bd. I, Tübingen 1925.



## გ. ნათაძე.

### ნაპოლეონ I-ის დაწინაურების მიზეზები.

I

#### ლიტერატურის მიმოხილვა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს დროში შეუძლებელია ვინმე ფიქრობდეს, რომ ნაპოლეონის საფრანგეთში განდიდებას რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდეს თანამედროვე პოლიტიკაში, მაინც მეცნიერული და სწორედ წმიდა მეცნიერული ინტერესი ამ არაჩვეულებრივ მოვლენისადმი არა სცბრება. ჯერ ხომ საზოგადოდ მასალების დაგროვება ნაპოლეონის პიროვნებისა და საზოგადოდ მისი დროის შესასწავლად, განსაკუთრებით საფრანგეთის სამეცნიერო პერიოდულ ლიტერატურაში, გოძელდებოდა დიდ ომის დაწყებამდის, შემდეგ ნაპოლეონის სიკვდილისა, ასი წლის თავზე განცხადებულა მუშაობა და ახლა, როდესაც საფრანგეთიდან თანდათან ეღებულობთ 1920-იანი წლების ლიტერატურას, ირკვევა, რომ ამ წლებში ბევრი რამ ახალი გაკეთებულა ამ საკითხის გაშუქებისათვის. მაინც რით აიხსნება ის, რომ ინტერესი ნაპოლეონის პიროვნებისადმი არ სცბრება, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკული პოლიტიკური მნიშვნელობა ამ საკითხს სრულიად არა აქვს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გამოიკვია ყველასათვის რუსეთის რევოლუციის მიმართულება და ჩინეთის რევოლუციის ხასიათი. ჩემის ფიქრით, ეს აიხსნება იმითი, რომ ხალხს და მათ შორის მეცნიერთა ერთნაწილსაც თანდაყოლილი აქვს ერთგვარი მოწინებითი დამოკიდებულება დიდ პიროვნებათადმი და ხშირად უნებურად ამა თუ იმ ისტორიული გმირისადმი ინტერესი მისდაღი თაყვანისცემად გადაიქცევა. დღემდის მეცნიერული მიდგომა ისტორიული საკითხების ახსნისა იქამდის სუსტად არის გავრცელებული, რომ დიდი მოვლენები და დიდი გამარჯვებები პოლიტიკურად და რეალისტურ აზროვნებაში გაუწვრთნელ კაცს, თუნდაც მეცნიერი იყოს იგი, მაინც ყველა ეს პიროვნების საქმედ ეჩვენება და ამიტომ, რასაკვირველია, ეს პიროვნება, დევ-გმირულ და ხშირად ლეთაებრივ შარავანდელით იმოსება.

ამიტომ არ სცბრება ჩემის აზრით ნაპოლეონის პიროვნებისადმი ინტერესი. ამიტომაც აქვს დღესაც ჯერ კიდევ ადგილი ნაპოლეონის პიროვნების საკითხს მეცნიერებაში. დღეს უკვე ბევრი რამ ნაპოლეონის პიროვნების შესახებ გამოიკვევულია, მაგრამ მაინც მეცნიერება ირევა იმ საკითხებში, თუ როგორ მოხდა ნაპოლეონის პოლიტიკური გარდაქმნა, ე. ი. როგორ მოხდა, რომ ის რესპუბლიკის მომხრე იყო და შემდეგ უაღრესი მონარქიის მომხრე გახდა. ხომ

არ იყო აქ წინასწარ გათვალისწინებული დემონიური გეგმა. თუ ეს ასეა, მაშინ ნაპოლეონი გვეხატება არაჩვეულებრივ დემონიურ პიროვნებად, რომელიც რე ვოლუციის დასაწყისშივე მის შედეგს განსპვრეტდა და ომისათვის ემზადებოდა. ამგვარი ცრუ რწმენა ჯერ მთლად არც მეცნიერებიდან არის გამოდევნილი და ამიტომ ვასაკვირალი არ არის, რომ თვით ოლარი, 80 წლის ოლარი, მეცნიერულ კვლევა-ძიებაში ღრმად მოხუცებული და საფრანგეთის რევოლუციის უდიდესი სპეციალისტი, იკვლევს ჯერ კიდევ იმ საკითხს, იყო თუ არა ნაპოლეონი გულწრფელი რესპუბლიკელი, თუ ის ქვეყანას თვალს უხევდა, რომ გავლენა მოეპოვებინა ხალხში და მერე ამ გავლენით ესარგებლა თავის დიქტატურის დასამყარებლად<sup>1</sup>. რასაკვირველია, კარგად იცის პროფ. ოლარმა მეცნიერული კრუმორწმუნობა იმის მაგვარი, როგორც აქვს ცნობილ ნეკლევეარს ნაპოლეონის ცხოვრებისას სლოონს, რომელიც თავის დიდ გამოკვლევას იწყებს შემდეგი ფრაზით: „ნაპოლეონ ბონაპარტე დიდის შრომით და გაკვირებით ნაბიჯ-ნაბიჯ ავიდა რევოლუციონური ძლიერების მწვერვალზე კეთილგონიერების და ეშმაკობის (хитрости) საშუალებით, მხედართმთავრის პოლიტიკური მოღვაწის არაჩვეულებრივი გენიოსობის მეოხებით“<sup>2</sup> (ხაზგასმული ჩვენია) ისე გამოდის, თითქოს ნაპოლეონს თავიდანვე დასახული ჰქონდა მიზნად იმპერატორობა და იცოდა, რომ რევოლუციონური მოძრაობის დროს თვალთმაქცობით, თავის მოკატუნებით და ომებში გამარჯვების საშუალებით ბოლოს და ბოლოს თავის მიზანს მიახწევს. მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, რომ სლოონის აზრით, ნაპოლეონს თავიდანვე, როდესაც ის პატარა კორსიკელი კაცი იყო, უკვე სკოდნია თავისი მომავალი ბედი, თუმცა არ ვიცით, რა გრძნეული განკერძოების საშუალებით გაუგია მას.

არსებითად ეს აზრი იჯივია, რაც მეცხრამეტე საუკუნეში გამოთქმული ტიერის აზრი, რომელიც თავის შრომაში: „Histoire du consulat et de l'empire“ ცდილობს დაამტკიცოს, რომ ნაპოლეონი მოწოდებული იყო, რომ შეესრულებინა თავისი საიდუმლო მისია, რომელიც თვით ბედის წერამ დააკისრა მას, და ისიც ამ მისიას საუცხოოდ ასრულებდა. ბედისწერის მოწოდება ნაპოლეონისადმი მდგომარეობდა იმაში, რომ მას დაესრულებინა რევოლუცია მონაქველ ფორმებში და რევოლუციის მიერ დამყარებული პრინციპებისათვის მიეცა ცხოვრებაში ძალა საიმპერატორო ტახტისა, რომის პაპის სანქციისა და ახალი არისტოკრატის დასტურის საშუალებით. ამიტომ ავიდა ის ტახტზე, ამიტომ მოიწვია რომის პაპი და ექურთხა იმპერატორად, ამისათვის შექმნა მან ახალი წესების ერთგული არისტოკრატია<sup>3</sup>.

ამგვარად ტიერი ამ შრომაში არა თუ ამართლებს, არამედ აღიღებს ნაპოლეონს, მაგრამ ეს ქება-დიდება არ არის მეცნიერულად დასაბუთებული. იგი დაფუძნებულია ბრმა, მისტიურ რწმენაზე ნაპოლეონის მოწოდების შესახებ. ტიერის მოწინააღმდეგეები, მართალია, უფრო მეტის საბუთებით არიან აღკუთრულ-

<sup>1</sup>) Aulard, Bonaparte républicain.

<sup>2</sup>) С а с о н. Новое жизнеописание Наполеона. С.-II-гудр 1896 г. გვ. 3.

<sup>3</sup>) К а р е е н. Ист. Зап. Еур. т. IV, стр. 56.

ნი, მაგრამ არსებოდაც ისინიც იმავე არანეცნეიერულ ნიადაგზე დგანან, თუმცა წინააღმდეგ ტიერისა, ნაპოლეონს კი არ აღიღებენ, პირობით ცდილობენ დაარღვიონ ის ლეგენდა, რომლითაც ნაპოლეონი იყო ნოსილი ტიერის მიმდევართა თვალში. მაგრამ ობიექტური შეფასება ნაპოლეონის მოღვაწეობისა, მისი ისტორიული მნიშვნელობა. ეს არც ამ შრომებშია გამორკვეული, თუმცა ამ მეცნიერთაგან ტენი დიდი მეცნიერია და სწორედ ის შრომა, რომელშიაც მას ნაპოლეონის ისტორია აქვს მოთავსებული, კლასიკურ შრომად ითვლებოდა მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდის (თანამედროვე საფრანგეთის წარმოშობა<sup>1</sup>). მის შემდეგ ბევრი მიმდევარი გაუჩნდა ერთსაც და მეორესაც, მაგრამ მეცნიერულ ნიადაგზე ნაპოლეონის პიროვნების გამოკვლევა მხოლოდ ამ ბოლო დროს დადგა, როდესაც აუარებელი მემუარები გამოიცა. სლონი<sup>2</sup> აუღმცა მას დიდი მასალა აქვს ხელთ, ზაინც ეერ განშორებია ნაპოლეონის პიროვნებისადმი ბრმა თავყვანისკემას და საკითხს ისევე ისე აყენებს არსებითად, როგორც წინაღ. ნაპოლეონი, რალაც თავის გრძნეული ძალის და შორსმჭვრეტელობის საშუალებით, გრძნობდა, რაც უნდა მომხდარიყო და მოიძახდა ნიადაგი, რომ შემდეგ შესაფერი დროით ესარგებლა და იმპერატორი გამხდარიყო. აქედან ცხადია, რომ დღესაც ჯერ კიდევ ახალია პრობლემა მის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა ნაპოლეონ ზონაპარტი. მარალაც იგი ასეთი ძლიერი, შორსმჭვრეტელი, თვალთმაქცი რამ იყო, რომ წინდაწინვე გრძნობდა რაც მოელოდა საფრანგეთს და მას, თუ ეს იყო ადამიანი მისი ჩვეულებრივი სისუსტით, მხოლოდ დიდი ნიჭით აღტურვილი და, თუ მან არაჩვეულებრივ განდიდებას მიაღწია, არა იმიტომ, რომ პატარაობითვე ამ მიზანს ისახავდა, არამედ იმიტომ, რომ საფრანგეთის და მსოფლიოს პირობებზე შეუზადეს მას ნიადაგი, თვით ნაპოლეონი კი მხოლოდ მარჯვეთ იყენებდა ყოველ შექმნილ მომენტს და გარემოებას და თავისდა მოულოდნელად მიაღწია ისეთ დიდებას. პირველ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ ნაპოლეონი იყო მეტისმეტი თვალთმაქცი, გაიძეერა, მატყუარა და ამასთან გამპრიანზი და შორსგამჭვრეტე და ეს თვისებები გულქვეობასა და უღმობელობასთან დაკავშირებით მასში იქამდის ძლიერი იყო, რომ ადამიანობის საზღვარს სცილდებოდა. ამიტომ ნაპოლეონი იმ თვალსაზრისის მიხედვით უნდა წარმოვიდგინოთ. როგორც დემონიური ხასიათის არსება, ზებუნებრივი თვისებებით აღტურვილი, ზეკაცი და ბოროტი გენია ისტორიისა. მეორე თვალსაზრისის მიხედვითაც ნაპოლეონი იმგვარისავე თვისებებით აღტურვილ ზეკაცად გვევლინება, იმ განსხვავებით კი, რომ წინააღმდეგ საზოგადოების აზრისა, წუთიერ ლმობიერების გრძნობებისა და ეთიკისა, იგი არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა და არაფერს არ ზოგავდა, ოღონდ მიზნისათვის მიეღწია და განუხორციელდებინა ის დიდი ისტორიული მისია, რომლისათვისაც იგი იყო მოწოდებული, რომელიც სრულიად არ ესმოდათ მის თანამედროვეებს.

ორივე შემთხვევაში ნაპოლეონი გამოდის მატყუარა და თვალთმაქცი და იმავე დროს შორსმჭვრეტელი კაცი. ამიტომ არც მისი რესპუბლიკის მომხრეობაა სანდო, არც იაკობელების და არც სხვა. ის თუ თავის მოღვაწეობაში ვის-

1) Taine Origines de la France contemporaine.

მე ან რაიმე მიმართულებას ებრძოდა, ეს თვალთმაქცობა იყო ან იმისათვის, რომ უფლება მოეპოვებინა და განეხორციელებინა ის, რაც თვითონ ჰქონდა მიზნად დასახული, ან იმისათვის, რომ რევოლუციონერ ქართველში თავი გადაერჩინა. არასოდეს და არსად იგი არ უნდა ყოფილიყო გულწრფელი. რა თქმა უნდა, ის არაჩვეულებრივი გულქვა, ნებისყოფიანი და თავდაპირველი კაცი უნდა ყოფილიყო, რომ ისეთ საერთო ენტუზიაზმის ხანაში არაფრით არ გატაცებულყო და ყველგან მხოლოდ მშრალი და ცივი ანგარიში ჰქონოდა. ამ დახასიათებიდან ნაპოლეონი გვიდგება თვალწინ არა როგორც ცოცხალი ადამიანი, რომელსაც კარგიც ბევრი აქვს და ცუდიც, რომელიც ბუნებრივად სიხარულსაც გრძნობს, ტანჯვასაც, სისუსტესაც, არამედ როგორც განხორციელება რალაც არაჩვეულებრივი განუწყნებელი თვისებებისა. რამდენად ადისტურებს ამას არსებული მასალა ნაპოლეონის პიროვნების შესახებ, რამდენად გულწრფელი იყო და გატაცებული ნაპოლეონი თავის მოღვაწეობის ცალკე მომენტებში? ეს პრობლემები ამ ეამად გადამწყვეტ მნიშვნელობას ღებულობენ. ალბათ ოლარსაც ამ მიზეზით დაუსევას ნაპოლეონის სიკვდილის 100 წლის თავზე საკითხი, იყო თუ არა ნაპოლეონი ნამდვილი და გულწრფელი რესპუბლიკელი, თუ იმისი რესპუბლიკის მომხრეობა ცარიელი თვალთმაქცობა იყო.

ოლარი დიდი ხანია სპეციალურად აწარმოებს მუშაობას საფრანგეთის რევოლუციის გარშემო და სხვათა შორის, გარდა სპეციალური ჟურნალისა, აქვეყნებს თითქმის პერიოდულად გამოკვლევებს შემდეგი სათაურით: „Etudes et leçons sur la révolution française. 1914 წლიდან ამ წიგნების გამოსვლა შეწყდა და ომის შემდეგ მხოლოდ 1920-იან წლებში განახლდა. 1924 წლის წიგნი ამავე სათაურით თავიდან ბოლომდის ნაპოლეონის, პიროვნებასა და მის ისტორიულ მნიშვნელობას ეხება. ზემოაღნიშნული გამოკვლევა (Bonaparte républicaine) ამ წიგნშია მოთავსებული<sup>1</sup>.

1921 წლიდან მეც ვცდილობდი ნაპოლეონის პიროვნების გარშემო მეწარმოებინა კვლევა-ძიება, რამდენადაც ეს ტფილისში შეიძლებოდა, მაგრამ იქამდის ნაკლები მასალა ენახე იმ აუარებელ ლიტერატულიდან, რომელიც ეხება ნაპოლეონის საკითხს, რომ, თუნცა ჩემთვის გამოიკვია ბევრი რამ საგულისხმო და ისეთი რამ, რის გამოკვეყნებაც უეჭველად ღირდა, მაგრამ საკმაო პირველწყაროების უქონლობის გამო მე ჩემი გამოკვლევების გამოკვეყნება ვერ გავებდე, რადგანაც დასაბუთება ყველასათვის გასაგებად და დამარწმუნებლად შეუძლებლად მიმაჩნდა<sup>2</sup>. ახლა, როდესაც მე მივიღე ახალი წიგნები, რომელშიც ირკვევა, რომ საფრანგეთში დიდი სპეციალისტების მიერ ნაწარმოები მუშაობა იმ საკითხების და თითქმის იმავე დაკენების გარშემო ტრიალებს, რის გარშემოც ტრიალებდა ჩემი აზრიც, მე საკიროდ ვთელი გამოვაქვეყნო ჩემი დასკვნები, მით უნეტეს, რომ პირველწყაროებიდან ამონაწერის მაგიერობას ზოგიერთ შემთხვევაში ახლა გამიწივს ოლარის მიერ ამონაწერი ადგილები იმ პირველწყაროებიდან, რომელიც მე ხელთ არ მომეპოვება.

<sup>1</sup>) Etudes et leçons... par Alphonse Aulard 1924, p. 71 და შემდ.

<sup>2</sup>) მხოლოდ 1922 წ. ერთი მოხსენება წავიკითხე ამ საკითხის შესახებ საისტორიო საზოგადოებაში. ამ მოახსენებაში მე სწორედ ზემოაღნიშნული საკითხები ჰქონდა წამოყენებული

მიუხედავად ამისა, მაინც ძნელია ტფილისში მკვლევარმა ნაპოლეონის მოღვაწეობის საკითხში სრულიად ახალი რამ შესძინოს მეცნიერებას, მაგრამ ამგვარ გამოკვლევას შეუძლიან ახალი რამ შეიტანოს ისტორიულ აზროვნებაში და შემეცნებაში, ანდა განამტკიცოს სალი რეალისტური აზროვნება ისტორიის მოღვაწეების შეთასებაში, გააქროს ის ჯერ კიდევ ძლიერი ნაშთი მეტაფიზიკური აზროვნებისა. რომელიც მკითხველ საზოგადოებაში ჩვენშიც და ევროპაშიც ჯერ კიდევ მეტისმეტად ძლიერია. შეიძლება ვთქვათ, რომ ამ მიზანს ემსახურება მეცნიერება მეოცე საუკუნის დამდეგიდან დღევანდლამდის ნაპოლეონის მოღვაწეობის კვლევა-ძიების პროცესში. ამიტომ მეტად დიდი ლიტერატურა დაგროვდა. შეიძლება ვთქვათ, რომ Arthur Lévy შემდეგ, რომელმაც პირველად 1893 წელს გამოაქვეყნა თავისი წიგნი ნაპოლეონის შესახებ, ისტორიული მეცნიერება ამ საკითხში ახალ ხაზს დაადგა<sup>1</sup>. ართურ ლევი საკითხს რეალურად და უფრო მარტივად მიუდგა. მას მიზნად ჰქონდა დასახული გაეფანტა ის გამაბრუნებელი ბურჟუაზია, რომელიც ნაპოლეონის პიროვნებას ჰქონდა მონათესაო ისტორიულ მეცნიერებაში და გამოვიდა წინააღმდეგ ტენისა და ტიერის მეტაფიზიკურ კონცეპციებისა. მაგრამ ეს ისტორიკოსიც ვერ შეჩერდა ობიექტურ პოზიციანზე. ისიც ნაპოლეონის ქება-დიდებაზე გადავიდა, თუმცა თავის მოსაზრებებს აუარებელ დოკუმენტალურ მასალებზე აფუძნებდა. მაინც Arthur Lévy შრომაში ნაპოლეონი დახასიათებულია როგორც ცოცხალი, მოქმედი ადამიანი, განსაზღვრული (საშუალო) წოდების წევრი და მისი ზრახვების და სურვილების განმანხორციელებელი. ცხადია, რომ მაინც ამ ისტორიკოსის შრომა სრულიად არ არის საკმარისი მეტაფიზიკური ბურჟუაზიის გასაფანტავად. რამდენად მაინც ისტორიულ მეცნიერებას ჯერ ვერ დაუძლევია ძველად განმტკიცებული აზრი, ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს Vandalის ორტომიან შრომიდან, რომელიც 1910 წელს არის გამოსული. იმის მიდგომა ნაპოლეონის ანალებებისა და განდიდების მიზეზების გამოკვლევისადმი წარმოადგენს დიდ ნაბიჯის გადადგმას<sup>2</sup>. ის საკითხს აყენებს ისე, როგორც მართლაც შეჭერის მეცნიერ ისტორიკოსს: ის ამტკიცებს, რომ ნაპოლეონის განდიდების მთავარი მიზეზი ჩამარბულია საფრანგეთის საზოგადოების მდგომარეობაში, მის საზოგადოებრივ მარაზში და პროსტრაციაში. საფრანგეთი რევოლუციონურად განწყობილი აღარ იყო და რევოლუციონურად მოწყობილი კი იყო („La France, qui n'était plus révolutionnaire, restait révolutionnée“), რაც გამოიხატებოდა, Vandalის აზრით, საშინელ ძალმომრეობაში, ანარქიაში და იაკობელთა ჯგუფების თვითნებობაში და დიქტატურაში. აი ამ მიზეზით იყო, რომ ფრანგებს ნაპოლეონი მხსნელად მიაჩნდათ („Voilà pourquoi les Français accueillirent Bonaparte en libérateur“).

თუ მაინც რამდენად შემცდარია Vandal და რამდენად უაღბლო საფუძველზე დგას იგი თავის მსჯელობაში, განსაკუთრებით ცხადად ჩანს მის მიერ აწერილ სურათში გლეხების მდგომარეობისა საფრანგეთის რევოლუციის დროს. ის ამტკიც-

<sup>1</sup>) Arthur Lévy, Napoléon intime, 1893.

<sup>2</sup>) Vandal, L'Avenement de Bonaparte, t. I, pp. 30-79.

ვებს, რომ გლეხების მდგომარეობა ძლიერ გაუმჯობესდა და საბუთად მოკყავს ერთ წყაროდან ამონაწერი, რომელშიც ნათქვამია, რომ მიწა იყიდებოდა ერთი შესამდე და ხან ორჯერ უფრო ძვირად, ვიდრე რევოლუციამდე. Vandalის ავიწყდება, რომ იმ დროს ისე გაძვირებული იყო ყველაფერი, რომ დანარჩენი საქონელი, გარდა მიწისა, მრავალჯერ იყო გაძვირებული და არა ერთი ნესამედით. ამიტომ ერთი შესამდე გაძვირება იმ დროს გაძვირებას კი არა, ვაიაფებას ნიშნავდა. შემდეგ Vandalის სევას საკითხს, იყო თუ არა გლეხთა ცნობა კნაყოფილი თავისი მდგომარეობისა, და ამბობს, რომ არ იყო კნაყოფილი, რადგანაც სარწმუნოებრივი დევნის წინააღმდეგ ის არა თუ უკნაყოფილებას აცხადებდაო, ბოძოქრობდაო. გამოდის რომ ეკონომიურად დაკნაყოფილებული გლეხობა მხოლოდ მღვდლების დასაცავად და იბრძვის, როგორც პირდაპირ ამბობს Vandalის. ეს წარმოუდგენელია და არ შეეფერება იმ ცნობებს, რომელიც ახლა არსებობს მეცნიერებაში. მართალია, კონტრ-რევოლუციონურ რაიონებში მღვდლების ქადაგებას ჰქონდა გასავალი, მაგრამ რომ საერთოდ გლეხთა ცნობა კონვენტის მუშაობის დასასრულამდის ეკონომიურად ძლიერ დაუკნაყოფილებელი იყო, ეს ახლა უდავოა. მხოლოდ ვანდალს ხელთ არ ჰქონია ის მასალები და ის გამოკვლევები, რომლებიც ახლა არსებობს და 1920 წლის შემდეგ არის აღმოჩენილი და გამოქვეყნებული.

Vandalის აზრით, ნაპოლეონის განდიდებით და გამეფებით მხოლოდ ის შეიცვალა, რომ მრავალი უბადრუკი დესპოტების მაგივრად გაჩნდა ერთი განუყოფელი და დიადი ტირანია (échangeront si facilement l'oppression de misérables despotes contre une haute et impartiale tyrannie".). ისე რომ, ვანდალის აზრით, ტირანია განხორციელებული იყო უკვე ბონაპარტის გამეფებამდის. ტირანიად მას მიაჩნია გლეხობის აჯანყებები და ძალმომრეობა, იაკობელების დიქტატურა, ბაბუეზების გავრცელება ხალხში და მრავალი სხვა ამგვარი მოვლენები. Vandalის სიტყვა რომ გავაგრძელოთ და აზრი განვავითაროთ, გამოდის, რომ რევოლუციონური მოძრაობის განვითარების სხვადასხვა მომენტებმა აღზარდეს ნაპოლეონი და განავითარეს მასში მისდა შეუმჩნეველად აზრი დიქტატორობისა და ხელში ძალაუფლების ჩადების შესაძლებლობისა. ისე რომ, ეს მომენტები რომ არ ყოფილიყო, რევოლუციონური საზოგადოება რომ არ მოეცვა მარაზმს, ნაპოლეონს, შეიძლება, ფიქრადაც არ მოსვლოდ ის, რაც მან შემდეგში ისე თავხედა და კანდიერად განხორციელა. ეს აზრი სალია და სწორია, ეს დასკვნა აუცილებელია Vandalის მოსაზრებებიდან, მაგრამ Vandalის ამ დასკვნამდის ვადაპკრით არ მიდის. რაც შეეხება მის დახასიათებას საფრანგეთის რევოლუციონურ საზოგადოებისას, იგი სწორეა როგორც გარეგნული დახასიათება. ხოლო რა მიზეზი იყო გლეხების აჯანყებებისა, იაკობელთა დიქტატორისა, ეს მას ახსნილი არა აქვს და საკითხის გამოსარკვევად კი ამას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. Vandalის სიტყვებიდან ისე გამოდის, რომ მაშინდელი საზოგადოება — როგორც ოფიციალური ხელისუფლების მატარებელი, ისე ხალხის მასები — რაღაც ბოროტი ნებისყოფით იყო გამსჭვალული, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს იყო ბრძოლა გაუნათლებელი ხალხისა, თორემ „განათლებული“ ბურჟუაზია ამ ძალმომრეობას არ ჩაიდენდა. ამგვარი შეხედულება სრულიად მიუ-

ღებელია ნეცნიერული ვალსაზრისით, ვინაიდან არავითარი განყენებული ნებისყოფა არ არსებობს, ყოველი მისი გამომდინარეობა რაიმე მწვეავე რეალურ, პირდაპირ ეთქვას, კლასობრივ, ნივთიერ ინტერესებზეა დაფუძნებული. რა შევიწროება აიძულებდა გლეხობას, რომ არ მოესპო აჯანყებები, ან იაკობელთა მასებს, რომ არ დატყარალიყვნენ და ახალ-ახალი მოთხოვნები წამოეყენებინათ? ის რომ მათი ელემენტარული, ნივთიერი, ფიზიკური არსებობისათვის საჭირო მოთხოვნებიანი სრულიად არ იყო დაკმაყოფილებული. ისე რომ ვიდრე საზოგადოების ფსიქოლოგიურ განწყობილებას და მის მიერ შექმნილ ტერორს, რაც ბევრს ანაბქიად ეჩვენებოდა, საფრანგეთის მთლიანად და კერძოდ დაბალი კლასების ეკონომიურ მდგომარეობას არ დაუკავშირებთ, ვერ გავიგებთ იმას, თუ როგორ შექმნა და „აღზარდა“ მაშინდელმა საზოგადოებამ ნაპოლეონი მისი ავიო და კარგათ, მისი უნართი და ნებისყოფით.

Vaudall ეს ესმის და ცდილობს ეკონომიურ საფუძველზე დაყენოს მის მიერ დახატული სურათი რევოლუციის დროის ცხოვრებისა. ვნახათ, როგორ ახასიათებს ის მაშინდელ ეკონომიურ მდგომარეობას. მისი სიტყვით, დიდი ეროვნული კრიზისი არსებობდა. არაეინ არ იყო ნივთიერად უზრუნველყოფილი. არაეინ არ ჰქონდა საშუალება თავის საჭიროების დასაკმაყოფილებლად ამა თუ იმ საქმისათვის მოეკიდნა ხელი, ან ეყიდნა რამე. ან გაეყიდნა, ან პირობით შეჰკეროდა სხვას. ტერორი და მაქსიმუმის კანონი არავითარ აპის საშუალებას არ აძლევდა (*La terreur même et la loi du maximum n'avaient pas totalement suspendu la vie économique française, si elles l'avaient effroyablement perturbée*<sup>1</sup>). ეს ერთის მხრივ უცნაური ფრაზა, მეორეს მხრივ ექვს არა სტოვებს, რომ Vaudall ტერორს და მაქსიმუმის კანონს დიდ ბრალსა სდებს საფრანგეთის ეკონომიურად დაქვეითებაში, განსაკუთრებით იმ გარემოებას, რომ არც ერთი და არც მეორე არ იქნა გატარებული თავიდან ბოლომდის როგორც გარკვეული და ურყევი სისტემა. ცხადია, ჩვენ ისტორიკოსს ეს ორივე ზონა გაბატონებული დემოკრატიის მიერ შემოღებული, ავადმყოფურ მოვლენად მიაჩნია, მაგრამ რამ გამოიწვია ეს მოვლენა, თუნდაც ავადმყოფური უკუილიყო იგი, ამის ასწნა მასსების ეკონომიურ მდგომარეობაში და მათ უწყაყოფილობაში უნდა ეფიქით. Vaudall კი მის ძებნა არ ზეუძლიან. ვინაიდან მისი მიდგომა საფრანგეთის ეკონომიური მდგომარეობის განორკვევისადმი საფუძველზე არ არის სწორი. ის ამბობს, რომ რევოლუციამდის საფრანგეთი ეკონომიურად აყვავებული იყო. მას ჩამოთვლილი აქვს ის ქალაქები, სადაც წარწველობა იყო აყვავებული (მარსელი, ბორდო, ლიონი, პარიზი). თან იმასაც აღნიშნავს, რომ სურათი საფრანგეთის ეკონომიურ მდგომარეობისა დიდ კონტრასტებს წარმოადგენდა<sup>2</sup>. ერთი მხრივ მდიდარი ბურჟუაზია და პრივილეგიით აღჭურვილი ხალხი და მეორე მხრივ დაბეჩავებული მუშები და გლეხობა. რევოლუციამ კი გააქრო ყოველივე ეკონომიურ წარმატების საშუალება<sup>3</sup>. აღარც კაპიტალის მოძრაობა და ტრიალი იყო, აღარც მსხვილი წარმოება, აღარც სოფლად მსხვილი მეტრნება.

<sup>1</sup>) Albert Vaudal, იქვე p. 51.

<sup>2</sup>) Vaudal, იქვე. გვ. 52—53.

<sup>3</sup>) იქვე.

ყელა ამასთან ერთად გაქრა ბრწყინვალეობა და კმაყოფილება. სამაგიეროდ გამეჯდა წვრილი მეურნეობა. ყოფილი თავადები ვინც კი დაჩა საფრანგეთში და ემაგრავიანი არ წაივია, უუბადარუკ არსებებს წარმოადგენდენ<sup>1</sup>. რევოლუციას, მართალია, არ შეუქმნია წერილი საკუთრება, მაგრამ კი გაანთავისუფლა იგი. დაფუძნებელმა კრებამ მისი ბრძნული პრინციპები განახორციელა. მოსპო ფეოდალური გადასახადები, მეთადები და ბეგარა, მოსპო შინაური საბაჟოები, გაათავისუფლა სოფლის შრომა და სხ.<sup>2</sup> ამნაირი სურათი გვაფიქრებინებს, რომ სწორედ მდამიო ხალხის ბოროტი ნებისყოფა იყო ის არევ-დარევა და სისასტიკე, რომელმაც მოიკლა საფრანგეთი, თორემ რალა უნდოდა გლახობას და ნუნებს იმის მეტი, რაც აქ არის აწერილი? საქმე კი სულ სხაფრივ იყო. Vandalმა არ იცის, რომ დაფუძნებელ კრებას სინამდვილეში, ფაქტიურად არც ფეოდალური გადასახადები მოუსპია და არც შრომა გაუთავისუფლებია. სიძვირით და ეკონომიური დაქვეითებით, რომელსაც მართლაც განიცდიდა საფრანგეთი იმ დროს, ისევ მოეპკრე ბურჟუაზია სარგებლობდა და თავისი სპეკულაციით უფრო მეტ გაქირვებაში აგდებდა მუშებს და გლეხებს. აი რამ გამოიწვია „არანორმალური“ მდგომარეობა, აუცილებლობა ტერორისა, დიქტატურისა და მაქსიმუმის კანონებისა, აი რამ გამოიწვია ბაბუვისტური მოძრაობა, რომელიც ისე საშინლად სძაგ Vandalს<sup>3</sup>.

ცხადია, რომ ამ სინამდვილემ „აღზარდა“ ნაპოლეონი, ამან ჩაუნერგა მას არა მარტო დიქტატორობის აზრი, არამედ ბურჟუაზიისადმი ზიზლიც, ამანვე ჩაქრო მას, როგორც შემდეგ დაინახავთ, ვულში ანთებული ცეცხლი რევოლუციონური პრინციპების თავყანისცემისა. Vandalს, მიუხედავად მის მიერ წინ გადადგმულ დიდი ნაბიჯისა, ეს მაინც ვერ გაუგია და ამ ნაკლის შეეცების საკიროების აღნიშვნა დღეს ჩვენი მიზანი. მაშასადამე, თუ მართლაც ნაპოლეონს მისი აზრები აღნიშნულ გარემოების ნიადაგზე შექმნილმა მომენტებმა ჩაუნერგა და ასე თანდათან რევოლუციამ იგი მიიყვანა დიქტატორობამდის, ყოველი მომენტი მისი მოქმედებისა უნდა ყოფილიყო რამდენადმე მაინც გულწრფელი. აი რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნაპოლეონის საკითხში გულწრფელობის პრობლემას და მაშასადამე მის ფსიქოლოგიას.

## II

### ნაპოლეონი კორსიკის პერიოდში.

ნაპოლეონის მოღვაწეობის შეფასების საკითხის ზემოაღნიშნულ ნიადაგზე დაყენებისათვის ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს მის ბავშობითვე შეთვისებულ ჩვეულებს და შექმნილ შთაბეჭდილებათა და ცნებათა მარაგს. რადგანაც ნაპოლეონმა ბავშობა კორსიკაში გაატარა, ამიტომ ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა კუნძულ კორსიკის შინაურ და გარეშე მდგომარეობას 1750-იანი წლებიდან. ამ საკითხსაც მიქცეული აქვს ყურადღება. მხოლოდ ამ დროის კორსიკის მდგომარეობის დროს.

<sup>1</sup>) Les ex-nobles non émigrés sont plus malheureux des êtres იქვე. 54.

<sup>2</sup>) იქვე. გვ. 55.

<sup>3</sup>) ბაბუვისმ იმ უბედურებათა შორის ასახელებს, რომელიც საფრანგეთს ეწია რევოლუციის დროს.



მარეობის მეკლევერთა რიცხვი ძლიერ ცოტაა. წმინდა წყლის ისტორიკოსებს ჯერჯერობით ნაკლებად აინტერესებს ეს კუნძული თავის თავად. თუ ზოგიერთი დაინტერესებულთა, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამ საკითხს დამოკიდებულება აქვს საფრანგეთის ისტორიასთან და პირადად ნაპოლეონთან. ეს კუნძული მისი ყოფა-ცხოვრებით უფრო სოციოლოგისათვის და კულტურის ისტორიკოსებისათვის იქნებოდა საინტერესო, რომ მისი მდგომარეობის დამოუკიდებელი კვლევა ეწარმოებინათ, მაგრამ ის, რასაც სოციოლოგს მისცემს ეს კუნძული, მათ მიერ უკვე სხვა უფრო ეგზოტიურ ხალხებში არის აღმოჩენილი. ამიტომ ისევ ისტორიკოსები თუ დაინტერესდებიან ამ კუნძულით, ვინაიდან მას შნიშვნელობა ჰქონდა, გარდა ზემოაღნიშნულისა, აგრეთვე ინგლის-საფრანგეთის დამოკიდებულების ისტორიაში. ამას გარდა ერთი საინტერესო მსოფლიო ისტორიული საკითხიც სწუდება კორსიკის შესწავლით, საკითხი მცირე და ჩამორჩენილი ერების დამოკიდებულებისა ევროპის მეტროპოლიებთან რევოლუციონურ ხანაში. როდესაც ამ მცირე ერებსაც განთავისუფლების იმედი ეძლევათ, თავის დამზავრელ ერის რევოლუციონურ დემოკრატიას ემზობიან ამ იმედით და ბოლოს აქედან გამოდის სრული იმედების გაცრუება, ვიდრე რევოლუცია ბურჟუაზიულ რევოლუციად რჩება. კორსიკის მიმართ საკითხი ამ ფართობში წამოყენებული არ არის, თუმცა გამოკვლევებში მრავალი ფაქტია აღნიშნული, რომელიც ასე თუ ისე ამ საკითხის პასუხს წარმოადგენს.

ერთი სიტყვით, კორსიკის ისტორია მრავალმხრივ არის საინტერესო მსოფლიო ისტორიისათვის და თუ დღემდის მას სპეციალური მკვლევარები არა ჰყავდა, ამას იქით მაინც, იმედია, განოუჩნდება. ამის სიმპტომია 1925 წელს გამოსული სპეციალურ გამოკვლევა კორსიკის შესახებ. იგი სწორედ იმ ხანას ეხება, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს: 1758—1789 წლებს<sup>1</sup>. არის კიდევ ერთი ანგვარი შრომა 1923 წელს გამოსული, მაგრამ ეს შრომა ეხება ერთად კორსიკას და სარდინიას და, გარდა ამისა, რომის ბატონობის ხანას. ჰაინც ეს მეორე გამოკვლევაც სიმპტომატურია, თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენ არ გამოგვადგება.

აქამდის კი კორსიკის ისტორიას გაცვრით ეხებოდნენ ნაპოლეონის ცხოვრების ამწერელნი და მეკლევარნი. ყოველ შემთხვევაში, უნდა ითქვას, რომ კორსიკის ისტორიის ანგვარი გამოკვლევაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, ვინაიდან დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფსიქოლოგიური შემზადება მისცა კორსიკამ თავის ავკარგით ნაპოლეონს და ამით წაერთვა კიდეც ერთი აგური იმ ფანტასტიურ შენობას, რომელიც ტენმა, ტიერომ და მათ მიმდევრებმა ააგეს ნაპოლეონის მონუმენტად. ანგვარ შრომათაგან ხელთ მაქვს შრომა Chuquetის, Пэарისა (რუსულ თარგმანი), Stendhalის მოგონებები და ტრაჩესკის გამოკვლევა (რუსული).

<sup>1</sup>) Villat Louis. La corse de 1768 à 1789. Besançon 1925, 2 vol.

<sup>2</sup>) Ettore Pais. Storia della Sardegna e della Corsica durante il dominio romano. Roma 1923, 2 vol.

<sup>3</sup>) Chuquet, La jeunesse de Napoléon 1900. Илер, История Наполеона I, перевод. 1893 г. Stendhal, Vie de Napoléon. Paris. 1896. Трачевский проф. Наполеон. I. Первые шаги и консульство 1769—1804. Мемуары о нем и о немцах.

რა თქმა უნდა, ლიტერატურის ამოწურვა ამ შრომებით ფიქრადაც არ არის მოსასვლელი, მაგრამ, როგორც ვიცი, მთავარ მიმართულებათა დახასიათება და საკმაო ფაქტიური მასალის თავის მოყრა იმ შემუარების დამატებით, რომელიც ჩემს განკარგულებაშია, სრულიად შესაძლებელი უნდა იყოს. ყველაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ ხელთ არა მაქვს Edouard Driault გამოკვლევა, რომლის მეოთხე ტომიც გაომეიდა 1924 წელს და, როგორც რეცენზენტი ამბობს, თითქმის დამთავრებულია მთელი იმისი დიდი შრომა. თუმცა მართალია, იმისი შრომა უმთავრესად ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკის გამოკვლევას წარმოადგენს, მაგრამ მის მიერ თავმოყრილი მასალების გაცნობა ბევრს რასმე მოგვცემდა.

ამას გარდა, როგორც ეტყობა, ამ ისტორიკოსს საკითხი ძლიერ საინტერესოდ აქვს დაყენებული. რეცენზენტი R. Guyot ამბობს, რომ ამ გამოკვლევაში უმთავრესად სამი საკითხია ყველაზე უფრო საყურადღებო. პირველი ის, რომ Driault არა სწერს ისტორიას ნაპოლეონის მტერ-მოყვარეებისას, ის ცდილობს მხოლოდ ნაპოლეონის აზრები და ზრახვანი გამოიკვლიოს (*rechercher la pensée de Napoléon*), მაგრამ რეცენზენტს არ მოსწონს, რომ ის არ ეხება იმას, თუ რამდენად შეთანხმებული იყო ნაპოლეონის აზრები საფრანგეთის ერის მისწრაფებასა და საპირობასთან (*dans quelle mesure la pensée napoléonienne sur le grand Empire est en accord avec les tendances et les besoins de la nation française*). ნაპოლეონის აზრი დიდი იმპერიის შესახებ იმპერატორის საიდუმლოება (*le „secret“*) იყო, თუ არა და საზოგადოდ რამდენად განსაზოგოცილებელი იყო; თუ იგი კიმერიული პოლიტიკა იყო? იყო თუ არა იგი შეთანხმებული არა მართო საფრანგეთის ტრადიციებსა და გრძნობებთან, არამედ მთელი იმპერიის ერების ინტერესებთან<sup>1</sup>.

მართლაც ეს მოთხოვნები ნაპოლეონის ეპოქის მკვლევარისათვის აუცილებელ მოთხოვნებად გადაიქცა და, თუ მართლა ეს ნაკლი აქვს ჩვენ მიერ აღნიშნულ ავტორს, დიდი ნაკლი ჰქონია. ყოველ შემთხვევაში რეცენზენტი არაფერს არ ამბობს იმაზე, აქვს თუ არა ჩვენს ავტორს მოხსენებული ნაპოლეონის ნორჩობა კორსიკაზე ცხოვრების დროს და ამ კუნძულის ავკარგის გავლენა მისზედ. ამიტომ დაეუბრუნდეთ ზემოაღნიშნულ ისტორიკოსებს და ენახოთ, თუ რას ამბობენ ისინი კორსიკის ცხოვრებაზე მე 18 საუკუნის ბოლოში.

უპირველეს ყოვლისა საპიროდ ვრაც აღნიშნო, რომ არც ერთ შრომაში, რომელიც მე ხელთ მაქვს, არ არის საკმარისად გამოკვლეული ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა კორსიკის ავკარგს და მის მდგომარეობას მე 18 საუკუნის ბოლოს, ნაპოლეონის გამოსვლისათვის და საზოგადოდ საფრანგეთის როგორც რეაქციონული, ისე რევოლუციონური ელემენტების დასახასიათებლად. კორსიკისადმი დამოკიდებულება საკადი პუნქტი იყო ყველასათვის, აქ ირკვეოდა ვინ რამდენად ღრმად იყო განსკვავული რუსსოს და მის მიმდევართა იდეალებით და რამდენად ცარიელი ლამაზი სიტყვები იყო ბურჟუაზიულ დემოკრატე-

<sup>1</sup>) *Revue historique*. 50 e année. Tome CXLVIII p. 106. Edouard Driault. Napoléon et l'Europe. Le grand Empire. 1924. par R. Guyot.

ბისათვის როგორც ეროვნული თავისუფლება, ისე მოქალაქობრივი. საქმე იქამდის არის მისული, რომ ის მცირე, სხარტულად შეკრებილი ცნობებიც კი, რომელიც მოიპოვება სტენდალის წიგნში, რიგიანად არ არის გამოყენებული, გარდა იმ უქანასკნელი გამოკვლევისა (Villat), რომელიც ზევით მქონდა დასახელებული. მაგრამ თვით ამ გამოკვლევაში, თუმცა ერთის მხრივ ძლიერ საინტერესო ცნობებია მოცემული, განსაკუთრებით, კორსიკის გენოზიურ მდგომარეობის შესახებ, რომელსაც სხვები თითქმის არ ეხებოდნენ, მაგრამ ნაპოლეონის საკითხისათვის ამის მნიშვნელობა ჩვენ თვითონ უნდა გავითვალისწინოთ. უკრ ავწეროთ, თუ რას წარმოადგენს კორსიკა თავის ბუნებრივი თვისებებით და მდებარეობით. ეს კუნძული, მივირინოთ გადაკარგული უდიდესი ზღვის სივრცეში, მოწყვეტილი ქვეყანას, და ხელუხლებელი ცივილიზაციის მიერ, ყუკელთვის იპყრობდა ყურადღებას, როდესაც კი ევროპაში იმპერიალისტური ტენდენციები და პოლიტიკა გაძლიერდებოდა. ასე იყო რომის იმპერიის დროს და ასე მოხდა მე-18 საუკუნეში, როდესაც ინგლისი და საფრანგეთი გაათრებით ებრძოდნენ ერთმანეთს ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე გავლენისათვის და აზიასთან სავაჭრო კავშირისათვის. თავისთავად, თავის ბუნებრივი სიმდიდრით ეს კუნძული არაფერს სახარბიელს არ წარმოადგენდა და არ წარმოადგენს. თუ ძლიერი სახელმწიფოების ყურადღებას იპყრობდა იგი, მხოლოდ ისე, როგორც ბაზა ხმელთაშუა ზღვაში მოსიაზულე გემებისათვის, განსაკუთრებით ინგლისისათვის, რომელსაც არავითარი ნათესაყუდარი ამ ზღვაზე არ ჰქონდა და გიბრალტარის ხელში ჩაგდების შემდეგ ამ ზღვაზე გავლენას კი ცდილობდა. ეს კუნძული დაშორებულია ქალაქ გენუას 250 ვერსით<sup>1</sup>. იგი წარმოადგენს მთების უშველებელ დაჯგუფებას (vaste aggrégation de montagnes),<sup>2</sup> რომლის მწვერვალებიც დაფარული იყო წაბლის, მუხის და ფიჭვის ტყეებით,<sup>3</sup> პრიმიტიული, ხელუხლებელი ულრანი ტყეებით,<sup>4</sup> მთები დასერილია ღრმა ხეევებით<sup>5</sup> რომლის ძირზედაც შეხვდებოდა კაცი ცოტაოდენ ნოყიერ მიწას, დამუშავებულს და მცენარეულობით დაფარულს<sup>6</sup>. დღეს ამ კუნძულზე ცხოვრობს დაახლოებით 300,000 კაცისაგან შემდგარი ტომი, მე 18-საუკუნეში კი იყო ცოტაოდენი მოსახლეობა, თითქმის ველური ხალხისა. ეს ხეები ერთმანეთისაგან გაყოფილია მაღალი მთებით და ამნაირად მთელი კუნძული ბუნებრივად დაყოფილია ხეევბად. თვითველ ხევს რქმევია pieve, რაც ნიშნავს თემს (paroisse, commune)<sup>7</sup>. თვითველი თემი ჰქვება რამდენიმე გეარს.

როგორც Stendhalის და Трачевскийს აწერიდან ჩანს, ეს კუნძული ამ 11<sup>1</sup>/<sub>2</sub> საუკუნეშიც შორს არ წასულა თავის განვითარებით, მაგრამ ამას ზღერო მკაუთოდ დავინახავთ, როდესაც შევეხებით ხალხის ყოფა-ცხოვრებას და მის

<sup>1</sup>) Трачевский, op. cit. გვ. 1.

<sup>2</sup>) Stendhal, op. cit. p. 6-7.

<sup>3</sup>) Трачевский, იქვე.

<sup>4</sup>) Stendhal, იქვე.

<sup>5</sup>) Stendhal, იქვე.

<sup>6</sup>) ibidem.

<sup>7</sup>) Stendhal, 6-7.

ეკონომიურსა და საზოგადოებრივ სტრუქტურას. ზნეობრივი მხარე კორსიკის ხალხის თვისებებისა კარგადაა აქვს აწერილი ტრაჩევისკის და იმასვე ადასტურებს აგრეთვე Stendhal. ძლიერ მკათიოდ და ნიშანდობლივ აქვთ მათ დახასიათებული ნახევრად ველური კორსიკელის თვისებები. ეს ხალხი ჯერ ახლაც შეტად გაუნათლებელია „იმათ ახლაც ბუნების შეილება სთვლიანო“, ამბობს პროფესორი. კორსიკელი ქალები კიდევ უფრო გაუნათლებლები არიან, ვიდრე მამაკაცები. ამ საუკუნე ნახევრის წინად ხომ კორსიკა პირდაპირ „პირველყოფილი მდგომარეობის ნაშთად ითვლებოდა“.

კორსიკელი, ტრაჩევისკის აღწერით, უბრალო და მარტივია, ფხიზელი და პატრიოსანი. ქურდობა მათში არასოდეს არ ხდება. იგი უშიშარი და შეუდრეკელია განსაცდელში, კუჭტი ბუნებისაა: არ იცის გართობა და სიცილ-ხარხარი, მზიარულება. მას გამჭირაბი გონება აქვს, იგი ძლიერ ადვილად ამჩნევს სხვის სუსტ მხარეს და უყვარს „კორსიკული ისრებით“ ჩხვლეტა, ე. ი. მწარე გესლიან სიტყვებით სხვისი გულის მოკვლა (ils étaient méfiants, soupçonneux (Chuquet t. I p. 6). საზოგადოდ გვაროვნულ წესწყობილების და შედლის ნიადაგზე ვითარდება წერხილმანი პოლიტიკანობა და ეს ჩვეულებრივ დიდი დიპლომატიური ნიჭი და უნარი ჰგონიათ, როგორც ინტრიგანობა; კლასობრივ ნიადაგზე კი საზოგადოდ ვითარდება პირდაპირი და ნამდვილი პოლიტიკოსობა. ამისთანა ხალხს დიდ საქმეში პოლიტიკურ ნაბიჯების გადადგმის უნარი არა აქვს და წერილობაში კი და თავის პირად მდგომარეობის გაუჩჯობების მოწყობაში ის მოქმედი და იშირად მიზანსაც აღწევს. ეს მიაჩნია მას პოლიტიკურ ნიჭიერებად და განვითარებად. მან არ იცის შეურაცყოფის დავიწყება და შურისძიების დიდი მოყვარულია. ვენდეტა მათში იგივეა, რაც ზოგიერთ ჩვენებურ ტომებში სისხლის აღება, რომელიც იქაც, როგორც ჩვენში, ყოველი პატრიოსანი კაცისათვის საეკლდებულოდ ითვლება<sup>1</sup>, ამიტომ კორსიკელი ბუნებით პოლიტიკოსი და ინტრიგანი იყო<sup>2</sup>. ამიტომ იყო იგი ექვიანი და უნდობელიც. ეს ფსიქოლოგია ჩვენთვის ადვილი გასაგებია, ვინაიდან მოგვაგონებს ზოგიერთ ჩვენ ტომებს: ხეესურებს, სვანებს. ამიტომ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეს ფსიქოლოგია სრულიად გარკვეული კულტურული საფეხურის დამახასიათებელია, რაც ჩვენთვის უფრო დიდნიშვნელოვანია, ვიდრე ფსიქოლოგია ამ ხალხისა. მარტივი და მიაბიტი ეშმაკობა და მასთან პირდაპირობა, შურის მიძიებლობა და სისხლის აღების ჩვეულება, განსაკუთრებით სიამაყე და ქედ-მოუხრელობა, რომლის ძალითაც, როგორც ამბობს პროფ. ტრაჩევისკი, თვიდებული კორსიკელი თავის თავს კეისარის თანასწორად სთვლიდა<sup>3</sup>, მოგვაგონებს გარკვეულად და ურყევად გვაროვნულ წესწყობილებაში მყოფ ხალხებს. მართლაც, როგორც უკვე აწერილი გქონდა, თვიდებული თემობა, ან ხევი რამდენსამე გვახს შეიცავდა. როგორც

1) Трачевский, *იქვე*, გვ. 1—2. Chuquet, *op. cit.* t. I, p. 8

2) Chuquet, *ibid.* p. 10.

3) ნაპოლეონი ეტყოდა ხოლმე თავის დებს: თქვენ სთვლიდებნ რომ ვუყუროთ, გეგონება ჩვენ სამეფო გვაროვნე მიგვილია ჩვენი განსვენებული მამა-მეფისაგანო. (Трачевский, *op. cit.* გვ. 2). კორსიკელების ამგვარივე დახასიათება იხ. Плещинს წიგნი.

ამბობს Stendhal, ეს გვარები მხოლოდ რამოდენადმე იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, ჩვეულებრივ კი მათ შორის განუწყვეტელი ბტრობა იყო (*Chaque pieve nourrit quelques familles influentes, se détestant cordialement les unes les autres; quelquefois liguées ensemble, plus habituellement ennemies*)<sup>1</sup>. როდესაც მათ გარეშე საშიშროება ემუქრებოდა, მაშინ შეერთდებოდნენ რაზდენიმე თვით. საზოგადოდ ტუციის უფლება მეფობდა მათში და კორსიკელს. ისე სიცოცხლე არ შეეძლო, თუ არა ცხარე სიკვარულში ან სიძულვილში. როგორც ყოველთვის ამ მდგომარეობაში. მყოფ ხალხში, აქაც სრული უფლებრივი თანასწორობა მეფობდა. გავლენიან გვარს არაფერში არ უცხადებდა მორჩილებას თავისუფალი კორსიკელი, თუნდაც ნაკლებ გავლენიანი გვარიშვილი ყოფილიყოს. აგრეთვე წერილი მესაკუთრე არაერთარ შემთხვევაში არ ეახლებოდა და არ ახლდა დიდ მესაკუთრეს, თავის მეზობელს. ის მხოლოდ ნივიდოდა მასთან ომის დროს თავის საკუთარი თოფით და ნებაყოფლობით, როგორც სრულუფლებიანი წევრი თემთა სამხედრო კავშირისა, საერთო ლაშქარს შეუერთდებოდა. ეს შეერთებაც იმ შემთხვევაში ხდებოდა, თუ მისი თამოყვარება შელახული იქნებოდა იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც შელახული იყო მისი მეზობლის თავმოყვარება (*„Il vient se joindre avec son fusil sur l'épaule, quand sa vanité est blessée par la même cause, que celle de son voisin“*)<sup>2</sup>. Stendhal ამბობს აგრეთვე, რომ, თუ პაოლი ერთ დროს ძლიერი იყო და ებრძოდა გენუელებს და ფრანგებს, ეს იმით აიხსნება, რომ მას ბევრი თემი ეხმარებოდა<sup>3</sup>. ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ პარლის არ ჰქონია შემოღებული არაერთარი არმიის ორგანიზაცია. აქაც ნებაყოფლობით შეკრებილი ლაშქარი ყოფილა, რათგანაც, როგორც ეტყობა, გენუელების და მეკე ფრანგებისა მიერ კენძელის დაპყრობა ყოველ კორსიკელს ერთნაირად სჩაგრავდა და თავმოყვარებას ულახავდა. ასე ახასიათებს კორსიკის ყველა ისტორიკოსი, რომელთა გაპოველევებიც კი მეხელთ მქონდა, იმ განსხვავებით, რომ ზოგი უფრო უკეთ, მისწრებულად და ნიჭიერად ხატავს თავის აზრს, ზოგი ნაკლებ, ზოგი უფრო ღრმად იხედება კორსიკელის გულის სიღრმეში, ზოგი ნაკლებ. მე თუ სიგებთან შედარებით Stendhalს მივეცი უპირატესობა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ მწერლის ცნობები უფრო უახლოვდება პირველ-წყაროს ხასიათს, როგორც თანამედროვეს მიერ შეკრებილი. ამას გარდა, Stendhal ძლიერ ნიჭიერი და შეგნებული მწერალია, რაც სხვათა შორის კორსიკის ყოფა-ცხოვრების აღწერიდანაც ჩანს, რომელშიც მოკლედ და მკაუთოდ, სწორედ მნიშვნელოვანი თვისებების აღნიშვნით და მათი ხაზგასმით ახასიათებს როგორც კორსიკის ბუნებას, ისე კორსიკელების ეკონომიკურ ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებას, როგორც შეგნებული და თავის ნოვალეობის ერთგული აღამიანი გვიდგება თვალწინ Stendhalს აგრეთვე წინასიტყვაობაში, საიდანაც ჩანს, რომ მას ზედმიწევნით და სავესებით ესმის თავისი მოვალეობა ამ წიგნის წერის დროს. ობიექტივიზმი მთავარი თვისებაა მისი ნაწე-

<sup>1</sup>) Stendhal, *ibidem*.

<sup>2</sup>) Stendhal, *ibidem*,

<sup>3</sup>) Stendhal, *ibidem* p. 28.

რისა. მისი მიხედვრილობა და ალლო იქამდის მიდის, რომ იმის ნაწერიდან დაკვირვებული მკითხველი მიხედება, რომ კორსიკელების ეკონომიურ ცხოვრებასა და მათ ზნე-ჩვეულებას<sup>1</sup> შორის მკვიდრო კავშირი არსებობს. ჯერ ზნე-ჩვეულების აღწერა გვიყენებს კორსიკელებს თვალწინ, როგორც სრულიად გარკვეულ კულტურულ საფეხურზე მდგომ ხალხს და, როდესაც მათი ეკონომიური ცხოვრების მიმოხილვას გაეცნობით, მაშინ უფრო ვრწმუნდებით, რომ ჩვენი მიხედვრა სწორია. კორსიკის ბუნება ღარიბია, დასამუშავებელი მიწა ძლიერ მცირეა. უმეტესი ნაწილი მიწისა გამოსადეგია საძოვრად. ამიტომ სასოფლო მეურნეობა კორსიკაზე ძლიერ მცირედ იყო განვითარებული. თითქმის მთელი კორსიკა წარმოადგენდა მხოლოდ საძოვარს<sup>2</sup>, ისე რომ კორსიკელების მთავარი და თითქმის ერთადერთი ხელობა მეჯოგეობა იყო. სამუშაო იარაღიც ამის შესაფერის ჰქონდათ და, რაც უფრო მთავარია; ხალხი სისტემატიურ კულტურულ მეშაობას არ იყო შეჩვეული. ამ პირობებში ვერც ხელოსნობა, მრეწველობა და ეპკრობა ვითარდებოდა, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როდესაც კორსიკა ქვეყანას მოწყვეტილი იყო. ამიტომ არც გზები იყო გაყვანილი ხევებს შორის, სანამ საფრანგეთის მთავრობამ არ გაიყვანა სტრატეგიული მოსახრებით. ხალხი ცხოვრობდა ქობის მაგვარ სახლებში, რომელიც აქა-იქა მთაზე იყო მიკრული, და იქ შუა ცეცხლის გარშემო საქონლის ბეწვიან ტყავებზე ეძინათ ოჯახის წევრებს<sup>3</sup>. ეს სახლებიც არ იყო უზრუნველყოფილი, რათგანაც მთიდან ისეთი ნიაღვრები მოვარდებოდნენ ხოლმე, რომ ბევრი უბედურება დაატრიალდებოდა.

ამიტომაც კორსიკელი ბევრი ტანჯვის ამტანი და გაუტეხელი ხასიათისა იყო, თუმცა კულტურული მეშაობის სიმძიმის ატანა არ შეეძლოთ. ამ პირობებში რასაკვირველია არც კლასობრივი დანაწილება არსებობდა კორსიკაში. ქალაქები, ამ სიტყვის ნამდვილი აზრით, არ არსებობდა, და სოფლის მცხოვრებლებს შორის კი ერთგვარი მოსახლეობა იყო, გაყოფილი მხოლოდ გვარებად. როგორც Stendhalის სიტყვებიდან ჩანს<sup>4</sup>, კოტაოდენი ქონებრივი უთანასწორობა უკვე შემოღული იყო, ისე რომ არსებობდა ძლიერი გვარი, უფრო დიდი ქონების პატრონი, და უფრო სუსტი გვარი, ნაკლები ქონების პატრონი; მაგრამ ამათ შორის მორჩილებითი დამოკიდებულება არ არსებობდა. მცირე გვარიშვილი დიდ გვარიშვილს არა თუ არ ემსახურებოდა, მის წინაშე ქედს არ იღრეკდა და ცდილობდა მას არაფერში ჩამორჩენოდა. საზოგადოდ კორსიკელის ინდივიდუალიზმი, პირადი მედიდურობა და სიამაყე, რის გამოც კორსიკელი არა თუ მტრულ განწყობილობასა, არამედ თავის მიმართ გულციობასა და უყურადღებობასაც კი ვერ ითმენდა, იმითი აიხსნება, რომ იქ კლასობრივი დაჯგუფება სრულებით არ არსებობდა. გვაროვნული მუღლი, ამ ნიადაგზე აღმოცენებული, საერთო ინტერესების შექმნას ხელს უშლიდა და დიდი უბედურება უნდა დასტეხოდა თავს კორსიკას, რომ გვარები შეერთებულიყვნენ. აი რას გვიკარნახებს ყველა ის ცნობები, რომელიც ჩვენ ამჟამად მოგვეპოვება.

<sup>1</sup>) Revue de Synthèse historique t. XXXIX 1925, p. 177.

<sup>2</sup>) Проф. Трачевский. op. cit. გვ. 1.

<sup>3</sup>) Stendhal. იქვე.

კორსიკელის დეკლასიური ფსიქოლოგია იყო აგრეთვე მიზეზი იმისა, რომ მათ ისე ადვილად შეითვისეს გამათავისუფლებელი აზრები და გაგებით კი იგი ვერ გაიგეს. რატომ და როგორ ვერ გაიგეს, ამას შემდეგში დავინახავთ. მე-თვრამეტე საუკუნეში, სწორედ ინგლის-საფრანგეთის საკოლონიო ბრძოლის ხანაში ევროპამ მიაქცია ყურადღება ამ კუნძულს. თუმცა პირდაპირ არაფერ ამბობდა, თუ რა მიზეზით დაინტერესდა საფრანგეთი ამ კუნძულით, მაგრამ ყოველი ღრმად ჩახედული კაცი ამას მიხვდება, განსაკუთრებით, ჩვენს დროში, როდესაც ეს ხანა კარგად არის შესწავლილი, თუმცა არსად შემხვედრია, რომ ისტორიკოსები პირდაპირ ამბობდნენ ამას. ტ რ ა ჩ ე ე ს კ ი ს მოჰყავს ნაპოლეონის სიტყვები კორსიკის მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ თვითონ ამ სიტყვებს არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს<sup>1</sup>. ნაპოლეონი ამბობდა, რომ კორსიკა საკირო და გამოსადეგია იტალიაში ოპერაციებისათვის და ლეენარტის ვაჭრობის დასაცავად. მაგრამ თვით ნაპოლეონმა თავი მიანება კორსიკას, როგორც კი დიდი მასშტაბით დაიწყო საეპრო ინტერესებისათვის ბრძოლა. გარდა ამისა, კორსიკას თავის მდებარეობით იმდენად სტრატეგიული მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორც ჰგონია ნაპოლეონს, რამდენადაც საეპრო. თუმცა ნაპოლეონის ზემოაღნიშნული აზრიც მის გენიალური შორსმჭერეულობისა და სტრატეგიული საზრისობის შედეგი იყო, მაგრამ მაინც მის საზრისს აკლდა სისრულე. კორსიკისადმი ყურადღება მაშინ, როდესაც ჯერ მის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე არ ყოფილა ლაპარაკი, იმაში გამოიხატება, რომ ინგლისისათვისაც და საფრანგეთისათვისაც ხმელთაშუა ზღვაზე ეკონომიური ბრძოლის დროს ეს კუნძული კარგი ბაზა იყო, განსაკუთრებით ინგლისისათვის, რომელსაც ამ ზღვაზე ბაზა არ ჰქონდა საეპრო ფლოტისათვის და ამიტომ უძნელდებოდა ბრძოლა საფრანგეთთან, რომელიც მთელი დიდი ნაპარით დაკავშირებულია ხმელთაშუა ზღვასთან. რა თქმა უნდა, ამ კუნძულს პირველად ყურადღება საფრანგეთმა მიაქცია, რომლისათვისაც იგი ხელმისაწვდომი იყო. მაგრამ საფრანგეთი ამ კუნძულით იმდენად თვითონ არ სარგებლობდა, რამდენადაც მის სარგებლობაში სხვას (აღბათ ინგლისს) უშლიდა ხელს. საფრანგეთის მოქმედება კორსიკაზე გვარწმუნებს, რომ მას იქ არავითარი ინტერესი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ეს კუნძული საფრანგეთისა ყოფილიყო და სხვას არავის არ დაეჭირა იგი. საფრანგეთისათვის, იტყობა, ისიც დიდი გამარჯვება იქნებოდა, რომ ინგლისს არ შეუშვებდა იქ და მას ბაზად არ მისცემდა ამ კუნძულს. ნაგრამ, ამას გარდა, საინტერესო მოვლენაა ის, რომ კორსიკით არა მარტო ოფიციალური საფრანგეთი დაინტერესებულა, მისი ინტელიგენციაც დიდ ინტერესს იჩენს ამ კუნძულისადმი. მართალია, ამ ორი წრის ინტერესი კუნძულისადმი სულ სხვადასხვა ხასიათისა იყო, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ორივე ერთისა და იმავე ისტორიული განვითარებისა მსვლელობის და ეკონომიური ინტერესების შედეგი იყო. საფრანგეთი, როგორც ასეთი, მთლიანად, თავის ინტერესებით უკავშირდება ამ კუნძულს და ამ კავშირს ყოველი წრე თავისებურ ფორმას აძლევს და თავისებურად ხსნის. მამ შევჩერდეთ ცოტა ხანს იმაზე, თუ როგორ იქცეოდა კორსიკაზე საფრანგეთის მთავრობა და რა გეგ-

<sup>1</sup>) Трачевский, *op. cit.* p. 5.

მებს აღგნდა მის შესახებ საფრანგეთის ინტელიგენცია განმანათლებელი მიმართულების ფილოსოფოსების სახით (სახელდობრ რუსო).

ჯერ ვიდრე ფრანგები დაეპატრონებოდნენ კორსიკას, გენუელებს ეპყრათ იგი სამ საუკუნეზე მეტი<sup>1</sup>. კორსიკელებს არა ერთხელ მოუხდენიათ აჯანყება დაპყრობელთა წინააღმდეგ, მაგრამ უნაყოფოდ. ერთხანად (1735) კორსიკა იქამდისაც კი მივიდა; რომ სამეფოდ გამოაცხადა თავი და „მეფედ“ ერთი გერმანელი ბარონი ეყოდორე დაისვა. მაგრამ მალე გენუელებმა საფრანგეთს გადასცეს კორსიკა. მართალია, საფრანგეთსა და გენუას შორის რალაც ანგარიშები იყო სამხედრო და ფინანსური ხასიათისა, მაგრამ მე მგონია, უმთავრესი მიზეზი საფრანგეთის ჩარევისა ის იყო, რომ კორსიკელებმა გენუის წინააღმდეგ დახმარება ინგლისს სთხოვეს და არა საფრანგეთს<sup>2</sup>. მდგომარეობა მაშინ ისეთი იყო, რომ არც ერთ სხვა სახელმწიფოს არ შეეძლო აზიისა და აფრიკის ნაპირებზე ვაჭრობის ხელში ჩაგდებაზე და ამისათვის კორსიკის გამოყენებაზე ფიქრი იმ დროს. ეს შეეძლო მხოლოდ საფრანგეთსა და ინგლისს. ამიტომ გენუის ბატონობა მხოლოდ ნომინალური იყო. საფრანგეთმა ამ მდგომარეობით ისარგებლა და კორსიკა გენუას ჩამოართვა. ლუდოვიკ მე-15-ემ 1769 წელს დაიპყრა კორსიკა და მის გამგედ დანიშნა Marbeufი. ვიდრე საფრანგეთი კორსიკას დაიპყრობდა და შიგ დამკვიდრდებოდა, კორსიკელებს მათ წინააღმდეგ ბრძოლაში მეთაურობდა პაოლი, ეს დიდი პატრიოტი, რომელმაც დაძლია გაკირვების მომენტში გვაროვნულ გათიშულობას და კორსიკელები გააერთიანა. მან არა ერთხელ დაამარცხა საფრანგეთის ჯარი. მაგრამ, რადგანაც საბოლოოდ ვერას გახდებოდა, ამიტომ მისი შთაგონებით კორსიკელებმა ინგლისი მოიწვიეს წინააღმდეგ საფრანგეთისა. რატომ უნდა, ეს ინგლისის დიპლომატიის ჩაურევლად არ მოხდებოდა. აქედან დაიწყო საფრანგეთისა და ინგლისის დიპლომატიათა ბრძოლა კორსიკისათვის. მდგომარეობა ასეთი იყო: ერთი მხრივ ინგლისი შორს იყო და იგი ისე ვერ დასაგრაუდა კორსიკელებს თავისი „მფარველობით“, როგორც საფრანგეთი. ამ მოსაზრებამ აარჩევინა კორსიკელებს ინგლისი. ხოლო საფრანგეთი თავის სიძლიავის გამო უფრო ადვილად ჩასქიდებდა ხელს კორსიკას. ამიტომაც ბოლოს-დაბოლოს კორსიკელები ფრანგებმა დაამარცხეს და ინგლისელებს ერთი ჯარისკაციც კი არ გამოუგზავნიათ მათ დასაცავად. აუარებელი კორსიკელი ამოწყდა, ტირილი, მოთქმა და ვაება მოედვა კორსიკას. პაოლი იძულებული იყო, ინგლისში გაქექულიყო. ამგვარად დიდი პატრიოტი პასკალ პაოლი ინგლისის მოტრუთილე გახდა. მაგრამ საფრანგეთშიც ჰყავდათ მათ მომხრეები: განმანათლებელი ფილოსო-

<sup>1</sup>) Трачевский, იქვე; Пьер op. cit. გვ. 1.

<sup>2</sup>) Трагевский, იქვე; Пьер, იქვე. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ საფრანგეთისა და ინგლისის მეტოქეობა კორსიკის საკითხში და ამ კუნძულის საფრანგეთის ხელში გადასვლა ტრანკვისის გაუფებრადა აქვს მოთხრობილი. პეროს მოთხრობით კი სრულიად ნათელია. საკითხი. პერო ამაბობს, რომ გენუამ სხვათა შორის საფრანგეთს კორსიკა გადასცა იმ გაუჭრთხილებელი პოლიტიკის გამო, რომელსაც იგი აწარმოებდა იეზუიტების მიმართ, რომელთა საკითხიც იმ დროს საფრანგეთში მწვავედ იდგა. ჩანს, საფრანგეთს ამ საკითხი უსარგებლოა, როდესაც გაუვია, რომ ინგლისი ერევა კორსიკის საქმეში და გენუასათვის ძალა დაუტანებია.



თუიხ წარმომადგენელი. მაშინდელი „ბუნებრივი სამართლის“ თეორია განმანათლებელი ფილოსოფოსების ურადღებან კორსიკას აპურობდა, ვინაიღგან კორსიკელები, ეს „ბუნების შვილები“, ცივილიზაციის მიერ გაურყენელი და ხელუხლებელი, უფრო ადვილად განახორციელებდენ კაცობრიობის იმ იდეალებს, რომელიც რუსისოს ჰქონდა დასახული. ამიტომ კორსიკას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდენ არა მარტო რუსსო, რომელმაც თავის განთქმულ თხზულებებში კორსიკასაც მისცა მკირე ადგილი, არამედ ვოლტერი, მონტესკიე და ფრიდრიხ II-ეც მას დიდ უურადღებას აქცევდენ. ამიტომაც როგორც კი რევოლუტია დაიწყო საფრანგეთში, პაოლი მაშინვე ჯერ საფრანგეთში დებრუნდა, მერე კორსიკაში წაიდა იმ იმედით, რომ ახალი რევოლუტციონური საფრანგეთი სხვაფრიე მოეპურობოდა კორსიკას, მაგრამ, როგორც კი დაინახა, რომ რევოლუტციონური საფრანგეთი არსებითად იმასვე მოითხოვდა, რასაც ძველი რეჟიმისა, — კორსიკის სრულ შვერთებას საფრანგეთთან — მხოლოდ სხვა საბუთით და სხვა მოსახრებით, პაოლის იმედი გაუტრუვდა და გულში ისევ ინგლისის მოყვარული გახდა: იმისთვის სულ ერთი იყო, თუოა საბაპით და საბუთით მოისპობოდა კორსიკის დამოუკიდებლობა. ამ ხანაში ნაპოლეონი უკვე კორსიკის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყო, ვინაიღგან თვითონ გახდა საფრანგეთის საქეთმპურობელი. ამიტომ ნაპოლეონის ცვალებადობისა და მისი ფსიქოლოგიურ გარდაქმნის ისტორიაში კორსიკისადმი დამოკიდებულებას დიდი ადგილი უქირავს და ჩვენც ზემოაღნიშნული ფაქტების აზრი და მნიშვნელობა უნდა გამოვარკვიოთ, ვინაიღგან ასე მშრალად მოთხრობილი სხედასხვა გამოკვლევებში იგი არ გვაძლევს ამოცანის გადასაწყვეტ გასალებს.

უპირველესად ყოელისა პაოლის პიროვნებაზე უნდა შევჩრდეთ და მის მიერ შექმნილი მოძრაობა გავიგოთ. ამისათვის გავიხსენოთ ის, რაც ზემოთ იყო ნათქვამი: რომ თუმცა კორსიკაში სოციალური დანაწილება არც წოდებებად და არც კლასებად ჯერ არ იყო შექოსული საფრანგეთის გაბატონებამდის, მაგრამ ქონებრივად დანაწილება უკვე იყო და შიგა-და-შიგ მდიდარი და გავლენიანი გვარები იყენენ. აი ამნაირ გვართა წრეს ეკუთნოდა პაოლი და ამნაირი გვარები გააერთიანა მან, ხოლო ამათ შექმნენ კუნძულზე პატრიოტული აღფრთოვნება და მოსდევს დანარჩენ გვარებსაც. იმ პირობებში, როდესაც კლასობრივი დანაწილება არ არსებობს, უნგაროდ რაიმე აზრით გატაცებულს თავდადებულ პიროვნებას დიდი გავლენა აქვს და ამისთანა კაცისათვის გავლენის მოპოვებადვილია, ოლონდ კი ვიწრო პირადი ინტერესები დაივიწყოს და გვაროვნული შუღლისათვის საბაბი არ შექმნას. სხვაფრიე გვარებს არაფერი სადაო არა აქვთ, ვინაიღგან ქონებრივი უთანასწორობა გვარებს შორის ისე შორს არ წასულა, რომ ამ ნიადაგზე შური და მტრობა გაჩენილიყო. თვით ნაპოლეონის ძმა ამბობდა, რომ კორსიკაში მდიდარი ხალხი არ არისო. უმდიდრეს გვარებს 20000 ლიერის შემოსავალიც კი ძლივს მოეპოვებოა<sup>1</sup>. ამ პირადი თვისებების ნიადაგზე მოიპოვა პაოლიმ გავლენა კორსიკაში და უმთავრესი ბაზა მისი გავ-

<sup>1</sup>) Проф. Трачевский, op. cit. p. 6.

ლენისა იყო ქონებრივად გაძლიერებული გვარები, რომელნიც უფრო აფასებდნენ კორსიკის დამოუკიდებლობას, და დაქვეითებული, ღარიბი გვარების კლასობრივი შეუვანებლობა, ანუ უკეთ ვთქვათ, მოსახლეობის კლასობრივი დაუნაწილებლობა. ეს იყო საფუძველი პაოლის გავლენისა. მაგრამ მისი გავლენა უნდა შეფერხებულიყო, როგორც კი ეს პირობები დაირღვა და შეიცვალა. ჩვეულებრივ არაფერ ხსნის, თუ რად მოხდა ნაპოლეონის გვარის გამოსვლა პაოლის წინააღმდეგ და პაოლის გავლენის დამარცხება კორსიკაზე. მთავარი ძარღვი კი ჩვენი საკითხისა სწორედ ამაშია. საქმე ის არის, რომ ფრანგების ბატონობის ხანაში. ე. ი. როდესაც პაოლი ინგლისში იმყოფებოდა, კორსიკის მდგომარეობა საგრძობლად შეიცვალა. ეს ცხადადა ჩანს Villat-ის ზემოაღნიშნულ გამოკვლევიდან. ეს ისტორიკოსი კორსიკის მდგომარეობას საფრანგეთის ბატონობამდის არ ეხება და ეს არის მისი შრომის ნაკლი. მაგრამ საფრანგეთის ბატონობის დროის ეკონომიური მდგომარეობა კი კარგად აქვს აწერილი. ჩვენც ამით ვისარგებლოთ.

საფრანგეთის მთავრობა, რომლისთვისაც მთლად უცხო არ იყო განათლებული აბსოლუტიზმი, ცდილობდა ახლად შემოერთებულ პროვინციაში, რამდენადაც კი შეეძლო, კარგი მართვა-გამგეობა შემოეღო. ეს საქმე ებარა ჰერცოგ შუაზელს. ამან ხელუხლებლად დასტოვა საერთო კრება კორსიკისა, მხოლოდ დაარქვა შტატების სახელი, და საზოგადოდ ცდილობდა, რომ მართვა-გამგეობის ადგილობრივი ელფერი არ მოესპო. ეს შტატები უნდა ყოველწლივ შეკრებილიყვნენ. ამით კომპეტენციას შეადგენდა ადგილობრივი მართვა-გამგეობის მოწესრიგება. მაგრამ ამ დაწესებულებას დიდი ავტორიტეტი არ ჰქონია, იგი მხოლოდ პასიურ როლს თამაშობდა (Villat). ამაზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა მართლმსაჯულების რეფორმას. არჩეულ იქნა უმაღლესი საბჭო, რომელსაც ექვემდებარებოდა სასამართლოს პირველი ინსტანცია. მეფის ნაცვალმა Marbeuf-მა შეისწავლა ადგილობრივი ზნე-ჩვეულებანი და კორსიკის კოდექსი შეიმუშავა, რომელშიც ახალი კანონები შეუთანხმდა ხალხის ძველ ზნე-ჩვეულებას. მარბეფმა ხალხზე გადასახადებიც გააწერა, თუმცა მცირე. მოსაელის კვალობაზე გაწერილი გადასახადი უძირიდა სულ 120000 ლივრს. რაც შეეხება საგზაო ბეგარასა და არაპირდაპირი გადასახადებს, ესეც ძლიერ მცირე იყო <sup>1</sup>.

ამას გარდა, ეკონომიურ დარგშიც გატარდა რეფორმები, მაგრამ ჯერ ჩამოთვლილი რეფორმებს მივსცით შეფასება. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ამ რეფორმების მიზანი მდგომარეობდა კორსიკის მოსახლეობის გაერთიანებაში. შტატები, თუმცა მათ დიდი უფლებები არ ჰქონდა, მაინც ხალხის საერთოსურვილისა და ნებისყოფის გამომხატველი იყო. ცენტრალური უზენაესი სასამართლო და კორსიკის კოდექსი უპირდაპირდება სისხლის აღების ჩვეულებებს და ებრძვის მას, თანდათანობით სპობს მას. საყოველთაო გადასახადი ჰქმნის საერთო ხაზინას და ნივთიერადაც უახლოვებს ერთმანეთს გვარებს. ყველა ეს რეფორმები ამყარებენ მოქალაქობრივ ცხოვრებასა და სპობენ გვაროვნულ კარჩაკეტილობას, შუღლსა და გათიშვას, არყვევენ იმ საერთო კონიუნქტურას, რომელშიც მოხდა პაოლის დაწინაურება, სცვლიან იმ სისტემას, რომელმაც შექმნა პაოლის ძლიერება. მაგრამ ყველა ეს რეფორმები უძლური იქნებოდა, თუ შესაფე-

1) Villat, op. cit. Revue de synthèse hist. t. XXXIX, p. 176.

რი ეკონომიურა რეფორმებიც არ იქნებოდა გატარებული. ამის შესახებაც მეტად ცოტა ცნობა გვაქვს, მაგრამ, რაცა გვაქვს, იქამდის მკაფიო და მნიშვნელოვანია, რომ ამ რეფორმების მნიშვნელობისა და გავლენის გამოჩვენება არ არის ძნელი. ჯერ ერთი მევენახეობას უწყობდა მთავრობა ხელს და ამ კულტურას აღმჯობესებდა, ასევე უწყობდა ხელს ზეთისხილის კულტურას, თუთის პლანტაციების გაშენებას. ხალხს ასწავლიდა კაობების ამოშრობას. რაც შეეხება მრეწველობას, თითქმის მნიშვნელობა არ ჰქონდა. ძლიერ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი გზების გაყვანას, რომელსაც მთავრობა სტრატეგიული ნიშნით აკეთებდა, მაგრამ მოსახლეობის მისვლა-მოსვლასა და ერთმანეთში დაახლოებას მაინც ძლიერ უწყობდა ხელს. Villat ფიქრობს, რომ ამ რეფორმებს დიდი გავლენა ჰქონდა კორსიკელებზე, ვინაიდან მოსახლეობის ზრდა მოჰყვა მას. მთავრობა ხელს უწყობდა აგრეთვე სწავლა-განათლებას. ისე რომ Villat დასკვნით საფრანგეთის მთავრობა კორსიკაში საყვებით ახორციელებს განათლებულ დესპოტიზმის (despotisme éclairé) პრინციპებს<sup>1</sup> და უფრო თანამედ, ვიდრე თვით საფრანგეთში, დაეძნეთ ჩვენ, ვინაიდან აქ ეს მთავრობისათვის ისე საბიუჯეტო არ იყო, როგორც საფრანგეთში. რა თქმა უნდა, ამ რეფორმების ვატარების დროს მთავრობას თავისი მიზანი ჰქონდა. ის ცდილობდა კორსიკის საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრება ისე გარდაექმნა, რომ იგი საფრანგეთს დაახლოებოდა. ობიექტური შედეგი კი ის იყო, რომ კორსიკის პრიმიტიული არაბობის საფუძველი შეირყა. ამას არც ერთი წყარო არ აღნიშნავს, მაგრამ ეს ცხადად ჩანს იმ შედეგებიდან, რომელიც მოჰყვა ამ რეფორმებს. შედეგები კი ასეთია: პაოლი ინგლისიდან დაბრუნების შემდეგ ისე წარმატებით ვეღარ აწყობდა კორსიკის საქმეს, როგორც აწყობდა წინედ. იგი ვეღარ ახერხებს მოსახლეობის გაერთიანებას. თვით ნაპოლეონი, რომელიც წინაჲ მის მზეს ფიქულობდა, ახლა გადაუდგა მას და გადაუდგა არა ენიანობის ან თავმოყვარეობის გულისათვის, როგორც ფიქრობენ ზოგნი. ნაპოლეონის გადადგომის მიზეზი ჩანს მის მოლუაწეობაში, რომელიც მან გასწია კორსიკაში საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისში, როდესაც ის ცდილობდა, რომ პარიზის მაგალითის მსგავსად, აქაც იაკობელთა მასსები გაერთიანებინა და შეექმნა დემოკრატიული მოძრაობა. ნაპოლეონის მოლუაწეობის ამ ხანას ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს მისი პიროვნების გამოსარკვევად. მეკლერები კი ძლიერ მცირეს და ძლიერ არეულად მოგვითხრობენ ამ ამბავს. ჩემის აზრით, ფაქტები უდავოდ ამტკიცებენ, რომ ჯერ კიდევ პატრიოტულად განწყობილი და ცხარე მოუვარული თავის კორსიკისა და მისი წინამძღოლის პაოლისა, ის კორსიკის ხსნას ჰხედავს დემოკრატიის გაძლიერებასა და გაერთიანებაში. ის აარსებს კლუბებს, რომელშიც იწვევს გლეხკაცობას, მათთან მეგობრული განწყობილება აქვს. დადის სოფლებში და ქადაგებს, სოფლის ახალგაზრდობას თოჯის სროლას ასწავლის. გარემოებამ, ეტყობა, მისდა შეუძრველად, მას ზურგი შეაქცევინა დიდ გვარებისაკენ, რომელთა წარმომადგენელიც იყო პაოლი, და ასე თანდათან თავისთავად გაითხარა უფსკრული პაოლისა და ბონაპარტეს შორის. მაგრამ რადგანაც საფრანგეთის

<sup>1</sup>) Villat, op. cit.

ეკონომიურა და ადმინისტრაციულმა რეფორმებმა მხოლოდ მცირეოდენად შეარყიეს გვაროვნული წეს-წყობილება და კლასობრივი განსხვავების მხოლოდ ოდნავი ჩანასახი შექმნეს, ამიტომ კორსიკაში ვერ მოხერხდა იაკობელთა მოძრაობის შექმნა და კლუბებში გაერთიანება. ვის წინააღმდეგ უნდა გამოსულიყო ხალხი, როდესაც კორსიკაში არც ფეოდალები არსებობდნენ, არც ფეოდალური გადასახადები იყო, არც ბურჟუაზია. მაგრამ ღარიბი და მდიდარი მაინც იყო და მათ შორის ინტერესთა სრული ჰარმონია არ არსებობდა. ამიტომ თუ ნაპოლეონმა, თუმცა დიდი მოძრაობა შექმნა, მაგრამ ვერ გაიმარჯვა, აღარც პაოლის ჰქონდა ძველებური ძალა და გავლენა. ამიტომ და არა თვალთმაქცობის გამო მოხდა ის, რომ, როდესაც პაოლი დაბრუნდა (მის დაბრუნებას ნაპოლეონმა შეუწყო ხელი) <sup>1</sup>, ბონაპარტა გვარი მასთან კარგად იყო განწყობილი, ნაპოლეონი მას თან ახლდა და დიდი პატივით ეპყრობოდა. მისი ალტაკებული სიტყვები პაოლის პიროვნების შესახებ, პაოლის მისდამი მფარველობა ამას ამტკიცებს, შემდეგ კი მდგომარეობა შეიცვალა. აქ ერთი რაღაც ამბავი მოხდა, რაც გამოურკვეველად არის დარჩენილი იმ ლიტერატურაში, რომელიც მე ხელთ მაქვს. ეს არის ნაციონალური საზოგადოების წევრის ბუტტაფოკოს როლი კორსიკაში, რომელსაც ეხმარებოდა კორსიკელივე ყოფილი მეგობარი ნაპოლეონისა პოცო და ბორგო. პეერი გაურკვეველად ამბობს, რომ ნაპოლეონის ნდობა პაოლისადმი დაიმსხვრა არისტოკრატის შეთქმულების გამო, და ამ შეთქმულებაში ბუტტაფოკოს რაღაც როლი ჰქონია <sup>2</sup>.

ამ ამბების გაშუქება შესაძლებელი ვახდება, თუ გავიხსენებთ, რომ კორსიკაში არც ფეოდალიზმის ნიშნები არსებობდა და არც საზოგადოდ მდიდარი ხალხი, პრივილეგიანები. დამკუძმნებელი კრების პოლიტიკა კი სწორედ პრივილეგიანებს ეყრდნობოდა. ამიტომ კორსიკაში დიდი აგიტაცია იყო საქირო, რომ იქ დამკუძმნებელ კრებას თავისი მომხრეები გაეერთიანებინა. ამას გარდა, დამკუძმნებელი კრება მეფობის შენარჩუნების მომხრე და რესპუბლიკის წინააღმდეგი იყო და, რადგანაც იაკობელთა კლუბში ამ დროს უკვე გაისმოდა ხმა რესპუბლიკის სასარგებლოდ, ამიტომ კორსიკაშიც ამოდრავდნენ ის ელემენტები, რომელნიც მეფობის მომხრე იყვნენ. როგორც ჩანს, ამგვარი პოლიტიკა პაოლისაც კეუსში მოსდიოდა და აკმაყოფილებდა. თუმცა ის საზოგადოდ ინგლისის მომხრე იყო და არა საფრანგეთისა და კორსიკის დამოუკიდებლობას უპერდა მხარს, მაგრამ ერთხანად, სანამ ის ახალ-დაბრუნებული იყო ინგლისიდან და გაეკვეოდა რევოლუციონერთა პოლიტიკაში კორსიკის მიმართ, იმედი ჰქონდა, რომ, თუ რევოლუცია რიგიანად დამთავრდებოდა, კორსიკას მიეცემოდა ფართო უფლებები. ერთის მხრივ თითქოს მოულოდნელი უნდა ყოფილიყო კორსიკელების მეფობის მომხრეობა, რადგანაც თავისუფლებას შეჩვეული ხალხი მეფის მორჩილებას იუცხოებდა, მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ კორსიკა

<sup>1</sup>) Пьер, op. cit. გვ. 28 და შემდ. Травевский, op. cit. 36-38.

ტარაგესის მოკავს ეს ფაქტები, მაგრამ მათში სრულიად ვერ ვერკვევა და თვითონაც წინააღმდეგობაში ვარდება, როდესაც ნაპოლეონი ხან გულწრფელად გატაცებულ ახალგაზრდად გამოჰყავს, ხან ინტრიგანად.

<sup>2</sup>) Пьер, იქვე გვ. 20.

დაქუცმაცებისა, გათიშვისა და შტელის ნიადაგზე იყო მუდამ ჩამორჩენილი და დასუსტებული, მივხედვით, რომ მეფური ბრწყინვალეობა და ავტორიტეტი მათთვის, თუ პირდაპირ არა, გულში მაინც საოცნებო რამ იყო. როგორც შევძევში დაინახავეთ, თვით ნაპოლეონიც არ იყო მაღალ განთავისუფლებული ან გრძობისაგან. ღარიბი, უკულტურო ხალხისათვის დიდი მეფის წარაგანდელი ისეთი რამ იყო, რომ ვერაფრითარ რუსსოს თეორიები ვერ მოსპობდენ მათ გულში მეფის მიმართ ნაწიწების გრძობას. რაც შეეხება მეთაურებს და დაწინაურებულ გვარებს, ესენი ხომ პირდაპირ მეფობის მოწინავე იყვნენ. „სიპართლე რომ ვთქვათ“, ამბობს Chiquet, „პაოლი იყო კონსტიტუციის მომხრე“. თურმე მეფის გადაყენების შემდეგ მან ნიჰართა დამფუძნებელ კრებას და ის ახრი გადასთქვა, რომ, მართალია ლუი XVI თავისუფლებას ჰქალატობდაო, მაგრამ მეფობა ისევ შეიძლება აღდგესო, აბსოლუტიზმი კი არასოდეს არ აღდგებაო<sup>1</sup>. თუ რა იმედებს ამყარებდა პაოლი საფრანგეთში „თავისუფლების“ განმტკიცებაზე სპეციალურად კორსიკისათვის, ეს მისი შემდეგ სიტყვებიდან ჩანს: „თავისუფლების გრძობები ჩვეულებრივი და შთამომავლობითიაო. თუ საფრანგეთი ისევ მონობას დაუბრუნდება, მაშინ მშეადობით ყოველი იმელო თავისუფლებისაგ. განსაკუთრებით პატარა ქვეყნებისათვისაო<sup>2</sup>. ამ ორი ამონაწერიდან ცხადად ჩანს, რომ პაოლის, ჯერ ერთი, თავისუფლება ესმოდა ისე, როგორც კონსტიტუციონური მართვა-გამგეობა და მეორე ის, რომ ამგვარი წეს-წყობილების დამყარებას კორსიკისათვის მსენლად სთვლიდა. 10 აგვისტოს ანბავი რომ გაიგო პაოლიმ (მეფის სასახლის აღება), საკანონდებლო კრებას შეატყობინა, რომ კორსიკელები მხად ვართ ისევ ძველი ფიცი გავიმეოროთო. კორსიკელებს კი გამოუცხადა, მართალია, მეფე გადააყენესო, მაგრამ მაინც კანონიერება დაცული იქნებაო, ძველი რეჟიმის მომხრეთ ჰსურთ საფრანგეთის დანაწილება და კორსიკის დამოუკიდებლობასა და იზოლაციაზე ლაპარაკობენ, თითქოს კორსიკა მჭიდროდ გაერთიანებული არ იყოს საფრანგეთთანო. აქედან ცხადია ისიც, რომ პაოლი შემდეგში ისევ ინგლისის მხარეზე რომ გადავიდა<sup>3</sup>, ეს იმიტომ მომხდარა, რომ იქ კონსტიტუციონური მართვა-გამგეობა მტკიცე იყო და კორსიკაშიაც ამგვარსავე კანონიერებას შემოიღებდენ<sup>4</sup>. თუ პაოლიმ ვერ მიაღწია თავის მიზანს და კორსიკის მასშტაბშიც კი ვერ შესძლო კონსტიტუციის მომხრეებისათვის გამარჯვება მიენიქებინა, ეს იმიტომ მოხდა, რომ იმგვარი ზოგიერთი ელემენტი, რომელიც ყველგან ამგვარ მართვა-გამგეობას მხარს უჭერდა, კუნძულზე მეტად მცირე იყო, ხოლო თუ ამ წეს-წყობილების მთავარ დამცველად მსხვილი ბურჟუაზია ვიგულისხმეთ, ამგვარი ელემენტები ხომ იქ სრულიად არ მოიპოვებოდა. ოდნავ განსხვავებული კლასობრივი ინტერესები, რომელსაც ამ დროს (ეკონომიური და ადმინისტრაციული რეფორმების შემდეგ) კორსიკაში ადგილი ჰქონდა, იქამდის შიარს არ იყო წასული, რომ ძლიერი და მკათიოდ ჩამოყალიბებული ზომიერი ელემენტი შექმნილიყო გარკვეულად განმხატული

1) Chiquet, op. cit. t. III p. 69.

2) ibidem. აგრეთვე Пээр, გვ. 30.

3) Проф. Трачевский, op. cit. გვ. 39.

4) Chaptal, Mes souvenirs sur Napoléon p. 185—186 და 183.

ნებისყოფით. სამაგიეროდ იქამდის კი მივიდა კლასობრივი ინტერესების განსხვავება. რომ საზოგადო ქართველი დროს ლარბი ხალხის (განგებ ვხმარობ ამ ვაურკვეველ სიტყვას, ვინაიდან პროლეტარიატი იქ მაშინ არ არსებობდა) ინტერესები გამაჰყოფოდა შეძლებულებისას პარიზის იაკობელთა მიმბაძველობით და ამ ორი წრის ინტერესები ვერ შეთანხმებულიყო.

ნაპოლეონი, რომელიც საფრანგეთში ნაყოფი იყო და იაკობელთა წრეებს რანდენადმე იცნობდა, რომელიც გარკვეული მომხრე იყო რუსოს მოძღვრებისა, კორსიკელთა ლარბი ნაწილის ინტერესებისაკენ გადახარა და ამ ბრძოლის პროცესში თანდათან ნელნელა დაშორდა თავის სათაყვანო პაოლის. ახლა უკვე ნაპოლეონს არც პაოლის ზომიერი პროგრამა აკმაყოფილებდა და არც მისი ზომიერი ტაქტიკა. ის ჩამოშორდა პაოლის. ამიტომ სრულიად დაუქსახურებლად მამაჩნია ის ბრალდება, რომელსაც მას სდებს Трачевский, ოდესაც ამბობს, რომ, ბედუქლმართი ლეიტენანტი ყველაფერს იწუნებდაო. („Лейтенант не увачивает все хаял“). თვით პაოლისაც კი იგი ჩამორჩენილ და მოძველებულ კაცად სთვლიდა<sup>1</sup>. ამას ტრაჩევსკი ისე ამბობს, თითქოს ეს ნაპოლეონის ქირვეული ნებისყოფის შედეგი ყოფილიყო და არა ჰქონოდა სეროზული საფუძველი. მისი საფუძველი უპირველეს ყოვლისა იყო კორსიკისა და აიაჩიოს სოციალური ინტერესების დანაწილებაში, რასაც არც ტრაჩევსკი უარჰყოფს. ის ერთგვარად აზვიადებს კიდევ კორსიკის მოსახლეობის სოციალურ დანაწილებას. ის ამბობს, რომ კორსიკაშიც „გაჩნდენ თავისი კონსერვატორები, ლიბერალები, და რადიკალები: პირველთ ეკუთვნოდენ აზნაურთა ერთი მუქი ჯგუფი და სამღვდელთა. მეორეს ბურჟუაზია სანაპირო ქალაქებისა, მესამეს მასსა, განსაკუთრებით მთებში“<sup>2</sup>. ეს აზვიადებულობა, მაგრამ, თუ ეს ასეა, რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ნაპოლეონი და პაოლი სხვადასხვა ჯგუფს ეკუთვნოდა და მაინც ნაპოლეონის მოქმედება რალაც ეინიანობით ან გაიდევრობით აცხსნათ. მაგრამ საქმე ის არის, რომ პროფ. ტრაჩევსკის გამოკვლევას გარკვეული გეგმა არა აქვს და თავის შეკრებილ ფაქტებს სათანადოდ ვერ იყენებს, ხშირად წინააღმდეგობაშიც კი ვარდება. მაგალითად, იმავე კორსიკის საზოგადოებას იქ ჰხატავს როგორც ერთგვარს და მხოლოდ გვარებდა დაყოფილს. აქ ჩამოთვლილი ჯგუფები კი საიდან გაჩნდენ, ამაზე არაფერს არ გვეუბნება. საზოგადოდ სოციალურ დაჯგუფებაზე არაფერს ამბობს იქ, სადაც ეს მართლაც განსაკუთრებით საჭიროა. ასევე უნდა ვთქვათ ბუტრატოკოს და პოცკოს წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ბუტრატოკოს წინააღმდეგ ნაპოლეონმა დასწერა ცხარე პანფლეთი და გაუგზავნა ნაციონალურ კრებას. ამ პანფლეტმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დეპუტატებზე<sup>3</sup>; პოცკო და ბორგო მეგობარი იყო ნაპოლეონისა. ხოლო პოლიტიკური მოძრაობის დროს, რომელიც დაიწყო კორსიკაში ნაპოლეონის დაბრუნების შემდეგ, ეს ყმა-შვილი კაცი მეორე ბანაკში აღმოჩნდა და ნაპოლეონსაც იგი არ დაინდო. შესაძლებელია და კეუსას ახლოც არის, რომ ამა ბრძოლის დროს ნაპოლეონში გაი-

1) Проф. Трачевский, op. cit. გვ. 39.

2) იქვე. გვ. 36—37.

3) Лавр, იქვე; Трачевский, იქვე.

ლვიძა ძველმა „ვენდეტამ,“<sup>1</sup> ე. ი. გვარონულმა შულმა და არა მარტო ნაპოლეონში, სხვებშიც. შესაძლებელია ამ კორსიკულმა ჩეულებამ ეს ბრძოლა ძლიერ გაამწვავა; შესაძლებელია ისიც, რომ აქ „კორსიკული ისრებიც“ მოქმედებდნენ და ახალმა წმინდა პოლიტიკურმა ბრძოლამ ძველი ფორმები მიიღო. ამიტომაც იქნება მართალი იყოს ის, რომ ამ ბრძოლაში ნაპოლეონი ისე ცხარდებოდა, რომ, როდესაც ვისმე წინააღმდეგ გამოდიოდა ან ზეპირი სიტყვით ან წერილობით, ცილისწამებასაც არ ერიდებოდა (ისიც ხომ კორსიკელი იყო). მაგრამ არც სხვა ერიდებოდა ამას. ვინც ნაპოლეონს ინტრიგანობას სწამებს, ისინი ამბობენ, რომ პოცუო მას ინტრიგანობაში სჯობდაო. ამ მხრივ კორსიკელები ერთმანეთს არ ჩამოუვარდებოდნენ.

მაგრამ ნაპოლეონი ამისთანა ცხარე მომენტებში არც სხვებს ინდობდა და თვით ნაციონალურ კრებასაც ებრძოდა. როდესაც ნაციონალურმა კრებამ კორსიკა საფრანგეთის ნაწილად გამოაცხადა, ნაპოლეონი მაშინ კორსიკაში იყო. აი მაშინ იყო სწორედ, რომ ნაპოლეონმა კორსიკაში იაკობელთა კლუბის მოწყობა დაიწყო. ის მოითხოვდა, რათა კორსიკისათვის „აღდგენილ იქნეს უფლებები, რომელიც ბუნების მიერ ყველას აქვს მინიკებულო“. მან შესაფერი პეტრეცაძე შეადგინა, რომელშიც მაშინდელი საფრანგეთის მმართველებზე ნათქვანი იყო, რომ ისინი „ამცირებენ და სკამენ“ კენძულელებს. პეტრეცია თხოულობდა თვითმართველობის შემოღებას „ნაციონალური კომიტეტის სახელით“ და მილიციის დაარსებას კორსიკაში<sup>2</sup>. ასეთი მდულარე იყო მისი მოქმედება მაშინ, როდესაც რევოლუციონერმა ენთუზიაზმმა მის გულშიც ჩაავლო შემოქმედების ნაპერწკალი. მისი ზრახვები მაშინ მაინც ჯერ კორსიკას არ გასცილებოდა, იმიტომ რომ მას თავისი მუშაობა მის გარეშე ვერ წარმოედგინა, იმდენად მტკივნეულად გრძნობდა იგი კორსიკის განთავისუფლების საკითხს. ხოლო ვიდრე მასში ეს მოწოდება კორსიკაში რევოლუციონერი კლუბების დაარსებისა არ იყო, იგი სასოწარკვეთილებასა და აპათიას მისცემდა. მაშინ, სერიოზული საქმიანობის გარეშე მას არც ვენდეტა აგონდებოდა, არც „კორსიკული ისრები“ და არც ინტრიგები. „სიცოცხლე მიმძიმსო“, ამბობდა მაშინ მოქმედების მოსურნე და უასპარეზო ახალგაზრდა: „რათგანაც გონებრივი სამყარო იმ ხალხისა, რომელიც მე გარს მარტყია, მეტად დაშორებულია ჩემგან“<sup>3</sup>. ჯერ კიდევ 1786 წ. ის სწერს: „ყოველთვის მარტო ვარ ხალხთა შორის. ვმარტოვდები რომ მართოდ ვიფიქროო. საიდან გაჩნდა დღევანდელი ჩემი მეღანქოლია? სიკვდილის ქვეყნიდან“<sup>4</sup>. „რა საშინელი ლანდია, რომ მაიძულებს თავის მოკვლას? თუ სიკვდილი აუცილებელია, არა სჯობია თავი მოვიკლა? რა შორს არიან აღამიანები ბუნებისაგან, რა მდაბალი, მლიქვნელი და უზნეონი“<sup>5</sup>. ამიტომ ცოცხალი და მოძრავი ახალგაზრდა, რომელიც, მიუხედავად აპათიისა, მაინც უმოქმედოდ ვერ დარჩენილა, მისდევს საერთო ტალღას და ხდება „გაათორებულ

1) Пашер, op. cit. გვ. 32.

2) Трачевский, op. cit. გვ. 37.

3) Пашер, გვ. 24.

4) იქვე.

5) იქვე; იხ. ავრეთვე ტრაჩევსკი, 18 გვ.

პაოლისტად<sup>1</sup>. მაშასადამე ახლა უფრო ცხადია, რომ, თუ შემდეგ ის პაოლის გადალუჯა, ეს მოხდა ბრძოლის პროცესში, როდესაც ნაპოლეონი იაკობელთა მოძრაობამ ჩაითრია და წას იაკობელთა „კლასობრივი“, ასე ვთქვათ, ინტერესები დაუპირდაპირდა<sup>2</sup> შეძლებული გეარების ინტერესებს. ხოლო იაკობელები-სადმი მიწნობის საკითხში ნაპოლეონისათვის ერთი დიდ მიზეზთაგანი ისიც უნდა ყოფილიყო, რომ ყველაფერში ზომიერმა დამფუძნებელმა კრებამ კორსიკის საკითხშიც „ზომიერება“ გამოიჩინა და ერთ-ერთ თავის დეპარტამენტად აღიარა<sup>3</sup>, იმის მაგივრად, რომ, თუნდაც კუნძულები ხალხის მოსამზრობად და დასამშვიდებლად, თვითმართველობის სახის უფლებები მაინც მიეცათ. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო იმას, რომ ნაპოლეონი, იაკობელთა მომხრედ გამხდარიყო და პაოლი-კი ინგლისელების მომხრედ. სად არის ნაპოლეონის ამგვარ საქციელში, რაც ზემოთ ავწერეთ, ან „შულერობა“, რომელსაც მას სწამებს პროფ. ტრაჩევსკი, ან მისი „დემონური ხასიათი“, როგორც ბევრი ამბობენ და მათ შორის პროფ. ტრაჩევსკიც, რომელიც საზოგადოდ თეორიულად სად მეცნიერულ წიდაგზე დგას ნაპოლეონის ცხოვრების გამოკვლევის დროს, მაგრამ პრაქტიკულად კი ძველებურ ტრადიციას ემორჩილება და ხან შულერს უწოდებს (ეს იგივეა, რაც „დიდი კონდოტიერის“ სახელწოდება ტენისა), ხან დემონური ხასიათის კაცს. მე ვფიქრობ, საკმარისად ნათელია, რომ ნაპოლეონის მოქმედება კორსიკაში სრულიად ბუნებრივია, და ჩვეულებრივი რევოლუციონური ქართველის დროისათვის. არაფერში აქ ნაპოლეონი არც წინასწარ დემონურ გეგმიანობას იჩენს, არც შულერობას, თუ არ ჩავთვალთ შულერობად ჩვეულებრივად კორსიკაში გამეფებული ინტრიგანობა და პოლიტიკანობა, რომელიც ნაპოლეონსაც ჰქონდა, თუმცა ამაში სხვები მასზედ უფრო გამოცდილნი იყვნენ. ერთად-ერთი, რითაც ნაპოლეონი უფრადლებას იპყრობს ამ დროს, ის არის, რომ თავის ცხარე მოქმედებიანობით, გაბედულებით იქ, სადაც მიზანი მცხეთის გარკვეული იყო, ყველას აპარბებდა და ეს იყო მიზეზი, რომ პაოლიმ მას დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა<sup>4</sup>. საზოგადოდ პაოლი დიდი აზრისა იყო ნაპოლეონის ნიქსა და უნარზე. ის ამბობდა, რომ მას თავი კისრისა აქვს და ტანი ალექსანდრესიო. მასში 10 სულა არის მოთავსებულიო (Chaptal, Mes souvenirs sur Napoléon. p. 187). რაც შეეხება პატივ-მოყვარეობას, რომელსაც ნაპოლეონი უდავოდ უკვე იჩენდა, ეს იგივე კორსიკული მედიდურობა და სიამაყე იყო, როგორც ზემოთ ავწერეთ. ამ მხრივ მას, შეიძლება ვთქვათ, არც ერთი კორსიკელი არ ჩამოუვარდებოდა, ყოველი კორსიკელი თავის თავს არაჩვეულებრივ კაცად სთვლიდა და ყველას სწამდა თავისი ვარსკვლავი. ნაპოლეონიც გამონაკლისს არ წარმოადგენდა. ამიტომ არაერთი მნიშვნელობა არა აქვს იმ შემთხვევებს, როდესაც ნაპოლეონს ესა თუ ის სიტყვა უთქვამს და მისი პატივმოყვარეობის დამამტკიცებ-

<sup>1</sup>) Трачевский, op. cit. გვ. 38.

<sup>2</sup>) თვით ნაპოლეონი გარკვევით ამბობდა, რომ 2 აპრილის დეკრეტის შემდეგ იგი ახლად გამოვიდა პაოლის წინააღმდეგ, უნაიდან პაოლი სრულიად გარკვევით აძლევდა უპირატესობას მონარქიას რესპუბლიკის წინაშე. Chaptal, op. cit. p. 152. t. II.

<sup>3</sup>) Трачевский, იქვე. გვ. 37.

<sup>4</sup>) Трачевский, იქვე გვ. 38. Chaptal



ლია. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია იმისი ოცნებობა ჯერ კიდევ ჰაბსბურგებისას, თითქმის ბავშობისას, იმის შესახებ, თუ რა დიდი ბედნიერებაა, რომ იგი კეისარი გახდებოდეს! აგრეთვე მისი სიტყვები, რომელიც მან უთხრა ვალანსიდან წასვლისას მოხუც აბბატს: „თუ მეფედ გახდები, შენ კარდინალობა მონაგვამ“-ო. ეს იყო სიტყვები თვით აბბატის მიერ გამოწვეული და ხუმრობის სახით ნათქვამი. ამისთანა ხუმრობა რევოლუციის დროს ბუნებრივი იყო და ამ შემთხვევაში თვით აბბატის მიერ იყო გამოწვეული, რომელმაც მას შევდივი სიტყვებით მიჰპარათა: „ეხლა საქმე ისე მიდის, რომ ყოველი კაცი შეიძლება გახდეს მეფედო. თუ თქვენ მეფედ გახდით, სარწმუნოებას მიაქციეთ ყურადღება“-ო<sup>2</sup>. ნუ დავივიწყებთ, რომ ნაპოლეონი ჰაბსბურგებისას, გარდა სხვა ავტორებისა, პლუტარქოსს კითხულობდა და ძლიერ გაცატებით უყვარდა იგი. უყვარდა მას აგრეთვე მისი გმირებიც და მათ შორის კეისარი. რომელი ახალგაზრდაა, თუ მასში სისხლი ახალგაზრდულად დულს და იგი უდროოდ მოხუცებული არ არის, რომ არ ოცნებობდეს, იმ გმირს დაემსგავსოს, რომლის ბიოგრაფიასაც იგი კითხულობს და რომლითაც იგი გაცატებულია, მეტადერ მაშინდელ კორსიკისებურ სინამდვილეში?

ამ შემთხვევაში სრულიად სარწმუნოა ნაპოლეონის ძმის ეოზეფის სიტყვები, რომელიც ამბობდა მაშინდელი კორსიკული მოძრაობის შესახებ: „მე იმ ასაკში ვიყავი, როდესაც ღრმად განიცდი იმას, რაც სამართლიანად მიგაჩნია“-ო ასე იყო მისი ძმა ნაპოლეონიც.

ამ მოსაზრებების შემდეგ ძალაუბრებურად მეტ მნიშვნელობას ვაძლევ და უფრო სიმაართლედ ვთვლი იმ ნაწერებს. რომელიც Chiquet უპოვინა კემბრიჯის ბიბლიოთეკაში, რომელიც ეკუთვნის ვინმე ინგლისელს, რომელსაც ამ ამბების დროს კორსიკაში უცხოვრობდა: „ნაპოლეონი და მისი ძმები იყვნენ ყველაზე ცხარე და გაცატებული მებრძოლნი ყველაზე უფრო სამართლიან, კეთილშობილ საქმისათვის — ხალხის დამოუკიდებლობისათვის და ქვეყნის თავისუფლებისათვის. რათგანაც ჩვენ მეგობრულ განწყობილებაში ვიყავით ერთმანეთისადმი და მე ძლიერ მიყვარდა ეს ქვეყანა, ანტიომ საფრანგეთის როიალისტები ჩვენ ანგლომანებს გვეძახდნენ; მე კი ამ ძმებს გრაცხებს ვეძახდი“-ო<sup>3</sup>.

მიუხედავად ბრძოლის ახალი მეთოდებისა, მიუხედავად ძალთა ახალი კომბინაციისა, ნაპოლეონი კორსიკაში მაინც დამარცხდა. მაგრამ იქ მან ღრმა კვალი დასტოვა. მისი ბრძოლა ნამდვილი რევოლუციონური მეთოდებით იყო წარმოებული. მან შექმნა ერთგვარი შეიარაღებული ძალა. კორსიკის დედაქალაქის აიანიოს ციხეც კი დაიკირა, მაგრამ კორსიკაში ჯერ ისე შერყეული და შეძრული არ იყო ძველი პატრიარქალური დაჯგუფება საზოგადოებისა, რომ ახალ რევოლუციონურ მეთოდებს გაემარჯვნა. ამიტომ პაოლის პარტიამ გაიპარჯვა და გააძევა კორსიკიდან ბონაპარტების ოჯახი. (ნაპოლეონის მამა კარლო მაშინ

1) Трачевский, op. cit. p. გვ. 35.

2) Трачевский, გვ. 26. op. cit.

3) Трачевский, op. cit. გვ. 37.

4) Chiquet op. cit. p. 42 t. II. ეს ადგილი Chiquet-დან ტრახევსკისაც აქვს მოყვანილი, რომლის თარგმანითაც ვსარგებლობ. იხ. Трачевский, op. cit. p. 23. შენიშვნა 2.

კოცხალი აღარ იყო). ბრძოლის ამგვარი შედეგების მხრივ ძლიერ დამახასიათებელია ერთი ახალგაზრდა გლების სიტყვა ნაპოლეონის შესახებ: „ნაპოლეონი იმდენ ჭაღალდებს სწერდა, ჰხედა და სწავდა, რომ სოფელში ჭაღალდი სულ გააწყაო. რასაკვირველია, ის ნიჭიერი და სწავლული კაცი იყო, მაგრამ ამგვარი კაცები ჩვეულებრივ შერყეული არიანო!“. აი როგორი იყო კორსიკის დემოკრატია. აი როგორი იყო ნაპოლეონის მომხრეების კლასობრივი შეგნება. ბრძოლის შედეგიც ამის შესაფერი აღმოჩნდა.

### III

#### ქაბუჯობისას შეთვისებული პრინციპების სიმტკიცე და ხილრმე.

კორსიკა სრულიად შემოფარგლული და ვიწრო ასპარეზზე იყო ნაპოლეონის მოქმედებისათვის, მაგრამ ეს ხანა მისი პოლიტიკური მოღვაწეობისა საუკეთესო სკოლა იყო მისი პოლიტიკური აღლოს განვითარებისა და სიმპათია-ანტიპათიების გამოსარკვევად. რამოდენიმე ხნის უწყმანობის შემდეგ გამოიჩინა, რომ იგი გარეშე პოლიტიკაში ემხრობა საფრანგეთს, როგორც იტყვიან ხოლმე, საფრანგეთის ორიენტაციას ადგა, წინააღმდეგ პაოლისა, რომელიც საბოლოოდ ინგლისის ორიენტაციას დაადგა, ხოლო შინაურ პოლიტიკაში ის იყო მომხრე ბალზის ქვედა ფენებისა და რესპუბლიკური ფორმისა, წინააღმდეგ პაოლისა, რომელიც კონსტიტუციონური მართვა გამეგობისა და ზომიერ ქონების არისტოკრატის მომხრე იყო.

მაგრამ ნაპოლეონი კორსიკაში ვერას გახდა და თავისი მოღვაწეობა საფრანგეთში გადაიტანა, იქნება იმ ილუზიული მიზნით, რომ იქიდან იმოქმედებდა კორსიკის ბელზე და თავის სურვილებს მაინც განახორციელებდა. აქედან ნაპოლეონის ცხოვრების შემსწავლელისათვის იშლება მთელი ოკეანე, ოკეანე გრძობათა, ენებათა, ფიქრთა და მტულარე და მქუხარე მოქმედიანობა. იმ პირობებში, რომელშიც ვიმყოფებით ტფილისში, საზღვარგარეთ წაუსვლელად და ადგილობრივ არქივების გადათვალღიერებლად ამ ოკეანის ფარგალში კვლევადიების ცდაც კი ყოვლად შეუძლებელია და მეც ერთ წუთსაც არ მიფიქრია ეს. ამჟამად ჩემი მიზანი სრულიად მკირეა და სპეციალური, ასპარეზი კი ვიწრო, მტკიცედ და მკაფიოდ შემოფარგლული. მე მიზნად ვისახავ მხოლოდ იმას, რომ გამოვარკვო, რამდენად გულწრფელი იყო ნაპოლეონი იმ ხანებში, როდესაც ის თავის პოლიტიკურ სიმპათია-ანტიპათიას არკვევს, რამდენად თვითონ იყო ჩათრეული თავისი არსებით ამ პერიოდის პოლიტიკურ-მოღვაწეობით და რამდენად მისი იაკობელობა ეთანხმება იმას, რომ შემდეგში მან თავისი დიქტატურა გამოაცხადა და იაკობელობა მოსპო. კორსიკის ხანა თავისთავად არის შემოფარგლული და იქ ისეთი დიდი სიფრთხილე არ არის საჭირო. კონსულობისა და იმპერატორობის ხანაში ნაპოლეონი დიდი დიპლომატია და იმ დროის გულწრფელობაზე ლაპარაკი ზედმეტია. იქ იმან მართლაც გადალახა ყოველი ცნება ადამიანური სიმართლისა, ღმობიერებისა და ზნეობისა. მაგრამ მაშინ იგი ქვეყნის მბრძანებელი იყო და მის მდგომარეობაში ყველა ასე იზამდა. ჩვენთვის კი საინტერეს-

სოა ის ნომენტი, როდესაც ნაპოლეონში ხდება გარდატეხა. მართლაც ეს პირ-წავარდნილი და გარკვეული ლალატი იყო წინასწარ გარკვეული გეგმით, თუ ნაპოლეონი თვითონაც ჩათრეული იყო რევოლუციის განვითარების მსვლელობის წყალგარდნილში და თითქოს ერთგვარ იარაღად გამოდის, როდესაც მისი ალტყინებული ვნება ამ წყალგარდნილთან ერთად სადღაც უფსკრულში მიეკანებოდა.

უპირველეს ყოვლისა, რა სამზადისით, რა ჩვევათ მარაგით მივიდა ნაპოლეონი საფრანგეთში? შეიძლება ვიფიქროთ, რომ მაშინ მას არ ჰქონია რაიმე გარკვეული პოლიტიკური გეგმები არა თუ შორეული მომავლისა, არამედ მის თანადროულ, ყოველდღიურ, მიმდინარე ცხოვრებისა და აქტუალური საკითხების შესახებ. პირველი საკითხის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ კორსიკამ, მიუხედავად მსოფლიო მნიშვნელობის საკითხების წესრიგში დასმისა, მაინც თავის სტრუქტურისა და მოსახლეობის ფიზიკის სიმარტივის გამო, ძლიერ მცირე გამოცდილება მისცა ნაპოლეონს შედარებით იმასთან, რასაც იმ დროს საფრანგეთი წარმოადგენდა. რომელიც მთელი მსოფლიოს კანონმდებელი ხდებოდა რეალურად და არა ისე, როგორც ეს იყო ლუი XIV-ის დროს. ამიტომ პირველ ხანებში ნაპოლეონი საფრანგეთში რევოლუციის დაწყებისას თავს უსუსურ ბავშვად გრძნობს, საფრანგეთის პოლიტიკაში ჩაბრუნებულ ვერც კი ოცნებობს. ის მოწინააღმდეგე იხსენებს და იხსენიებს დიდ სახელებს: მირაბო, ლაფაიეტი, ბაილი, მერე რობესპიერი, ჰეტონი. რა დიდი და მიუწოდებელი სიშალეებია, რა ბრწყინვალეობა, რომელსაც თვალს ვერ გაუსწორებს ის, ვინც ოდნავ მაინც აფასებდა მონტესკიეს და განსაკუთრებით რუსოს იდელებს! მართალია, კორსიკაში ყოფნის დროს დამფუძნებელი კრების წინააღმდეგ პროტესტი გამოაცხადა, როდესაც აჰან კორსიკა დეპარტამენტად აღიარა, მაგრამ ეს ის ხანა იყო, როდესაც ნაპოლეონი რევოლუციონურ მოღვაწეებს ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა. ამას გარდა, საქმარისი იყო დამფუძნებელ კრებას აღრესის საპასუხოდ ქება შეესხა კორსიკელებისათვის, ალბათ, თანახმად რუსოს მიერ წინასწარ დაწერილი რეცეპტისა, რომ ნაპოლეონი ხელახლად „ურიგდება“ დამფუძნებელ კრებას და თავის მხრივ ქება-დიდებას უძღვნის საფრანგეთს. „ჰოი განათლებულო, სულგრძელო ერო! შენ გაგვიხსენს შენი მკერდი. ანიერიდან შენთან ერთი და იგივე ინტერესები და ზრუნვანი გვასულდგმულებს! მოისპო ზღვა, რომელიც ჩვენ გვეყოფდა ერთმანეთისაგან!“<sup>1</sup> ეს იყო 1790 წელს. ამაზე მეტი მიაშიტობა პოლიტიკაში წარმოუდგენელია, ამაზე მეტი ბავშური ნდობა და გაურკვეველობა. რითი აიხსნება ეს? ნუთუ ნაპოლეონი იმდენად უფიცი იყო, რომ არ ესმოდა ამისთანა გარკვეული მდგომარეობა. საქმე ის არის, რომ ნაპოლეონი დიდი მოთაყვანე იყო რუსოსი თავიდან და საქმარისი იყო კორსიკისათვის ქება ეთქვათ, რომ ის მაშინვე რუსოსს აბრდილს ჰხედავდა. თითქოს მისი ხმა ესმოდა, და მაშინ მას სწამდა ყველაფერი. მას სწამდა, რომ რაკი დამფუძნებელი კრების წევრებს რუსოს ტრადიცია არ დაჰვიწყებიათ და კორსიკაზე იმასვე ლაპარაკობენ, რასაც რუსოს აზნობდა, ჩანს კორსიკა რევოლუციონურ საფრანგეთში ჰპოვებს თავის

1) Трачевский, op. cit. p. 38.

კეთილ და მზრუნველ დედას და არა დედინაცვალს. შემდეგში, როდესაც ნაპოლეონი ბუტტაფოკოს წინააღმდეგ ჰამპლეტსა სწერს, იქ ის ხელმეორედ ილაშქრებს საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელთაც დაამონაწევს თავისუფლება, და გაზოსლას ის აწარმოებს ისევე „თავისუფლების წინამორბედთა“ ე. ი. რუსსოს და მის მიმდევართა, სახელით<sup>1</sup>. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს მიაშიტობა ნაპოლეონის მხრივ თავის მოკატუნება იყო რუსსოს თეორიის მომხრეების წინაშე, რათა რუსსოს შეურყეველი წმინდა პრინციპების სახელით ემოქმედნა მათზე. რომ კორსიკისათვის თავისუფლება მიეცათ, მაგრამ მაინც პოლიტიკური მიაშიტობა იყო, თუ ნაპოლეონი ფიქრობდა, რომ ამ ბლაგვი და რბილი იარაღით რასმე მიაღწევდა. ორსავე შემთხვევაში, ვიწამებთ თუ არა ნაპოლეონის გულწრფელობას, როდესაც ის ალტაცებაში მოდის, ოღონდ კორსიკა შეაქონ ისე, როგორც აქებდა რუსსო, სულ ერთია, მაინც მისი მიაშიტობა უდავოა.

საინტერესოა, თვითონ რამდენად ღრმად იყო გამსჭვალული რუსსოს აზრებით და რამდენად მტკიცედ სწამდა იგი. ამაზე უნდა ვთქვათ, რომ ნაპოლეონი საზოგადოდ ღრმა ცოდნით აღჭურვილი არ იყო<sup>2</sup> და თუ ახალი აზრებით იყო გატაცებული, ეს იყო მხოლოდ ზერეულე გატაცება. ისე რომ შემდეგში რომ მან რუსსოს პრინციპებს ისე ადვილად უღალატა, ეს გასაკვირალი არ არის. საზოგადოდაც კორსიკაში მე-18-ე საუკუნის ფილოსოფიით გატაცება რამდენადაც ადვილად მოხდა, იმდენად ზერეულე იყო. ისეთ დამონავეებულ ქვეყანაში, როგორც იყო კორსიკა, ყოველი ქადაგება თავისუფლებისა თავისებურად ესმით და ადვილად ღებულობენ. მათთვის სრულიად გასაგები იყო თავისუფლება ეროვნული და სრულიად გაუგებარი იყო თავისუფლება ეკონომიური და სოციალური, ვინაიდან კორსიკა უცხო ქვეყნების მიერ დაპყრობილი იყო და ეროვნულ თავისუფლებას ელოდა. კლასობრივი ჩაგვრა კი არც ეკონომიური და არც სოციალური მათ ჯერ არ გამოეარნათ, ვინაიდან გვაროვნული ორგანიზაცია ამისათვის არავითარ ნიშანს არ სტოვებდა. ამიტომ პოლიტიკური თავისუფლება შიგნით გაუგებარი იყო. შიგნით ისინი ისევე თავისუფალნი იყვნენ ჯერ-ჯერობით, ყოველ შემთხვევაში, თვითონ თავისი თავი ამ მხრივ თავისუფლად მიიჩნდათ. ამიტომ კორსიკა და თვით მისი ცენტრი, ქალაქი აიაჩიოც, ვერ მისცემდა ვერავის და ვერც კრძოდა ნაპოლეონს, ისეთ მარაგს შთაბეჭდილებათა და განცდათა, ისეთ ცნებებს და მიღრეკილებებს, რომლის მეოხებითაც შეიძლება კაცმა ადვილად მიაქციოს ყურადღება და გაიგოს სოციალური არსება ამა თუ იმ მოძღვრებისა. ამიტომაც როგორც თვით ნაპოლეონი, ისე კორსიკელები ადვილად ეტანებოდნენ ყოველ განმათავისუფლებელ მოძღვრებას. ამ მოძღვრებიდან ისინი ღებულობდნენ იმას, რაც ყველას აერთიანებდა და ექვს არ იწვევდა. ამ მოსაზრებებით შეიძლება ავსხნათ ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს წყაროებს შორის იმის შესახებ, თუ რამდენად მკოდნე კაცი იყო ნაპოლეონი და რამდენად ბევრს კითხულობდა და შეეცადინებოდა. ერთის მხრით წყაროებში აღნიშნულია, რომ ის მე-

<sup>1</sup> Ibidem გვ. 39.

<sup>2</sup> როგორც შეზღვე დაიწახ-ვთ, ამაჲ მისი მემუარისტები თითქმის ერთხმად ჰმოწმობენ.

ტისმეტი უფიცი კაცი იყო. „ნაპოლეონმა არაფერი არ იცოდა“, ამბობს სტანდალი, „მან სრულიად არ იცოდა უმრავლესობა იმ ქვეშაობებთან, რომელიც აღმოჩენილი იყო ასი წლის განმავლობაში“ (Napoléon ne savait rien il ignorait la plupart des grandes vérités découvertes depuis cent ans)<sup>1</sup>. მეორე ალაგას იგივე ავტორი ამბობს, რომ ნაპოლეონს არ წაუკითხავს მონტესკიეს „L'Esprit des lois“, არც ჰელვეციუსის თხზულებანი<sup>2</sup>. შეიძლება დავსვათ ასეთი საკითხი: იქნება ნაპოლეონი არ კითხულობდა ამ საზოგადო ხასიათისა და ფილოსოფიურ წიგნებს, მაგრამ იქნება ის ზედმიწევნით სწავლობდა ისეთ წიგნებს, რომელიც ეხებოდა სპეციალურ საკითხს მართვა-გამგეობისას, სამხედრო საქმეს. ამის შესახებაც ჩვენ სტანდალის გარკვეული აზრი გვაქვს. არც ამაში ჰქონია ნაპოლეონს მომზადება. „En fait de science de gouvernement... l'éducation de ce grand homme était nulle“<sup>3</sup>. ასევე გადაკრით ლაპარაკობს ამაზე Ségur: მას არავითარი განათლება არ მიუღია; დაბალი ხარისხის მოხელეობით დაიწყო სამსახური და მისი განდიდება ბრმა შემთხვევის ბრალია<sup>4</sup>. როგორც შემდეგ დაინახავთ, შაბტალიც ამ აზრისაა ნაპოლეონზე. მეორე მხრივ იმასაც ერთნადა აღიარებენ, რომ ნაპოლეონი საზოგადოდ ბევრს კითხულობდაო. მარტო ის ბიბლიოთეკა, რომელიც მან წმ. ელენეს კნძმულზე თან გადაიტანა და საზოგადოდ ხელთა ჰქონდა, 800 ტომისაგან შესდგებოდა. ამ წიგნებს შორის ბევრი უნახავთ დამკვლევული ბევრი კითხვისაგან და შენიშვნებით საეუ. კაბუკობისას მას ჰყავდა რამდენიმე საყვარელი ავტორი, რომელთა ნაწერებიც თითქმის გაზეპირებული ჰქონდა. ამ ავტორთა შორის, რა თქმა უნდა, საპატიო ადგილი ეკირა რუსოსს, რეინალს და საზოგადოდ მაშინდელ პოპულარულ ავტორებს. მაშ რითი აიხსნება მისი უფიციობა? ერთად ერთი ახსნა იმაშია, რაც ჩვენ ზევით აღვნიშნეთ. რუსოსს და რეინალის და სხვათა აზრებს ის ითვისებდა იმდენად, რამდენადაც ისინი გასაგები იყვნენ მაშინდელ კორსიკის პირობებში. მთელი სიღრმით მათი გაგება და მათი ცოდნისა, აზრებისა და ცნებების ღრმად შეთვისება მას არ შეეძლო და ამიტომაც როგორც კი პრაქტიკულ ცხოვრებას შეეჯახა, ეს აზრები ზედიზედ ჩამოშორდნენ მას. აქედან ცხადია, თუ რამდენად ცხარე მომხრე უნდა ყოფილიყო იგი იაკობელთა წრეებისა და რამდენად შეიძლება ლალტი ვუწოდოთ იმას, რომ იგი იაკობელების წინააღმდეგ აქტიურად გამოვიდა. მაგრამ ამაზე სიტყვა შემდეგში გვექნება.

თვით ის ავტორები, რომელნიც პოწმობენ ნაპოლეონის უფიციობას, სვამენ საკითხს, თუ რად ხდებოდა, რომ ნაპოლეონი ასე ბევრს კითხულობდა და ცოდნა კი არა ჰქონდა. Stendhal ამაზე ამბობს, რომ ექვს გარეშეა, ნაპოლეონი ბევრს კითხულობდაო, მაგრამ მძიმე საკითხავი წიგნებიც კი იმაზე ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდნენ, როგორსაც ახდენენ რომანები ზოუმზადებულ და გონებაგანუვითარებულ ადამიანზეო („les livres les plus graves ne produisaient

1) Stendhal, op. cit. p. 29.

2) Ibidem. p. 30.

3) Ibidem p. 32.

4) Пьер, История Наполеона, стр. 62.

d'autre effet que celui que font les romans sur les âmes vulgaires)<sup>1</sup>. ეს წიგნები მას უღვიძებდენ და უღელვებდენ ვნებიან გრძნობებსო. დიდ ქეშმარიტებათ მას თვალწინ ვერ უშლიდნენ და ვერც იმდენად უმაგრებდენ მათ საფუძველს, რომ ცხოვრებაზე რაიმე გავლენა მოეხდინათ<sup>2</sup>. გამოდის, რომ Stendhal ისე ხსნის ამ მოვლენას, როგორც ზემოთ ჩვენც ავხსენით. მხოლოდ ის არ ასახელებს მიზეზს მის ამ ზერელეობისას. თვით ნაპოლეონი ზერელე კაცი არ იყო, მაგრამ კორსიკის პირობებმა ვერ შეამხადეს მასში წინასწარ საკურო ნიადაგი დიდ მწერლების ნაწარმოების მთელი სიღრმის ვასაგებად და შესათვისებლად.

იმ საკითხს, თუ რით იმორჩილებდა ნაპოლეონი ამდენ განათლებულ და ნიჭიერ ხალხს, თუ მას საქმარისი ცოდნა ამისთვის არ მოეპოვებოდა, ბევრი მემუარისტი ეხება და ხსნის. კერძოდ როგორც Chaptal, ისე Stendhal ამას ერთნაირად ხსნიან და მათი ახსნა არაერთარ ექვს არ იწვევს, მით უმეტეს, რომ მათი მოსაზრებები დაკვირვებაზე და უტყუარ ფაქტებზეა დაფუძნებული. Chaptal („Mes souvenirs sur Napoléon“) ამბობს, რომ, როდესაც ნაპოლეონს ან საგნის ცოდნა აკლდა, ან რომელსაჲმე საკითხში გარკვეული არ იყო, ყველას ყურადღებით უსმენდა, მაგრამ როგორც კი ის დედა აზრს მიხედვებოდა (du moment que Bonaparte a eu des idées), სწორე იყო ეს მიხედვრა, თუ მცდარი, ის უკვე ან აღარავის არ ეკითხებოდა, ან, თუ დაეკითხებოდა, მხოლოდ იმისათვის, რომ ყველა აზრისათვის თავი მოეყარა (embrasser)<sup>3</sup>. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ საშუალებით ის მცოდნე კაცის შთაბეჭდილებას ახდენდა და დიდ ინიციატივას და ნებისყოფას იჩენდა, რაც მის ავტორიტეტს მცოდნე ხალხის თვალშიც მაღლა სწევდა. აქედან ცხადია ისიც, რომ შაბტალის აზრითაც ნაპოლეონი ცოდნით ვერაფერს გახდებოდა სხვებთან და, თუ გავლენა და ავტორიტეტი ჰქონდა, ნიჭის მეოხებით. ამაზე Stendhal კიდევ უფრო გარკვეულ ცნობებს იძლევა<sup>4</sup>. ის გვიამბობს, თუ როგორ ხელმძღვანელობდა ნაპოლეონი ისეთ პასუხსაგებელ მუშაობას, რომელიც დიდ ერუდიციას მოითხოვდა, მაგალითად სამოქალაქო კოდექსის შედგენის საქმეს. რასაკვირველია, ამ საქმეში არა კმაროდა მარტო საერთო პრინციპების ცოდნა, საკურო იყო ფართო ერუდიცია, რომელიც ნაპოლეონს აკლდა. აზიტომ, რა თქმა უნდა, მას მრავალი დიდი სპეციალისტის მოწვევა დასჭირდა. ამგვარ სპეციალისტთა კრებას ის თვითონ თავმჯდომარეობდა და საქმე ისე მიჰყავდა, რომ საბოლოოდ შთაბეჭდილება რსეთი გამოდიოდა, თითქოს ნაპოლეონს სხვაზედ მეტი სცოდნოდეს. ამისათვის ნაპოლეონი ჯერ სპეციალისტებს აკეთებინებდა მოხსენებებს. ხშირად ამ მოხსენებებში გატარებული აზრები ნაპოლეონისათვის ახალი იყო. მაგრამ ის გულმოდგინედ უფიქრდებოდა ყველაფერს, შემდეგ ისმენდა კამათს და მათ აზრებს რომ მიხედვებოდა და შე-

<sup>1</sup>) Stendhal, op. cit. p. 30. .

<sup>2</sup>) ibidem

<sup>3</sup>) Chaptal, Mes souvenirs sur Napoléon, p. 227-227.

<sup>4</sup>) Stendhal, op. cit. p. 30 21.

დაახლოებით ასევე უნდა გავიგოთ Ségur-ის აზრი, რომელიც ლაპარაკობს იმაზე, თუ რით იმორჩილებდა ნაპოლეონი ადამიანის ნებისყოფას.

M. le général comte Ségur, Histoire de Napoléon, p. 78, t. I.

ითვისებდა, შემდეგ თვითონ ლეზულობდა კამათში მონაწილეობას. ამ კამათის დროს საკითხებს ისე მკაფიოდ აყენებდა და ისე პრაქტიკულად სწყვეტდა, თითქოს ეს აზრები მისი ყოფილიყოს. შემდეგ ამ აზრებს ისეთ ინტერპრეტაციას უკეთებდა და ისე განაგრძობდა მათ განვითარებას, რომ ამ აზრებს უკვე თვით ავტორები ვერ სცნობდნენ. ამიტომ ახლა უკვე ნაპოლეონი გამოდიოდა ამ აზრების დამცველად სხვების წინააღმდეგ. მომსენებლებს აცვიფრებდა მისი გენიოსობის ასეთი ბრწყინვალე გამომჟღავნება. ბოლოს კამათი ისე იცვლებოდა, რომ ნაპოლეონი თავის უეცრობას არც ერთი სიტყვით და არც ერთი ვესტით არ ამჟღავნებდა. პირიქით, ვინც არ იცნობდა მას დაახლოვებით და არ იცოდა, თუ რა ავლა-დიდების პატრონი იყო იგი, ის ძლიერ მცოდნე კაცად ეჩვენებოდა. რა თქმა უნდა, რუსსო, პლუტარქოსი და ამგვარი ავტორები ცოდნასა და გამოცდილებას ვერ მისცემდნენ, და საიდან გამოიჩენდა ის ამ ცოდნას ასეთ სერიოზულ კრებებზე? ამისათვის საჭირო იყო ისტორიის საუწყველიანი ცოდნა და ეს კი ნაპოლეონს არ ჰქონდა. Stendhal ხაზგასმით აღნიშნავს, მისთვის ისტორია არ არსებობდაო<sup>1</sup>. „L'histoire n'existait pas pour lui. Il ne connut que les faits qu'il avait vus s'accomplir...“. შემდეგ Stendhal კიდევ უფრო მკაფიოდ ახასიათებს ნაპოლეონის უეცრობას. მან არ იცოდა არც ორთოგრაფია, არც ლათინური, არც ისტორიაო<sup>2</sup>. „Il ne savait ni l'orthographe, ni le latin, ni l'histoire“. ამნაირი ცოდნის შეძენას მეტი მუშაობა უნდა, მეტი კულტურული ჩვევები. მაშინ, როდესაც მარტო პრინციპებისა და ცოდნის წვეროების შეთვისება ადვილად ხერხდება. ნაპოლეონს ბავშობისას ვერც კორსიკა მისცემდა ამ ჩვევებს. ის კორსიკა, რომელიც ჯერ მიწის მფურნის სისტემატიურ მუშაობასაც კი არ იყო შეჩვეული, და ვერც საფრანგეთის სამხედრო სკოლა. Stendhal-ის უარყოფითი აზრი ნაპოლეონის ცოდნის შესახებ შემდეგ ისე შორს მიდის, რომ ის ამბობს, რომ ნაპოლეონს შეეძლო დაემორჩილებინა ხალხი როგორც გენერალს, სარდალს, მაგრამ გამგებლობა კი როგორც მეფეს, არ შეეძლო და ამ ნაკლის მიზეზი სულ მთლად მის აღზრდაშიაო<sup>3</sup>. როცა მას გონიერი აზრი ესაჭიროებოდა მართვა-გამგეობის შესახებ, ის იძულებული იყო ამნაირი აზრი გამოეკონებინა. ამიტომ თავისი პირადად განცდით და კვლევით ხელახლად უნდა აღმოეჩინა ის აზრები, რომელიც უკვე 30 წლით მისზე წინად ყოფილა აღმოჩენილიო<sup>4</sup>. „il eut souvent besoin d'expérience personnelle pour voir les vérités les plus fondamentales et découvertes trent ans avant lui“. შესაძლებელია, Stendhal-ის ეს აზრები განვიადებული იყოს, მაგრამ მათ სიღრმეში უდაოდ ქეშმარიტების თესლია ჩამარხული. ამ აზრებს საფუძვლად უდევს ღრმე ცოდნა ადამიანის ფსიქოლოგიისა. თავის დროზე ამას უფრო ნათლად გამოვარკვევთ. ახლა წინასწარ მოკლედ ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მეც ისე შეჩვენებდა ნაპოლეონი როგორც სამხედრო გენიოსი და მხოლოდ სამხედრო. ხოლო თუ ის პოლიტიკურადაც არაჩვეულებრივად წინ წავიდა, ეს იმიტომ რომ ევრო-

<sup>1</sup>) Stendhal, op. cit. p. 35.

<sup>2</sup>) ibidem.

<sup>3</sup>) Stendhal, op. cit. p. 32.

<sup>4</sup>) ibidem.

პა რევოლუციის შემდეგ ერთ დიდ სამხედრო ასპარეზს წარმოადგენდა. არასოდეს მართვა-გამგეობა საფრანგეთისა და ევროპისა ასე არ გადაქცეულა სამხედრო ბანაკად. გამარჯვება დიპლომატიური და სამხედრო ერთი და იგივე იყო: ძალთა განწყობილებისა და დისპოზიციის განაწილების საკითხი იყო გადაწყვეტი უველფერისა, და ეს კი სამხედრო საქმეა. თვით ახალი იდეები და სწავლავანათლების საკითხი ერთ მთავარ პოლიტიკურ პრინციპს ემორჩილებოდა და, მაშასადამე, პრაქტიკული გამოყენების მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ ნაპოლეონი-მმართველი მოქმედებს ისე-როგორც სარდალი. ამ საკითხს კიდევ დაუბრუნდებით და უფრო დეტალურად შევხებით. ახლა კი ჩვენთვის, მგონია, ნათელია ის, რომ ნაპოლეონს ცოდნა, როგორც ასეთი, ძლიერ მცირე ჰქონია, განსაკუთრებით იმისათვის, რომ სახელმწიფოების გარდაქმნა მოეხერხებინა. ის მხოლოდ საზოგადო განმათავისუფლებელ პრინციპებს ეტანებოდა და ისიც სწამდა და ესმოდა ისე, როგორც მას ეს კორსიკის სინამდვილემ შთაუწერა—ეროვნული თავისუფლების სახით. მაშასადამე აქ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ საფრანგეთის წეს-წყობილების ცვლილების შესახებ მას წინასწარ რაიმე გეგმები ჰქონოდა. ამ გეგმების შემუშავებას დიდი მომზადება, დიდი ფაქტური ცოდნა ესაჭიროებოდა. საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ არა თუ დიდი გეგმები არ ჰქონდა ნაპოლეონს, საერთოდ არაერთი პოლიტიკური გეგმები არ ჰქონდა, ვიდრე ინტერესთა გათიშვამ თვით კორსიკაში თვითონ არ ჩაითრია იგი და ახალი პოლიტიკური მოძრაობა არ შეაქმნევინა. ამგვარ შემთხვევაში ნაპოლეონი ძლიერ მგრძნობიერ აპარატს და ბარომეტრს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ შეუმჩნეველი, ჩანასახად არსებული ინტერესთა წინააღმდეგობა, მაშინვე მოქმედებს მის ფსიქიკაზე და ის, როგორც მოქმედი, ნებისყოფის კაცი, მაშინვე იწყებს მოქმედებას, გეგმები კი მხოლოდ თვით მოქმედების პროცესში ვითარდება და სდგება. ასე იყო კორსიკაში, ასე იყო, როგორც დავინახავთ, საფრანგეთშიც. მანამდის კი ნაპოლეონი დაწინაურების იმედს არც პოლიტიკაზე და არც სხვა რამეზე ამყარებდა. იმას დიდი მწერლობის „ქაილი“ ჰქონდა. მას სურდა მეორე რუსსო ან რეინალი მაინც გამხდარიყო. რაკი იგი ჰხედავდა, რომ მთელი ახალი მიმართულება, ბუნებითი უფლებების საკითხი საუკეთესოდ სწორედ კორსიკაზე უნდა გადაწყდეს, როგორც ამბობდა უდიდესი ავტორიტეტი რუსსო, მაშასადამე კორსიკის შვილთ შეუღლიანთ კაცობრიობის გარდაქმნისა და განახლების საკითხს ყველაზე მეტი სამსახური გაუწიონ. ნაპოლეონიც ამას ცდილობს და სწერს, სწერს ენერგიულად. მაგრამ ამ მწერლობიდან არათფერი გამოდის. ნაპოლეონს ამისათვის არც ნიჭი შესწევს და არც ცოდნა. მისი მაშინდელი ნაწერები არავითარ ინტერესს, გარდა იმისა, რომ მის ბიოგრაფიის მასალებად გამოდგება, არ წარმოადგენს.

ჯერ ლიონის აკადემიის მიერ გამოცხადებული კონკურსის თანახმად, ნაპოლეონმა წარადგინა შრომა შემდეგი გრძელი სათაურით: „Quels sont les principes et les institutions à donner aux hommes pour les rendre les plus heureux possible“? როგორც ამბობს სტანდალი, მაშინდელი პრინციპებისა და სტილის მიხედვით, ეს შრომა უვარგისი აღმოჩნდა. Stendhal-ის ასე ახასიათებს ამ შრომას: „les idées généreuses et romanesques y étaient mêlées à une critique



incomplète et partielle de ce qui existait<sup>1</sup>. საუკეთესო და უდიდესი იდეები არც-  
ული იყო უხეირო კრიტიკაში. შრომა დაწერილი ყოფილა კითხვა-პასუხის სა-  
ხით (ეს ფორმა შედეგად ჰქონდა ნაპოლეონს გამოყენებულ: ეტყობა, ეს მას  
ეხერხებოდა). აი კითხვა-პასუხის ნიმუშიც. კითხვა: „En quoi consiste le bon-  
heur? პასუხი: C'est d'en jouir complètement de la vie, c'est d'en jouir de la ma-  
nière la plus conforme à notre organisation morale et physique“ (რა არის სი-  
კეთე ან ბედნიერება? — ის არის, რომ რაც შეიძლება სრულად ვსარგებლობდეთ  
მით ისე, როგორც ჩვენს მორალურ და ფიზიკურ ორგანიზაციას შეეფერება)<sup>1</sup>.

ამ შრომის შესახებ ოლარსაცა აქვს თავისი მოსაზრებები გამოთქმული.  
საქმე იმაშია, რომ სტანდალი ამბობს, რომ ნაპოლეონმა ეს შრომა დასწავა-  
აღბათ, იმ მიზეზით, რომ დანიშნული ჯილდო ვერ მიიღო. ოლარს კი  
ეს ხელნაწერი ჰქონია და შინაარსს უფრო დაწვრილებით გადმოგვეცემს. ჯერ ერ-  
თი ოლარს სათაური ცოტა სხვანაირადაა აქვს. ოლარს მიერ მოყვანილი სა-  
თაური უფრო გასაგებია. Quelles vérités et quels sentiments il importe le  
plus d'inculquer aux hommes pour leur bonheur? ძლიერ დამახასიეთებელია ნა-  
პოლეონის სულის განწყობილებისათვის შინაარსი და დედა-აზრი ამ ნაწარმო-  
ებისა, თუნდაც ისე მოკლედ გადმოცემული, როგორც ესაა აქვს ოლარს. ის ამ-  
ბობს, რომ ამ ნაწარმოებში ნაპოლეონს საგვებით აქვს გატარებული რესპუბლი-  
კელის კილო („Sans doute le ton est fort républicain“). მაგრამ დროის შესა-  
ფერად à la mode du temps) რას ნიშნავს ეს „à la mode du temps“?  
ის ილაშქრებს განსაკუთრებით „ცუდი მეფეებისა, დესპოტების და ტი-  
რანების წინააღმდეგ“, თუმცა ის საფრანგეთის ყველა მეფის წინააღმდეგ  
არის ამხედრებული. თვით მარატსაც კი შეჰყურის ერთი ფრაზა, რომელიც ნა-  
პოლეონს აქვს ამ წიგნში, ამბობს ოლარი. „Après des siècles, dit Bonapar-  
e, les Français, abrutis par les rois et leurs ministres, les prêtres et leurs im-  
postures, se sont tout à coup réveillés et ont tracé les Droits de l'homme“<sup>2</sup>  
„საუკუნოების შემდეგ, ამბობს ბონაპარტი, ფრანგებმა მეფეებისა, მინისტრებისა,  
მღვდლებისა და მათი ფარისევლობის მიერ გამოყვეყნებულთ, უცებ გამოიღვიძეს  
და დაამყარეს ადამიანის უფლებები“. მარატისებური ფრაზა მართლაც და ეკვი  
არ არის, როგორც ამტკიცებს ოლარი, რომ ამის დაწერილი იმ მომენტში  
მართლაც რესპუბლიკის მომხრეა. მაგრამ ეს სწორედ ფრაზაა, მაშინდელი სტე-  
რეოტიპული რევოლუციონური ფრაზა. ასე უნდა გავიგოთ ოლარის სიტყვა:  
„à mode du temps“. ყველაფერში ჩანს, რომ ხასიათი ამ წიგნისა ისეთია, რომ  
იქ არა ჩანს ნაპოლეონის რესპუბლიკელობის სიღრმე და სიმტკიცე. იმას ჯერ  
არ ესპის მთელი მნიშვნელობა რესპუბლიკელობისა და მისი პრაქტიკული გა-  
მოხატულება, რაკი ის მხოლოდ ლაპარაკობს მეფობაზე არა როგორც სისტემა-  
ზე, არამედ როგორც ტირანობაზე. საფრანგეთის მეფეები ნაპოლეონს შემდეგ-  
შიც ეჯავრებოდა ყველა, გარდა ჰენრიხ მე-IV-ისა.

<sup>1</sup>) Stendhal, op. cit. p. 28.

<sup>2</sup>) Alphons Aulard, Etudes et leçons sur la révolution Française. Bonaparte répu-  
blicain. p. 73.

<sup>3</sup>) Aulard, იქვე.

ამნაირად ეს ნაწარმოები საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისში დაწერილი, როდესაც ნაპოლეონი ჯერ კიდევ კორსიკის ავკარჯზე ზრუნვით იყო შეპყრობილი, ამტკიცებს, რომ ნაპოლეონს შეთვისებული ჰქონდა მხოლოდ რევოლუციონერი ფრაზეოლოგია. ის ცხარე და ძლევამოსილი აგიტატორი, რომელიც მარათბი და შემდეგ კონვენტის ყველა წევრმა გასწია, ჰმოქმედებდა მთელ საფრანგეთის მოქალაქეთა უმრავლესობის გონებას და ერთი ნებისყოფით მსჯელობდა. ამ საერთო მიმართულებას ნაპოლეონიც დაემორჩილა, მაგრამ, უნდა ვითქვით, მასში ეს რევოლუციონერობა, თუმცა დიდი ენებათა ღელვის და აქტივობის გამომწვევი იყო, როგორც ენებიან და ნებისყოფიან კაცში, მაგამ არ იყო სრულიად ღრმად ფესვ-გამჯდარი, ამ ლოზუნგებს არ ჰქონდა შესაუერა შინაარსი მის ცნობიერებაში, ვინაიდან კორსიკა არ აძლევდა ამისათვის საჭირო ცოდნათა და განცდათა მარაგს. რა თქმა უნდა, ყოველი კორსიკელი ადვილად უარპყოფდა მეფობას თეორიულად, რადგანაც მეფე არ ჰყავდათ. მეფის სიკვდილათ დასჯასაც ადვილად შეურიგდებოდა, თუ მის რაიმე ინტერესს ეთანხმებოდა, კიდევ ეხარს დაღქერდა, მაგრამ გვარებად დაყოფილი ქვეყნისათვის, რომლის მტკივნეული ადგილი მისი დანაწილება იყო და ოცნება—ეროვნული გაერთიანება, მეფე, როგორც სიმბოლო ამ გაერთიანებისა, ერის ძლიერებისა და ბრწყინვალებისა, მაინც რალაც მიუწოდებელი შარავანდელი იყო მოსილი. და ეს მიდრეკილება პრაქტიკულად მხოლოდ მაშინ გამოიჩვენებოდა, როდესაც ანის შემთხვევა მიეცემოდა. ასე მოუვიდა ნაპოლეონსაც. ზემოაღნიშნულ წიგნში ოლარი ამბობს<sup>1</sup>, რომ ნაპოლეონი მომხრე იყო ლუი XVI-ის გასამართლებისათ. ერთ თავის წერილში 27 ივლისს 1791 წელს ის აქებს საფრანგეთის 22 დეპარტამენტს, რომელიც კეთილშობილი ცეცხლით არის მოღებული, აქებს იმისთვის, რომ იმისი მოსახლეობა თხოულობს მეფის გასამართლებას.

ამავე დროს, როდესაც მოულოდნელად ამგვარივე ფაქტების წინაშე დადგებოდა, მისი გრძნობების უშუალო, უნებური სტიქიური რეაგირება სულ სხვა სახეს ღებულობდა. როდესაც კორსიკაში Semonvilleს მოუვიდა. ამბავი მეფის უბედურების შესახებ, ნაპოლეონმა, რომელიც ამ დროს იქ იყო, წამოიყვირა: „oh! les misérables! les misérables! Ils passeront par l'anarchie!“ (ოჰ, საცოდავი, საცოდავი, ისინი ანარქიას გამოივლიან!<sup>2</sup>. 20 ივნისის ამბების დროს, ნაპოლეონი ამ ამბის მოწმე იყო. მასზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეფის დამტკობება, განსაკუთრებით. იმ ანარქიამ და უდისციპლინობამ, რომლის შედეგი იყო, მისი წარმოდგენით, სასახლეზე თავდასხმა. ის ლანძლავს მანიფესტანტებს და ამბობს: „Tout cela est de très dangereux exemple“, ეს საშიში მაგალითია<sup>3</sup>. 10 აგვისტოს, როდესაც ხალხი თავს დაესხა მეფის სასახლეს, წესიერების ინსტიტუტმა ნაპოლეონი აქაც ხალხის წინააღმდეგ განწყობილებით გასქვალა. როგორც გადმოგვეცემს ოლარი, ბურიენის მემუარებში მოყვანილია ნაპოლეონის შემდეგი სიტყვები: „როგორ შეუშვეს შიგ ეს მაწანწალები?

1) Aulard, op. cit. p. 74.

2) Chaphthal, op. cit. p. 183.

3) Aulard, op. cit. p. 75.

(ალბათ სასახლეში როგორ შეეშვეს), უნდა ოთხი-ხუთი ათასი კაცი გაენადგურებინათ ზარბაზნით და დანარჩენები გაიქცეოდნენ“<sup>1</sup>. მაგრამ ოლარს ეს ადგილი მემუარებისა საექვოდ მიაჩნია. ძნელი სათქურებელია, რომ ნაპოლეონს აჯანყებულებისათვის ეს სიტყვა (canaille) ეწოდებინა. მაგრამ იმავე დროს თავის ძმას ეოხეფა სწერდა: „ლუი XVI ცხენზე რომ შემეჯდარიყო, გამარჯვება მას დარჩებოდაო“<sup>2</sup>. ზოგი მკვლეიარი ამბობს, რომ თვით ნაპოლეონი აცხადებდა, რომ იმ დროს გულში მეფეს მომხრე ვიყავიო.

აი, რა სიტყვები უთქვამს ნაპოლეონს, თანამად პროფ. ტრაჩევსკის ანონაწერისა: „მე ვგრძნობდი, ჩემთვის რომ მოემართათ, მე დავიკავდი მეფეს. მე ვიყავი იმით წინააღმდეგ, რომელნიც რესპუბლიკის დაარსებას ცდილობენ ბრბოს საშუალებით. ანას გარდა, მე ვებუდავდი, რომ მოქალაქეები ეყენოდნენ მუნდირებთან ხალხს და ანან არა სასიამოვნო გრძნობები ამბოვლა“. აი, რას ნიშნავს გულში ღრმად ჩამარბული პატივისცემა მეფის ბრწყინვალეებისა და ნუნდირებისადნი, რომლითაც კორსიკაში არასოდეს არ დაქტუბარან.

საზოგადოდ ნაპოლეონის იაკობელების მონბრობა ამ დროს ძლიერ საექვოა. უკეთ რომ ვთქვათ, მისთვისვე გამოურკვეველი იყო მისი დამოუკიდებლობა იაკობელთადმი. ერთის ნბრივ ის თითქოს ემბრობა მათ, რამდენადაც მათ ლოზუნგებზეა ლაპარაკი, მეორეს ნბრივ კი ნათი ნოქმედების ნნახველი ნაპოლეონი ხშირად მათი წინააღმდეგია. აქ თვალთმაქცობაზე და თავის მოკატუნებაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგანაც ნაპოლეონი იაკობელობის სასარგებლოდ ისევე საჯაროდ აცხადებდა თავის აზრებს, როგორც მათ წინააღმდეგ. მთავარი მიზეზი ამ ყოყმანისა და ორჭოფობისა ის არის, რომ იაკობელობა საფრანგეთში მწვავე კლასობრივი ბრძოლის შედეგი იყო და ნაპოლეონისთვის, როგორც კორსიკის შვილისათვის, გაუკებარი იყო ეს კლასობრივი ბრძოლის სინმწავის მიზეზი და შინაარსი, თუმცა რადიკალური ცვლილების სასარგებლოდ კი იყო განწყობილი. ამ დროს რევოლუციის პრინციპებს შორის მისთვის, როგორც კორსიკელისათვის, გასაგები იყო მხოლოდ პიროვნების თავესუფლება და ეროვნული თავისუფლება. კორსიკაში იყო ის კლასობრივმა განსხვავებამ ჩათორია ბრძოლაში და განსაკუთრებული პოზიცია მონახვირა, ეს იყო მხოლოდ ინსტიქტი, გარკვეული რამე პროგრამა და ლოზუნგები მას არ წაპოუენებია. ამოტრან ახლა იმისათვის საფრანგეთის იაკობელთა ლოზუნგები გაუკებარი იყო. ანიტომ პოლიტიკური მოღვაწეობა ამ დროს მას არ შეეძლო და ემორჩილებოდა ავტორიტეტებს. ხოლო თუ თავის აზრს მაინც გამოსთქვამდა ხშირად მაშინ გამეფებულ მიმართულებათა და რევოლუციონერ ლოზუნგების წინააღმდეგ, აქ მისი სარდლის ნიჭი, სამხედრო კაცის მიდრეკილება მოქმედობს. როგორც სარდლს,

<sup>1</sup>) Aulard, op. cit. p. 76.

<sup>2</sup>) Ibidem.

მას სძღვს ანარქიული და უდისციპლინო მოქმედება. როგორც სარდალი, იგი აღნიშნავს მეფის შეცდომას: როდესაც ის ამბობს, რომ მეფე უნდა ცხენზე შემჯდარიყო, ის ლაპარაკობს როგორც სარდალი, სტრატეგი, მეფის ცხენზე შეჯდომა სტრატეგიული მანევრი იქნებოდა, პოლიტიკურად კი ამგვარი შენიღბვა უაზრობაა.

დარწმუნებული, თანახმად რუსსოს სიტყვებისა, რომ კორსიკა განათლებულ კაცობრიობას რაღაც ახალ მხსნელ მაგალითს უჩვენებდა მოქალაქობრივი ცხოვრებისას, ნაპოლეონი თავის მოღვაწეობის პირველ პერიოდში სწერს და სწერს დაულალავად, ალბათ იმ იმედით, რომ თავის ნაწერებში რაიმე ახალ „აღმოჩენა“-ს მოახდენდა კაცობრიობისათვის. ნაწერები ყველა ისეთი ხასიათისაა, როგორც ზემოაღნიშნული ტრაქტატი. მან დასწერა კორსიკის სამოქალაქო და სამხედრო ისტორია, რომელშიც ცდილობდა გაეტარებინა რეინალის მიმართულება<sup>1</sup>. ამ ნაწარმოებშიც ნაპოლეონი მეფის უფლების წინააღმდეგ ილაშქრებს და რევოლუციისადმი მიდრეკილებას იჩენს. ვერაფერად შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ ეს სიტყვები გულწრფელად არ ყოფილიყოს ნათქვამი, ვინაიდან იმ დროს იგი არავითარ მიდრეკილებას არ იჩენდა უფლების ხელში ჩაგდებისადმი და მთელ თავის კარიერას მხოლოდ ამ ნაწერებს ამყარებდა. მაგრამ როგორც უკვე ზევით ნათქვამი გვარწმუნებს, ეს მეფისადმი სიძულვილი არ იყო და არც იქნებოდა მასში ღრმა და ურყევი, როგორც ყოველ კორსიკელში. 16 წლისას მას დაუწერია „Mémoires de l'éducation des Jeunes Moinots, სამხედრო სკოლების რეფორმის პროექტი, „კორსიკული რომანი“, „წინასწარმეტყველის ნილაბი“, „ღალაოვი სიყვარულზე“. „დისსერტაცია მეფის უფლებების შესახებ“<sup>2</sup>. ყველა ამ ნაწარმოებს თუ არა, უპრავლესობას მაინც, განსაკუთრებით კი ბელეტრისტულს, ეტყობა მაშინდელი სანტიმენტალიზმის გავლენა. გასაკვირველიც არ არის ეს, არა მარტო იმ დროისთვის, არამედ ნაპოლეონისათვისაც, რომელსაც ხუთჯერ ჰქონდა გადაკითხული გოეთეს „ვერტერი“; თავსბრუდასხმული ჰქონდა რუსსოს „ახალ ელოიზით“. ექიმის მეოცნებე მიდრეკილებისა იყო ამ დროს ნაპოლეონი, რომ, როგორც თვითონ ამბობს, ის ოცნებობდა „უღაბურ კუნძულზე“, სადაც ის „დაემალებოდა ადამიანთა ცთუნებას, პატივმოყვარეობის თამაშსა და ზერელე ვნებებს“<sup>3</sup>. სად არის აქ ის ნაპოლეონი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ? სადა ჩანს აქ მისი მმართველის ნიჭი, სადა ჩანს ქვეყნის დამპყრობელი? ან განა შეიძლება ეკვი შევიტანოთ, რომ ამ დროს მას რაიმე გეგმები კი არა, ფიქრები მაინც ჰქონოდად მომავალი თავის როლის შესახებ? შეიძლება უფრო ადვილად ისიც კი ვიფიქროთ, რომ, რევოლუციისა რომ არ მომხდარიყო იმ დროს და ნაპოლეონში არ აშლილიყო მის კორსიკულ გულში ღრმად ჩამარხული პატივმოყვარეობა და ამგვარად არ გამოაკვეულიყო მისი ნიჭი, ის ასეთსავე კაცად დარჩებოდა და არავის დღეს მისი სახელი არ ეხსოვებოდა. ერთი სიტ-

1) Stendhal, op. cit. p. 87.

2) Пзев, op. cit, сop. 29. об. აგრეთვე გვ. 21.

3) Трачевский, op. cit. сup. 18.

ყვით, გარეშე იმ ასპარეზისა, რომელიც მას მასსების ამოძრავებამ, რევოლუციამ მოუშნადა, ის უჩინარი კაცი იყო.

თვით ეს ნაწარმოებებიც, რომელსაც ის ასე ბეჯითად სწერდა, ყოველსავე ლიტერატურულ ღირსებას იყო მოკლებული, ამიტომ არავის არც იმ დროს და არც შემდეგ მათთვის, როგორც ლიტერატურული ნაწარმოებთათვის, ყურადღება არ მიუქცევია. რომ ნაპოლენი შემდეგ ისე არ დაწინაურებულყო და მისი პიროვნებისადმი ინტერესი რომ ასე არ გაძლიერებულიყო, თვით ეს ნაწარმოებიც არავის არ მოაგონდებოდა. Stendhal ასეთ „რეცენზიას“ გვაძლევს მისი შრომების შესახებ; „მისი სტილი არის მძიმე, ფრაზების მიმოქცევა რამდენადმე არე-დარეული, შიგადაშიგ გვხვდება იტალიანისნები“<sup>1</sup>. ერთადერთმა ბუტრატოკოს წინააღმდეგ მიმართულმა პოლიტიკურმა პაშულებმა მიიქცია მაშინ ყურადღება და ეს იმიტომ, რომ გამოწვეული იყო უშუალოდ პოლიტიკური ვენებათაღელვის მიერ და არა მიღებული პრინციპების საქადაგებლად. როგორც შემდეგ დავინახავთ, ამისთანა შემთხვევებში ნაპოლეონს კალაშიც კი უჭრიდა, თითქოს ხმლის მაგივრობას ახლა ის თამაშობსო. თავის თავად ცხადია, რომ ვერც ნაპოლეონს და ვერც ვისმე დავწამებთ იმას, რომ ამდენ ნაწერებში სტუეოდეს და ჰმაღადეს თავის ნამდილ განზრახვებს და გეგმებს. ამდენი თვალთმაქცობა სრულიად წარმოუდგენელია იმ შემთხვევაშიც კი, ნაპოლეონი რომ „დემონური ხასიათის“ ან ზეკაცის თვისებებით დაჯილდოებული კაცი ყოფილიყო თავიდანვე. წარმოდგენელია ეს მით უმეტეს, რომ, როგორც კი მის პატივმოყვარეობასა და დაუდგრომელ ენერჯიას ასპარეზი მიეცემოდა, ის მაშინ თავს ვერ იკავებდა და პოლიტიკურ ქარტეხილში გადავარდებოდა, როგორც ეს მოხდა კორსიკაში, როდესაც მას ჯერ სრულიად არ ჰქონდა გამორკვეული არც თავისი მომავალი და არც მოწოდება და როდესაც, მაშასადამე, მისი გეგმების განხორცილების დრო დამდგარი არ იყო და ამიტომ თავის მოკატუნება ჯერ კიდევ საჭირო იყო, თუ მართლაც შეიძლება ეს საქციელი მას დავწამოთ.

ამით ის არ მინდა ვთქვა, რომ ნაპოლეონს არ შეეძლო ტყუილის თქმა, არ შეეძლო ზოგჯერ გაიძევრობაც. ეს რომ ასე ყოფილიყო, ის კორსიკის შვილი არ იქნებოდა. მაგრამ ეს „დიპლომატობა“ მას მხოლოდ პირადი ცხოვრების მოსაწყობად ჰქონდა. როგორც კორსიკელს, მას „პოლიტიკანობა“ ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი, მაგრამ პირად ცხოვრებასა და წერილობანებს ეხებოდა, რათვანაც აქაც კორსიკა ვერ შეჰქმნიდა თავის სინამდვილეში ასეთ დიდ დიპლომატიურ ნიჭს. ამისთვის კორსიკას მისი მარტივი და თითქმის პრიმიტიული წესწყობილებით საქმეო ასპარეზი არ ჰქონდა. ხოლო რაც შეეხება წერილმან პოლიტიკანობას, როგორც ამისთანა ჩამორჩენილ ხალხში დიპლომატიურ ნიჭად მიაჩნიათ და ამიტომაც ამყობენ, ამაში ნაპოლეონს სხვა ცნობილი კორსიკელები უფრო სჯობდენ, როგორც ნამდილი, ბუნებრივი და ორდინალური კორსი-

<sup>1</sup>) Stendhal, op. cit. p. 38.

კვლები, რომელნიც არავითარი განსაკუთრებული ნიჭით არ იყვნენ დაჯილდოვებულნი. ერთი ამგვარი მაგალითი უკვე გვექონდა ზემოთ მოყვანილი: პოცკო დი ბოროსი. შემდეგში გამოირკვა, რომ თავის პირადი ცხოვრების მოწყობისათვის უფრო მეტი ნიჭი შესწევდათ თვით ნაპოლეონის ძმებს, რომელნიც ნაპოლეონზე ადრე მოეწყნენ სხვადასხვა თანამდებობაზე და საკმაოდ მკვიდრადაც. იაგრამ ყველაზე მაღავე ამისთანა საქმეში აღმოჩნდა ცნობილი სალიჩეტი. ერთის ნხრიც ნაპოლეონის მოხერხებულობა და სიმარჯვე პირად ცხოვრებაში ნალოლდ იმაწი განიიხატა, რომ ხან რამდენჯერმე ხანგრძლივი შეებულება აილო კორსიკაწი წასასვლელად და შეებულების ვადას ყოველთვის გადააცილებდა ხოლმე. შემდეგ კი ტყუილების მოგონება სქარდებოდა<sup>1</sup>. ამისთანა შემთხვევაში ის ტყუილებს, მართალია. არ ერიდებოდა. თუმცა აქაც ვერ იჩენდა დიდ „შემოქმედებას“, ვინაილგან მართლა ძლიერ სტანჯავდა ციებ-ციხლება, ბოლოსმანიც აწნაირო ეშმაკობის შედეგებსაც ვერ გადაურჩა და ადგილი დაჰკარგა. მისი ძმები ამ დროს ჯერ რიგიანად არ იყვნენ მოწყობილი და ამიტომ ბონაპარტების ოჯახი დიდ გაქირებებაში ჩაყარდა. ნაპოლეონი საშინლად დაეცა სულით. შესახედავლაც საცოდავი, ის პატარა ჯამაგირზე-ლა ოცნებობდა, და ორთქლივით გაიფანტა ის დიდი ოცნებები მის მომავალ ბრწყინვალე ვარსკვლავზე, რომელიც ნას ესტუმრებოდა ხოლმე მაშინ, როდესაც ის უფრო ბედნიერი იყო. ასეთი შემთხვევა მას შემდეგშიც რამდენჯერმე მოუვიდა და ყოველთვის სულით ეცენიოდა და არავითარი გეგმების ნატამალი არ რჩებოდა. გეგმებს იგი მხოლოდ ნაწინ ადგენდა, როდესაც ბედი გაუღიმებდა და რალაც იმედები მიეცემოდა. ერთ ხანად ოსმალეთის არმიაშიც კი აპირებდა შესვლას, ოლონდ რაიმე სამხედრო ადგილი ეშოვა და ლარიბი ოჯახი უზრუნველყო. მართალია, შემდეგში სტანბოლი მის გეგმებში მომავალი მსოფლიო იმპერიის ცენტრად ჰქონდა დასახული, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც მან ევროპა დაიპყრო. მაშინაც ჯერ აწისათვის ნაბიჯის გადადგმას არ აპირობდა. როდესაც ის იქ სამსახურს ეძებდა, მაწინ მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, რომ „ნაბობი“ გავხდები და გავმდიდრდებიო. ამ პირობებში, რასაკვირველია, არავითარ გეგმებზე ლაპარაკი არ იწენებოდა. ისე კი, ყოველი ცოცხალი ადამიანი რევოლუციის ქარტახილის დროს რასმე იფიქრებს ქვეყნის მომავალზე, და ნაპოლეონიც ფიქრობდა ხან ერთს, ხან მეორეს. ხოლო რომ ვთქვათ, თვისი მომავალი გეგმა უკვე წინასწარ ესახებოდაო, ეს სწორე არ იქნება.

## IV

## ცვალებალობა თუ ლალატო.

საზოგადოდ ნაპოლეონიც, როგორც სხვა კორსიკელი მოღვაწენი, თავის პირადი ცხოვრების მოწყობის გულისათვის, მართალია, არ ერიდებოდა ინტრი-

<sup>1</sup>) ეს ფაქტები იქანდის საყოველთაოდ ცნობილია და თითქმის ყველა გამოკვლევაში აღნიშნული, რომ საპიროდ არც კი მიზანია მითითება ლიტერატურისა, საიდანაც იგი ამოეკრიბე.

გების ქსელის გაბმას და პროტექციებს, მაგრამ დანარჩენ კორსიკელებთან შედარებით, იმას ყველაზე ნაკლები მოხერხება ჰქონდა. ამის საუკეთესო მაგალითს გვიჩვენებს მისი დამოკიდებულება მის მოპაეალ ცოლთან, ჟოზეფინასთან. 9 თერზიდორის რევოლუციის შემდეგ, როდესაც რობესპიერი სიკვდილით დასაჯეს და მასთან ერთად მრავალი მისი მომხრე, როდესაც უკიდურესმა იაკობელებმა ძალა დაკარგეს და მართვა-გამგეობა ზომიერებმა ჩაიგდეს ხელში, პარიზში ემიგრანტების ერთი ნაწილი ადბრუნდა, და ცხოვრება საგრძნობლად შეიცვალა, რადგანაც კანონი მინიჭდისა და სპეკულაციის შესახებ გაუქმდა და მოკაქრე ბურჟუაზიამ ხელახლად ფეხა მოიკიდა. პარიზში ხელახლად შეიქმნა არისტოკრატიული სალონები და მათ შორის ყველაზე ჰეტად ბრწყინავდა ქან პერნონის სალონი, სადაც ბრწყინავდენ თავის სილამაზით თეთ ქანი პერმონი, ქანი ტალიენი, ქანი ვისკონტი და მათ შორის იყო აგრეთვე ჟოზეფინა ბოგარნეუ<sup>1</sup>. ყველა ესენი ასულად განფეხბული ზომიერი რეჟიმის მომხრენი იყენენ. ახლა ხელახლად უსაქმოდ დაჩენილი ზონაპარტა კდილობს ამ წრეს დაუახლოვდეს, ალბათ, კარიერისათვის, რადგანაც ის ჰხედავდა, რომ დადგა დრო, როდესაც ქალების საშუალებით უკეთესად შეიძლება დაწინაურება. მაგრამ მწელი იყო ამ ბრწყინვალე არისტოკრატ-ას მოსწონებოდა შორს გადაკარგული პროვინციის შეილა. ალუბრდელი მთიული თავის მოუხეშაი მანერებით, სიჩუმით, უსუფთაო წადებით და ძველი მუნდირიო. უნეტეს შემთხვევაში ნაპოლეონი მარტობას ამჯობინებდა და გარეთ ნოლოდ 9 საათის შემდეგ გამოდიოდა, რაც ძლიერ სახიფათო იყო იმ დროს, რადგანაც მტრები ქუჩაში იქერდენ რობესპიერის მომხრეებს და გილიოტინაზე გზავნიდენ. საშინელ სასაწარკვეთილებაში იყო ნაპოლეონი. ათასნაირი პრობლეტი უტრიანლებდა თავში, და ეს პროექტები არც ერთი არ ჰგაედა იმ გეემას, რომლითაც იგი შენდეგ მოქმედებდა, როგორც ქეყენის მბრძანებელი. ხან ინგლისელების ჯარში აპირებდა შესვლას, რაც, რასაკვირველია, სრულიად ეწინააღდეგებოდა მომეალ გეგმებს იმპერატორობის დროისას, ხან რუსეთის ჯარში (ანზობენ რუსეთთან მოლაპარაკებაც კი ჰქონდა ამის შესახებ, ხოლო პირობაში ვერ შეთანხმდნენო: მას უფრო დიდი ჩინით უნდოდა შესვლა და რუსები კი პოლიკის უფროსობას აძლევდნენო). ხან სპეკულაციას აპირებდა თავისი მშების ფულით და ცდილობდა კიდევ. მაგრამ ამ პროექტებიდან არათერი არ განოედა. ნთელი მისი ოჯახიც ჩანოქვეითდა მასთან ერთად. ამისთანა საცოდავ კაცს, რასაკვირველია, არავინ არ დაჰპარბდებოდა. მაგრამ ამ ოჯახში ის დაუახლოვდა ბარრას, ამ ქალების მეოხებით დაწინაურებულს და დირექტორიის თავმჯდომარედ დანიშნულს. ბარრა ძლიერ დაახლოვებული იყო ჟოზეფინასთან, რომელიც სიკვდილით დასჯილ გენერალ ბოგარნეს ქერივი იყო, ორი მოზრდილი შვილის დედა. როდესაც საფრანგეთის ასეთი მდგომარეობით ისარგებლეს რომალისტებმა და გრათ არტუსს მეთაურობით შემოაკრნენ პარიზში, რათა ისევ თვითონ ჩაეგდოთ ხელში ძალა-უფლებმა, მათ წინააღმდეგ საბრძოლველად დირექტორიამ ამოიარჩია ბარრა, რომელსაც

<sup>1</sup>) Mémoires de Constant, p. 164-165.

<sup>2</sup>) Пз ер. гв. 44-45; Трачевский, op. cit. гв. 78-80.

პირადად ბძოლა სრულიად არ შეეძლო და იკისრა მხოლოდ იმ პირობით, თუ მას მისცემდნენ ნებას, რომ ჯარის უფროსად დაენიშნა, ვინც უნდოდა. თუმცა ნაპოლეონი, როგორც სალონის წევრი, არაეის არ მოსწონდა, მაგრამ ყველა კარგად ხედავდა, რომ მხედარი და ჯარის ხელმძღვანელი ის კარგი იყო. ამიტომ ბარბამ მას მიანდო „შავი საქმე“, ასრულება იმ გეგმისა, რომელიც მას ჰქონდა როიალისტების მიმართ. ნაპოლეონი გაიმარჯვებდა და სახელი კი მისი იქნებოდა. ასე ფიქრობდა ბარბა. მაგრამ საქმე ასე არ დატრიალდა. 13 ვანდენიერის გამოსვლით ნაპოლეონმა ისეთი ლეგენდარული სახელი მოიხვეჭა, რომ ერთბაშად ყველას თვალში ის „საბედისწერო კაცად“ გადაიქცა. მაშინ უკვე ბევრისათვის აღარ იყო დასაწუნებელი კაცი. ჟოზეფინა კი, რომელიც ამ დროს უკვე ღარიბად იყო და წინადაც ამჩნედა ნაპოლეონს რაღაც არჩევულებრივ ნიქს, ახლა გაიმსჭვალა იმედით, რომ ამ კაცის საშუალებით ის ცხოვრებაში კარგად მოეწყობოდა. ბარბა, რომელიც, როგორც ამბობენ, ფაქიზი ზნეობის კაცი არ იყო<sup>1</sup>, ცდილობს ამის შემდეგ გააბედნიეროს ნაპოლეონი თავის მახლობელი ქალების საშუალებით. ბოლოს მან საუკეთესოდ მიიჩნია თავისთვისაც რომ ნაპოლეონისათვის ისეთი ბედნიერება მიენიჭებინა, რომ თვით ბარბასათვისაც კარგი ყოფილიყო. მან თავიდან მოიშორა ბოგარნეს ქვრივი და ნაპოლეონს შერთო იგი. ეს მაშინ მოხდა, როდესაც უკვე ნაპოლეონი ჟოზეფინას სიყვარულით გადარეულივით იყო. ქ-ნ Constantის მიერ მოცემული დახასიათება ჟოზეფინასი<sup>2</sup> არავითარ ექვს არ სტოვებს, რომ იგი ცდილობდა თავის სილამაზის ქნობის ხანაში ესარგებლა მომენტით და ეცადა ბედი. მას ჯერ კიდევ ჰქონდა უნარი ისეც გონება-დაკარგული შეყვარებული კაცისათვის უფრო მეტად დაესხა თავბრუ. ტრაჰენსკი პირდაპირ ამბობს იმას, რასაც სხვები მხოლოდ მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობენ—რომ ჟოზეფინას ნაპოლეონის მიმართ თავისი ანგარიშები ჰქონდაო. მაგრამ როდესაც ნაპოლეონი ქ-ნ პერმონის სალონში შედიოდა, იმასაც თავისი ანგარიშები ჰქონდა. ბოლოს ამ ორხრივი ანგარიშიდან ის გამოვიდა, რომ ნაპოლეონმა წააგო: მას უნდოდა ეს სალონის ქალები გამოეყენებინა ჯ რიერისათვის, ნამდვილად კი ბოგარნეს ქვრივმა თვით ის გამოეყენა თავის კარიერისათვის. გვირგვინოსანი ვახდა. ამის მიზეზი იმდენად ჟოზეფინას მოხერხებაში არ იყო, როგორც ნაპოლეონის „უხეირობაში“, რომელიც იმაში გამოიხატა, რომ მან თავისი მონაგარიშის პოზიცია ვერ შეიკავა და ისეთის მთიულური, პლემბური უხეში ვნებით შეუყვარდა ჟოზეფინა, რომ ყოველი ანგარიში დაფხრიწა და შორს გადაყარა. მან ჟოზეფინა ცოლად შეირთო, შემდეგ იქამდის მივიდა, რომ ცხადი ლალატი და თითქმის მისადმი უკადრისობაც კი აპატია და თითქმის სიკვდილამდის უყვარდა იგი. ეს თვისება არ არის მოხერხებული, ვაძიერა, თვალთმაქცი ანგარიშის კაცისა. აქაც იგი წაგებული დარჩა, და მისმა პირდაპირობამ, ძლიერმა ვნებამ მისი ცივი ანგარიშიანობა დაიმორჩილა. შემდეგში მისი დაწინაურება უფრო შემთხვევის

<sup>1</sup>) V a n d a l, L'avènement de Bonaparte. t. I p. 23.

<sup>2</sup>) Mémoires de Constant; აგრეთვე Histoire de Napoléon Bonap. t. I, l'introduction p. CXIX.



ბრალი იყო. 13 ვანდემიერის აჯანყება და საბაბი კიდევ ერთხელ თავისი ძლიერი მხედრული ნიჭის გამოჩენისა იყო ასეთი შემთხვევა. აი მკაფიო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდოდა ნაპოლეონს კორსიკული ხრიკების საშუალებით დაწინაურება და როგორ მარცხდებოდა ყოველთვის ამისთანა შემთხვევაში.

მეორე ამისთანა შემთხვევა იყო უმცროსი რომესპიერის მეგობრობა, რომელიც მას კინალამ სიცოცხლედ დაუჯდა. ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, რომ ნაპოლეონი საფრანგეთის პოლიტიკაში არ ერეოდა, სანამ რევოლუციის ჩარხი უკუღმა არ გადატრიალდა. დიდი რუსო ამისათვის ისეთი ავტორიტეტი იყო, რომ მისი იდეალების განმზიარებელთ, რომელთაც შეადგინეს „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“, 1791 წლისა და 1793 წლის კონსტიტუციები, დიდის მოწინააღმდეგეობით უკუბრუნდა. მათთან ის საფრანგეთში პოლიტიკოსობას ვერ ჰბედავდა. მართალი იყო. როგორც იმისმა ნაწერებმა დაანახვეს ქვეყანას, ის არც პოლიტიკოსი იყო და არც მწერალი. ის მხედარი იყო და დირექტორიის დროს იგი კარგად გრძობდა, რომ ის ნხოლოდ ხმლის საშუალებით დაწინაურდებოდა. მაგრამ მხედრულმა მოღვაწეობამ ის დაუახლოვა უმცროს რომესპიერს, რომელიც კორსიკელ სალიჩეტისთან ერთად კონვენტის კომისრები იყვნენ საზღვრით არმიისში. მას შემდეგ რაც ნაპოლეონმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა ტულონში, რომესპიერი—უმცროსმა მას ყურადღება მიაქცია და იტალიის არმიის უფროსად დანიშნა. ნაპოლეონი იტალიის დასაპყრობად ეზადებოდა, როდესაც მოხდა 9 თერმიდორის რევოლუცია და რომესპიერები, ორივე ძმები, იქნენ სიკვდილით დასჯილნი. სალიჩეტისაც, რასაკვირველია, ეშინოდა იმავე ბედისა და ახლა ის ემნაკობას ხმარობს, რომ ახალ მთავრობას სასწაული გაუწიოს, რათა თავიდან აიცილოს მწარე ბედი თავის ყოფილ თანამოაზრეებისა. თავის დასახსნელად ის მიზანში იღებს ნაპოლეონს და იმას სახავს თავის სიცოცხლის ზეარაკად. არა ჩანს, რომ ნაპოლეონსა და მის შუა საზოგადოდ რაიმე უსიამოვნება როდისმე არსებულებოდა. ერთად-ერთი ნხოლოდ ის იყო, რომ ერთი კორსიკელი, შეიძლება, გრძობდა, რომ მეორე მას წინ უსწრობს, და ამიტომ ძველმა კორსიკელმა შულმა უცხო გვარის წარმომადგენლისადმი გაიღვიძა, და სალიჩეტომ ამიტომ სწორედ ის, კორსიკელი, და არა სხვა ვინმე ამოირჩია მსხვერპლად. მით უნეტეს, რომ ნაპოლეონი თავისი კლანის ფარგალში ურთიერთობის მხრივ წმინდა კორსიკელად დარჩა. ყოველ ნაბიჯს მის დაწინაურებაში მოსდევდა ის, რომ მოაწყობდა ხოლმე თავის ძმებსა და დებს, წელეზე ფეხს იდგანდა, რომ თავისი გვარი გაემდიდრებინა და დაეწინაურებინა. ალბათ ეს გრძობა ამოქმედებდა სალიჩეტის. თორემ განა ცოტა იყო საფრანგეთში მაშინ რომესპიერის ნომრე, რომლის გაცემით და დაბეჭდვითაც ის ახალი ბატონების ნდობას მოიხვეჭდა? რაღა მიანც ნაპოლეონი დასკირდა?

აი სწორედ ამ სალიჩეტომ მოახსენა კონვენტის ახალ ნეთაურებს, რომ ნაპოლეონს, რომელიც იტალიის არმიისში დარჩა, რომესპიერთან რაღაც შეთქმულება ჰქონდა და ახლა, თუმცა ძმები რომესპიერები სიკვდილით არიან დასჯილი, მაგრამ გადარჩა ნაპოლეონი, რომლის ხელშიც არის ამ შეთქმულობის მეთაურობა. ამიტომ ის უნდა დატუსაღებულ იქნეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შე-

საძლებელია, წიგნებზე იმან მოიყვანოს სისრულეში. ამას გარდა, ნაპოლეონს ადგილობრივად ჰქონდა რაღაც უსიამოვნება, და რომესპიერის სიკვდილით დასჯის წინდებ მეტიც დღეს ის დაატუსაღეს და საეკვო მოქალაქედ გამოაცხადეს. ეს ანაბი Stendhalსა და Chaptal<sup>1</sup> კოტა სხვადასხვანაირად აქვთ აწერილი და ამიტომ საკვიროდ მიიჩნია ყოველივე ეკვის გასაფანტავად აქ ამოეწერო Stendhalის მიერ მოყვანილი ბრძანება კონვენტის კომისრებისა ნაპოლეონის დატყვევების შესახებ.

—Au nom du peuple français.—Liberté, égalité. Les représentants du peuple près l'armée des Alpes et d'Italie.

Considérant que le général Bonaparte commandant en chef d'artillerie de l'armée d'Italie, a totalement perdu ieur Confiance par la conduite la plus suspecte et surtout par le voyage qu il a dernièrement fait à Gênes, arrêtent ce qui suit:

„Le général de brigade Bonaparte, commandant en chef d'artillerie de l'armée de l'Italie, est provisoirement suspendu de ses fonctions. Il sera par les soins sous la responsabilité du général en chef de ladite armée mis en état d'arrestation et traduit au comité de salut public à Paris, sous bonne et sûre escorte. Les scellés seront opposés sur tous les papiers et effets, dont il sera fait inventaire par des commissaires qui seront nommés sur les lieux par les représentants du peuple Salicetti et Albitte, et tous ceux des dits papiers qui seront tournés suspects, seront envoyés au comité de salut public. Fait à Barcelonette de 19 thermidor, an II de la république française une et indivisible et démocratique (16 aût 1794). signé: Albitte Salicette, Laporte<sup>2</sup>. რაპდენად მოგონილი იყო ის, ვითომც ნაპოლეონის მოქმედება იტალიაში საეკვო ყოფილიყოს მაშინდელი ხელისუფლებისათვის, ჩანს იქიდან, რომ ის დიდად დაახლოვებული უმცროს რომესპიერთან და არც სხვა იაკობელებთან არაოდეს ყოფილა. ის მათ ემორჩილებოდა და მათთან თანამშრომლობდა, როგორც მაშინდელი მთავრობის წარმომადგენლებთან. როგორც მხედარი, ის შინაურ პოლიტიკაში ცდილობდა არ ჩარეულიყო, მით უმეტეს, რომ ისეთი დიდი პოლიტიკური მოღვაწეების წინაშე, როგორც იყვნენ ჯერ მირაბო და ლათაიეტი, მერე დანტონი და მარატი, მერე რომესპიერი და სენჟუსტი, იმას თავისი თავი სრულიად მოუშზადებლად მიიჩნდა, როგორც უკვე არა ერთხელ აღვნიშნეთ, რადგანაც ეს ძლიერ მნიშვნელოვანია, და ამ დიდ ავტორიტეტებს ემორჩილებოდა, მით უმეტეს რომ ამათი ავტორიტეტი ჯერ მის შეგნებაში შერყეული არ იყო. თუ როგორ გაუბოდა იგი შინაურ პოლიტიკას, ჩანს იქიდან, რომ ტულონის აღების შემდეგ, როგორც ამბობენ, მას დაჭერილი აჯანყებული როიალისტების სიკვდილით დასჯა მიანდეს და მან ამაზე უარი სთქვა, ჯარის საქმე არ არის ესაო. ამას გარდა, რომესპიერების სიკვდილით დასჯის შემდეგ მას მიუწერია წერილი გენუის წარმომადგენლისათვის, როდესაც ის დაჭერას არ ელოდა, რომელშიაც იგი გამოსთქვამს თავის დამოკიდებულებას რომესპიერისადმი<sup>3</sup>:

<sup>1</sup>) Chaptal, op. cit.; Stendhal, op. cit.

<sup>2</sup>) Stendhal, op. cit. p. 59

<sup>3</sup>) Aulard, Études et leçons p. 79.

„J'ai été un peu affecté de la catastrophe de Robespierre le Jeune, qui j'aimais et qui je croyais pur; mais fût-il mon père je l'eusse moi-même poignardé, s'il aspirait à la tyrannie“. „მე ცოტა ამაღელვება უძცროსი რობესპიერის დაღუპვამ, რომელიც მე მიყვარდა და რომელსაც უმწიკვლო კაცად ვთვლიდი, მაგრამ ის რომ მანა ჩენიც ყოფილიყო, ჩემი ხელით დაეხანჯლავდი, რომ შეგეტყო, რომ მას ტირანობა გაუფუტკრია“. მოჰყავს რა ეს წერილი, ოლარი დასძენს, რომ ამნაირი გრძნობების მატარებელი დიდხანს დატუსაღებული არ დააჩბობდა<sup>1</sup>. ზოგს კი ეკვი შეაქვს ამ წერილის გულწრფელობაში და ფიქრობს, რომ ეს წერილი ნაპოლეონმა განგებ მისწერა გენუის ელჩსაო, რათა თავისდროზე, თუ მას რაიმე ხიფათი დაატყდებოდა თავს, რობესპიერთან კავშირის განყოფილება ეს წერილი განოცხადებინა თავის სასარგებლო საბუთადო. მე ვფიქრობ რომ ეს მეტის მეტი გადაჭარბებულ იქვიანობაა ნაპოლეონის მიმართ. ჯერ ერთი ამ მიზნით რომ მიეწერა წერილი, პირდაპირ რობესპიერის წინააღმდეგ იქნებოდა და სხვა არაფერი. რა საკირო იყო მაშინ იმის თქმა, რომ მე მიყვარდა რობესპიერიო? იმდენი მოსაზრება კი ჰქონდა ნაპოლეონს, რომ თუ ეშმაკობა უნდოდა, ეთქვა, რომ მე მარტო სამსახურის თაობაზე მქონდა მასთან კავშირიო. მეორე: რალა მაინც გენუაში იწერებოდა ამისთანა წერილს? ისევე პარიზში მისწერდა ვისმე, რომ რაც შეიძლება მალე ენახათ იგი კონვენტისა და პოლიტიკის ახალ მეთაურებს. მესამე და უმოაერესი: როდესაც დატუსაღებული ნაპოლეონი თავს მართლულობდა, როგორც ქვემოთ ვნახავთ. არც ერთი სიტყვით ეს წერილი არ მოუხსენებია და არ გამოუყენებია იგი საბუთად თავისი ლოიალური გრძნობებისა, არც ამ წერილის ადრესატი დაუსახელებია რისამე მოწმედ. ამას მოწმობს მისი წერილობითი პროტესტი მისი დატუსაღების წინააღმდეგ. მთელი ეს წერილი თავიდან ბოლომდე მოწმობს იმას, რომ ნაპოლეონს ამ შემთხვევაში არავითარი არც ეშმაკობა და არც თავის მოკატუნება ფიქრადაც არ ჰქონია. ამ წერილში ის კი არ სთხოვს კონვენტს თავის განთავისუფლებას, არამედ მოითხოვს მისგან ამას<sup>2</sup>. საზოგადოდ ეს წერილი მრავალმხრივ არის ნაპოლეონის დამახასიათებელი. იგი Stedhalის წიგნშია მოყვანილი და ძლიერ მიკვირს, რატომ მკვლევარები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ამ საბუთს, რათგანაც ამ საბუთს ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს ნაპოლეონის პიროვნების გამოსარკვევად. ამიტომ მას სრულიად ამოეწერა. აი ეს საბუთიც:

Vous m'avez suspendu de mes fonctions arrêté et déclaré suspect. Me voilà flétri, sans avoir été jugé ou bien jugé sans avoir été entendu. Dans un état révolutionnaire il y a deux classes, les suspects et les patriots (ხაზგასული ჩემია). Lorsque les premiers sont accusés ils sont traités par forme de sûreté de me sures générales. L'oppression de seconde classe est l'ébranlement de la liberté publique. Le magistrat ne peut condamner qu'après les plus mûres informations et que par une succession de faits, selui qui ne laisse rien à l'arbitraire. Declarer

<sup>1</sup>) ibidem.

<sup>2</sup>) Stendhal, op. cit. p. 60-62.

un patriote suspect, c'est un jugement qui lui arrache ce qu'il a de plus précieux, la confiance et l'estime.

Dans quelle classe veut-on m'è placer? Depuis l'origine de la Révolution n'ai-je pas été toujours attaché à ses principes? Ne m'a-t-on pas toujours vu dans la lutte, soit contre les ennemis internes, soit comme militaire, contre les étrangers? J'ai sacrifié le séjour de mon département, j'ai abandonné mes biens, j'ai tout perdu pour la République. ამის შემდეგ ნაპოლეონს ჩამოთვლილი აქვს ყველა თავისი დამსახურებანი: ტულონის აღება, იტალიაში ლაშქრობა და სხ. და შემდეგ განაგრძობს: A la découverte de la conspiration de Robespierre, ma conduite a été celle d'un homme accoutumé à ne voir que les principes. L'on ne peut donc pas me contester le titre de patriote. Pourquoi donc me déclare-t-on suspect sans m'entendre? M'arrêta-t-on huit jours après que l'on avait la nouvelle de la mort du tyran? L'on me déclare suspect et l'on met les scelles sur mes papiers. L'on devait faire l'inverse: l'on devait mettre les scelles sur mes papiers, m'entendre, me demander des éclaircissements et ensuite me déclarer suspect s'il y avait lieu. L'on veut que j'aille à Paris avec un arrêté qui me déclare suspect.

Salicetti, tu me connais: as-tu rien vu, dans ma conduite de cinq ans, qui soit suspect à la Révolution?

Albitte, tu ne me connais pas. Dois-je être confondu avec les ennemis de la patrie, et des patriotes doivent-ils inconsidérablement perdre un général qui n'a point été inutile à la République. Des représentants doivent-ils mettre le gouvernement dans la nécessité d'être injuste et impolitique?

აი ეს საბუთი. ამ პატარა გამოკვლევისათვის ეს საბუთი გრძელია, მაგრამ მასში თითქმის თვითმული სიტყვა ძვირფასია ჩვენი მთავარი მიზნისთვის. უპირველეს ყოვლისა ჩვენ შეგვიძლიან დაერწმუნდეო, რომ ამ საბუთში არაფერი არ არის ნათქვამი იმ წერილზე, რომელიც ნაპოლეონს მიწერილი ჰქონდა გენუის ელჩისადმი. მართლაც ნაპოლეონს ფიქრადაც არ მოსდის, რომ იმითი ისარგებლოს. რომ კილო წერილისა, როგორც ვთქვით, თამამია, გულწრფელი და დაუარიღებელი, წამკითხველს ამაში ექვი არ შეეპარება, დიდად დახელოვნებული სტილისტი რომ იყოს, იმასაც გაუჭირდებოდა ასეთი ძლიერი სიტყვებით მიემართა კონვენტის წარმომადგენლებისათვის, თუ მას გულში შესაფერი გრძნობა არ ექნებოდა. ნაპოლეონი კი, როგორც უკვე ვიცით, ძლიერ უხვირო სტილისტი იყო. საიდან გაჩნდა ეს ძლიერი და ღრმა შთაბეჭდილების მომხდენი სტილი, მერე იმ მდგომარეობაში, როგორშიაც იმ დროს ნაპოლეონი იმყოფებოდა? მისი წყარო მხოლოდ დანწირის გულში უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ის, რომ ნაპოლეონი წერილს იწყებს საერთო მოსაზრებით და პირდაპირ არავის არ მიჰნართავს. ხოლო როდესაც გაათავებს რტკიცებასმისი გაუსამართებლად დაქერის უსამართლობისას და თავის დამსახურების ჩამოთვლას, პირს იბრუნებს სალიჩეტისა და ალბიტისაკენ და მათ პირდაპირ მიჰმართავს: „სალიჩეტი, შენ მიცნობ მე“, ამბობს ის; განა გინახავს რამე საექვო ჩემ მოქმედებაში? ალბიტ, შენ მე არ მიცნობ, განა მე უნდა სასწომლოს მტრებ-

თან ვიყო გათანასწორებული?“. გომბოპ, რომ ნაპოლეონი დარწმუნებულია, რომ ვერაფერი ვერ წაირეცხავს ისე სინდისს, რომ ასე პირდაპირ მიმართულ კითხვაზე მისთვის არა სასურველი პასუხი მისცეს. „მომისმინეთ, გამასამართლეთ და მერე თუ ამისთვის საკმარისი საბუთი აღმოჩნდება, მაშინ გამომაცხადეთ საექვო მოქალაქედ“. მაგრამ ის დარწმუნებულია, რომ ეს ასე არ იქნება, ვინაიდან მან იცის თავისი სიმაართლე. გაიძევაობასა და თვალთმაქცობას ჩვეული კაცი ასე არ იტყოდა. აქედან ცხადია, რომ რთული და დახლართული გზები, ცივი ანგარიში და ადამიანის დამბნევი გეგმების შედგენა — ეს არ ყოფილა ნაპოლეონის თვისება. თუ ამგვარ გზას თანდათან ადგებოდა, აქ იღვიძებდა მისი ჩვეულება, კორსიკიდან გადმოტანილი. ყველა ასე იქცეოდა და ამასაც ეგონა მეც სხვაფორე ვერ მუეეწუბო. მაინც ყოველი ამგვარი ნაბიჯი თვით მასვე ყოველთვის ძვირად უჯდებოდა. აი აქაც სალიჩეტიმ მისი ღალატით ნდობის მოპოება მოახერხა, ის კი კინაღამ გილიოტინის მსხვერპლი გახდა. რასაკვირველია, არ შეიძლებოდა, ამ წერილს ღმა შთაბეჭდილება არ მოეხდინა. როგორ მოხდა მისი დაკითხვა, ეს არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ 15 დღის ტუსალობის შენდევ ის გაანთავისუფლეს<sup>1</sup>.

მაგრამ ამ წერილს ასე ადვილად მაინც ვერ ნოვშორდებით. გარდა ზემოაღნიშნული მნიშვნელობისა, მას კიდევ ერთი დიდი მნიშვნელობაც აქვს. ის მეტად ცხადად გვიყენებს თვალწინ ნაპოლეონის პოლიტიკურ მოუზხადებლობასა და თითქმის ბავშურ მიაბიტობას. მას ჰსურს, რომ თავისი ნდგონარეობის საშინელი უსაზარტობა და აუტანლობა დაასაბუთოს და წერილს ასე იწყებს: „რეველუციის დროს ორი კლასი არსებობს: ერთი ევე ქვეშ მყოფი და მეორე პატრიოტები“. მისი აზრით, პირველთა დატუსალება საჭიროა უბრალო ექვიოთაც კი, რადგანაც ამას მორიხოვეს სიფრთხილე. ხოლო მეორეთ თუ დაატუსალებენ ცარიელი ექვიოთ, ეს უკვე თავისუფლების დარღვევას ნიშნავსო. ნაპოლეონი რომ ასე აზროვნობდა, ეს იყო უკვე ის დრო, როდესაც რეველუციამ გამოიარა უმწვავესი პერიოდი კლასთა ბოძოლისა. უკვე ეირონდისტები დამარცხდენ და მათთან ერთად პოლიტიკურ ასპარეზს მოსცილდა მსხვილი ბურჟუაზია და წერილმა ბურჟუაზიამ ჩაიგდო ხელში სახელმწიუოს მართვა-გამგეობის საქე. შემდეგ თვით კონვენტიც გამწე-ვდა ბრძოლა და ბრძოლის საშინელ იარაღს — ტერორს — მიმართეს. შემდეგ დანტონის მომხრეები — ზომიერი წერილი ბურჟუაზიის წარმოქადგენლები — მოიშორეს. შემდეგ კონვენტის მესვეურებს აუჯანყდა ბოგანო ხალხი და პროლეტარიატი, გამოსცეს კანონი ფასების ჰაქსიმუშის შესახებ, ჰებერტისტები ებრძვიან რომესპიერისტებს. ბოლოს ესენიც მარცხდებიან და მხადდება ბაბეთის „თანასწორთა შეთქმულება“. და ამ გარემოებაში ნაპოლეონი ჰხედავს მხოლოდ ორ კლასს, ისიც საექვოებს და პატრიოტებს რეველუციას ამ მხრივ მისთვის არაფერი ცოდნა არ მიუცია. იმან კლასთა ბრძოლის ანბანიც კი არ იცის. ამიტომაც უკვირს და აღშფოთებულია, რომ ის დაიჭირეს. აი რა ძლიერი აღმოჩნდა ერთის მხრივ კორსიკის გავლენა და მეორეს მერივ სამხედრო

1) Т р а ч е в с к и й, op. cit. стр. 69

პროფესია. როგორც კოსიკამ არ მისცა მას შესაფერი მასალა იმისათვის, რომ მას ჰქონოდა გამოცდილება და უნარი კლასთა ინტერესების წინააღმდეგობის შეწინავეთსა, ისე სამხედრო საქმეს არ მიუყვია მისთვის ეს. ამიტომაც გაუბრუნდა ის პოლიტიკას საფრანგეთში ყოფნის დროს. ამიტომაც ემორჩილებოდა პოლიტიკურ ავტორიტეტს და თვითონ ვერც კი ჰბედავდა მათ კრიტიკას. ამის შემდეგ სრულიად დასაჯერებელია გულწრფელობა მისი წერილისა რობესპიერის შესახებ. მაშასადამე სრული თანაგრძნობა უკიდურეს იაკობელთაგან, ისე რომ მათი წევრი ყოფილიყოს და მათი ინტერესები თავისად მიეჩნისო. მას არასოდეს არ ჰქონია. ის მათ ემორჩილებოდა ისე, როგორც სამშობლოს დამცველი გენერალი უნდა ემორჩილებოდეს ხელისუფლებას, და მათთან კავშირს იკერს იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია საომარი ფრონტისათვის. ხოლო როგორც მოქალაქე, ის მათ მხოლოდ ემორჩილება. ნაპოლეონის ამგვარ სულის განწყობილებას საუკეთესოდ ახასიათებს მისი ერთი პოლიტიკური ნაწარმოები, რომელსაც სათაურად აქვს: „Le soupé de Bogaire“ (ბოკერის ვახშამი), დაწერილი ტულონის აღების პერიოდში. საზოგადოდ ეს ნაწარმოები არკვევს ნაპოლეონის ნამდვილ პოზიციას იაკობელების მიმართ და მის მოღვაწეობის პრინციპულ საფუძველს. როგორც სარდლისას. ეს ნაწარმოები გამოარკვევს, თუ რამდენად იყო ნაპოლეონი იაკობელების მომხრე და რამდენად თავისად მიიჩნდა ყველა მათი ნაბიჯი პოლიტიკაში, ან რამდენად მხოლოდ ლებულობდა მათ პოლიტიკას. როგორც აუცილებელს ყოველი მამულიშვილისათვის. ჯერ გავეცნოთ შინაარსს (ეს ნაწარმოები მოთავსებულია ნაპოლეონის თხზულებათა მეორე ტომში)<sup>1</sup>. ნაპოლეონი ჯერ აგვიწერს ერთ შემთხვევას, რომელშიც ერთი მხედარი (თვით ნაპოლეონი უნდა ვიგულისხმოთ) შეხვდა ერთ პატარა ქალაქ ბოკერში ერთ მარსელელ ნეგოციანტს, ერთს „Nimois“-ს, ერთ ფაბრიკანტს მონპელიედან. ესენი ერთმანეთს სასტუმროში შეხვდნენ, სადაც საეაზშმოდ შესულყყენენ. ერთმანეთის გაცნობის შემდეგ ვაქარსა და ფაბრიკანტს გაუგიათ, რომ ეს მხედარი ავინიონიდან არის მოსული და დაუწყყაით მუსიაფი იქაურ ამბებზედ. ამ რაიონში მაშინ საშინელი აჯანყება იყო ნაციონალური კონვენტის წინააღმდეგ, რომლის ჯარებიც ებრძოდნენ ამ აჯანყებას, და იყო საშინელი სისხლის ღვრა. რადგანაც სწორედ მაშინ კონვენტის ჯარს ავინიონი მიეტოვებინა და მარსელელნი კი საომარ მოქმედებას არ განაგრძობდნენ, ე. ი. არ სარგებლობდნენ თვისი გამარჯვებით, ამიტომ გამოთქმული იყო ისეთი აზრი, რომ მარსელელი უმოქმედონი არიან და ზანტად იქცევიანო<sup>2</sup>. ჯარის კაცი, როგორც საქმის უფრო დაახლოვებით მცოდნე, უხსნის დანარჩენებს საქმის ვითარებას. თანდათან მოსაუბრენი ერთმანეთს ნდობით ეპყრობიან და იმართება გაცხოველებული კამათი, რომელშიც ჯარის კაცი გამოსთქვამს აეტორის აზრს. ნიმოელ ვაჭარს უყვირს, რომ ავინიონი დასცალეს მარსელელებმა მაშინ, როდესაც კონვენტის ჯარი დამარცხებულია და, მაშასადამე, აჯანყებულები იმარჯვებენო<sup>3</sup>. ჯარისკაცი უხსნის

<sup>1</sup>) Oeuvres de Napoléon Bonaparte, tome deuxième. Paris, MDCCCXI. Le souper de Bogaire.

<sup>2</sup>) Napoléon Bon. op. cit. p. 33.

<sup>3</sup>) Nap. Bon. op. cit. p. 34.

მას, რომ ეს მხოლოდ სამხედრო ოპერაციაა და არა დამარცხებაო, ისე რომ ხალხში გავრცელებული იმედები კონვენტის ჯარის დამარცხებისა, შემცდარიყო. მარსელელი ვაჰარი იმედს გამოსთქვამს, რომ შეამბოხნი ავინიონს ისეე დაიბრუნებენო. ჯარისკაცი მათ ეუბნება, რომ ეს ძლიერ შენედარი აზრია, რადგანაც 20.000 კაცით ავინიონი დიდხანს ვერ გაუწევს წინააღმდეგობას კონვენტის ჯარსაო. სამხრეთის აჯანყების იმედებიც ტყუილია<sup>1</sup>. ამას მხოლოდ სამხედრო საქმეში გამოუცდელი ხალხი ავრცელებსო. ერთი სიტყვით, მაშინ, როდესაც ეირონდელების მეთაურობით თითქმის მთელი სამხრეთი საფრანგეთი აჯანყებული იყო და ყველა დარწმუნებული იყო კონვენტის ჯარების აუცილებელ დამარცხებაში, ეს ჯარისკაცი, ე. ი. იგივე ნაპოლეონი, დარწმუნებულია, რომ კონვენტი გაიმარჯვებს, და ანგარიხები მხოლოდ ასუსტებს ძალებს და ჰლუპავს საფრანგეთს. აჯანყებულებს ერთ ალაგას თავმოყრილი ჰყავს სულ 5—6000 ჯარისკაცი, მაგრამ მას არა აქვს მტკაცვე ერთიანობა, დისციპლინა (Sans ensemble. sans unité). მათ კარგი გენერლები ჰყავთ, მაგრამ ისინი არმიას ვერ მოაწყობენ და კარტოკი (კონვენტის გენერალი) 4 დღეში აქ გაჩნდება საუცხოვო ჯარებით<sup>2</sup>. მათი ზარბაზნები არ არის დიდი კალიბრისა და ამასაც ომში დიდი მნიშვნელობა აქვს. უმთავრესი ის არის, რომ ხალხი რესპუბლიკის მომხრეა, აჯანყებულ ეირონდისტებს კი უნებურად კავშირი აქვთ როიალისტებთან, ყოველ შემთხვევაში, მდიდარ ხალხთან, სანკიულოტები კი ყველგან ამათ წინააღმდეგ ბანაკში გადაულენ<sup>3</sup>. როდესაც ეს პირველი ჯარი დამარცხდება, მათი რიგები ველარ შეივსება ახალი ძალებით.

მარსელელი ვაჰარი მას ეუბნება, რომ, მართალია, არა აქვთ გათვალისწინებული სინამდვილით ის მდგომარეობა, რომელშიც იპყოფება ეხლა საფრანგეთი, მაგრამ ქალაქი Aix რომ დამარცხდეს კიდევ და ალყას ვერ გაუძლოს, მაინც პროვანსი დიდ ხანს არ დარჩება მყურებლად და ისიც ჩაერევა ანბოხებაში. მაშინ კონვენტის არმია ყოველ მხრივ გარშემორტყმული აღმოჩნდება და დამარცხდება<sup>4</sup>. ამაზე ჯარისკაცი უპასუხებს, რომ სექციების წევრები. რომელშიც ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები იყრიან თავს, ყოველ ქალაქში უფრო ძლიერნი არიან, ვიდრე შეამბოხნი. ამიტომ, სიდაც კი ადგილობრივი აღმინისტრაცია გადაყენებულია, საემარისია რამდენიმე ათეული დრაგუნნი მის ასაღებად.

შემდეგ კამათი ეხება იმ საკითხს, თუ რომელი ჯარი უფრო მეტ სისასტიკეს იჩინს და მეტად არღვევს თავისუფლებასა და პიროვნების ხელშეუხებლობას. წინააღმდეგ გენერალ კარტოსადმი ბრალდებისა, ვითომ ის კაცის მკვლეელი იყოს, ჯარისკაცს მოჰყავს მაგალითი იმისი, თუ როგორ იცავს ეს გენერალი ბინის ხელშეუხებლობას<sup>5</sup>. აჯანყებულნი კი არავითარ კანონს არ აქცევენ

<sup>1</sup>) Ibidem, p. 34—38.

<sup>2</sup>) Napoléon. Oeuvres. t. II, p. 42.

<sup>3</sup>) Ibidem, p. 44.

<sup>4</sup>) Ibidem, p. 45.

<sup>5</sup>) Ibidem, d. 49.

ყურადღებას და აღუარებელ ხალხსა ჰხოცავენ<sup>1</sup>. რომ დაეფიქრდეთო, ამბობს ჯარისკაცი, რა საშახურს უწევინ მეამბოხენი საფრანგეთს, მივხედებით, რომ ყველა ისინი საშინელი მტრები გამოდიან სამშობლოსი. არაფრით არ შეიძლება საფრანგეთის მტერს გაუწიოთ მეტი სამსახური, ვიდრე მეამბოხენი უწევენ თავის აჯანყებითო<sup>2</sup>. მათი არმიის მეთაურებად სულ არისტოკრატები არიან, რომელნიც სულ მთლად ხალხის თავისუფლების მტრები არიან. მათი ბატალიონები სავსეა ამგვარი ხალხით და, თუ მეამბოხენი რესპუბლიკის მომხრენი არიან, ამ არისტოკრატების მიზანი არ შეიძლება მათი მიზანი იყოს<sup>3</sup>. მარსელელი ვაჰარი უპასუხებს: „ნუთუ იმისთანა ხალხი, როგორც ბრისსო, ვერნიე, კონდორსე არისტოკრატები არიან? ვინ დააარსა რესპუბლიკა, თუ არა ამათ, ვინ დააწხო ტირანი“? ამაზე ჯარისკაცი უპასუხებს: მე არაფერს ვამბობ იმათზე, ვისაც თავის დროზე დიდი დამსახურება ჰქონია ხალხის წინაშეო, მაგრამ ახლა, როდესაც ისინი ჰხედავენ, თუ რაშია. ერის ინტერესები, თავისი ინტერესები და სურვილები უნდა საერთო კეთილდღეობას შესწირონ და ამბოხებას თავი მიანებონო, თორემ გამოიდის, რომ დეციუსზე ლაპარაკი ადვილია და როცა მის მიზანძეაზე მიდგება საქმე, მაშინ კი უკან იხევნო. ამ სიტყვების შემდეგ ფაბრიკანტიც ერევა კამათში და ემხრობა ჯარისკაცს. ის საკითხს ასე სვამს: ერთიანობის ცენტრი აქვად თუ კარგად ახლა კონვენტია. ის არის ნამდვილი სუვერენი, განსაკუთრებით როდესაც ერი დანაწილებულია. მეამბოხენი კი მას ხელს უშლიან, ანგრევენ კანონებს. მათ გაამეფეს ანარქია, აფერხებენ ჩვენს არმიის წინსვლას<sup>4</sup>. ჯარისკაციც ამას ეთანხმება და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მეამბოხენი საფრანგეთის არმიის ოპერაციებს ხელს უშლიან. მარსელელი იმუქრება, რომ თუ გაგვიქირდა, ესპანელებს მოვიწვევთო. დანარჩენნი ყველანი ამგვარი ინტერვენციის წინააღმდეგნი არიან. თუ მართლა მაგნაირი აზრი არსებობს, მაშინ კონვენტის ჯარმა ქვა ქვაზედ არ უნდა დასტოვოს და უღმობელად მოსპოს ამბოხებაო. ისე რომ საკითხი სწყდება იმ მიმართულებით, რომ ყოველი მამულიშვილი ამისთანა მომენტში კონვენტს უნდა მიემხროს და დახმარება აღმოუჩინოს, როგორც ერთადერთ ცენტრალურ ძალას, რომელიც აერთიანებს ერის ნებისყოფას და იცავს მას უცხოელებისაგან. ამ პოლიტიკურ დიპლომატიის თავის დროზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მკითხველებზე. როგორც მკვლევარნი ამბობენ, ეს ერთადერთი ნაწარმოები იყო ნაპოლეონისა, რომელიც სტილითაც და შინაარსითაც ყურადღების ღირსი აღმოჩნდა. ეს იმიტო აიხსნება, რომ ბოკერის ვახშამში ნაპოლეონი ეხება იმ დროის აქტუალურ საკითხებს, რომელიც თვით ნაპოლეონს თავის საკუთარი განცდების ნიადაგზე ჰქონდა გადაჭრილი და არა თეორიულად. აქაც ნაპოლეონი სუსტი თეორეტიკოსია, რადგანაც ეირონდელებისა და მონტანიარების ურთიერთობის

<sup>1</sup>) Ibidem. p. 50.

<sup>2</sup>) Ibidem. p. 54.

<sup>3</sup>) Ibidem. p. 55.

<sup>4</sup>) Ibidem.

<sup>5</sup>) Ibidem. p. 60-61.



საკითხში მისთვის გადამწყვეტია არა მათი პრინციპები, არამედ მათი პრაქტიკტიკა. მისთვის არ არსებობს თეორიული საკითხები პოლიტიკისა. ის მათში ვერ ერკვევა. სამაგიეროდ გენიოსური განკერძოებით ჰხედავს იგი პრაქტიკულ მნიშვნელობასა და შედეგებს ორივე პარტიის მოქმედებისას და ამ ნიადაგზე არჩევს, თუ ვის მიემხროს იგი. საფრანგეთის ცხოვრება ისე მოეწყო, რომ ერის ნებისყოფის გაერთიანება და ძალების თავისმოყრა შესძლეს მონტანიარებმა. მათ წინააღმდეგ გამოსვლა ერის ნებისყოფის დასუსტებასა და საფრანგეთის მტრისადმი დახმარებას ნიშნავს. ამიტომ ყოველი პატიოსანი პატრიოტი უნდა კონვენტსა და იაკობელებს ემხარებოდენ.

აქედან ცხადია, რომ ის არ ყოფილა მინცდამინც იაკობელების მოწმე და ეროვნულების წინააღმდეგი მსოფლმხედველობით და რწმენით. ის ასეთ დეტალებში ვერ ერკვევა. ის მხოლოდ რევოლუციისა და რესპუბლიკის, როგორც ერის ნებისყოფის გამომხატველი წესწყობილების, პოლიტიკური თავისუფლების მომხრე იყო<sup>1</sup>. ხოლო როდესაც სამოქალაქო ბრძოლაში ის ჰედავს სხვადასხვა გჯუფების მიერ დაკავებულ პოზიციებს, მისთვის ცხადია, ვის უნდა მიემხროს. ეროვნულები სამოქალაქო ომში ძალაუნებურად როიალისტებს უკავშირდებიან და არ ესმით რომ, თუ მათ გაიწარგვეს, როიალისტებს ერგებათ მთელი გამარჯვება.

ამიტომაც ნაპოლეონი 9 თერმიდორის შემდეგ ზომიერ იაკობელებს ემხრობა და იარაღით იცავს მათ როიალისტებისაგან. ის წინააღმდეგია უკიდურესი იაკობელებისა, რამდენადაც ისინი თავისი გამოსვლებით არღვევენ ერის ნებისყოფას. ტერორიც გასამართლებელია მისი თვალსაზრისით, თუ იგი საერთო ნებისყოფის ერთიანობას ხელს უწყობს.

<sup>1</sup> ძნელი არ არის შევამჩნიოთ, რომ ნაპოლეონს აზრების მიმართულება ყოველგან და ყოველთვის სტრატეგისა აქვს. ის ყველგან აზროვნებს როგორც სტრატეგი და არა როგორც პოლიტიკოსი და მით უმეტეს როგორც ფილოსოფოსი. რა თქმა უნდა, რევოლუციის ქაზტეხილის პაროქსში მან ზოგიერთი რამ შეითვისა, მაგრამ ძლიერ მცირე: სანკილოტები და საზოგადოდ მდამბო მასსები ნისთვის გადამწყვეტი არიან პოლიტიკაში. ამათგან შესდგა შენდეგ ის „ფეხშიშეელი არმი“, რომელმაც იტალია დაიპყრო. მეფობა, როგორც შთამომავლობითი და არა პირადდ ხალხის წინაშე დამსახურებული მეთაურობა ერისა, მისთვის არ არსებობს. მაგრამ ყველა ეს პრინციპები მის ცნობიერებაში სტრატეგის შემოქმედებასთან და გამოცდილებასთან არის დაკავშირებული. კონვენტის დროს რევოლუციონური საფრანგეთი ერთ დიდ საომარ ასპარეზს ჰგავს. ნაპოლეონი, როგორც სტრატეგი, საუცხოვოდ აფასებს ამ ბანაკის ძალთა განაწილებას და წინადეე ჰხედავს. თუ რომელი მხარე გაიმარჯვებს. შენდეგში ასევე ერთ საომარ ასპარეზს ემსგავსება მთელი ევროპა, სადაც გაუთავებელი ახალ-ახალ კოალიციებად დაჯგუფება და ბრძოლები ხდება. მთელი პოლიტიკა ნაპოლეონისა ამ ძალთა განწყობილებისა და განაწილების საკითხია. მისი დიპლომატია მხოლოდ ამასთან დაკავშირებით არის ძლიერი „არსებითად ბონაპარტ-დიპლომატს არ ჰქონდა ისეთი

<sup>1</sup>) შვად. ტრა ხევისკი, იერ. ცი. 55-56.

შეიქმედება. რომლითაც იგი ბოძოლის ველზე ბრწყინავდაო<sup>1</sup>, სამართლიანად აპბობს პროფ. ტრაჩევსკი<sup>1</sup>. დიპლომატია მისთვის მხოლოდ სტრატეგიის ნაწილი, მისი დამატება იყო. „ხშირად დიპლომატია კოზირის ერთიანის როლს თამაშობდა მის ხელშიო“, ამბობს იგივე პროფესორი<sup>2</sup>. დამოუკიდებლად მისთვის დიპლომატია ვაუგებარი იყო. თვით კონტინენტალური ბლოკადაც კი იყო უფრო სტრატეგის ნაბიჯი, ვიდრე მმართველისა. ვარშავისა და პოლონეთის დამოუკიდებელ საპერსოვოდ გამოცხადება—ესეც სტრატეგიული ნაბიჯი იყო და არა პოლიტიკური. მეორე მხრივ რუსეთში ლაშქრობამ ომს აქტიური ხასიათი წაართო და სტაქიური, პასიური, მაგრამ მკაცრი წინააღმდეგობის ხასიათი მისცა. ამიტომ აქ სტრატეგიამ ვერა გააწყო რა, და ნაპოლეონი დამარცხდა.

— თუ მართლაც რამდენად ფართოდ ჰქონდა ნაპოლეონს წარმოდგენილი ის ომის ასპარეზი, რომელშიც იგი მოქმედებდა, ჩანს იქიდან, რომ თვით რუსეთში ლაშქრობაც მან ინგლისის დასამარცხებლად მოახდინა. სეგიურის მოწმობით ის ამ ლაშქრობაზე ასე ამბობდა: „ce sont les Anglais seulement qu'il va attaquer en Russie“ (მხოლოდ ინგლისელების წინააღმდეგ იერიშს წარმოადგენს რუსეთში ლაშქრობაო)<sup>3</sup>. ასეთივე ხასიათი ჰქონდა მის დიპლომატიურ დამოკიდებულებას შვეიციასთან, რომლის კონტინენტალურ ბლოკადაში ჩათრევასაც ცდილობდა იგი, მაგრამ უშედეგოდ. ასეთივე ხასიათი ჰქონდა მის ექსპედიციას ეგვიპტეში. რუსეთი რომ დაემარცხებინა, მაშინ ალბათ ინდოეთზე ფიქრსაც დიწყებდა, რომელზედაც ისე ფიქრობდა, როგორც შეუძრულებელ ან შორეულ შესაძლებლობაზე, სწორედ ისე როგორც ფიქრობდენ ეკატერინე მეორის სარდლები. მაშასადამე ნაპოლეონი ძლიერი იყო იქ, სადაც პოლიტიკური მოღვაწეობა სარდლობას ემსაგავებოდა, ეს კი მხოლოდ მთელი მსოფლიოს შემრყევი ისტორიული მომენტების დროს ხდებოდა, როგორც იყო საფრანგეთის რევოლუციის ხანა. ნაპოლეონს ღრმა ანალიზი საზოგადოებრივ ურთიერთობისა და კლასთა ინტერესების განსხვავებისა არ შეეძლო, მაგრამ როდესაც კლასთა დაჯგუფება მწვავე ხასიათს ღებულობდა და საომარ ბანაკებად გაიყოფოდა, ის აფასებდა ამ ძალებს სტრატეგის ინტუიციით, არა როგორც კლასთა დაჯგუფებას, არამედ როგორც საომარ ძალებს მათ მომგებნიან და წამგებნიან პოზიციების შეფასებით. აი აქ ჰხედებოდა პოლიტიკა სტრატეგიას. მაგრამ ვიდრე ერთ-ერთი კლასი გამაჯულებული იყო (საფრანგეთის რევოლუციის დროს რობესპიერის დაცემამდის — წერილი ბურჟუაზია), მანამდის მას სტრატეგის ასპარეზი ისე ფართო არ ჰქონდა, რომ თავისი დამოუკიდებელი სტრატეგია ეწარმოებინა, და ამნაირად ერთ-ერთ, რასაკვირველია, მომგებნიან პოზიციის მჭერელ კლასს ემხრობოდა. ხოლო, როდესაც ეს კლასიც მარცხდება და ბოლოს კლასების თანასწორი ძლიერება მყარდება და არც ერთ კლასს საქმთმპყრობელობა აღარ შეუძლიან, რასაც დირექტორიის დროს ჰქონდა ადგილი, მაშინ სტრატეგია იმარჯვებს<sup>4</sup>: იგი ხალხს

<sup>1</sup>) Трачевский И. Op. cit. p. 115.

<sup>2</sup>) Ibidem. p. 159.

<sup>3</sup>) Comte Ségur. Histoire de Napoléon et de la grande-Armée t. I p. 80

<sup>4</sup>) იხ. ამის შესახებ ლენინის აზრი, რომელმაც პირველად დაახასიათა პირობები ბონაპარტეზმის წარმოშობისა, როგორც ინგლისის ბატონობა ორ თანასწორად ძლიერ კლასთა შორის.

უყურებს როგორც მხოლოდ ფიზიკურად გებრძოლ ძალას (пушечное мясо). მხოლოდ მას გაპოყენება უნდა. ამ თვალსაზრისით უყურებს ბოკერის ვახშამნი ნაპოლეონი სანკიულოტებს, ვინაიდან ეს ის სანკიულოტები არიან, რომელთაგანაც ნაპოლეონმა შენდევნი „ფეხშიშველა არმია“ შეადგინა და მთელი იტალია დაიპყრო და მერე მთელი ევროპაც. არც დიდხინის წინადაც გათვალისწინებული გეგმებით მოქმედობს ნაპოლეონი. ის ახალ გეგმას ადგებს მაშინ, როდესაც ცხოვრება სვამს ამ ახალ საკითხს ნწევად და დგება უნდალოდ მისი განხორციელების მომენტიც. გეგმებს წინასწარ ადგენს იმდენად, რამდენადაც ეს შეუძლიან ჩვეულებრივ ნიჭიერ ადამიანს ხელშეწყობ პირობებში, როგორც ინდოეთის დაპყრობის პროექტი შეადგინეს. ნაპოლეონის გენიოსობის ცეცხლი ინთებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მის წინ სამოქმედო ასპარეზი უკვე იშლებოდა და მოქმედების დაწყება იყო უკვე საჭირო.

ამას გარდა, თვით მისი გენიოსური გეგმა იტალიის დაპყრობისა არ ყოფილა მთლად მისი, ორიგინალური. ლაშქრობის წინ მას გადაუთვალისწინებია სანხედრო არქივი და იქ უპოვნია იტალიაში ლაშქრობის გეგმა, მარშალ ნარბუსის მიერ შედგენილი, 1745 წელს<sup>1</sup>. თვით ახალ საომარ სისტემაში და ტაქტიკაშიც ჰყავდა მას წინამორბედები. კარნოსაც ბევრი რამ გაუკეთებია ამ საქმეში ისე რომ კარგად რომ ჩაეაყივრდეთ ისტორიას, ნაპოლეონს სრულიად ახალი არა შეუქმნია რა; ყოველი მისი ნაბიჯი შენაღებული იყო ისტორიულად, თვით სანხედრო საქმის რეფორმაშიც კი, რომელშიც იგი უდავოდ გენიოსურ ნიჭს იჩენდა. ხოლო რაც შეეხება ნაპოლეონს როგორც მოაზროვნეს, თუნდაც პოლიტიკურ და სოციალურ სფეროში და თუნდაც ამ ხასიათის გეგმების წინასწარ შედგენაში, ამაში საშუალო ნიჭიც კი არ ჰქონდა და არც მომზადება უწყობდა ხელს. როგორც შენდევნი დაინახავთ, გეგმების შედგენის მხრივ მას სიეისი ბევრად სჯობდა. თუ მას რაიმე გეგმები ჰქონდა, ყველა იქამდის შემზადებული იყო ისტორიულად, რომ თითქმის, როგორც იტყვიან, ჰაერი იყო იმით გაჟღენთილი, ან ყველას ჰიზებ ეყრა ამა თუ იმ ცვლილების აუცილებლობა, რომლის გეგმასაც ნაპოლეონი ან სპეციალისტებს ადგენინებდა, ან თვითონ შეადგენდა მას შემდეგ, როდესაც სპეციალისტების კამათს მოისმენდა ამ საგნის თაობაზე. რამდენად ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენდა მისი გეგმები, ამის ერთი მაგალითი არის მისი დამოკიდებულება ინგლისთან. თავის მდებარეობით, ეკონომიური განვითარების მიმდინარეობით ინგლისი და საფრანგეთი ყოველთვის ერთმანეთის მეტოქენი იყვნენ. ჯერ ამერიკის კოლონიების გამო ჰქონდათ მათ ბრძოლა, რის გამოც ინგლისი ყოველთვის საფრანგეთის მტრების ბანაკში იყო, როდესაც ევროპაში ომები დაიწყებოდა ხოლმე. საფრანგეთი ჩრდილო ამერიკის რეპოლუციას მხარს უჭერდა, რადგანაც ეს ხელს უწყობდა ინგლისის გავლენის დაკეპნის ამერიკაში. ბოლოს მე 18 საუკუნე. მეორე ნახევარში დადებული საჯარო ხელშეკრულება საფრანგეთისათვის ხელსაყრელი არ იყო. ესეა, როდესაც საფრანგეთს ის რეპოლუცია დაიწყო, სხვა სახით და სხვა ღონისძიებებით გრძელდება იგივე ისტორიული ბრძოლა და ნაპოლეონი ამ ბრძოლას არა თუ ნეთაურობს, სა-

<sup>1</sup>) Трачевский op. cit. p. 100.

უცხოვოდ იწყებს ინგლისის წინააღმდეგ იერიშებს და მარჯვედ სარგებლობს ინგლისის სუსტი მხარეებით, პოულობს მის მტკ ივენულ ადგილებს და ეს ასე ხდება, მიუხედავად იმისა, რომ ნაპოლეონი პირველ ხანებში კორსიკაზე თავის დროს, ვიდრე იგი პაოლისტი იყო, საშინელი მოძულე იყო საფრანგეთისა, როგორც კორსიკის დამმონაგებლისა და მომხრე იყო ინგლისისა. ეს სიმპათია ინგლისელები-სადმი მას გულის სიღრმეში შეურყეველად და უცვლელად შეჭრა, თუმცა მისი დაუძინებელი და უსაშინელესი მტერი იყო. მის სიმპათიას მოწმობს შემდეგი: როდესაც ის დამარცხდა და ევროპის სახელმწიფოების ჯარები საფრანგეთის ტერიტორიაზე დაეძებდნენ მას დასატყვევებლად (ბლუზერის სურვილი იყო მისი სიკვდილით დასჯა), საფრანგეთში იაფშესათარი არ დარჩა<sup>1</sup>. ბოლოს თავის დასახსნელად მან მიჰმართა ისევე ინგლისს, როგორც „უკეთილშობილესს მის მტერთაგან“. ის ინგლისის გემზე ბელერეფონტზე ავიდა და იქ გადაიჩინა თავი იმ იმედით, რომ ინგლისელები მას მოეპყრობოდნენ ისე, როგორც სტუმარს, თავის ნებით მისულს. აი რა წერილსა სწერდა ის მაშინ ინგლისის მეფეს: „Altesse royale; en butte aux factions qui dévissent mon pays et à l'inimitié des plus grandes puissances en Europe, j'ai consommé ma carrière politique. je viens comme Thémistocle m'asseoir au foyer du peuple britannique, je me met sous la protection de ses lois, que je réclame de Votre Altesse royale, comme celle du plus puissants, du plus constants, du plus généreux de mes ennemis. „Napoleon“<sup>2</sup>. „რადგანაც ჩემ ქვეყანას ჰგლეჯს პარტიული განხეთქილება და ევროპის უძლიერეს სახელმწიფოთა მტრობა, მე დაეასრულე ჩემი პოლიტიკური კარიერა. მე მოვიღივარ, როგორც თემისტოკლე, რომ ჩამოვედებ ბრიტანეთის ერის კერის პირს. მე შემოვიღივარ მისი კანონების მფარველობის ქვეშ, რომელსაც თქვენი მეფური უმაღლესობის წინაშე ვაცხადებ, როგორც კანონებს უძლიერესისა, უმტკიცესისა და უსულგრძელესი ერისას ჩემ მტერთა შორის“ — „ნაპოლეონი“. ნაპოლეონი პაოლისაგვით ინგლისის კანონებს საუკეთესო კანონებად სთვლის. მაშინ როდესაც ის პაოლის ებრაჰდა, სხვათა შორის, ინგლისისა და საფრანგეთის ორიენტაციის არჩევის ნიადაგზედაც. თუ გავიხსენეთ, რაც ზემოთ იყო ნათქვამი იმაზედ, თუ რა ძლიერ ღრმად ჰქონდა ნაპოლეონს გულში ჩამარხული მეფეებისადმი პატივისცემა და წესიერებისა და მტკიცე კანონებისადმი სიყვარული პოლიტიკური თავისუფლების ნიადაგზე, მიეხვედებით, რომ ინგლისის წესწყობილებისადმი პატივისცემა უნდა იმავე გულის სიღრმეში დარჩენილიყო. და აი გაჭირვების დროს ეს პატივისცემა ამოტივტივდა. ძნელი საფიქრებელია, რომ ნაპოლეონს ინგლისელების მოტყუება ნდომოდეს ასეთი სიტყვებით. მაგრამ ის აქაც მოტყუდა. აქაც პოლიტიკური მიაშიტობა გამოიჩინა. ინგლისელებმა ის წმ. ელენეს კუნძულზე დაატყვევეს. მაშინ მას ინგლისელების შესახებ აზრი მაინც არ გამოუცვლია. იგი პროტესტს აცხადებს მათ წინააღმდეგ და იწყებს მოწმედ და მოსამართლედ ღმერთსა და ადამიანებს. ხოლო თავის ანდერძში ის ისე

1) Пьер, op. cit. p. 768. Слюн. op. cit. p. 584.

2) Alexandre Dum a s. Napoleon. p. 258. რუსული თარგმანი Пэ.р. op. cit. 767.

ინგლისელ ერს მიმართავს და ისევ მასზე აყარებს თავის იმედებს. „მე ვკვდები უძროვოდ მოკლული ინგლისის ოლიგარქიის მიერ,“ ამბობს იგი: „ინგლისელი ერი შურს იძიებს ჩემ მაგიერო“. („Le peuple Anglais ne tardera pas à me venger.“ აი რანაირად მტკიცედ სწამს მაინც მას ინგლისელი ერის პატიოსნება და სამართლიანობა.

ამგვარადვე ის იძულებული იყო ერთი დიქტატორული ნაბიჯის შემდეგ მეორე გადაედგა, ვინაიდან ამას უკარნახებდა ისტორიული მომენტი. რწმენით, თავის სიმპათიებით არასოდეს მას არ დაჰვიწყებია ხალხი, მისი ინტერესები. ხალხის წარმომადგენლობა. ის გულში დარწმუნებული თუ არ იყო, ყოველ შემთხვევაში თავისთავსაც და სხვებსაც არწმუნებდა, რომ ის ყველაზედ პირველი და ყველაზედ უკეთესი წარმომადგენელია ხალხისა, რომ ის პლებისციტის საშუალებით არის არჩეული მთელი ერის დიდი უმრავლესობის მიერ. აი საბუთიც. როდესაც ნაპოლეონმა ისპანიაში გამარჯვების შემდეგ საკანონმდებლო კორპუსს 12 მტრისაგან წართმეული დროშა გაუგზავნა, ამ დაწესებულების დეპუტაციამ დედოფალს მადლობა გამოუცხადა. დედოფალმა თავის საპასუხო სიტყვაში აღნიშნა, რომ მიუხედავად ამისა და დიდი გამარჯვებისა და ტრიუმფისა, რომელიც წილად ჰხვდა ნაპოლეონს, პირველი მისი ფიქრი ეხებოდა საკანონმდებლო კრებას, რომელიც ხალხის წარმომადგენელია. ნაპოლეონმა რომ გაიგო, რომ დედოფალს ასეთი სიტყვა უთქვამს, მაშინვე 1808 წ. 15 დეკემბრის *Moniteur*-ში დაჰბეჭდა წერილი, რომელშიც ასწორებს დედოფლის სიტყვებს. „დედოფალი ამისთანა რასმე ვერ იტყოდაო“, აცხადებს იგი. მან კარგად იცის კონსტიტუცია, კარგად იცის, რომ პირველი წარმომადგენელია ხალხისა არის იმპერატორი“<sup>1</sup>. ის იმ აზრისა იყო, რომ „საზოგადოებო ბრმად არ უნდა ემორჩილებოდეს არაფერს, ის მსჯელობს, აკრიტიკებს ავტორიტეტებს. ბრმა მორჩილებას მე ვთხოვლობ მხოლოდ. მხედრობის მხრივიაო“, ამბობდა ნაპოლეონი<sup>2</sup>. თავის პრინციპებით, როგორც ამბობს ერთი თანამედროვე, ავტორიტეტსა და თავისუფლებას ერთმანეთიდან არ არჩევდაო. პრაქტიკაზე კი თხოვლობდა უსიტყუო მორჩილებას<sup>3</sup>. ეს წინააღმდეგობაც მხოლოდ ისე აიხსნება, როგორც ინგლისისადმი დამოკიდებულება. ისტორიული მომენტი იყო ისეთი, რომ დიქტატურა აუცილებელი იყო, თუნდაც წინააღმდეგ რწმენისა და პრინციპისა. ახლა უკვე ეკვი აღარ არის იმაში, რომ თვით რობესპიერი პირადი დიქტატურის სრული წინააღმდეგი, რევოლუციისა და თავისუფლების მოძებრე, შეიძლება, თავის უნებურად და შეუქმნევლად პირად დიქტატურას აწინააღმდეგებდა, როდესაც მან ახალი სარწმუნოება გამოაცხადა და თავისი თავი კი ამ სარწმუნოების ქურუმად. მაშინ დარწმუნდნენ მისი თანამოაზრეები, რომ ის დიქტატორობას აწინააღმდეგებდა, და გადაუდგნენ მას. ჩვენ უკვე ვიცით, რომ დიქტატორობის საკითხი დაისვა იმის გამო, რომ კლასობრივი წინასწორობა დანყარდა, მას შემდეგ რაც მათ ბრძოლაში ერთმანეთი დაასუსტეს და ვერც ერთმა კლასობრივი დიქტატურა ვერ დაამყარა. ისე რომ ისტორიამ თვით რობესპიერს ააღებინა ხელი მის პრინციპებზე, რომელიც

<sup>1</sup>) Al. Dumas, *ibid.*

<sup>2</sup>) П а с р, *op. cit.*, p. 505.

<sup>3</sup>) П а с р, *op. cit.*, p. 504.

<sup>4</sup>) *ibidem.*

მისი ინიციატივით გამოცხადდა 1893 წელს. ჩვენ კი ვიცით, რომ ანგვარი ავტორიტეტების წინაშე ნაპოლეონი როგორც პოლიტიკოსი, არარაობას წარმოადგენდა და თვითონაც გრძნობდა თავის არარაობას. მაშასადამე რა გააკვირალია, რომ მას შემდეგ რაც თვით მეთაურებმა ვერ აუღეს საბოლოო ალლორეოლუციას და პრინციპებს უღალატეს, ამ მხრივ ისეთ პატარა კაცს, როგორც ნაპოლეონია, ეღალატნა რეოლუციის პრინციპებისათვის, მით უმეტეს, რომ ამ პრინციპებისა და სიპაათიების უმრავლესობა ზერელე იყო, გულის სიღრმეში კი ნაპოლეონს კორსიკული მიღრეკილებები ედო, რაც მას უფრო უადვილებდა რეოლუციის პრინციპებისაგან დიქტატურის პრინციპებზე გადასვლას. მოჩვენებითი წინააღმდეგობა ნაპოლეონის აზრებსა და მოქმედებაში აიხსნება იმ მძაფრი წინააღმდეგობით, რომლითაც ვითარდება რეოლუცია. ვისაც ეს დიალექტიკის აუცილებლობა ვერ შეუგნია, მისთვის ნაპოლეონი გაუგებარი და უცნაურია. აქედან წარმოსდგება მისი დემონურ არსებად, ან კონდოტიერად, ხან კეთილანგელოსად გამოცხადება. სინამდვილეში კი უბრალოდ იხსნება ყველაფერი მის მოღვაწეობასა და ქცევაში.

თვით ნაპოლეონიც გრძნობდა თავის მდგომარეობას. თვით მასვე აქვს ამგვარი ახსნა თავისი მოქმედებისა. მისი მოღვაწეობის ერთ მნიშვნელოვან მომენტში. ეს მომენტი იყო 18 ბრუმების გადატრიალება, რომელიც მან ნოახდინა საფრანგეთში.

### 18 ბრუმერი, როგორც თავისთავად შემზადებული აქტი.

18 ბრუმერის ამბავი უმჯობესი იქნება დავიწყოთ იმ დროის პოლიტიკური მოღვაწეების აზრის დახასიათებით იმის შესახებ, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო ეს რეოლუციონური აქტი ერთის მხრივ და მეორეს მხრივ მარტო ნაპოლეონის გენიოსურ ნიქსა, გაბედულებასა და მის სხვა თვისებებს უნდა მივაწეროთ ეს, თუ სხვებისაგანაც მოსალოდნელი იყო ეს აქტი, ე. ი. ნაპოლეონი რომ არ ყოფილიყო, შეეძლო თუ არა სხვა ვისზე იგივე ამბავი მოეხდინა. ამის შესახებ ჩვენ ვიცით ცნობილი მოღვაწის კარნოს აზრი, რომელსაც პოლიტიკაც კარგად ესმოდა, სამხედრო საქმეც და საფრანგეთის სულსიკვეთებასა და განწყობილებასაც კარგად იცნობდა. ის ამბობდა, რომ ნაპოლეონი რომ არ ყოფილიყო, რომელიმე სხვა სარდალი მოახდენდა 18-ე ბრუმერსაო, ისე, როგორც მან მოახდინაო, მაგალითად, შვიძლება პოშს მოეხდინა ეს, ცოცხალი რომ ყოფილიყო ამ დროსაო. კარნოს ამგვარ აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს, რომ ამ დროის მდგომარეობის აღწერა სრულიად ადასტურებს ამ დებულებას. ყველა მემუარისტი და მკვლევარი ზოგჯერ თითქმის ერთი და იმავე სიტუეებით გვისწარათებენ მაშინდელ მდგომარეობას. თვით კარნო ისე ამბობს, რომ დირექტორიან შექმნა ასეთი მდგომარეობაო. „le Directoire était arrivé à un tel point de déconsidération, qu'à défaut de Bonaparte, quelque autre chef d'armée aurait un 18 Brumaire comme lui: Hoche peut être s'il eût vécu<sup>1</sup>. ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორა აქვს დახასიათებულნი ეს დროვანდალს. მართლაც დი-

<sup>1</sup> Mémoires sur Carnot par son fils, t. III p. 99.

რექტორიას მისი აღწერილი დაკარგული ჰქონდა ყოველი პატრვის კემა, ავტორიტეტი და ძალა. ასევეა დირექტორიის მდგომარეობა აწერილი ეგუთნოდებულ „ნაპოლეონის შემუარებში“. ასევეა ქ-ნ კონსტანის მენუარებში, ასევეა 1817 წელს გამოცემულ „ნაპოლეონის ისტორიაში“<sup>1</sup> და სხვა. თვით ობიექტური ფაქტებიც ამას ადასტურებენ. ჯერ კიდევ კონვენტმა იაკობელებთან თავის კონფლიქტების ხანაში დაასუსტა და დაქსაქსა საზოგადოების აზრი, რომელიც აქამდის შეკავშირებული იყო. ცხრა თერმიდორმა კიდევ უფრო დაასუსტა რევოლუციის მომხრეთა რაზმები და ორგანიზაცია. შთაბეჭდილება გარკვეული იყო. ყველა ჰხედავდა, რომ, როგორც ამბობენ თანამედროენი<sup>2</sup>, „ses principes varièrent chaque mois“ (მისი პრინციპები ყოველ თვე იცვლებოდა). დირექტორიის დროს, როგორც ყველა ფიქრობდა, კონსტიტუცია რამოდენიმეჯერ იქნა დარღვეული, მაგალითად 18 თერუქტიდორს (14 სექტ. 1797 წ., დირექტორიამ მოახდინა coup d'état გენერალ ოეეროს ჯარისკაცების შეაწეობით, რომელმაც ჰოშს და ნაპოლეონს განაართვა ამისთვის მათი ჯარის კაცები (avec des troupes empruntées à Hoche et un général prêté par Bonaparte). ამას მოჰყვა გამარჯვებულთა ტერორი. მეორედ coup d'état მოხდა 22 ფლორეალს მებექსე წელს (11 მაისს 1798 წ.). ამ შემთხვევაში სახელო ძალა არ ჩარეულა, მაგრამ აქაც საკანონმდებლო დაწესებულებას წევრების რიცხვი ხელოვნურად შეამკირეს, დაარჩინეს მხოლოდ თავისი მოწინააღმდეგეები და გაატარეს თავისი პროექტები<sup>3</sup>. მესამე გადატრიალება მოხდა 30 ფლორეალს. როდესაც მემუარისტების შესაფერად გილდებს კითხულობს მკვლევარი, მას სრულიად გარკვევით ისეთი შთაბეჭდილება ეძლევა, თითქოს რევოლუციის უდიდესი პრინციპები, რომელიც რუსსოდან დაწყებული ჯერ თეორიულად იყო აღიარებული და მერე პრაქტიკაში გატარებასაც სცდილობდნენ, შელახულ. დაღვეულ და ტალახში ამოსვრილი იქმნა თვით ამ პრინციპების შექმნილი წრეების მიერვე. რადგანაც ყველა ესენი იმ წრეებიდან იყვნენ, რომელთაც მეუის სიკვდილით დასჯას მისცეს ხმა, ე. ი. რესპუბლიკისა და 1793 წლ. კონსტიტუციის მომხრენი იყვნენ. პერსონალურად ასეთი იყო ცნობილი ბარა, რომელიც, როგორც შემდეგ დაგინახავთ. აგრეთვე შეთქმულებას ამხადებდა რესპუბლიკანური კონსტიტუციის წინააღმდეგ. რა გასაკვირვებელია, რომ ნაპოლეონი, რომელიც ამ პრინციპებსვე ემხრობოდა, მაგრამ მისი ქორუმი არასოდეს არ ყოფილა და არც აპის პრეტენზია ჰქონია, გადასდგომა და თავისდა შეუმწეველად იმ პრინციპებს, რომელსაც, ასე ვთქვათ, თვით მისი ქორუმები გადაუდგენ. აღარავის სწავლა ვისიმე ავტორიტეტი. მმართველებს სისუსტე ჰქმნიდა ანარქიულ სულის განწყობილებას. მით უმეტეს, რომ მთავრობის წევრებმა ხელი მოჰკიდეს საშინელ სპეკულაციას და სწრაფად გამდიდრდნენ. აწარმოებდნენ საშინელ ავიოტაქს სახელმწიფოს ქალაქდებით და რადგანაც ამ ქალაქდების პატრონები მოქალაქენი იყვნენ, ამიტომ მათი გალატაკება იყო სა-

<sup>1</sup>) Mémoire pour servir à l'histoire de France sur le regne de Napoléon. t. II. p. 99.

<sup>2</sup>) Histoire de Napoléon. 1817. t. I p. 80.

<sup>3</sup>) Mémoires pour servir... ibidem.

<sup>4</sup>) V. andal, op. cit. t. I. p. 27—38.

ღუძველი მთავრობის წევრების გამდიდრებისა<sup>1</sup>. რა თქმა უნდა მართო დირექტორის წევრები არ აწარმოებდენ ამას, მაგრამ ისინი იყვნენ ამ მხრივ ყველაზე დაწინაურებულნი. ისე გამოდის, რომ, 9 თერმიდორის რევოლუციამ გზა გაუხსნა სპეკულანტებს სპეკულაციის წინააღმდეგ კანონის მოსპობით. გაბატონდა ბურჟუაზიის ის ნაწილი, რომელიც ღირებულებას კი არ ჰქმნიდა, სპეკულაციით მდიდრდებოდა, მით უმეტეს, რომ რევოლუციის ქარტეზილმა წარმოება მოსპო. გასაკვირველი არ არის ამიტომ, რომ იაკობელთა წრეებმა აჯანყება გამოაცხადეს და იმასაც კი არ დაერიდნენ, რომ მათ აჯანყებას როიალისტები შეუერთდნენ და კდილობდნენ იგი თავის სასარგებლოდ, ე. ი. ბურბონების აღსადგენად გამოეყენებინათ. ჯერ კიდევ 13 ვანდემიერს მდგომარეობა ისეთი იყო უკვე, რომ ნაპოლეონი და სხვებიც ჰხედავდნენ მთავრობის უმწეობას, ბარა და სიესი რალაც შეთქმულებაზე ლაპარაკობდნენ და სიესმა პირდაპირ უთხრა ნაპოლეონს, შენ საქმის კაცი ხარ და ესენი სიტყვას არა შორდებიანო, იმუქმედო<sup>2</sup>. მაგრამ მაშინ ჯერ ამ მიმართულებით მოქმედების დრო არ იყო. როდესაც ნაპოლეონი ეგვიპტიდან მოულოდნელად საფრანგეთში დაბრუნდა, მაშინ დირექტორია შემდეგ პირთაგან შესდგებოდა: გოიე, მულენი, ბარა, სიეისი და როჟე-დჟუკო. როჟე-დჟუკო სიეისის მიმდევარი იყო. ბარა დარწმუნებული იყო, რომ გადატრიალებას მოახდენდა ვინმე და კდილობდა თვითონ არ ჩარეულიყო, მაგრამ ჩუმად ესარგებლა ამითი. სიეისს უკვე კონსტიტუცია ჰქონდა შემუშავებული და ელოდა, თუ ვინ ითავებდა შეთქმულების განხორციელებას, რომ მზამზარეული კონსტიტუცია მიეცა<sup>3</sup>. ნაპოლეონი ამ 5 დირექტორის დახასიათებას იძლევა, და ამ დახასიათებიდან ჩანს, თუ რანაირი უბადრუკი იყვენ ისინი ნაპოლეონის თვალში. საქმე იქამდის იყო წისული, რომ ეს უბადრუკი ხალხი კი სახელმწიფო გადატრიალებაზე ფიქრობდა, არავის თვალში აღარ ჰქონდა ავტორიტეტი არც უკვე გამოცემულ კონსტიტუციებს, არც დეკლარაციებს. ყველა შეპყრობილი იყო ანარქიისა და გარეშე შტრის შიშით. ვინც საფრანგეთს დაიხსნიდა ამ ორი უბედურებისაგან, იგი მას მეფურად დასაჩუქრებდა: თავის მეუვედ გაჰხდიდა. ერთ პროვინციულ ორატორს ნაპოლეონისათვის ანაირი სიტყვაც კი უთქვამს, ვიდრე ის პარიზში მოვიდოდა. საერთოდ, როგორც გადმოგვცემენ თანამედროვენი, რესპუბლიკაში მაშინ სამი მიმართულება იყო<sup>4</sup>. ერთი ნაწილი იყო 1795 წლის კონსტიტუციის ნომბრე, მეორე რომ იმის მმართველობის ერთი მეთაური ყოფილიყო (*un président à la tête du gouvernement*); მესამე ოცნებობდა 1793 წლის კონსტიტუციის აღდგენაზე. ემიგრანტები თუ ჩავთვალეთ, ისინი პირდაპირ უყოყმანოდ კონტრ-რევოლუციონერები იყვნენ. ეს უკანასკნელნი რიცხვით ცოტანი და გავლენით სუსტნი იყვნენ. სამშობლოს მოწორებელნი, შიმშილით იხოცებოდნენ. ასე ამბობს წყარო. მაგრამ თუ პოეზილებთ მხედველობაში, რომ მეორე გგუფი, პრეზიდენტობის

<sup>1</sup>) Ибер. op. cit. p. 210-211.

<sup>2</sup>) *ibidem* p. 50-51.

<sup>3</sup>) Mémoires de Nap. 1523. Séance orageuse à Saint Cloud, t. I, p. 68. და ზეგ.

<sup>4</sup>) Mémoires de Napoléon t. II p. 289. 2830.



ზომბრებებისა, პოლიტიკურად მერყევი ელემენტი იყო და ადვილად მიემზობოდა მთავრობას, უნდა ვიფიქროთ (ფაქტიურადაც ასე იყო), როიალისტები დროებით ამათ შეუერთდებოდნენ და ეს ჯგუფი ბოლოსდაბოლოს უფრო გავლენიანი გამოდიოდა, ვიდრე სხვები. თვით ის გარემოება, რომ 13 ვანდემიერის აჯანყება ერთის მხრით იაკობელებისა იყო და მეორეს მხრით როიალისტებისა, ცხადად ვკიჩვენებს იმ გაურკვევლობას, რომელიც მაშინ მეფობდა. რა თქმა უნდა, ეს არანორმალური კავშირი ნაპოლეონსაც უადვილებდა საქმეს. 13 ვანდემიერს მან ისე ბრწყინვალედ დაამარცხა როიალისტებიც და იაკობელებიც იმავე პრინციპის ძალით, რომელსაც ის ატარებდა ჯერ კიდევ „ბოკერ-ის ვახშამშია“—ერის ნებისყოფისთვის გამაერთიანებელი ძალის დაცვა მეამბოხეთა წინააღმდეგ, ვინც უნდა იყვნენ ისინი. მართალია იაკობელთა წინააღმდეგ გამოსვლა მისთვის ძნელი იყო, მაგრამ მათი მეთაურნი როიალისტები იყვნენ. ასე თანდათანობით ხდება მისი იაკობელების წინააღმდეგ გალაშქრება. ასეთი ცვალებადობა მაშინ იქამდის ბუნებრივი იყო, რომ თვით კარნო, ეს მოუსყიდველი, თავდადებული და უმწიკვლო მოღვაწე, თითქმის ერთნაირად ურიგდებოდა ყოველ რეჟიმს და ყოველი რეჟიმის დროს უცვლელად და თავგანწირვით იდგა თავის სადარაჯოზე; სამშობლოს ემსახურებოდა. არც თანამედროვეებსა და არც შემდეგ თაობას მის უანგარშობაში, სიმტკიცეში და უმწიკველობაში არავითარი ეჭვი არ შეუტანია. არსებითად ნაპოლეონიც ასე იყო, იმ განსხვავებით რომ მას პირადი კარიერისა და განდიდების სურვილიც ძლიერი ჰქონდა და ამ თავის სურვილს დროს უფარდებდა. მისი პრინციპების ცვალებადობა კი ისევე ბუნებრივი იყო, როგორც კარნოსი, რათგანაც ორსავე შემთხვევაში ეს ცვალებადობა დამყარებული იყო თვით საფრანგეთის სოციალური ურთიერთობის ცვალებადობის სწრაფ ტემპზე. ამის გარდა, სხვადასხვა კლასების წონასწორობა, რომელიც არც ერთ კლასს არ აძლევდა საშუალებას მტკიცედ ჩაეგდო ხელში ძალაუფლება და თავისი სასიამოვნო წესწყობილება დაემყარებინა, გამოიხატა ზემოაღწერილ პარტიებში, რომელთა შორისაც არც ერთს არ ჰქონდა მეორეზე მეტი ძალა და გავლენა. როგორც უკვე ვიცით, სწორედ ეს იყო მიზეზი, ასე ვთქვათ, ნეიტრალურ, კლასთა და პარტიათა გარეშე მყოფი ძალის გაბატონებისა და ეს ძალა იყო რომელიმე ძლიერი და გავლენიანი პიროვნება. კარნო ამბობდა, რომ შეიძლება ასეთი ყოფილიყო გენერალი ჰოში, რომ არ მომკვდარიყო. ბარა თავისი კანდიდატი ჰყავდა—გენერალ ჰედუელი<sup>1</sup>, სიეისი ეძებდა შესაფერ გენერალს და იპოვა.—ეს იყო ნაპოლეონ ბონაპარტე. Duruy ცნობით (არ ჩანს, საიდან აქვს მას ეს ცნობა ამოღებული) სალიჩეტი აქაც ამოტიტრედა და ისევე განაახლა ინტრიგები ნაპოლეონის წინააღმდეგ. იგი მოვიდა ბარასთან, უამბობ: „les machinations de „l'échappé d'égypte“ და ასე გაათავა თავისი სიტყვები: თუ ჩვენ არ მოკვლავთ მას, ის მოგვკლავს ჩვენ“<sup>2</sup>.

თუ რამდენად ბუნებრივი პროცესის შედეგი იყო ყველა ეს და როგორ იყო ნიადაგი შემზადებული ბონაპარტიზმისათვის, სხვათა შორის, ეს ჩანს ერთი

<sup>1</sup>) Mémoires de Gohiers t. I. p. 221. (იხ. Duruy).

<sup>2</sup>) Duruy, Barras et le 18 Brumaire. Revue de Paris. livr. du 15 Mars 1866. p. 254.

ანონიზი (უსახელო) წიგნიდან, რომელიც ყოფილა გამოცემული იმ დროს ქ. პამ-ბურგში, ალბათ, ემიგრანტების წრეებში. „დიქტატურა“, ნათქვამია ამ ანონიმ-ში, „არ პოულობს წინააღმდეგობას არც ერში, არც დეპუტატებში“. „ბონაპარტი მოვიდა რევოლუციის ბოლოს... მას შეეძლო ყოფილიყო წარმომადგენელი ყველა პარტიისა. მათი მორიგება, მათი ნებისყოფის გაძლიერება. მას შეეძლო ეთქვა ყველასათვის: მე ვერ შევითვისებ ვერც ერთ თქვენ ჩვილს, მაგრამ მე მაქვს საშუალება მათი მოსპობისა. (je n'épouse aucune de vos querelles, mais j'ai le moyen les faire cesser“. საუცხოვო ახსნაა ბონაპარტიზმის წარმო-შობისა<sup>1</sup>.

ასე ნელნელა თითო ნაბიჯით, შემზადდა 18 ბრუმერის რევოლუცია. მაგრამ მაინც ხალხის ცნობიერება ასე ერთბაშად ვერ ეგუებოდა არსებითსა და ფორმითს ცვლილებას. არსებითად იგი გულის სიდრმეში ნელ-ნელა იცვლებოდა, შეუმჩნეველად ენეეოდა მონარქიზმის აზრს დიქტატურის სახით. მაგ-რამ, როდესაც ფორმალური ცვლილების საკითხი დაისმოდა, მაინც აურზაუ-რი ატყდებოდა, თითქოს ხალხმა გამოიღვიძა და საშინელ სიზმარს დააღწია თავიო. ამით აიხსნება 18 ბრუმერის მომხდარი ამბები. არა თუ ეს, თვით ნაპო-ლეონის კონსულობაც კი სადავო საკითხად გახდა მას შემდეგ. როდესაც რევო-ლუცია უკვე მომხდარი იყო და ფაქტიურად ნაპოლეონი საფრანგეთის მბრძანე-ბელი იყო. 10 მაისს 1802 წელს, ე. ი. ნაპოლეონის კონსულობის 2 წელიწადი რომ იყო გასული, დაისვა საკითხი, რომ ნაპოლეონს მისცემოდა სიციოცხლეული კონსულობა. მემუარისტი Stanistas de Girardin ამბობს, რომ სენატმა უარპყო ეს წინადადებაო. Boederer და Thibaudeau იმასაც კი ამბობენ, რომ მთელმა სენატმა იცოდა, თუ რა უნდოდა თავის წინადადებით ნაპოლეონს, და მაინც უარი უთხრაო<sup>2</sup>. Girardin კი ამბობს, რომ სენატმა უარი უთხრა, იმიტომ, რომ წინადადება პირდაპირ არ ყოფილა შემოტანილი და არ იცოდა, თუ რა უნდო-და მის ავტორსაო. მაშასადამე სენატი ცდილობდა დაედგინა ის, რაც ნაპო-ლეონს სურდაო. ასე თუ ისე, სენატმა უარი გაბედა. ეს სახიფათო საქმე იყო 18 ბრუმერის შემდეგ. ეს იყო თითქოს უკანასკნელი გამოვლევება რესპუბლი-კული მიმართულებისა და რევოლუციონური დამოუკიდებლობისა. მაგრამ, რო-გორც სამართლიანად ამბობს პროფ. ოლარი ზემოთ დასახელებულ შრომაში, ეს იყო მხოლოდ თავისუფლების მოჩვენების (simulacre) დამცველნი, ვინაიდ-გან 18 ბრუმერის შემდეგ პიროვნების ბატონობა უკვე აუცილებელი იყო<sup>3</sup>. რა თქმა უნდა, მართალია აქაც პროფ. ოლარი, როდესაც ამბობს, რომ სენატს მიაბიტი ილუზია ამოქმედებდა, ილუზია იმისი, რომ ვითომ ერთი კა-ცის წინააღმდეგ უფრო ადვილი იქნებოდა თავისუფლების დაცვა, ვიდრე მთე-ლი პარტიის წინააღმდეგ<sup>4</sup>.

<sup>1</sup>) Ibidem.

<sup>2</sup>) St. de Girardin. Journal et souvenirs t. III p. 216. (Aulard. La révolution Franç. t. 18. janvier. juin. 1895.) L'établissement du consulat à vie)

<sup>3</sup>) Aulard. L'établissement du consulat La rév. Fr. t. XVIII 1895 p. 339.

<sup>4</sup>) Ibidem p. 338.

ასე თუ ისე, სენატის უარს ნაპოლეონი ძლიერ საგონებელში ჩაუგდია. მას იმედი ჰქონდა, რომ იმ ამბების შემდეგ, რაც 18 ბრუმერს (9 ნოემბერს) მოხდა, სენატი მისი ყურმოკრილი მონა იქნებოდა, მაგრამ ასე არ გამოვიდა. მაშინ მან დასწერა წერილი სენატის სახელზე, რომელშიაც ნაპოლეონი სენატს სთხოვდა, დაესაბუთებინა თავისი უარი. მაგრამ ბოლოს ეს წერილი მაინც არ გაუგზავნია<sup>1</sup>. ამბობენ, რომ ეს მას გადაათქვამბინა Cambasérém, რომელმაც მისცა აზრი პლემბისკიტის მოხდენისა. სრულიად გარკვევით ჩანს, რომ ამ წრეებშიც სრულიად შეუძნეველად მიდის ხალხი ერთმეფობის კლანკებში. უკანასკნელ მომენტამდის ილუზია ჰქონდათ, რომ რესპუბლიკა მაინც არსებობს და იცავდენ მას. ანუ, უკეთესად ვთქვათ, მის ლანდს, მაშინ, როდესაც რესპუბლიკა აღარ არსებობდა.

ბოლოს ეს ამბავი იმითი გათავდა, რომ სენატმა მას მიანიჭა 10 წლის კონსულობა, ხოლო სახელმწიფო საბჭომ კი სიცოცხლეული, თანაც მემკვიდრე დაუნიშნეს. ეს უკანასკნელი დადგენილება გაეიდა უმრავლესობით ხუთი ხმის წინააღმდეგ. ეს დადგენილება გამოიტანეს უენთუზიაზმოდ, უდემონსტრაციოდ, როგორც მოწმობს Thibaudeau<sup>2</sup>.

სენატში კი, როგორც ოქნიდან ჩანს, 10 წლით კონსულად არჩევის შემდეგ. ერთ წევრს განუცხადებია, რომ ეს საკმარისი არ არისო. ზოგიერთმა წევრმა ამ განცხადებას მხარი დაუჭირა. ამასთან დაძინეს, რომ ეს საკითხი სენატს და assamblée générale უნდა გაერჩია, გაერთიანებულთ ერთ კრებაზე. მაშინ სენატმა ამ „assamblée générale“-ის წინადადებას უპირატესობა მისცა, და ასე დასრულდა ეს საკითხი. ასე ყოფილა აწერალი ეს ამბავი სენატის კრების ოქმში, რომელიც დაცულია საფრანგეთის ნაციონალურ არქივში<sup>3</sup>.

მაინც ფსიქიკის თანდათანობით გარდაქმნის დასახასიათებლად ყველაზე უფრო თვალსაჩინო 18 ბრუმერის ამბავია. ეს საერთო მდგომარეობასაც ახასიათებს და თვით ნაპოლეონის სულიერი გარდაქმნის პროცესსაც. როდესაც გვიპტეში ყოფნის დროს ნაპოლეონს მოუვიდა ამბავი პარიზის მდგომარეობის შესახებ, სრულიად მოულოდნელად და სწრაფად მიატოვა მთელი თავისი არმია, ამხანაგი გენერალი კლებერი და გაეშურა პარიზისაკენ. ცდილობდა მთელი გზაც ჩუმად გაეარა და მხელთაშუა ზღვაც იმიტომ, რომ იქ მას ინგლისელები უდარაჯებდნენ, რათა ტყვედ წაეყვანათ, საფრანგეთის ტერიტორიაზე კი იმიტომ, რომ მისი წინასწარი განზრახვა არაეის არ შეეტყო და ხელი არ შეეშალა. მაგრამ რა განზრახვა ჰქონდა მას? კატეგორიულად შეიძლება ითქვას, რომ თვითონაც არ იცოდა. საერთო სურვილი მისი იყო ისეთივე, როგორც ბევრის სხვისა, რომელიც გადატრიალების მოხდენა უნდოდათ, მაგრამ, რა საშუალებით, რა გეგმით, ამაზე არაფიფთარი წარმოდგენა არ ჰქონდა. იულოოს კვისარმა რომ თავის ჯარიანად რუბიკონი გადამოლახა, გარკვეული იყო მას შემდეგ, რომ ჯარით უნდა ემოქმედნა. ნაპოლეონმა კი ჯარი მიატოვა და გამოიქცა. მას გა-

<sup>1</sup>) Stan. Girardin Journ. et souvenirs t. III p. 269 (Aulard, ibidem).

<sup>2</sup>) Aulard, ibidem, 328.

<sup>3</sup>) Arch. Nat. Registre des délibérations du sénat conservateur CC2, p. 19 (Aulard ibidem p. 320-321).

დასალახი რუბიკონი არ ჰქონდა. უჯაროდ კი იგი უმწეო იყო ისე, როგორც სიეისი, რომელსაც ჯიბეში მზად შედგენილი კონსტიტუცია ედვა და ისე დაიარუბოდა, იქნება სადმე ისეთ ვისმე შეეხვდე, რომ ეს კონსტიტუცია გამოიყენოს. ნაპოლეონი კი პირიქით, გაბედულობით და მოქმედების უნარით და სურვილით აღსაყვამ იყო, მაგრამ არ იცოდა, რა გაეკეთებინა და როგორ დაეწყო საქმე. სრული პოლიტიკური მოუზნადებლობა მისი ყველაზედ შეაფიოდა აქ გამოჩინდა. თვით მისი მემუარებიდანაც კი ჩანს, რომ ის სრულიად უმწეო მდგომარეობაში იყო. ვიდრე სიეისს შეხვდებოდა, რომლის კონსტიტუციის გაცნობამაც მას ერთბაშად გზა გაუნათა. მაგრამ აწვეწეროთ ეს ამბავი თვით თანამედროვეთა სიტყვების მიხედვით. Gohierს სიტყვით ბარამ იცოდა, რომ კონსტიტუციას განსაცდელი მოელოდა, რომ საქმე ეხებოდა კონსტიტუციის გაუქმებას (renverser) და არა შეცვლას (modifier). ბერნადოტს უამბნია მისთვის, რომ ცვლილება უნდა შეეხოს არა პიროვნებებს, არამედ თვით წესწყობილებას. (non pas seulement aux personnes, mais à l'institution elle-même)<sup>1</sup>. ნაპოლეონმა პირველ ხანებში მარტო ისლა შესძლო, რომ ამ მოთქმა-მოთქმას აჰყვა. ერთხელ ბარასთან საფილოზოფის დროს თვით ნაპოლეონმაც ამოიღო ხმა და დაიწყო ლაპარაკი დიქტატორობის საქიროების შესახებ<sup>2</sup>. ბარა, როგორც ეტყობა, სრულიად უმწეოდ გრძობდა თავს ამ შეთქმულებაში და ცდილობდა თავი გაერიდებინა. მისი პროექტი ჰედელიცის წამოყენების შესახებ, ეტყობა, სრულიად უნიადაგო იყო. ნან ბოლოს სრულიად თავი გააჩრდა ამ საქმეს და, როდესაც 18 ბრუმერის ამბავი ჰდებოდა, საკანონმდებლო კრებას გაუგზავნა თხოვნა მისი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. ეს მისი თხოვნა დაბეჭდილია 1817 წ. გამოცემულ წიგნში, რომლის სათაურიც არის: *Historie de Napoléon*<sup>3</sup>. ამ თხოვნას ის უმატებს რომ „დიდება, რომელიც სახელოვან გენერალს თან სდევს, იმ გენერალს, რომელსაც მე გაეუხსენა გზა დიდებისაკენ, მაძლევს საბუთს, რომ უბრალო მოქალაქედ ვიცხოვრო და ყოველსავე თავი მივიანებო. მაგრამ ბარა ცნობილი მანინაციების კაცი იყო. მისთვის ახლა უკვე დიდი ფასი არ ჰქონდა იმას, თუ რა წესწყობილება იქნებოდა საფრანგეთში. ოღონდ თვითონ ფუფუნება-განცხრონაში ეცხოვრა. მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ ყველა ამ აზბებში კარნო არსადა ჩანს. ეტყობა იმანაც თავი მოაჩრდა, არა იმიტომ რომ ბარასავით ხელი დაიბანა, არამედ იმიტომ რომ მისთვის ცხადი იყო, რომ საქმეს სრულიად არა ეშველებოდა რა, იქამდის აუცილებელი იყო რომელიმე გენერლის დაწინაურება და მის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება. მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო ეს გენერალი? ამის გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რომელი გენერალი უფრო გამოჩენილი იყო მტრებთან ბრძოლაში, რადგანაც უმთავრესი საშიშროება, რომელიც ხალხს ყოველსავე სასოვდა ართმევდა, იყო გარეშე საშიშროება, ამგვარი გენერალი იყო ნაპოლეონი. ამიტომ იმ დროს, როდესაც ნაპოლეონმა არ იცოდა, რა მოეგვარებინა, ხალხს ენალებოდა და დარბაზობა-

1) Duruy. op. cit. p. 247. Gohier, mémoires, t.III, p. 223.

2) Gohier. t. I, 221.

3) Histoire de Napoléon. 1823. II, p. 90.

ზე დადიოდა. ხალხი მას უღარაჯებდა და, სადაც შეხვდებოდა, ოჯაციებს უკეთებდა. მისი სახელი ყველას პირზე ეკერა, როგორც საფრანგეთის ერთად-ერთი მხსნელია. ისე რომ ნაპოლეონს ფიქრადაც რომ არ ჰქონოდა ძალაუფლების ხელში ჩაგდების ცდა, ახლა მოუფიქროდა ეს ფიქრი. მაგრამ შინაური პოლიტიკა საომარი ასპარეზი არ იყო. სისწრაფე, გაბედულობა, ყოველივე ზნეობრივ და ფიზიკურ დაბრკოლებათა გადალახვა და ფეხქვეშ გათელვა ვარგოდა აფრიკის უდაბნოებში ომის დროს და მაშინ, როდესაც პირდაპირი და პატიოსანი კლებერი ამ უდაბნოში მტრების წინაშე მარტოდ-მარტო მიატოვა ვერაგულად. საფრანგეთის გარემოებაში მარტო ეს არ გამოდგებოდა. არა კმაროდა ის, რომ მან გამოუცხადა ბარას, რადგანაც გადაგვიწყვიტაით გადატრიალება, უნდა სწრაფად ვინოქმედოთ, წუთი საათს უდრისო. მოქმედებას გეგმა უნდოდა. ამას გარდა, პარიზში მას ისე ერთგული ჯარი არ ჰყავდა, რომელიც მასთან ერთად იხოცებოდა. პარიზის გარნიზონის დიდი იმედი ვერ ექნებოდა. ისე რომ ეს გარემოება საომარ ასპარეზს არ ჰგავდა, და ნაპოლეონიც ამიტომ უმწეოდ იყო. მან ნაბიჯის გადადგმა გახედა მხოლოდ მაშინ, როდესაც სიეისს დაუახლოვდა და მის გეგმას გაეცნო. აქ გეგმის გაცნობის შემდეგ. მისთვის ნათელი გახდა ის, თუ როგორ უნდა ემოქმედნა და მაშინ საქმეც დიწყო სიეისის მონაწილეობით და დახმარებით. როგორც ეკითხულობთ სორელის წიგნში, ნაპოლეონს, მას შემდეგ რაც მისთვის მოქმედების გეგმა გამოირკვა, იმედი ჰქონდა, რომ სენკლუსში, სადაც მისი საქმე საბოლოოდ უნდა დადგენილიყო. მოხდება ტულიერის სასახლეში მოახდარი ამბები!, მაგრამ მას ავიწყებოდა, რომ აქ კანონმდებლებთანა აქვს საქმე, რომ აქ პოლიტიკური ტაქტი და მონებრებულობა იყო გადამწყვეტი და არა სანხედრო მანევრები და საზოგადოდ სტრატეგია. აქ თვალსაჩინოდ გამოჩნდა, რომ მართლაც ნაპოლეონი ვარგოდა მხოლოდ იქ, სადაც გარემოება საომარ ასპარეზს ემსგავსებოდა. ისეთი უმწეო, დაბნეული და საცოდავი არასოდეს არ ყოფილა ნაპოლეონი, როგორც აქ. არა თუ ნაპოლეონი, საზოგადოდ ძნელი წარმოსადგენია, ამაზე მეტი ტრაგიკომიკური მდგომარეობა, როგორშიც იმყოფებოდა დიდი გმირი ამ დღეს. მკვლევარნი და მემუარისტები ერთხმად მოწმობენ ამას და ამ მხრივ მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის. არა თუ Gohier, რომელსაც დაწერილობით აქვს წერილი ეს ამბავი, არამედ თვით ის მემუარისტები, რომელნიც, როგორც თვითონ ამბობენ, ნაპოლეონის კარნახით სწერდნენ თავის წიგნს, სრულიად გარკვევით აღნიშნავენ ამას. გოიეს მოწმობით, როდესაც ნაპოლეონი შევიდა დარბაზში და დაინახა, რომ მას მხოლოდ ორი საპი ჯარისკაცი მიჰყვა თან, უკან-უკან დაიხია. სხვა თანამედროვეები, როგორც გადმოგვცეცის მიშლე, თურმე აზნობდნენ. რომ არასოდეს არ უნახავთ ისეთი დაბნეული და გაფითრებული ადამიანი, როგორიც იყო ამ დროს ნაპოლეონი. მას შიშისაგან ენის ბორძიკი დაემართა. რომელსამე დეპუტატს რომ ხელი ეტაცნა ბონაპარტისთვისო, ამბობს ერთი ამ ამბის დამსწრე, „მისი მომხრეები მას ვერ დაიცავდნენ და ერთი წუთის შემდეგ

1) Sorci, L'Europe et la révol. franç. par. V p. 476.

მის გასისხლიანებულ თავს აიწინიდან აჩვენებდნენ ხალხს<sup>1</sup>. ნაპოლეონის კარნახით დაწერილ მემუარებშიც საზოგადოდ იგივე სურათია აწერილი. ტირანი გაფითრებული იყო და ჯერო მკედარს ჰგავდა, ვიდრე ცოცხალსაო, მას არ ჰქონდა არც დრო და არც შესაძლებლობა, რომ ერთი სიტყვა მიიხედავებოდა. იგი შიშის ზარმა მოიცვა, როდესაც შეიქნა ყვირილი: „hors la loi“<sup>2</sup>. ცნობილი მკვლევარი სორელი, რომელსაც, რასაკვირველია, ბევრად უფრო მეტი მასალა ჰქონდა ხელთ, ვიდრე ამ სტრუქტურების დანერგვას, ამგვარადვე აგვიწერს ნაპოლეონის მდგომარეობას ამ დროს. დანარჩენ მკვლევრებზე, რომელთა გამოკვლევებიც მე ხელთ მქონდა, ხომ აღარას ვიტყვი. სორელის გადმოცემით, ნაპოლეონის დანახეაზედ დეპუტატები ფეხზე წამოხტნენ, გადმოცვივდნენ თავთავის ადგილებიდან, შემოეხვივნენ გარს ნაპოლეონს და ყვირილით: „Hors la loi“, მუშტებს უღრებდნენ. ამ ყვირის ემატებოდა ხმები: „ძირს ტირანი, მოკვლით, მოკვლითო“<sup>3</sup>. ამ გარემოებამ ნაპოლეონი დიდ შიშში ჩააგდო. გაფითრებული ბნაპარტი იდგა მუნჯივით გაჩუმებული, გაშვებული, უძრავი (Alfreusement pâle, Bonaparte demeure muet, glacé, inerte). იგი გრძნობდა, რომ მას არათფერი შეუძლიან, ის გარს შემორტყმულია მტრულად განწყობილი ბრძოთი. „დეპუტატებს შორის რომ გამოჩენილიყო ნამდვილი ბრუტი, სცენა ტრაგიკულ სახეს მიიღებდაო“<sup>4</sup>, დასძენს სორელი. ზოგიერთი ცნობით, ნაპოლეონს ტანისამოსიც კი შემოახიეს და ბოლოს მას გულიც კი შეუწუხდა. ჯარის კაცებმა ის ხელით გაიყვანეს. როგორც კი თავის რაზმთან გაჩნდა, ნაპოლეონი მაშინვე ცხენს მოახტა. მან იცოდა ეფექტი ამგვარი მანევრისა, მან იცოდა მისი გავლენა ჯარზე, როდესაც იგი ბრძოლის ღეთაებას ემსგავსებოდა. როდესაც მან შესძახა თავის რაზმს, რომ იარაღთ შესულიყვნენ დარბაზში, მათ ეს ბრძანება მაშინვე შეასრულეს, და ახლა კი დეპუტატები ჩაცვივდნენ ტრაგიკომიკურ მდგომარეობაში. მრავალი მათგანი ფანჯრიდან გადახტა მეტის შიშით და სიჩქარით. აქედან სრულიად ცხადად ჩანს, რომ ნაპოლეონი ამ დროს და აქაზდისაც მხოლოდ ჯარის კაცი იყო, თითქმის, შეძლება ვთქვათ, უბრალო ჯარისკაცი. პოლიტიკისა და ხალხის წარმომადგენლებთან მოპყრობისა მათზე გავლენის მოპოვების საშუალებისა არა გაეგებოდა რა, ხოლო როგორც კი საქმის გადაწყვეტა მიიღებდა სახეს ბრძოლის ვეზე მოქმედებისას, ნაპოლეონი თავის სტიქიონში გრძნობდა თავს. მაშინ მას ენაც გაეხსნებოდა, აზრიც მოეკრიბებოდა და გაბედულობაც ჰქონდა. ამაში მას მეტოქე არ ჰყავდა, მართლა რომ ბრძოლის ღმერთს ემსგავსებოდა ჯარის თვალში. ევრეთწოდებულ ნაპოლეონის მემუარებშიც დაცულია ამგვარივე აღწერა 18 ბრუერის ამბებისა, მხოლოდ მისი ავტორი ცდილობს, ასე ვთქვათ, ამ ამბების გირიული მომენტები გააზვიადოს და, სადაც იგი არ არის, შესთხვას. მაგალითად, 1823 წლის გამოცემის პირველ ტომში იქ, სადაც სენკლუს კრების ამბებია აღწერილი<sup>5</sup>, ნათქვამია, რომ ნაპოლეონმა ძალა მოიკრიბა და ძლიერი ხნით (avec force) სტყვა შემდეგი:

<sup>1</sup> Мишле, История XIX века до 18 брюмера. т. II. 1863. стр. 302.

<sup>2</sup> Histoire de Napoléon Bonap. т. II p. 91.

<sup>3</sup> Sobel. L'Europe et la Révol. franç. V part. Bonap. et l. direct. p. 460-481.

<sup>4</sup> Mémoires de Napoléon. т. I. 1923 p. 75-70.

„La constitution de l'an III. vous n'en avez plus. Vous l'avez violée en 18 fructidor“, მესამე წლის კონსტიტუცია აღარ არისო. თქვენ ის დაარღვიეთ 18 ფრუქტიდოროს, როდესაც აღნიშნულ კონსტიტუციამ ხელი შეახო საკანონმდებლო კრების დამოუკიდებლობას; თქვენ იგი დაარღვიეთ 30 პრერიალს მე-7 წელს, როდესაც საკანონმდებლო კორპუსმა ხელი შეახო მმართველობის დამოუკიდებლობას. თქვენ იგი დაარღვიეთ 22 ფლორეალს, როდესაც მკრებელობითი დეკრეტის ძალით მთავრობა და საკანონმდებლო კორპუსი შეეხო ერის სუვერენობას, როდესაც მათ გააუქმეს ხალხის მიერ მოხდენილი არჩევნები. რათგანაც ეს კონსტიტუცია დაარღვეულია, ამიტომ ახლა საჭიროა ახალი ხელშეკრულება, ახალი გარანტია“.

ვითომ ასეთი ცხარე და საკმაოდ ძლიერი სიტყვა უთქვანს ნაპოლეონს ხეთანსა საბჭოს წინაშე. თუმცა შეუძლებელი კი არ არის, რომ ერთ ნომენტს ძალა მოეკრიბოს ნაპოლეონს და ეთქვას ეს, მაგრამ ძნელი კია იმ გარემოებაში, როდესაც მას შიშით სასა შეეკრა და წითელ-მთელ სიტყვებს ველარ ამბობდა, ამისთანა მოკლე, მაგრამ ძლიერი და კარგად დალაგებული სიტყვა ეთქვა. მით უმეტეს ვერწმუნებით ამას, რომ სხვა მემუარისტებს ეს სიტყვა არა აქვთ მოყვანილი და შემცდარია პერი<sup>1</sup>, როდესაც მემუარების ან ცნობას ენდობა და უკრიტიკოდ მოჰყავს ეს სიტყვა. მაგრამ შეცდომაა ისიც, რომ ბევრნი ამ სიტყვას არაერთარ მნიშვნელობა აძლევენ. მას დიდი მნიშვნელობა აქვს 18 ბრუმერის მოხდენის მოტივების გამორკვევაში. ასე თუ ისე, ექვი არ არის, რომ ამ სიტყვაში გამოთქმული აზრი უტრიალებდათ თავში თვით ნაპოლეონსაც და მის მომხრეებსაც. ექვი არ არის, რომ მოხდენილი ამბების ასეთი გამართლება ნაპოლეონს ან მის მომხრეებს, ან ორივეს ან წინასწარ უკვე ჰქონდათ, ან შემდეგ მოიგონეს და ჩასწორეს. ისიც შესაძლებელია, რომ ნაპოლეონი მართლაც ცდილობდა ამ სიტყვის თქმას და თითო-ორი სიტყვა წაპოილულულა კიდეს, მაგრამ ენის ბორძიკით ნათქვამს ვინღა გაიგონებდა იმ მუშტის ტრიალში და ღრიანცელში.

სამსავე შემთხვევაში უდავოა, რომ ეს არის ნამდვილი მოტივი ამ რევოლუციის მოხდენისა. ეს ხომ, როგორც უკვე ვიცით, სრული ჭეშმარიტებაა, რომ მართლაც სამჯერ დაარღვიეს კონსტიტუცია. ხოლო თუ ეს ფორმალური მოტივი არ არის რევოლუციის მოხდენისა, ყოველ შემთხვევაში არსებითად არკვევს მის მიზეზებს. შეიძლება ერთხელ კიდევ ვთქვათ, რომ ნაპოლეონისთანა კაცებისათვის, რომელნიც რევოლუციის დიად პრინციპებსა და მის გამახორცილებელ მეთაურებს ნოწიწებით და მოკრძალებით უუურებდენ, ახლა, კონსტიტუციის ამდენჯერ დაზღვევის შემდეგ ამ პრინციპების სიწმინდე აღარ არსებობს. ბარბარს და ზოგი სხვების გაიძვერობისა და ანგაარების ნახვის შემდეგ აღარც რევოლუციის მოღვაწეებს სცემდა პატივს. ამიტომაც ვაბედა 18 ბრუმერის მოხდენა. ისე რომ აქაც მართალია ნაპოლეონი. თუმცა მთავარი მამომრავებელი ძალა მისი მოქმედებისა მისი პატივმოყვარობაა. მაგრამ მიზეზი, რომ მან ეს ნაბიჯი ვაპბედა და გადაადგო ძველი პატივისცემა იაკობელებისადმი, ამ სიტყვა-

1) П.: ер. оп. cit. стр. 210.

ში სწორედ არის გამოხატული. მას ისიც შეეძლო ეთქვა, რომ დირექტორია აღარ არსებობდა, რადგანაც უმრავლესობამ თავი დაანება თანამდებობას...

ასე თანდათანობით თავის შემუმჩნევლად მივიდა ნაპოლეონი ამ ნაბიჯამდის ისე, რომ არავითარი არც წინასწარ შემუშავებული გეგმა თავის განდიდებისა და არც დასახული მიზნები არ ჰქონია. ის მხოლოდ ისტორიულ მომენტთა ცვალებადობას მისდევდა და თითქოს ზღვის ზედაპირზე ამართულ ტალღებს ხან ერთს აჰყვებოდა, ხან მეორეს, ანუ უკეთ ვთქვათ, ხან ერთი აიტაცებდა ხან მეორე. ამ პირობებში კარგი მოცურავე ისარგებლებს, ტალღას ქედზე მოექცევა და მისცურდება, სადაც სურს, უხეირო მოცურავე კი დაიღუპება. რევოლუციონური საფრანგეთი ამ მღელვარე ზღვას წარმოადგენდა და ნაპოლეონი კარგ მოცურავეს. თვით ნაპოლეონსაც, უნდა ვთქვათ, კარგად ესმოდა ეს. ის ამბობდა<sup>1</sup>, რომ „მოგება და გამარჯვება განსაზღვრულია. სამხედრო საქმეში წარმატებასაც თავისი დრო აქვს. მე კიდევ ექვსიოდე წელიწადს გამოვდგები და მერე კი თვითონ უნდა შევჩერდე“.

<sup>1</sup>) II 3 e p, op. cit. стр. 633.



## ვარლამ უშნაძე.

### ჩვენებური რძის ქიმიური შეღებნილობა.

სიკოცხლე დანგრევა და აშენება დანგრეულისაო, ამბობენ სანართლიანად ფიზიოლოგები. ეს ნგრევა-აშენების პროცესი შედეგია იმ ქიმიური რეაქციებისა, რომელნიც მუდმივად სწარმოებენ ყოველ ცოცხალ ორგანიზმში და რის შემდეგაც ხდება ორგანიზმის მიერ დაკარგვა წონის ნაწილისა. გამოანგარიშებულია რომ ორგანიზმის მიერ ყოველ-დღიური დანაკარგის ასანაზღაურებლად საჭიროა საშუალოდ 260,0 გრამი ნახშირბადისა და 18,0 გრამი აზოტი. ა. ორგანიზმის ნორმალური განვითარებისათვის საჭიროა დანაკარგ ნივთიერებათა ასანაზღაურებლად მივაწოდოთ მას საკვები მასალა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

1. საკვები მასალა უნდა შეიცავდეს ნახშირბადსა და აზოტს. ეს მასალა უნდა იყოს ისე შერეული, რომ დანაკარგის შესავსებლად თანასწორობა არ დაირღვეს. ესე იგი ის უნდა შეიცავდეს 260,0 გრამს ნახშირბადსა და 18,0 გრამ აზოტს. სასურველი არ არის ორგანიზმში იქნეს შეტანილი რომელიმე ნივთიერება, რომელიც მდიდარია ნახშირბადით და ლარიბი — აზოტით, ან წინააღმდეგ, მდიდარი აზოტით და ლარიბი ნახშირბადით, ვინაიდან ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვაქვს ორგანიზმში ან ზედმეტი აზოტი, ან ზედმეტი ნახშირბადი, რაც ორგანიზმისათვის არ არის მარგებელი. რძე, როგორც საზრდო მასალა, ძალიან დაახლოვებულია იმ ნორმალურ საკმელთან, რომელიც საჭიროა ორგანიზმის ნაკლის შესავსებლად.

2. საკვები მასალა ორგანიზმის მიერ უნდა იყოს ადვილად შეთვისებული. რძე და აგრეთვე მისგან მიღებული პრეპარატები სავსებით აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნისასაც. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ რძე არის ერთად ერთი საზრდო მასალა, როგორც ბავშვთათვის, ისე აგრეთვე ზოგიერთი ავადმყოფი ორგანიზმისათვის.

3. საკვები მასალა უნდა იყოს ეკონომიური, ესე იგი ხელ-მისაწვდომი ფართო მასისათვის<sup>1</sup>.

რძის ზემოთ მოყვანილი თვისებებით აიხსნება ის გარემოება, რომ თითქმის ყველა კულტურულ სახელმწიფოში უკვე დიდი ხანია, რაც ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს კარგი მეწველი საქონლის მოშენებასა და აგრეთვე რძისაგან მიღებული პრეპარატების მიზანშეწონილად დამუშავებას. ეს მოძრაობა

<sup>1</sup>) ჩვენში რძე შედარებით ძვირია. საფრანგეთში და შვეიცარიაში ერთი ლიტრა რძე ღირდა ომამდის 15-20 სანტიმ. რაც დაახლოვებით უდრის შეიღ კაიკის.

დაიწყო დანიაჲ, სადაც 1863 წელს დიდი ენერგია იყო დახარჯული რძის მეურნეობის განვითარებისათვის. შემდეგ კი დანიის მაგალითს წაბაძეს აგრეთვე სხვა სახელმწიფოებმაც. რძის მეურნეობის განვითარებას ბევრად ხელი შეუწყო აგრეთვე მრავალი სპეციალური კრებულისა და ჟურნალის გამოცემა რძის შესახებ 1871 წლიდან. ამ მოძრაობამ შესაფერისი შედეგებიც მოიტანა, რაც ნათლად ჩანს ფლეიშმანის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ცხრილიდან რქიანი საქონლის რაოდენობის შესახებ<sup>1</sup>.

## ცხრილი № 1.

## იყო რქიანი საქონელი

წელს	სახელმწიფოების დასახელება	საერთოდ	1 კვ. კილო-მეტრზე	100 მცხოვ.
1870	ბელგია	1,392,815	46,9	25,1
1874	ვენგრია	1,879,698	17,1	33,8
1876	შვეიცარია	1,212,538	30,3	42,8
1878	დანია	1,463,440	36,9	67,
1888	ევროპ. რუსეთი პოლონეთი და ფინლანდია	27,622,656	5,6	30,6
1888	ისპანია	1,469,253	3,0	8,7
1889	ფინლანდია	1,268,239	3,4	54,2
1890	ავსტრია	8,643,936	28,8	36,2
1890	რუმინია	2,520,380	19,2	50,0
1890	სერბია	827,745	17,0	38,3
1890	ნორვეგია	1,004,191	3,1	50,5
1891	ჰოლანდია	1,532,100	47,1	34,0
1891	იტალია	4,483,232	16,7	16,8
1891	შვეცია	1,920,110	4,3	40,0
1892	ლუქსემბურგი	33,066	36,0	44,1
1892	გერმანია	17,555,694	32,5	35,5
1892	საფრანგეთი	13,361,434	25,3	34,9
1893	დადი ბრიტანია და ირლანდია	11,207,554	35,6	29,6
1894	შვეიცარული შტატები ამერიკისა	53,050,568	7,0	84,8

<sup>1</sup> Флейшмани, Молоко и молочное дело.

მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით პირველი ადგილი უკავია ამერიკის შერთებულ შტატებს, მეორე დანიას და მესამე ფინლანდიას.

საინტერესოა აქვე აღვნიშნოთ, რომ საფრანგეთში წლიურად ძროხისა, და ცხვრის რძის რაოდენობა უდრის 100 მილიონ ჰექტოლიტრს, რაც წარმოადგენს დაახლოებით 1500 მილიონი ფრანკის ღირებულებას<sup>1</sup>.

საქართველოს მიწათ-მოქმედების კომისარიატის მიერ შეკრებილი ცნობების მიხედვით მეწველი საქონლის რაოდენობა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში შემდეგია (1923 წელი):

## ცხრილი № 2.

	ძროხა	ფურ-კამეჩი	ცხვარი
აღმოსავლეთ საქართველოში	129,912	24,557	507,592
დასავლეთ	124,456	8,121	72,336
აფხაზეთში	12,324	7,916	119,040
აჭარაში	13,559	566	3,695
სამხრეთ ოსეთში	8,313	518	21,545
სულ რესპუბლიკაში .	318,564	41,218	620,177

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ რქიანი მეწველი საქონლის რაოდენობა რესპუბლიკის ფარგლებში უდრის მხოლოდ 359,842-ს, შვეიცარიაში კი მისი რაოდენობა უდრიდა 1,212538-ს 1886 წელს. ესე იგი იქ 3,4-ჯერ მეტია, ვიდრე ჩვენში.

საქიროა აღვნიშნოთ, რომ რძის მეურნეობის განვითარების ხელის შემწყობო სათანადო ლიტერატურის გამოცემასთან თითქმის პარალელურად წარმოებდა რძის შედგენილობის გამოკვლევა. ამ მიზნით დაარსდა 1870 წლების დასასრულში მთელი რიგი საცდელი სადგურებისა და ამასთანავე ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში დააარსეს კათედრები, სადაც იკითხებოდა ლექციები რძის მეურნეობის შესახებ (ბერლინი და სხვა).

თანახვად ამ გამოკვლევებისა, რძის შედგენილობა შეზღვევა: წყალი, კაზეინი, ცხიმი, რძის შაქარი, მარილები და ლიმონის მჟავა.

ამ შენაერთების რაოდენობა სხვადასხვა საქონლის რძეში ერთი და იგივე არ არის, რაც ნათლად ჩანს შემდეგი ცხრილიდან:

1) 1903 წელს ექსპორტი რძისა, ყველისა და კარაჭისა აღემატებოდა 96 მილიონ ფრანკს.

## შემაღვნილი ნაწილების რაოდენობა.

ცხრილი № 8.

გამონაგარიშებული  $\%$ -ობით<sup>1</sup>.

	ვიჩისა	ძროხისა	თხისა	ცხვრისა	ლორისა	ცხენისა	ძაღვისა
წყალი	91,02	86,56	86,76	82,80	82,96	82,84	79,17
შროალი ნიეთიერება	8,98	13,44	13,24	16,14	17,64	17,16	20,83
ცხიმი	1,26	4,08	4,48	5,85	6,41	6,87	8,55
კახეინი	2,02	3,50	2,92	5,58	6,00	1,64	1,98
ალბუმინი		0,58	1,31				3,73
შაქარი	3,70	4,60	3,91	4,48	4,04	8,65	2,71
მაზილები		0,73	0,62	0,68	1,06		0,92

ირმისა და კაჟერის რძის შედგენილობა გამონაგარიშებული  $\%$ -ობით შემდეგია<sup>2</sup>:

ცხრილი № 3.

	ირმის რძე	ფურკა- მეჩისა
წყალი	67,70	82,93
ცხიმი	17,1	7,46
ახოტ. ნიეთიერება	10,9	4,59
რძის შაქარი	1,8	4,11
მინერ. ნიეთიერება	1,5	0,81
	100%	100%

ქალის რძის შედგენილობა გამონაგარიშებული  $\%$ -ობით შემდეგია<sup>3</sup>:<sup>1</sup>) Gagnaux, Analyse chimique.<sup>2</sup>) Fleischmann, Молоко и молочное дело.<sup>3</sup>) Villiers, Collin et Fayolle. Traité des Fal. et altérations des substances alimentaires.

## ცხრილი № 5.

წყალი .	87.7
ცხიმი .	4.5
მარილები	0.15
კახეინი .	1.3
ლიმონის მჟავა	0.19
რძის შაქარი	5.3

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, ყველაზე უფრო მსუქან რძეს იძლევა ირემი და ყველაზე ღარიბს ვირი. თუმცა ქიმიური შედგენილობა ყველა საქონლის რძისა ერთი და იგივეა, ისინი მაინც განსხვავდებიან ერთი მეორისაგან ფერით, გემოთი და კონსისტენციით.

ზემოთ მოყვანილ ცხრილში აღნიშნულია ნხოლოდ საშუალო რიცხვი სხვადასხვა საქონლის რძის შედგენილობისა და ეს საშუალო რიცხვი სხვადასხვა მკვლევრის მიერ მოწოდებული განსხვავდება ერთი მეორისაგან. ფლეიშმანი იძლევა შემდეგ საშუალო რიცხვს ძროხის რძის შედგენილობის შესახებ:

## ცხრილი 5.

	საშუალო	რუევის ფარგლები
წყალი	87.75	87.5—89.5
ცხიმი	3.1	2.7— 4.3
ახოლქრი ნივთიერება .	3.5	3.0— 4.0
რძის შაქარი	4.6	3.6— 5.5
მინერალური ნივთიერება .	0.75	
	100%	

საფრანგეთის მეცნიერები Villers, Collin და Fayolle იძლევიან ძროხის რძის შემდეგ შედგენილობას:

## ცხრილი 7.

წყალი .	86.5
ცხიმი . .	4.0
რძის შაქარი .	5.1
მარილები	0.5
კახეინი . .	3.6
ლიმონის მჟავა	0.15

როგორც ცნობილია, ზემოაღნიშნული პროცენტული ცვალებადობა რძის ცხიმისა და იმავე შენადკენელი ნაწილებისა დამოკიდებულია ფაქტორების მთელ რიგზე, რომელთა გამოკლევა მეტის მეტად საყურადღებოა.

ამ შრომაში კი ჩვენ გვსურს შევჩერდეთ იმ უმთავრეს ფაქტორებზე, რომელნიც ახლენენ ზეგავლენას ძროხის რძის შედგენილობაზე. ძროხის რძემ ჩვენი ყურადღება მიიქცია მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც ვიცით, რძე, როგორც ასეთი, ფართოდ იხმარება მხოლოდ ძროხისა, რადგანაც ზოგიერთი საქონლის რძე სოულებით არ იხმარება და ზოგიერთისა კი, როგორც მაგ. თხისა და ცხვრისა, თითქმის მხოლოდ ყველის მოსამზადებლად იხმარება. გარდა ამისა ძროხის რძის ფართო ფარგლებში მოხმარების საქიროებამ გამოიწვია მისი დაყალბება, რის წინააღმდეგ წარმოებს, მართალია, ბრძოლა, მაგრამ ამ ბრძოლის რაციონალურ საფუძველზე დაყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ რძის ბუნების ყოველმხრივი შესწავლა დასრულებული იქნება.

როგორც ნათქვამი იყო, რძის შედგენილობის ცვალებადობა დამოკიდებულია ფაქტორების მთელ რიგზე, რომელთაგანაც ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ შემდეგ უმთავრესს:

1. საქონლის ჯიშის: რძის რაოდენობა და მისი შედგენილობა მკიდროდ დაკავშირებულია საქონლის ჯიშთან და არ არის დამოკიდებული მარტო კვებაზე. როგორც უნდა მოუაროთ და ვეფეროთ ჩვენებური ჯიშის ძროხას, ის ვერ მოგვეცემს რძის იმოდენ რაოდენობას, რამოდენსაც იძლევა ჰოლანდიური ჯიშისა. ჯიშის, ანბობს ფლემიშმანი, ეს არის ის თვისებანი, რომელიც მოპოვებული აქვს დაიდი ხნის ვარჯიშობით რომელსამე ჯგუფს, რომლის წარმომადგენლებსაც აქვთ დაახლოვებით ერთნაირი აგებულობა, შეხედულება და წონა--ერთი სიტყვით ერთგვარი თვისებანი.

ფლემიშმანი იძლევა საინტერესო ცნობებს შესახებ იმისა, თუ რა რაოდენობას იძლევა რძისას სხვადასხვა ჯიშის ძროხა.

### ცხრილი 8

ძროხის ჯიშის	რძის რაოდენობა წველის დროს პერიოდში.
ჰოლანდიური .	. 3,000 ლიტრი
ოლდენბურგისა .	. 2,800 "
ნეიცისა (ნეიცარია)	. 2,600 "
ალკაუსი	. 2,500 "
ანგელისა	. 2,400 "
საინტალიისა	. 2,300 "
ზაბადაისა .	. 2,200 "
ალსაბ ტრისდორფისა .	1,900 "
ენგარჯლისა	800 "

სამაგიეროდ, თუცა ზოგიერთი ჯიშის იძლევა რძის მეტ რაოდენობას, მაგრამ ისინი შედარებით უფრო ღარიბი არიან ექსტრაქტული ნივთიერებით. კირხერი იძლევა შემდეგ საშუალო რიცხვებს:

## ცხრილი 9

ჯიში	მშრალი ნაშთი	კაჟი
ჰოლანდიური და ოლდენბურგისა .	11,5% „	3% „
ანგელისა	12% „	3,4% „
სიმენტალისა და შვიცისა	13% „	3,8% „
ჯერზეისა	14-17% „	

ამ გარემოებით მწარმოებელნი ფაოთოდ სარგებლობენ. ისინი, ვინც რძით ვაქრობენ, უპირატესობას აძლევენ იმ ჯიშს, რომელიც მეტ რძეს იძლევა, როგორც არის ჰოლანდიური. იმ შემთხვევაში, როცა რძეს კარაქის მოსამზადებლად ხვარობენ, ჰოლანდიური ჯიში ადგილს უთმობს სხვა ჯიშებს, რომელნიც იძლევიან უფრო მსუქან რძეს. აქვე აღენიშნება, რომ ზოგიერთი ავტორის აზრით ძროხის რძის რაოდენობა ოთხჯერ თუ ხუთჯერ მეტია მის წონაზე.

რაც შეეხება ჩვენში გაერყელებულის ზოგიერთი ჯიშის ძროხის რძეს, ჩვენ მიერ გამოკვლეული იყო ხუთი ჯიშის ძროხა, რომელთა რძის გამოკვლევის შედეგებიც აქვე მოგვყავს:

## ცხრილი 10

## გერმანული („ნემკა“)

თვე	მოწველის დრო	რძის რაოდენ.	ცხიმი	მშრალი ნაშთი.
4 აპრილი	დილა 6 საათი	2100	4,5% „	14,02
	ნაშუად. 2	1250	3% „	11,11
	სალამო 11 „	2600	4,7	13,65
		<u>სულ 5,950</u>		
5	დილა 6ს	2720	4,8	14,02
	ნაშუად.	1350	5,6	14,25
	სალამო 6ს	2500	4,9	13,64
		<u>სულ 6,270</u>		

თვე	მოწეულის დრო	რძის რაოდენ.	ცხიმი	მშრალი ნაჭ- თი
<b>თარაქამისა („ტატარკა“).</b>				
4	დილა 6 ს.	2250	6,4	15,75
	ნაშუადღ. 2	1250	2,8	11,12
	სალამო 6 ს.	2,400	4,7	13,65
		სულ 5,900		
5	დილა 6 ს.	2600	4,7%	14,15
	ნაშუადღ. 2 ს.	1200	3%	11,46
	სალამო 6 1/2 ს.	2500	4,9	13,64
		სულ 6100		
<b>ხიმენტალისა (შერეული ადგილობრივთან).</b>				
4 აპრილი	დილა 6 ს.	2,200	4,9	14
	სალამო 6 1/2 ს.	2,000	4,7	13,90
		სულ 4,200		
5 აპრილი	დილა 6 ს.	2,420	5,1	14,52
	სალამო 6 1/2 ს.	2,200	4,7	13,90
		სულ 4620		
<b>ხეცხურული</b>				
4 აპრილი	დილა 6 ს.	2100	3,1	11,73
	სალამო 6 1/2 ს.	2100	3,6	12,06
		სულ 4,200		
5	დილა 6 ს.	1500	3,0	12,11
	სალამო 6 1/2 ს.	2,000		11,75
		სულ 3,500		
<b>მთიულღური</b>				
6 აპრილი	დილა 6 საათ.	2500	5,3	14,03
	სალამო 6 1/2 ,,	3200	6,1	14,25
		სულ 6,000		



პოლანდიური ჯიშის ძროხებთან შედარებით ჩვენში გავრცელებული ჯიშის ძროხები რძის რაოდენობას ნაკლებს იძლევიან, ხოლო ცხიმის რაოდენობის მხრივ ესენი გააცილებით მდიდარია. გამოწაკლისს შეადგენს ხვესურული ჯიშის ძროხა. რაც შეეხება მთიულური ჯიშის ძროხებს, ისინი მხოლოდ ორი კვირით იყვნენ ჩამორეკილი ტფილისში; ჩვეულებრივად ისინი მთელი წლის განმავლობაში იმყოფებიან მთებში.

2. საქონლის ინდივიდუალობა: რძის შედგენილობა და მისი რაოდენობა დამოკიდებული არის, გარდა ჯიშისა, თვით პირუტყვის ინდივიდუალობაზე. ამ მხრივ მალპოს მაერ 1905 წელს გამოქვეყნებული ცნობები ფრიად საგულისხმოა. მან მოახდინა ცდები ერთისა და იმავე ჯიშის ძროხებზე რუმენიც ერთსა და იმავე ბოსელში იმყოფებოდნენ და ერთსა და იმავე საკვებს იღებდნენ.

## ცხრილი 11

ძროხა	დღიური რძის რაოდენობა ლიტრებით	კარაქი ერთ ლიტრა რძეში (გრამებით)	სულ (კილოგრამებით).
№ 1	31	39,5	1,224
	12	35,5	0,426
3	10,5	32,0	0,336
4	15,0	32,5	0,490
5	16,0	34,5	0,550
6	21,5		0,560
7	15	30,0	0,385
8	30	32	0,960
9	18	34	0,612
10	15	29,5	0,442
11	12	38,5	0,462

პირველი ძროხა იძლევა დღეში 31 ლიტრ რძეს, საიდანაც მიღებულია 1,224 კილოგრამი კარაქი; დანარჩენი ძროხები თუმცა იმავე ჯიშისა არიან, მაგრამ იძლევიან რძის ნაკლებ რაოდენობას და უფრო ღარიბს ცხიმოვანი ნივთიერებით. ეს განსხვავება უნდა მიეწეროს საქონლის ინდივიდუალობას, ვინაიდან ყველა ძროხა, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ერთი ჯიშისა იყო და ერთნაირად იკვებებოდა.

3. ლაქტაციის პერიოდი<sup>1</sup>. პირველ სამ კვირას ძროხა იძლევა რძეს რომელიც ნორმალური რძიდან განსხვავდება შემადგენლობით და მისი ხმარება (გაყიდვა) აღკრძალულია. ლაქტაციის პერიოდი საშუალოდ გრძელდება 300 დღე, თუ ძროხა ბერწი არ დარჩა. ზოგიერთი ჯიშის ძროხებში მხოლოდ ორი კვირით სწყვეტენ რძის მოცემას ხბოს მოგებადის, მაგრამ მოიპოვებიან აგრეთვე ინნაირებიც, რომელნიც ამ პერიოდში რძის მოცემას სრულებით არ სწყვეტენ<sup>2</sup>.

შემჩნეულია, რომ ლაქტაციის პირველ ხანაში რძე ლარიბია მშრალი ნაშთით და ცხიმოვანი ნივთიერებით, შემდეგ მათი რაოდენობა თანდათანობით მატულობს. ამასთანავე შემჩნეულია, რომ რძეში, რომელშიაც თავიდანვე მშრალი ნაშთისა და ცხიმის რაოდენობა დიდია, ლაქტაციის პერიოდის გავლენა საგრძნობლად ეტუბა. წინააღმდეგ, თუ ლაქტაციის პირველ ხანაში ზემოთ დასახელებულ ნივთიერებათა რაოდენობა ცოტაა, შემდეგ პერიოდში ამ ნივთიერებათა ოდენობაში დიდი განსხვავება არ ეტუბა, რაც ნათლად ჩანს კირხნერის მიერ გამოქვეყნებული ცხრილიდან:

## ცხრილი 12

## სიმენტალის ჯიში

	ექსტრატი	ცხიმი
წველის პირველ ოთხ კვირაში მერვე და მეცხრე	12,6 13,16	3,7 4,16
<b>ოსტრიზის ჯიში</b>		
წველის პირველ ოთხ კვირაში მერვე და მეცხრე	11,14 11,18	2,51 2,89
<b>ჯერსეის ჯიში</b>		
წველის პირველ ოთხ კვირაში მერვე და მეცხრე	14,65 16,86	4,82 6,52

რაც შეეხება ლეციტინსა და ფოსფორ-მეყვას, მათი რაოდენობა რძეში წინააღმდეგ კლებულობს თანდათანობით, დაწყებული ხბოს მოგებიდან ძროხის გაშრობამდე<sup>3</sup>.

<sup>1</sup>) ლაქტაციის ხანა ეწოდება მთელ იმ დროს, როცა ძროხა რძეს იძლევა. ესე იგი ხბოს მოგებიდან მის გაშრობამდის.

<sup>2</sup>) სოფ. საქარაში (შორანის ნახრა) ძროხა გამოწველილ იქმნა დილას და ნაშუადღევს კი ხბო მოიგო.

<sup>3</sup>) Villiers, Collin, Fayolé, Traité des falsifications.

4. საკვების მნიშვნელობა: ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების ზეგავლენა რძის რაოდენობაზე თვალსაჩინო მაშინ არის, როცა პირუტყვი ნორმალურ პირობებშია, ესე იგი მას ეძლევა საკმაო რაოდენობა საკვებისა. იმ შემთხვევაში კი, თუ პირუტყვის საკვები მასალა აკლია, როგორც რძის რაოდენობა, ისე რძის მშრალი ნაშთიც კლებულობს. მრავალი დაკვირვებიდან, რომელიც ამ საკითხის შესახებ გამოქვეყნებულია, გამომდინარეობს შემდეგი:

ა) რაც უფრო მეტი აზოტური ნივთიერებებით იკვებება ცხოველი, მით უფრო მეტი რაოდენობით იძლევა იგი რძეს.

ბ) ცხიმოვანი ნივთიერებით მდიდარი საკვები აგრეთვე ხელს უწყობს რძის მომზადებას, თუმცა, შესაძლოა, არა პირდაპირ. ამ შემთხვევაში ცხიმის ფუნქცია, ზოგიერთი ავტორის აზრით, უნდა გამოიხატებოდეს უფრო იმაში, რომ ის თითონ იეანგება და იფარავს აზოტურ ნივთიერებებს დაეანგვისაგან. შენიშნულია რომ პირუტყვის ბარდით კვება ხელს უწყობს რძის რაოდენობის მომატებას, მაგრამ ასეთი რძე ღარიბია ექსტრაქტული ნივთიერებით. საყურადღებოა, რომ ეს საკვები ზოგიერთ ჯიშზე უფრო თვალსაჩინო გავლენას ახდენს. ზოგიერთი ანალიზის შედეგები, რომელიც აქვე მოგვყავს, ანტიციტებურ საკვები მასალის ზეგავლენას რძის შედგენილობაზე.—1893 წ. სალამოს წველა მთლიანი 8 ჰოლანდიური ჯიშისა, სამის შვეიცარულისა და ხუთის ნორმანდული ჯიშისა (საკვები: ბარდა, თივა, ბალახი).

## ცხრილი 13.

## შედგენილობა (გამოანგ. 1 L.)

რძის რაოდენობა ყოველ დღიური მოწველისას	ჰოლანდიური 22—24 ლიტრი	შვეიცარული 15—16 ლიტრი	ნორმანდული 14—14 ლიტ.
კრემომეტრი	10	9	11
ხვედრითი წონა .	1,0297	1,0819	1,0305
წყალი	909.5	904.0	901.5
ექსტრაქტი	119.0	177.0	129.0
ციხმი	36.5	34.5	40.0
ექსტრაქტი უციხმოდ	83.4	92.5	89.0
რძის შაქარი	47.1	47.4	44.8
ნაცარი	6	7.3	6.0
კახინი	30.0	37.8	34.2

3 აპრილს 1872 სალამოს წველა ჰოლანდიური ჯიშის ძროხებისა (საკვები ბარდა).

## შედგენილობა გამონაგ. 1 L.

ხვედრითი წონა . . . . .	1,0232
წყალი . . . . .	0,21,9
ექსტრაქტი 9X'	108,3
ცხიმო . . . . .	13,1
ექსტრაქტი უცხიმოთ	89,9
რძის შაქარი	46,7

როგორც ცხრილიდან ჩანს, ცხიმის რაოდენობა ძალიან მცირეა და ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ზოგიერთი მკვლევარი მოითხოვს ბარდით საკონლის კვების შეზღუდვას.

5. გ ა რ ე მ ო ს ზ ე გ ა ვ ლ ე ნ ა. პირობები, რომელშიდაც იმყოფება პირუტყვი, აგრეთვე გაელენას ახდენს რძის შედგენილობაზე. როცა ძროხა თავისუფლად მოძრაობს, გაშვებულია საბალახოზე და იმყოფება კარგ ჰაერზე, ის მეტ რძესაც იძლევა. დაკვირვება გვეუბნება, რომ როგორც მაღალი ისე დაბალი ტემპერატურა მვენებელი არის მეწველი ძროხისათვის. საშუალო ტემპერატურად ითვლება 10-15°. ჰაერი უნდა იყოს ნესტიანი. შემჩნეულია, რომ თბილ და მშრალ ჰაერიან ქვეყნებში რძის გამოყოფა ჯიქანში მცირდება საგრძნობლად. იმავე გაელენას ახდენს წვიმა და სიცივე.

ამინდის გაელენის შესახებ რძის შემადგენლობაზე კირხნერი იძლევა შემდეგ ცნობას: 1879 წელს ღამე 25-26 თებერვალს შლეზვიგ-ჰოლშტაინში იყო საშინელი ქარიშხალი. მან გამოიკვლია ხუთი ძროხის რძე ამ დღეებში და მიიღო შემდეგი:

## ცხრილი 14.

	ხვედრითი წონა	ნალები	რძის რაოდ. ცხიმოვან-მეტი.	მშრალი ნაწილი	ცხიმი
25 თებერვალს საღამოს	1,0332	10	29,533	11,742	3,189
26 დილას	1,0328	10	27,822	11,313	2,279
26 საღამოს	1,0327	9	30,455	11,691	3,183

ზოგიერთი ავტორის აზრით ცხიმის რაოდენობის შემცირება 26 თებერვალს დილას შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო ცხოველების აღშფოთებული მდგომარეობით.

6. მ ო წ ვ ე ლ ის დ რ ო ის ა და რ ი გ ის ზ ე გ ა ვ ლ ე ნ ა. კ ა უ ლ ის ა, შ მ ი ე გ ე რ ის ა და აგრეთვე სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებული რძის ანალიზებიდან გამომდინარეობს, რომ როგორც რძის რაოდენობა, ისე მისი შედგენილობა სა-

გრძნობლად იცვლება იმის მიხედვით, თუ რამდენჯერ იწველება ძროხა დღეში, ორჯერ თუ სამჯერ. საერთოდ მიღებულა, რომ სანჯერ მოწველით შესაძლებელია გადამეტებული იქმნეს რძე 5-15% -ით, ვიდრე ორჯელ მოწველისას და მშრალი ნაშთი 10-30% -ით ნეტი. რაც ნათლად ჩანს შენდები ცხრილიდან:

## ცხრილი 15.

1. ძროხა, რომელიც სამჯერ იქმნა განაწველილი ყოველ 8 ს. განმავლობაში.

საათი	რძის რაოდენობა	მშრალი ნაშთი	ცხიმები	მიღებული რაოდენობა	
				მშრალი ნაშთისა	ციმისა
8	1 კილოგრ.	12,5%	3,5%	1,50 კილოგრ.	0,42 კილოგრ.
8	1	12,5	3,5		
8	1	12,5	3,5		
	12 კილოგრ.	12,5	3,5%		

2. ძროხა, რომელიც ორჯერ იყო მოწველილი ყოველ 12 ს. განმავლობაში.

საათი	რძის რაოდენობა	მშრალი ნაშთი	ცხიმები	მიღებული რაოდენობა	
				მშრალი ნაშთისა	ციმისა
12	5,5 კილოგრ.	12%	3,3%	1,32 კილო	0,36 კილო
12	5,5 კილოგრ.	12	3,3		
სულ	11 კილოგრ.	12%	3,3%		

დაკვირვებანი გვეუბნებიან აგრეთვე, რომ რძის შემადგენლობა ერთი და იგივე არ არის, თუ მოწველის დროს რძეს ნაწილობრივ დაეყოფით და ცალკე გამოიკვლევით. ბუნებრივად შეკრება ერთი მოწველის რძე ექვს ნაწილად და ცალკე გამოიკვლია ყოველი ნაწილი. მისი გამოკვლევიდან ჩანს, რომ, თუმცა მშრალი ნაშთის რაოდენობა უცხიმოდ თითქმის უცვლელია, სამაგიეროდ ცხიმის რაოდენობა საგრძნობლად მატულობს დაწვებული პირველი ნაწილიდან, რაც ნათლად ჩანს შემდეგი ცხრილიდან:

ცხრილი 16

ნ ა წ ი ჯ ე ბ ი	1	2	3	4	5	6	სულ
ოძის რაოდენობა გრ.პობით . . . . .	398	626	1295	1390	1565	315	5591
ზედართი წონა . . . . .	1,0389	1,0929	1,0325	1,0920	1,0812	1,0301	
შშრალი ნაშთი „ . . . . .	10,47	10,75	10,85	11,23	11,03	12,07	11,27
ცხიმი % . . . . .	1,70	1,76	2,10	2,54	3,14	4,08	2,55
დანარჩენი შშრალი ნაშთის „ . . . . .	8,77	8,99	8,75	8,69	8,49	8,59	8,72

საინტერესო არის აგრეთვე ლაქუს მიერ მოხდენილი ცდები, საიდანაც ჩანს, რომ რძის შედგენილობა საგრძნობლად იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორი ძეძუ იქნება გამოწვეული.

მოწვეულია:

ძეძუ მარჯვენა წინა.

ცხრილი 17 (ა)

	მპრობატი ფა	ც ხ ი მ ი	რძის შაკარი	მარილები	ალბუმინის ნეფი.
პირველი ნაწილი . . . . .	10,0 %	1,18%	5,13	0,51	3,17
შუა ნაწილი . . . . .	11,65 „	2,18 „	5,34	0,56	3,02
უკანასკნელი ნაწილი . . . . .	13,05 „	4,31 „	5,13	0,53	3,34
საშუალო . . . . .	11,65	2,54	5,2	0,51	3,39

ძეძუ მარჯვენა უკანა.

ცხრილი 17 (ბ)

	მპრობატი ფა	ც ხ ი მ ი	რძის შაკარი	მარილები	ალბუმინის ნეფი.
პირველი ნაწილი . . . . .	10,6%	1,23	5,11	0,58	3,76
შუა ნაწილი . . . . .	12,61	3,17	5,16	0,71	3,65
უკანასკნელი ნაწილი . . . . .	14,50	5,42	5,25	0,69	3,15
საშუალო . . . . .	12,59	3,27	5,18	0,66	3,19

დასასრულ, ჩვენ შევჩერდებით ფერის მიერ გამოქვეყნებულ ანალიზის შედეგებზე. ეს გამოკვლევა ეხება შვიდი ჰოლანდიური ჯიშის ძროხის რძეს, რომელნიც ნორმალურად იკვებებოდნენ და გამოწვევლილი იყვნენ სავსებით. მიღებული საშუალო რიცხვები დილის ათი ნიმუშისა, ხუთი შუადღისა და ათი საღამოს ნიმუშისა არიან შემდეგი:

## ცხრილი 18

შედგენილობა გამომწვარიშებელი "ი" რძით.

	ც ხ ი მ ი	რძის შაქარი	კაზეინი	ნაღ.	ექსტრაქტი
დილის რძე		5.21		0.66	11.14
შუადღის რძე	1.72	5.32		0.57	13.53
საღამოს	3.13			0.65	12.63

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ შუადღის რძეში ცხიზის რაოდენობა სავარძნობლად მეტია, ვიდრე დილასა და საღამოს მოწვეული რძეში. ჩვენ მიერ ნიღებულ შედეგები განსხვავდებიან ფერის მიერ მიღებული ანალიზის შედეგებისაგან.

როგორც ჩვენი ცხრილიდან ჩანს (იხ. ცხრილი 10), საღამოს რძე უფრო მდიდარია ცხიმის მხრივ, ვიდრე დილისა და შუადღისა კი სავარძნობლად უფრო ღარიბია, ვიდრე დილისა და საღამოს მიღებული რძე. შესაძლებელია, რომ ეს განსხვავება დამოკიდებული იყოს სხვა ფაქტორებზე და განსაკუთრებით სუნზე.

7. ხ ნ ო ვ ა ნ ო ბ ა და ა ხ უ რ ე ბ ი ს ზ ე გ ა ე ლ ე ნ ა. შეინჩეულია, რომ რძის რაოდენობა თანდათან მატულობს მეექვსე ხმოს მოგებადის, რის შემდეგაც ნისი რაოდენობა თანდათან კლებულობს. ამ კონს, რასაკვირველია, თავისი გამოწვევის აქვს. რაც შეეხება ახურების ხანას, შეინჩეულია, რომ ამ პერიოდში ძროხა ნაკლებს იწველის და დამაკების შემდეგ რძის რაოდენობა მატულობს.

რძის შედგენილობის გამოკვლევასა და მის ცვალებადობას ზემოთჩამოთვლილი ფაქტორების ზეგავლენით დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სანიტარული რძის შეფასება სრულიად შეუძლებელია, თუ რძის შედგენილობა და მისი ცვალებადობა ყოველმხრივ არ იქნება შესწავლილი. საკმარისი არ არის ეს საკითხი იქნეს შესწავლილი ერთ რომელსამე სახელმწიფოში, ვინაიდან რძის შედგენილობაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ პირობებს, როგორც მაგალითად ჰაერს, ადგილობრივად გავრცელებულ ჯიშებს, მათ ინდივიდუალობას და სხვა. ჯერ კიდევ 1898 წელს პროფ. ფლეიშმანმა გამოთქვა შემდეგი აზრი: „ვინც ერთი წლის განმავლობაში მინც არ ცდილა გასწავლობდა საქონლის შენახვის პირობებს და არ შეუსწავლია რძის თვისებებში იმ ადგილას, სადაც ის მოწვევით რძის გამოკვლევის მოსახდენად, ვისაც შეძლების მიხედვით არ გაუკეთებია დიდი რაოდენობა რძის ანალიზებისა და არ ცდილა გაეკეთებია სხვადასხვა პირობის ზეგავლენა რძის გამოყოფის პროცესზე, მას არ აქვს

უფლება მოითხოვოს, რომ მის აზრს გაუწიონ რაიმე ანგარიში შესახებ რძის გამოკვლევისა“-ო.

ქველა ზემოთ მოყვანილ მოსაზრებას თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენთვის ნათელი ღნდა იქნეს, თუ რამდენად საძნელო არის რძის სწორი სანიტარული შეფასება. ამის გამო ჩვენ არ შეავიძლება გავიზიაროთ პ.ო.ფ. გ. ხლოპინის აზრი, რომლის მიხედვით ვითოვც საკვები მასალის ექსპერტიზა უფრო ადვილი იყოს ზოგიერთ შემთხვევაში, ვიდრე სასმელი წყლის ღირსებისა და ნაკლოვანების შეფასება. ენობილია უმთავრესად სამი ფორმა რძის ფალსიფიკაციისა:

1) წყლის მიმატება.

2) ნაღების მოხდა და შემდეგ მისი გაყიდვა, როგორც მთლიანი რძისა.

3) ნაღების მოხდა და წყლის მიმატება.

პ.ო.ფ. ხლოპინი და მასთან ბევრი ჰიგიენისტი ფიქრობს, რომ ამ სამი ფორმის ფალსიფიკაციის აღმოჩენა შეიძლება ხვედრითი წონისა და ცხიმის რაოდენობის განსაზღვრით. წყლის მიმატების აღმოსაჩენად ისინი ფიქრობენ ნიტრატებზე შესაფერი რეაქტივების წარმოებით. ამ უკანასკნელი მეთოდის მნიშვნელობის გასაშუქებლად საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ მკვლევარს ჯიქანში ნიტრატების გამოყოფა შეუძლებლად მიაჩნია. ამის გამო ისინი ფიქრობენ, რომ თუ გამოსაკვლევი ნიმუში ნიტრატებს შეიცავს, ეს დამამტკიცებელია იმისი, რომ რძეს მიმატებული აქვს წყალი. იმ შემთხვევაში, რომ ზემოთ მოყვანილი დებულება სამართლიანი აღმოჩნდეს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მეთოდი საკმარისი არ არის რძის ამ ფორმის ფალსიფიკაციის აღმოსაჩენად შემდეგ მოსაზრებათა გამო:

1. წყალი ყველგან არ შეიცავს ნიტრატებს, რის გამოც ნიტრატებზე რეაქტივების წარმოება სრულიად ზედმეტია და არაფერ შედეგს არ მოგვცემს.

2. იქ სადაც წყალი ნიტრატებს შეიცავს, ფალსიფიკატორები ადვილად შეცვლიან ჩვეულებრივ წყალს ან გამოხდილი წყლით ან ისეთი წყლით, რომელიც ნიტრატებს არ შეიცავს.

3. რძეც შეიძლება შეიცავდეს ნიტრატებს და ამ მარილების არსებობა გამოსაკვლევ ნიმუშში გამოწვეული იყოს არა წყლის მიმატებით, არამედ იგი შედეგი იყოს კურკლის წყლით გამორეცხვისა. თუმცა ზოგიერთი წყალი ამ მარილებს მცირე რაოდენობით შეიცავს, მაგრამ ზოგიერთში მათი რაოდენობა უდრის 1,217 გრ. ლიტრს. სრულიად საკმარისია კურკელში ჩარჩეს ამნაირი წყალი 2-4 კუბ. სანტიმეტრამდის, რომ მივილოთ რეაქცია ნიტრატებზე დიფენილამინის რეაქტივის საშუალებით.

4. ზოგიერთი მკვლევარი სრულებით არ იზიარებს ზემოთ გამ-თქმულ აზრს, რითქოს ჯიქანში შეუძლებელი იყოს ნიტრატების გამოყოფა. წინააღმდეგ, ისინი ამტკიცებენ რძეში ნიტრატების არსებობას და, თუ ბევრი მკვლევარის მიერ ეს მარილები ვერ იქმნა აღმოჩენილი, მათი განმარტებით, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ რძეში ნიტრატები ისპობა მიკრობების მიერ ორიდან რვა დღის განმავლობაში.



ყოველ შემთხვევაში ეს რეაქციები ნიტრატებზე ჩვენს სანიტარულ ლაბორატორიუმებს ვერაერთარ სამსახურს ვერ გაუწევენ, ვინაიდან არც ჩვენი მტკვრის წყალი და არც ახლო-მახლო მდებარე წყაროები ჩვეულებრივ არ შეიცავენ ნიტრატებს.

დარჩა მხოლოდ ხვედრითი წონისა და ცხიმის რაოდენობის განსაზღვრა. ენობილია, რომ რძეში წყლის მიმატება ამცირებს როგორც ხვედრითს წონას, ისე ცხიმის რაოდენობას, და აგრეთვე ნალებს მოხდით მკორდება ცხიმის რაოდენობა და მატულობს ხვედრითი წონა. ასე რომ რძის შედგენილობა ყოველთვის უცვლელი იყოს, მაშინ შესაძლო იქნებოდა ხვედრითი წონისა და ცხიმის რაოდენობის განსაზღვრით სამივე ზემოთ დასახელებული ფაქტორების აღმოჩენა. როგორც ქვემოთმოყვანილი კენიგის მიერ შედგენილი ცხრილიდან ჩანს, მთლიანი რძის შემადგენელი ნაწილების რაოდენობა საკმაოდ ცვალებადია და შეიძლება ითქვას საკმაოდ ფართო ფარგლებში.

## ცხრილი 19

## (კენიგისა)

	ხვედრითი წონა	წყალი	კახეინი	ალბუმინი	ცხიმი	შაქარი	მარილები
Min	1.0264	80.32%	1.91	0.23	1.45	3.23	0.5
Max	1.0368	90.22	1.65	1.61	6.47	5.68	1.45
საშუალო	1.0313	87.27	2.68	0.91	3.68	4.91	0.72

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ხვედრითი წონა მთლიანი რძისა მერყევა 1,0264-1,0368-ისა და ცხიმისა 1,91-4,65-ის ფარგლებში. მთლიანი რძის შედგენილობის ცვალებადობა დამოკიდებულია ფაქტორების მთელ რიგზე. ზემოთ ჩვენ ვნახეთ (ცხრილი 9), რომ ზოგი ჯიში ძროხისა იძლევა რძეს ექსტრაქტული ნივთიერებით უფრო ლაბილსა და ზოგი ჯიში კი უფრო მდიდარს. ჰოლანდიური ძროხა იძლევა რძეს, რომელშიდაც ცხიმის რაოდენობა 3% და ჯერზნის ჯიში კი იძლევა რძეს, რომელშიდაც ცხიმის რაოდენობა უდრის 5.8% ს.

ჯიშის გარდა თვით პირუტყვის ინდივიდუალობასაც აქვს მნიშვნელობა მალპოს მიერ გამოქვეყნებული ცნობებიდან (ცხრილი 11) ჩანს, რომ ერთისა და იმავე ჯიშის ძროხები, რომელნიც ერთსა და იმავე საკვებ მასალას იღებდნენ და ერთსა და იმავე პირობებში იმყოფებოდნენ, არ იძლევიან ერთისა და იმავე შედგენილობის რძეს. ძროხა № 1 იძლეოდა 31 ლიტრ რძეს, რომელშიდაც ცხიმის რაოდენობა უდრიდა 1,224 კილოგრამს და № 3 იძლეოდა 10,5 ლიტრს, საიდანაც მიღებულ იქნა მხოლოდ 0,426 კილოგრამი კარაქისა, ესე იგი 2,83 ჯერ ნაკლები. რძის შედგენილობაზე აქვს აგრეთვე მნიშვნელობა ლაქტაციის ხანასა, საკვებ მასალას, გარემოსა და მრავალ სხვა ფაქტორს. რძის მწარ-

ბოებელნი შესაფერი საკვები მასალის შერჩევით და პირუტყვის ამნაირად კეპით ლებულობენ რძის მეტ რაოდენობას. ამ მიზეზების გამო სრულიად შეუძლებელი ხდება გამოკრევა იმისა, მთლიან რძეს წარმოადგენს გამოსაკვლევი იმეფი, თუ შედეგია რაიმე ხელოვნურად რძის გაყალბებისა, რამდენადაც ჩვენ გვაქვს საქმე რძის ზომიერ ფალსიფიკაციასთან.

ზოგიერთნი მწარმოებელნი საკმაოდ დახელოვნებულნი არიან ზომიერად ნაღების მოხდისა და შესაფერისად წყლის განზავებით მიიღონ იმნაირი რძე, რომლის შესახებ შეუძლებელი ხდება გამოცნობა, ბუნებრივია რძე, თუ გაყალბებული. ამ საკითხის გადასაკვირვლად 1882 წელს მოწვეული იყო ბერლინში საჯარო უწყების მიერ კომისია სპეციალისტებისა. ამ კომისიაში იღებდნენ მონაწილეობას პროფ. ფლეიშმანი და პროფ. კირხნერი. უკანასკნელი სწავს, რომ თუმცა კომისიამ შეიმუშავა შესაფერი პროექტი რძის კონტროლის მოსახდენად, მაგრამ კომისიის წევრებმა ვერ სცნეს შესაძლოდ ამ პროექტის გაგრძელება მთელ გერმანიაში. ამავე დროს კომისიამ საპიროდ სცნო ადგილობრივი ნორმების შენუშავება ადგილობრივი რძის შედგენილობის გაპირკვევის მიხედვით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ადგილობრივი ნორმების შეუშავებას წინ ელოპება იგივე დაბრკოლებანი. რომელნიც ხელს უშლიან ერთი ნორმის შემუშავებას. ნორმების შემუშავება და მათი სარგებლობა ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია, ვინაიდან იმდებელი ვიქნებით დავუშვით სახმარებლად ყოველივე რძე, რომელიც აკმაყოფილებს ამ ნორმებს მოუხედავად იმისა, ბუნებრივია იგი ითუ გაყალბებული. ანაირი რძის შეფასების მეთოდის ხმარებით ჩვენ იმის მაგიერ, რომ ვიბრძოლოთ ფალსიფიკაციის წინააღმდეგ, მას დავაკანოხებთ. ამ ნორმების შემოღებით თვით ცნება ფალსიფიკაციისა ჰკარავს თავის მნიშვნელობას. აი რას ამბობს ცნობილი ფრანგი ჰიგიენისტი პროფ. ბრუაოდერი დაყალბების შესახებ: „ყოველი საკმელი ნივთიერება უნდა იქმნეს ცნობილი გაყალბებულად, თუ ის შეიცავს იმნაირ ნივთიერებებს, რომელნიც არ შედიან ბუნებრივი საკმლის შემადგენლობაში ან და, თუ ის შეიცავს ნივთიერებებს, რომელნიც შედიან მის ნორმალურ შედგენილობაში, მაგრამ არა ნორმალური რაოდენობით“. ამ განსაზღვრის მიხედვით რძე უნდა იყიდებოდეს როგორსაც აძლევს პირუტყვი, და არა ისეთი რომელიც შეეფერება ნორმებს. ამ ნორმების შექმნით ჩვენ უნდა ჩავიდინოთ უსამართლობაც კი, ვინაიდან ჩვენ არამც თუ უნდა ატყაბალოთ, არამედ უნდა დავსაჯოთ ყოველივე რძის გამყიდველი, რომლის რძე არ შეეფერება ამ ნორმებს, თუნდაც ის გაყალბებული არ იყოს. სრულიად დაუშვებელიც იქნებოდა, რომ ადამიანი დაისაჯოს მხოლოდ იმიტომ, რომ ვისი ძროხა არ იძლევა იმნაირ რძეს, რომელიც აკმაყოფილებს ამ ნორმებს და ნივსკეთ საშუალება იმათ, ვისი ძროხაც იძლევა რძეს მდიდარს ექსტრაქტული ნივთიერებით, თავიანთ ჰატარა ლაბორატორიუმებში ამ რძის შესაფერად შეზავება წყალობით. ნორმების შემოღებით და მათი საშუალებით ხელმძღვანელობა სანიტარულ შეფასებისას დიდ შეცთომაში შეჭყავს ზოგიერთი ლაბორატორიუმი. რის მაგალითები აქვე მოგვყავს (იხ. ცხრილი 20):

ამ ანალიზების შედეგების მიხედვით მიცემული დასკვნები ფრიად სანიტარულსა. ამ დასკვნების მიხედვით გამოდის, რომ რძის პირველი ნიმუში, რომლის

ცხრილი 20.

რძის ნიმუშები.

	№ 1	№ 2	№ 3	№ 4
ვიდრითი წონა	35.1	30.1	30.7	28.7
ც ხ ი მ ი	3.1	4.1	3.1	3.5
მშრალი ნაშთი .	12.7	13.1	11.9	11.5
მშრალი ნაშთი უქსიმოა:			6.5	
რეფრაქტომეტრი				38 (დაახლ.) 11/2 წყალ- 10%
დასკვნა ლაბორატორიუმა	მთლიანი	მთლიანი მკონდრი წყალი	მწკნელი გაფრთხი- ლება	მთლიანი

ხვედრითი წონა უდრის 35,1-ს და ცხიმის რაოდენობა 3,1-ს, ესე იგი უფრო მკირვა, ვიდრე ტფილისში მიღებული ნორმა, უკეთესი ხარისხისაა, ვიდრე რძის პიორე ნიმუში, რომლის ხვედრითი წონა უდრის 30,4-ს და ცხიმის რაოდენობა 4,4-ს. ამ ანალიზის შედეგების მიხედვით, აუ შეიძლება რაიმე დასკვნის მიცემა, ჩვენ ვიტყვით, რომ პირველი რძე უნდა იყოს ცოტათი მოხდილი და მეორე ექვს გარეშე უნდა იყოს მთლიანი. ზემოთ მოყვანილი დასკვნა ეყრდნობა უსათუოდ უცხიმო მშრალი ნაშთის რაოდენობაზე. ზოგიერთი ჰიგიენისტის აზრით მშრალი ნაშთის რაოდენობა უცხიმოდ უნდა უდრიდეს 9%/ს. წინააღმდეგ შემთხვევაში რძე წყალ-გარეულად ითვლება. შესაძლოა ამ შეხედულების მიხედვით ლაბორატორია აძლევდეს დასკვნას, რომ რძის მეორე ნიმუში უნდა შეიცავდეს წყლის მკირედ რაოდენობას (დაახლოებით 3%/ს), ვინაიდან მისი მშრალი ნაშთი უცხიმოდ უდრის 8,7-ს. რძის მესამე ნიმუში ავრთვე უნდა შეიცავდეს მიმატებულ წყალს, ვინაიდან მისი უცხიმოდ მშრალი ნაშთის რაოდენობა უდრის მხოლოდ 8,5%/ს. რომ ეს შეხედულება მცდარია, ამას ცხადად ამტკიცებს იმავე ლაბორატორიუმში რძის მეოთხე ნიმუშის ანალიზის შედეგები. მშრალი ნაშთის რაოდენობა უდრის ამ ნიმუშში 8,0 ს მხოლოდ და ამის მიხედვით უნდა შეიცავდეს 11% მირეულ წყალს, რასაც ლაბორატორია ადასტურებს. შემდეგ ეს ნიმუში გაუსინჯიათ რეფრაქტომეტრის საშუალებით და ამის მიხედვით ლაბორატორია ადასტურებს, რომ რძე უნდა შეიცავდეს 11,2% წყალს.

ზემოთ მოყვანილი რძის ნიმუშებს თუ შევაფასებთ მთელი მშრალი ნაშთის რაოდენობის მიხედვით, როგორც ამას ზოგიერთი ჰიგიენისტები ჩაიძინა, ჩვენ მივიღებთ სულ სხვა სურათს. პირველი რძის ნიმუში იქნება წყალ-გარეული (2%/ს) მეორე მთლიანი, მესამე წყალ-გარეული (8%/ს) და მეოთხე ავრთვე წყალ-გარეული (11%/ს).

ამ რიგად ნორმებით სარგებლობისას ერთისა და იმავე რძის ნიმუშები ეო ლაბორატორიუმში იქნებოდა მიჩნეული მთლიანად და მეორეში კი გაყალბებულ.

ლად იმის მიხედვით, თუ რის მიხედვით იქნებოდა მიცემული დასკვნა ლაბორატორიუმის მიერ: რეფრაქტომეტრისა, მშრალი ნაშთისა, თუ უცხიმოდ მშრალი ნაშთის რაოდენობის მიხედვით. ეს არეგ-დარევა და წინააღმდეგობა გამოწვეულია იმ ვარაუდით, რომ მიღებულია სრულიად უსაბუთოდ, თითქოს ყოველი პრობის რძის მშრალი ნაშთის რაოდენობა უდრიდეს 13<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ს და უცხიმო მშრალი ნაშთისა 9<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ს. როგორც ზემოთ მოყვანილი რძის ანალიზებიდან ჩანს, ეს შეხედულება მცდარია და არ შეეფერება სინამდვილეს. ჩვენ მიერ გამოკვლეული რძის ანალიზების შედეგები (იხ. ცხრილი 21) საკმაო ნათლად ჰძოწმობენ ავრთვე ამ შეხედულების სიყალბეს.

უცხიმო მშრალი ნაშთის რაოდენობა ზოგიერთ რძეში, რომელიც საკმაოდ ძლიერია ცხიმით (6,4<sup>0</sup>/<sub>100</sub>), უდრის 8,35<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ს. ზოგიერთ რძეში მისი რაოდენობა უდრის 7,22<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ს. ყველა ეს ნიმუში ბოსლის ნიმუშებია და აღებული ჩვენ მიერ ჩვენივე თანდასწრებით წველის დროს.

ნორმებით სარგებლობა რძის სანიტარული შეფასებისას მით უფრო დაუშვებელია, რომ ის რძეს მთლიანად აღიარებს ყოველ შემთხვევაში, როცა რძის შედგენილობა მიღებულ ნორმებს აკმაყოფილებს, თუ ეს ამნაიოი რძე ხშირად გაყალბებულია. ყველა ზემოთ მოყვანილი მოსახრება თუ მივიღებთ მხედველობაში, აშკარა გახდება, რომ რძის სწორი შეფასებისთვის საჭიროა მოვინახოთ მეორე. რომელიც მოგვცემს საშუალებას, გამოვარკვიოთ რძის შედგენილობა მის გაყალბებამდე. ზოგიერთი ავტორი მაგ. შვეიცარიელი ქიმიკოსები, ურჩევენ ბოსლია ნიმუშის აღებას. მათი აზრით 24 საათის განმავლობაში იშვიათია. რომ რძეში ცხიმის რაოდენობა იცვლებოდეს 0,5<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ზე მეტად და უცხიმო მშრალი ნაშთისა 0,3<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ზე მეტად. ცნობილი ჰიგიენისტის პროფ. ლემანის აზრით ბოსლის ნიმუშის აღება არ აქვს არავითარი მნიშვნელობა იმ შემთხვევაში, როცა ბოსელში იწველება მხოლოდ ერთი და ან ორი ძროხა. ბოსლის ნიმუშის მნიშვნელობის გამოსარკვევად სანიტარული რძის შესაფასებლად ჩვენ მოვახდინეთ ცდები ოთხ ძროხაზე 5-6 დღის განმავლობაში. ძროხები იმყოფებოდნენ ოთხა და იმავე ბოსელში და ერთნაირად იკვებებოდნენ. ამ გამოკვლევის შედეგები შემდეგია:

## ცხრილი 21.

ორთა № 1 (გერმანული ჯიშის).

დილის ნიმუში

თვე	რაოდენობა	საათი	ბევდრითი წონა	ცხიმი	მშრალი ნაშთი	იკვე უცხიმოდ	
ანრილი	1	6	დილა	1,0304	3,6	12,08	8,48
-	2	"	"	1,0 22	3,7	12,70	9,00
-	3	"	"	1,0312	4,6	13,53	8,93
-	4	"	"	1,0322	4,8	14,02	9,22
-	5	"	"	1,0320	4,8	14,02	9,22
-	6	"	"	1,0346	5,2	14,01	8,40

ძროხა № 2 (თარაქანის ჯიშ).  
დილის ნიმუში

თვე	რიცხვი	საათი	ბედრი- თი წონა	ცხიმი	შრალი ნაშთი	ღვებ უცხიმოთ	
აპრილი	1	6	დილა	1.0911	4.6	14.58	9.93
				1.0922		12.94	9.04
				1.0902		11.0	8.90
				1.0912	6.4	15.75	9.35
				1.093	1.7	14.15	9.16
			1.095	4.5	13.39	8.19	

ძროხა № 3 (ბესტერელი ჯიშ).  
დილის ნიმუში

თვე	რიცხვი	საათი	ბედრი- თი წონა	ცხიმი	შრალი ნაშთი	ღვებ უცხიმოთ	
აპრილი	1	6	დილა	1.0911	3.1	11.81	8.11
				1.0912		11.19	
				1.0902	4.0	13.06	9.06
				1.0912	3.1	11.73	8.65
				1.0926	3.0	12.11	9.11

ძროხა № 4 (სემენტალის ჯიშ).  
დილის ნიმუში

თვე	რიცხვი	საათი	ბედრი- თი წონა	ცხიმი	შრალი ნაშთი	ღვებ უცხიმოთ	
აპრილი	1	6	დილა	1.0901	4.9	13.64	8.74
				1.0932	4.1	13.79	9.39
				1.0912	4.0	13.57	9.57
				1.0932	4.3	14.38	9.19
				1.0926	5.1	14.52	9.42

## ვ. უზნაძე.

ძროხა № 1 (გერმანული ჯიშის).  
სალამოს ნიმუში

რეცეპტი	საათი	ხვედრი- თი წონა	ცხობი	მშრალი ნაშთი	იგივე უცხობით		
პური	1	61	სალამი	1,0266	4,4	12,29	7,89
				1,0306	4,5	13,53	8,93
				1,0317	4,9	14,02	9,22
	4			1,0301	4,7	13,65	8,95
				1,0298	4,9	13,61	8,74
				1,0228	6,4	14,75	9,35

ძროხა № 2 (თარაქამის ჯიშის).  
სალამოს ნიმუში

რეცეპტი	საათი	ხვედრი- თი წონა	ცხობი	მშრალი ნაშთი	იგივე უცხობით	
1	სალამი	1,0427	3,4	12,34	8,94	
		1,0381		11,87	9,07	
		1,0357	5,1	15,67	10,27	
	4		1,0314	4,4	13,29	8,69
			1,0276	5,3	13,52	8,23
			1,028		14,00	8,40

ძროხა № 3 (ხვესტურული ჯიშის).  
სალამოს ნიმუში

რეცეპტი	საათი	ხვედრი- თი წონა	ცხობი	მშრალი ნაშთი	იგივე უცხობით
პური	სალამი	1,032		12,46	8,86
		1,033	1,4	10,19	8,79
		1,0317	3,0	11,86	8,86
		1,0304	3,6	12,08	8,48
		1,0326		11,75	9,05

ფორმა № 4 (სემენტალის ჯიშის).  
სალამოს ნიმუში

თვე	რიცხვი	საათი	ზედრითი წონა	ცხიმი	შრალი ნაშთი	უცხიმოდ	
აპრილი	1	6 <sup>1</sup> / <sub>2</sub>	სალამო	1.038	3.7	13.07	9.27
				1.041	5.0	14.01	9.01
	4			1.051	4.2	13.81	9.61
				1.0524	4.7	13.90	9.20
			1.0516	4.7	13.90		

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ, როგორც ცხიმისა. ისე შრალი ნაშთის რაოდენობის რყევის ფარგლები, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც საგრძნობლად აღემატება შეეიცარული ქიმიკოსების მიერ მოცემულ ფარგლებს. განსაკუთრებით ეს ითქმის ხვესურული ჯიშის ძროხაზე, სადაც ცხიმის რაოდენობის რყევის ფარგლები აღემატება 2<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ს. ყოველ შემთხვევაში, თუმცა ჩვენი ცდები დამთავრებული არ არის და მათი გაგრძელება საჭიროდ მიგვაჩნია, მაგრამ მიღებულ შედეგებიც საკმარისია მივიჩნიოთ, რომ სწორი შეფარდება რძისა ბევრად უკრო სწორი იქნება ბოსლის ნიჟურის მიხედვით, ვიდრე როცა მისი შეფარდებისას ჩვენ ვხელმძღვანელობთ ნორმებით. ამასთანავე საჭიროა ავლნიზნოლო რომ ძალიან იშვიათია იშვიათი შემთხვევა. როცა ბოსელში იწველება მხოლოდ ერთი ძროხა.

ჩვენ მიერ იყო გამოკვლეული ორი ძროხის ნიმუში ორი დღის განმავლობაში და ოთხი ძროხის რძის ნიმუში შერეულა ხუთი დღის განმავლობაში. გამოკვლევის შედეგები შევლივთ:

ცხრილი 22.

ორი ძროხის ნიმუში  
დღის ნიმუში

თვე	რიცხვი	საათი	ზედრითი წონა	ცხიმი	შრალი ნაშთი	უცხიმოდ
აპრილი	6	დღლა	1.031	4.2	13.05	9.85
			1.0516	4.4	13.54	9.14

## საღამოს ნიმუში

რიცხვი	საათი	ხვედრი- თი წონა	ცხიმი	შხრალი ნაშთი	უცხიმოდ შხრალი ნაშთი
აპრილი	საღამოს	1,021	4,3	13,88	8,19
		1,026		13,75	8,25

## ცხრილი 23.

ოთხი ძროხის ნიმუში ერთად შერეული.  
დილის ნიმუში

რიცხვი	საათი	ხვედრი- თი წონა	ცხიმი	შხრალი ნაშთი	უცხიმოდ შხრალი ნაშთი	
აპრილი	6	დილა	1,0311	4,05	12,91	8,66
			1,0312	3,7	12,45	8,75
			1,0322	4,5	13,48	9,16
			1,0312	4,8	13,77	8,97
			1,0316	4,9	14,14	9,24

## საღამოს ნიმუში

რიცხვი	საათი	ხვედრი- თი წონა	ცხიმი	შხრალი ნაშთი	შხრალი ნაშთი უცხიმოდ	
აპრილი	6	დილა	1,0327	3,4	12,58	9,18
			1,0300	3,5	11,96	8,46
			1,0314	4,5	13,41	9,91
			1,0301	4,4	13,01	8,61
			1,0296	4,1	13,01	8,61



ამ გამოკვლევის შედეგები ბევრად უფრო დამაკმაყოფილებელია. რყევას ფარგლები ოთხი ძროხის ნიმუშში მხოლოდ 2-3 აპრილს დილით აღწევს 0,8% -ს და იმავე რიცხვებში საღამოს ნიმუშში აღის 1% მდე; ორი ძროხის ნიმუშში ეს რყევის ფარგლები მხოლოდ 5-6 რიცხვში საღამოს ნიმუშში აღწევს 0,6% -ს; დანარჩენ შემთხვევებში კი არ აღემატება 0,3% -ს.

ამ ანალიზების შედეგების მიხედვით ჩვენთვის აშკარაა, რომ სანიტარული შეფასება რძისა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ბოსლის ნიმუშის მიხედვით. მხოლოდ საკითხის საბოლოოდ გადაჭრისათვის ჩვენ მიგვაჩნია საჭიროდ ამ ცდების უფრო ფართო მასშტაბით დაყენება. საჭიროა რძე იქნეს გამოკვლეული მთელი წლის განმავლობაში და ამავე დროს ყურადღება მიექცეს ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების ზეგავლენას რძის შემადგენლობაზე. შესაძლოა, რომ ზოგჯერ ზემოთ შენიშნული რყევა რძის შედგენილობისა ამ ფაქტორებზე ზეგავლენით იყოს გამოწვეული.

ტელიანი 15 მაისი 1926 წ.

## შ ე ც ლ ო მ ე ბ ი

ბევრდი	სტრიქონი ქვევიდან ზევით	დაბეჭდილია	უნდა იყოს
291	3	მოუწველიათ	მოუწვევით
294	6	შეზავების წყალობით	შეზავებისა და გაყიდვისა
280	9	ცხრილი № 3	ცხრილი № 4
281	16	ცხრილი № 5	ცხრილი № 6

## ბ. ყაპრიშვილი.

### თრიალეთის მხარისათვის.

#### ოროგრაფია.

თრიალეთის ქედი წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის მთიანეთის ჩრდილო ბორღიურს, რომლის ჩრდილოეთით მდებარეობს ქართლის ვაკე. ჩვენი პირადი დაკვირვების საგანს წარმოადგენს თრიალეთის ქედის ის ნაწილი, რომელიც ჰყოფს შიდა-ქართლს მანგლისის მხარისაგან (საბარათიანო) და რომელიც შესდგება არჯევანისა, კლდე-კარისა, დიდ-გორისა და სხილნარის მთებისაგან.

აქ, თრიალეთის სამხრეთ კალთაზე, კლდე-კარის მთასთან, იწყება მდინარე ალგეთის სათავე, რომლის ხეობაში მდებარეობს მანგლისის მხარე.

ალგეთის ხეობას დასაქლეთით საზღვრავს წალკის ბრტყელი ვულკანური მაღლობი, რომელიც ჯავახეთის ვულკანური მაღლობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს წარმოადგენს.

წალკის მაღლობისა და ალგეთის ხეობის შუა, SO-ურ მიმართულებით, ადგიარეობს საკრისის მთა (1820,5 მეტრ.). ბატონიშვილი ვახუშტი ამ მთას ლაკეას სახელწოდებით იხსენიებს, მანგლისელი რუსები კი მას, მის შემადგენელ ყვითელი ქვა-ქვიშების გამო, Желтая гора უწოდებენ; იმავე სახელწოდებით აღნიშნულია ეს მთა რუსულ რუკებზედაც. საკრისის მთის შესახებ ადგილობრივ ქართველ მცხოვრებთა შორის შერჩენილია ძველი თქმულება, რომ აქ, ალგეთის ხეობაში, საკრისის მთის ძირში, ამირანს დევთან ჰქონდა ბრძოლა, რომელშიაც ამირანმა გაიმარჯვა, ხოლო დევი კი ამ მთის იქით გადაისროლა. აქედან ადგილს „საკრივისი“ ან „საკრისი“ დაერქვაო. ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე ლაკეას მთის ძირში ალგეთის მარჯვენა ნაპირზე ნაჩვენებია სოფელი საკრისიც.

სამხრეთით თრიალეთის კალთა ებჯინება ბედენის ანუ, ვახუშტით, ბედერიის ქედს, რომელიც რუსულ რუკებზე აღნიშნულია хребет Тюлюш-Даносა და Бедени-Яйლის სახელწოდებით.

ბედენის ანუ ბედერიის ქედი, უფრო სწორედ რომ ეთქვას, წარმოადგენს დიდ ბრტყელ ვულკანურ მაღლობს, რომლის ჩრდილო ნაპირი აწეულია ზემოთ და ციცაბოდ ეწეება წდ. ალგეთის ხეობისაკენ. ამ მიზეზის გამო, ხსენებული ამაღლების მწვერვალები სწორედ აწეულ ნაპირზე არიან მოქცეული. ბედენის ქედის საშუალო სიმაღლე 1500-1600 მეტრს უდრის.

ბედენის ქედი წარმოადგენს საზღვარს მდ. ალგეთისა და მდ. ხრანის (ქციის) ხეობათა შორის: ამავე დროს იგი საზღვრავს ალგეთის მესამეულ აუზს ქაშავერას გრანიტის მასივისაგან, რომელიც მდებარეობს ბედენის ქედის საზღვრით.

ჩვენი დაკვირვების რაიონის აღმოსავლეთი საზღვარი გადის დიდ-გორის სამხრეთ კალთაზე, რომელზედაც გაყვანილია ტფილის-მანგლისის ვხა-ტყევილი. ეს დიდ-გორის მერიდიანალური შტო წარმოადგენს წყალგამყოფ ქედს ნუ. ევრესა და ალგეთის აუზებს შორის.

არაგვეანის ქედის აღმოსავლეთი ნაწილი, კლდე-ქარი, წარმოადგენს, წყალგამყოფ ქედს მდ. ალგეთსა და მდ. თქამს შორის; ეს უკანასკნელი მიმდინარეობს კლდე-ქარის მიმართულების პარალელურად. მის ჩრდილო კალთაში, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ამ მიმართულებას კლდე-ქარის ქედი ინარჩუნებს წვეწვალ მზის-ცხვირამდე, რომლის შემდეგ იგი ნო-ჯრ მიმართულებას ღებულობს.


მწვერვალ მზის-ცხვირიდან (2.251 მ.) გაპოიოთა რამდენიმე შტო: მთავარ მათგანს აქვს ჯერ დასავლეთ-აღმოსავლეთური, მერე SO-ური და შემდეგ ისევე, შტკერის ხეობამდე (სოლანულამდე), აღმოსავლეთის მიმართულება. ეს ქედი ცნობილია დიდ-გორის სახელწოდებით (მანგლისელი რუსები ნაჰ-ქარ-თლის მთებს — „Карталинка“ უწოდებენ); დიდ-გორის აღმოსავლეთ ნაწილს სხილნარს უწოდებენ, ხოლო ქედის უმაღლეს ნაწილს, რომელიც სოფ. ცუ-დისის ჩრდ.-აღმ. მდებარეობს და რომლის უმაღლესი წერტილი 1951 მ. აღწევს—საჯოგის სერს.

მწვერვალ მზის ცხვირიდან ჩრდ.-აღმოსავლეთისაკენ გამოიყოფა მეორე შტო, უმაღლესი მწვერვალებით: ხუმარი (ერეიქალი)—2.840 მ., ქსილინით 2710 მ., ვარჯაანით და ობოლი კლდით—2067 მ. ერეიქალის ქედის საშუალო სიმაღლე 2.500 მეტრამდეა. იგი წარმოადგენს რამდენსამე შტოს. რომელნიც ჩრდილოეთით საფეხურებით დაბლდებიან და ჰქმნიან ოდნავ ბორცვიან გოლის საბადურის ამაღლებას: ეს უკანასკნელი საზღვრავს ახალ-ქალაქის ვაკეს სამხრეთ-აღმოსავლეთით.

როგორც კლდე-ქარისა, ისე ერეიქალის ქედები მთელ თავისს სიგრძეზე ჩვენ შენდევ თავისებურებას. მათი ჩრდილო კალთა უფრო შეეულია, ვიდრე სამხრეთი, ხოლო კლდე-ქარის სამხრეთი კალთაც შეეულია. ანნარისავე სურათს ვხვდებით თრიალეთის დასავლეთ ნაწილში ბაკურიანის ახლო, ცხრა-წყაროს ჩრდილო შეეული კალთა ჩარღვევის დაშვებულ ფრთას წარმოადგენს.

კლდე-ქარის კალთები, მათი აბსოლუტური სიმაღლის მიხედვით, არ არის სიმეტრიულად გაწყობილი. ჩრდილო კალთა უფრო დაბლა ძევს, ვიდრე სამხრეთი, რადგანაც სამხრეთიდან მას ეწვიება წალკის ვულკანური ბრტყელი მაღლობი.

ხსენებული რაიონის თრიალეთის დასავლეთი ნაწილის მთის კალთები დაუვარულია ფიქვ ნაძვარისა და ფოთლიანი ხშირი ტყით, რომელიც ისპობა დაბლობებით 1500 მეტრის სიმაღლეზე და ანის იქით იწყება სუბალპური ზონა. დიდ-გორსა და მის სამხრეთ კალთებზე ტყე ნაკლებად არის გავრცელებული,



6.5. I. პროვინციული ნაკვეთი N S პიპაჩთულებით, ობოლი კლდისა და მდ. ლაკასაწყლის შორის.

აქ სრულიად აღარა ვხვდებით არც ფიქსს, არც ნაძეს, მხოლოდ სოფ. მუხისთან ვხვდებოდა მუხისა და იფნის ტყე; მშვენიერი ფოთლიანი ტყით შემკულია დიდ-გორის ჩრდილო კალთა. დიდ-გორი მდიდარია სათიბ-საძოვრითა და ქვემო ნაწილში სახნავი მიწებით.

**მთის ჯიშთა შემადგენლობა.**

ნალექი მთის ჯიშები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ თრიალეთის სამხრეთ კალთის აგებულებაში მანგლისის მხარის ფარგლებში, ეკუთვნის ქვემო და ზემო ეოცენს. მათ აქვთ: ნგრეული ხასიათი და შემდეგ შრეებად არის დაწყობილი ქვემოდან ზევით:

1. მსხვილ მარცლოვანი, მომწვანო-ნაცრის ფერის ქვა-ქვიშა, რომელშიც გვხვდება კენჭები. ეს ნალექები დიდი სისქით არის გავრცელებული და შეიცავს თაბანირს (ჰიფსს). ამავე შრეებში გავრცელებულია რუხი ქვა-ნახშირის თხელი შრეები, რომლებსაც ეპოულობდი სოფ. მუხისის მიდამოებში და ხოზეთის მთის ძირში მანგლის-ტფელისის ძველი გზის პირას (ძველ ხიდთან), მაგრამ არსად შემხვდა ქვა-ნახშირის სქელი შრე, რომლის დამუშავება შესაძლებელი ყოფილიყო. ქვა-ნახშირი ძალიან ფხვიერია, თუნცა სოფ. მუხისთან შემხვდა მაგარი ქვა-ნახშირი, რომლის სისქე 10-15 სანტიმეტრს უდრიადა;

2. მუქი ნაცრის ფერისა და კვიშა-ნარევი, თხელ-შრიანი ფილაქანები. ამ ფილაქანების, შორის ვხვდებოდა თაბანირის თხელი ფირფიტები (ხშირად მრჩობლებით პირველი პინაკოიდის მიმართ — „მერცხლის ბოლო“) და ძარღვები;

3. მუქი ფერისა, კირ-ნარევი, ფილაქანისებური თიხები და ქვა-ქვიშები, მცენარეთა ნაბეჭდებით. აქვე გვხვდება კალციტის თხელი ძარღვები და მერგელები. შრეები გადაფარულია მომწვანო ან მოწითლო-რუხი ფერის, თიხა-ნარევი, კენჭიანი ქვა-ქვიშით. ამ შრეებშივე, მანგლისისა და ცხრა-წყაროს შუა (მანგლისის ჩრდ.-აღმოსავლეთით), მდინარის ხეობაში, მე შემხვდა კონგლომერატი, რომელშიც მოგნახე ორსაგდულიანი მოლუსკების 6 სხვადასხვა ნიჟარა და ნაბეჭდი, მაგრამ მათი რაობა. საწყუხაროდ, აქამდე არ არის გამოკვეთული;

4. თვით მანგლისის მიდამოებში ფილაქანისებურ თიხას ფარავს მსხვილი კონგლომერატის შრე. ამ კონგლომერატის შრეს თუ სთვლის იწყ. გ. წულუკიძე<sup>1</sup> დილუვიალურ ნათენად? თუმცა გაუგებარია, რატომ ათავსებს იგი ამ კონგლომერატებს თავის განაკვეთზე საკრისის მთის სიღრმით მდებარე ქვა-ქვიშისა და ფილაქანური თიხის შრეების ქვეშ. ეს კონგლომერატი ჩამოთვლილ შრიებზე ახალგაზრდაა. ხსენებულ კონგლომერატს ზემოდან ფარავს სქელი შრე.

5. მოწითალო ფერის თიხისა (ალუვი).


ეკოლოგიური მთის ჯიშები უმთავრესად გვხვდება: დასავლეთით წალკის მაღლობზე და ალგეთის ხეობაში, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით ბედენის ქედზე. მაგრამ, ამ მთავარი გავრცელების ადგილების გარდა, ამონთხეულ მთის ჯიშებს

<sup>1</sup>) Цулукидзе Г., Геологич. исследования в области речных долин Алгопки и Храма. *Изв. вст. геолог. Кавказа*, сер. 2, кн. 1, Тифлис, 1887, გვ. 25.

ვხედებით აგრეთვე თრიალეთის ჩრდილო ფერდობზე, თუმცა მთ უფრო მცირე ფართობი უკავიათ, ვიდრე წალკის ან ბედენის ლაგებს.

საკრისის მთა შესდგება ანამეზიტისაგან, რომელიც კარგად ცნობილია, როგორც საშენებელი ე. წ. „ალგეთის ქვა“.

საფეხურებად დაშვებული თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთა რთული ჩაღრმვის შედეგს წარმოადგენს. ნარღვევების მიმართულებით ამონახეულია ზედაპირზე ლავა, რანაც ვრწუნდებით ქსილისის ჩრდილო კალთაზე გავრეკლებული ანდეზიტების საშუალებით.



ნ.ა. 2. გარდამავალი სქემატური განაკვეთი, გაყვანილი საკრისის მთასა და ფოსტის სერს შორის.

ზემოთ ჩამოთვლილ ვულკანური მთის ჯიშებს გარდა, მე შენახდა კიდევ ერთი ვულკანური ამონადენი, რომელიც მდებარეობს მანგლისიდან ჩრდილო—დასავლეთისაკენ 2-3 კილომეტრის მანძილზე, ი.ე. მუჯავისის (თხინვალის) მარცხენა ნაპირზე; იგი წარმოადგენს ნაცრის ფერის ლავას, რომელიც ციცაბოდ ეშვება ჩრდილოეთისაკენ და აღმოსავლეთისაკენ, ხოლო სამხრეთ-დასავლეთისაკენ ვრცელდება ლეარის სახით ი.ე. ალგეთის ხეობამდე (ძველ მანგლისისაკენ).

### ტექტონიკა.

თრიალეთი წარმოადგენს კავკასის სამხრეთ მთიანეთის განაპირა ქეძს, რომელიც განიცდიდა ტანგენტალურ მოწოლას, რამაც გამოიწვია O—W-ური მიმართულებების ჩარღვევების გაჩენა; მაელ თრიალეთის ქედის სიგრძეზე ჩვენ ვხვდებით საფეხურებივით დაშვებულ მის ჩრდილო კალთას (ბაკურიანთან—ცხრა-წყაროზე, მანგლისთან—ქსილისის და დიდ-გორის მთებში, ტფილისთან—ნდ. ვერეს ხეობაში). სწორედ ამ ჩარღვევების ხაზების მიმართულებით ამონახეულია ლავა, რადგანაც აქ მას ნაკლები წინააღმდეგობა ხვდებოდა.

მანგლისის რაიონის სამხრეთით, მაშავერას ხეობაში, მდებარეობს საკმარისად ფართო გრანიტის მასივი, რომელმაც, უნდა ვიგულისხმოთ, დიდი გავლენა იქონია თრიალეთის ქედის ტექტონიკაზე.

სწორედ მანგლისის რაიონში თრიალეთის ქედი იცვლის თავის W—O-ურ მიმართულებას OSO-ურზე და დიდ-გორთან იყოფა ორ ტოტად: ერთი მათთაგანი — ა წყ ე ლ ა — ბოლოვდება მცხეთასთან, ხოლო მეორე მიემართება პ რ ი უ ტ ზ ე, ს ა მ ა დ ლ ო ზ ე, კ ო ჯ ო რ ზ ე და წყდება ტფილისის ახლო, სოღანდღლთან, თ ე ლ ე თ ი ს ქ ე დ ი თ.

მაშავერას გრანიტიანი მასივი, თავისი სიმკვრივისა და უღრეკობის გამო, აწეობდა ახალ ხნოვანობის თრიალეთის ნალექებსა და ხელს უწყობდა OW-ურ მიმართულების თრიალეთის ჩარღვევის გაჩენას.

სოფ. მუხისის პირდაპირ, მდ. მუხურას მარცხენა ნაპირზე, ხოზეთის მთაზე ჩვენ შეგვხვდა კიდევ ერთი ჩარღვევა NO-SW-ურ მიმართულებისა. ეს უკანასკნელი გასდევს მდ. ოძისის მარცხენა ნაპირს; ჩარღვევის სიშლავრე უდრის 10-15 მეტრს, რასაც მკაფიოდ ამოწმებს ჩრდილო-დასავლეთის დაშვებული ფრთა.

საკრისის მთის ანაწილები არღვევენ ქვე-ქეიშისა და ფილაქანური თიხების იზოკლინალურ შრეებს. ანაწილად საკრისის მთა სრულადაა არ წარმოადგენს ანტიკლინალურ ამალღებას, როგორც ეს ნაჩვენები აქვს ინჟ. გ. წულუკიძეს თავის განაკვეთზე<sup>1</sup>. საკრისის მთის სტრუქტურა, განიხილული ჩვენ მიერ შედგენილ განაკვეთზე, საყვებით უდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტის კ. თ ა თ ა რ ი შ ვ ი ლ ი ს განაკვეთს<sup>2</sup>.

### შიდროგრაფია.

მანგლისის მხარის მთავარი მდინარე ა ლ გ ე თ ი ა, რომლის სათავე იწყება კლდე-კარზე. ძველ მანგლისთან, როგორც საკრისის მთის ძირში, ისე ალგეთის მარცხენა ნაპირზე, ვხვდებით მდინარის ძველ ტერასას, რომელიც მდინარის დღევანდელ დონესთან შედარებით 10-15 მეტრით მაღლა მდებარეობს. ძველი ტერასის გასწვრივ ვხვდება კონგლომეზი.

გ. წულუკიძის მიერ შედგენილ განაკვეთის მიხედვით, ალგეთი ძველ მანგლისთან სინკლინალში მომდინარეობს, ხოლო ჩვენი დაკვირვებით, ალგეთის ხეობა აქ იზოკლინალურია, რასაც ამტკიცებს ის გარემოება, რომ მდინარის ორივე ნაპირის შემადგენელი შრეები ერთსა და იმავე მიმართულებით არიან გაწოლილი და ერთნაირადვე არიან დაბრილი სახეობისაყენ (იხ. ჩვენი განაკვეთი. ნახ. 2)

ძველი მანგლისის ქვეით, მდინარის აკუმულაციური ნოქელებით, გაჩენილია პრტყელი ტერასი, ნოყიერი მიწით.

საერთოდ, მანგლისის რაიონის მდინარეები ტიპიური მთის მდინარეებს წარმოადგენენ, რომელთაც ახასიათებს სწრაფი დენა, აუარებელი ნარიკი ქვისა, კენჭისა და თიხის ჩამოზიდვა, კორომებისა და ჩანჩქერების გაჩენა. დიდი ეროზული ნოქელების გამო, მათი კალაპოტი ღრმად არის ჩაჭრილი მთის ჯიშებში. მათი ჩვეულებრივ ანკარა წყალი დიდი ნიაღვრების დროს იმღვრევა და იმდენად

<sup>1</sup>) Г. Цулукидзе, Ibid. დამატება, განაკვეთი № 2.

<sup>2</sup>) თ ა თ ა რ ი შ ვ ი ლ ი კ. გოხნარის მდინარეების მოკლე ჰიდრო-გეოლოგიური მიმოხილვა. „საქართვე. მუზეუმის მოამბე“, ტ. III, ტფილისი, 1927, გვ. 101.

ადიდდება ხოლმე, რომ ხშირად სრულიად უმნიშვნელო მდინარეს მიაქვს საქონელი. Davisის კლასიფიკაციით ეს მდინარეები „ნორჩ“ მდინარეებად უნდა ჩავთვალოთ.

ალგეთის შემდინარეთა შორის მოქცეული თრიალეთის სამხრეთი მერიდიანული შტოები წარმოადგენენ ეროზულ ქედებს.

ნანგლისთან, მუხრანის ხიდის ქვეით 50-70 მეტრის მანძილზე, მდ. ოძისის მარცხენა ნაპირზე, მომწვანო-ნაცრის ფერის ქვა-ქვიშის პატარა ნაპარლიდან გამოდის გოგირდ-წყალბადიანი წყარო. წარსული საუკუნის მე-80-ე წლებში, მანგლისში დაბინავებულის ერევნის პოლკის უფროსის ბრძანების თანახმად, დაწყებული იყო მუშაობა წყაროს კათაჯის ასაშენებლად, მაგრამ, ვინაიდან მუშაობა სწარმოებდა არა სპეციალისტების ხელმძღვანელობით, ნაკადი სრულიად დაიკარგა და მხოლოდ უკანასკნელ წლებში ისევ გამოჩნდა ზედაპირზე, თუმცა ამჟამად იგი ოდნავ ეონავს.

წყაროს წყალი მღვრივეა და გამოჰყოფს გოგირდ-წყალბადის გაზს, მისთვის დამახასიათებელი სუნით; წყალი ოპალესცობს. გ. წულუკიძის ცნობით ამ წყაროს ჰქონდა  $+25^{\circ}\text{C}$ ., მაგრამ ჩვენი დაკვირვებით ამჟამად მისი ტემპერატურა  $+11^{\circ}\text{C}$ .-ს არ აღემატება. გ. წულუკიძე ამ მინერალურ წყაროს თერმალურ წყაროდ სთვლის, რადგანაც წყაროს მახლობლად გავრცელებულია ვულკანური მთის ჯიშები. თუ ჩვენ მიერ ნახული წყარო იგივეა, რომელიც წულუკიძეს უნახავს, მისი ტემპერატურის დაქვეითება უნდა აეხსნათ მდინარის ცივი წყალს შერევით.

რადგანაც ვულკანური ქანები არც ისე ახლო არის, შესაძლოა, ჩვენის აზრით, რომ გოგირდ-წყალბადის გაჩენა დაკავშირებულია თაბაშირისა (რომელიც უხვად მოიპოვება მიდამოებში) და ორგანიულ ნივთიერებების, ან ამ უკანასკნელების გახრწნილ გაჩენილ ნახშირ-წყალბადების ურთიერთ რეაქციასთან.

1923 წ.

ლიტერატურა.

1. Абинз, Г. В. Геология Армянского нагорья. Восточная часть. Орoграфическое и геологическое описание. *Зит. Кавк. Отд. Русск. Геогр. О-ва*, кн. XXIII.
2. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია: რედ. მ. გ. ჯანაშვილისა. ტფილისი. 1904 წ.
3. Освальд, Феликс Ф р. К истории тектонического развития Армянского нагорья. *Зит. Кавк. Отд. Русск. Геогр. О-ва*, кн. XXIX, вып. 2-й, 1916 г.
4. Симонович, Сп. Геологические наблюдения на северо-восточном склоне Триалетии. 1877 г. *Мат. для геологии Кавказа*, 1878 г.
5. Цулукидзе Г. К геологии Тифлисской губернии. Геологические исследования в области речных долин Алагетки и Храма. *Мат. для геологии Кавказа. Сер. вторая*, кн. I, 1887, გვ. 1-70; გეოლოგიური რუკით და განაკვეთებით.
6. თაბარიშვილი კ. გონზარის მიდამოების მოკლე ჰიდრო-გეოლოგიური მიმოხილვა. „საქართველოს მუზეუმის მოამბე“ ტ. III, ტფილისი, 1927, გვ. 99-108.



## კლ. ბერძენიძე.

### რუსუდანის ლიტერატურული წყაროები<sup>1</sup>.

#### I „შაჰ-ნამე“-ს ქართული ვერსიების გავლენის ხაზი რუსუდანისში.

ს. კაკაბაძემ ერთხელ სამართლიანად შენიშნა, რომ „როსტომიანი უმნიშვნელოვანესი შემდეგ ვეფხისტყაოსნი“-ა ნაწარმოებია ქართულ საშუალო საუკუნეების ლიტერატურაში<sup>2</sup>. ამ ძეგლს (ვეფხისტყაოსნით მას ფართე მნიშვნელობით, როგორც „შაჰ-ნამეს“ ქართული თარგმანის შესატყვისს) უდიდესი გავლენა მოუხდენია აღორძინების პერიოდის ქართულ ლიტერატურაზე (ამ ეპოქად არას ვაძვობთ კლასიკურ პერიოდზე). კონკრეტულად ეხლა გვიანტერესებს „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების გავლენის კვალი რუსუდანისზე. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ უკანასკნელი ნახევრად ორიგინალურ, ნახევრად ნათარგმნ ნაწარმოებადაა მიჩნეული ჩვენში დღეს-დღეობით მაინც<sup>3</sup>. ამა თუ იმ ნაწარმოების გავლენის კვლის ცხადყოფა „რუსუდანისზე“, კიდევ მეტად გამოააშკარავებს ჩვენი ძეგლის ავტორის თუ რედაქტორის შემოქმედებითი მუშაობის ხასიათს—(ამასვე რამდენადმე უმნიშვნელოა ეძლევა ძეგლის დათარიღების საკითხისთვისაც).

„შაჰ-ნამე“-ს ქართული ვერსიები ერთი უმთავრესი წყაროთაგანია, რომლითაც „რუსუდანის“-ის ავტორი სარგებლობს. ამ შემთხვევაში გავლენა არ გამოიხატება უბრალო ლექსიკური მასალის ან ეპითეტების გადმოღებით, არამედ ცალკე ეპიზოდებიც კი შესულა ამ ვრცელ კომპილატურ შრომაში. ჩვენ ამ შემთხვევაში მიუთითებთ მხოლოდ ზოგიერთ სანიმუშო მაგალითებზე.

ავიღოთ მაგ. თხზულების მთავარი ჩაჩო, რომელიც ყველაზე უფრო ორიგინალურად არის მიჩნეული. აქ მოქმედ პირთა სახელები, მცირე გამოწაკისით, შაჰნაჰედან არის ამოღებული. ასე რუსუდანის მეუღლის სახელია მანუჩარ. ამათი შეიღებია: ფრიდონ და ოლდამი (უკანასკნელი სწორედ ასე იწოდება „როსტომიანი“-ს ქართული ვერსიით). სპარსულში კი იგი განიოთქმის „რუდაბედ“ (روداد). რუსუდანის ძმები: ფარემუზ, ბარამ, გივი, გოდერძი, საამ, გურგენ, ფირან, ზაალ.

<sup>1</sup>) წაკითხულია მოსენებად საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხვაობაზე ოქტომბრის 14-ს 1927 წ.

<sup>2</sup>) ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო: „საისტ. მოამბე“ 1924, I, 163; შტრ. აგრეთვე კ. კიკინაძე, ალიტერატურა ქართულ შაირში და ვეფხისტყაოსნის პრობლემა. ტფილისი 1925, გვ. 80.

<sup>3</sup>) ნ. მარტი, Груэивский извод сказки о трех остроумных братьях из „Рустуданиани“: „Восточные заметки“ С. Петербург 1895. გვ. 221-259; პრ. კ. კეკელიძე, ქარ. ლიტ. ისტ. II გვ. 267—275.

მანუჩარის აღზრდის მთელი ეპიზოდი აღებულია როსტომიანიდან: ობოლ მანუჩარს ზრდის ერთი დიდებულითავანი. უკვე დავაუკაცებულს მას წარუდგენს იემენის მეფეს. ამღზრდელი შემინებულია, რომ სახელოვან მომავალ ტახტის მოქმევეს არ დაინდობენ და ასწავლის აღზრდილს, მეფის აუდიენციის დროს თავი მოიხსულოს. მანუჩარ ასეც იქცევა და მართლაც თავს დააღწევს მოსალოდნელ სიკვდილს. როგორც ცნობილია „შაჰ-ნამეში“ სრულიად ანალოგიურია ახალგაზრდა ქაიხოსროს ბედი, რომელიც თურანში იზრდებოდა ფირანის მიერ<sup>1</sup>.

ტექსტიდან ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირ იგულისხმება „შაჰ-ნამეს“ გმირები: ერთ-ერთ გმირ გორჯასპზე (ისიც ხომ ცნობილია ქართული ვერსიით) ნათქვამია: „მისის ისრისა მგზავსი არც როსტომის ისარი ყოფილა“ (ხელნ. № 3698 წ. კ. V, 678).

ზავი შედარებულია სხვადასხვა ცნობილ გმირ. რაინდებს: „აქილეველისაებრ ცხენოსანსა, ლომის მახოსაებრ მოსიარსა... ტარიელისაებრ მინდვრად მგელსა, ავთანდილისაებრ სხვათა მეურნალად რებულსა, ძმობა მტკიცესა ანდამაჩისაგანცა უმაგრესსა; როსტომისაებრ დევთა ამომწყვეტელსა, აღექსანდრე მაკედონელისაებრ ქვეყნის მპყრობელსა, სოლომონისაებრ სიბრძნის სრულსა. ნუშრევან მეფის მგზავსად მოსამართლესა, მშვენებით იოსების მჯობსა“ (ი, 254).

ერთ შემთხვევაში პირდაპირ დასახელებულია ცნობილი ეპიზოდი ფრიდონის ცხოვრებიდან: „თუ შეილთა მეცხოვაუეთა თანა ყოფა გეთაკილება—ფრიდონ მეუფე არცხოვარში გაზდილა, რომ ყოველი ქვეყანა მას დაუმონებია“ (VI, 823).

რუსულნიანში შესულია „შაჰ-ნამე“ს სპეციალური, სტერეოტიპული გამოთქმები და შედარებები. ჩვენ მიუთითებთ რამდენიმე მაგალითს:

ფრიად დამახასიათებელია ჩვენი ძეგლისთვის (რუსულნიანისთვის): ბასთანელი ბრძენი, მეცნიერი, მხატვარი („სიტურფე ბასანელთ ვერ დაწერეს“ წ. კ. ხელნ. № 2541 გვ. 3; ან „ბასთანელი მხატვარი“ № 3698 გვ. 491), რაც ექვს გარეშეა „შაჰ-ნამე“-დან მომდინარეობს: მაგ. „ნათქვამი ბასტანელთა“) „როსტომიანი“, 1797, კ).

„მისი ხაზე და სიტურფე ბასტანელთ ვერ დაწერიაან“ (როსტ. 1253, კ). საყურადღებოა, რომ სპარსულით სტან (ბასტან)-ნიშნავს: ძველი, წარსული—და სწორედ ამ მნიშვნელობით ის სისტემატურად იხმარება სპარსულ ტექსტში (ზემოთ მოკვანილი ადგილები ქართული ვერსიიდან არის, სპარსულში არაა). ასე, მაგალითად: *استان نامہ بود از کهنه* (Mohl, Le livre des rois: 1, 16<sub>133</sub>)--Mohl-ის თარგმანით: „Il y avait un livre des temps anciens“ (იქვე გვ. 17)

ან „استان نامہ پڑھندے“ (იქვე, გვ. 28<sub>2</sub> = „Un homme qui a lu un ancien livre“)<sup>2</sup>.

<sup>1</sup>) ტექსტიდან (III) დამახასიათებელია „შაჰ-ნამე“ს გავლენით წარმოშობილი შედგენი ეპიზოდი: ფასქუნჯი მფარველობს ხელმწიფეს. ის დასტოვებს თავის ფრთას, განსაცდელის დროს ფრთას დასწავენ. ფრინველი გამოჩნდება და შესაფერ დახმარებასაც გასწევს.

<sup>2</sup>) რაეუკერტის უფრო სწორი თარგმანით: „Der Forscher in den Altertumsbuch“ (Firdotsi's Königsbuch—übersetzt von Friedrich Rückert. Berlin, 1890 კ. 3-.)

ქართულ თარგმანშიც (როგორც პროზაულში, ისე გალექსილში — პროზ. იხ. ს. ს. ხელნ. № 921 გვ. 126 B — „მასანელთა მეცნიერთა ნათქვამი“ და სხვ. მრ.) ეს ტერმინი სისტემატურად იხმარება პირდაპირ სპარსულივე გამოთქვით.

\* \*

ჩვენი ძეგლის ასეთი შედარებანი: „მათი გაყრის საგონებელი წნორის ფურცელივით შათროლობდა“ (V, 681) ან „შეშინდა და წნორის ფურცელივით ათროლოდა“ (VIII, 853). შესაფერ პარალელს პოულობს როსტომიანიში: „თრთის აფრასიობ შიშითა, წნორისა ფურცელივითა“ (2062<sub>1</sub>) — ეს ადგილი სპარსულ ტექსტში არაა, მაგრამ სხვა შემთხვევაში ანალოგიური ფრაზა გვხვდება: روان ارزان بگرداريد (Mohl, 1, 20<sub>1</sub>, 2) = „Mon âme tremblait comme tremble une feuille“ თუქვა يد (ბილ.) ნიშნაყს: saule. ნაა)<sup>1</sup>.

\* \*

ქალისა უპოვნელობისაგან ასე გაშმაგებული იყო, მშიერი ლომი კანჯრის საძებრად იარებოდის“ (ავ. 85), როსტომიანი: „ეთ ლომჳან კანჯრისა ჯოგსა მიწართა“ (2274<sub>3</sub>, 2296<sub>4</sub> და სხვ.) — სპარსულში ეს ადგილი ასე იკითხება: چو شیر اندر آمد میان ره (Mohl, 1, 526<sub>1</sub>, 1) — აქ სპარსულ ჯოგია დასახლებული (Mohl-ის თარგმანით: „Semblable à un lion qui tombe au milieu d'un troupeau“; რაჟუკერტი: „Er fiel wie ein Leu in die Mitte der Schaar“ (გვ. 340<sub>1</sub>)).

\* \*

„პირი სანდალოსის ფერად გაუხდათ“ (VII, 829) ან დამახინჯებულად: „პირნი შიშით სანდლის ფერად დაუხდენ“ (X, 926).

როსტომიანი: „პირი უჯავს სანდალოსს“ (1621<sub>1</sub>) — ეს ადგილი სპარსულ ტექსტში სათანადო ადგილას არაა<sup>2</sup>.

\* \*

„ხოშგვარისა ღვინოსა სნა“ (გვ. 359, 482, 747, 886 და სხვ. მრ.) — „დაუწყეს ხოშგუარსა ღვინოსა სნა“ (ს. ს. ს. № 921 გვ. 97B, 102A და სხვ.). როსტ. „მუნ ბროლისა ჭიქებითა ხოშგუარსა ღვინოს სმიდეს“ (2113<sub>3</sub>; აგრ. 1174<sub>3</sub>; 1226<sub>3</sub>; 1490<sub>3</sub>; 1758<sub>3</sub> და სხვ.) სპარსულით: همی خورد روزی می خوشگوار (Mohl, 1, 486<sub>1</sub>, 1) = „Or il arriva un jour qu'il était à boire du vin délicieux“; რაჟუკერტი: „Er lieblichen Wein trank eines Tags“ (გვ. 313<sub>1</sub>).

\* \*

„ერთი გონიერი მწიგნობარი მოახმობინა და.... წიგნი დასწერეს. პირველად საბელი ღმთისა აქსენა და არსისა პატრონი“ (გვ. 100; აგრ. 125, 131 და სხვ.).

<sup>1</sup>) ქართულ ვერსიებს ეს შედარება ძლიერ უყვარს, ისე რომ როცა დედანში უბრალო მზეზა დაპარაკი — მთარგმნელს ის წნორად აქვს გაგებული. მაგ. ასეთი ადგილი:

چو بشنید رستم دژم گشت سخت برزید برسان برگ درخت

(Mohl, III, 250<sub>1</sub>, 2)

ქართულში ასეა გადმოცემული: „როსტომს რა ესმა, ათროლოდა წნორისა ფურცელივით“ (წ. კ. № 428 გვ. 52<sub>1</sub>).

<sup>2</sup>) მაგრამ ისე კი ხშირია. ასე: زمین ارغوان و زرخان سندروس (Mohl III, 18<sub>1</sub>, 2);

აბ: كاشد گورا روی جون سندروس (იქვე III, 24<sub>1</sub>, 2 აგრეთვე გვ. 42<sub>1</sub>, 72<sub>1</sub>, 88<sub>1</sub> და სხ.)

<sup>3</sup>) აქ და ყველგან გვერდები ნაჩვენებია წ. კ. ხელნ. № 3698 მიხედვით.

როსტ. „გონიარი მწიგნობარი უქმო, ბრძანა მოყვანება.

მათ აღიდეს პირველ ღმერთი, საწუთროსა კელოვნება“ (2343) სპარსუ-

ლით: دیر خردمند بنوشت خوب  
نخست آفرین کرد بر دادگر

(Mohl, 1,542<sub>679-680</sub>=„Un scribe habile écrivit en beaux caractères—une lettre.... Il célébra d'abord Dieu le très-juste“).

რ ა უ კ ე რ ტ ი თ: Ein Brief....

Ward schön geschrieben vom Schreiber klug

Zuerst er Gottes Namen pries“ (352-353).

\* \*

„პირით პერტლს ყრიდა“ (467) „პირიღამ პერული მოსლიოდა“ (479 და სხვ.).

„პირითა პერულთა ყრიდა“ (ს.ს.ს. № 921 გვ. 23B; 73B და სხვ.).

რასაკვირველია „შაჰ-ნამე“-ს ქართული ვერსიების წვლილია ისეთი სტერეოტიპული ადგილები. როგორც: „პკრეს ასაყრელსა ქოსსა და ღუმბულსა და ყვიროს სტეირსა, შებერეს ზროხა კუღთა“ და სხვ. (გვ. 197 და სხვ.).

ან „რა დილა გათენდა საწუთროს განმანათლებელმან მზემან თავი ამოყო, შავი ფარდაგი დახია. წითელი ვარდი მოფინა“ (294, იხ. აგრ. 68, 91 და სხვ.)

„პირი მიწასა გააერთა“ (70,98,102,103 და სხვ.).

„სილამემან გაჰყარა“ (212 და სხვ.). „მთერალი სპილო“ (201 და სხვ.) „ბედ შლაშეო“ (220 და სხვ.). ომის დასაწყისი: „რა დილა გათენდა, მზემან წითელი ფარდაგი გაჰინა და კირჩხიბისა კანგსა დაეხსნა და გუმბაღსა ზედან ამოღლდა, კრეს ორგნითვე ქოსსა და ნალარასა, ღუმბულსა და ზროხა კუღსა“<sup>1</sup>. (გვ. 214 და სხვ.).

ომის მსვლელობა, ბუმბერაზთა და დევ-ფალავანთა რქენა. ომის საერთო ფერადები. გმირული თავგადასავალი. ბოროტი ძალები და სხვ. ყოველ დეტალშიც კი საერთოა.

სანიმუშოდ აქ უჩვენებთ ერთ ეპიზოდს, სადაც ჩვენი ძეგლის ავტორი სიტყვა-სიტყვით იმეორებს თავის პროტოტიპს (ამ შემთხვევაში „შაჰ-ნამე“-ს.).

აქა შეორე ომი ხოსროსი და ბარზინისა და ხოსროსაგან ბარზინის  
ხიკვდილი.

..... ბარზინმა „ხოსროს უთხრა გმირი ხარ და ლომის მოკლვაც ადვილად შეგიძლია, მაგრამ ჩემს ომსა ნუ ეძებო, თვარამ ამ მინდორში შენი აბჯარი სულრად მოგექცევა და ამ ჩემის ლახტით კინწსა მოგტეხო. რა ღისი მკვახე საუბარი გაიგონა, ხოსრომ გაიციინა და ეგრე უთხრა: კარგი ფალავანი ხარ და კჳუიანი და მონახული, მიკვირს, რასთვის გაგულისებულხარო. ასე შენი ბეჰ-მკერდის მინდობითა ცუდს სიტყვას რასთვის იტყვი.

შენ ხომ ცეცხლი არა ხარ და მე კაჰკაჰი [დედანში: კაჰკაჰი] რომ დამწვა. შენ უჰაჰი არა ხარ და მე ბუზი, რომ შენთან ფრენა არ შემეძლოს. ასე უნდა,

<sup>1</sup>) ამათი პარალელური ადგილები „შაჰ-ნამე“-დან არ მოუყავს, რადგან ვინც კი ოდნავ განიკ ამ ძეგლს გასცნობია, მისთვის ეს ისედაც აშკარაა.

რომ ვაჟმა კაცმა შენგან ისწავლოს ზნეობა. შენ ეგ როგორ გეკადრება, რომ წინათ კვებო. ეკ საქმე რევენთა წესია, თვარა ჰკუიანი თვით არ იკვებსო. როდისაც გაიმარჯვებს, მაშინ შეასხმენ ქებასა.

ესე თქვეს და მათ ისარი ერთმანერთსა დაასხესა, რომე მათი ხეაფთანი სისხლითა აიღესო. ორნივე ლაშქარნი გაკვირებული უმხერდეს. რა კაპარკი ისრისაგან დასცალეს, აწ ლახტებს მიყვეს ხელი. ვითა მკედელი გერდემლისა ზედან ჰაერსა, ეგრეთ ერთმანერთსა თავსა სცემდენ. მეტის ცემისაგან ლახტები თასმასავით დაგრიხეს. მერმე ლახტები გახყარეს და ერთმანერთსა შეეკედნენ. ნამეტნავისა მიჭირვებითა ორთავე ფრჩხილთა სისხლი წავარდათ და ერთმანერთს შეეკედნენ. ნამეტნავისა მიჭირვებითა ორთავე ერთმანერთსა სარტყელი დასწყვიტეს. ორნივე ლაშქარნი უჭვრეტდეს და შიშით ორთავე პირზე დაყვითლდნოდა თუ რომელი მოკედებო. მერნე ცოტა შეისვენეს. კვლავ სხვა ლახტები აიღეს და კიდევ შეუტივეს ერთმანერთსა გულმეისისხლედ. მერნე ხოსრომ ლახტი შეიმაღლა და ვითა გაგულსიებული დევი ბარზინს მიუხდა. ბარზინ შეშინდა და თავსა ფარი იფარა. დაკრა ხოსრომ ლახტი თავსა და დაიციდინა, ბეჟსა მოახვედრა. ემწვავა ბარზინს და ასე სთქვა: ვაი ჩემო ბედო, რა უკულმა მომეკეცო, ჩემი მოწიფულობა აღარ მომეხმარაო. რა ხელი ვეღარ მოიხმარა, გაულონდა და ხოსრო შეატყო მისი ხელის მოტეხა, უფრო გაგულოვანდა და ლახტი გაავდო, ჯაჰვის კალთა სარტყელში ჩაირჭო... („რუსულდანიანი“, წ. კ. ხელ. № 3698 გვ. 470-471).

#### აკა ომი როსტომისა და ბარზონის.

ბარზუს უთხრა: ლომის მგზავსო, გმირო, მკვლელი ლომისაო.

რად შეები, ვისგან ხაყან გულმტკივანად არისაო.

ამ მინდორში სულრად მოგცე, შენ ამჯარი ტანისაო.

და მძიმის ლახტით კინწსა მოგტებ, დაგანარცხებ მიწასაო.

\* \*

ბარზუმ უთხრა: ფალავანო ჰკვიანო, ომ-გარდასულო.

რასა გაგულსიებულხარ, გული გაქუს შენ დამწვარიო.

მკლავ-კისერს რას მინდობიხარ, ციეს სიტყუას მეტყვიო.

და ზაალის შვილი არა ხარ, გივი, არც გოდერძიანო.

\* \*

ცეცხლი არა ხარ მცხებარე, მე-კაჰაქი, რომე დამწვას.

უყაბი არა ხარ, მე ბუზი, შენ ფრენა არ შეგეძლოს.

ეამ-ნახულო! უნდა ვაჟმან ზნეობა შენგან ისწავლოს,

და შენ პირს ანძალი ამოვდის, ეგ საქმე როდის გეკადროს.

\* \*

ესე თქვა და მათ ისარი ერთმანერთსა დაასხესა.

სიკვდილი შუაზედ უდგა, მათს ნაკრავსა გაჰკვირდესა,

ხეაფთანი და ბარგისტანი, ორთავე სისხლით აავსესა.

და ორნივე ლაშქარნი უჭვრეტდეს, მათსა ომსა გაჰკვირდესა.

\* \*

კაპარკი ისრით დასცალეს, ლახტებსა ხელი მიჰყუესა.  
 ვითა მჭედელი გურდემლზუნდა, ერთმანეთს თავსა სცემდესა.  
 მეტის ცემითა ლახტები. ვითა მშვილდები დადრკესა  
 და გამარჯვება არც ერთგნით ჩანს, დაილაღნენ, უკუ დგესა.

\* \*

იგ ერთმანერთსა უმზერდეს, შეისვენეს, შეუტევდეს.  
 შეეკეცნეს ერთმანერთსა, სარტყელსა კელი ჩაუგდესა.  
 მათ ორთავე ფალავანთა სარტყლებზან ვერ დაუდგნეს  
 და ბეკის ნიჭირგებისაგან, ორთავ სარტყლები გაუწყდეს.

\* \*

ორთავ ფუჩილს სისლი წაეარდა, კულავ ლახტები დამართესა,  
 ბარზუს რკინის ხე ხელთ ჰქონდა, ერთმანერთსა შეუტევეს.  
 როსტომ თავს ფარი იფარა, გაგულსებით ვით დევსა  
 და ბარზუ თავს ლახტი შემოჰკრა, ფარს მოახვედრა და ბეკსა.

\* \*

როსტომ ენწოვა, თავს უთხრა: უკულმა ექცა ბედი და.  
 ამ საქმისაგან გმირს როსტომს ჩამოუარდა კელი და,  
 კელის მოტება შეიტყო, უღონოდ გახდა გმირი და,  
 და იმან ნაკაესა დაუდგა, ბარზუ როსტომს შეხედვიდა.

(„როსტომიანი“ წ. კ. № 406 გვ. 568-569).

ეს შედარება ნათელყოფს, რომ „რუსულდანიანის“ მოხსენებული ეპიზოდი პირ-  
 ლაპირი პერიფრაზია „შაჰ ნამე“-ს სათანადო ადგილისა. აქ ყოველი ნუნსიცი კი  
 უხეშად გადაღებულია „შაჰ ნამე“-დან. აქ უკვე აღარ შეიძლება გაელენაზე ლა-  
 პარაკი, არამედ საქმე გვაქვს ცალკე ეპიზოდის სესხებასთან. საყურადღებოა მა-  
 გალითად, რომ კომპილატორს თავისი მოქმედი პირის სახელიც კი (ბარზო)  
 თითქმის უცვლელად აუღია (ბარზინი).

ჩვენ ამით ვასრულებთ „შაჰ-ნამე“-ს ქართული ვერსიის გავლენის ძიებას „რუ-  
 სულდანიანში“. რასაკვირველია ეს თემა ამოწურული არაა იმდენად, რამდენადც  
 ოდენობით გაცილებით გაფართოება შეიძლება მაგალითებისა, რომლებიც ჩვენ თე-  
 ზისს ანართლებს, მაგრამ არსებითად ჩვენ საკითხი მაინც ამოწურულად მიგვა-  
 ჩნია იმ მხრით, რომ, ვფიქრობთ, ნათელგყავით რამდენად ძლიერი გავლენის  
 ქვეშ იმყოფება „რუსულდანიანის“ ავტორი „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიებიდან.  
 „შაჰ-ნამე“ ერთი მთავარი გამანაყოფიერებელი წყაროა აღორძინების პერიოდის  
 ლიტერატურაში, რასაკვირველია a priori შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ისეთ  
 სპეციალურ კომპილატურ შრომაში, როგორც „რუსულდანიანია“, ეს წყარო  
 თავის ადგილს იპოვიდა. ეს ასეცაა. მხოლოდ ჩვენი კომპილატორი უფრო შორს  
 მიდის, ის უბრალო გავლენით არ კმაყოფილდება და უხეშ პერიფრაზსაც მიჰ-  
 ბართავს.

სხვათა შორის წარმოებულ ექსკურსს იმ მხრითაც აქვს მნიშვნელობა, რომ ამით საბოლოოდ და დოკუმენტალურად მტკიცდება, რომ „რუსულდანიანი“ „შაპ-ნამე“ს ქართული ვერსიების საბოლოო ჩამოყალიბებამდე ვერ გაჩნდებოდა. კერძოდ ის განიციდის „როსტროპინის“ იმ ნაწილის გავლენასაც, რომელიც ხოსრო თურმანიძეს მიეწერება. ჩვენ მიერ ზევით მოყვანილი ლექსი როსტროპინის და ბარზუს ომის შესახებ ანოლებულია ბარზუს ეპიზოდიდან, რომელიც ხოსრო თურმანიძეს გაუღეჭსავე<sup>1</sup>, უკანასკნელი მე-XVI ს. გასულის მოღვაწეა. მაშასადამე ამ ფაქტითაც „რუსულდანიანი“-ს წარმოშობა მე-XVII-ს. დასაწყისამდე მანაც შეუძლებელი ხდება<sup>2</sup>.

ესარგებლობ შემთხვევით და მიიღა ალგინიზმ შენდევნი: „შაპ-ნამე“ ქართულ ვერსიებზე მუშაობამ აღრვევ დამარწმუნა; რომ ბარზუს ეპიზოდი „მეჭანიკურად არის ჩაქსოვილი როსტროპინში და როგორც ეტყობა შენდევნი დროის დანართია... „ბარზუ“-ს ეპიზოდი არა თუ თავის შინაარსით მქანეიკურად არის ჩაქვრებული როსტროპინის ქართულ ვერსიაში, არამედ ის თავისებურობას წარმოადგენს თავისი სტილით“. ჩვენ ამ ჯამდ სწულალება მოგვეცა „შაპ-ნამე“-ს ქართული ვერსიები სპარსულ დედანთან შევეწინაგებია, რანაც სავსებით გაამართლა ჩვენი დასკვნები, კიდევ მეტი: გაზიორკვა, რომ „ბარზუ“-ს ეპიზოდი სრულიად არ არის ფირდოუსის თხზულებაში, იგი „შაპ-ნამე“-ს ერთ-ერთი გამგრძელებლის თუ წამბამგელის ნახელავი ჯნდა იყოს. საფიქრებელია, რომ ქართული ვერსიის ბარზუს ეპიზოდი სპარსულად ცნობილ „ბურზონამე“-დან მომდინარეობდეს, მაგრამ ასეთი დასკვნის მისაღებად ჯერ აუცილებლად საჭიროა თვით ამ ტექსტის გაცნობა. ყოველ შემთხვევაში თვით ამ წინასწარ ცნობებსაც დიდი მნიშვნელობა ეძლევა. ჩვენ ნათელყავათ, რომ „ბურზო“-ს ეპიზოდის ვადნოქართულება ხოსრო თურმანიძეს ეკუთვნის<sup>3</sup>, მაშასადამე ამით სრულიად ახალი ნიშართულება ეძლევა უკანასკნელის ღვაწლს „შაპ-ნამე“-ს ქართული ვერსიების შემუშავების საქმეში.

<sup>1</sup>) ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, „შენიშვნები“ შაპ-ნამე“-ს ქართული ვერსიების შესახებ“ („საქართველოს არქივი“ III, გვ. 78-87, 1927).

<sup>2</sup>) „რუსულდანიანზედ“ ნაწილობრივი გავლენა შეეძლო მოეხდინა ვეფხისტყაოსანსა (გვებდება ტექსტში ტარგილისა და ავთანდილის ხსენება) და ამირან-დარეჯანთან. აქაკე გვებდება უკანასკნელის დამახასიათებელი ფრაზები. როგორც მაგ. „ცხონდი მეფეო უკუნისამდე“ (561, 566).

„სკა რხმალი მკლავსა და პოლოტიკი რკინისანი გაუკეთა“ (668). „შემოუღელს ერთმანერთსა ნავარდი“ (607) „ანას ბძანებდით... ამაოი მგზავსი არა არს პირსა ქვეანისასა“ (183). „თავმან მეფობისა შენი:ამან და მხემან ახალისა შარიერისამან“ (151).—მაგრამ „ამირან-დარეჯანიანი“-ს გავლენა ამ სტერეოტიპულ ფრაზებს არ სკლდება. ძველის შემდეგი ფრაზა: „არ შენიწყნარა ამან, ვითა სანთელმან ფარმანა“ (გვ. 896) საფიქრებელს ხდის იგი თეიმურაზ პირველის „შამფარვანიანს“ გულისხმობდეს.

<sup>3</sup>) „საქართველოს არქივი“ III, 81-82, 1927.

<sup>4</sup>) იქვე გვ. 79-87.

## II. „რუსულდანიანი“-ს მე-VI ზღაპრის შესახებ.

ზემორე წარმოებულ ექსკურსს სხვა მხრივაც აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ნ. მარმა თავისი ჩვეული ერუდიციით და ინტუიციით განსჭვრიტა „რუსულდანიანი“-ს რაობა და, სხვათაშორის, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს ძველი კომპილატური შრომაა. ავტორი თუ რედაქტორი სარგებლობს ძველ ნათარგმნ თხზულებებით და მას თითონ ამუშავებს ზღაპრულ ამბად. სახელდობრ ერთ შემთხვევაში ნ. მარმა ასე მსჯელობს: „Можно предполагать, что автор „Русданиани“ в том или другом случае делал заимствование из более древних грузинских же переводных памятников; в крайнем случае можно допустить и то, что автор раз, другой, сам переделал в сказочную повесть тот или иной памятник духовной литературы, напр. в повести о государе Ибреиме (VI) мы, несомненно, имеем особый извод сказания о Евстатии и его семье“ (Восточные Заметки, გვ. 229). აკადემიკოსის მსჯელობის საერთო მხარე ჩვენ სავსებით სწორად მიგვაჩნია. პირადად ჩვენ ვფიქრობთ, რომ მე III ზღაპარი „აქა ანბავი ყვითლის ქალაქისა ხელმწიფის გოსტამის და ძისა მისისა ხოსროსი“ „შაჰ-ნამეს“ დაბეჭდვის შემდეგ უნდა იყოს. ჩვენ ზემოთ ვაჩვენეთ, თუ როგორის გულწოდინებით იმეორებს „რუსულდანიანი“-ს ავტორი ამ ზღაპარში „შაჰ-ნამეს“-სათანადო ეპიზოდს („აქა ომი ოსროტომისა და ბარზოსი“).

ჩვენ ქვემოთ შემთხვევა გვიქნება კიდევ უჩვენო მაგალითი, როცა «რუსულდანიანი» შესაძლებელია მის დროს არსებულ ნათარგმნ ძველიდან იყოს დამოკიდებული, მაგრამ ამ უამად გვიინტერესებს ის კონკრეტული შემთხვევა, რომლის შესახებ აკადემიკოსი ნ. მარმა ასე დაბეჯითებით მსჯელობს. ამ ზღაპრის შესახებ („აქა ანბავი კელმწიფისა იბრეიმისა. კარი მეექვსე“) აღ. ხახანაშვილმა ცალკე კატეგორიულობით გაიმეორა ნ. მარმის მოსაზრება („Очерки III, 8-9). მხოლოდ პრ. კ. კეკელიძემ თავის „ქართული ლიტერატურის ისტორია“-ში სამართლიანად ეჭვი შეიტანა ნ. მარმისა და აღ. ხახანაშვილის მოსაზრებაში. ის სწერს: „ნ. მარმის და აღ. ხახანაშვილის ჰგონიათ, რომ მეექვსე ზღაპარში. იბრეიმის შესახებ, გადმოცემულია ცხოვრება წმ. ევსტრატესი და მოყვასთა მისთა, მაგრამ ეს მართალი არაა. ეს ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები თვითონ შედგენილია ლეგენდების და ზღაპრების მიხედვით“ (გვ. 271, შენ. 3).

არც აქ. ნ. მარმისა და არც აღ. ხახანაშვილის ნაჩვენები არ აქვთ, თუ რაზედ ემყარებიან ისინი ასეთი დასკვნის დროს. მაგრამ „რუსულდანიანი“-ს ტექსტში, სახელდობრ, მის შესავალ ნაწილში გვხვდება ერთი ადგილი სადაც წმ. ევსტრატეზეა ლაპარაკი და, თითქმის, ჩვენს მე VI ზღაპართან არის გავლებული პარალელი. საფიქრებელია, რომ ნ. მარმის მსჯელობა ამ ადგილზედ იყოს დამყარებული. სახელდობრ იქ საანალოგიო მასალად მითითებულია „მნისისა მის და ახოენისა მთავარ მოწამისა ევსტატისა, თუ რავგარად ექსორია იქმნა მბულისა დიდებისაგან და უცხო იქნა სახლისა და სამყოფისაგან, ასე რომ მგელთაგანცა დაძაბუნდა და შეიღნი საყვარელნი კბილთა მისთა შიგან ნახნა და შეუღლე მშვიდი ბარბაროზთაგან წარეტაცა. დარჩა მარტო, გაღარიბდა და ყოველივე კეთილად დაითმინა სიყვარულითა ღმრთისათა; ამისათვის ღირსყო ღმე-



რთმან გულთმეცნიერმან დიდებასავე თვისსა და უმჯობესნიცა განიგულა მისთვის, აპად რომე, სასუფეველი ცათაცა დაუმკვიდრა მათაც“ (წ. კ. ხელ. № 2541 გვ. 15; № 1541 გვ. 7B—8A) <sup>1</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „რუსუდანიანი“ საესეა სხვადასხვა ძველ და ახალი აღთქმით ცნობილ პირების მოხსენებით, თუ შედარებით. მაგრამ ყველა ესენი თავდაპირველი წარმოშობის არ უნდა იყოს. ასე მაგ. ჩვენთვის საყურადღებო მე-VI ზღაპარში ერთ ადგილას ხმარებულია შედარება: „თუ შეილთა მიცხოვარეთა თანა ყოფა გეთაილება, ფრიდონ მეფე არ ცხოვარში გაზდილა, რომ ყოველი ქვეყანა მას დაუხონებია“ (გვ. 823 წ. კ. № 3698, ასევეა ქეთევან დედოფლისეულ ხელნაწერში, რომელიც ამ ეამად ცენტრარქივშია დაცული (იხ. ხელნ. № 102). მე XIX ს. გადაწერილი ხელნაწერში კი (წ. კ. № 2541) ფრიდონის ნაცულად დავით წინასწარმეტყველია მოხსენებული (იხ. გვ. 423). აქვე იხსენიება იოზი, იაკობი, იოსებ: „იოზის მსგავსად მოგიომენია“ (გვ. 422) — „კურთხეულის მამათმთავრის იაკობის ძე იოსებც ვაქართ ზედა ძმათა ეგვიპტესა გაპყიდეს და იზოვნა დიდი დიდება. ეგვიპტის მეფობა ტყვემან მიილო“ (გვ. 423) — ეს ადგილები უცნობია ცენტრარქივისა და ჩენი ხელნაწერისთვის (წ. კ. № 3698). ჩვენ ამ ეამად ვერას ვიტყვი თუ ვესტატეს დამოწმების შესახებ, რადგან სათანადო ადგილი ჩვენს ხელნაწერსა და მეორე ძველ ნუსხაში (წ. კ. № 436) დეფექტურობის გამო დაკარგულია, ყოველშემთხვევაში ზევით მოყვანილი გარემოება მხედველობაში მისაღებია. მაგრამ ეს ასეც რომ არ იყოს, ჩვენ უკვე ვიპოვეთ ის ძირი, რომელზედაც უნდა იყეს დამუნილი „რუსუდანიანი“-ს ჩვენთვის საინტერესო ზღაპარი. ესაა „ბახთიარ-ნამე“-თი კარგად ცნობილი არაკი აბუ საბირის შესახებ (حكایت ابو سابر).

„ბახთიარ-ნამე“ სპარსულად სხვადასხვა ვერსიებად არის ცნობილი. (ერთ-ერთი მისი ვერსია მთლიანად ათასერთლამიანშია შესული. იხ. Dalziel's Illustrated Tausend und Eine Nacht“ გვ. 492 და შემდ.). ჩვენში ჯერ-ჯერობით მისი ორი ვერსია ჩანს. ერთი მათგანი ქართულად უთარგმნიათ ვახტანგ მეექვსის ინიციატივით 1703-1711 წლებში (იხ. პრ. კ. კეკელიძე: ქარ. ლიტ. ისტ. II 312-313). ამ თარგმანის ერთადერთი ეგზემპლარი დღეს რუსეთშია და ჩვენთვის ხელმისაწვდომელი იყო. სპარსული ტექსტი (ხალხური ვერსია) 1926 წელს გამოცემულ იქნა ლენინგრადში E. T. Бертелсის მიერ. რამდენადაც პრ. კ. კეკელიძის ქარ. ლიტ. ისტორიაში გადმოცემულ შინაარსიდან ჩანს, ვახტანგისეული თარგმანი უქანასკნელი რედაქციიდან უნდა მომდინარეობდეს (ბახთიარ-ნამეს შინაარსი იხ. ქ. ლიტ. ისტ. II, 311-312; უფრო მოკლედ „Очерки“ III, 181), თუმცა არაკების რივი აქ (ვახტანგისეულ თარგმანში) ცოტათი სხვაგვარია. მაგ. აბუსაბირის არაკს მესამე ადგილი უქირავს (სათაურით: „აბუსფარის ფიქრის მოხდენისა“), სპარსულში კი მეოთხე (იხ. Бертелсის გამოცემა, გვ. 17-21). თხზულების მეორე ქართული ვერსია ჩვენ ვიპოვეთ ცენტრარქივის

<sup>1</sup> ეს ადგილი ჩვენ ხელნაწერს (№ 3698) დეფექტურობის გამო აკლია. სახელდობრ აქ დაკარგულა ერთი ფურცელი 18-19 ფურცლებს შუა. ეს არ ჩანს პაგინაციიდან და არც აღმწერელ ბ-ნ ექვ. თაყაი შვილს შენიშნული აქვს (იხ. Опис. 1, 406-408).

სიკველუსაცავში (№ 367). ის ნათარგმნია მე-XIX ს. პირველ მეოთხედში (ჩუკე წელს) აღ. სულხანოვის მიერ. როგორც თვით მთარგმნელის სიტყვებიდან ჩანს, ამ რედაქციას საფუძვლად დასდებია ფანაჯის შრომა დაწერილი ლექსით. ქართული თარგმანი შესრულებულია პროზით. თხზულება საყურადღებოა მთარგმნელის ვრცელი ავტობიოგრაფული ცნობებით და აგრეთვე თავისი ორიგინალის შეახებ ფართე ისტორიულ-ლიტერატურული შენიშვნებით. მოხსენებულ რედაქცია საკმაოდ განსხვავდება პირველი ქართულ ვერსიიდან. ჩვენთვის ვანსაკუთრებით საყურადღებო დარჩა ეს მეორე რედაქცია, რადგანაც მას უფრო მეტი ნიშნულითაა შემოუნახავს ჩვენი დებულების დასამტკიცებლად. საერთოდ უნდა ითქვას, რომ აბუ საბირის არაკის ძირითადი საფუძეტი (რომელ რედაქციიდანაც უნდა ავიღოთ იგი) საფუძვლად დასდებია იბრაჰიმის შესახებ ზიარას. ამასი დასაწინააღმდეგებლად საკმარისია ორივე ძეგლის დაკვირვებული გადაკითხვა. მაგრამ ვანაჯის ვერსიას შემოუნახავს მთელი რიგი ისეთი დეტალებისა, რომლებიც მას ხალხური ვერსიიდან (ბერთელსის გამოცემა) განსხვავებს, სამაგიეროდ უახლოვდება სასეებით და გასაგებს ხელს „რუსულანიაში“-ს არაკს. სულხანოვის თარგმანში არაკს ოიგით შესაბამე ადგილი უკავია. თხზულებათა შინაარსის შესაღრმავლად ვანაჯის რედაქციით ვისარგებლებთ.

იყო ერთი კეთილი კაცი, რომელსაც სახელად საბირს ეძახდნენ. მას ჰყავდა ცოლი და ორი ვაჟი. ერთხელ რაღაც მიზეზის გამო მოაშთვეს კელმწიფის მსახურთაგანი. ამ მიზეზით ამბოხის მონაწილეთ ყოველგვარი ქონება ჩამოართვეს. ცოლი ევედრება საბირს ტირილით გამოითხოვოს შეწყალება. საბირ ლაზება. ის ფიქრობს: მოთმინება საბოლოოდ გაამარჯვებინებს ადამიანს. მეცეც კი უსამართლობაა უკუნ მიუღებს“. საბირ მეფეს დაასმინეს. გააძევენენ. ერთ მინდორში ავაზაკები დევნენ და ორივე შვილი მოსტაცეს. საბირ მაინც მოთმინებით აიტანს ამ ტვირულს. განაგრძნობენ გზას. მეფენ ერთი ქალაქის კარკთან. საბირ სანოვავის შესაძენად მიდის. ქალი მარტოდ რჩება. გზად ცხენოსანი ჯაბისკაცი გამოივლის. საბირის ცოლს ძალით წაიყვანს. ქალი მოახერხებს მიწაზე დაწეროს თავის მოტაცების ამბავი. საბირი დაბრუნდება. ქალს ეურჷნახავს. ნიწაზე დაწერილი წაიკითხა. დიდათ შეწუხდა „გარდმოუვიდა მას თვალებიდგან ცრემლნი ლალის ფერნი“. საბირ მიდის ქალაქში. იქ მეფე სასახლეს აგებდა. ყოველ მგზავრს იქერდენ და ტალახზე სამუშეოდ მიჰყავდათ (ფულით შეიძლებოდა თავის დახსნა). საბირსაც ასეთივე ბედი ეწოა. ვილაც საბირის გვერდით შრომისაგან მოუძღვრებული მწვავედ ტიროდა. საბირ მას ანუგეშებს. ეუბნება, რომ ძლიერ ღმერთს შეუძლია კაცი ტალახიდან ამოიყვანოს და სახელმწიფო ტახტზე დასვას—საქირთა მხოლოდ მოთმინება. ამ საუბარს მეფემ ყური მოჰკრა. საბირ შეიპყრო და ქაში ჩაავდო. თითონ ხშირად ნახულობს, დასკინის საბრალის: „იყავ აქა ვიდრემდის მოვიდეს დღე ბედნიერებისა შენისა, აღმოვიყვანოს მუნიდგან და დავსოს ტახტსა ზა ჩემსა“. ხელმწიფის უსამართლობით აღმოფთობული ქვემეკროდმნი შეთქმულებას აწყობენ. მეფე გაიგებს და გარდაიხევეება.

ამ უსამართლო მეფეს ჰყავდა ერთი ძმა მეთად კეთილგონიერი და მოწყალები. ხელმწიფემ ის ვერაგულად მოაშთო და მალულად დაფლა. ხალხი კი ფიქ-

რობდა, რომ ხელმწიფის ძმა კაში იყო ჩამწყვდეული. როცა უსამართლო მეფე გარდაიხვეწა, ხალხმა გარდამწვრთა კაში ჩამწყვდეული უფლისწულის ტახტზე აყვანა. ჭიდან ამოიყვანეს საბირი და დიდი ზეიმით გაახელმწიფეს. საბირმა ხელი მიჰყო მოსამართლეობას, ქვეყნის მოშენებას. დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მან ღროც იბეჭა და თავის დამარბეველ ხელმწიფის წინააღმდეგ გაილაშქრა, ჩანოაგდო ტახტიდან და განაწევა. ერთხელ ყოფილი ფეოდალთა საბირის ქალაქში მოხვდა. დიდებულემა ის სტუმრად მიიღეს. მაგრამ საბირმა გაიგო მისი ვინაობა. ცხენი და სარჩო-საბადებელი ჩამოართვა და ბრძანა ქალაქიდან გაძევება.

საბირმა ბრძანება გასცა მიუყვანონ სსკიფლათ მშვენიერი მახატრნი. ეს ესმათ ავაზაკებს, რომელთაც საბირის შვილები ჰყავდათ. წარუდგინეს ბავშვნი მეფეს. საბირმა იხინა იქნა. ავაზაკები სატანაჯველს მისცა.

განსჯისთვის საბირ იტყუებოდა წარდგებიან ჯარისკაცი და ერთი დედაკაცი. უკანასკნელი საბირის მეუღლე აღმოჩნდება. დედაკაცი ჯარისკაცის უსამართლობაზე ჩივის. ამბობს, რომ ძალით მოაშორეს იგი თავის ქმარს. საბირისთვის ყოველივე ნათელი ხდება. იცნობს თავის ცოლს. ჯარისკაცი შეაფერხა სასჯელს მიიღებს (მწარედ სცემეს და ცოცხალ-მკვდარა ქალაქიდან გააგდეს). საბირის ხელქვეითი დიდებულები აღშოთხებული არიან ასეთი ტირანული ქცევით. მეფეს უსამართლობისთვის პასუხს სთხოვენ. საბირ შეკრებს მათ და მიიღო თავის თავგადასავალს მოახსენებს. დიდებულები დანშვილდებიან. ქებათა-ქებას უძღვნიან საბირს და აღტაცებული რჩებიან მისი სამართლიანი ქცევით. (გვ. 38ა — 48ა).

აქა ანბავი კელმწიფისა იბრაინისა. კარი მეექვსე.  
(„რუსულდანიანი“)

hen, weil die Schrift der Vorderseite in gar zu störender Weise sichtbar wird. Die Seite ist wiederum in zwei Kolonnen getheilt, aber jede dieser enthält 32 Zeilen, deshalb ist die Schrift etwas kleiner als die des andern Blattes; im Uebrigen ihr so ähnlich dass man sie einem und demselben Schreiber beilegen darf. Nichtsdestoweniger würde ich kaum wagen in den Blättern B und C die Bruchstücke des gleichen Kodex zu erblicken wenn nicht Tsagareli von dem Sinaischen, welcher mit den Briefen des h. Antonios beginnt, uns berichtete dass er in einer Stelle von Johannes Klimax abbräche, die überschrieben sei: თქმული წმ. კლემენტისი განგებისათჳს მანასახლისობისა. თავი ლა. Diese Ueberschrift findet sich auf der Rückseite b von C, und es folgen ihr hier, wie Tsagareli angibt, noch 18 Zeilen. Sie ist zu übersetzen: „Ausspruch des h. Klimax über die Verwaltung des Priorats (Ts.: Объ илукенствѣ и Управленіи) Kap. 31“. Der Heilige welcher auch die Beinamen Sinaita und Scholasticos führt, heisst Klimax nach seinem Buche, „die Himmelsleiter“, welches dreissig „Stufen“ oder Kapitel umfasst. Was mit dem hier genannten 31-ten gemeint ist, weiss ich nicht, doch nicht das andere Buch *Προς τὸν πατριστα*, welches selbst aus fünfzehn Kapiteln besteht. Uebrigens sind mir, bei flüchtiger Durchsicht dieser Werke, die betreffenden Worte der Handschrift nicht aufgestossen. Sie lauten in der Uebersetzung: „Es ist nicht zu verwundern von einem Lehrer wenn er kluge Knaben in unergründlicher Weisheit unterrichtet, aber der ist zu wunderbar der dumme Knaben (ყრმანი) klug macht. Wie bekannt ist der Muth der Soldaten und ihr geschicktes Zurückweichen, wenn sie sich auf die rasch beweglichen Wagen setzen und siegen und ihre Pferde loslassen lund dann.

Wenn dir Kenntniss der Leidenschaften gegeben ist und du siehst die erregten Wogen, so Sorge für die welche auf deinem Schiff mit dir sind, wenn du nicht weisst

Bei den geistlichen Ermahnungen und Lehren, die das Blatt sonst noch enthält findet sich kein Name angeführt; nur unmittelbar vor der Stelle des Klimax steht: „Es sprach der heilige Pimen (Πιμουτῆς): „Wie das Salz aus dem Wasser hervorgeht und sich im Wasser auflöst und vergeht, so gehen auch die Menschen aus den Müttern hervor und vergehen von den Müttern (დედათაგან, wie vorher)“. Neben den drei rothen Initialen ist die Zahl 73 geschrieben, neben der ersten Zeile der rothen Ueberschrift für Klimax eine andere 7, deren zweiter Buchstabe undeutlich aber keinesfalls 8 ist; 74 findet sich vielmehr vorher auf der ersten Kolonne derselben Seite neben dem Beginn einer Stelle: „Fliehe o Bruder vor den Bösen

Wenn zwischen der Handschrift von C und der von B kein wesentlicher Unterschied besteht, so entdecken wir einen solchen in einem Punkte der die Schreibweise betrifft. Es ist aber nicht nothwendig deshalb an zwei verschiedene Schreiber zu denken: der Schreiber kann seine orthographischen Grundsätze geändert haben. Während *ϣ* in der ersten Schrift durch *ϣ* ausgedrückt zu werden pflegt, so weist B regelmässig *ϣ* dafür auf, sodass zwischen *ϣ* und *ϣ* gar

kein Unterschied gemacht wird: ზრონავთ, იონჯებთ, მოოწორდა, თო, ნოცა (aber doch ნოჯ) u. s. w.; auch für ჟ (ვ): თოისი, მოლოაწებანი, მაქოს u. s. w. Auf C ist ჳ für უ, ჟ (ვ) beliebt: ჳპრი, სუბოჳქი, თქემისა u. s. w.; aber neben häufigerem ოჳ und seltenem ო, und wir nehmen Wechsel dieser Darstellungsweisen zwischen den gleichen Wörtern und innerhalb desselben Wortes wahr: ნჳ=ნოჳ, მოყსო'ა=მოყსობა=მოყოსუბა, ოვგვნოჳრნი, ოჳკოჳეთჳ=ოკოეთჳ Eine umgekehrte Schreibung ist საკოჳრეელ (zweimal) für საჳკრეელ. Sind ო und ჳ=უ abgekürzt aus ოჳ, wie ja regelmässig ოჳფალი zu ო'ნი, იესოჳ zu ი'ჳ abgekürzt erscheint? Ueber ო für უ in der zweiten und dritten Schrift hat sich schon Brosset Chron. géorg. S. 110. 116. geäußert. Bemerkenswerth ist noch dass für auslautendes ო sich die Doppelschreibung ეჳ in B findet: მაჳოე-ნეჳ (რ fehlt), სიმბტიეჳ. ებისტოლეჳ, (ich vermuthete dass so auch statt ებისტოლეი bei Tsagareli Ca. II, zu lesen ist), მეჳეიდეჳ, daneben aber auch მარცხენჳ (In C: დჳ, ხჳ). Als Lauterscheinung erwähne ich den Schwund des „ in zweimaligem დაითქის für დაინთქის, „sinkt unter“ (in C).

[Der berühmte Grazer Sprachforscher, welcher unter vielen anderen Sprachen auch die georgische gründlich kannte, schrieb mir kurz vor seinem Ableben in einem vom „Ostersonntag 1927“ datierten Briefe: „Da es mir schmerzlich ist dass ich ein mir so sympathisches und interessantes Studium habe aufgeben müssen, wie das des Georgischen ist, so habe ich in den letztern Zeiten in meinen Papieren herumgekrummt und darunter «Mitteilungen aus georgischen Handschriften» gefunden, die ich Ihnen gestern, als Zeugnis meines Interesses rekommandirt zugeschickt habe“. Die Mitteilungen, die ich 7. V. 1927., schon nach der Todesnachricht ihres Verfassers, erhalten habe, zerfallen in 4 Theile, von denen nur die zwei letzten als einigermaßen abgeschlossen betrachtet werden können. Die Abhandlung ist nicht datirt, aber sie scheint in den Jahren 1895-97 verfasst zu sein, also etwa vor 30 Jahren. Trotzdem ist sie noch heute von grosser Bedeutung (besonders der zweite Teil, wo einige Bemerkungen über eine vom Sinai stammende *Chanmeth*handschrift gegeben sind), und ich habe es für notwendig gehalten, die ganze Abhandlung zu veröffentlichen.

Beim Druck der „Mitteilungen“ habe ich (S. 363, nach der 7-ten Zeile) eine Vergleichungstabelle der ähnlichen Buchstaben ვ(ω) und კ(κ), მ(m) und ძ(dz), ს(s) und ხ(χ), wie sie in manchen Druckschriften aussehen (Typ. Propag. 17. Jhrh., Impr. Roy. Paris 1837, Typ. Petersb. Akad. 1840 u. 1867, Druckerei d. Georg. Gesellsch. Tiflis 1895), ausgelassen. Ausserdem habe ich sämtliche Zeichen, die sich in der Druckerei nicht herstellen liessen, aus dem Texte ausgezogen und mit betreffenden Nummern auf eine Tabelle zusammengestellt, welche der Abhandlung beiliegt. Die Schreibfehler, meistens im georg. Teil, sind korrigirt worden, nämlich: ასათაელური in ასათაფრული (S. 358, 3), ხაბრეჳუმო in ხაბრეჳუმო (S. 363, 15), ლებულთა in ლრებულთა (S. 368, 9), მომიძლას in მომიძულეს (S. 370, 11), ო'ნი მისი in ო'ნი თვისი (S. 370, 13). შეწერაჳდ in შეწირაჳდ (S. 372, 3-4), შემდეჳ in მეშდეჳ (S. 372, 10), ნეთარისა in ნეტარისა (S. 372, 22), იესს in იესს (S. 372, 31), ვ'მდე შეობნე გოისხენლა in ვ'მდე შეობანი გოისხენს ლა (S. 372, 4 v. u.); არა ასს in არა არს (S. 373, 4 v. u.), ბრმანი in ყრმანი (S. 375, 21). Aus Mangel der Buchstaben mit diakritischen Zeichen ist die Schreibweise der Namen: Okromsch:delow (SS. 349, 350, 359, 365), Tschubinow (SS. 358, 359, 363) und Gogebaschwili (S. 359), sowie die des Wortes gudjar (გუჯარი) (S. 349, 21 u. 26) geändert. Die Worte „beig:geben ist“ (S. 349, 11) habe ich hinzugefügt, sowie die römischen Ziffern II, III, u. IV als Überschrift der einzelnen Teile der Abhandlung (SS. 360, 369, 361). Im Übrigen bin ich dem Original treu geblieben. Die alte Orthographie und die Interpunktion sind beibehalten worden.

## ბ. ნანაიშვილი.

### იურიდიული სუბიექტი.

იურიდიული სუბიექტის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც სამართლის ზოგადი თეორიისათვის, ისე სხვადასხვა სპეციალური იურიდიული დარგისათვის. იშვიათია საკითხი, რომლის შესახებაც ისეთი აზრთა სხვადასხვაობა იყოს, როგორც ამ საკითხის შესახებ. წარმოუდგენელია იურისტი, რომელიც იურიდიული სუბიექტის საკითხით ღრმად დაინტერესებული არ იყოს. ვერ დაგასახელებთ ისეთ იურისტს - თეორეტიკოსს, რომელსაც ამ საკითხისთვის უდიდესი ყურადღება არ მიექცეოს. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ფრიად ძნელია რაიმე ახალი დებულების დაკვა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გაეხედავთ სამართლის სუბიექტის შესახებ ჩვენი საკუთარი აზრი განოვთქვათ.

სამართლის თეორიის ელემენტარული კურსიდან ყველა იცნობს საკითხსა, ვინდ შაიდიას, Brinzისა, იერინგისა და სხვა ბევრის შეხედულებას ამ საკითხზე. მათი ანალიზი და კრიტიკა შორს წაგვიყვანდა და ამასთანავე გვაიძულებდა გაგვეფორმებია ის, რაც ყველა ჩვენგანს არა ერთხელ გაუგონია. ჩვენ ვიტყვით იმას, რასაც ამ საკითხის შესახებ ვფიქრობთ და თუ ვინმე ჩვენს აზრს სწორად მიიჩნევს, მას უკვე ეკოდინება, თუ რომელი თეორიის სისწორეში შეიძლება ექვის შეტანა. ჩვენ ამჟამად არც ის გვაინტერესებს, თუ როგორ განმარტავს სამართლის სუბიექტის ცნებას ესა თუ ის კონკრეტული პოზიტიური სამართალი. ცხადია, რომ ეს სულ სხვა საკითხია. მას არაფერი აქვს საერთო ჩვენს საგანთან—სახელდობრ იმ საკითხთან, თუ როგორ და რა მნიშვნელობით უნდა გულისხმობდეს სამართლის იდეა სამართლის სუბიექტს. ამ საკითხის მნიშვნელობა რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, დროებით უნდა დავვიწყოთ ყველაფერი, რასაც ჩვენ ტრადიციულად პრაქტიკაში სამართლის სუბიექტის სახელს ვუწოდებთ.

სამართლის იდეასა და იქ მოცემულ აზრთა წესრიგში, Stufenfolge des Modi, უნდა ვეძიოთ პასუხი იმისა, თუ რა შეიძლება იურისტმა სამართლის სუბიექტად აღიაროს. იურისტს სხვანაირად არც შეუძლია მიუდგეს საკითხს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საგანი იურიდიული აზროვნებისა შეიძლება მხოლოდ სამართალი იყოს.

ყოველი სამართლის ნორმა, როგორიც უნდა იყოს მისი შინაარსი, ყოველთვის ერთი მნიშვნელობით არის მოცემული. ნორმის შინაარსი იცვლება. სრულიად ელემენტარული დებულებათა, რომ ყოველ ეპოქას თავისი სამართალი აქვს; ამ

დებულების სისწორეში ექვის შეტანა შეუძლებელია. მაგრამ ისიც უდაოა, რომ რა სამართლის ნორმაც უნდა ავიღოთ, მის შინაარსს ჩვენ ყოველთვის ერთისა და იმავე ლოლიკური სტრუქტურით ვითვისებთ. სამართლის ნორმაში მისი შინაარსი ყოველთვის და ყველგან მოცემულია, როგორც მსჯელობა აუცილებლობის შესახებ. რამდენადაც სამართლის ნორმაში ასეთი მომენტია, იმდენად ის შეიცავს განხორციელების მოთხოვნას ან, N. Hartmannის ტერმინი რომ ვიხმაროთ, შეიცავს „Wirklichkeitsanspruch“-ს. ამ მომენტების ანალიზი დაგვანახებებს იმ ერთადერთ x-ს, რომლისკენაც თვით ნორმატიულ მსჯელობას აქვს Blickrichtung, ე. ი. მიმართება. თუ ჩვენ მოვახებრებთ იმის აღმოჩენა, რომ ნორმატიული შინაარსის მიმართება, ე. ი. ამ Wirklichkeitsanspruchის შემზენებელის Blickrichtung შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებული შინაარსის x-ის მიმართ და ეს x იქ შესაძლო ღირებულებითი აქტების სუბიექტად აღმოჩნდა, პრობლემა სამართლის სუბიექტის შესახებ თავისთავად გადაწყვეტილი იქნება.

არის თუ არა ერთ-ერთი ელემენტი ნორმატიული მსჯელობისა ევრეთწოდებული Wirklichkeitsanspruch, ან ტენდენცია განხორციელებისა, და თუ არის ვისკენ და რისკენ შეიძლება ჰქონდეს ამ ტენდენციას თავისი მიმართება? აი ის კითხვები, რომელიც თავისთავად იბადება. თუ სამართლის ყოველი ნორმა შეიცავს მსჯელობას „Sollsein“-ს, უნდა იყოს, ცხადია, რომ ობიექტი ამ მსჯელობისა არ არსებობს, ის მხოლოდ მონაყალშია მოსალოდნელი. ასე რომ, თვით „Sollsein“-ის მსჯელობაში ის, რაც აუცილებელია, აუცილებლად უნდა განხორციელდეს. და თუ ეს ასეა, მაშინ თავისთავად ნათელია, რომ ამ მსჯელობაში არის მოცემული ერთგვარი Nütigung, იძულება, მოთხოვნა იმის განხორციელებისა, რაც აუცილებლად უნდა განხორციელდეს. უფრო სწორედ რომ ვთქვათ, მასში მოცემულია Wirklichkeitsanspruch. ეს აზრი მშვენიერად აქვს გამოთქმული Hartmannის: „და ეს პრეტენზია უძღური სურვილი კი არ არის, არამედ აქტიური, მოძრავი, მოქმედებითი პრინციპი. იგი არის ჯერარსის განხორციელება, თუ უშუალოდ სუბიექტის ნებისყოფაში არა, თვით ობიექტის ჯერარსობის ხასიათში მაინც. რომელსაც შეუძლიან განსაზღვროს ეს ნებისყოფა. მოკლედ რომ ვთქვათ, თვით ჯერარსში, როგორც ასეთში, არის განხორციელების ტენდენცია“<sup>1</sup>.

რას ნიშნავს ეს განხორციელების ტენდენცია? რა თქმა უნდა, ამ განხორციელების ტენდენციას არაფერი აქვს საერთო ნორმის რეალურ განხორციელებასთან. ნორმა, რომელიც რაღაცას მოითხოვს, შეიძლება ვერასდროს ვერ განხორციელდეს. სოციალურ-პოლიტიკურმა და ფსიქოლოგიურმა პირობებმა შეიძლება მოსპოს ნორმის განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რაც უფრო შეუძლებლად ვთვლით ფსიქიურად ნორმის განხორციელებას, მით უფრო მეტად განვიციდით იმ აუცილებლობის ზეგავლენას, რომელიც ნორმაშია მო-

<sup>1</sup>) Und diese Forderung ist kein machtloses Sehnen, sondern eine aktive Kraft, ein bewegendes, schaffendes Prinzip. Es besteht die Tendenz zur Wirklichwerdung des Seinsollenden—nicht direkt im Willen des Subjekts—so doch im Sollenscharakter des Objekts selbst, der diesen Willen bestimmen kann. Kurz es geht am Seinsollenden als solchem immer schon die Tendenz der Verwirklichung N. Hartmann. Logische und ontologische Wirklichkeit: *Kantstudien*. Bd. XX Hef. 4.

ცემული. რაც უფრო ინტენსიურად მიმართულია ნებისყოფა ნორმის უარყოფი-საყენ, მით უფრო განვიცდით ამ უარყოფის აქტში იმის მოცემულობას, რის უარ-ყოფაც ჩვენ გვსურს. რაც უფრო საპართლიანად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია რომელიმე მომქმედი ნორმის უარყოფა, მით უფრო ეცდილობთ საპართლიანობის მიზანშეწონილობის მიხედვით დაეამტკიცოთ სავალდებულო ნორმის უეარგისო-ბა. რა ახრი ექნებოდა ბაძოლას საპართლის წინააღმდეგ. თუ ეს საპართალი სავალდებულოდ არ მიგვაჩნია? ისე, როგორც ყოველ აქტში აუცილებლად რაღაც უნდა იყოს მოცემული, საპართლის ფსიქიურად უარყოფაშიაც თავიდანვე არის მოცემული რაღაც, რაც უარყოფილი უნდა იქნეს. საპართლის უარყოფაში (ფსი-ქიურად) შეიძლება უარყოფა იქნეს ზხოლოდ ნორმა, და საპართლის ნორმა კი, როგორც ვიცით, არის მსჯელობა აუცილებლობის შესახებ, რომელსაც თან-სდევს განხორციელების ტენდენცია — Wirklichkeitsanspruch. მაშასადამე, რაც უფრო უარყოფთ (ფსიქიურად) საპართლის ნორმას, მით უფრო სრული ევიდენ-ციით გვევლინება მისი სავალდებულო ბუნება. შეიძლება არსად ისე ცხოვლად არ განვიცდადეთ ნორმის სავალდებულო ბუნებას, როგორც იმ შემთხვევაში. როცა ნორმის ასრულება არ გეინდა, არ გვსურს.

განხორციელების ტენდენციას ამ შენთხვევაში, როგორც ვხედავთ, არაფე-რი აქვს საერთო ნორმის რეალურად განხორციელებასთან. Wirklichkeitsan- spruch, ძალდატანება, Nötigung, რასაც ჩვენზე თვით ობიექტის სავალდებულო ხასიათი ახდენს, თვით ნორმატიული მსჯელობისთვის დამახასიათებელ ბუნება-ში მელაენდება. ნორმატიული მსჯელობის ელემენტთა დამოკიდებულებაში თა-ვისთავად აშკარადება ასეთი ტენდენცია და მისწრაფება განხორციელებისაკენ. ის განხორციელება კი, რომელზედაც ჩვეულებრივად ლაპარაკობენ, სულ სხვა რამ არის. თუ პირველი, ე. ი. Wirklichkeitsanspruch დამახასიათებელია საპარ-თლის ნორმისთვის, მსჯელობისთვის „Sollsein“ — რეალური განხორციელება, ფსიქიური მისწრაფება განხორციელებისკენ წარმოადგენს სულ სხვა თავისებურ მოვლენათა რიგს. ნორმა შეიძლება ხორციელდებოდეს, ან არ ხორციელდებო-დეს, მაგრამ ეს მომენტი ნორმისთვის სრულიად არ არის დამახასიათებელი. ნორ-მის განუხორციელებლობა სწორედ იმის შეუსრულებლობას ნიშნავს, რის შეს-რულებაც საპართლის ნორმას აუცილებლად მიაჩნია, ე. ი. ნორმის განუხორცი-ელებლობა თვით საპართლის ნორმის არსებობას გულისხმობს. აქედან კი ცხადია, რომ, თუ რეალური განხორციელება ან განუხორციელებლობა თვით ნორმას ვერც ერთი მხრით ვერ ახასიათებს, რეალური განხორციელებისა და განხორციელების იმ ტენდენციას, რომელიც ნორმატიულ მსჯელობაში აშკარადება, არაფერი საერ-თო ერთმანეთში არ შეიძლება ჰქონდეთ. განხორციელება ან განუხორციელებლობა ნორმისა თვით ნორმას გულისხმობს. ჩვენ ვერ ვიტყვივით ნორმის შესახებ „ვერ გან-ხორციელდა“, თუ რომ ნორმა თავისთავად არ უნდა განხორციელდებულყო. გა-ნა შეიძლება ასეთი დაპირისპირება ჩემს სურვილებს, ნებისყოფასა და ნორმის შინაარსს შორის, რომ ნორმის უარყოფისკენ მიმართულ ნებისყოფას წინ არ ელოდებოდეს ზეგავლენა ნორმატიულ მსჯელობაში მოცემული აუცილებლობისა? ეს ზეგავლენა ფიზიკურ-ფსიქიურ ზეგავლენას კი არ წარმოადგენს, არამედ ეს არის

მხოლოდ და მხოლოდ თვით აუცილებლობის მსგელობაში მოცემული მისწრაფება, მიმართება იმისაკენ, რაც აუცილებელია.

თუ სამართლის ნორმას მართლაც ასეთი ბუნება ახასიათებს, საითკენ შეუძლია გაგვიხსნას თვალთახედვის გეზი—Blickrichtung—ასეთმა ბუნებამ? ცხადია, რომ მხოლოდ და მხოლოდ განმარტოვებლისაკენ, ე. ი. იმისაკენ, ვისაც შეუძლია ნორმის ლოლიკურად აღიარება და ლოლიკურად აღიარებული ნორმის მიხედვით მოქმედება (მიუხედავად იმისა, რეალურად ის შესძლებს თუ არა მის განხორციელებას). თუ ჩვენ ასე დავსვამთ საკითხს, ცხადი გახდება, რომ ეს განმარტოვებელი თვით ნორმატიული წინაარსით ნაგულისხმევია, როგორც რაღაც სავსებით დამოუკიდებელი, განმარტოვებლისთვის ყველა დამახასიათებელი თვისებით აღჭურვილი. ასეთი ლოლიკური აღიარებისა და ლოლიკურად აღიარებულ ნორმასთან შეფარდებული ღირებულებითი აქტების შემძლე ან, მოკლედ, ნორმის განმარტოვებელი, მხოლოდ მომქმედო პიროვნება შეიძლება იყოს. და თუ სამართლის სუბიექტად შეიძლება მხოლოდ ის ჩაითვალოს, ვისაც შეუძლია „ჰქონდება უფლება“, ცხადია, რომ ასეთი სუბიექტი სწორედ მოქმედი პიროვნება უნდა იყოს.

„უფლების მქონებლობა“, უპირველეს ყოვლისა, იმის შეცნობას უნდა ნიშნავდეს, რაც მე რისმე ან ვისმე მიმართ უფლებას მანიჭებს. მაშასადამე, აქ შეცნობა ნორმის შეცნობას გულისხმობს. მაგრამ, თუ ამავე დროს იმისაც მივიღებთ მხედველობაში, რომ სამართლის ნორმის შეცნობა აუცილებლად ნორმის ლოლიკურად აღიარებას ნიშნავს, მაშინ თავისთავად ცხადი გახდება, რომ უფლების მქონე შეიძლება მხოლოდ ის იყოს, ვისაც ლოლიკური აღიარების უნარი აქვს და ლოლიკურად აღიარებული ნორმის მიხედვით შეუძლია მოქმედება. იმ ლოლიკურ აღიარებას, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, საერთო არაფერი აქვს ბიარლინგის მიერ წამოყენებულ აღიარების თეორიასთან. რამდენადაც ნორმის წინაარსი ყოველთვის, ყველაფრისგან დამოუკიდებლად თავისებური აგებულობით, ფენოენალური სტრუქტურით არის მოცემული, და ჩვენ ამ ნორმას ვითვისებთ, იმდენად მას ლოლიკურად აღიარებთ, რადგანაც ნორმის შეთვისებაში ჩვენ ლოლიკურად ვიღებთ ნორმისთვის დამახასიათებელ ბუნებას. ამიტომაც, თუ ეგრეთწოდებული ფიქციური აღიარების თეორიის წარმომადგენლების მოძღვრების მიხედვით გაუგებარი რჩება ის ზომენტი, თუ როგორ ხდება, რომ სამართლის ნორმა მაშინაც სავალდებულოა, როცა მის წინააღმდეგ ამხედრებულია ნებისყოფა, ჩვენი დებულების მიხედვით ამ კითხვაზე სრულიად სწორი პასუხის გაცემა შეიძლება.

ეს მოკლე შესავალი ნათლად გვიჩვენებს, რომ ყოველი სამართლის ნორმა თავისთავად გულისხმობს პიროვნებას, როგორც ლოლიკური აღიარების, ისე შესაძლო ღირებულებითი აქტების სუბიექტს. ამიტომ ვერ დავეთანხმებით იმ იურიდიული მეთოდის წარმომადგენლებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ სამართლის სუბიექტი არის მხოლოდ პოზიტიური სამართლის ქმნილება, რომ ის უბრალო ხელოვნური კონსტრუქციაა. იურიდიული სუბიექტი, უპირველეს ყოვლისა, აქტიური, მოქმედი სუბიექტია; ის არის ლოლიკური აღიარებისა და შესაძლო ღირებულებითი აქტების სუბიექტი. მაშასადამე, სამართლის სუბიექტის



ცნება გულისხმობს პიროვნებას, რომელიც სამართლისაგან დამოუკიდებლად იქმნება და ყალიბდება.

მართალია, იურიდიული მეთოდის, იურიდიზმის წარმომადგენელთა სისტემაში სუბიექტი ზოგჯერ ამათუიმ სახით ნაგულისხმებია როგორც მოქმედი, აქტიური პიროვნება, მაგალითად, როდესაც ლაპარაკობენ შეცდომაზე, დავიწყებაზე, მეორე პირის საშუალებით ნებისყოფის გამოცხადებაზე და სხვ., ყველა ამ შემთხვევაში სუბიექტს უყურებენ, როგორც სამართლის ნორმის შემწეცნებელ და შესაძლო ღირებულებითი აქტების სუბიექტს. მაგამ როგორც კი იურიდიული მეთოდის მომხრენი იწყებენ ლაპარაკს უფლებაუნარიანობაზე, ქმედობაუნარიანობაზე და იურიდიულ ჯრთიერთობაზე, სუბიექტი ზემოაღნიშნული მნიშვნელობით სრულიად იკარგება. თუ იურიდიული სუბიექტი არის ერთ-ერთი მომენტი ნორმატიული სისტემისა, თუ საზრათის სუბიექტობა არის უნარი, რომელიც პოზიტიური სამართლით შეიძლება მიენიქოს ხან ერთს, ხან მეორეს, ცხადია, რომ სამართლის სუბიექტობა ყველაზე უფრო ნაკლებ დამოკიდებული ყოფილა იმ პირის თვისებებზე. ვისაც პოზიტიური სამართალი სამართლის სუბიექტის თვისებასა და მნიშვნელობას აკუთვნებს. თუ ყველაფერი მხოლოდ პოზიტიური სამართლისაგან არის დამოკიდებული, მაშინ თვით იმ გარეცობას, რომ ვიდაცას სამართლის სუბიექტობა ენიჭება, წმინდა შემთხვევითი ხასიათი აქვს. ეს შემთხვევითი ხასიათი თავიდან აცილებული იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ აღვიარებდით, რომ რეალური, აქტიური პიროვნება, რომელსაც სამართლის სუბიექტის თვისება ენიჭება, თვით არის ისეთი ღირებულებითი ნომენტებას მატარებელი, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ მას სამართლის სუბიექტის მნიშვნელობა მიეკუთვნოს. მართლაც, თუ სამართლის სუბიექტი, როგორც იურიდიული მეთოდის მომხრენი ფიქრობენ, ხელოვნური კონსტრუქციაა, მაშინ პიროვნების, როგორც წმინდა შემეცნებისა და შესაძლო ღირებულებითი აქტების სუბიექტის, მნიშვნელობა იწინადად მინიმალური ხდება, რომ გაუგებარია, რატომ მართო პიროვნებას აღიარებენ იურიდიული მეთოდის წარმომადგენელნი სამართლის სუბიექტად. იურიდიული მეთოდისა და ნორმატიული მეთოდის მომხრეთა სისტემებში ცოცხალ ბუნებასა და ნორმატიულ რიგს შორის ისეთი უფსკრულია, რომ ამ ნორმატიული რიგს სრულიად არ შეუძლია რაიმე კავშირი ჰქონდეს სინამდვილესთან, რეალობასთან. ამ მეთოდის წარმომადგენელთათვის სამართლის სუბიექტობა იმდენად სუსტად არის დამოკიდებული მოქმედი პიროვნებისაგან და იმდენად არის დამოკიდებული ნორმატიული რიგისაგან, რომელსაც რეალურად არსებულთან, ნორმატივისტების აზრით, არაფერი აქვს საერთო, რომ ნორმატივისტებისთვის და იურიდიული მეთოდის მომხრეებისთვის ბოლოს და ბოლოს სულ ერთი უნდა იყოს, რა იქნება აღიარებული სამართლის სუბიექტად—ადამიანი თუ სხვა რამ.

ნორმატიულ სისტემაში ყველაფერი ერთი კანონშეფარდებულობით, ერთნაირი მნიშვნელობით, თვითაშკარაობითა და სრული დამთავრებულობით არის მოცემული. აქ ყველაფერი ერთი-მეორით ისაზღვრება, ერთი-მეორისაგან გამოზღინარეობს. მოკლედ, ნორმატიული სისტემა, ან პოზიტიური სამართალი ის მთლიანი კოსმოსია, რომელსაც არავითარი დასაყრდნობი წერტილი სინამ-

დელიეში არ მოეპოვება და დასაყრდნობ ცენტრს ის თვით ატარებს. საშუალო საუკუნის იურისტებიც დოგმატიკოსები იყვნენ. მაგრამ მათი სამართლის სისტემის დასაყრდნობი ფუძე თვით სამართლის სისტემის გარეშე იყო. ეს იყო რწმენა ღვთაებრივი ძალისა. ახალ იურიდიულ სისტემას ჰქონდა თავისი დასაყრდნობი ცენტრი — ხალხის ნებისყოფა. თანამედროვე ნორმატიულ სისტემას კი არავითარი დასაყრდნობა წერტილი არ მოეპოვება. ამიტომაც ამ სფეროდან შეუძლებელია მიმართება — *Blickrichtung* — რეალობისკენ. ნორმატივისტს არ შეუძლია რეალობაში იგულისხმოს ისეთი რამ, რისთვისაც განაწილებული იყოს იურიდიული თვისებების მიღება. სხვანაირად არც შეიძლება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ განსხვავებას, რომელსაც ნორმატივისტები *Sein*-სა და *Sollsein*-ს შორის გულისხმობენ. ნორმატიული სისტემა — ეს *Sollsein*-ის კატეგორიაა, და ამიტომაც ამ სიტუაციაში არსებულის (*sein*) საშუალებით არაფერი შეიძლება იყოს განხილული, დასაბუთებული და გამართლებული. ამის გამო ის, რასაც ჩვეულებრივ სინამდვილესა და ფიქციას ვუწოდებთ, ნორმატივისტების მიერ ერთისა და იმავე ლოგიკური მნიშვნელობით იაზროვნება. თუ ეს *Sollsein*-ის კატეგორია ასე დაწორებულია არსებულისგან, თავისთავად ცხადია, რომ ნორმათა სისტემა განსაკუთრებული კვლევის საგანს უნდა წარმოადგენდეს. აქედან კი ერთად-ერთი დასკვნა გამოვიძინებთ: თუ იურისპრუდენცია მეცნიერებაა სამართლის ნორმის შესახებ, და სამართლის სუბიექტი კი იურიდიული კვლევადიების საგანია, ნორმატივისტებისთვის სამართლის სუბიექტა მხოლოდ ნორმას და ნორმათა სისტემას უნდა ნიშნავდეს. როგორც ვხედავთ, ასეთი სამართლის სუბიექტი არავითარ რეალურ სუბსტრატს არ შეიცავს, ის თავიდან ბოლომდე ხელოვნური კონსტრუქციაა, ის სურათია, რომელსაც არც ერთი ნაწილი რეალურს ქვეყნისა არ შეეფარდება. ამიტომაც ნორმატივისტების სამართლის სუბიექტს არც შეუძლია იგულისხმოს სუბიექტად რეალურად არსებული პიროვნება, როგორც სუბიექტი ნორმის აღიარებისა და სუბიექტი შესაძლო ღირებულებითი აქტებისა.

ჩვენის აზრით კი ამ ნორმატიულ სფეროსა და რეალობას ან უფლებრივ სიკვალეირეს შორის ძვეს თვით სამართლის წყარო — ეს არის ადამიანის უფლებრივი შემეცნება, ეს არის დასაყრდნობი ცენტრი თვით ნორმატიული სისტემისა და ამიტომაც ნორმატიული სისტემიდან შეიძლება იყოს *Blickrichtung* რეალობისაკენ, სინამდვილისაკენ. სადაც ნორმატიული მსჯელობა იმთავითვე ჩამოყალიბებულია, იქ ნაგულისხმევია, რომ ამ ნორმატიული შინაარსის განმარტავებელი მხოლოდ ის არის, ვისი უფლებრივი შემეცნებითაც თვით ეს ნორმა შეიძლება ლოგიკურად აღიარებულ იქნეს. და თუ ასეთი სუბიექტის არსებობა ყოველთვის წარმოსადგენია, ცხადია, რომ თვით *Wirklichkeitsanspruch*-ში ნაგულისხმევი *Blickrichtung*, მოცემულია არა მარტო იმის მიმართ, რაც უნდა განხორციელდეს, არამედ იმის მიმართაც, ვინც განმარტავებლად შეიძლება ჩაითვალოს.

როგორც დაინახეთ, სუბიექტი იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც ჩვენ მასზე ვსჯელობთ, ყალიბდება პოზიტიური სამართლისგან დამოუკიდებლად. თქმა იმისა, რომ პოზიტიურ სამართალს შეუძლია შექმნას შესაძლებლობა

მოქმედებისა, ან შესაძლებლობა თავისი განხორციელებისა, ეს დაახლოებით იგივე იქნებოდა, რომ გვეთქვა: ამა თუ იმ ხალხისა, სახელწიფოსა, კლასისა ან წოდების ყოვნა ისტორიული პროცესის სუბიექტად ამ ხალხის, სახელმწიფოსა, კლასისა ან წოდების კონსტიტუციის შედეგია. საპართლის ნორმას არ შეუძლია სიცოცხლის ან რაიმე ახალი თვისების შექმნა. პიროვნება, როგორც შესაძლებლობა ლოლიკური აღიარებისა, უფლებრივი შემეცნებისა და შესაძლებლობა გარკვეული აქტების მოხდენისა, საპართლის ნორმების დამოუკიდებლად იქმნება. ამ სტეროში სამართლის ნორმას არ შეუძლია რაიმე ახალი შექმნას ან რისიმე ზრდა დააჩქაროს. ყველაფერი ამ სფეროში თავისებური რომით იზრდება და ყალიბდება. ხანგ-ძლივობა განაშკარავებული შესაძლებლობისა არ არის დამოკიდებული სამართლის ნორმისაგან. ის, რაც ამ სფეროში უნდა შეიქმნეს, შეიქმნება სამართლის ნორმების ჩაურევლად. რომის სამართალი ერთდროს მონას არ სცნობდა სამართლის სუბიექტად, და განა მშინ, როდესაც რომის სამართალმა ნონა ასეთ სუბიექტად აღიარა, მან შექმნა განსაკუთრებული თვისებანი? სრულიადაც არა. მონების სამართლის სუბიექტად აღიარებას წინ უსწრებდა აქტი მონის პიროვნებად (Person) ცნობა<sup>1</sup>. მაგრამ რას ნიშნავს ის, რომ ჩვენ ვილაყ პიროვნებად ვცანით? სხვას არაფერს, თუ არ იმას, რომ ჩვენ აღვიარეთ უკვე მოცემული შესაძლებლობა ღირებულებითი აქტების შესრულებისა.

სამართლის ნორმას შეუძლია სცნოს, ან არ სცნოს, აღიაროს, ან არ აღიაროს, იგულისხმოს, ან არ იგულისხმოს პიროვნება, მაგრამ სამართლის ნორმას არ შეუძლია შექმნას, ან არ შექმნას, წარმოშვას, ან გარდაქმნას ეს პიროვნება, როგორც შესაძლებლობა განსაკუთრებული ღირებულებითი აქტებისა. ასეთი წინშენვლობით ყოველ სამართლის სუბიექტში ნაგულისხმევია პიროვნება, როგორც შესაძლებლობა ლოლიკური აღიარებისა და ნორმის განხორციელებისა. ეს არის ძირითადი მომენტი თვით სამართლის სუბიექტის ცნებისა და უასეთოდ სამართლის სუბიექტის იდეა არც შეიძლება შეიქმნას.

ასეთ პიროვნებად ყოფნა, როგორც ვთქვით, სამართლისაგან არ არის დამოკიდებული. მეორეს მხრივ პიროვნებად „რალაც“ თავიდანვე კი არ არსებობს, არამედ ის პიროვნებად ხდება და ყალიბდება. სამართლის ნორმას შეუძლია ნხოლოდ ხელოვნურად აღიაროს მომენტი, როდესაც ის პირს უკვე ჩამოყალიბებულად გულისხმობს, სხვანაირად რომ ვთქვათ, გულისხმობს, რომ განსაზღვრული მომენტის შემდეგ, რალაც, როგორც პიროვნება, ე. ი. როგორც შესაძლებლობა ლოლიკური აღიარებისა და შესაძლებლობა გარკვეული აქტებისა, თავისთავად ფაქტად იქცევა, თუნდაც ამ „ფაქტ“-ის ფაქტიურობის დამტკიცებას არაინც დალობდეს. როდესაც სამართლის ნორმა რალაცას უკვე პიროვნებად გულის-

<sup>1</sup>) ახალი კულტურის ერთ-ერთ დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენს ის, რომ ადამიანი და პიროვნება ერთსა და იმავე ნიშნავს. მაგრამ ასე არ ყოფილა ყოველთვის. მაგალითად, არისტოტელის აზრით მონები თუმცა ადამიანები იყვნენ, მაგრამ პიროვნებად არ ყოფილან ცნობილი. ამიტომაც თუ ჩვენ შევიძლია მოვიყვანოთ მაგალითები იმის, რომ ყოველი ადამიანი არ ყოფილა სამართლის სუბიექტი, ჩვენ ვერც ერთ შემთხვევას ვერ დაუვასაზღვრებთ, რომ ადამიანი პიროვნებად ნაგულისხმევი სამართლის სუბიექტი არ ყოფილიყო.

ხმობს, ეს რალაც ხდება სუბიექტი იურიდიული ღირებულებითი აქტებისა, და ამ მომენტიდან არის აღიარებული შესაძლებლობად იურიდიულა აქტებისა.

ნამდვილი პიროვნება (Person) შეიძლება ჩამოყალიბდეს იმ დროზე უფრო ადრე ან გვიან, ვიდრე ეს ნაგულისხმევი სამართლის ნორმით. ამ ვადამდე ვისმე შეუძლია იყოს სწორედ იმ აქტების სუბიექტი, რაც დამახასიათებელია ნამდვილი იურიდიული სუბიექტისათვის.

მოტივაციების შედეგების გარეგნული გამოსახულების მხრივ ისინი შეიძლება საცესებით იდენტური იყვნენ, მაგალითად, აქტები მორალური ვუნდერკინდებისა და პიროვნებად ნაგულისხმევი ადამიანისა.—მაგრამ ერთ შემთხვევაში სამართლის ნორმა ამ აქტებს სკვრეტს, როგორც მისთვის საცესებით ინდეფერენტ სულ მოვლენებს და, მეორეს მხრით, მათ იურიდიულ ღირებულებით აქტებად სწობს. რამდენადაც სწორად იკერს სამართლის ნორმა იმ მომენტს, როდესაც ადამიანი პიროვნებად იქცევა, ეს სულ სხვა საკითხია.

ჩვენთვის მნიშვნელობა მაოლოდ იმ გარემოებას აქვს, რომ ყოველი ნორმა იმდენად, რამდენადაც ის განმარტოვებულზე მიგვიითოთებს, გულისხმობს პიროვნებას, ჩვენ მიერ აღებული მნიშვნელობით, ე. ი. პიროვნებას, როგორც შესაძლებლობას ნორმის აღიარებისა და ამავე დროს შესაძლებლობას ნორმასთან შეფარებული აქტებისას. თუ ასეთი სუბსტრატი ყოველთვის მოცემულია სამართლის სუბიექტის ცნებაში, ჩვენ შეგვიძლია არ შევეუშინდეთ პარადოქსს და ვთქვათ, რომ სამართლის ყოველ სუბიექტში თავიდანვე არის მოცემული ქმედობაუნარიანობის იდეა, ვინაიდან რას ნიშნავს შესაძლებლობა უფლებრივ ნორმასთან შეთანხმებული მოქმედებისა, თუ არა ქმედობაუნარიანობას?

ადამიანის მარტო ადამიანად ყოფნა, ე. ი. ანთროპოლოგიურ-ბიოლოგიურ მოვლენად ყოფნა, სრულებითაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ის სამართლის სუბიექტი იყოს. ადამიანი უნდა ამალდეს პიროვნებად. ადამიანი პიროვნებად უნდა გახდეს, რადგან პიროვნება, უპირველეს ყოვლისა, არის შესაძლებლობა ღირებულებითი-ეთიური და იურიდიული აქტებისა, რაც თავისთავად წმინდა ნებისყოფას, წმინდა აზროვნების „მე“-ს გულისხმობს. დღეს, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ადამიანი, რომელიც პიროვნებად არ მიგვაჩნდეს, მაგრამ ვიცით მთელი ეპოქები, როდესაც ადამიანი პიროვნებად არ ითვლებოდა. ძველ საბერძნეთსა და რომში მონები ადამიანებად მიაჩნდათ, მაგრამ პიროვნებად მათ არაეინ სთვლიდა. აი, ამიტომ მონა იმ პერიოდში არც სამართლის სუბიექტად იყო აღიარებული. მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველი ადამიანი ისტორიულად არ ყოფილა სამართლის სუბიექტი. მაგრამ ჩვენ ვერ დავასახელებთ, რომ სამართლის სუბიექტად არ ყოფილიყოს აღიარებული ადამიანი, რომელიც კი პიროვნებად იგულისხმებოდა. თუ სამართალი პიროვნებას ახასიათებს, როგორც შესაძლებლობას ღირებულებითი იურიდიული აქტების მოხდენისას, თავისთავად ნათელია, რომ პიროვნებაში ყოველთვის ქმედობაუნარიანობაც იგულისხმება. რა სახით იგულისხმება აქ ქმედობაუნარიანობა? არის ეს წმინდა იურიდიული ქმედობაუნარიანობა, თუ ეს ვიტალური ქმედობაუნარიანობაა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ სწორედ პირველი ბუნების ქმედობაუნარიანობა გვაქვს. სხვაგვარ ქმედობაუნარიანობაზე არც შეიძლება ლა-

პარაკი. ასეთი დებულება ბევრს შეიძლება დიდ პარადოქსალურ დებულებად მოგვეჩვენოს. ამიტომ საჭიროა სათანადო განმარტება. რა არის პიროვნება თავის თავად?

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ეს არის  $x$  ღირებულებითი შესაძლო აქტებისა. რას უნდა ნიშნავდეს იურიდიული სუბიექტი, თუ არ ამ პიროვნების უკვე განსაზღვრულ შესაძლებლობას, სახელდობრ, იურიდიული ღირებულებითი აქტების მოხდენის შესაძლებლობას, რაც თავისთავად ნორმის ლოგიკურად აღიარებას გულისხმობს. და ის ქმედობაუნარიანობა, რომელიც პიროვნებას თავიდანვე ახასიათებს, არის არა ვიტალური, ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური ქმედობაუნარიანობა, არამედ არის მხოლოდ შესაძლებლობა იმ ღირებულებითი აქტების განხორციელებისა, რაც მოცემულია იმ ნორმაში, რომელიც პიროვნების მიერ შეცნობილად იგულისხმება. როგორც ვხედავთ, ქმედობაუნარიანობა იმ მნიშვნელობით სუბიექტს ისტორიულად კი არ ემატება, არამედ ის ძირითადი მომენტია სამართლის სუბიექტის ცნებისა. თუ ნორმას მხოლოდ ასეთი პიროვნებისა-კენ შეიძლება ჰქონდეს მიმართება, „რუფლების მქონე“ მხოლოდ ასეთი პიროვნება შეიძლება იყოს. მასთანადავე სამართლის ნორმა ძარტო მასთან შეფარდებულ აქტებს კი არ სცნობს ღირებულად, არამედ გულისხმობს პიროვნებას, როგორც სუბიექტს შესაძლო ღირებულებითი აქტებისას. ასე რომ, თვით ეს ღირებულება სუბიექტისა ყოველთვის უფრო აღრინდელია, ვიდრე მისივე ღირებულებითი აქტები. ამიტომ შეუღონაა, როდესაც აქტსა და პიროვნებას ორ სავესებით იდენტურ ღირებულებად აღიარებენ. ასეთი დებულების დასაბუთება შეუძლებელია, რადგანაც სუბიექტი და აქტი ნორმის მიერ იგულისხმება, როგორც ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ღირებულება. ნორმა ღირებულებად სთვლის არა მხოლოდ აქტს, არამედ პიროვნებასაც, როგორც შესაძლო ღირებულებითი აქტების სუბიექტს.

თუ ღირებულებას მატარებლად მხოლოდ აქტებს ჩავთვლით, მაშინ პიროვნება თავისთავად მოსწყდება ღირებულებათა იერარქიულ რიგს. ხოლო თუ, ამის საწინააღმდეგოდ, პიროვნებას აღვიარებთ როგორც ღირებულებას, მაშინ ცხადი იქნება, რომ პიროვნება ღირებულებითი მოვლენაა, როგორც მოქმედი, აქტიური „მე“. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ მოქმედი, წმინდა ნებისყოფის მქონე სუბიექტი არ შეიძლება იმ აქტების მიხედვით იქნეს დაფასებული, რომელიც ყოველთვის ისტორიულია, რადგან აქტი ყოველთვის განხორციელებას ნიშნავს. მაგრამ თუ პიროვნება სხვა რამეს ნიშნავს და არა აქტებს, რომელშიც ეს პიროვნება ისტორიულად აშკარავდება, ცხადია, რომ პიროვნების მუდმივი ღირებულება მდგომარეობს არა უკვე მომხდარი აქტების ღირებულებაში, არამედ იმაში, რომ ის ყოველთვის ნაგულისხმევია, როგორც სუბიექტი შესაძლო ღირებულებითი აქტებისა. ღირებულებითი აქტი არის შემდგომი მოვლენა. ასეთი აქტი აუცილებლად ნორმას გულისხმობს და პიროვნებას კი, როგორც სუბიექტი შესაძლო ღირებულებითი აქტებისა, ყოველთვის იგულისხმება ნორმის მიერ. ესე იგი პიროვნება ღირებულებად ყოველთვის (ნორმის მიერ) აქტზე უფრო აღრე უნდა იქნეს მოცემული, რათა ნორმას ჰქონდეს მისკენ მიმართება.

ნორმის მიერ პიროვნებად ღირებულებად იგულისხმება—როგორც „მე“ შესაძლო ღირებულებითი აქტებისა, ე. ი. აქ ღირებულებად შესაძლებლობაა აღიარებული და ეს შესაძლებლობა კი, როგორც ვთქვით, არის შესაძლებლობა უფლებრივი აღიარებისა და შესაძლებლობა ღირებულებითი აქტების მოხდენისა. რა დასკვნა შეგვიძლია მივიღოთ აქედან, თუ არა ის, რომ პიროვნება ნორმის მიერ ღირებულებად აღიარებულია ღირებულებითი აქტების მოხდენამდე. მის ღირებულებას ჩვენ ვეკრეტთ აზა უკვე განხორციელებულ უფლებრივ ურთიერთობაში, არამედ ეს პიროვნება ნორმის მიერ კონკრეტულ განხორციელებამდე იგულისხმება იმ მნიშვნელობით, რაც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ. ან აქტები მხოლოდ, ე. ი. უფლებრივი ურთიერთობა და მხოლოდ ამ აქტების დაფასება, — და მაშინ პიროვნება აღარსად ჩანს, ან და, თუ სამართლისათვის საერთოდ არსებობს პრობლემა პიროვნების შესახებ, ამ პიროვნების მნიშვნელობა აღიარებულ უნდა იქნეს კონკრეტული ნორმის მიერ გათვალისწინებული აქტების დამოუკიდებლად, ე. ი. სუბიექტი აღიარებულ უნდა იქნეს არა ერთი ობიექტიმე კონკრეტული ნორმის, არამედ საერთოდ ყოველი ნორმის განხორციელების შემდეგ შესაძლებლობად. მხოლოდ ასეთ პიროვნებისადმი შეიძლება ჰქონდეს ნორმის მიმართება, ვინაიდან განხორციელების ტენდენციას, რომელიც ნორმის ფენომენოლოგიურ სტრუქტურაში აშკარავდება, არ შეუძლია ჰქონდეს მიმართება სხვა რამისადმი, თუ არ მისი განხორციელების შესაძლებლობისადმი. კელ ზენის აზრით, მაგალითად, სუბიექტი არის ის, ვინც ვალდებულია, ჩვენის აზრით კი ვალდებული შეიძლება იყოს მხოლოდ სუბიექტი.

ყველაზე უფრო ნათლად განსხვავებას აქტსა (მოქმედებას) და პიროვნებას შორის, როგორც ორ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ღირებულებით მომენტს შორის ჩვენ ვხედავთ იმ ნორმატიულ მსჯელობაში, რომელშიაც ერთგვარი მოქმედება, აქტი—ნეგატიურ ღირებულებად არის აღიარებული. ასეთ ნორმატიულ მსჯელობაში სუბიექტი ყოველთვის ცნობილია პოზიტიურ ღირებულებად, ხოლო აქტი ნორმის მიერ ნეგატიურ ღირებულებად ითვლება. მაგალითად, როდესაც იქმნება ნორმა, რომელსაც გათვალისწინებული აქვს სასჯელი. ამ ნორმის მიერ პიროვნება აუცილებლად იგულისხმება, როგორც სუბიექტი შესაძლო ღირებულებითი აქტებისა, ვინაიდან სასჯელის განხორციელება თვით ნორმის განხორციელებას ნიშნავს. მაშასადამე, არა მარტო მაშინ, როდესაც ნორმა დადებითს მომენტს შეიცავს, როდესაც ნორმა აქტს გმობს, ე. ი. მის ნეგატიურ ღირებულებად აღიარებს, სუბიექტი ნორმის მიერ აუცილებლად იგულისხმება, როგორც ღირებულებითი მომენტი, ვინაიდან ამ შემთხვევაშიაც ის გათვალისწინებულია ნორმის განმანხორციელებელ სუბიექტად, ასე რომ, თუ სამართლის ნორმა გულისხმობს პიროვნებას, როგორც ღირებულებას—ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ პიროვნებისათვის დამახასიათებელ მომენტად იგი ყოველთვის ქმედობაუნარიანობას სთვლის, რაც თავისთავად იურიდიული ღირებულებითი აქტების (მოქმედების) მოხდენის შესაძლებლობაა.

ქმედობაუნარიანობა—ერთ-ერთი მთავარი მომენტია პიროვნებისა. ეს ქმედობაუნარიანობა არის შესაძლებლობა ნორმის განხორციელებისა, რადგანაც ნორმისათვის ამ შემთხვევაში ლოლიკურად განმანხორციელებელი შეიძლება მისი.

შინაარსის განმახორციელებელი იყოს. და თუ ქმედობაუნარიანობაში ტრადიციული იურისპრუდენციის ნომბრენი გულისხმობენ „ნებისყოფის სიმწიფეს“, „პასუხისმგებლობას“, — „მომწიფებულ აზროვნებას“ და, მეორეს მხ-ით, ქმედობაუნარიანობა ამ თვისებათაგან არის დამოკიდებული, ლოლიკურად მათ სხვა არათური რჩებათ, გარდა იმისა, რომ აღიარონ, რომ „ნებისყოფის სიმწიფე“, „უუღლებრივი აღიარების უნარიანობა“ საპართლის ნორმის ქმნილებაა და. თუ ზემოაღნიშნულ მომენტებს სამართლის ნორმის ქმნილებად ვერ აღიარებენ, მაშინ ისიც უნდა ითქვას. რომ ქმედობაუნარიანობა თავიდანვე იგულისხმება იქ, სადაც არის „მოწიფებული ნებისყოფა“, „შესაძლებლობა იურიდიული წმინდა აღიარებისა“, „ლოლიკური ცნობისა“ და სხვ. თუ საკითხს ასე მიუდგებით და მათთან ერთად მივიღებთ მხედველობაში, რომ ყველა ეს შესაძლებლობანი არის პირივეების დამახასიათებელი მომენტები, მაშინ იქ, სადაც პირი ნაგულისხმევია სამართლის მიერ, ნაგულისხმევია აგრეთვე პირისათვის დამახასიათებელი მომენტები და, მათ შორის, განხორციელების შესაძლებლობაც ანუ ქმედობაუნარიანობა. აქ არ შეიძლება იმ ტრადიციული მოსაზრების მოყვანა, რომ იურიდიულ ქმედობაუნარიანობასა და ფიზიკურ-ფსიქოლოგიურ ქმედობაუნარიანობას შორის საერთო არაფერია. ამ ტრადიციულ შეხედულებას ყველა იცნობს. ლოლიკურად სამართლის ნორმაში, მსჯელობაში „უნდა იყოს“ არ შეიძლება იქნეს მოცემული მიმართება ფსიქოლოგიურ-ფიზიოლოგიურ-მოცონალურ შესაძლებლობისაკენ. სამართლის ნორმაში შეიძლება იყოს მიმართება მხოლოდ იმ შესაძლებლობისაკენ, რომლითაც თვით ნორმა უნდა განხორციელდეს. თუ ჩვენ ნორმის შინაარსს მიზნად აღვიარებთ, მაშინ განმახორციელებლის შესაძლებლობა მხოლოდ საშუალებად იქნება აღიარებული, ვინაიდან განხორციელების იდეა ყოველთვის საშუალების ცნებაშია მოცემული და საშუალებას კი ყოველთვის მიზნის ბეჭედი აზის. თვით მიზანში არის მოცემული ეიდეტური მიმართება რაღაცასკენ, როგორც საშუალებისაკენ, შესაძლებლობისაკენ. ამიტომაც უფლებრივი ნორმის მიერ ნაგულისხმევი განმახორციელებელი, ანუ განხორციელების შესაძლებლობა, არის მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებლობა ნორმის შინაარსის განხორციელებისა. ასე რომ იმდენად, რამდენადაც სუბიექტი ჩვენ სწორედ ნორმის განმახორციელებლად გვყავს წარმოდგენილი და სამართლის სუბიექტის სუბსტრატი ყოველთვის პირია, იურიდიული ნორმის მიერ ნაგულისხმევ სუბიექტში ყოველთვის ნაგულისხმევია ქმედობაუნარიანობა ნამდვილი იურიდიული მნიშვნელობით.

ვინაიდან, ვიმოვრებთ, იქ, სადაც ყალიბდება მსჯელობა სამართლის შესახებ, შეიძლება იქნეს ნააზროვნები მხოლოდ შესაძლებლობა ამ ნორმის შინაარსის განხორციელებისა. სხვაგვარ შესაძლებლობას ის ვერც იგულისხმებს. თვით ამ მსჯელობის სფეროში არც შეიძლება იქნეს მოცემული იდეა სხვა რაიმე შესაძლებლობისა, თუ არ იდეა თვით ნორმის შინაარსის განხორციელებისა და განმახორციელებლისა, ე. ი. იდეა ამ შინაარსის განხორციელების შესაძლებლობისა. ამრიგად, სამართალი სამართლის სუბიექტს გულისხმობს. ამ მნიშვნელობით არის სუბიექტი მოცემული ყოველი ნორმატიული ხასიათის მსჯელობაში. იდეა

ასეთი სუბიექტისა სამართლის ნორმას ისტორიულად კი არ ებმის, არამედ ის ყოველთვის იგულისხმება ნორმის მიერ.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სუბიექტის იდეა პიროვნებას გულისხმობს. როგორც ვიცით, ნაყოფი ებრიონალურ მდგომარეობაში, მცირეწლოვანი და სხვ., ჩვეულებრივად სამართლის სუბიექტებად ითვლებიან. როგორ შევეუთანებოთ ეს დებულება ჩვენს შეხედულებას?

სამართლის ნორმაში, როგორც ვთქვით, ყოველთვის ნაგულისხმევია სუბიექტი განსაკუთრებული ღირებულებითი აქტებისა. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ სუბიექტი ასეთი ღირებულებითი აქტების სუბიექტად არის აღიარებული, ის იაზროვნება როგორც ღირებულება, როგორც პოზიტიური ღირებულება, ამიტომ სამართლის სუბიექტში ნაგულისხმევი პირი ყოველთვის მოცემულია, როგორც ღირებულება. არ არსებობდა ასეთი პოზიტიური ღირებულებისა ნეგატიური ღირებულებად უნდა მივიჩნიოთ. და თუ სამართლის სუბიექტი სწორედ იმიტომ არის ღირებულება, რომ მასში ღირებულებითი აქტების x პიროვნება გვყავს წარმოდგენილი, ცხადია, რომ თვით სამართლის იდეის მიხედვით ჩვენ არ შეგვიძლია ღირებულებად არ აღვიაროთ რაღაც, რაც, ჩვენის აზრით, შესაძლებელ პიროვნებად უნდა გახდეს. თუ რაიმე კავშირით იდეა პირისა სადმე ებმის ადამიანს, ადამიანი თავისი ევოლუციის ყოველ საფეხურზე ღირებულებად უნდა იქნეს აღიარებული. მართლაც, რას ნიშნავს შესაძლებლობა პიროვნებად გახდომისა? ყოველთვის, როდესაც ჩვენ რაიმე მოვლენის შესაძლებლობაზე ვლაპარაკობთ. თვით ესგებლობაში შესაძლებლობის შესახებ მოცემულია იდეა იმისა, რაც შესაძლებელია. მაგალითად, თუ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია რაიმე აქტის განხორციელება, თვით იდეა ამ აქტისა მოცემულია მსჯელობაში შესაძლებლობის შესახებ. რაკი ვისმე აღვიარებთ, როგორც შესაძლებლობას პიროვნებად გახდომისას, ამ ვისმესში ყოველთვის აღვიარებთ იმ ღირებულებითი მომენტების შესაძლებლობას, რაც დამახასიათებელია ჩამოყალიბებული პიროვნებისათვის. მცირეწლოვანი ბავშვი და ის, რომელიც ჯერ კიდევ ებრიონალურ მდგომარეობაშია, ნორმის მიხედვით ლოლიკურად ღირებულებად არის აღიარებული, მხოლოდ არა როგორც ნამდვილი სუბიექტი ღირებულებითი აქტებისა, არამედ როგორც შესაძლებლობა პიროვნებად გახდომისა. ამ სახით აღიარების გამო მცირეწლოვანი ან ნაყოფი არის რაღაც, რომლის მიმართაც ყველა შეიძლება მოვალე იყოს შეასრულოს ის, რის შესრულებაც სამართლის სუბიექტების მიმართ ევალება ყველა. ხოლო თვით ეს რაღაც შეუძლებელია აღიარებულ იქნეს, როგორც შემსრულებელი იურდიული ღირებულებითი აქტებისა.

თუ ჩვენ სამართალს მხოლოდ დავუპირისპირებთ სუბიექტი განსაკუთრებული მნიშვნელობით, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც პიროვნებას არ წარმოადგენს, ჩვენ აუცილებლად უფლებრივ სიცილიერეში უნდა გადაგვეტანა. სრულებითაც არა! იმიტომ, რომ ჩვენ ზოგიერთ რასმე პერსონალური ღირსება ავჰყარეთ, ეს რამე სრულებითაც უფლებრივი სტიქიიდან არ გამოგვითმავს. ჩვენ აღვნიშნეთ მხოლოდ ის, რომ სამართლის ნორმას სუბიექტი შეუძლია იგულისხმოს მარტოდ განსაკუთრებული მნიშვნელობით. რა თქმა უნდა, შეიძლება გვითხრან, რომ თუ ასეთი კონსტრუქცია მივიღებთ, მაშინ უნდა შეი-



ცვალოს მთელი სისტემა რეალური ურთიერთობისაო, მაგრამ ეს ნაჩქარევი დასკვნა იქნება. ჩვენი შეხედულების თანახმად, მთელი სისტემა უფლებრივი ცხოვრებისა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც ურთიერთობა სუბიექტებისა ჩვენ მიერ აღებული მნიშვნელობით, ე. ი. სუბიექტები მხოლოდ ნორმების განმარტაციულელები არიან და როგორც განმარტაციულელები, ისინი ერთგვარ ურთიერთობაში იმყოფებიან. მაგრამ, ამას გარდა, ეს სუბიექტები ერთგვარ ურთიერთდამოკიდებულებაში არიან იმ სხვა ღირებულებათა მიწაით, რაც ნორმის მიერ აღიარებულია. ასე რომ, მთელი სისტემა უფლებრივი ცხოვრებისა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც ურთიერთობა სუბიექტთა შორის. ურთიერთობა აქ არის მხოლოდ შედეგი ნორმატიული სისტემის განხორციელებისა და ამ ნორმატიულ სისტემაში, როგორც ვთქვით, გვაქვს ნორმები, რომლის მიერ ღირებულებად არის ცნობილი ის, რაც შეიძლება პიროვნებად გახდეს.

მართლაც, რომ ავიღოთ სახელმწიფო, ის ხომ, უპირველეს ყოვლისა, ერთი განსაკუთრებული შინაარსის ნორმების სისტემას ნიშნავს. რა შეუძლია სახელმწიფოს იგულისხმოს თავის ნამდვილ სუბიექტებად? ჩვენ ვიცით, რომ, მაგალითად, რაიმე ერთეულის სუბიექტად ყოფნა იმავე დროს აუცილებლად ამ ერთეულის წევრობას ნიშნავს. ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი თავი რაიმე ორგანიზაციისა. კორპორაციისა ან ინსტიტუტის სუბიექტად წარმოვიდგინოთ, თუ არ როგორც ამ ინსტიტუტის წევრი. რას ნიშნავს ეს წევრობა? რა თქმა უნდა, ყველაზე ნაკლებად ფიზიკურ ადამიანობას, როგორც ფიზიოლოგიურ-ბიოლოგიურ-პარტიკულარულ მოვლენას. წევრობა ან სუბიექტობა აუცილებლად მთლიანობისადმი მიკუთვნებას გულისხმობს. აქ დაძლეულია პარტიკულარისმი ადამიანისა, ვინაიდან მთლიანობისადმი მიკუთვნებით ის სძლევს თავის განცალკავებას, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, თავის პარტიკულარულ ყოფას. მაგრამ რას ნიშნავს მთლიანობის წევრად, ან მთლიანობის მიერ ნაგულისხმევ სუბიექტად ყოფნა, თუ არ იმას, რომ ჩემი არსებით მე რაღაც სხვას ვახორციელებ. ე. ი. რას ნიშნავს ეს, თუ არ იმას, რომ მე ფუნქცია ვარ და, როგორც ფუნქცია, ყოველთვის განსაკუთრებული შესაძლო ღირებულებებით აქტების ცენტრი ვარ. აქედან თავისთავად ნათელია, რომ რაიმე კორპორაციაში, ან ინსტიტუტში იმდენად, რამდენადაც თავს მის წევრად ვთვალ, მე განვიცდი არა ჩემს ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობას, არამედ მხოლოდ იმ შესაძლებლობას, რომლითაც მე ამ კორპორაციის ან მთლიანობის ძირითად იდეას ნაწილობრივ პარტიკულარულად ვახორციელებ. აი ამიტომაც ჩვენ ვამბობთ, რომ ყოველ ინსტიტუტში, სულ ერთია როგორც უნდა იყოს მისი ბუნება, თუ ეს ინსტიტუტი გულისხმობს სუბიექტებს, წევრებს, ეს სუბიექტები აუცილებლად იგულისხმებიან, როგორც ინსტიტუტის ძირითადი იდეის განმარტაციულელები. ამ მხრით, თუ სახელმწიფოს ავიღებთ, როგორც სამართლის სისტემას, ცხადია, რომ ამ სამართლის სისტემას შეუძლია თავის წევრებად, სუბიექტებად მხოლოდ თავისი განმარტაციულელები იგულისხმოს. სხვანაირად ეს სისტემა სუბიექტებს, რომლებიც ამ შემთხვევაში წევრებია ამ სისტემისა, ვერ გადავხედავ. მაგრამ, როგორც ვთქვით, სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, სამართლის სისტემას ნიშნავს და თუ ეს სისტემა ვისმე წევრად ან თავის სუბიექტად გულისხმობს, თვით ეს სუბიექტი

ამ სისტემისათვის შეიძლება არსებობდეს მხოლოდ როგორც სისტემის განმახორციელებელი. ჩვენ აქაც უნდა გავიმეოროთ, რომ ასეთ შეხედულებას შეუძლია დაბადოს ერთგვარი გაუგებრობა. რაკი ჩვენ სახელმწიფოს მიერ ნაგულისხმევ სუბიექტად მხოლოდ სისტემის, ნორმების განმახორციელებელს ვგულისხმობთ, ეს კიდევ სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ამ უფლებრივ სისტემას არ ჰქონდეს აღიარებული, ან არ შეეძლოს აღიაროს ის, რაც არაპიროვნებას წარმოადგენს. ჩვენ ნათელსკაყვით, რომ ნაყოფი, ებრიონალურ მდგომარეობაში პიროვნება არ არის, მაშასადამე ის არც სუბიექტია. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ამ ებრიონის ბედი უფლებრივ სიცალიერეში მიმდინარეობდეს. ეს ებრიონი სამართლის მიერ აღიარებული ღირებულება და სამართლის ნორმების მთელი რიგის განხორციელებით ჩვენ ამ ღირებულებისათვის ენოქმედობთ. ჩვენ კიდევ უნდა მოვიყვანოთ ერთი მოსაზრება, რომელსაც შეიძლება უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდეს უფლებრივი სახელმწიფოს დასაბუთებისათვის.

თუ აღვიარებთ, რომ რისამე სუბიექტს ყოველთვის თანსდევს განცდა წევრობისა, ცხადია, რომ თვით ეს სუბიექტი თავის თავს ყოველთვის ფუნქციად გრძნობს. ფუნქციად თავის წარმოდგენა კი მთლიანობის ლოლიკურად აღიარებას ნიშნავს, ვინაიდან შეუძლებელია ჩვენი თავი ფუნქციად წარმოვიდგინოთ, თუ წინდაწინვე ლოლიკურად არ აღვიარებთ იმას, რისთვისაც მე ფუნქციონალურად ეხორციელდები. წევრობის განცდაში, იმისდამიუხედავად — არის ეს წევრობა ნებაყოფლობითი, თუ ჩემი ნებისყოფის წინააღმდეგ, მე ყოველთვის აღვიარებ იმას, რის წევროც ვარ. და როგორც წინააღმდეგ ვარ, უნდა ვგრძნობდეთ იმის მხრით, რის წევრადაც ჩვენი თავი გვაქვს წარმოდგენილი, არასოდეს ამ წნევას არ განვიცდით, როგორც უბრალო მექანიკური ძალის წნევას, ვინაიდან წმინდა ძალის წნევის განცდაში ყოველთვის არის ლოლიკური უარყოფა ამ ძალისა. ხოლო როდესაც მთლიანობის წნევას განვიცდით, ის უბრალო ძალად არასოდეს არ მიგვანჩნია, რადგანაც ჩემი წევრობის იდეაში მთლიანობა თავიდანვე ლოლიკურად არის აღიარებული.

როგორც ვიცით, სამართლის სუბიექტად აღიარებენ არა მარტო ადამიანს, რომელშიაც პიროვნებას გულისხმობენ, არამედ ხშირად ასეთ სუბიექტად მიაჩნიათ კოლექტივიც. რა სახით შეიძლება კოლექტივი აღიარებულ იქნეს სამართლის სუბიექტად, თუ სუბიექტი, როგორც ვთქვით, ნიშნავს  $x$ ს უფლებრივი აღიარებისას და  $x$ ს ღირებულებითი აქტებისას. რომ კოლექტივი შეიძლება იყოს  $x$  ღირებულებითი აქტებისა, ეს ადვილად წარმოსადგენია, მაგრამ რა სახით და მნიშვნელობით შეუძლიან კოლექტივს სუბიექტისათვის დამახასიათებელი პირველი მომენტის დაკმაყოფილება? ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი ცდილობს კოლექტივი განსაკუთრებული თავისებური, ემპირიული, რეალური ნებისყოფის აღმოჩენას. ფიზიკური პიროვნება ადამიანია; ადამიანის ერთ-ერთ დამახასიათებელ მომენტს კი ნებისყოფა წარმოადგენს და რადგანაც იურიდიული პირი და ფიზიკური პიროვნება სამართლის სუბიექტები არიან, ამიტომ როგორც ერთს, ისე მეორეს ერთი და იგივე ნიშნები უნდა ახასიათებდეს. ასე მსჯელობს ზოგიერთი. ჩვენ აქ არ შევჩერდებით იმაზე, თუ რამდენად დამახასიათებელია ემპირიული ნებისყოფა სამართლის სუბიექტისათვის. გარკვეული პასუხი ამ კი-

თხაზე ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ ჩვეულებრივ სახელმძღვანელოებში. ჩვენ მხოლოდ ორი მომენტია გვსურს აქ აღვნიშნოთ: 1) თუ იურიდიული პირისათვის დამახასიათებელია ერთი ნებისყოფა, როგორც შესდგება ეს ნებისყოფა და 2) თუ მივიღეთ, რომ ნებისყოფა საფუძველია იურიდიული პირისა, შეუძლიან თუ არა იურიდიულ პირს იარსებობს როგორც ინსტიტუტმა. რა თქმა უნდა, ძნელია ყველა იმ მოსაზრების მოყვანა, რასაც ეს საკითხები მოითხოვს და ჩვენ იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ მხოლოდ უმთავრესის აღნიშვნით. ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთები იურიდიული პირის ბუნების შესასწავლად მიჰმართავენ მასიურ ფსიქოლოგიას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ვერც ერთი მეთოდი, რომელიც ისე უფარგის იყოს იურიდიული პიროვნების განსამარტავად, როგორც ზემოაღნიშნული მეთოდი. ჩვენ აქ არ ვეხებით საერთოდ იმ საკითხს, თუ რამდენად გამოსადეგია ფსიქოლოგიური მეთოდი რაიმე იურიდიული მოვლენისა და ინსტიტუტის გასაგებად. ვისაც ეს საკითხი აინტერესებს, მას მიუთითებთ კელზენისა და ჰუსერლის მშვენიერ მონოგრაფიებზე, რომელშიც სრულიად ნათლად არის ნაჩვენები უფარგისობა ფსიქოლოგიური მეთოდისა იურიდიული ფენომენების შესასწავლად. არის კიდევ ერთი მომენტი, რომლის მახედვეთაც ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია იურიდიული პირის ბუნება მასიური ფსიქოლოგიის დახმარებით შევისწავლოთ, ვინაიდან, როგორც ამას დავინახავთ, იურიდიული პირი და მასსა სულ სხვადასხვა ბუნების მოვლენას წარმოადგენს. რას ვხედავთ ჩვენ მასში და რას ვხედავთ საზოგადოებაში, კოლექტივში, რომელიც ჩვეულებრივად იურიდიული პირის სუბსტრატად უნდა ჩაითვალოს? ყოველი მასისათვის დამახასიათებელი მომენტი სწორედ ნებისყოფათა იდენტიობაში მდგომარეობს. როგორც ჰიპნოზის დროს ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ჰიპნოტიზორისა და მედიუმის ერთმანეთისაგან განსხვავებულ ნებისყოფაზე, რადგანაც ბოლოს და ბოლოს იქ მხოლოდ ერთი ნებისყოფაა, სწორედ ასევე მასსაში არის პარალატეტი ნებისყოფათა, ან უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, ნეისყოფათა იმგვარი იდენტობა, რომ მასის არც ერთ წევრს არ შეუძლიან თავისი „მე“ სხვის „მე“ს დაუპირისპიროს. მასსაში შესაძლებლობა „ჩემისა“ და სხვისის დაპირისპირებისა სრულიად მოსპობილია. არც ერთ მომენტში, არც ერთ ეტაპში, არც ერთ აქტში ასეთი დაპირისპირება შესაძლებელი არ არის. აქ არის ერთი მოქმედება, თავისებური კოორდინაცია მასიური მოქმედებისა და სრული იდენტობა ნებისყოფათა. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია მასსა (რომელიც სულ სხვაა ნიშნავს, ვიდრე საზოგადოებრიობა), რომელშიაც ვისზე შევიწროვებთ სხვისი ნებისყოფის წნევის განცდა, ვინაიდან სხვისი ნებისყოფის წნევის განცდის ფენომენალი „სხვაა“. ხშირად, მაგალითად, ჰგონიათ, რომ ხელმწიფება-მორჩილება თითქოს სწორედ იმას ნიშნავდეს, რომ ერთ განსაკუთრებულ პირობებში ხელმწიფების სუბიექტს შეუძლიან თავისი ნებისყოფა მორჩილების სუბიექტის ნებისყოფად აქციოს. ეს არის ერთ-ერთი უდიდესი შეცდომა, რომელიც ჩვენ ფრიალ ხშირად ვხვდებით. ხელმწიფება-მორჩილება აუცილებლად გულისხმობს „მე“ს და „სხვა“ს.

ე. ი. ყოველთვის დაპირისპირებულია ჩემი და სხვისი ნებისყოფა, და რომ ასეთი დაპირისპირება არ იყოს, ხელმწიფება-მორჩილებას ყოველგვარი მნიშ-

ენელობა დაეკარგება. თუ ჩვენ დაუშვით, რომ ნებისყოფა არის დამახასიათებელი მომენტი იურიდიული პირისათვის, განა სულ უბრალო ანალიზი არ დაგვანახებებს, რომ საზოგადოებაში ან ინსტიტუტში პიროვნება სულ სხვა სახით და მნიშვნელობით არის მოცემული, ვიდრე მასაში?

ინსტიტუტში ჩვენ ყოველთვის მრავალგვარ წნევას განვიცდით, განვიცდით წნევას თვით ჩვენი ფუნქციისას და აგრეთვე სხვა ფუნქციის განმახორციელებლისას, ასე რომ, ყოველივე ამას ვკარძნობთ, როგორც ინსტიტუტის წნევას, როგორც ერთი ანტირეპრიზის, ერთი სამართლის სისტემის წნევას. ეს ასეა. განა შეგვიძლიან ჩვენ ყველა ასეთი წნევის განცდა სხვაგვარად, თუ არ „ჩემი“-სა და „სხვის“-ს დაპირისპირებით, თუ არ მუდმივი განცდით ჩემი და სხვისი ნებისყოფის სხვადასხვაობისა? როგორც ვხედავთ, ინსტიტუტში, იურიდიულ პირში, ე. ი. ყოველგან, სადაც ჩვენ შეგნებულად თანაგვარსებობთ, როგორც წევრები, თვით წევრობის განცდას თან ახლავს იდეა, აზრი ვილაციის შესახებ, რომელიც „სხვა“ არის, ვიდრე „მე“. ამგვარად ცხადია, რომ ამ სფეროში ჩვენ არ შეგვიძლია შევიქნათ იმ არგუმენტებით, რასაც იძლევა მასის ფსიქოლოგიის მეცნიერება. მაშ, როგორ უნდა გვესპოოდეს ჩვენ ის „ნებისყოფა“, რომელიც თითქოს მოცემულია ყოველ ინსტიტუტში და რომელიც თითქოს ბატონობს ინდივიდუალურ ნებისყოფაზე? რადგანაც ასეთ ხელშეწყობას და წნევას განიცდის ყოველი წევრი ამა თუ იმ ინსტიტუტისა, ამიტომ აუცილებლად მიაჩნიათ თვით ეს წნევა სხვისი და თავისი ნებისყოფის დაპირისპირებაზე დააძყარონ. მართალია, ყოველ ინსტიტუტში ადგილი აქვს დაპირისპირებას—„ჩემი“ და „სხვისი“, მაგრამ განა ეს დაპირისპირება შესაძლებელია მხოლოდ ორი სხვადასხვა ნებისყოფის დაპირისპირების ნიადაგზე? ჩვენ ხშირად განვიცდით მიზნისა, ამოკანისა, მთლიანობისა, ფუნქციისა, დანიშნულებისა, სამართლის ნორმისა და სხვ. წნევას, მაგრამ ამ მიზანს, ფუნქციას, დანიშნულებას, მთლიანობას თუ სამართლის ნორმას ჩვენს ფსიქიკას უპირისპირებთ, როგორც „რალაცას“ ჩვენგან განსხვავებულს, და ამ რალაცაში სრულებითაც არ ვგულისხმობთ ნებისყოფის არსებობას. მაგრამ თუ ჩვენ დაუშვით, რომ იურიდიული პირისათვის, ინსტიტუტისათვის ნებისყოფა ისეთივე დამახასიათებელი მომენტია, როგორიც ადამიანისათვის, მაშინ ჩვენ რუსოს ტერმინოლოგია უნდა მივიღოთ და აღვიაროთ, რომ ინსტიტუტის, იურიდიული პირის ნებისყოფა შეიძლება ან *volonté générale*, ან „*volonté des tous*“ იყოს, მაგრამ *volonté générale*-ის გამოყენება ამ შემთხვევაში სრულიად შეუძლებელია, ვინაიდან როგორც რუსოს საუკეთესო ინტერპრეტატორებმა კანტმა, ფიხტემ და მათ შემდეგ სამართლის ფილოსოფოსმა რუდოლფ შტამპლერმა ნათელაყვეს, რუსოს „*volonté générale*“-ს არაფერი საერთო არა აქვს ემპირიულ, ფსიქოლოგიურ ნებისყოფასთან, ეს არის მხოლოდ აპრიორული სახელმძღვანელო პრინციპი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ყოველმა კანონმდებელმა და ვინც შეეცდება, როგორც, მაგალითად ტრაიპელი, როდესაც ის საერთაშორისო სამართლის ობიექტივტეტის დამტკიცებას ცდილობდა, *volonté générale*-ს (როგორც ნამდვილი ნებისყოფა) და ინდივიდუალური ნებისყოფა ერთმანეთს დაუპირისპიროს, როგორც ორი ბუნებით ერთნაირი, ხოლო სიძლიერით განსხვავებული მოვლენა, ის ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწევს.

ნიჩაიდან *volonté générale* არის აპრიორული, სახელმძღვანელო პრინციპი, ნორმა, რომელსაც ემპირიულ ნებისყოფასთან საერთო არაფერი აქვს. მაშინდა, თუ ამ *volonté générale*-ს ნამდვილ ნებისყოფად ვერ აღვიარებთ, მაშინ გამოდის, რომ იურიდიული პირისათვის (თუ მისთვის ნებისყოფა ძირითად მომენტად მივიჩნევთ) ასეთ ნებისყოფად შეიძლება მხოლოდ იყოს „*volonté des tous*“. მაგრამ რას ნიშნავს ინსტიტუტისათვის ასეთი მომენტი დაშვება? საკმარისია აღვიაროთ, რომ „*volonté des tous*“ არის ძირითადი მომენტი ყოველი იურიდიული ინსტიტუტისა, რომ მაშინვე დაეინახოთ, თუ რა სუსტ პოზიციაზე დგანან ისინი, ვინც ამ თვალსაზრისს იზიარებენ. მართლაც, რა არის თავისთავად „*volonté des tous*“, თუ არ ინსტიტუტის წევრების ინდივიდუალურ ნებისყოფათა ჯამი? ე. ი. იმისთვის, რომ ჩვენ წევრების ნებისყოფათა ჯამზე ვილაპარაკოთ, ცხადია, რომ რაღაც, როგორც ინსტიტუტი, მთლიანობა, წინასწარ უნდა იქნეს მოცემული, რადგანაც ჩვენი წევრობა ერთ მთლიანობას ან ინსტიტუტს გულისხმობს. მაშასადამე, რომ ჩვენ ვილაპარაკოთ ინსტიტუტის წევრების ნებისყოფაზე, თვითარსებობა ინსტიტუტისა, რომელიც აღნიშნავს—ვის ნებისყოფათა ჯამი შეადგენს *volonté des tous*, ესე იგი ინსტიტუტი—უნდა იქნეს ნაკულისხმევი ამ *volonté des tous* ჩამოყალიბებამდე. აქედან ცხადია, რომ „*volonté des tous*“ თვით ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი ვერ იქნება, რადგანაც, როგორც დაეინახეთ, „*volonté des tous*“ წინასწარ არსებულად გულისხმობს თვით ინსტიტუტს ანუ სამართლის ნორმათა სისტემას. რა თქმა უნდა, შეიძლება გვიოხრან, რომ „*volonté des tous*“-ში გულისხმობენ ინსტიტუტის დამფუძნებელთა ნებისყოფას. მაგრამ ესეც უნდა უარყოთ, ვინაიდან იმას, რაც ჰქმნის ისტორიულად ამა თუ იმ ინსტიტუტს, თვით ინსტიტუტის ბუნების დამახასიათებლად ჩვენ ვერ ჩავთვლით. შეიძლება იურიდიული ინსტიტუტი იყოს შედგენიერ თვითგარი შეთანხმებისა, ხელშეკრულებისა, მაგრამ შეთანხმება, ხელშეკრულება სულ სხვა არის, ვიდრე ის ინსტიტუტი, რომელიც ამ შეთანხმებისა ან ხელშეკრულების ნიადაგზე აღმოცენდა. შეიძლება ინსტიტუტის წარმოშობი მიზეზები ადამიანთა უბრალო კაპრიზი იყოს, მაგრამ როდესაც ინსტიტუტი წარმოიშვა, აქ უკვე სულ რაღაც ახალი რამ დაიბადა, და ამ ინსტიტუტში დამაარსებელთა შორის შექმნილი დამოკიდებულება, სულ სხვა ბუნების და მნიშვნელობისაა, ვიდრე ის დამოკიდებულება, რაც ინსტიტუტის წარმოშობამდე დამფუძნებელთა შორის არსებობდა. ინსტიტუტი უნდა იქნეს აღებული, როგორც საესებით დამთავრებული მთლიანობა, როგორც ერთგვარი შინაარსის სამართლის სისტემა, და თუ მკვლევარს სურს ინსტიტუტში შექმნილი ურთიერთობის შესწავლა, მისი თვალი ინსტიტუტის საზღვრებს არ უნდა სცილდებოდეს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ იურიდიული მოვლენის ნებისყოფით განმარტება, იურიდიული მოვლენის უარყოფას უნდა ნიშნავდეს. ჩვენ ვერავითარ მოვლენას, ინსტიტუტს იურიდიულ ინსტიტუტად ვერ ჩავთვლით, თუ თვით ეს ინსტიტუტი განსაკუთრებულ ნორმათა სისტემას არ წარმოადგენს. ინსტიტუტი ჩვენ იმითმ მიგვაჩნია იურიდიულ ინსტიტუტად, რომ ამ ინსტიტუტში თვით სამართლის შინაარსს ვხედავთ. აი თუ იურიდიული ინსტიტუტისათვის გადამწყვეტ მომენტად ჩვენ ნებისყოფას აღვიარებთ, ინსტიტუტი დაჰკარგავს იმ სავალდებულო ხასიათს, რო-

მლითაც ის ჩვენ, როგორც წევრებს, ყოველთვის გვევლინება. ცხადია, რომ ნებისყოფა იურიდიული ნო-მის, თუ იურიდიული ინსტიტუტის საფუძვლად ან ძირითად მომენტად ვერ იქნება აღიარებული. ნებისყოფაში მოცემულ გლემენტთა წყობაში და თვით ნებისყოფის აქტის მიმდინარეობაში აო იკვეთება იდეა მოვალეობისა, და ამიტომაც, თუ ნებისყოფას ინსტიტუტის, სამართლის სისტემის საძირკვლად აღვიარებთ, ჩვენთვის სავსებით გაუგებარი იქნება—საიდან ლებულობს ინსტიტუტი იმთავითვე სავალდებულო ბუნებას, რომლითაც ის ჩვენ, როგორც წევრებს, ყოველ წუთში გვევლინება. კ რ ა ბ ე ს ი, კ ე ლ ზ ე ნ ი ს ა, ზ ა ნ დ ე რ ი ს ა და მ ე რ კ ლ ი ს თეორიების მიხედვით ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ: ან სამართალი და იურიდიული ინსტიტუტი, ან და ნებისყოფა, სულ ერთია, ვისი ნებისყოფაც უნდა იყოს ეს. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა შედეგამდე მივიღენ სპინოზა და ჰეგელის იმით, რომ სახელმწიფო ნებისყოფა მათ სამართლის წყაროდ აღიარეს; მათ უარყვეს საერთაშორისო სამართალი, ხოლო აქედან საერთოდ სამართლის უარყოფამდე ერთი ნაბიჯია. სპინოზასა და ჰეგელის შემდეგ არა ერთხელ უცდიათ ნებისყოფა იურიდიული მოვლენების საფუძვლად გამოეცხადებინათ და სპინოზა-ჰეგელის კონცეპციიდან გამომდინარე შედეგების თავიდან ასაცილებლად სხვადასხვა ზომებისათვის ნიუმართავთ, მაგრამ თუ მათ მიუღიათ სხვა დასკვნები, მხოლოდ აუარებელი შინაგანი წინააღმდეგობის საშუალებით.

ყველა, ვინც კი სამართლის სახელმწიფოებრივი თეორიის ძირითად საფუძვლებს ლოლიკურად განავითარებს, უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რა დასკვნამდეც მივიდენ სპინოზა და ჰეგელი. ჩვენ რუსოს ტერმინოლოგია ვიხმარებთ და ვთქვით, რომ ინსტიტუტში ნაგულისხმევი ნებისყოფა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ან როგორც *volonté générale* ან როგორც „*volonté des tous*“. ჩვენ განზრახ ვიხმარებთ რუსოს ეს ტერმინები, ვინაიდან მხოლოდ ამ ორი სახით შეიძლება ვიგულისხმოთ იურიდიული პირის ნებისყოფა. მართალია, არის სხვადასხვა ცდა იურიდიული ნებისყოფის განმარტებისა და დასაბუთებისა, მაგალითად, ლაპარაკობენ ნებისყოფათა კოორდინაციაზე, ნებისყოფათა პარალიტეტზე და სხვა, მაგრამ ყოველი ასეთი განმარტება უბრალო ფრაზეოლოგიას არ სცილდება და სულ ზერულე დაკვირვებაც კი ნათლად გვიჩვენებს, რომ ყველა ესენი ბოლოს და ბოლოს „*volonté générale*“, ან და „*volonté des tous*“ გულისხმობენ. როდესაც სხვადასხვა ზომას მიჰმართავენ იმისათვის, რომ ემპირიულ ნებისყოფათა დაკავშირებით, მათი შეთანხმებით, მიიღონ „*volonté générale*“, ეს სწორედ იმის მომასწავებელია, როგორც ვთქვით, რომ „*volonté générale*“-ის ბუნება ნათლად არა აქვთ წარმოდგენილი და ჰგონიათ, რომ ნებისყოფათა ერთმანეთზე ამა თუ იმ სახით გადაბმა საშუალებას მოგვცემს მივიღოთ რეალური, ემპირიული, ფსიქიური „*volonté générale*“.

სწორედ ის, რაც ჩვენ ნებისყოფაზე ვთქვით, შეგვიძლიან განვიმეოროთ იმ თეორიების მიმართ, რომლებიც იურიდიულ პირს და ინსტიტუტს მიზნის საშუალებით განმარტავენ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ამ თეორიებს აქვს ერთი უდიდესი მეთოდოლოგიური შეცდომა, რომელზედაც უსათუოდ უნდა მიუთითოთ. რა სახითაც უნდა იყოს აღებული ინსტიტუტის მიზანი, იმისდამიუ-

ხედავად, თუ როგორ არის აღწერილი ისტორია ამ მიზნის ჩამოყალიბებისა, მისი აღიარება იურიდიული პირის ბუნების ერთ-ერთ მთავარ და ძირითად მომენტად, ცნებათა არევაზეა დამოკიდებული. თუ, მაგალითად, ვინმე რაიმე მიზნით ჰქმნის იურიდიულ პირს, ეს ხომ თავისთავად ცხადია, რომ ის, რასაც ჰქმნიან სულ სხვა არის, ვიდრე ის, რისთვისაც ამ რაღაცას ჰქმნიან. სხვა არის იურიდიული პირი და სხვა არის ის მიზანი, რომლითაც ხელმძღვანელობენ ამ იურიდიული პირის დამაარსებელი სუბიექტები. ამიტომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლიან იურიდიული პირის, ინსტიტუტის ცნებაში შევიტანოთ ის მომენტები, თუნდაც მიზნები, რომლებიც ამ იურიდიული პირის შექმნის მიზეზებად მიგვაჩნია.

არის კიდევ ერთი მოსაზრება: თუ მიზანი, ე. ი. ის მიზნები, რომელნიც წინ უსწრებენ იურიდიული პირის ჩამოყალიბებას, დამახასიათებელი მომენტია იურიდიული პირისა, მაშინ თავისთავად აშკარაა, რომ აქ ერთგვარ *circulus vitiosus*-ს აქვს ადგილი. ესე იგი იურიდიული პირი უფრო ადრე არის მოცემული, ვიდრე მისი დამახასიათებელი ძირითადი მომენტები—მიზანი. მართლაც, წარმოვიდგინოთ, რომ მიზანი, რომელიც ჰქმნის ინსტიტუტს, არის დამახასიათებელი თვით იურიდიული პირისათვის. თქმა იმისა, რომ „მიზანი ჰქმნის“, ნიშნავს იმას, რომ როდესაც მიზანი ყალიბდება, ჩვენ არ ვიცით რა არის იურიდიული პირი. მიზნები სხვადასხვაგვარია და რომ ამ მიზნათა კატეგორიაში მხოლოდ ერთი რომელიმე გამოვსახოთ და ის იურიდიულ პირისათვის დამახასიათებლად აღვიაროთ, ამასათვის წინასწარ უნდა იქნეს მოცემული ცნება იურიდიული პირისა, ე. ი. ხელთ უნდა გვქონდეს იურიდიული პირის ჩამოყალიბებული იურიდიული შინაარსი. ამიტომ თუ ჩვენ ყოველთვის მიზანზე ადრე უნდა ვიგულისხმოთ ის რაღაც, რითაც შეგვიძლიან მიზანს შივალწივით, ცხადია, რომ იურიდიული პირის ცნებაში, როგორც დამთავრებულ შინაარსში, ჩვენ არ შეგვიძლიან არავითარი ახალი ელემენტების, ამ შემთხვევაში მიზნის შეტანა. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლიან აღვიაროთ, რომ ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად აუცილებელია იურიდიული პირის ან ინსტიტუტის არსებობა. თუ ასე დავსვათ საკითხს, ესეც იმის მაჩვენებელი იქნება, რომ რაღაც, რასაც ჩვენ იურიდიულ პირს ან ინსტიტუტს ვეძახით, ამ მიზნის დამოუკიდებლად გვაქვს წარმოდგენილი და ამიტომაც მეთოდოლოგიურად თვით საკითხი იურიდიული პირისა ან ინსტიტუტის შესახებ მიზნის დამოუკიდებლად უნდა იქნეს შეაწავილი. როგორც ვხედავთ, მიზნები, რომლითაც ხელმძღვანელობენ იურიდიული პირის დაარსებისათვის, ე. ი. მთელი სისტემა მიზნებისა, რაც წინ უსწრებს იურიდიული პირის ჩამოყალიბებას, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს აღიარებული იურიდიული პირის ბუნების დამახასიათებელ მომენტად ეს უნდა გვქონდეს ყოველთვის მხედველობაში, როდესაც გვსურს იურიდიული პირის ცნებაში შევიტანოთ მსგელობა იმ მიზნის შესახებ, რომელიც ისტორიულად წინ უსწრებს იურიდიული პირის შექმნას.

მეორეს მხრივ, უფრო ყალბ ნიადაგზე დგანან ისინი, ვინც იურიდიული პირის შინაარსის დამახასიათებელ მომენტად თვლიან იმ მიზნებს, რასაც თვით იურიდიული პირი ისახავს. ასეთი დებულების სისუსტე თავისთავად ნათელია.

თუ ჩვენ რომელიმე მიზანზე ვლაპარაკობთ, როგორც იურიდიული პირის მიზანზე, ცხადია, რომ არის რაღაც, რასაც ჩვენ იურიდიულ პირს ვეძახით, რომელიც მიზანს ისახავს. ესე იგი, ერთია იურიდიული პირი და სულ სხვაა მისი მიზანი, თუნდაც წყარო ამ მიზნისა თვით ეს იურიდიული პირი იყოს. როგორც არ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ სუბიექტი და ის მიზანი, რომელსაც ის ისახავს, ერთი და იგივეაო, სწორედ ისევე არ შეგვიძლიან იურიდიული პირის 'მინაარსი მისი მიზნებით განმარტოთ. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიაც მიზნები გულახლოვნიან იურიდიული პირის არსებობას, და ანიტომ ამ უკანასკნელის ბუნება შესწავლილ უნდა იქნეს იმ მიზნებისაგან დამოუკიდებლად, რასაც ეს იურიდიული პირი ისახავს. ეს მოკლე ანალიზი გვიჩვენებს, რომ იურიდიული პირი, როგორც გაკვეთული შინაარსი, ყოველთვის მოთავსებულია ორ მიზანთა სისტემის შორის: ერთია მიზანთა ის სისტემა, რომელიც მას წინ უსწრებს, მეორეა ის სისტემა, რომელიც მას მოსდევს. არც ერთი და არც მეორე იურიდიული პირის ბუნების დასასაბუთებლად არ გამოდგება. მესამე სისტემა მიზნებისა კი ჩვენ ვერ წარმოვადგენია. ზემო ნათქვამიდან თავისთავად ცხადია, ყველა ის თეორია, რომელიც ედილობს იურიდიული პირის ბუნებას საფუძვლად დაუდოს „ნებისყოფათა ერთიანობა“ ან „მიზანთა ერთიანობა“, უვარგის თეორიად უნდა მივიჩნიოთ.

მაგრამ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ იურიდიული პირის არსებობა? შეიძლება თუ არა იურიდიული პირი იყოს სხვა რამ, თუ არ ნორმათა სისტემა? აი ის მეთოდოლოგიური კითხვა, რომელიც თავისთავად იბადება. ჩვენ ვიცით, რომ უფლებრივი აზროვნება, ეს ერთი აქტია, აქტი არა ამ სიტყვის ტრადიციული მნიშვნელობით, არამედ როგორც ერთგვარი Bewusstseinsereignis, როგორც ერთგვარი cogitativ. შეუძლიან ამ უფლებრივ აზროვნებას ჰქონდეს მიმართება სხვა რამისაკენ, თუ არ სამართლისაკენ, უფლებრივი ნორმისაკენ? არაერთარ შემთხვევაში. უფლებრივი აზროვნებით მხოლოდ სამართალი შეიძლება იქნეს გაგებული. უფლებრივი აზროვნების ინტენციონალური საგანი მხოლოდ სამართლის ნორმა შეიძლება იყოს. ეს უდაო დებულებაა, და ვეძებთ, რომ ამ დებულების საწინააღმდეგოდ შეიძლებოდეს რაიმე მოსაზრების მოყვანა. აქედან თავისთავად ნათელია, რომ თუ იურიდიული პირი იურიდიული აზროვნების საგანია, ის მხოლოდ სამართლის ნორმათა სისტემას უნდა ნიშნავდეს. ამ მხრივ კელ ზენის დებულება მეთოდოლოგიურად სწორია. მაგრამ თუ კელ ზენი ამბობს, რომ იურიდიული პირი არის ნორმათა ერთი გაპიროვნებული სისტემა, თავისთავად იბადება კითხვა, თუ რა ხასიათისაა ის ნორმათა სისტემა, რომელიც სხვა ნორმებთან ერთად პოზიტიური სამართლის სისტემას ჰქმნის და რომელსაც ჩვენ იურიდიულ პირად ვთვლით? იურიდიული პირი, ჩვენის აზრით, უნდა ნიშნავდეს იმ ნორმათა ერთ სისტემას, რომელშიაც მოცემულია ერთი ანტიკაპრიზა. სახელწიფო, კორპორაცია, რაიმე საზოგადოება, იმდენად, რამდენადაც ჩვენ მათ იურიდიულ პირად აღვიარებთ და ამით მათ იურიდიული აზროვნების საგნად ვთვლით, აუცილებლად ნორმათა ერთ განსაკუთრებულ სისტემას წარმოადგენს, ხოლო ამ ნორმათა გაზოგადების შესაძლებლობა ამ სახელწიფოს, კორპორაციისა და საზოგადოების წევრად გვხდის. ასე რომ, იუ-



რიდიული პირი უფლებებუნარიან სუბიექტს კი არ წარმოადგენს, არამედ ის არის თვით ნაწილი პოზიტიური სამართლისა, რომელიც, როგორც ყოველი სამართლის ნორმა, გულისხმობს განმარტაციულელებებს, ანუ ქმედობაუნარიან სუბიექტებს. მაგრამ ბევრს შეუძლიან სრულიად სამართლიანად იკითხოს: თუ ასეთია იურიდიული პირის ბუნება, როგორ შეიძლება ჩვენ მის მიმართ ვალდებულები ვიყოთ, ანდა როგორ შეგვიძლიან ჩვენ ასეთი იურიდიული პირის სახელით ვიმოქმედოთ? შეცდომაა სწორედ იმაში მდგომარეობა, რომ ტრადიციულმა შეხედულებამ იციის მხოლოდ პერსონალური ღირებულება და მხედველობაში არ იღებს, რომ პერსონალურ ღირებულებათა გარდა არის ღირებულებათა მთელი სისტემა, რომელშიაც სხვადასხვა ღირებულებითი მომენტი იერარქიულ დამოკიდებულებაში იპოვება. ღირებულებითი მომენტი, — ეს არის ყოველ სამართლის ფუნდამენტური მომენტი. „უნდა იყოს“ იმითომ, რომ, ის, რაც უნდა იყოს, ღირებულებითს მომენტს წარმოადგენს. მაგრამ ასეთ ღირებულებით მომენტად სამართლის ნორმა მარტო პიროვნებას კი არ აღიარებს, არამედ მრავალ სხვადასხვა ხასიათის ღირებულებასაც. ყოველი ნორმის განხორციელება აუცილებლად წარმოადგენს ამ ღირებულებითი მომენტის განხორციელებას, და რადგანაც თვით სამართლის ნორმა არის მიზანი, ცხადია, რომ ასეთი ნორმის განხორციელება იმ ღირებულების სახელით სწარმოებს, რომელიც სამართლის ნორმაში იმანენტურად მოკმეულ მიზანს თან ახლავს. განა აქედან ცხადი არ არის, რომ ვინმესათვის მოქმედება ან სხვისი სახელით მოქმედება სრულებითაც არ მოითხოვს, რომ ის, რის სახელითაც ვმოქმედობთ, ან ის, ვისთვისაც ვმოქმედობთ, აუცილებლად პიროვნებად იქნეს ცნობილი? ვიცით, რომ შვეიცარიის კონსტიტუციის 25 პუბლის პირველი შენიშვნა სასაკლავო პატრონს ავალებს, რომ პირუტყვი დაკლის წინ გაბრუებულ იქნეს. აქ თითქოს პირუტყვებისთვის მოქმედებენ. მაგრამ ეს მოქმედება პირუტყვებისადმი მხოლოდ სპეციფიური შინაარსის ნორმის განხორციელების შედეგია.

1926 წელს ერთმა მდიდარმა ინგლისელმა თავის ძაღლებს დაუტოვა 75 ათასი გირვანქა სტერლინგი. რა თქმა უნდა, ძაღლს არც ერთი კანონმდებლობა არ სთელის სამართლის სუბიექტად. და ამიტომ ის ვერც მემკვიდრე იქნება, მაგრამ სხვების საშუალებით, რომელთაც აქვთ უფლება გარდაცვალებული მდიდარი ინგლისელის სახელით იმოქმედონ, ფული ძაღლებს მოხმარდება, ე. ი. ეს მდიდარი ინგლისელი და მის მიერ დასახელებული პირები, ბოლოს და ბოლოს, პოზიტიური სამართლის ზოგიერთი ნორმების განხორციელებით, ძაღლებსაათვის მოქმედობენ. საჭიროა აქ ძაღლები სამართლის სუბიექტად ვცნოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ზოგიერთი მოქმედება აქ ძაღლებისათვის სწარმოებს? სრულებითაც არა!

ჩვეულებრივად ჰკონიათ, რომ მოვალეობის შესრულება ჩვენ მხოლოდ ადამიანის, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, სამართლის სუბიექტის მიმართ შეგვიძლიან. ამიტომ ფიქრობენ, რომ ის, რის მიმართაც ჩვენ ნორმის ძალით ვალდებული ვართ, აუცილებლად პიროვნება უნდა იყოს. ამით აიხსნება ის გაოგმობაც, რომ ზმირად მიმართავენ სხვა დასხვა ხელოვნურ საშუალებებს, აწარმოებენ ერთგვარ სტილიზა-

ციას მხოლოდ იმით, რომ პიროვნებად წარწოდვინონ რაღაც, რასაც ნაძვილ პიროვნებასთან საერთო არაფერი აქვს. პიროვნება, როგორც ვთქვით, სამართლის მიერ ყოველთვის იგულისხმება. როგორც სუბიექტი შესაძლო ღირებულებითი აქტებისა. მაშასადავე. პიროვნება უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ნორმის განმახორციელებელს. პიროვნება არის რაღაც, რასაც შეუძლია ღირებულებითი აქტების მოხდენა. თუ პიროვნება ასეთი წნიშვნელობით არ ვიგულისხმებთ, ის სავსებით მოწყდება სამართალს. ჩვენ თავის დროზე აღვნიშნეთ, რომ სამართლის სუბიექტის ცნება აუცილებლად გულისხმავს ქმედობაუნარიანობის მომენტს. თუ მას ასეთი მომენტი არ ახასიათებს, ის არც სამართლის სუბიექტი შეიძლება იყოს. ამიტომაც შემცდარად უნდა ჩაითვალოს ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც, რაღაც ქმედობაუნარიანობას მოკლებული მინც სამართლის სუბიექტია. მაგრამ თუ მას სამართლის სუბიექტად ვერ ჩავთვლით, თავისთავად იხადება კიხეა, როგორი ურთიერობაა შესაძლებელი იმასთან, რაც სამართლის სუბიექტად მიჩნეული ვერ იქნება? ვიმეორებთ, გაუგებრობა ამ საკითხში მდგომარეობს, ერთის მხრით იმაში, რომ ძველია, თითქოს სამართალი მხოლოდ ერთ ღირებულებას, სახელდობრ პერსონალურ ღირებულებას ცნობდეს და, მეორეს მხრით კი იმაში, რომ ფიქრობენ — თუ ქმედობაუნარიანი სუბიექტი ვისიმე ან რისიმე სახელით მოქმედობს, — ის. ვისი სახელითაც იგი მოქმედობს, აუცილებლად სამართლის სუბიექტად უნდა იყოს აღიარებული. სამართლის ნორმამ იცის არა მარტო პერსონალურა ღირებულება, არამედ მას შეუძლია, მაგალითად ღირებულებად აღიაროს კულტურა, შეუძლიან იკისროს რაიმე იდეოლოგიისა ან რელიგიური დოგმების მუარველობა, შეუძლიან ეროვნება ან კლასი აღიაროს ერთადერთ ღირებულებად და სხვა. განა ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა აღნიშნული ღირებულება აუცილებლად პერსონალური თვისების ღირებულებაა? განა ეს იმას ნიშნავს, რომ სამართლის ნორმას არ შეუძლიან ამ ღირებულებათა მინართ რაიმე დაგვაყვალოს, ისე თუ ეს კულტი, დოგმატი, იდეოლოგია გაპიროვნებული არ იქნა? ნუ თუ არ შეიძლება ამ კულტის, დოგმატის, იდეოლოგიის სახელით მოქმედება, თუ ეს იდეოლოგია, კულტი, დოგმატი ან სხვა რამ სამართლის სუბიექტად არ წარმოვიდგინეთ?

იმის მიმართ, რაც სამართლის მიერ ღირებულებად არის აღიარებული, ჩვენ შეიძლება თვით ნორმის მიერ ვიყოთ ვალდებული, იმისდამიუხედავად, თუ რა ხასიათისა და წნიშვნელობისაა სამართლის მიერ აღიარებული ღირებულება — პერსონალური, თუ არა პერსონალური. თვითველ ასეთ შემთხვევაში იმ ნორმის განხორციელებით, რომელიც ჩვენ გვავალებს, — ჩვენ იმის სახელით ვმოქმედობთ, რაც სამართლის ნორმის მიერ ღირებულებად არის აღიარებული. სწორედ იმავე წესით, რა წესითაც ჩვენ ჩვენთვის და ჩვენის სახელით ვმოქმედობთ (აქაც იურიდიული ნორმებს ვანხორციელებთ), სწორედ ამავე წესით შეიძლება სამართლის ნორმამ დაგვაყვალოს — სხვისი სახელით ვიმოქმედოთ.

სამართლის ნორმების განხორციელებით ხან ჩვენთვის და ხან ჩვენის სახელით ვმოქმედობთ, ხან კი სხვისთვის და სხვისი სახელით, ასე რომ, ის, ვისი სახელითაც ვმოქმედობთ, შეიძლება არც იყოს სამართლის სუბიექტი. სხვისი სახელით მოქმედება სრულეზიზაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს სხვა აუცილებლად

პიროვნება უნდა იყოს. კულტურა, დოგმატი, იდეოლოგია, იმდენად, რამდენადაც ისინი სამართლის მიერ ღირებულებად არიან აღიარებული, ერთგვარ ამოცანად იქცევა. რადგანაც ეს კულტურა, იდეოლოგია და სხვა, როგორც ღირებულებითი მომენტი, სამართლის ნორმის შინაარსში შედის, ამიტომ რამდენადაც ნამდვილი სუბიექტი ამ ნორმებს ააორციელებს, იმდენად ნორმების განხორციელებით ანხორციელებს იმ ანტრეპრიზას, რომელიც შეიძლება დოგმატი, კულტურა, იდეოლოგია, ან კიდევ სხვა რამ იყოს. მაშასადამე, მოქმედებს სამართლის სუბიექტი თავისთვის, თუ სხვისთვის, თავისი სახელით, თუ სხვისი სახელით, ის ყოველთვის ნორმებს ანხორციელებს. რა თქმა უნდა, ჩვენ რომ გვწამდეს მითი ბუნებრივი სამართლისა, ან და სამართლისა — die mit uns geboren ist, მაშინ თავისთავად ნათელი ჩვენი თეორიის კონსტრუქციობა სხვანაირი უნდა ყოფილიყო. მაგრამ თუ უდაოა, ერთის მხრით, ის, რომ უფლებრივი ცხოვრებისა და უფლებრივი სფეროს ელემენტები არიან მხოლოდ პოზიტიური საქართალი, უფლებრივი სუბიექტები და განხორციელება ამ სუბიექტების მიერ ამ პოზიტიური საქართლისა და, ნეორეს მხრით, იურისპრუდენციის საგანი მხოლოდ სამართალი შეიძლება იყოს, — სხვა დასკვნის მიღება თუ არ იმ დასკვნისა, რაც ჩვენ მივიღეთ, ყოველად შეუძლებელია. განა ზემოთქმულიდან ცხადი არ არის, რომ იმდენად, რამდენადაც ესა თუ ის ანტრეპრიზა ერთ ნორმათა სისტემაშია მოცემული, ამ ნორმათა სისტემის ანტრეპრიზას შეუძლიან იგლისხმოს მხოლოდ პიროვნებანი, როგორც ქვეუბანურიანი სუბიექტები? ამგვარად, მოქმედი იურიდიული პირი, ჩვენი კონსტრუქციის თანახმად, არის ერთი სპეციფიური შინაარსის ნორმათა სისტემის განხორციელება ნამდვილი სამართლის სუბიექტების მიერ.

„იურიდიული პირი“ წარმომადგენელი, აღმინისტრაცია, მართველობა და სხვ. იურიდიული პირის ნებისყოფას კი არ ახორციელებს, არამედ მას სპეციფიური შინაარსის ნორმის განხორციელება, რაც იმ ნორმათა კომპლექსში შედის, რომელშიაც მოცემულია ერთი ანტრეპრიზა, ქმნის წარმომადგენლად მმართველად, აღმინისტრაციად, გამგებლად და სხვ.

ეს, რა თქმა უნდა, სრულებითაც იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც ამ სუბიექტების მიერ ხორციელდება, ამ ნორმის განხორციელებისათვის ხორციელდებოდეს. სრულებითაც არა! აქ უპირველეს ყოვლისა, ხორციელდება ერთი ანტრეპრიზა და ამიტომაც იმ შემთხვევაში, როდესაც სამართლის სუბიექტს შეუძლიან ნორმა თავისთვის და თავისი სახელით განხორციელოს, ის ანტრეპრიზის, ე. ი. სხვისი სახელით მოქმედობს.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ანტრეპრიზა შეიძლება აღიარებული იქნეს, მაგრამ ის შეიძლება არ ხორციელდებოდეს, ისე როგორც ხშირად არ ხორციელდება ნორმა. ისე, როგორც ყოველ ნორმას შეუძლიან თავის ფაქტიურ განმახორციელებელს მომავალში გულისხმობდეს, სწორედ ასევე ანტრეპრიზას, რომელიც ნორმათა კომპლექსში გვაქვს მოცემული (მომავალი), შეიძლება ფაქტიური განმახორციელებელი აკლდეს, ამას ნიშნელობა არა აქვს. საქმე ის არის, რომ თუ ამ ნორმებმა განხორციელება იწყა, განმახორციელებელი უსათუოდ ანტრეპრიზის სახელით მოქმედი იქნება.

## ლევან გოციელი.

### სიმრავლეთა თეორიის წინაღმდეგობანი.

1. სიმრავლეთა თეორიის წინაღმდეგობათა გადალახვის ცდები. სიმრავლეთა თეორიისა და Hilbertის აქსიომატიკის კრიტიკა.

მას შემდეგ, რაც სიმრავლეთა თეორიაში წინაღმდეგობანი აღმოჩნდა, შეუჩერებელი ცდები წარმოებს როგორც მათემატიკოსებისა ისე ფილოსოფოსების ნხრზე ამ წინაღმდეგობათა თავიდან ასაცილებლად და ამით, Neumannის თქმით<sup>1</sup>, სიმრავლეთა თეორიის „სარეაბილიტაციოდ“.

უმთავრესად ასეთი ცდები წარმოებს აქსიომატიზაციის მიმართულებით. ამ შემთხვევაში მიზნად დასახულია, სიმრავლეთა თეორიის მისცენ აქსიომატური სახე, ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ, უნდათ ისეთი აქსიომატური სისტემის შექმნა, რომლის ფორმალური თვისებანიც მსგავსი იქნება სიმრავლის თვისებათა, მაგრამ რომელიც სიმრავლეთა თეორიის წინაღმდეგობებით დატვირთული არ იქნება.

რასაკვირველია, ასეთი აქსიომატური სისტემებს აგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იგი მაინც სიმრავლეთა თეორიის საბოლოო რეაბილიტაციას ვერ ზოახდენს. შეიძლება წინაღმდეგობებს თითონ აქსიომატურ სისტემაში ადგილი არ ჰქონდეთ, მაგრამ ისინი მაინც მის გარეთ დარჩებიან და მათი საკითხიც საბოლოოდ გადაჭრილი არ იქნება. ეს სურვილი აქსიომატიკის საშუალებით წინაღმდეგობათა თავიდან აცილებისა გამოხატავს ბოლოს და ბოლოს ჩვენს უძლურებას ამ წინაღმდეგობათა მიმართ. ჩვენ გვინდა მხოლოდ ნებაყოფლობით თავი ისე ხელოვნურად შევოფარგლოთ, რომ ასეთ ფარგლებში წინაღმდეგობას ადგილი არ ჰქონდეს, მხოლოდ მშვენივრად ვგრძნობთ, რომ ამ ფარგლებს გარეთ ისინი ძალიან კარგად მოთავსდებიან.

ერთად-ერთი მოსაზრება, რომელიც გაამართლებდა სიმრავლეთა თეორიის რეაბილიტაციის ცდას აქსიომატიკის საშუალებით, არის ის, რომ შეიძლება თითონ სიმრავლის ცნება საკმაო გარკვეულობის მატარებელი არ იყოს, და აქსიომატიკის დანიშნულებაა ეს გარკვეულობა უზრუნველყოს და ამით წინაღმდეგობათა საფუძველი მოსპოს.

მაგრამ ეს აზრი სავეებით შემცდარია. ცნება სიმრავლისა ძირითადი, ელემენტარული ცნებაა. ის შეღას ყოველგვარ ლოკალურ ოპერაციაში და ყოველგვარ

<sup>1</sup>) Neumann. Eine Axiomatisierung der Mengenlehre. Journal für die reine und angewandte Mathematik. B. 154. H. 4. 1925 p. 219.

აქსიომატიკაშიც. აქსიომატიკა ვერ გააძლიერებს ამ ცნების გარკვეულობას, რადგანაც აქსიომატიკისათვის თითონ ეს ცნება გვესაქიროება. და როცა ამბობენ, რომ „სიმრავლეს“ ისეთ საგანს ვუწოდებთ, რომელიც აკმაყოფილებს 1), 2), 3),..... აქსიომებს, აქ უკვე თითონ ეს 1), 2), 3),... წარმოადგენს სიმრავლეს. გამოსავალს ვერ მოგვეცქის ვერც Hilbertის მიერ დასმული მიზანი: მთელი ლოლიკისა და მათემატიკური მეცნიერების ერთდროული აქსიომატიზაცია <sup>1</sup>.

ბოლოს და ბოლოს მთელი ეს აქსიომატური სისტემა სრულებით ვერ მოხსნის საკითხს იმ ლოლიკურ წინააღმდეგობათა შესახებ, რომელთაც სიმრავლეთა თეორია წააწყდა. თუ პირობით სახის აქსიომატურ სისტემას ლოლიკურ წინააღმდეგობებზე რაიმე გავლენა აქვს, ამ გავლენის განსაზღვრა უნდა მოხდეს „ჩვეულებრივი“ ლოლიკის ტერმინებში (თუ ვიტყვი, რომ ის „სხვანაირად“ უნდა მოხდეს, აქაც „ჩვეულებრივი“ ლოლიკა შემოგვყავს), ისე რომ თითონ ეს განსაზღვრა (და თითონ მასზეც მითითება და ა. შ.) იმას მოასწავებს, რომ „ჩვეულებრივი“ ლოლიკა იგულისხმება უკვე მოცემული ყოველ ასეთი „გაკლენის“ გარეშე.

ჩვენს მიზანს სრულებით არ შეადგენს აქსიომატიკისა და კერძოდ Hilbertის თეორიის დაწვრილებითი გაჩევა. ჩვენ მხოლოდ გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ აქსიომატიკა ვერ მოგვეცინს სიმრავლეთა თეორიის სრულ რეაბილიტაციას და, ნაშასადამე, სრული უფლება აქვთ არსებობისა ისეთ ცდებს, რომელნიც მიზნად ისახვენ სიმრავლეთა თეორიის პარადოქსების მოხსნას თითონ სიმრავლის ცნების იმანენტური ბუნების მიხედვით. ჩვენის აზრით მხოლოდ ასეთი რეაბილიტაციის შემდეგ სიმრავლეთა თეორიის წინააღმდეგობათა საკითხთან ყოველგვარი ანგარიში გასწორებული გვექნება და სიმრავლეთა თეორიის არსებობის საკითხი საეჭივით უზრუნველყოფილი იქნება.

2. სიმრავლის არსებობის კრიტერიუმი. პროპოზიციონალური ფუნქციის, Russellის და Weillის თეორიების კრიტიკა.

სიმრავლეთა თეორიის უდიდესი სიძნელე დაკავშირებულია უსასრულობის ცნების სირთულესთან. ჩვენ ძალიან ხშირად უსასრულო სიმრავლეზე ვაგრძელებთ იმ თვალსაზრისს, რომელთაც ჩვენთვის კარგად ცნობილ დამოლოვებულ სიმრავლეს განვიხილავთ. ეს იწვევს უსასრულობის ბუნების დამახინჯებას და წარმოადგენს საუკეთესო წყაროს პარადოქსებისათვის.

როცა ჩვენ დაბოლოვებული სიმრავლე ვეაქვს, მისი განსაზღვრა შეიძლება მოხდეს ყველა იმ კერძო საგნის ჩამოთვლით, რომლებიც ამ სიმრავლეს შეადგენს. ეს უდიდეს სიმარტივეს ანიჭებს დაბოლოვებულ სიმრავლეს. ასეთი თვალსაზრისი ხშირად გადატანილია უსასრულო სიმრავლეზედაც და დავიწყებულია ის, რომ უსასრულო სიმრავლე სულ სხვანაირად არის შეპოყვანილი და განმარტებული, ვიდრე დაბოლოვებული სიმრავლე. უსასრულო სიმრავლის განსაზღვრა მის ელემენტთა ინდივიდუალური სპეციფიკაციით არ შეიძლება და ეს არა მარტო იმიტომ, რომ ასეთნაირად ჩვენ უსასრულო სიმრავლეს ვერ განვსაზღ-

<sup>1</sup>) D. Hilbert. Ueber das Unendliche. *Mathematische Annalen* B. 95. H. 2 1925, pp. 161—190. Oskar Becker, *Mathematische Existenz. Untersuchungen zur Logik und Ontologie mathematischer Phänomene*. 1927.

ვრავთ, რადგან ამისათვის საკმაო დრო არ გვექნება, არამედ იმიტომ, რომ ასეთ განსაზღვრას არავითარი აზრი არ ექნება თვითონ უსასრულო სიმრავლის ბუნების გამო.

უსასრულო სიმრავლის განსაზღვრა შეიძლება მხოლოდ ზოგადი ნორმის, გარკვეულ საგვარეულო ცნების საშუალებით, რომელიც ზოგადი ხასიათის საგანს იძლევა გარეშე მისი კრძო სახეებისა. უსასრულო სიმრავლე არის სულ სხვა რამ, ვიდრე ის უშუალო და ხელსახები, რაც დაბოლოებული სიმრავლის სახით წარმოგვიდგება და Bairen მშვენიერად შენიშნავს, რომ „მაშინ როცა ლაპარაკობენ უსასრულობაზე, უნდა სრულებით გაქრეს შეგნებული თუ შეუგნებელი ასოციაცია ბირთვებით გაესებულ ტომარასთან, რომელსაც ხელიდან ხელში გადასცემენ“<sup>1</sup>.

ახლა რა გზით შეიძლება მოხდეს უსასრულო სიმრავლის განსაზღვრა და როგორია მისი არსებობის კრიტერიუმი.

სიმრავლეს ორი რამ ახასიათებს: ერთი არის სიმრავლის ნორმა, რომელიც საზღვრავს ზოგადი ხასიათის საგანს და მეორე საგანთა ერთობლივობის იდეა, „ის ძირითადი ცნება რომელიც „ლა“ კავშირს საფუძვლად უდევს“ (Bolzano). ამის მიხედვით ის მოთხოვნილება, რომელსაც სიმრავლის განმარტებას წაუყენებთ, იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მხრივ სიმრავლის ნორმა საკვებით გარკვევით უნდა იყოს, და მეორე მხრივ სიმრავლის ნორმა შესაძლებლად უნდა ხდიდეს ერთობლივობის განხორციელებას ე. ი. ერთობლივობის განხორციელება სიმრავლის ნორმასთან არავითარ წინაღობებს არ უნდა ქმნიდეს.

პირველი პირობა ნორმის გარკვეულობის შესახებ ჩვენ ასეთნაირად შეგვიძლიან გამოვხატოთ: ყოველ წინასწარ აღებულ საგანზე ნორმა ყოველი ორაზროვნების გარეშე ან ვრცელდება ან არ ვრცელდება. ამ გარკვეულობას უნდა იძლეოდეს ნორმის იმანენტური ბუნება და არა აპელაცია რაიმე გარეშე შესაძლებლობის მიმართ, რომელიც ფარულად შეიძლება უსასრულო პროცესს შეიცავდეს. თვითონ ნორმის დაბოლოებული ხასიათი უნდა უზრუნველყოფდეს ამ გარკვეულობას. ჩვენ მიერ გამოთქმული პირობა ყოველ წინასწარ აღებული საგნის შესახებ ისეთნაირად კი არ უნდა გვემოდეს, რომ შესაძლებელი იყოს ნორმის მხრივ ნამდვილად თავისი ეფექტის ნახდენა ყოველი საგნის მიმართ.

ჩვენ მოთხოვნილებას სრულებით პირობითი ხასიათი აქვს: თუ მოცემულია რომელიმე (არსებული) საგანი, მაშინ ამის შემდეგ ამ საგნის მიმართ სრულ გარკვეულობას აქვს ადგილი ნორმის მხრივ. ეს მხოლოდ ახასიათებს ნორმის ლოლიკურ ბუნებას და არა მის ნამდვილ მოქმედებას საგნების მიმართ. იმისათვის რომ ვიცოდეთ, რომ ნორმა გარკვეულია, საჭირო არაა იგი წინასწარ ყოველ საგანზე შევამოწმოთ (რაც, რასაკვირველია, შეუძლებელია). ნორმის გარკვეულობას მისი ლოლიკური აგებულება უზრუნველყოფს. და თითონ ეს აგებულება ჩვენ a priori გვარწმუნებს, რომ ყოველ წინასწარ აღებული (არსებული) საგნის მიმართ მას სრულებით გარკვეული ეფექტი აქვს. პირობა ყოველ

<sup>1</sup>) იხ. B o r e l i n ს წიგნი: Leçons sur la théorie des fonctions. Deuxième édition 1914  
მთვანელი: Cinq lettres sur la théorie des ensembles. p. 152.

წინასწარ აღებული საგნის შესახებ, ვიმეორებთ, გამოხატავს მხოლოდ ნორმის ლოლიკურ გარკვეულობას. ჩვენ ჯერ-ჯერობით დაეკმაყოფილებით ამ შენიშვნით და შემდეგ დაწვრილებით გაეარჩევთ მისში დასმულ საკითხს.

მეორე მოთხოვნილება, რომელსაც სიმრავლის განმარტებას უყენებთ, მდგომარეობს ერთობლივობის უზრუნველყოფაში. შეიძლება ბერს ერთობლივობის შესახებ დანოუკიდებლად საკითხის დასნა ზედმეტად მიაჩნდეს. შეიძლება თქვან, რომ თითონ სიმრავლის ნორმა ერთობლივობის იდეას იძლევა, რომ თუ გარკვეული საერთო თვისების საგნებს განვიხილავთ, ამით მათი ერთობლივობაც უზრუნველყოფილია. ასეთი თვალსაზრისი გამოწვეულია იმით, რომ უსასრულო სიმრავლეზე გადატანილია ის ჩვეულებრივი წარმოდგენები, რომელნიც დაბოლოებულ სიმრავლესთან დაკავშირებულია. რადგანაც დაბოლოვებული სიმრავლის განსაზღვრა ყველა მისი კერძო ელემენტის ჩამოთვლით შეიძლება მოხდეს, ამიტომ ასეთ სიმრავლის ნორმას შენდევნი სახე შეიძლება მივსცეთ: „ჩვენ განვიხილავთ ახ საგანს და ამ საგანს და ამ საგანს და ა. შ... და ბოლოს ამ საგანს“. აქ უკვე თითონ სიმრავლის განმარტებაში შედის „და“ კავშირი და ამ განმარტების აგებულება განხორციელებულ ერთობლივობას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, დანოუკიდებლად არ დგას საკითხი ერთობლივობის შესახებ. მაგრამ უსასრულო სიმრავლისთვის სულ სხვაგვარი მდგომარეობაა. აქ საკმე გვაქვს მხოლოდ ზოგად (ცნებასთან და ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ სიმრავლის ნორმა განხორციელებულ ერთობლივობას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში სიმრავლის ნორმას შეუძლია გარკვეული ერთობლივობა მოვცეს, მაგრამ საკიროა წინასწარ დამტკიცდეს, რომ ამ ნორმაზე ერთობლივობის იდეის გავრცელება არავითარ წინააღმდეგობას არ გამოიწვევს. მაგრამ წინააღმდეგობის შესაძლებლობა a priori გამორიცხული არაა, რადგან, ვიმეორებთ, უსასრულო სიმრავლის ნორმის აგებულება განხორციელებულ ერთობლივობას არ წარმოადგენს. ამიტომ საკიროა საკითხი ერთობლივობის შესახებ დაისვას ნორმის საკითხისაგან დანოუკიდებლად.

ახლა დავსვთა შემდეგი საკითხი: როდის შეუძლია ერთობლივობის იდეას წარმოშვას წინააღმდეგობა სიმრავლის ნორმასთან ან და როდის იწვევს წინააღმდეგობას ცდა „ამა და ამ გვარის საგნებიდან“. რომელსაც ნორმა განსაზღვრავს, მათ ერთობლივობაზე გადასვლისას? ეს მოხდება მაშინ, როცა ცდა ასეთი გადასვლისა და ერთობლივობის განხილვისა ნიგვიყვანს აგრეთვე „იმავე გვარის საგნისაკენ“ ე. ი. მაშინ როცა ჩვენ იძულებული ვიქნებით განვიხილოთ სიმრავლე როგორც თავის თავის ელემენტი. ამ შემთხვევაში ჩვენ მუდამ, „გადასვლის“ წინ და შემდეგაც ვრჩებით „ამა და ამ გვარის საგანთა“ არეში და ერთობლივობაზე გადასვლის ლოლიკური პროცესი არ ხდება. ამგვარად ერთობლივობის შემოყვანა წინააღმდეგობას იწვევს და სიმრავლე არ არსებობს მაშინ, როცა ჩვენ იძულებული ვიქნებით ის ჰიპოთეტური საგანი, რომელსაც ჩვენ საგნების ერთობლივობის არსებობის წარმოდგენით მივიღებთ, განვიხილოთ, როგორც თავის თავის ელემენტი. თუ ასეთ მდგომარეობას არა აქვს ადგილი, მაშინ ერთობლივობაზე გადასვლა წინააღმდეგობისაგან სავსებით თავისუფალს, გარკვეულსა და დამთავრებულ პროცესს წარმოადგენს და სიმრავლის არსებობა

ექვს გააქვეყნა. თითონ საგნის ბუნების მიხედვით სხვას არათერს არ შეუძლია დააბრკოლოს სიმრავლის არსებობა.

ნათქვამიდან ვიღებთ შემდეგ კრიტერიუმს სიმრავლის არსებობისას: ერთის ნხრივ საკიროა სრული წინაგანი გარკვეულობის მატარებელი ნორმის არსებობა, ხოლო მეორე მხრივ ის, რომ ჩვენი ჰიპოთეტური საგანი-სიმრავლე, თუ მის არსებობას პირობით წარმოვიდგენთ, თავის თავის ელემენტი არ იყოს. უკანასკნელ შენაბევევაში ჩვენ არათერი გვიშლის ხელს ჰიპოთეტური საგნიდან რეალურ საგანზე გადავიდეთ და სიმრავლე განვიხილოთ როგორც არსებული.

ნათქვამიდან უპირველესად ყოვლისა გამოვძინარებობს, რომ არ შეიძლება ერთი საგნისაგან შემდგარი სიმრავლის განხილვა.

ამ შემთხვევაში ერთობლივობის იდეას („და“ კავშირი) ადგილი არა აქვს და ამას ჩვენი კრიტერიუმიც გვეუბნება: ასეთი სიმრავლე იქნება თავის თავის ელემენტი. ერთი საგნიდან შემდგარი სიმრავლის განდევნას ჩვენის აზრით დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ გზით თავიდან აცილებული იქნება ის წმინდა სქოლასტიკური ხასიათის იერარქია, რომელიც ძალიან უყვართ მათემატიკური ლოგიკის თეორეტიკოსებს: სიმრავლე შემდგარი ა საგნიდან, სიმრავლე შემდგარი იმ სიმრავლიდან, რომელიც თავის მხრივ ა საგნიდან შედგება და ასე შემდეგ უსასრულოდ, და რომელიც Poincaré-ს სამართლიანი დაცინვის საგანს წარმოადგენდა<sup>1</sup>. აგრეთვე წინაღმდეგობას შეიკავს ყველა საგანთა სიმრავლის ცნება. ეს სიმრავლე, თუ ის არსებობს, თითონაც გარკვეულ საგანს წარმოადგენს და მაშასადამე ეკუთვნის ამ ყველა საგანთა სიმრავლეს. ასეთივე ხასიათისაა „ყველა სიმრავლეთა სიმრავლე“.

ზემოთ მოყვანილი პირობა წარმოადგენს კრიტერიუმს სიმრავლის არსებობისას. მისი საშუალებით ჩვენ ვარკვევთ საკითხს სიმრავლის არსებობის შესახებ ამა თუ იმ კერძო შემთხვევაში და აგრეთვე გამოგვეყავს კერძო ხასიათის კრიტერიუმები, და არა პირიქით ამა თუ იმ კერძო სიმრავლის საშუალებით, რომლის არსებობასაც წინასწარ ვცნობთ, გამოვწებთ ამ კრიტერიუმის ღირებულებას.

სიმრავლეთა თეორიის წინაღმდეგობათა მიზეზი, როგორც ჩვენ ამას შემდეგ დავინახავეთ, მდგომარეობს იმასში, რომ სიმრავლის არსებობის ზემოთხსენებულ ორ პირობას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა.

აქ საკიროა განსაკუთრებით აღინიშნოს ის, რომ საზოგადო წარმოდგენა სიმრავლის განსაზღვრის შესახებ განსხვავდება ზემოთ მოყვანილისაგან. ჩვენთვის უმთავრესი არის ის კი არა, თუ რა და რა საგნებიდან შედგება სიმრავლე, არამედ ის, თუ როგორი ტიპის საგნებიდან შედგება იგი. ჩვენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, გეინტერესებს უფრო სიმრავლის შინაარსი, ვიდრე მოცულობა. ჩვენთვის სიმრავლე სრულებით არ განისაზღვრება ნორმის და მოკიდებულებით კერძო საგნების მიმართ (პირობა წინასწარ აღებული საგნის შესახებ, როგორც ნათქვამია, ახასიათებს მხოლოდ ნორმის გარკვეულობას), არამედ მხოლოდ ნორმის შინაარსით, რომელიც საზღვრავს ამა და ამ გვარის

<sup>1</sup>) Poincaré. Science et méthode 1908 p. 193.



საგნებს. ჩვენის აზრით, ამის საწინააღმდეგო აზრი გატარებულია აშკარად თუ ფარულად უმთავრეს არსებულ თეორიებში და აქ შევეცდებით ამის ნათელყოფას. ეს საუკეთესოდ ჩანს ეგრ. წოდ. პროპოზიციონალური ფუნქციის ცნებაში, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს მათემატიკურ ლოგიკაში. პროპოზიციონალური ფუნქცია, განმარტების მიხედვით, არის ისეთი ლოგიკური ფუნქცია, რომელიც შეიცავს ერთს ან რამოდენიმე ცვლებადს და რომელიც ცვლებადის (ცვლებადაა) რომელიმე გარკვეული წინაშენლობისათვის კეშმარიტი ან ყალბ დებულებად გადაიქცევა. ცვლებადის ყველა ის წინაშენლობანი, რომელთათვისაც პროპოზიციონალური ფუნქცია კეშმარიტი (ყალბ) დებულებად გადაიქცევა გარკვეულ სიმრავლეს იძლევიან, და ასეთნაირად პროპოზიციონალური ფუნქცია შეიძლება იყოს ძილებული, როგორც სიმრავლის განსაზღვრის საფუძველი.

ასეთი თვალსაზრისი არსებითად განსხვავდება ზემოთ მოყვანილი თვალსაზრისიდან. იმ დროს როცა პროპოზიციონალურ ფუნქციაში დამოუკიდებლად შედის თითონ ფუნქციონალური ოპერაცია და ცვლებადი და სიმრავლის განსაზღვრისათვის განოყენებულია მათი დამოკიდებულება, რომელიც კეშმარიტი ან ყალბი დებულებით გამოიხატება, ჩვენ პირიქით გვაქვს მოცემული განუყოფლად გარკვეული სახის ნორმა, რომელიც თითონ იძლევა საგანთა სიმრავლეს. ჩვენთვის ნორმა უკვე a priori გულისხმობს, რომ განხილულია მხოლოდ ის შემთხვევები, როცა ის კეშმარიტია და თითონ საგნების ხასიათიც ამათ არის განსაზღვრული. ამის და მიხედვით პირობა კეშმარიტებისა და სიყალბისა არ შეიძლება ჩაითვალოს ახალ ფაქტორად, რომელიც სიმრავლის განსაზღვრის დროს მოქმედობს ნორმის გარეშე.

რამივე დებულება თავის თავად მხოლოდ იმ შემთხვევებს იძლევა, როცა ის კეშმარიტია, იგი თითონ ყალბ შემთხვევებს ვერ მოგვცემს. რადგანაც ყალბი დებულება წინააღმდეგობის მატარებელია და თავის თავად ვერაფრითარ საგანს ვერ განსაზღვრავს. ყალბი და კეშმარიტი შემთხვევების გარჩევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა წინასწარ მოცემულია რომელიმე საგანი და ეს გარჩევა მოხდება ამ საგნის შესახებ. წინააღმდეგობის ფაქტი აქ შემთხვევაში სიყალბის მაჩვენებელია. ამიტომ პროპოზიციონალური ფუნქციის თვალსაზრისი კეშმარიტება-სიყალბის დამოკიდებულების ნიადაგზე სიმრავლის განსაზღვრისა მოასწავებს იმას, რომ წინასწარ საგნები მთელი თავის სიმრავლით, ყველა საგანთა სიმრავლე მოცემულია. ამგვარად პროპოზიციონალური ფუნქციის თეორია ფარულად მოითხოვს „ყველა საგანთა სიმრავლის“ არსებობას და „ყველა საგანთა სიმრავლე“ ნამდვილად უნდა იყოს ის არენა, რომელზედაც პროპოზიციონალური ფუნქცია მოქმედობს. მაგრამ „ყველა საგანთა სიმრავლე“, როგორც ზემოთ დავინახეთ, წინააღმდეგობას შეიცავს (იგი აგებულია უარყოფილია პროპოზიციონალური ფუნქციის თეორეტიკოსების მიერ, მაგ. Russellისა). მაშასადამე ასეთსავე წინააღმდეგობას შეიცავს პროპოზიციონალური ფუნქციის თეორიაც.

პროპოზიციონალური ფუნქციის თეორიისათვის, როგორც ვთქვით, სიმრავლის განსაზღვრის აპარატი არის ფუნქციის დამოკიდებულება ცვლებადთან კეშმარიტება-სიყალბის ნიადაგზე. ენახოთ ახლა, რა ინდგომარეობაში უნდა იყოს დამოკიდებულების ეს ორი მხარე.

ავიღოთ ჯერ ერთი მხარე -- განუსაზღვრელი ცვალებადი. მას შეუძლია ყოველგვარი მნიშვნელობა მიიღოს და მისი არე უნდა იყოს „ყველა საგანთა სიმრავლე“. „ყველა საგანთა სიმრავლის“ შემოყვანის აუცილებლობის შესახებ პროპოზიციონალური ფუნქციის თეორიისათვის ჩვენ უკვე ზემოთ ვილაპარაკეთ. და სწორედ ეს შემოყვანა ხდება პროპოზიციონალური ფუნქციის ცვალებადის სახით. ჩვენ ამგვარად ვხედავთ, რომ პროპოზიციონალური ფუნქციის ცვალებადი წინაღმდეგობას შეიცავს<sup>1</sup>.

თუ იტყვიან რომ განუსაზღვრელ ცვალებადის არედ ჩვენ მივიღებთ არა „ყველა საგანთა სიმრავლეს“, არამედ რომელიმე გარკვეულ სიმრავლეს, ამით სიძნელე თავიდან აცილებული არაა, რადგანაც მაშინ საჭიროა ამ ახალი სიმრავლის განსაზღვრა ახალი პროპოზიციონალური ფუნქციის საშუალებით, რომელიც აგრეთვე თავის განუსაზღვრელ ცვალებადს შეიცავს და მაშინ საკითხი დგას ამ განუსაზღვრელი ცვალებადის შესახებ. რაც შეეხება მეორე მხარეს, ფუნქციას, მის კეშმარიტებაზე და სიყალბეზე ლაპარაკი შედეგია გარეშე დამოკიდებულებისა და თავის თავად იგი გარკვეული აზრის მატარებელია გარეშე კეშმარიტებისა და სიყალბისა. აქ დებულების ცნება განცალკევებულია კეშმარიტების ცნებისაგან. მაშინ ჩვენ შემდეგ მდგომარეობაში ვყარდებით: იმის თქმა, რომ რომელიმე დებულება კეშმარიტებაა, წარმოადგენს უპირველესად ყოვლისა დებულებას, რომლის კეშმარიტების საკითხიც ცალკე დამოუკიდებლად უნდა იყოს დასმული. მაგრამ უკანასკნელის კეშმარიტების გამოთქმა ახალი დებულებაა, რომლის კეშმარიტების საკითხიც კიდევ უნდა დაისვას და ასე შემდეგ უსასრულოდ. ამ უსასრულობაში კეშმარიტება ქრება და გვექნება მუდამ დებულება. ამგვარად ის გარემოება, რომ კეშმარიტება დაშორებულია დებულებისაგან, იწვევს იმას, რომ კეშმარიტება სრულებით განდევნილია.

მოყვანილი წინაღმდეგობა მეტად ცუდად არის დაფარული მათემატიკური ლოგიკის თეორეტიკოსების მიერ. მაგალითად, მეტად დამახასიათებელია, რომ Zaremba<sup>2</sup> განიხილავს „სიმბოლოთა  $\vdash$  p სისტემას“ (რომელიც უნდა აღნიშნავდეს იმას, რომ p დებულება კეშმარიტია) და სრულებით არ ამბობს, რომ ეს „სიმბოლოთა სისტემა“ გამოხატავს გარკვეულ დებულებას, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის მათემატიკურ ლოგიკას სრულიად არა აქვს აქსიომატური სახე Hilbertის გაგებით. საინტერესოა, რომ იმის შემდეგაც, რაც მათემატიკურ ლოგიკაში კეშმარიტების სიმბოლო ( $\vdash$ ) შემოყვანილია, მათემატიკურ ლოგიკას არა აქვს საშუალება აღნიშნოს რომელიმე დებულების კეშმარიტება, რადგან  $\vdash$  p უნდა იყოს წაკითხული უპირველესად, როგორც დებულება: p არის კეშმარიტი, რომლის შესახებ კიდევ დამოუკიდებლად დგას საკითხი კეშმარიტებისა და სიყალბის შესახებ.

<sup>1</sup>) ამ ცნების სიმწიფეს სცნობს მრავალი ლოლისტიკ. იხ. მაგ. К у т ю р а, Философские принципы математики (თარგმანი ფრანგულიდან) 1913. p. 19. მაგრამ ეს ნაშედილად სიმწიფე კი არა, შეუძლებლობაა.

<sup>2</sup>) Stanislas Zaremba. La Logique des Mathématiques. Mémorial des sciences Mathématiques, Fascicule XV, p. 18. 1926.

ჩვენ განვიხილეთ პროპოზიციონალური ფუნქციის ორი მხარე: ცვალებადი და ფუნქცია და დაენახეთ, რომ ორივე წინააღმდეგობას შეიცავს. ამის მიზეზი არის ის, რომ თავიდანვე ჩვენ განვაცალკევეთ დებულება კემშარიტებისაგან და დებულების კემშარიტება, რომელიც მის შინაგან ბუნებას გამოხატავს, გამოყვანილია, როგორც მისი ახალი გარეშე დამოკიდებულება სიყალბესთან ერთად.

ახლა ჩვენთვის აშკარაა, თუ რა ხასიათი აქვს სიმრავლის განსაზღვრას პროპოზიციონალური ფუნქციის თვალსაზრისით: პროპოზიციონალურა ფუნქცია მოქმედობს ყველა საგანთა სიმრავლის<sup>1</sup> არეში. თითონ პროპოზიციონალური ფუნქცია წარმოადგენს აპარატს, რომელიც ამ სიმრავლეში გარკვეულ კლასიფიკაციას ახდენს. სწორედ ეს კლასიფიკაცია არის საფუძველი ამა თუ იმ სიმრავლის განსაზღვრისა პროპოზიციონალური ფუნქციის თვალსაზრისით. თითონ პირობა, რომ სიმრავლის ნორმას გარკვეული ეფექტი უზღდა ჰქონდეს ყოველ წინასწარ აღებული საგნის მიმართ, წარმოადგენს არა მარტო ნორმის ლოგიკური გარკვეულობის გამოხატველს, არამედ კლასიფიკაციის ნამდვილად მოხდენის შესაძლებლობის საფუძველს. აქ წინასწარ აღებული საგანი დამხმარე როლს კი არ თამაშობს და პირობითი სახით კი არ შედის ჩვენს ფორმულაში (.. თუ საგანი მოცემულია, ნორმა გარკვეულ ეფექტს უნდა ახდენდეს მას მიმართ), რომ ნორმის გარკვეულობა გამოხატოს, არამედ პირიქით ყველაფერი საქროა სწორედ ამ საგნისათვის და არსებითია ნორმის არა პირობითი სახით გამოთქმული, არამედ ნამდვილი დამოკიდებულება საგნების მიმართ (ნორმა გარკვეულ ეფექტს ახდენს ყველა საგნის მიმართ), რომ ამ დამოკიდებულებამ საგნების მიმართ განახორციელოს კლასიფიკაციის პროცესი და გარკვეული სიმრავლე მოგვეცეს. ყველა საგანთა სიმრავლის არეში პროპოზიციონალური ფუნქცია, თუ შეიძლება ითქვას ფიგურალურად, გარკვეულ ნაწილს ამოსჭრის. ამ შენთხვევაში გვაქვს, ასე ვთქვათ, მოცულობის თვალსაზრისი. ამ მოცულობის თვალსაზრისში საქმე გვაქვს, მიუხედავად სიმრავლის უსასრულობისა, კერძო საგნებთან და ამასში ჩანს უსასრულო სიმრავლეზე უარულად იმ თვალსაზრისის გადაჭანა, რომელიც დამახასიათებელია დაბოლოებულ სიმრავლისათვის.

ჩვენ შევძღვ დაენახეთ, რომ ეს „მოცულობის“ თვალსაზრისი გამეფებულია უმრავლეს თეორიებში და ამით არის გამოწვეული ის სიძნელე, რომელიც დაკავშირებულია სიმრავლეთა თეორიის პარადოქსების ახსნასთან. ასეთი ხასიათი აქვს მაგ. Russellის თეორიას.

Russellის თეორიის მიხედვით სიმრავლის არსებობის პირობა იმასთან არის დაკავშირებული, რომ სიმრავლის არც ერთ ელემენტის განსაზღვრაში არ შევიდნენ ისეთი ცნებანი, რომელნიც თითონ სიმრავლეს მთლიანად ახასიათებენ. თითონ Russellის სიტყვებით „no totality can contain members defined in terms of itself.“<sup>1</sup> Russell ამ პრინციპს უწოდებს „vicious circle principle“ და თითონ სახელწოდებრივად ჩანს, რომ მას ჰსურს ამით აიცილნოს circulus vitiosus სიმრავლის განსაზღვრაში.

<sup>1</sup>) Becker, Beiträge zur phänomenologischen Begründung der Geometrie und ihrer physikalischen Anwendungen am კრებულში: Jahrbuch für Philosophie und phänomenologische Forschung. VI. Band 407. 1923.

არსებითად იმავე ნიადაგზე, როგორც Russell, დგას Weill თავის პირველ თეორიაში<sup>1</sup> (შემდეგ Weill მიემხრო Brouwersის თეორიას). Weillის მიხედვით შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ სიმრავლის ნორმა სრულებით გარკვეულია, თითონ სიმრავლის განხილვამ ერთნაირი ცვლილება შეიტანოს მის მოცულობაში, რადგანაც სიმრავლის ზოგიერთი ელემენტი შეიძლება დამოკიდებული იყოს თითონ სიმრავლის განმარტებისაგან. იმავე მოსაზრების ძალით სიმრავლის განხილვას ახალი სახით კვლავ შეუძლია შეცვალოს მისი მოცულობა და ა. შ. ისე რომ ჩვენი სიმრავლე თავის მოცულობის მხრივ ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული არ იქნება. Durch den Sinn eines klar und eindeutig festgelegten Gegenstandsbegriffs, — ამბობს Weill, mag wohl stest den Gegenständen, welche des im Begriffe ausgesprochenen Wesens sind, ihre Existenzsphäre angewiesen sein; aber es ist darum keineswegs ausgemacht, dass dieser Begriff ein umfangsdefiniter ist, dass es einen Sinn hat, von den unter ihn fallenden existierenden Gegenständen als einem an sich bestimmten und begrenzten, ideal geschlossenen Inbegriff zu sprechen.

Weillის სიმრავლის არსებობის პირობა მდგომარეობს იმაში, რომ სიმრავლე თავის მოცულობის მხრივ სრულიად გარკვეული უნდა იყოს, ის უნდა იყოს „umfangs-definit“.

ჩვენ ადვილად შევანჩნევთ რომ Russellის „vicious circle principle“ არის არსებითად იგივე, რაც Weillის „umfangs-definit“ის პირობა.

საზოგადოდ Russell-Weillის პირობის შესახებ შევნიშნავთ შემდეგს: აქ სიმრავლის არსებობის პირობა სიმრავლის კერძო ელემენტებს ეხება, იმის მაგივრად, რომ თითონ სიმრავლეს ეხებოდეს და ამიტომ იგი არ არის შეთანხმებული თითონ საგნის მოთხოვნილებასთან. სიმრავლის არსებობის პირობას უნდა ჰქონდეს საქმე თითონ სიმრავლესთან, საგვარეულო ცნებასთან და არა მის კერძო სახეებთან. Russell-Weillის პირობა ემყარება იმავე მოცულობის თვალსაზრისს, როგორც პროპოზიციონალური ფუნქციის თეორია და აქაც ფარულად სიმრავლის განსაზღვრა ხდება კერძო ელემენტების საშუალებით. შეიძლება აქ ერთი რამ სთქვან: ჩვენი სიმრავლის არსებობის პირობაც (p. 404) სიმრავლის კერძო ელემენტებს ეხება, რადგან ჩვენ ვითხოვთ, რომ სიმრავლის ელემენტთა შორის თითონ სიმრავლე არ მოხვდეს. სრულებით არა. ჩვენი პირობა საზღვრავს თითონ სიმრავლეს და არა მის კერძო ელემენტებს. თუ ჩვენ ვითხოვთ, რომ სიმრავლე არ შეიძლება შედიოდეს თავის თავში, როგორც ელემენტი, აქ ჩვენ მხოლოდ სიმრავლესთან გვაქვს საქმე და სრულებით არ არის დასმული საკითხი სიმრავლის კერძო ელემენტების შესახებ. საკითხი ისე კი არ დგას, რომ სიმრავლის რომელიმე ელემენტის განსაზღვრაში არ უნდა შედიოდნენ აღებულ სიმრავლესთან დაკავშირებული ცნებანი, არამედ პირიქით თითონ სიმრავლე არ უნდა იყოს თავის თავის ელემენტი. სიმრავლის არსებობის შეუძლებლობას Russell-Weillის კრიტერიუმში იწვევენ სიმრავლის ელემენტები, ხოლო ჩვენს კრიტერიუმში თითონ სიმრავლე.

<sup>1</sup>) Weill, Der circulus vitiosus in der heutigen Begründung der Analysis. Jahresbericht der Deutschen Mathematiker-Vereinigung B. 26 H. 7—12 pp. 85-92. 1919.

თათონ საკითხის დასა Russell-Weilის კრიტიკიუმში შემდეგ მდგომარეობას ჰქმნის: რითი შეიძლება იყოს გამოწვეული ის, რომ მის შემდეგაც, რაც თითონ სიმრავლის ნორმა სრულებით გარკვეულია და თავისუფალი ყოველგვარ წინააღმდეგობისაგან და circulusებიდან და იგი ერთობლივობის იდეასთან არავითარ წინააღმდეგობას არ ჰქმნის, კელაე ისინი საკითხი სიმრავლის არსებობის შესახებ. ასეთი საკითხის დასა ეხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ სიმრავლის განსაზღვრა წარმოადგენს მის შეფარდებას სხვა რამესთან. მაგრამ რა არის ეს სხვა რამე? უპირველესად, რას შეუძლია დააბრკალოს სიმრავლის არსებობა მის შემდეგ, რაც ნორმის გარკვეულობისა და ერთობლივობის პირობები ლოდიკურად უზრუნველყოფილია?

პასუხი ეოთად-ერთია: ეხოლოდ კერძო საგნებს. და ეს „სხვა რამე“, რომელთანაც შეფარდებულია აღებული სიმრავლე, უნდა იყოს „ყველა საგანთა სიმრავლე“. ამ „ყველა საგანთა სიმრავლის“ არეში ირკვევა მოცულობა აღებული სიმრავლისა და ეს მოცულობის ცნება ისევე საკიროებს წარმოდგენას მთელის შესახებ („ყველა საგანთა სიმრავლე“), როგორც ცნება გეომეტრიული მოცულობისა საკიროებს სიერცის ცნებას. თუ იტყვიან, რომ მოცულობის გამორკვევის არე არის ათა „ყველა საგანთა სიმრავლე“, არანედ რომელიმე სხვა სიმრავლე, მაშინ იმავე საბუთის განმეორება დაგვეკირდება, რაც 406 გვ.: ეს ახალი სიმრავლე კელაე საკიროებს თავის მოცულობისათვის ახალ განსაზღვრის არეს და ამ ახალ სიმრავლის შესახებ იგივე საკითხი დაისნება და ა. შ. უსასრულოდ, ისე რომ ჩვენს პროცესს დამთავრებული სახე არ ექნება.

Russell-Weilის პრინციპისათვის „ყველა საგანთა სიმრავლე“ არის, ასე ვთქვათ, ასპარეხი, რომელშიდაც მოქედობს ამა თუ იმ სიმრავლის ნორმა და მის გარკვეულ ნაწილს საზღვრავს. ჩვენ ძალიან კარგად უნდა შევიგნოთ ის, თუ რაოდენად აუცილებელია Russell-Weilის პრინციპისათვის, ისევე როგორც პროპოზიციონალური ფუნქციის თეორიისათვის, „ყველა საგანთა სიმრავლის“ შემოყვანა. ეს აუცილებლობა „ყველა საგანთა სიმრავლის“ შემოყვანისა „umfangs-definit“ პრინციპისათვის მშენიერად ჩანს ამ პრინციპის დამცველის Poincaré-ს მსჯელობის მაგალითზე. Poincaré სიმრავლის განსაზღვრის დასახასიათებლად ხმარობს „კლასიფიკაცია“ ტერმინს და მოითხოვს, რომ ეს კლასიფიკაცია ერთმნიშვნელოვანი იყოს<sup>1</sup>. სრულებით აუცილებელ კითხვაზე თუ რის კლასიფიკაცია უნდა მოვახდინოთ, არის ერთადერთი პასუხი: „ყველა საგანთა სიმრავლისა“, რადგანაც ყოველ სხვა შემთხვევაში კლასიფიკაცია კიდევ ახალ კლასიფიკაციას მ. ითხოვს. ნაჯ რამ თითონ „ყველა საგანთა სიმრავლე“, როგორც ჩვენ ზევით დავინახეთ, წინააღმდეგობას შეიცავს და არ არსებობს. აგრეთვე ცხადია, რომ ის „umfangs-definit“იც არ არის რადგან აქ სიმრავლის შემოყვანა როგორც ახალი საგნისა მის „Umfang“-ს სცლის. ჩვენ ეხედავთ, რომ პრინციპი, რომელიც ცდილობს circulus vitiosus-ის აცილებას, თითონ ვარდება ათა მარტო circulus-ში, არანედ წინააღმდეგობაშიც.

1) Poincaré, Dernières pensées, Chapitre IV, La logique de l'infini, 1917.

Russell-Weillის პრინციპი ეძებს circulusს სიმრავლეში იმ შემთხვევაში, როცა ლოგიკურად სიმრავლის ნორმა და მისი დაკავშირება ერთობლივობის იდეასთან თავისუფალია ყოველგვარ circulusებისა და წინაღმდეგობათაგან. მაგრამ circulusი შეიძლება მხოლოდ ლოგიკური იყოს და ლოგიკურ circulusიდან თავისუფლება საზოგადოდ circulusიდან თავისუფლებას ქოასწავებს. არ არსებობს circulusი, რომელაც „სიმრავლეში დამალულია“ და მის ნორმაში არ მელაენდება.

მე მინდა აქ აღვნიშნო კიდევ ერთი circulusი, რომელშიაც ვარდება „vicious circle principle“. ვთქვათ, გვინდა დავამტკიცოთ ორი M და N სიმრავლის არსებობა. იმისათვის რომ M-ის არსებობა დავამტკიცოთ, საჭიროა წინასწარ შესაძლებელი იყოს ერთმნიშვნელოვანად გარკვევა საკითხისა: მის „Umfang“-ში შედის თუ არა N (თუ იგი არსებობს), ხოლო როცა გვინდა N-ის არსებობის გამოვკვეთვა ასეთი საკითხი უნდა დაისვას M-ის შესახებ. საკითხი M-ის არსებობის შესახებ იქნება დამოკიდებული საკითხზე N-ის არსებობის შესახებ და პირიქით, რომ Weillისათვის ყოველი ცდა რომელიმე სიმრავლის არსებობის დამტკიცებისა უნდა ჰქმნიდეს circulusს (ნამდვილ ლოგიკურ circulusს და არა „სიმრავლეში დამალულ“ მოჩვენებით circulusს). ეს არის მეორე circulus, რომელშიაც ვარდება „vicious circle principle“. ჩვენი თვალსაზრისი ამ circulusიდან გვათავისუფლებს. ჩვენთვის M-ის არსებობა მისი „Umfang“-იდან კი არ არის დამოკიდებული, არამედ მხოლოდ მისი ნორმის გარკვეულობიდან და ერთობლივობის შესაძლებლობიდან, და ეს ყველაფერი N-ისაგან დამოუკიდებელია. იმის მოზოხოვნას, რომ ყველ წინასწარ აღებული საგნისათვის M-ის ნორმას სრულებით გარკვეული ეფექტი უნდა ჰქონდეს, როგორც ვიცით, პირობითი აზრი აქვს და ახასიათებს მხოლოდ ნორმის გარკვეულობას: თუ მოცემულია რომელიმე არსებული საგანი, მაშინ ამის შემდეგ ნორმას სრულებით გარკვეული დამოკიდებულება აქვს მის მიმართ. N-ის პრობლემემატიურობა სრულებით არ აბრკოლებს ასეთ პირობითი ხასიათის დებულების არსებობას. ჩვენ შეგვიძლიან დავამტკიცოთ M-ისა და N-ის არსებობა ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად და ამის შემდეგ (თუ გვინდა) დავსვათ საკითხი, ეკუთვნის თუ არა M-ის N-ს (ან პირიქით) აქ ჩვენ არავითარი circulusი არ გვექნება.

Weill მოჰყავს არა „umfangs-definit“ სიმრავლის მაგალითება. ჩვენც ამ მაგალითების გარეშე დავასრულებთ მისი თეორიის კრიტიკას. Weill იღებს ცნებას „თვისება“, რომელიც მისთვის სრული გარკვეულობის მატარებელია და განიხილავს „ყველა თვისებათა სიმრავლეს“. ავიღოთ ახლა საერთო თვისება, რომელიც ჩვენ სიმრავლის ყოველ ელემენტს ახასიათებს. ეს არის ერთის მხრივ თვისება, ხოლო მეორე მხრივ განსაზღვრულია „ყველა თვისებათა სიმრავლის“ საშუალებით. ამგვარად ყველა თვისებათა სიმრავლე „umfangs-definit“ არ არის.

ჩვენთვის მიღებული პარადოქსის მიზეზი მდგომარეობს თვითონ თვისების ცნების ორაზროვნებაში და გაურკვეველობაში, და სიმრავლის შეუძლებლობა დაკავშირებულია თითონ ნორმის ლოგიკურ დეფექტიურობასთან და არა „Umfang“-ის საკითხთან. თვისების ცნების ორაზროვნება და გაურკვეველობა წარმო-

ადგენს საუკეთესო საფუძველს იმ წინააღმდეგობათათვის, რომელშიაც ამ ცნების გამოყენების დროს ვეაღიბით.

განვიხილოთ მაგალითად საგნის იდენტიუობა თავის თავთან. ერთის მხრივ ჩვენ შეგვიძლიან ვილაპარაკოთ საგნის გარკვეულ თვისებაზე, იყოს თავის თავის იდენტიური, ხოლო მეორე მხრივ არა, რადგან საგნის იდენტიუობა თავის თავთან მის ყოველ თვისების შესაძლებლობას წინ უსწრებს. შემდეგ საგნის თვისების თვისებას ჩვენ ერთი მხრივ განვიხილავთ როგორც თითონ საგნის თვისებას, ხოლო მეორე მხრივ არა. ამის გარდა ის ფაქტი, რომ საგანს რაიმე თვისება აქვს, შეგვიძლიან განვიხილოთ როგორც მისი ახალი თვისება და ასე შემდეგ უსასრულოდ. მაშინ ერთი მხრივ თვისება უშუალოდ დაკავშირებულია საგანთან, ხოლო მეორე მხრივ იგი სრულებით იკარგება ახალი საფეხურების შემოყვანით. ის თვისება, რომ საგანს აქვს რომელიმე A თვისება, უფრო ახლო არის საგანთან ვიდრე თითონ A თვისება, რადგან მისი საშუალებით საგანი დაკავშირებულია A თვისებასთან. საგნისა და A თვისების შორის მოთავსდება კიდევ ახალი თვისება, მაგრამ ამ უკანასკნელ თვისებასა და საგანს შორის მოთავსდება კიდევ ახალი თვისება და ა. შ. უსასრულოდ, ისე რომ ჩვენი თვისება სრულებით დაიკარგება.

სწორედ თვისების ცნების ეს ორაზროვნება და გაურკვეველობა, რომელიც ადვილად ჰქნის წინააღმდეგობას, არის მიზეზი „ყველა თვისებათა სიმრავლის“ პარადოქსალობისა. მართლაც, ჩვენ განვიხილავთ იმ თვისებას, რომელიც თვისებათა სიმრავლის ყველა ელემენტს ეკუთვნის, ე. ი. თვისებას, რომელიც თვისებათა ყოფნაში მდგომარეობს. სწორედ აქ არის თვისების ცნების ის დამახასიათებელი ორაზროვნება და წინააღმდეგობა, რომელზედაც იყო საუბარი ზემოთ, და, რასაკვირველია, ამკარაა, რომ ეს თვისების ცნების ორაზროვნება არის ჩვენი პარადოქსის მიზეზი <sup>1)</sup>.

ივენ გაეარჩევთ Weillon კიდევ ერთ მაგალითს, სადაც დაეინახავთ პარადოქსის ისეთსავე მიზეზს, როგორც ზემოთ.

„განვიხილოთ ნატურალურ რიცხვთა ყველა თვისებათა სიმრავლე, რომელიც ალფიშროთ M. ვთქვათ E არის ნატურალურ რიცხვთა თვისებათა რაიმე თვისება (მაგ. თვისება E, რომ  $\approx 100^2$  რიცხვს აქვს თვისება E, სადაც E გამოხატავს რომელიმე თვისებას M სიმრავლიდან). ჩვენ განვსახლავთ ნატურალურ რიცხვთა m თვი-

<sup>1)</sup> ჩვენ აქ არ შევვიძლია არ მოვიყვანოთ მშვენიერი ადგილი Husserl-ის „Logische Untersuchung“-იდან, სადაც აუტორი ეხება ისეთ ორაზროვნებას მატარებელ ცნებებს, როგორც არის თვისების ცნება და მათ შორის ყოფილ თითონ თვისების ცნებასაც: „თავიდანვე რომ იყოს საესებით მოხდენილი გამოყენება ელემენტარული ლოგიკის ცნებებისა და ამ გამოყენების ნიადაგზე რომ იყოს გამოყენებული ტერმინოლოგია, ჩვენ არ ვატარებდით თან მუდამ იმ საცილდავ ექვივოკაციებს, რომელიც სდევს ყველა ლოგიკურ ტერმინს, როგორც არის მაგალითად: აზროვნების კანონები, აზროვნების ფორმა, რეალური და ფორმალური კემაროტიკება, წარმოდგენა, მსჯელობა, დებულება, ცნება, ნიშანი, თვისება, საფუძველი, აუცილებლობა და სხ. და მაშინ განა შესაძლებელი იქნებოდა თავი ეჩინა ლოგიკაში და შემეცნების თეორიაში ამდენ უახრობას... და განა გქნებოდა მათ თავის სასარგებლოდ თუნდ რაიმე გარგვნილი საბუთი, რომელიც ხმ - რად აბრმავეს დიდ მოახროვნესაე?“ Husserl, Logische Untersuchungen. I Band. 2. Auflage. 1918. p. 148).

სებას შენდევნაირად: თვისება  $m$  ეკუთვნის ნატურალურ  $a$  რიცხვს მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ  $ax$  აქვს რომელიმე ერთი მინუს ( $\bar{m}$  თვისებათა ზორის, როგორც თავის მხრივ  $E$  თვისებას აკმაყოფილებენ (ჩვენ მაგალითში,  $a$ -ს აქვს  $m$  თვისება, თუ  $a=100$  ან და თუ  $a$ -ს ერთი მინუს 100-თან საერთო თვისება  $M$ -დან აქვს). ამგვარად, კერძო თვისება  $m$  არის განსაზღვრული ნატურალურ რიცხვთა ყველა თვისებათა სიმრავლის საშუალებით<sup>1</sup>. აქ ჩვენ მის განმარტებაში ვხვდებით იმ ორაზროვნებასა და წინაღმდეგობას, რომელიც თვისების ცნებას ახასიათებს: ერთი მხრე საგნის თვისების თვისების განხილვა როგორც საგნის თვისების, ხოლო მეორე მხრივ არა. ამიტომ აქაც პარადოქსის მიზეზი თვისების ცნების ორაზროვნებაში უნდა ვეძიოთ. ამით შეგვეძლო დაგვემთავრებინა პარადოქსის განხილვა, მაგრამ ჩვენ გვინდა მოვახდინოთ ერთი საინტერესო რიგი დედუქციებისა. რომელიც კვლავ „თვისება“ ცნების დამახასიათებელ ორაზროვნებაზე მიგვიყვანს.

რიცხვი 100 აკმაყოფილებს  $m$  თვისებას და თვითონ ამ თვისების განმარტების ძალით მას შემდეგი სახე უნდა ჰქონდეს:  $ax$  აქვს  $m$  თვისება თუ  $a=100$  ან  $ax$  აქვს რაიმე საერთო თვისება 100-თან ან და მას აქვს საერთო თვისება რომელიმე სხვა რიცხვთან (საერთო თვისება 100-თან და საერთო თვისება რომელიმე სხვა რიცხვთან აგრეთვე საერთო თვისებას წარმოადგენს. ეს იქნება თვისება საერთო 100-ის  $m$  თვისებასთან). გამოდის, რომ  $ax$  აქვს  $m$  თვისება, თუ მას აქვს საერთო თვისება რომელსავე რიცხვთან, მაგრამ  $ax$  აქვს საერთო თვისება ყოველ რიცხვთან (მას რომ საერთო თვისება რომელსავე რიცხვთან არ ჰქონდეს, თითონ ეს უკანასკნელი გარემოება მათ საერთო თვისებას გამოხატავს და მივიღებთ წინაღმდეგობას). ამგვარად გამოდის, რომ  $m$  არის თვისება ყოველი ნატურალური რიცხვისა ე. ი. ნატურალური რიცხვის ის თვისება, რომ ის ნატურალური რიცხვია. აქ ჩვენ გვაქვს თვისების ცნების ის დამახასიათებელი ორაზროვნება და წინაღმდეგობა, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი. თვისება  $m$ -იც წინააღმდეგობას შეიცავს.

ჩვენ ვხვდებით, რომ  $M$  სიმრავლის შეუქლებლობა იმაზე კი არ არის დამოკიდებული, რომ შეუძლებელია ერთმნიშვნელოვნად იმის გამოკვევა, შედის თუ არა  $m$  თვისება  $M$  სიმრავლეში (ასეთი საკითხს დასმა არ შეიძლება, რადგანაც  $m$  თვისება წინააღმდეგობას შეიცავს და არ არსებობს) და ანით  $M$ -ის „Umfang“ განუსაზღვრელი რჩება, არამედ იმაზე, რომ თითონ თვისების ცნება, რომელიც სიმრავლის განსაზღვრის ნორმაში შემოყვანილია, გარკვეულობას მოკლებულია და წინააღმდეგობებით დატვირთულია.

ამით დავაუბრებთ „vicious circle principle“-ისა და „umfangs-definit“-ის თეორიის განხილვას. ჩვენ ვხვდებით, რომ ამ თეორიისათვის, ისევე როგორც პროპოზიციონალური ფუნქციის თეორიისათვის სიმრავლის განსაზღვრისათვის მიღებულია მოკულობის თვალსაზრისი. აქ საქმე გვაქვს თითონ კერძო საგნებთან და საკითხი ისეთნაირად არის დასმული, თუ რა და რა საგნები დან შედგება სიმრავლე. ამ შემთხვევაში, როგორც ვნახეთ ზემოთ, აუცი-

1) Fraenkel. Einleitung in die Mengenlehre. 2 Auflage 1923. p. 175.



ადგენს საუბრეთსო საფუძველს იმ წინააღმდეგობათათვის, რომელშიაც ამ ცნების გამოყენების დროს ვეაოღებთ.

განვიხილოთ მაგალითად საგნის იდენტიუობა თავის თავთან. ერთის მხრივ ჩვენ შეგვიძლიან ვილაპარაკოთ საგნის გარკვეულ თვისებაზე, იყოს თავის თავის იდენტიური, ხოლო მეორე მხრივ არა, რადგან საგნის იდენტიუობა თავის თავთან მის ყოველ თვისების შესაძლებლობას წინ უსწრებს. შემდეგ საგნის თვისების თვისებას ჩვენ ერთი მხრივ განვიხილავთ როგორც თითონ საგნის თვისებას, ხოლო მეორე მხრივ არა. ამის გარდა ის ფაქტი, რომ საგანს რაიმე თვისება აქვს, შეგვიძლიან განვიხილოთ როგორც მისი ახალი თვისება და ასე შემდეგ უსასრულოდ. ნაშინ ერთი მხრივ თვისება უშუალოდ დაკავშირებულია საგანთან, ხოლო მეორე მხრივ იგი სრულებით იკარგება ახალი საფეხურების შემოყვანით. ის თვისება, რომ საგანს აქვს რომელიმე A თვისება, უფრო ახლო არის საგანთან ვიდრე თითონ A თვისება, რადგან მისი საშუალებით საგანი დაკავშირებულია A თვისებასთან. საგნისა და A თვისების შორის მოთავსდება კიდევ ახალი თვისება, მაგრამ ამ უკანასკნელ თვისებასა და საგანს შორის მოთავსდება კიდევ ახალი თვისება და ა. შ. უსასრულოდ, ისე რომ ჩვენი თვისება სრულებით დაიკარგება.

სწორედ თვისების ცნებას ეს ორატროვნება და გაუკვევლობა, რომელიც ადვილად ჰქნის წინააღმდეგობას, არის მიზეზი „ყველა თვისებათა სიმრავლის“ პარადოქსალობისა. მართლაც, ჩვენ განვიხილავთ იმ თვისებას, რომელიც თვისებათა სიმრავლის ყველა ელემენტს ეკუთვნის, ე. ი. თვისებას. რომელიც თვისებათა ყოფნაში მდგომარეობს. სწორედ აქ არის თვისების ცნების ის დამახასიათებელი ორატროვნება და წინააღმდეგობა, რომელზედაც იყო საუბარი ზემოთ, და, რასაკვირველია, აშკარაა, რომ ეს თვისების ცნების ორატროვნება არის ჩვენი პარადოქსის მიზეზი <sup>1</sup>.

ივენ გავარჩევთ Weillის კიდევ ერთ მაგალითს, სადაც დაინახავთ პარადოქსის ისეთსავე მიზეზს, როგორც ზემოთ.

განვიხილოთ ნატურალურ რიცხვთა ყველა თვისებათა სიმრავლე, რომელიც ალემენტო M. ეთქვით E არის ნატურალურ რიცხვთა თვისებათა რაიმე თვისება (მაგ. თვისება E, რომ „100“ რიცხვს აქვს თვისება E, სადაც E გამოხატავს რომელიმე თვისებას M სიმრავლიდან). ჩვენ განვსაზღვრავთ ნატურალურ რიცხვთა m თვი-

<sup>1</sup>) ჩვენ აქ არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ მშენიერი ადგილი Husserl-ის „Logische Untersuchungen“-იდან, სადაც ავტორი ეუბება ისეთ ორატროვნების მატარებელ ცნებებს, როგორც არის თვისების ცნება და მათ შორის კერძოდ თითონ თვისების ცნებასაც: „თავიდანვე რომ იყოს საგნების მოხდენილი გამოიჯნა ელემენტარული ლოგიკის ცნებებისა და ამ გამოიჯნის ნიადაგზე რომ იყოს გამორკვეული ტერმინოლოგია, ჩვენ არ ვატარებდით თან მუდამ იმ საცოდვე ეჭვიოთკაცობებს, რომელიც სდევს ყველა ლოგიკურ ტერმინს, როგორც არის მაგალითად: აზროვნების კანონები, აზროვნების ფორმა, რეალური და ფორმალური ქვეშარიტება, წარმოდგენა, მსჯელობა, დებულება, ცნება, ნიშანი, თვისება, საფუძველი, აუცილებლობა და სხ. და მაშინ განა შესაძლებელი იქნებოდა თავი ეჩინა ლოგიკაში და შემეცნების თეორიაში ამდენ უაზრობას... და განა გქნებოდათ მათ თავის სასარგებლოდ თუნდ რაიმე გარგვეული საბუთი, რომელიც ხმ - რად აბრამეებს დიდ მოაზროვნესაც“ Husserl, Logische Untersuchungen. 1 Band. 2. Auflage. 1913. p. 148.).

გარკვეული სიმრავლის განსაზღვრისა და მხოლოდ ასეთი განსაზღვრის შემდეგ შეიძლება ამ სიმრავლეზე ლაპარაკი. ასეთ შესაძლებლობას ხშირად სრულებით არ ექნება ადგილი, მაგალითად, მაშინ, როცა სათანადო პროცესი ფარულად ოპერაციების უსასრულო რიცხვს მოითხოვს.

გადავიდეთ მაგალითებზე, რომლებიდანაც უფრო ნათელი იქნება ზემოთნათქვამი. განვიხილოთ „A პირის ყველა ნაცნობთა სიმრავლე“. ეს განსაზღვრა, რასაკვირველია, სრულიად არ წარმოადგენს რაიმე სიმრავლის ნორმას. აქ ჩვენი „ნორმა“ თავის შინაგანი აგებულებით სრულებით არ გვეტყვის რომელიმე წინასწარ აღებული საგნის შესახებ, ეკუთვნის ის ჩვენს სიმრავლეს, თუ არა<sup>1</sup>. ის რაიმე კანონს კი არ გამოხატავს, არამედ მათითებას გარკვეულ შემთხვევათა შესაძლებლობაზე. ასე ვთქვათ ცალკე საგანთა ბედზე A პირთან ნაცნობობის მხრივ. აქ გვაქვს არა სიმრავლე, არამედ მხოლოდ შესაძლებლობა (და ამასთან არაერთმნიშვნელოვანი, რადგან „ნაცნობის“ განსაზღვრაში ნებაყოფლობითი ელემენტი შედის) გარკვეული გზით კერძო ელემენტების ჩამოთვლით სიმრავლის განსაზღვრისა. ასეთი განსაზღვრა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენი კერძო საგნების ჩამოვლის პროცესი დამთავრდება. „A პირის ნაცნობთა“ სიმრავლის შემთხვევაში ჩვენ ამასშუაწინასწარ დარწმუნებული ვართ, რადგან როგორც გზითაც უნდა მოხდეს საგნების ჩამოთვლა, ის უნდა აუცილებლად დამთავრდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვიქნებოდით დაგვესვენა, რომ A პირს უტყობრია არა დაბოლოებული რაოდენობა დროისა.

მაგრამ შეიძლება ის შესაძლებლობა, რომლის განხორციელებითაც სიმრავლის ნორმა მიიღება, ფარულად ოპერაციების უსასრულო რიცხვს მოითხოვდეს. მაშინ ჩვენ არამც თუ არ გვაქვს სიმრავლე, არამედ ზის ვერც მივიღებთ.

აეილოთ მაგალითად რომელიმე უსასრულო სიმრავლე M და განვიხილოთ ამ სიმრავლის ყველა ნაწილთა სიმრავლე. იმისათვის, რომ ცნება ნაწილისა სრული გარკვეულობის მატარებელი იყოს, საჭიროა, რომ განვიხილოთ კერძო საგნები და დავრწმუნდეთ, რომ ყველა ისინი, რომელიც ერთ სიმრავლეში შედიან, შედიან აგრეთვე მეორეშიც. შეიძლება თქვან, რომ თითონ ორი სიმრავლის ნორმის შედარება გვეტყვის, რომ ერთი მეორის ნაწილია. მაგრამ ეს ყოველთვის არ მოხდება. საზოგადოდ სიმრავლეთა ნორმები ამ მხრივ არიან ერთი მეორესთან შეუდარებელი. თუ ახლა იტყვიან, რომ ეს ნორმები ყოველ საგანზე გვეტყვიან, ეკუთვნის თუ არა ის ამ სიმრავლეებს და ამ ნიადაგზე მოხდება მათი შედარება, ამაზე ჩვენ უპასუხებთ, რომ აქ ჩვენ კვლავ კერძო საგნების შემოყვანას ვახდენთ (და არა ნორმების ლოლიკურ შედარებას) და სწორედ ამის აცილება კი გვინდოდა. ამგვარად „M სიმრავლის ყველა ნაწილთა სიმრავლე“ არც სიმრავლეს წარმოადგენს და არც შესაძლებლობას სიმრავლის განსაზღვრისას, რადგანაც უკანასკნელი უსასრულო რიცხვს მოითხოვს ოპერაციებისას.

ასეთი ხასიათი ჩვენი „სიმრავლისა“ უფრო აშკარა იქნება, თუ ამ სიმრავლეს შენდგენაირად განვსაზღვრავთ.

1) თუ იტყვიან, რომ ამას თითონ A პირი გვეტყვის, ეს, რასაკვირველია, სრულებით სხვა რაზე იქნება.

განვიხილოთ ორი საგანი A და B და M. სიმრავლის ყოველი ელემენტი შეეცვალათ ან A და ან B საგნით. ასეთი შეცვლა აღენიშნოთ  $M_{AB}$ -ით. განვიხილოთ ყველა  $M_{AB}$  შეცვლათა სიმრავლე, რომელიც აღენიშნოთ  $[M_{AB}]$ .  $M_{AB}$  შეცვლა M სიმრავლის გარკვეულ ნაწილს გვაძლევს (ის ნაწილი, რომელიც მაგ. A საგნებით არის შეცვლილი). ყველა ასეთი შეცვლათა სიმრავლე  $[M_{AB}]$  მოგვცემს „M სიმრავლის ყველა ნაწილთა სიმრავლეს“. ამ შემთხვევაში შეცვლა A და B საგნით არის ის იარაღი, რომელიც ჩვენ სიმრავლეს „განსაზღვრავს“. მაგრამ ენახოთ, როგორი ხასიათი აქვს ამ „განსაზღვრას“. რას ნიშნავს, რომ M სიმრავლის ელემენტები შეცვლილი არიან ან A და ან B საგნით. როცა M სიმრავლე დაბოლოებულია, საქმე მეტად მარტივად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. აქ ჩვენ შეგვიძლია ჩამოეთვალოთ M სიმრავლის ყველა ელემენტები და სრულიად ნებაყოფლობით თითოეულ მათგანს ან A და ან B საგანი მივაკუთვნოთ. აქ ჩვენ უზრალოდ ერთი საგნის გვერდით მეორე საგანს დავაყენებთ გარეშე რაიმე სხვა რეზონისა. ასეთნაირად შეგვიძლიან ყველა შესაძლო შეცვლათა კომბინაცია განვიხილოთ და მივიღებთ  $[M_{AB}]$  სიმრავლეს, რომელიც აგებული იქნება ყველა მისი კერძო ელემენტების ჩამოთვლით. მაგრამ ჩვენ ძალიან კარგად უნდა შევიგნოთ, რომ ასეთი აგების მოხდენა მხოლოდ იმიტომ არის შესაძლებელი, რომ M სიმრავლე დაბოლოებულია.

თუ M სიმრავლე უსასრულოა, საქმე არსებითად იცვლება. აქ  $[M_{AB}]$  ის ელემენტები უზრალო ჩამოთვლით კი არ მიიღება: „ანის მაგივრად ეს. ამის მაგივრად ეს“ და ასე შემდეგ და თითონ  $[M_{AB}]$ -ც მისი კერძო ელემენტების აღნიშვნით, არამედ საჭიროა ჩვენი ოპერაცია  $[M_{AB}]$ ს განსაზღვრისა M სიმრავლის ზოგად ელემენტის ცნებას დაუკავშიროთ. აქ საკმარისი არ არის ჩვენი ოპერაციის ფაქტის სიტყვიერი აღნიშვნა, საჭიროა ამ ოპერაციას შინაგანი აზრი მოუნახოთ. ჩვენ თუ ვიტყვი: „M სიმრავლის ზოგად m ელემენტს ვცვლით ან A და ან B საგნით“ ჩვენ ამით არსებითად არაფერს არ ვამბობთ (აქ ხომ საქმე არა გვაქვს კერძო საგნების შეცვლასთან A ან B თი), სანამ m ელემენტის ცნებას რამენაირად ჩვენ ოპერაციას არ დაუკავშირებთ. უამისოდ m დარჩება მად და A და B, A და B-დ, და არაფერს ახალს არ მივიღებთ.

ჩვენ ამგვარად ვხედავთ, რომ ზემოთმოყვანილი განსაზღვრა, იმისთვის, რომ ის გარკვეული იყოს, საჭიროებს ოპერაციების უსასრულო რიკხებს და ამიტომ ის შეუძლებელია. აქაც ფარულად უსასრულო სიმრავლეზე დაბოლოებული სიმრავლის თვალსაზრისი გადაგვაქვს.

საქმე სრულებით იცვლება, თუ მივიღებთ, რომ M სიმრავლე დალაგებულია. მაშინ  $[M_{AB}]$ -ს განსაზღვრა ნიშნდება ასეთნაირად: „ $[M_{AB}]$ -ს ელემენტი ისეთი საგანია, რომელშიდაც M-ის რომელიმე m ელემენტის ადგილას არის ან საგანი A და ან საგანი B“. აქ უკვე M სიმრავლის m ელემენტსა და ჩვენს ოპერაციას შორის გარკვეული კავშირია და ამ კავშირს ამყარებს მის ადგილის ცნება. ამ შემთხვევაში ჩვენი ოპერაციის გარკვეულობის უზრუნველსაყოფად სრულიად არ გვჭირია ის, რომ საქმე გვაქონდეს კერძო საგნებთან და ამგვარად საჭირო არ არის უსასრულო ოპერაციების მოხდენა. შევნიშნავთ, რომ ჩვენი ნორმა იძლევა თითონ  $[M_{AB}]$  სიმრავლისა და არა მისი კერძო ელემენტების ვან-

საზღვრას და თითონ  $M$  სიმრავლის ნორმისა და არა მისი კერძო ელემენტების საშუალებით. ამ მხრივ ჩვენ სამართლიანად არ მიგვაჩნია Hobsonის ერთი შენიშვნა, რომ „ $M_{AB}$  უნდა იყოს იეთი, რომ მისი ყოველი ელემენტი იყოს განსაზღვრული ნორმის საშუალებით“<sup>1</sup>.  $M_{AB}$  ყოველი ელემენტი რომ იყოს განსაზღვრული ნორმის საშუალებით. მაშინ  $M_{AB}$  განსაზღვრა უსასრულო რიცხვს ნორმებისას მოითხოვს და კიდევ ახალი უსასრულობა საჭიროა იმისათვის, რომ გადავიდეთ  $M_{AB}$ ებიდან  $[M_{AB}]$  სიმრავლეზე. ნამდვილად ჩვენი ნორმა არამც თუ არ საზღვრავს  $M_{AB}$ ში შემავალ საგნებს, არამედ არც თითონ კერძო  $M_{AB}$ ებს, ის საზღვრავს მხოლოდ  $[M_{AB}]$  სიმრავლეს და მხოლოდ ამ სიმრავლის განსაზღვრის მხრივ ის თავის დაბოლოვებული სახით სრული გარკვეულობის მატარებელია<sup>2</sup>.

ჩვენი ნორმა რომ  $[M_{AB}]$  სიმრავლეს კი არა, არამედ მის კერძო  $M_{AB}$  ელემენტებს საზღვრავდეს, მაშინ ამ ნორმაში ის კი არ იქნება მოთხოვნილი, რომ  $M$ -ის ზოგად  $m$  ელემენტის ადგილას არის ან  $A$  საგანი და ან  $B$  საგანი, არამედ ყოველ კერძო ელემენტზე იქნება გარკვევით ნათქვამი რომელი საგნით,  $A$  თუ  $B$  საგნით არის იგი შეცვლილი და გვექნება უსასრულო რიცხვი ოპერაციებისა.

ჩვენ დავინახეთ რომ „ $M$  სიმრავლის ნაწილთა სიმრავლის“ განსაზღვრა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ დავამყარებთ გარკვეული კავშირს  $M$  სიმრავლის ზოგადი ელემენტსა და ჩვენი შეცვლის ოპერაციას შორის. ასეთი კავშირის დამყარება შეიძლება, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა  $M$  სიმრავლე დალაგებულია. ასეთი კავშირის განხორციელება შეიძლება კიდევ შემდეგნაირად: ავიღოთ  $A$  და  $B$  საგნები ისეთნაირად, რომ თითონ ეს საგნები გარკვეულ კავშირს ამყარებდნენ  $m$ -სა და ჩვენი შეცვლის ოპერაციას შორის ე. ი. თვითონ ისინი გვეუბნებოდნენ  $M$ -ის იმ ელემენტების შესახებ, რომელსაც ისინი შესცვლიან. ეს კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლო, როცა ეს საგნები გარკვეულ დებულებებს წარმოადგენენ, რომელიც  $M$ -ის ელემენტების შესახებ განითქმებიან. ასეთი ორი განსხვავებული  $A$  და  $B$  დებულების არსებობა ყოველთვის როდია შესაძლო. სიმრავლე უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ პირობებს, რომ ეს მოხდეს. როგორც ეს პირობები. უპირველეს ყოვლისა ერთი  $A$  დებულება არის ყოველთვის უზრუნველყოფილი, რადგან ამას თითონ სიმრავლის ნორმა იძლევა. რაც შეეხება მეორე დებულებას  $B$  იგი შემდეგნაირად შეგვიძლიან მივიღოთ. ავიღოთ  $M$  სიმრავლის რომელიმე ექვივალენტური სიმრავლე და  $B$  დებულებად მივიღოთ მათი ექვივალენტობის ნორმა. აქ არსებითია პირობა,

<sup>1</sup>) Hobson, The theory of functions of a real variable and the theory of Fourier's series. p. 264. 1907.

<sup>2</sup>) საჭიროა შევნიშნოთ, რომ ზემოთმოყვანილ შენიშვნას Hobsonის წიგნში შემთხვევითი ხასიათი აქვს და სრულიად არ ეთანხმება ამ წიგნში მკაცრად გატარებულ აზრს იმის შესახებ, რომ „in the case of a finite aggregate, the elements may be defined by means of individual specification, but this is not possible in the case of a transfinite aggregate; individual specification must then, in the latter case, be replaced by a law, or by an finite set of laws, forming the norm by which the aggregate is defined“ (p. 194).

რომ  $A$  და  $B$  დებულებანი განსხვავდებოდნენ. იმისათვის, რომ  $B$  დებულება განსხვავდებოდეს  $A$  დებულებისაგან, საჭიროა არსებობდეს  $M$ -ის ისეთი ექვივალენტური სიმრავლე, რომლისთვისაც  $M$ -თან ექვივალენტობის ნორმა განსხვავდება თითონ  $M$ -ის განსაზღვრის ნორმისაგან. ჩვენ ამ შემთხვევაში ვიტყვი, რომ უნდა არსებობდეს  $M$ -ის სიმძლავრის სიმრავლე, რომელიც არსებითად განსხვავდება  $M$ -ისაგან<sup>1</sup>.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლიან განვსაზღვროთ  $[M_A]$  სიმრავლე, რომლის ნორმაც შემდეგნაირად გამოიხატება:  $[M_A]$  სიმრავლის ელემენტი ისეთი საგანია, რომელშიაც  $M$  სიმრავლის რომელიმე  $m$  ელემენტის მაგივრად არის ან  $A$  და ან  $B$  დებულება გამოთქმული ამ ელემენტის შესახებ.

ჩვენ ამგვარად ვხედავთ, რომ  $M$  სიმრავლის ნაწილთა სიმრავლის განხილვა შეიძლება არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა გარკვეული პირობები დაკულია ( $M$  სიმრავლე დალაგებულია, ან არსებობს  $M$ -ის სიმძლავრის მისგან არსებითად განსხვავებული სიმრავლე ან და სხ.).

მხოლოდ ამ შემთხვევაში  $M$  სიმრავლის ყველა ნაწილთა სიმრავლის განსაზღვრა სრული გარკვეულობის მატარებელია და ამ გარკვეულობის უზრუნველსაყოფად ფარულად უსასრულო პროცესი არ არის მოთხოვნილი.

ჩვენ ვხედავთ, რომ ხშირად სიმრავლის განსაზღვრა მხოლოდ ფიქტიურია, რადგან ნამდვილად სიმრავლის ნორმა კი არ გვაქვს მოცემული, არამედ მხოლოდ ერთნაირი შესაძლებლობა სიმრავლის განსაზღვრისა, რომელიც განუხორციელებელია თუ ის ფარულად უსასრულო რიცხვს ოპერაციებისას მოითხოვს. საამის მაგივრად ზემოთ იყო მოყვანილი.

ჩვენ, რასაკვირველია, შეგვიძლიან უსასრულო სიმრავლის განხილვა, მაგრამ ამ სიმრავლის განსაზღვრის სრული გარკვეულობა უნდა იყოს მოცემული თითონ განსაზღვრის დაბოლოებული ხასიათით, ისე რომ ამ გარკვეულობის უზრუნველყოფა ფარულად რაიმე უსასრულო პროცესის მოხდენას არ ითხოვდეს. ეს არის ძირითადი მოთხოვნილება, რომლის დაუცველობა, როგორც ქვემოთ დაიწინააფეთ, მრავალ პარადოქსს იწვევს.

ამაზე გაცილებით უფრო შორს მიდის Brouwer, რომელიც სიმრავლის განმარტების დაბოლოებული ხასიათიდან ითხოვს არა მარტო სიმრავლის გარკვეულობის უზრუნველყოფას, არამედ შესაძლებლობას თითონ სიმრავლის აგების პროცესის განხორციელებისას<sup>1</sup>. ასეთნაირად Brouwerს მსურს თავიდან აიცილოს ის სიძნელე, რომელიც უსასრულო სიმრავლის ცნებაში მდგომარეობს. ეს ცდა უსასრულობის სიძნელის თავიდან აცილებისა ჩვენის აზრით დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება.

აქ სიმრავლის უსასრულობა ბოლოს და ბოლოს გადატანილია სიმრავლის კონსტრუქციის პროცესის უსასრულობაში, ისე რომ სიძნელე თავიდან აცილებული კი არ არის, არამედ გადატანილია ცოტა სხვა ადგილას.

<sup>1</sup>) დაწერილებით ამის შესახებ: ლ. გოკიელი, დებულებათა სიმრავლის ძირითადი თვისებანი. „ტფილისის უნივერსიტეტის შიამბე“. V, 1925 წ. pp. 297, 298.

<sup>2</sup>) Fraenkel, Zehn Vorlesungen über die Grundlegung der Mengenlehre, 1927, pp. 26—57. Brouwer, Zur Begründung der intuitionistischen Mathematik (Mathematische Annalen. N. 93 1/2, H. B. 95. 3 H. B. 96. 1/2, H. 1925—1926).

უსასრულობის განსაზღვრის მთელი სიძნელე მდგომარეობს დაბოლოვებულ განმარტებიდან უსასრულო სიმრავლეზე გადასვლაში და Brouwerისთვისაც ამ გადასვლას ეწეება ადგილი, მაგრამ უკვე დაბოლოვებული განმარტებასა და სიმრავლის კონსტრუქციის უსასრულო პროცესს შორის.

ამის გარდა თითონ საკითხის დასმა ამა თუ იმ სიმრავლის კონსტრუქციული განსაზღვრის შესაძლებლობის შესახებ ჰმოწმობს იმას, რომ სიმრავლე წინასწარ ნოკემულია ზოგადი ნორმით და ეს ნორმა საშუალებას გვაძლევს სიმრავლე ასე თუ ისე დავახასიათოთ. როგორც დადებითი ისე უარყოფითი პასუხი ჩვენ საკითხზე სიმრავლის გარკვეულ ხასიათს გამოხატავს და არა სიმრავლის არსებობას და არ არსებობას. თითონ დადებით პასუხში ჩვენ ვრწმუნდებით არა პირდაპირ აგების პროცესის განხორციელებით, არამედ იმავე ნორმის საშუალებით, ისე რომ აქაც ჩვენ იმაზე მეტი არ გვაქვს, რასაც ზოგადი ნორმა იძლევა. რასაკვირველია, ეს ნორმა არ გვეტყვის უარს სიმრავლის არსებობაზე ნაშინაც, როცა მისი საშუალებით უარყოფით პასუხს მივიღებთ.

ამგვარად საკითხი კონსტრუქციის პროცესის შესახებ თითონ სიმრავლის ნორმას ეყარება და, რადგანაც ეს კონსტრუქციის პროცესი უსასრულოა, მასაც თავისი ნორმა უნდა ჰქონდეს.

სიმრავლის ნორმა უსწრებს კონსტრუქციის პროცესს და არა კონსტრუქციის პროცესი სიმრავლის ნორმას. აქ მთავარია თითონ ნორმის შინაგანი გარკვეულობა, რის საშუალებითაც ჩვენ ვარკვევთ სიმრავლის ხასიათს.

ზევით ხსენებული Brouwerის თეორია სიმრავლის განსაზღვრის შესახებ წარმოადგენს, ჩვენი შეხედულობით, არასწორ დასკვნას იმ ღრმად ქეშმარიტი აზრიდან, რომელიც მის გამოსავალ პუნქტს შეადგენს. ეს აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი განსაზღვრა უნდა მოხდეს დაბოლოვებული სახით, ისე რომ ის ფარულად უსასრულო პროცესს არ მოითხოვდეს. როცა ჩვენ ამ პირობას უყენებთ სიმრავლეს, უნდა მივიღოთ მხედველობაში თითონ სიმრავლის ცნების ბუნება და ეს პირობა გამოთქმული სიმრავლის შესახებ უნდა იყოს შეთანხმებული ამ ცნების ბუნებასთან. აქ ჩვენ საქმე გვაქვს სიმრავლესთან, საგვარეულო ხასიათის ცნებასთან და ჩვენი პირობაც უნდა ეხებოდეს სიმრავლის ცნების ამ ხასიათს და მხოლოდ ისეთნაირი შეიძლება იყოს, რომ სიმრავლის განსაზღვრამ საესებით უნდა უზრუნველყოს სიმრავლის შინაგანი გარკვეულობა ისე, რომ ის ფარულად რაიმე უსასრულო პროცესს არ მოითხოვდეს.

ჩვენ რომ პირობა, რომელიც უნდა დაესვათ სიმრავლის წინაშე, სიმრავლის ელემენტებს დაუყენოთ, ამით ეს პირობა თავის დანიშნულების ადეკვატური არ იქნება. ამიტომ სიმრავლის განსაზღვრის დაბოლოვებული ხასიათი სრულებით იმას არ მოითხოვს, რომ უსასრულო სიმრავლე დაბოლოვებული სიმრავლის მსგავსად კერძო ელემენტების საშუალებით ავაგოთ, არამედ მხოლოდ იმას, რომ, როგორც ეს ზემოთ იყო ნათქვამი, თითონ სიმრავლე სრული გარკვეულობის მატარებელი იყოს. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი პირობა და, როგორც შევძლე დავინახავთ, მისი დაუცველობა მრავალ პარადოქსს იწვევს.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს სპეციალურად Brouwerის თეორიის კრიტიკა. Brouwerი გაცილებით უფრო შორს მიდის, ვიდრე Weill და Weillის სიმრავ-

ლის ცნების ზემოთგანხილული შეზღუდვანი Brouwerის მიერ არიან ბევრად უფრო გაძლიერებული. Weillის ყველა შეზღუდვანი გამომდინარეობენ Brouwer-ის თეორიიდან. ჩვენი არგუმენტაცია მიმართული იყო Weillის შეზღუდვის უკანონობის დასამტკიცებლად. *Ex ipso* იგი ვრცელდება Brouwerის თეორიაზე, რომელიც, როგორც ვთქვით, Weillის შეზღუდვებს აძლიერებს. ჩვენ კრიტიკის საგნად ავარჩიეთ Weillის თეორია, რომელიც შედარებით სუსტ შეზღუდვებს ითხოვს, იმისათვის, რომ ამით კრიტიკის შედეგებსაც უფრო ზოგადი ხასიათი ჰქონდეთ და ისინი თავის თავად გავრცელდნ სხვა თეორიებზე, რომელნიც უფრო შორს მიდიან. ეს ჩვენ გვათავისუფლებს Brouwerის თეორიის განსაკუთრებული გარჩევისაგან.

#### 4. პარადოქსების გარჩევა. „ყველა საგანთა სიმრავლის“, Russellის, Burali-Fortის, Richardის და სხ. პარადოქსები.

ახლა ჩვენ უკვე შეგვიძლიან გადავიდეთ სიმრავლეთა თეორიის პარადოქსების გარჩევაზე.

განვიხილოთ ჯერ შემდეგი პარადოქსი.

Cantorის ცნობილი თეორემის ძალით არსებობს ისეთი სიმრავლე, რომელსაც უფრო მაღალი სიმძლავრე აქვს, ვიდრე „ყველა საგანთა სიმრავლეს“. მაგრამ უკანასკნელი სიმრავლე „ყველა საგანთა სიმრავლის“ ნაწილია. გამოდის, რომ სიმრავლის ნაწილს უფრო მაღალი სიმძლავრე აქვს, ვიდრე თითონ სიმრავლეს, რაც შეუძლებელია.

Cantorისათვის ეს არის ნამდვილი ანტინომია, რადგანაც მისი თეორიის მიხედვით „ყველა საგანთა სიმრავლე“ ნამდვილად არსებობს. მაგრამ ჩვენთვის „ყველა საგანთა სიმრავლე“ წინააღმდეგობას შეიცავს და, რასაკვირველია, სრულებით ბუნებრივია ამ წინააღმდეგობის ნიადაგზე მივიღოთ პარადოქსი. ამას გარდა პარადოქსში გამოყენებულია თეორემა იმის შესახებ, რომ ალბულ სიმრავლისათვის არსებობს უფრო მაღალი სიმძლავრის სიმრავლე. მაგრამ ჩვენთვის ამ თეორემას საყოველთაო მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ამ თეორემის დამტკიცების დროს გამოყენებულია „ალბული სიმრავლის ყველა ნაწილთა სიმრავლე“ და ასეთი სიმრავლის არსებობისათვის საჭიროა, როგორც ჩვენ ზემოთ დავინახეთ, გარკვეული პირობების დაცვა.

გადავიდეთ ახლა შემდეგ პარადოქსზე, რომელიც Russellის ეკუთვნის. განვიხილოთ M სიმრავლე ყველა ისეთ სიმრავლეთა, რომელნიც თავის თავს, როგორც ელემენტს, არ შეიცავენ. აქ ორი შესაძლებელი შემთხვევა წარმოგვიდგება:

I. M სიმრავლე შეიცავს თავის თავს, როგორც ელემენტს.

II. M სიმრავლე თავის თავს, როგორც ელემენტს, არ შეიცავს.

I. შემთხვევაში M სიმრავლეში ისეთი სიმრავლე შედის (M), რომელიც შეიცავს თავის თავს, როგორც ელემენტს, მაგრამ ეს M-ის განმარტებას ეწინააღმდეგება.

II. შემთხვევაში M სწორედ ერთი ისეთი სიმრავლეთაგანია, რომელიც იმავე M სიმრავლეში შედის, რადგანაც იგი თავის თავს, როგორც ელემენტს, არ

შეიცავს და აქედან კი გამომდინარეობს რომ  $M$  თავის თავს, როგორც ელემენტს, შეიცავს. ამგვარად როგორც I. ისე II. შესაძლებლობა წინაღმდეგობას იძლევა და მაშასადამე  $M$  სიმრავლე წინაღმდეგობას წარმოშობს.

ჩვენთვის საკითხი მეტად მარტივად წყდება, რადგანაც თითონ  $M$  სიმრავლის არსებობა თავიდანვე გამორიცხულია. მართლაც ჩვენ ვიცით, რომ შეუძლებელია, რომ სიმრავლე თავის თავს როგორც ელემენტს შეიცავდეს. ამიტომ  $M$  სიმრავლე უნდა იყოს ყველა შესაძლო სიმრავლეთა სიმრავლე და ასეთი სიმრავლე კი ჩვენი კრიტერიუმის მიხედვით არ არსებობს, რადგანაც ის რომ არსებობდეს, მაშინ ის იქნება სიმრავლე და მაშ. თითონ ამ „ყველა სიმრავლეთა სიმრავლის“ ელემენტი.

ამგვარად  $M$  სიმრავლე არ არსებობს და ამით Russellის პარადოქსი კარგავს ყოველგვარ ძალას, რადგანაც მასში წინასწარ ნაგულისხმევია, რომ  $M$  სიმრავლე არსებობს. Cantorის თეორიის მიხედვით აუცილებელია თავიდანვე  $M$  სიმრავლე მივიღოთ, როგორც არსებული და მისთვის Russellის წინაღმდეგობა აუცილებელია. ჩვენ კი არ ვართ ვალდებული *a priori* განვიხილოთ  $M$  სიმრავლე, როგორც არსებული (პირიქით, როგორც დავინახეთ, ეს სიმრავლე არც არსებობს). საკმარისია Russellის პარადოქსს ჩამოეცალოთ ეს წინასწარი მიღება  $M$  სიმრავლისა, როგორც არსებულისა, რომ მას წაერთვას ყოველგვარი ძალა რაიმე წინაღმდეგობათა წარმოშობისა. მართლაც მაშინ ჩვენი I. და II. შემთხვევები შემდეგ სახეს მიიღებენ:

I. თუ  $M$  სიმრავლე არსებობს, ის შეიცავს თავის თავს როგორც ელემენტს.

II. თუ  $M$  სიმრავლე არსებობს, ის არ შეიცავს თავის თავს როგორც ელემენტს.

I. იძლევა წინაღმდეგობას რადგანაც სიმრავლის არსებობა გამორიცხავს იმას, რომ ის თავის თავის ელემენტი იყოს.

II. კი წარმოადგენს საყოველთაო დებულებას: თუ სიმრავლე არსებობს, ის თავის თავის ელემენტი არ იქნება. აქ არც ცალკე (II) შემთხვევასთან დაკავშირებული პირობითი წარმოდგენა არის საჭირო და არც  $M$  სიმრავლე.

ჩვენ ამგვარად ვხედავთ რომ როგორც I. ისე II. შემთხვევიდან ვერავითარ დასკვნას  $M$  სიმრავლის შესახებ ვერ მივიღებთ, ისე რომ აქ სრულებით არა აქვს ადგილი რაიმე ლოგიკურ წინაღმდეგობის წარმოშობის შესაძლებლობას. ამით ვამთავრებთ Russellის პარადოქსის განხილვას.

ახლა მოვიყვანთ ერთ პარადოქსს, რომელიც Russellის პარადოქსის მსგავსია და რომელიც ჩვენი სიმრავლის არსებობის კრიტერიუმთან არის დაკავშირებული.

განვიხილოთ „ყველა არსებულ საგანთა სიმრავლე“.

ორი შემთხვევა წარმოგვიდგება:

1. ეს სიმრავლე არსებობს.

2. ეს სიმრავლე არ არსებობს.

1. შემთხვევაში სიმრავლე არსებულ საგანს წარმოადგენს და მაშ. ის შედის „ყველა არსებულ საგანთა სიმრავლეში“ და ამგვარად თავის თავს ეკუთვნის.



ეს სიმრავლის ჩვენი კრიტერიუმის მიხედვით იმას გამოხატავს, რომ ის არ არსებობს.

2. შემთხვევაში სიმრავლის არ არსებობა იწვევს იმას, რომ ის არსებულ საგანთა შორის არ მოთავსდება და მაშ. სიმრავლე თავის თავის ელემენტი არ იქნება. ეს კი იმას გამოხატავს, რომ სიმრავლე არსებობს.

ჩვენ მივიღეთ შემდეგი: როგორც სიმრავლის არსებობა ისე არარსებობა წინააღმდეგობას წარმოშობს.

ნამდვილად კი საქმე შემდეგნაირად წარმოგვიდგება.

1. შემთხვევის გარჩევა მართლაც გვიმტკიცებს, რომ სიმრავლის არსებობა წინააღმდეგობას წარმოშობს და სიმრავლის არარსებობას ამტკიცებს.

რაც შეეხება 2. შემთხვევის გარჩევას და აქიდან იმ დასკვნის გამოყენებას, რომ სიმრავლის არარსებობაც წინააღმდეგობას ჰქმნის, ის სწორი არ არის.

ჩვენი კრიტერიუმი გვეუბნება შენდევს: თუ პირობით მივიღებთ, რომ სიმრავლე არსებობს და მაშინ ჩვენ იძულებული არ ვიქნებით სიმრავლე განვიხილოთ, როგორც თავის თავის ელემენტი, მაშინ იგი ნამდვილად არსებობს. ჩვენ კი ზემოთ 2. შემთხვევის გარჩევის დროს პირობით თავიდანვე სწორედ სიმრავლის არარსებობა მივიღეთ, ისე რომ ჩვენი კრიტერიუმის საშუალებით ვერავითარ დასკვნას ვერ მივიღებთ. ამგვარად ჩვენი სიმრავლის არარსებობა არავითარ წინააღმდეგობას არ წარმოშობს.

ახლა გადავალთ Burali-Fortis პარადოქსის განხილვაზე.

Burali-Fortis პარადოქსი არის ისტორიულად პირველი პარადოქსი სიმრავლეთა თეორიაში. სანამ ჩვენ პირდაპირ Burali-Fortis პარადოქსზე გადავიდოდეთ, განვიხილოთ ერთ პარადოქსს, რომელიც Burali-Fortis პარადოქსის მსგავსია, და რომელშიაც პარადოქსის მიზეზი შეიძლება უფრო ნათლად ჩანდეს.

აეილოთ რაიმე A საგანი. მე დავამტკიცებ, რომ A საგნის შესახებ შეიძლება გარკვეული კემშარიტება გამოითქვას. წარმოვიდგინოთ წინააღმდეგი. ესტყვათ A საგნის შესახებ არავითარი კემშარიტების გამოთქმა არ შეიძლება. მაშინ უკანასკნელი დებულება წარმოადგენს კემშარიტებას გამოთქმულს A საგნის შესახებ დამივილებთ წინააღმდეგობას. მაშასადამე ჩვენი წარმოდგენა სამართლიანი არ არის და ამით დებულებაც დამტკიცებულია. ამგვარად დამტკიცებულია, რომ A საგნის შესახებ შეიძლება კემშარიტების გამოთქმა. მაშინ თითონ უკანასკნელი დებულება იქნება A<sub>s</sub> შესახებ გამოთქმული კემშარიტება. განვიხილოთ პირველად A<sub>s</sub> შესახებ გამოთქმული შემდეგი კემშარიტება: „A<sub>s</sub> შესახებ შეიძლება კემშარიტების გამოთქმა“. დავამტკიცოთ, რომ შეიძლება ამის გარდა კიდევ სხვა კემშარიტების გამოთქმა A საგნის შესახებ. წარმოვიდგინოთ წინააღმდეგი: ვთქვათ A<sub>s</sub> შესახებ სხვა კემშარიტების გამოთქმა არ შეიძლება. მაშინ უკანასკნელი დებულება იქნება A<sub>s</sub> შესახებ გამოთქმული კემშარიტება და იმავე დროს განსხვავებული პირველი კემშარიტებისაგან: „A<sub>s</sub> შესახებ შეიძლება კემშარიტების გამოთქმა“. ამგვარად ჩვენი წარმოდგენა სამართლიანი არ არის და დებულებაც დამტკიცებულია. A<sub>s</sub> შესახებ გამოთქმულ მეორე კემშარიტებად მივიღოთ ის, რომ A<sub>s</sub> შესახებ შეიძლება პირველისაგან განსხვავებულ კემშარიტების გამოთქმა. გვექნება A<sub>s</sub> შესახებ გამოთქმული ორი განსხვავებული კემშა-

რიტება: „As შესახებ შეიძლება კეშმარიტების გამოთქმა“. „As შესახებ შეიძლება ამ პირველი კეშმარიტებისაგან განსხვავებული კეშმარიტების გამოთქმა“. ასევე დაეამტკიცებთ, რომ შეგვიძლიან კიდევ ახალი განსხვავებული კეშმარიტება გამოვთქვათ As შესახებ. უკანასკნელ კეშმარიტებას მივიღებთ. როგორც შესამჩნევს პირველ ორ კეშმარიტებისაგან განსხვავებულ As შესახებ გამოთქმულ კეშმარიტებას. ჩვენი პროცესი შეგვიძლიან უსასრულოდ განვაგრძოთ.

განვიხილოთ სიმრავლე ყველა იმ As შესახებ გამოთქმულ კეშმარიტებათა (აღვნიშნოთ ეს სიმრავლე P), რომელთაც ასეთი სისხლის გზით მივიღებთ. დაეამტკიცოთ, რომ შეიძლება გამოითქვას As შესახებ ისეთი კეშმარიტება, რომელიც განსხვავდება P სიმრავლის ყოველი კეშმარიტებისაგან. მართლაც წარმოვიდგინოთ წინაღობა: ვთქვათ ასეთი კეშმარიტება არ არსებობს. მაშინ უკანასკნელი კეშმარიტება თითონ წარმოადგენს P ყოველი ელემენტისაგან განსხვავებულ As შესახებ გამოთქმულ კეშმარიტებას და მივიღებთ წინაღობას. ამით ჩვენი დებულება დაამტკიცებულია. ამ ახალ As შესახებ გამოთქმულ P ელემენტებისაგან განსხვავებულ კეშმარიტებად შეგვიძლიან მივიღოთ თითონ ზემოთ დაამტკიცებული კეშმარიტება იმის შესახებ, რომ ასეთი ახალი კეშმარიტების გამოთქმა შეიძლება.

მაგრამ მეორე მხრივ უკანასკნელ კეშმარიტების მიღება ხდება ჩვენი პროცესის მიხედვით, რომელიც მუდამ ახალი კეშმარიტებას იძლევა და უნდა წარმოადგენდეს ამ პროცესის ერთ ერთ ეტაპს. ამიტომ იგი უნდა ეკუთვნოდეს P სიმრავლეს. მივიღეთ წინაღობა.

მოყვანილი პარადოქსის მიზეზი მდგომარეობს იმასში, რომ P სიმრავლე ნამდვილად არ არსებობს. მართლაც, ჩვენი პროცესი იძლევა არა სიმრავლის ნორმას, არამედ მხოლოდ ერთნაირ შესაძლებლობას სიმრავლის ნორმის განსაზღვრისას და ეს შესაძლებლობა განუხორციელებელი რჩება, რადგან იგი, იმისათვის რომ ჩვენი სიმრავლე სავსებით გარკვეული იყოს, ფარულად უსასრულო რიცხვს ოპერაციებასას მოითხოვს. ნამდვილად ჩვენ მივიღებთ არა ერთ P სიმრავლეს, არამედ სხვადასხვა სიმრავლეებს და ჩვენი პროცესი იძლევა შესაძლებლობას ამ სხვა-და-სხვა სიმრავლეების ნორმების განსაზღვრისას. გვექნება სიმრავლე, რომლისათვისაც კეშმარიტების რიცხვი არის 2, 3, 1000, ..., 1000000, ...,  $\omega$ ,  $\omega + 1$ , ...,  $\omega^2$ , ...,  $\omega^\omega$  და სხ.

შეიძლება თქვან, რომ P სიმრავლე არის ყველა ამ სიმრავლეთა სიმრავლის (აღვნიშნოთ უკანასკნელი Q) ჯამი. მაგრამ Q სიმრავლის განსაზღვრა იმავე ჩვენ პროცესზე არის დამყარებული და ისეთსავე სიმძნელესა და უსასრულო რიცხვს მოითხოვს ოპერაციებისას, როგორც P სიმრავლე. Q სიმრავლის რომელიმე სიმრავლეს ახასიათებს მისი უკანასკნელი კეშმარიტება, რაც P სიმრავლის გარკვეულ კეშმარიტებას უნდა წარმოადგენდეს ისე, რომ თითონ Q სიმრავლის განსაზღვრა მოითხოვს, რომ P სიმრავლე მოცემული იყოს. ამგვარად P სიმრავლის არარსებობა მოასწავებს Q სიმრავლის არარსებობას და არა პირიქით Q სიმრავლის არსებობა P სიმრავლის არსებობას.

შეიძლება თქვან, რომ P სიმრავლეში ჩვენ იმდენ კეშმარიტებას მივიღებთ რამდენიც არის რიცხვი ორდინალურ რიცხვთა სიმრავლეში და ამით P სიმრავ-

ვლევ განსაზღვრულად ჩათვალონ. მაგრამ სწორედ Burali-Forti-ს პარადოქსი, რომელსაც ჩვენ შემდეგ განვიხილავთ, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს „ყველა ორდინალურ რიცხვთა სიმრავლის“ არსებობას და თითონ ზემოთ მოყვანილი შედეგი პირიქით წარმოადგენს იმის საუკეთესო საბუთს, რომ „ყველა ორდინალურ რიცხვთა სიმრავლე“ არ არსებობს.

სრულებით ისეთნაირადვე როგორც წინა პარადოქსს, ჩვენ ავხსნით Burali-Fortis პარადოქსსაც.

ეს პარადოქსი შემდეგში მდგომარეობს.

განვიხილოთ ყველა ორდინალურ (დაბოლოებულ და ტრანსფინიტურ) რიცხვთა  $W$  სიმრავლე დალაგებული მათი სიდიდის მიხედვით. ეს სიმრავლე იქნება ნორმალურად დალაგებული (wohlgeordnet, normally ordered) და ექნება თავის ორდინალური რიცხვი, რომელიც უნდა იყოს ჩვენი სიმრავლის ყოველ რიცხვზე მეტი იმ დროს, როცა თითონ ეს სიმრავლე ყველა ორდინალურ რიცხვებს უნდა შეიცავდეს.

აქაც პარადოქსის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ გვექნება არა ერთი, არამედ ორდინალურ რიცხვთა სხვადასხვა სიმრავლე და ცდა ამ სიმრავლეებიდან  $W$  სიმრავლის შეკრების საშუალებით მიღებისა ფარულად მოითხოვს წინასწარ თითონ  $W$  სიმრავლის არსებობას.

ახლა ჩვენ უკანასკნელად განვიხილავთ პარადოქსების ერთ ჯგუფს, რომელთაც საერთო საფუძველი აქვთ და რომელნიც Richardის სახელთან არიან დაკავშირებული. რიანელიმე ამ პარადოქსის ამოხსნა მოასწავებს ასეთსავე მდგომარეობას მთელი ჯგუფისათვის. ჩვენ განვიხილავთ უმარტივესს მათ შორის. დავსვათ შემდეგი ამოცანა:

რომელია უმცირესი იმ მთელ დადებით რიცხვთა შორის, რომელნიც არც ერთ ასზე ნაკლები ქართული სიტყვის საშუალებით აგებული ფრაზით არ განისაზღვრებიან?

რადგან ქართულ სიტყვათა რიცხვი დაბოლოებული არის, ამიტომ ის რიცხვები, რომელთა განსაზღვრაც შეიძლება ასზე ნაკლებ ქართული სიტყვის შემცველი ფრაზის საშუალებით, დაბოლოებულ სიმრავლეს შეადგენს (აღვნიშნოთ ეს სიმრავლე  $E$ ). მაშასადამე იმ რიცხვთა შორის, რომელნიც ასეთი ფრაზებით არ განისაზღვრებიან, არის უმცირესი.

მეორე მხრივ უკანასკნელი რიცხვი იყო განსაზღვრული ზემოთმოყვანილი ფრაზის საშუალებით, რომელიც ასზე ნაკლებ ქართულ სიტყვას შეიცავს ისე, რომ მიღებული გვაქვს წინააღმდეგობა.

ჩვენთვის პარადოქსის მიზეზი სრულებით ნათელია. ქართული ენა (ისევე როგორც ყოველივე სხვა ენა) სრულებით არ არის აზრის იდეალური და დამთავრებული აპარატი, რომ სრულებით გარკვეულად ყოველ ორპროპოზიციის გარეშე განსაზღვროს  $E$  სიმრავლე. ენა აზრის პასიური მასალაა და იგი ვერ იქნება თავის თავად განსაზღვრის წყარო. განსაზღვრა ხდება ენის საშუალებით და არა თითონ ფაქტი ენის არსებობას რაიმე განსაზღვრების მომცემია. აზრი უსწრობს ენის გამოკენების შესაძლებლობას და არა პირიქით თითონ ფაქტი ენის არსებობის რაიმე აზრს. როგორი ტრივიალურიც უნდა იყენენ მო-

ყვანილი კეშმარტებანი, მხოლოდ მათი დავიწყებით შეიძლება აიხსნას ის მოჩვენებითი დამარწმუნებელი ძალა, რომელიც ზოგიერთებმა დაინახეს Richardის პარადოქსში.

ის ფაქტი, რომ ჩვენი პარადოქსი გამოწვეულია ენის მიერ, მშვენიერად ჩანს შემდეგი გარემოებიდან. ჩვენ რომ ეს პარადოქსი გადაეთარგმნოთ რომელსაღე სხვა ენაზე, უკვე ის თავის ხასიათს შეიცვლის. გადაეთარგმნოთ ის მაგალითად ფრანგულად. მივიღებთ: „*Quel est le plus petit nombre entier que l'on ne peut pas définir par une phrase formée de moins de cent mots géorgiens*“, აქ ჩვენ უკვე წინაღმდეგობას უშუალოდ არ მივიღებთ. მართლაც, ჩვენი რიცხვი მართალია განსაზღვრულია ასზე ნაკლები სიტყვით, მაგრამ ეს ფრანგული სიტყვებია და არა ქართული, ხოლო ფრანგულ ფრაზაში ლაპარაკია იმ რიცხვებზე, რომელნიც ასზე ნაკლებ ქართულ სიტყვით არ გამოითქმებიან. შეიძლება თქვან, რომ წინაღმდეგობას მივიღებთ თუ ფრანგული ენიდან კვლავ ქართულზე გადავალთ, მაგრამ აქ სწორედ ის არის საინტერესო, რომ ქართული ენის დაუხმარებლად პირდაპირ ამ წინაღმდეგობას ვერ მივიღებთ.

მიღებული შედეგი ნათლად გვიჩვენებს, რომ პარადოქსის მიზეზი ენის ხასიათში უნდა ვეძებოთ.

ჩვენ დამაკმაყოფილებლად ვერ ჩავთვლით ვერც ერთ ცდას მიმართულს იმ მხრივ, რომ Richardის პარადოქსში დაინახონ უფრო მეტი, ვიდრე ენის უსრულობა და, ასე ვთქვათ, მოახდინონ Richardის პარადოქსის ემანსიპაცია ენის უსრულობისაგან.

ასეთია მაგ. Borelის ცდა<sup>1</sup>.

Borel განიხილავს მხოლოდ ისეთ ფრაზებს, რომლის საშუალებითაც ორი ერთი მეორისაგან სრულებით დამოუკიდებელი მათემატიკოსი ერთსა და იმავე რიცხვს გამოითვლის. აქ „ენის“ სიძნელე გადალახული არ არის, აქ ეს სიძნელე ხელ-ახლა შემოყვანილია, მაგრამ უკვე „მათემატიკოსის“ სახით ისე, რომ სიძნელე მხოლოდ სხვა ადგილას არის გადატანილი.

თუ ჩვენ გარკვეულ მსჯელობას, იმის მაგიერად, რომ ის ნამდვილად მოვახდინოთ, მივიანდებით „ენას“ ან „მათემატიკოსს“, ამით ჩვენ მსჯელობას ერთი და იგივე ნაკლი ექნება. საკითხი ისე დგას, რომ ჩვენ სწორედ უნდა გამოვარკვიოთ, თუ როგორ შეგვიძლიან ჩვენ მათემატიკოსებს (ან ენის საშუალებით) მსჯელობა და დაემატიკოთ, რომ ასეთნაირი მსჯელობა კანონიერია და არა პირიქით საბუთად მივიღოთ თითოხ ის ფაქტი, რომ „მათემატიკოსი“ (ან ენა) არსებობს და მოქმედობს. საბუთი წინ უსწრობს „მათემატიკოსს“ და არა „მათემატიკოსს“ საბუთს. როცა „მათემატიკოსი“ შემოგვეყვას ჩვენს მსჯელობაში ამით მათემატიკოსს განვიხილავთ, როგორც უკვე განხორციელებულს. ნამდვილად კი ჩვენი მსჯელობით გვინდა მათემატიკა განვახორციელოთ.

ამგვარად Borelის თვალსაზრისი სრულებით ვერ გადალახავს „ენის“ სიძნელეს და მის მიერ „მათემატიკოსის“ შემოყვანა საეხებით ლოლიკურად არ შეიძლება ჩაითვალოს. ის ფაქტი, რომ Borel-ი თავის თვალსაზრისს რეალის-

<sup>1</sup> Borel, *Loc. cit.* p. 62.

ტურს უწოდებს, სრულებით ვერ დაფარავს იმ ლოგიკურ ნაქს, რომელიც მას ახასიათებს.

ამით ჩვენ ვაშთაყრებთ პარადოქსების განხილვას.

## 5. დ ა ს კ ვ ნ ა .

თავის სიმრავლეთა თეორიაში Cantorმა ფართო გასაქანი მისცა უსასრულოებას. სანწყხაროდ Cantorმა ზოგიერთ შემთხვევაში ეს უსასრულობა თითონ განმარტებაშიც შეიტანა და ამით მათ გარკვეულობა დაუკაოვა და ისინი გახადა საუკეთესო წყაროდ პარადოქსებისა. ამის შემდეგ თავი იჩინა საწინაღმდეგო მიმართულებამ პარადოქსების არსებობის ფაქტმა აიძულა მრავალი მათემატიკოსი, მოეხდინათ უსასრულობის ცნების შეზღუდვა. ამ მიმდინარეობამ ნიაღვრია უაღრეს განვითარებას Brouwerის თეორიაში. ჩვენის აზრით, ორივე თვალსაზრისი უკიდურესობას გამოხატავს. განმარტება უნდა იყოს სრულებით დაბოლოებული ხასიათისა და იგი გარეშე რაიმე ფარულად შემოყვანილი უსასრულო პარადოქსისა უნდა უზრუნველყოფდეს განმარტებული საგნის გარკვეულობას. მაგრამ თუ ამის შემდეგ განმარტებული საგანი უსასრულო სახით წარმოგვიდგება, ეს ჩვენ ურყევ საბუთს გვაძლევს. ყოველ ექვს გარეშე ვიყოთ დარწმუნებული მის არსებობაში და არა პირიქით აქაც უსასრულობა უკანონოდ მივიჩნით. ამ ნიადაგზე მოხდება Cantorისა და Brouwerის თეორიების საუკეთესო მხარეების შეერთება. ერთი მხრივ შესაძლებელი იქნება უსასრულობის უშაღლესი ფორმების განხილვა, ხოლო მეორეს მხრივ განსაზღვრის დაბოლოებული ხასიათი უზრუნველყოფს სრულ სიმკაცრეს. ამასთანვე აცილებული იქნება ორივე ამ თეორიის უარყოფითი მხარეები: ერთი მხრივ Brouwerის თეორიის გამანადგურებელი მოქმედება თანამედროვე მათემატიკის უდიდესი ნაწილის მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ Cantorის თეორიის ლოგიკური დეფექტიულობა, რომელიც მუდამ ახალი პარადოქსებს იწვევს.

მომავალმა სიმრავლეთა თეორიამ უნდა უზრუნველყოს როგორც მათემატიკური მცნიერების განვითარების ის ფართო მაშტაბი, რომლითაც ის აქამდე სწარმოებდა, ისე სრული სიმკაცრე, რომელიც არამც თუ მოხსნის არსებულ პარადოქსებს, არამედ წინასწარ შეუძლებლად გახდის ახლების წარმოშობასაც.